74/2

ალმანახი

114/2

3

1974

95

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე № 3 მარტი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

გიორგი გოჩიტაშვილი — ყველაზე ახალგაზრდა გმირები 3
ლადო სულაბერიძე — ბაღნარი პეტრას ციხესთან 13

სანდრო შანშიაშვილი — სიკეთე თესე. ლექსი 19
ალექსანდრე ებანოიძე — ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი. რომანი 20
ოთარ ჭელიძე — ლექსები 55
გურამ ფანჯიკიძე — ბურუსი. მოთხრობა 58
ნელი თარბა — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნეს შოთა აკობიამ და ხუტა გაგუამ 65
ნელი გაბრიჩიძე — ლექსები 67
ლია ასათიანი — ლექსები 69
იზა გოცაძე — ლექსები 71
მერი მიდელაური — ლექსები 73
ნანა მჭედლიძე — მხიარული მოთხრობები 74
კარლო კობერიძე — წინ, ზარმაცებო!. მოთხრობა. დასასრული . . . 91
მირონ ხერგიანი — კლდის ვეფხვი. ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება . . 111

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

რევაზ ჯაფარიძე — დაფასებული ღვაწლი 142
გიორგი ციციშვილი — კრიტიკოსის გზა 145
მიხეილ კვესელავა — ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები 155
კახა ძიძიგური — ფურცლები ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან 171

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ელგუჯა მაღრაძე, შოთა ვადაჭკორია — შესწორებულ-შემოკლებული კლასიკოსი 178
ალექსანდრე სიგუა — ერთი ლექსის ისტორია 182

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

სერგო ჯორბენაძე — ივანე ჯავახიშვილის უცნობი სიტყვა 185

წ ი გ ნ ე ბ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

გივი გოჯგუა — პოეტური სიწრფელე და უშუალობა 190

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ჭუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25/I-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III-74 წ., ანაწყობის ზომა 7¼×12, ქაღალდის ფორმატი 70×108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00012. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 351
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი“, 1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გოხიტაშვილი

ყველაზე ახალგაზრდა გმირები

1974 წელი... 9 თებერვალი... თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი... აქ თავი მოიყარეს საქართველოს რჩეულმა შვილებმა, ღვაწლმოსილმა ადამიანებმა, რომელთაც თავისი სასიკეთო საქმეებით ახალი ძალა შემატეს რესპუბლიკის გულისცემას, მის დღესა და ხვალეს.

დღეს აქ ისინი პარტიამ მოიხმო, რათა უთხრას მადლობა შრომისა და თავდადებისათვის, სამაგალითო საქმეებისათვის.

ამ დღეს ლენინის ორდენები და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები გადაეცათ იმ მოწინავე ადამიანებს, რომლებიც სულ ახლახან შეემატნენ სოციალისტური შრომის გმირების სახელოვან თაობას. მათ შორის იყვნენ ელენე გორგაძე და ივანე ფიროსმანაშვილი. წინამდებარე ნარკვევი მოგვითხრობს მათ შრომასა და ცხოვრებაზე.

თავიდანვე მცირე განმარტება — ყველაზე ახალგაზრდაო რომ ვამბობთ, ასაკზე არ არის ლაპარაკი.

ლაპარაკია იმაზე, რომ ეს ადამიანები არიან სოციალისტური შრომის ყველაზე ახალი გმირები და მათი სახელებიც ხუთწლედის მესამე წელს მოედო მთელ ქვეყანას.

ასაკით კი ამ ნარკვევის გმირები — შუა ხნის ხალხია. მაგრამ გულიც, ფიქრიცა და მუხლიც ახალგაზრდული აქვთ.

პირველი მათგანი კახეთში, ლაგოდეხის რაიონში ცხოვრობს, სოფელ ცოდნისკარში. ეს ელენე გორგაძეა; მეორე — წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ფიროსმანაშვილი გახლავთ.

ძველი და კარგი ტრადიცია მოითხოვს უპირატესობა მანდილოსანს მივანიჭოთ და ჯერ მისი სახელი ვახსენოთ. ჩვენც თხრობას გმირი ქალის ღვაწლსა და ამაგზე ლაპარაკით დავიწყებთ.

I

დასაწყისისათვის მოვიყვანოთ ერთი ციტატა. სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, ლენინის პრემიის ლაურეატი ნ. სმელიაკოვი თავის ნარკვევში „საქმიანი შეხვედრები“ წერს:

„შევეხები საგარეო ვაჭრობის მეორე მხარესაც — იმპორტს. ცალკეული ექსპორტიორებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ ყიდვა უფრო ადვილია, ვიდრე გაყიდვაო. სიმართლის ნაწილი აქ არის. მაგრამ განა ყველაფერი ასე უბრალოდ ხდება, როცა საზღვარგარეთ რაიმეს ვყიდულობთ? ვიძენთ თუ არა ყოველთვის იმ საქონელს, რომელიც სახალხო მეურნეობას სჭირ-

დება? ნუთუ არ შეიძლება არ ვიყიდოთ ზოგი რამ, რათა ამ გზით დაზოგილი ვალუტა დავხარჯოთ ისეთ საქონელზე, ურომლისოდაც ნამდვილად შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარება? ეს არ არის უბრალო საკითხები, და მათზე პასუხების გაცემა, უმრავლეს შემთხვევაში, სცილდება მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა კომპეტენციას.

იმავე დროს, — განაგრძობს ნ. სმელიაკოვი, — საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს მნიშვნელოვანი რაოდენობა საქონლისა, რომელიც ან შეიძლება ადვილად შევცვალოთ სამამულო წარმოების საქონლით. ანაც სულ ავიღოთ ხელი მის მოხმარებაზე. მაგალითად, მიზანშეწონილია თუ არა ასეული მილიონობით მანეთის დახარჯვა უცხოური თამბაქოს შესაძენად? რატომ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ, თუმცა სხვა ხარისხის, მაგრამ ჩვენივე თამბაქოთი, ან საერთოდ ხელი ავიღოთ პაპიროსის წევაზე? ვიცი, თამბაქოს მწეველების ტომი ძალიან შემომწყრება, მაგრამ თავის დროზე მე თვითონ ვიყავი მწეველი, წეკოსი და სხვა ხარისხის თამბაქოს კილოგრამები მაქვს მოწეული. კარგა ხანია თავი მივანებე ამ თავის თავისა და სხვისთვისაც საზიანო და უმაქნის ჩვეულებას. და მე მზადა ვარ გავუძლო და პასუხი გავცე პაპიროსის მწეველთა არმიას, დაე, მათ იცოდნენ, რომ უცხოური თამბაქოს შესაძენად ხუთი წლის მანძილზე იხარჯება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის ვალუტა. ამ ასეული მილიონებით შეიძლება აშენდეს მთელი ქარხნები, ფაბრიკები და, ბოლოს და ბოლოს, ამ ფულით შეიძლება ვიყიდოთ ბევრი რამ ძალიან საჭირო და აუცილებელი ჩვენი ქვეყნისა და ადამიანებისათვის — დაე, ეს იყოს თუნდაც უცხოური ხილი — ლიმონი და ფორთოხალი.

კომუნისტური პარტია, — დაასკვნის ავტორი, — განუწყვეტლივ ზრუნავს საგარეო ვაჭრობის სწორი გზით წარმართვისათვის, სძლევს უველა ტენდენციას, რომელიც მიმართულია იქით, რომ ვალუტა დაიხარჯოს მეორეხარისხოვან მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უამისოდ ჩვენ არ გვექნებოდა ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომის დასაწყისში არ გვექნებოდა ისეთი მრეწველობა, რომელიც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფდა ჩვენი ხალხის გამარჯვებას გერმანელ ფაშიზმთან შეტაკების დროს".

ძალზე საგულისხმო სიტყვებია: აბა ყოველივე ამის შემდეგ დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, თუ რაოდენ ფასდაუდებელია შრომა ჩვენი მეთამბაქოებისა და მეციტრუსეებისა. რაც უფრო უხვი იქნება მოსავალი ამ კულტურებისათვის გამოყოფილ ჰექტარებზე, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ქვეყანა ლიმონითაც, ფორთოხლითაც და (ცოტა ძნელია თამბაქო ასეთი კარგი რამის გვერდით ახსენო) თამბაქოთიც... აი, ასე ზოგავს ვალუტას ჩვენი მეციტრუსეებისა და მეთამბაქოების შრომა და, მაშასადამე, განამტკიცებს სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებას. და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ყოველი ჩვენგანი თავისი გარჯით აშენებს კომუნიზმს, ეს სიტყვის სილამაზისათვის ნათქვამი ფრაზა როდია! ეს — ცოცხალი სიმართლეა.

მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ ცოდნისკარელ ელენე გიორგაძეს — მართლაც ოქროს ხელი აქვს... და ალბათ დამეგმავებსა და სტატისტიკოსებს აღრიცხულიც აქვთ, ელენესა და მისი მეგობრების შთაგონებულმა შრომამ რამდენი ოქრო დაზოგა, როცა მათ წლების მანძილზე თამბაქოს უხვი მოსავალი მოჰყავდათ. პირადად, ელენემ კი მეცხრე ხუთწლედის გეგმა ჯერ ისევ შარშან შეასრულა და სახელმწიფოს ხუთ ტონაზე მეტი თამბაქო ჩააბარა.

რედაქციის მივლინებით სოფელ ცოდნისკარში მივემგზავრები. სახელოვანი მეთამბაქოე უნდა ვნახო, გავეცნო, გამოვკითხო რა გზით მიაღწია გამარჯვებას.

მანქანამ ალაზნის ხიდი გადასჭრა. ლაგოდეხის რაიონის ველ-მინდვრები ამ მდინარის მარცხენა ნაპირიდან იწყება.

ჭიაურს რომ გავცდით, ერთ მოხუცს წამოვეწიეთ, თოვლში გზას ძლივს მიიკვლევდა. მანქანა გავაჩერეთ და შევიპატიჟეთ. გვარად სესიტაშვილი ვარო, — გვითხრა მოხუცმა. ადრე მას სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში უცხოვრია, აქედან წაუყვანიათ პირველ მსოფლიო ომში. ფრონტიდან რომ დავბრუნდი, ავიყარე საქობოდან, ალაზნის გაღმიდან გამოღმა გამოვედი და ახალ საქობოში დავსახლდიო.

— რათ ბიგატოვებია, პაპავ, ძველი და შეჩვეული ადგილი. გლეხკაცისათვის იქ უფრო კარგი საცხოვრისი არ იყო?

— იყო, შვილო, მაგრამ შემოდგომის ხვნათესვას რომ მოვრჩებოდით, მაინც აქეთ მოვდიოდით საშოვარზე. მდიდარ მეთამბაქოეებს მოვურიგდებოდით ხუთი-ექვსი კაცი ერთად და გაზაფხულის ხვნის დაწყებამდე თამბაქოს დამატს ვაწყობდით. კარგ ფულს ვაკეთებდით, მაგრამ მაინც ბობოლას ხელის შემყურენი ვიყავით.

ერთხელ მეზობლებს მოველაპარაკე, რაღა სხვისი თამბაქო ვაწყოთ, ბარემ ჩვენ თვითონ მოვიყუანოთ-მეთქი. ჭკუაში დაუჯდათ ჩემი სიტყვა, ავიყარენით და გადმოვსახლდით. მაგრამ ეს ჩვენი დრო რომ არ მოგვსწრებოდა, ისე დავიღუპებოდით, კაცი ვერ გაიგებდა.

— თუ თამბაქოს კარგი მოსავალი ჰქონდა, რაღა დაგღუპავდათ?

— ციება, ბიჭო, ციება! მუსრს ავლებდა დიდსაც და პატარასაც. ვერაფერი ვერ მოვუხერხეთ იმ ტიალს. ეკალ-ბარდი, რომ გავკაფეთ და თაზ-

ბაქოს რკვა დავიწყეთ, მუმლი უფრო გამრავლდა, მგელს მოუვლის კაცი, ან მოკლავს, ან გააფრთხობს, მუმლს რას უზამ?

იმისთანა უბედურ დღეში ვიყავით, გაღმა სოფლებიდან აქეთ, ჩვენს მხარეს ქალს აღარ გამოათხოვებდნენ ხოლმე, როგორი მდიდარი ყმაწვილიც უნდა დაღირებოდათ სახიძოდ. აქაური გოგოები კი სიხარულით აღარ იყვნენ, როცა დედ-მამა საქმროს ალაზნის გაღმა, ჭიზიყის სოფლებში შეურჩევდნენ. ოღონდ ციებას დაღწეოდნენ და აღარას დაგიდევდნენ. სიღნაღისა და წითელწყაროს სოფლებში ჯანსაღი ჰაერია, იქ პურიც მადლიანი იცის და სხვა მოსავალიც.

— ახლა როგორ არის, გაღმელები კიდევ არ ათხოვებენ ქალებს ლაგოდეხელ ბაბუკებზე?

— რასა ბრძანებთ, ვიღას ახსოვს ეგ ამბავი. ახლა ჩვენს ბიჭებს მოყვრობაზე უარს ვინ ეტყვის. აბა გახედე ამ სოფლებს. ის ტიალი ციება ხომ დაგვავიწყდა და დაგვავიწყდა, თამბაქოზე თუ მკითხავთ, ახლა იმაზე მეტი მოგვყავს, მაგრამ იმისთანა დუხჭირი აღარ ადგა კაცსა. მართლაც რომ დალოცვილ დროს შევესწარით...

— ახლა საით გაგიწევია, პაპავ?

— ლაგოდეხში მივდივარ... შვილიშვილი მყავს იქ გათხოვილი. შენა, შვილო?

— მე ცოდნისკარში მივდივარ, ელენე გორგაძე უნდა ვნახო...

ბერიკაცს სახე გაუბრწყინდა.

— ჰოო, აბა ქალობაც მაგან უნდა დაიკვეხოს. ახლობელია შენი?

— არა, რედაქციიდან გამომგზავნეს.

— აბა, შენ იცი, — გამამხნევა კეთილმა მოხუცმა, — გააგებინე ქვეყანას ჩვენი ამბავი. დამიჯერე, მე ძველი მეთამბაქოე ვარ... ელენეს გამარჯვება — ჩემი გამარჯვებაც არის...

და, აი, უკვე სოფელში ვარ. ლარივით გატყორცნილი ქუჩების ორივე მხარეს ქვითკირის, ორსართულიანი სახლები ჩამწკრივებულან, ლამაზი აივნებითა და ეზოებით. სახლების სახურავებზე ტელევიზორის ანტენები აღმართულან. აქაურ მინდვრებში მოჰყავთ ხორბალი, ყურძენი, რეჰანი და თამბაქო. გამოჰყავთ აბრეშუმის პარკი, მისდევენ მეცხოველეობასაც, სახელმწიფოსაც უხვად აწვდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და თვითონაც შეძლებულად ცხოვრობენ. კოლმეურნეობის ძირითადი შემოსავლის წყარო კი მაინც თამბაქოა. ამიტომ უველაზე პირველად თვალში გეცემა აქა-იქ აღმართული მზრებგანიერი საშრობები, რომელთა ჰერქვეშ ჯერ კიდევ ჰკიდია გამშრალი თამბაქოს ფოთლის ანემსილი ავანგები.

შარშან აქაურებმა, გეგმით გათვალისწინებული 330 ტონის ნაცვლად, სახელმწიფოს 400 ტონა გამშრალი თამბაქო მიჰყიდეს. ბევრმა აქაურმა კოლმეურნემ ისახელა თავი, ხოლო ელენე იოსების ასულ გორგაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

— ელენე შინ არ არის, — გვითხრა კანტორიდან გაგზავნილმა მორბედმა, — რაიკომის ბიუროს წევრია და დღეს პარტიული აქტივის კრებას ესწრება!

კოლმეურნეობის სპეციალისტებს გავესაუბრე.

— რაშია გორგაძის წარმატების საიდუმლოება?

— რაშია საიდუმლოება? — ეღიმება აგრონომს, — მე მგონი თითებში. ისე კი, არ არის ეს ძნელი ასახსნელი. დაწყებული შემოდგომიდან, როცა სათამბაქოე ნიადაგი მზრალად იხვნება, ელენე სულ თავს დასტრიალებს თავის ნაკვეთს, არაფერი არ უნდა დააკლდეს... თამბაქო ძნელი და სათუთი მოსავლელია. უველა პროცედურა ზუსტად უნდა ჩაატარო — ხვნის მერე აოშვა, მერე — დაკვალვა, მარტის ბოლოს ჩითილების რგვა. ჩითილის დარგვიდან ათი დღის შემდეგ — პირველი კულტივაცია. აპრილის მეორე ნახევარში ელენე შერჩევით იწყებს თამბაქოს ფოთლის შეტეხვას, მაისის პირველიდან კი — მასობრივად. სულ ხუთჯერ ტეხს ფოთოლს.

პირველად შეტეხილ ფოთოლს დიბს ეძახიან, ის კარგი ხარისხის არ გამოდის. მეორედ შეტეხილი დიბიწელია, ეს კარგი ხარისხია, მესამედ შეტეხილი — კაიწელი, ეს მაღალი ხარისხისაა, მეოთხედ შეტეხილი—წელი და მეხუთედ შეტეხილი — წვერი.

სანამ ფოთლის პირველ შეტეხვას დაიწყებდეს, მეთამბაქოე ყვავილს აწყვეტს ღეროს, რომ ფოთოლი უფრო გამსხვილდეს, და მიწიდან ამოტანილი ღალა მთლიანად ფოთოლს მოხმარდეს.

ელენე დამატებით მოსავალსაც ღებულობს — ფოთლის მეხუთედ შეტეხვის შემდეგ მიწის პირიდან ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეზე გადასჭრის ღეროს, ხელახლად ატარებს კულტივაციას, თოხნის, რწყავს, დამატებით შეაქვს სასუქი და მეორე მოსავალს ღებულობს. თუ, მაგალითად, პირველი მოსავლისას ერთი ღეროდან 700 გრამ თამბაქოს ღებულობს, მეორე მოსავლისას 400-450 გრამი მესამე ხარისხის თამბაქო მოჰყავს. ამ გზით მან თითქმის ერთისამად გაზარდა თამბაქოს მოსავალი. აი ეს არის მთელი მისი საიდუმლოება.

ელენეს პარტიის რაიკომის შენობაში მივუსწარით, არც ისე სიტყვაძუნწი გამოდგა ჩვენი გმირი. ენაწყლიანად, დამაჯერებლად გვიყვება ცხოვრებისეულ ამბავს:

— მამაჩემი თხუთმეტ წელიწადს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. არ გვიჭირდა, მაგრამ ოჯახში ვისაც შრომა შეგეძლო, სახლში არავის გვაჩერებდა. თქვენ რომ შინ დახვდეთ, რა პასუხი გავცე სოფელსო, გვეტყოდა ხოლმე. დედაჩემი ბაბალე თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისათვის ჯერ „შრომითი მამაცობის“ მედლით დააჯილდოვეს, მერე შრომის წითელი

ეროვნული

დროშისა და მერე — ლენინის ორდენებით. პენსიაც დაუნიშნეს, მაგრამ მაინც მუშაობს — აბრეშუმის ჭიას უვლის და პარკი გამოჰყავს.

შვიდი წლისა იყო ელენე, როცა დედამ პირველად წაიყვანა პლანტაციაში სამუშაოდ. ცხრაასორმოცდაერთის ძნელი ზაფხული იყო, უჭირდა ქვეყანას; პატარა ელიკო ტეხდა თამბაქოს ფოთოლს, მწარე წებო ეკვროდა ბავშვის თითებს, თამბაქოს უსიამოვნო სუნი ზაფრავდა, დედასაც ეცოდებოდა თავისი გოგონა, მაგრამ სამშობლოს უჭირდა და გარჯა იყო საჭირო; არც სწავლისათვის მიუნებებია თავი პატარას და დედასაც ბევრჯერ შეაშველა ხელი. მერე, თანდათან შეეჩვია პლანტაციას, და ასე, სიყრმის წლებიდან ჩაენერგა რწმენა, რომ უშრომლად და გაურჯელად ნამდვილი ადამიანური ცხოვრება არ წარმოიდგინება.

კარგად, შეძლებულად ცხოვრობს ელენე გორგაძე. დიდად შრომატევადია თამბაქოს სამუშაო, მაგრამ ელენეს მაინც რჩება „თავისუფალი დრო“, ამიტომ სიმინდის ყანასაც უვლის და აბრეშუმის ჭიასაც. მარტო შარშან ელენემ 57 კილოგრამის ნაცვლად 92 კილოგრამი აბრეშუმის პარკი გამოიყვანა, ხოლო 10 ცენტნერის ნაცვლად კოლმეურნეობის ბელელში 19 ცენტნერი სიმინდი შეიტანა. ხოლო თამბაქოს მოყვანის გეგმა ორასი პროცენტით შეასრულა.

ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ ოჯახსაც ხომ უნდა მოვლა, სამი შვილის გაზრდას რამდენი წვალება სჭირდება, ყველაფერს გასწვდა ელენეს თვალი და ხელი, ყველაფერი შეძლო მისმა კარგმა გულმა და მოუღლელმა მარჯვენამ.

აი, ამას ეწოდება გმირობა.

ელენე გულთბილად იხსენიებს თავის მეგობრებს — გამოცდილ მეთამბაქოეებს — თინა მიქაძეს, ქსენია გოგინაშვილს, ანზორ ჯიბღაშვილს, მათი გამოცდილება მეხმარებოდა და თუ დღეს კარგად ვიცი თამბაქოს მოყვანა, ეს მათი წყალობაა, ხოლო თამბაქოს დახარისხება და დამატებად დაწუობა მას მოსე ფერიაშვილის, ვანო ფრიდონიშვილისა და ირაკლი კილასონიასაგან უსწავლია.

— ადრე მართლაც მძიმე იყო თამბაქოს პლანტაციაში მუშაობა,—ამბობს ელენე,—ახლა მექანიზაცია წამოგვეშველა, მოსავალმაც იმატა, და შრომაც შედარებით იოლი გახდა. მაგრამ ამ სფეროში მეტის გაკეთებაა საჭირო. ამ რამდენიმე ხნის წინ ბულგარეთში მომიხდა ყოფნა, ქალაქ ვარნას პანსიონატში ვისვენებდი. ვიცოდი, რომ ბულგარეთი — თამბაქოს ქვეყანაა და დასასვენებელი სახლის დირექციას ვთხოვე იქური პლანტაციები ეჩვენებინათ. იქ სამუშაოთა უფრო დიდი ნაწილი მექანიზაციით სრულდება, ჩვენ კი ჩითილის დასარგავი მანქანაც არა გვაქვს და დღემდე ხელით ვცოდვილობთ...

ელენეს ჰიშკართან ყოველდღე მოდის ფოსტალიონი და ახალ-ახალი მისალოცი დეპეშები მოაქვს, ელენეს თანმიყოლებით დაუწუყვია ისინი.

— აი ეს, პირველი დეპეშა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის იოსებ რთველიაშვილისაგან მივიღე, ეს მეორე — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟიული შარტავასაგან არის, მესამე — ზემომაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკო მამაიაშვილმა გამომიგზავნა.

ამას მოსდევს უკრაინელების, ლენინგრადელების, მოსკოველი სტუდენტებისა და ბელორუსი მოსწავლეების დეპეშები, ულოცავენ ნაცნობი და უცნობი მეგობრები...

მაგრამ ყველაზე მეტად ელენეს გულს პატარა ნონა და მამუკა ახარებენ.

— გმირი ხარ, ბებო? — ყოველდღე ეკითხებიან ელენეს სიხარულით თვალებგაბრწყინებული შვილიშვილები.

II

ნიკო ფიროსმანაშვილს აქვს ერთი სურათი — კალოობა, აქ გამოხატულია ძნების მაღალი თაიები, კაცი, ხორბალს რომ ანიავებს, და კევრში შებმული ხარები...

ნიკო მირზაანელი იყო, მაგრამ მთაზე გაშენებულ სოფელში კალოს ვერ ნახავდა, მირზაანელებს კალოები ყანებთან ახლოს — ქვაშიან წყალზე და უზუნდარაზე ჰქონდათ. როგორც კი ზაფხული დადგებოდა და თაკარა მზე პურის ყანებს მოსამკელად გააფიცხებდა, გლეხკაცი თავის ჭალაბს ურემზე დააბარგებდა და უზუნდარისაკენ მიმავალ გზას დაადგებოდა. რაკი ოჯახის წლის სარჩო-საბადებელს ჩაიკლებდა, გლეხკაცი თავის ჭალაბს კვლავ სოფელში გადაიყვანდა.

ამ სურათშიც უზუნდარაზე მიღებული შთაბეჭდილებებია გადმოცემული.

1928 წელს მირზაანში პირველი არტელი ჩამოყალიბდა. ღარიბებმა მას „გლეხის იმედი“ უწოდეს და თავიანთ პირველ თავმჯდომარედ დიდი ნიკოს მოგვარე, კომკავშირელი ვანო ფიროსმანაშვილი აირჩიეს.

ახალი კოლექტივის პირველი თავმჯდომარე, მეზობლებთან ერთად, გუთნისდედაც იყო, ბუღალტერიც, საქმის მწარმოებელიც. დღისით ხან ნამგალი ეჭირა ხელში, ხან ცელი. საღამოთი კი არტელის საქმეს განაგებდა. პირველ წელიწადს „გლეხის იმედში“ გაერთიანებულმა შვიდმა ოჯახმა კარგი მოსავალი მოიყვანა.

სულ მალე სოფელში მეორე არტელი შეიქმნა, მას სახელად „თავთავი“ უწოდეს, თავმჯდომარედ აქ ალექსანდრე ფიროსმანაშვილი აირჩიეს.

ერთ საღამოს პირველმა თავმჯდომარემ მეორე თავისთან დაიბარა და უთხრა:

— მოდი, უზუნდარაზე გადავსახლდეთ. მინდორიც ახლო გვექნება და აქეთ-იქით სიარულ-

ში დრო აღარ დაგვეკარგება. მშვენიერი ადგილია. კარგი სოფელი გაშენდება...

მეზობლებმა მალე აუბეს მხარი ერთიმეორეს და ორივე არტელის კანტორები მიწურ გომებში მოაწყეს უზუნდარის კალოებზე. ასე დაიბადა უზუნდარაზე ლამაზი და შეძლებული საკოლმეურნეო სოფელი, რომელსაც შემდგომში გამარჯვება ეწოდა. ოცდაათიან წლებში არტელები გაერთიანდნენ და ერთ ძლიერ კოლმეურნეობად იქცნენ.

ჭაგნარებიან და მოტიტვლებულ უზუნდარაზე დღეს თვალს იტაცებს ვეებერთელა სოფელი, რომლის ცენტრშიც მხრები წამოუმართავს ხუთას ადგილიან კულტურის სახახლეს; აქვეა საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, საექიმო პუნქტი, საფოსტო განყოფილება, მაღაზიები, აბანო, საწარმოო შენობა-ნაგებობანი. მოასფალტებული ქუჩების ორივე მხარეს ტოტები გაუშლია პირველი თავმჯდომარის მიერ დარგულ კაკლებს.

პირველ თავმჯდომარეს მთელი სოფელი დიდ ვანოს ეძახდა, რათა პატარა ვანოსაგან გაერჩიათ. პატარა ვანო ალექსანდრე ფიროსმანაშვილის ოჯახში დაიბადა, ბიქმა შვიდი კლასი დაამთავრა. სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა, მაგრამ ის იყო ომიც დაიწყო.

მინდორსა და ფერმებს უვაჟკაცობა დაეტყო. დიდი საზრუნავი გაუჩნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ფიროსმანაშვილს. არავინ იცოდა როდის იძინებდა და იღვიძებდა ვანო ძია. ის ერთავად მინდორსა და ფერმებში ტრიალებდა. პატარა ვანოსათვის განხორციელებული ოცნება იყო თავმჯდომარე, ვანოც აკვირდებოდა პატარა მოგვარეს და მის გულს სიყვარული იპყრობდა. გრძნობდა, რომ სოფელს ამ პატარა ბიჭის სახით კაი ყმა ეზრდებოდა.

1942 წლის ზაფხული მიიწურა. თავმჯდომარე პარტიის რაიკომის ბიუროზე გამოიძახეს. საბჭოთა არმიისათვის საჭირო იყო ცხენები. ამიერიდან კოლმეურნეობას საგანგებოდ უნდა გამოეზარდა ცხენები და განრიგის მიხედვით გაეგზავნათ ფრონტისათვის.

თავმჯდომარემ იმავე საღამოთი დაწერა განკარგულება და პატარა ვანო სპეციალურად ამ საქმისათვის გახსნილ ერთვიან კურსებზე გაგზავნა. დაბრუნდა თუ არა ჭაბუკი კურსებიდან, მეორე დღესვე მეჯოგეობის ფერმის გამგედ დანიშნეს. ტარიბანას საძოვრებზე აბალახებდა ცხენებს პატარა მეჯოგე.

დადგა ცხრაასორმოცდაოთხი წელი. საბჭოთა არმიამ მტერი ჩვენს საზღვრებს იქით გადარეკა. სოფელ გამარჯვების კოლმეურნეებმა საკუთარი სახსრებით ტანკი აუგეს ჩვენს მეომრებს და რამდენიმე ასეული ტონა პური და სხვა პროდუქტები გაუგზავნეს. მოსკოვიდან სასიხარულო დეპეშა მოვიდა. უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი ამ პატრიოტული თაოსნობისათვის მადლობას უხდიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვანო ფიროსმანაშვილს. ეს მადლობა თავის წილად ფერმის გამგეს პატარა ვანოსაც ეკუთვნოდა.

ახლა კი სწავლის გაგრძელების დრო დადგა, იფიქრა პატარა ვანომ და თავისი გადაწყვეტილება თავმჯდომარეს გაანდო.

— მეტი რა სწავლა გინდა, ბიჭო, — უპასუხა თავმჯდომარემ, — კურსები ხომ გაგატარეთ, ფერმის გამგედ დაგნიშნეთ. რაც იცი, ეგეც საკმარისია. მე შენ ჩემს შემცვლელად გზრდი და თუ სწავლა გინდა, მაგაზე დიდ წიგნს ვერსად ნახავ. გლეხკაცის წიგნი შირაქი და ტარიბანაა. ეგ ისწავლე კარგად და კაცად ივარგებ.

პატარა ვანომ აღარ დაუჯერა უფროსს. გამგეობის დასტურის გარეშე ფერმა თავის ტოლ ბიჭს ჩააბარა და ქვემომაჩხაანის ზოოვეტერინალურ ტექნიკუმში ჩაირიცხა.

თავმჯდომარეს არ ესიამოვნა ფერმის გამგის ურჩობა, საკითხი გამგეობის სხდომაზე გაიტანა და დაჟინებით მოითხოვა გამგეობას ბიჭი უკანვე გამოეწვია, სწავლა ომის შემდეგ განაგრძოსო.

გამგეობამ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და თავმჯდომარეს უარი მოახსენა: დღეს თუ ხვალ ომი დამთავრდება, სოფელს კი სპეციალისტი სჭირდება. ეგ ბიჭი ნიჭიერი ჩანს, გაუშვი ისწავლოს, სოფელს გამოადგებაო.

მაგრამ ძია ვანოს გატეხა ეგრე ადვილი არ იყო.

— ეგ რომ დაუსჯელად დავტოვოთ, — თქვა თავკაცმა — სხვაც გაიქცევა, საითაც მოეპრანჭება. ამხელა სოფელს კი ვინ მოუვლის. გამოდის, რომ მარტო მე და თქვენ უნდა ვიმუშაოთ. დისციპლინა, კანონი? რა პასუხი გავცეთ ფრონტიდან ჩამოსულ ბიჭებს? წახვედით, თქვენ მტერი დაამარცხეთ, ქვეყანა იხსენით. ჩვენ კი აქ, სადაც არც ტყვია ზუზუნებდა და არც ზარბაზანი ქუხდა, კოლმეურნეობა დავშალეთ, მოდით და თქვენ აღადგინეთო? არა, ეგრე არ შეიძლება. დაუცადოს, დაბრუნდებიან ჩვენი მეომრები და მერე ისწავლოს. განა მე არ ვიცი, რომ სოფელს ექიმიც სჭირდება, მასწავლებელიც, აგრონომიც და ზოოტექნიკოსიც.

როგორც იყო, დაიყოლიეს დიდი ვანო, რაკი აგრე გინდათ, დაე, დარჩეს იქ, ნუღარ გამოვიძახებთ, მაგრამ ფერმის თვითნებურად მიტოვებისათვის უნდა დავსჯითო.

გამგეობის სხდომამ დაადგინა — მეჯოგეობის ფერმის გამგე ვანო ფიროსმანაშვილი, ფერმის თვითნებურად მიტოვებისათვის ხუთი შრომადღით დაჯარიმდეს.

ყველაზე საკვირველი ის იყო, თურმე თავმჯდომარე მაინც წავიდა ქვემომაჩხაანში, ინახულა ტექნიკუმის დირექტორი და უთხრა — ეგ ბიჭი გამგეობის დადგენილებით გამოვგზავნეთ, აბა თქვენ იცით, ძალიან გეხვეწებით კარგი სპეციალისტი გაგვიზარდოთო.

მერე თურმე ისიც დაუმატა — ერთხმად დავადგინეთ მაგისი გამოგზავნა, სოფელს მაგისი იმედი აქვს და ამ იმედს ნუ გაგვიცრუებთო.

ასეთი კაცი იყო ძია ვანო.

1947 წელს პატარა ვანომ წარმატებით დაამთავრა ტექნიკუმი. დაბრუნებისთანავე გამგეობის სხდომაზე გამოიძახეს და კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსად დანიშნეს.

— აბა შენ იცი, შვილო, — უთხრა დიდმა ვანომ პატარას, — ხომ შენი გაიტანე, ისწავლე... აბა ახლა პირუტყვს მიხედე...

ახალბედა ზოოტექნიკოსმა იმავე დღეს შეკაზმა ცხენი და ტარიანაზე წავიდა. იქ, ფერმებში მალე ყველაფერს სხვა ელფერი დაედო. ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა დაიწყო ფრინველ-პირუტყვის ჯიშობრივი შერჩევა და სანაშენო მოზარდის ცალკე გამოყოფა.

— მე რომ სანაშენო მოზარდს შევარჩევდი და გაძლიერებულ კვებაზე დავაყენებდი, — იგონებს ახლა პატარა ვანო, — ვანო ძია ჩამოვიდოდა ფერმაში, დაბეღავდა ხბორებს და გამომიყრიდა ბაკიდან — ამთაგან კარგი ხარი და ფური არ გაიზრდებაო. მას ღია ლეგა ფერის პირუტყვი უყვარდა, მაღალი რქები და კარგი საუღლე ბოინი უნდა ჰქონდესო. პირუტყვის შერჩევის თავისებური მეთოდი ჰქონდა. პრაქტიკოსი კაცი იყო, მეცნიერული რჩევისა ბევრი არა სჯეროდა.

ფერმებში მეძროხეებიც თავმჯდომარეს უჭერდნენ მხარს.

— ათადან-ბაბალან ჩვენი მეძროხეობა აგრე მოდის და ეხლა გინდა ქვეყანა უკუღმა შეატრიალო, — ეუბნებოდნენ ისინი ზოოტექნიკოსს, — ვის გაუგონია ხბო დედას ასხლიტო და რაღაცა მაწოვარათი მისცე რძე. იმ ხბომ როგორ უნდა გაიბაროს.

მაგრამ სკეპტიკოსები მალე დარწმუნდნენ, თუ რაოდენ უფრო ეფექტური იყო ხბორების ახსლეტით კვება. ამის შედეგადაც წველადობა 270 ლიტრიდან საგრძნობლად გაიზარდა და მალე თვითეულ ფურზე 800 ლიტრს მიაღწია. ხბორები კი უფრო ჯანსაღი და ძლიერნი იზრდებოდნენ.

უველაზე სავალალო დღეში მაინც მეღორეობის ფერმა იყო. ადგილობრივი ჯიშის ღორი დანახარჯებსაც ვერ ანაზღაურებდა, არც ხორცის გამოსავლით გამოირჩეოდა და არც ნამატის გამოზრდით.

პატარა ვანომ რაიონის მთავარ ზოოტექნიკოსს შალვა შარაშიძეს გაანდო თავისი წადილი — ფერმაში ჯიშიანი ღორები მინდა შემოვიყვანოო. შარაშიძემ თაოსნობა მოუწონა და დაჰპირდა მალე მოგცემთ მსხვილი თეთრი ჯიშის კერატებსო. ჯერჯერობით ერთი მწარმოებელი იკმარეთ, მეტი საშუალება არ გვაქვსო.

ეს დღეც დადგა — რაიონმა ჯიშიანი კერატები მიიღო. უველა კოლმეურნეობამ აფრინა კაცი, აბა თქვენ იცით, უველაზე უკეთესი აარჩიეთო. დგას ერთი ღრიანცელი. სოფლებიდან ჩამოსულთა შორის უველაზე უმცროსი — პატარა ვანოა. ის ჯერ შორიდან ათვალიერებს, თვალით არჩევს უკეთესს და მერე ცალკე გამოყავს. არბოშიკელების თავმჯდომარემ, ჭარმაგმა კაცმა, თვალი დაჰკრა იმ კერატს და თავის კოლმეურნეებს უბრძანა — აგერ იმ პატარა ბიჭმა რომ კერატი აარჩია, მიდით, წაართვით ახლავე და ჩვენს ფერმაში წაიყვანეთო.

— ეს მე ავირჩიე და არ დაგანებებთ, — გაჯიუტდა პატარა ვანო.

— უყურე ერთი ამ ლაწირაკს, ჯერ ტუჩებზე რძე არ შეგშრობია და მე მიდგება წინ? წადი, შვილოსა, წადი, აგე. კოშკაანთ ტყეში ჯოხები გამოსჭერ და ჩილიკაობა ითამაშე. თქვენს კოლექტივს თუ ჯიშიანი კერატი უნდოდა, წყალწყალა თვითონ მოვიდოდა. ნეტავ რას ეჩრები უფროსების საქმეში, არ ვიცი?!

— სად უნდა წავიდე? ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ კერატს არ წავიყვან. — უპასუხა გამარჯვების ზოოტექნიკოსმა.

თავმჯდომარემ საცემრად გაიწია. არბოშიკელები მიესივნენ პატარა ვანოს და ის იყო კერატი უნდა წაეყვანათ, საიდანღაც რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი შარაშიძე გამოჩნდა.

— ხელი არ ახლოთ, მაგისია, — შეუტია შარაშიძემ არბოშიკელების თავმჯდომარეს, — ამ ხნის კაცი ხარ და ბიჭს გალახვას უპირებ, არა გრცხვენიან... მოდი, შვილო, წაიყვანე, — დაუვაებით უთხრა პატარა ვანოს.

ვანო ძიამ ეს ამბავი რომ გაიგო, თავისი ზოოტექნიკოსი შეაქო და ღიდი მადლობა გადაუხადა, თანაც დაუმატა: იმ არბოშიკელ ბღენძიას რომ ეჭობნა, აქ ალარ ჩამოვიშვებდიო.

ერთ საღამოს ვანო ძიამ თავისი სეხნია გამოიძახა და კაბინეტში მარტო შეიყვანა.

— ბიჭო, ვანო, ცუდი ამბავი მომიტანეს, ხომ იცი, იალაღებზე ცხვრის პარსვა დაიწყო. ფერმის გამგე რაღაცას მაიმუნობსო. მთაში უნდა წახვიდე. ფრთხილად იყავი, არაფერში მოგატყუოს, ტონანახევრიანი წაიყვანე და ღილით აღრე წადი.

ზოოტექნიკოსიც წავიდა იალაღებზე. მთავარ ბინაზე პარსვა გაეჩაღებინათ. გუგუნებდნენ სახპარსი აგრეგატები, კანძი კანძზე გადმოდიოდა და მატყლის ვეება მთა დაეყენებინათ.

პატარა ვანომ დახედა იქაურობას და ერთი ურემი მოინაკლისა, ვერც ფერმის გამგეს მოჰკრა თვალი, უხმოდ გაბრუნდა საპარსი ფარდულიდან. ჩაჯდა მანქანაში და ახლომდებარე სოფელში ფერმის გამგეს იმ დროს მიუსწრო, როცა მას მუშტარი ეშოვნა და კოლმეურნეობის მატყლს ურმიდან გადმოცლას უპირებდა. ზოოტექნიკოსის ღანაბვაზე ფერმის გამგე შეცბა, თავის მართლება დაიწყო — ფერმის შესაკეთებლად ფული მინდოდაო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აღმოაჩნდა. ვანომ მატყლი მანქანაზე

გადატვირთა და დამზადების სახელმწიფო პუნქტს ჩააბარა. ფერმის გამგეს კი უთხრა:

— ბერიკაცი ხარ და ეს ერთხელ მიპატიებია. არ გავახმაურებ ამ ამბავს, ოღონდ მომავალში ასეთ რამეს ნუღარ ჩაიდენ...

ზოოტექნიკოსმა მართლაც არ გაახმაურა ეს ამბავი. ძია ვანოს რომელიღაც მწყემსმა მაინც უთხრა, მაგრამ იმანაც ყური მოიყრუა — აღარ ჩაეძია საქმეს.

დადგა შემოდგომა. ცხვარი ივრისპირეთში საზამთრო საძოვრებზე ჩამორეკეს. ერთ საღამოს ფერმის გამგემ ათი ცხვარი ასხლიტა ფარას და შინისაკენ გაირეკა. ისევ წაუსწრეს.

— ეს იმიტომ ჩაიდინა, — უთხრა ვანო ძიამ ზოოტექნიკოსს — რომ მთაში მომხდარი მატყლის ამბავი არ მითხარი. შეგეცოდა, იმას კი სირცხვილი დაკარგული აქვს. ახე თუ ვიმუშაოთ, მალე ჩვენს კოლექტივს ღაცალა ბატკანიც აღარ შერჩება...

— მაპატიე, ვანო ძიავ, ვიფიქრე, ამ ხნის კაცია და მიხვდება-მეთქი...

ერთხელ ვანო ძიამ გამგეობის კრება მოიწვია და თანასოფლელებს განუცხადა:

— საგურამოში სამწლიანი კურსები გაუხსნიათ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს ამზადებენ. რაიკომი კაცსა გვთხოვს, ვინ გავაგზავნოთ.

ყველამ პატარა ვანო დაასახელა. თავმჯდომარესაც ეს უნდოდა, ვანომ კურსები წარმატებით დაამთავრა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლება მოიპოვა. გაღაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა.

სწორედ იმ ხანებში თავმჯდომარემ კოლმეურნეობის საერთო კრება მოიწვია და განთავისუფლებული მოადგილე მოითხოვა.

— მეზობლებო, ჩვენი კოლმეურნეობა გაიზარდა, სოფელი გადიდდა, სამას კომლს მიაღწია. ორიათასხუთას ჰექტარს ვხნავთ. ფერმებში დიდძალი ფრინველი და პირუტყვია. სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი სოფლიდან ორმოც-ორმოცდაათ კილომეტრზეა გადაჭიმული. დავბერდი, ვეღარ ავუდიგარ ამხელა საქმეს. ერთი თავმჯდომარე მარტო თათბირებსა და კრებებზე დასწრებას უნდა. საჭიროა გამგეობის თავმჯდომარეს ერთი განთავისუფლებული მოადგილე შევურჩიოთ. ჩემს სეხნიას ყველანი კარგად იცნობთ, ის ავირჩიოთ.

თავმჯდომარე გულში ასე ღიქრობდა: თუ პატარა ვანო ისევ სასწავლებლად წავა, შეიძლება სოფელში აღარ მობრუნდეს და იქვე დარჩეს. ვინ იცის, ჩემს შემდეგ ვის აირჩევენ თავმჯდომარედ, იქნებ არჩევანში შეცდნენ, იქნებ ისეთი კაცი მოიყვანონ, ვინც აქაური მინდორ-წყლისა და ხალხის თავისებურება არ იცის, დალუპოს მონაგრებული დოვლათი, ხალხიც წავიდ-წამოვიდეს და სოფელი ისევ ნაკალოვრებს დაემსგავსოსო.

ხალხმა მოუწონა არჩევანი ძია ვანოს.

მეორე დღეს თავმჯდომარემ პარტიის რაიკომის მდივანს დაურეკა:

— ჩვენმა ზოოტექნიკოსმა თავმჯდომარეობის კურსები დაამთავრა. უმაღლესში უგამოცდოდ ღებულობენ, მაგრამ რაიონიდან ლიმიტსა სთხოვენ. ძალიან გთხოვთ დასწრებულზე სწავლის უფლება არ მისცეთ. დაუსწრებლის ლიმიტი მიეცით. დაე, ისწავლოს, მაგრამ სოფელში იყოს, იმუშაოს და ისწავლოს.

ვანო ფიროსმანაშვილმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და აგრონომის დიპლომი მიიღო.

ოცდაათი წელიწადი ედგა სათავეში ძია ვანო გამარჯვების კოლმეურნეობას. დაბერდა, მოიღალა ამაგდარი თავმჯდომარე, და 1960 წელს პენსიაზე გადავიდა. სოფელმა თავის თავკაცად პატარა ვანო აირჩია.

ერთხელ, ტარიბანაზე, პირუტყვის სადგომის მშენებლობის დროს, მიწას რომ თხრიდნენ, კოლმეურნეებმა ღრმად დამარხული მარანი აღმოაჩინეს. ქვევრები ფრთხილად ამოიღეს. მარნის კედლების ქვა კი სადგომის მშენებლობაზე გამოიყენეს.

— აქ თუ წინათ ვენახები არ იყო, — თქვა ვანო ძიამ,—მარანს რად მოაწყობდნენ, ტარიბანა ფიცხი, ქვიშიანი ადგილია და რქაწითელსაც ამისთანა ნიადაგი უყვარს. მოდი ვცადოთ, ვაზი გავაშენოთ, თუ ივარგა ვენახის პატრონები გავხდებით.

ჯერ ხუთ ჰექტარზე ჩაყარეს რქაწითელი. ვაზმა იპოვნა თავისი სამემკვიდრეო ალაგი და ცერისხიმსხო რქა ამოიყარა.

გამარჯვების კოლმეურნეობას მალე ჯაფარიძისა და წითელწყაროს კოლმეურნეობებმაც მიბაძეს. აშენდა ახალი ზვრები ძველ ნავენახობებზე, ახლა ვაზს ორასეულობით ჰექტარი უჭირავს, ღვინოც კარგი დგება და მოსავალსაც კარგს იძლევა.

იქაურმა სახალხო მგოსანმა, ას წელს მიტანებულმა თერანას ბიჭმა (ეს არის მისი თიკუნი ანუ ფსევდონიმი, ნამდვილი სახელი და გვარი — ილო ბაცაცაშვილია. მისი ლექსები არაერთხელ გამოქვეყნებულა თბილისში გამოცემულ ხალხური პოეზიის კრებულებში), ეს ვენახები როგორ ინახულა, ასეთი ლექსი ღასძახა თავის განუყრელ ჩონგურს:

შე ტიალო ტარიბანავ,
ღვინო გცოლდნია ალალი,
ცხოვრებას მოუთხოვია,
გამარეთე ქვევრი, მარანი.
კარგად დაფიქრდით, მგოსნებო,
არვინ დავკარგოთ რჯულია,
ტარიბანა და შირაქი
მართლა სიმდიდრის გულია.

რჯული იმიტომ ახსენა მგოსანმა, რომ უდაბურ ტარიბანაზე უძველესი ქართული მარანი იპოვეს. ტარიბანა მართლაც სიმდიდრის გული გამოდგა. ამჟამად კოლმეურნეობის ზვრებს იქ 241 ჰექტარი უჭირავს. მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს, როცა საქართველოს ვენახები უამინდობამ დიღად დააზიანა, აქ გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერის ნაცვლად სა. შუალოდ 103 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს და 255 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 1940 ტონა ყურძენი მიჰყიდეს. კოლმეურნეობამ 814 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

ცალკეულ მევენახეებს უფრო მეტი მოსავალი მოჰყავთ. მოხუცი მეზვრეები ალექსი გოგაური და გიორგი სულაშვილი გაბიროვნებული თითო ჰექტარიდან **120-130 და მეტ ცენტნერ** ყურძენს ღებულობენ. ყურძნის მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ორივე მევენახემ შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა.

— წინა წლებში მძიმე ზამთარი დადგა, ამბობს სამოცდაათი წლის მევენახე გიორგი სულაშვილი, — ტარიბანაში ვაზი მოყინა და ჩემი ორი ჰექტარი ვენახიც ზედ მიაყოლა. რას იზამ, ტირილს ხომ არ დავიწყებდი, საქმე იყო საჭირო, ვაზს შველა უნდოდა. მოვუთხარე ძირები, ვნახე, რომ ვაზის ყლორტი მხოლოდ სანამყენეს ზევით იყო მოყინული. შველა შეიძლება, ღმერთმა სულ არ გაგვწირა-მეთქი, ვიფიქრე და თავმჯდომარეს მოველაპარაკე. მითხრა, გიორგი ძია, თუ ატყობ, რომ საქმე არ წახდება, შენი ნება იყოს, როგორც საჭიროდ დაინახო, ისე მოიქეციო. ავდექი და თვითეულ ვაზს სანამყენეს ზევით მთლიანად მოვაჭერ შტამბი. გაზაფხულზე ძლიერი ყლორტები ამოიყარა. ვიფიქრე, ამას ახლა წყლის მიშვება უნდა-მეთქი, მაგრამ სად არის — ტარიბანაზე იმდენი წყალი არსად მოწანწკარებს, რომ ჩიტმა ნისკარტი დაისველოს, ამოტელა ვენახს რა ეყოფა-მეთქი.

ვიფიქრე, ვიფიქრე და გამახსენდა, რომ ვენახის თავში ღელე ჩამოდის, წვიმის დროს ღვარით ივსება. ავდექ და ჩემს მეზობლებთან ერთად იმ ღელეს ყელი შევუკარით. წყალი დავაგუბეთ და ორჯერ იმით მოვრწყეთ ვენახი. გარჯამ ამაოდ არ ჩამიარა. შარშან ჩემს ორ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 104 ცენტნერის ნაცვლად 340 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანე.

— ეგ კარგია, მაგრამ ორ ჰექტარ ვენახს მარტო როგორ უვლიდი?

— მარტოო, მარტო რათა ვარ, კაცო! მიწას ტრაქტორითა ვხნავთ, ვაზს ტრაქტორის აპარატით ვწამლავთ და რაღა მარტო ვარ. ერთი ეს არის, რომ ჯერ ვაზის სასხლავი აპარატი ვერ გამოიგონეს, თორემ...

ნეტავი ერთი სარწყავი წყალი მისცა ტარიბანას! ეს ვენახები წელიწადში არა ნაკლებ 2 მილიონი მანეთის შემოსავალს მოგვცემს.

ამაზე ჩვენ პარტიულ კრებაზეც ვიმსჯელეთ და ოქმის ამონაწერი თბილისს გავუგზავნეთ; ამბობენ, პროექტიც შედგენილია, წყალსაცავის ასაგებად, საიდანაც 2060 ჰექტარი უნდა მოირწყას. ნეტავ ჩქარა დამთავრდეს ეს საქმე, იცით, რამდენს ჰკარგავს ცალკე სახელმწიფო და ცალკე კოლმეურნეობა. რაც იმ სარწყავის მოწყობაზე დაიხარჯება, ტარიბანას ვენახები 2-3 წელიწადში აანაზღაურებენო — დაასკვნა ბერიკაცმა.

საინტერესოა რას ფიქრობენ ამაზე წყალთა მეურნეობის სამინისტროში, როდის შეუდგებიან საქმეს?

იანვრის ნახევარია. სოფელი გამარჯვება თოვლის თეთრ საბანში გახვეულა და მიწუნარებულა. სოფლის ღონიერი სუნთქვა მარტო სატრაქტორო პარკში, ავტომობილების გარაჟსა და კოლმეურნეობის კანტორაში იგრძნობა. აქ კი გვიან ღამემდე არ წყდება მუშაობა. საანგარიშო მართლაც ბევრი აქვთ. აქაურმა კოლმეურნეებმა მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადს სანაქებოდ იშრომეს. აი, სულ ორიოდე ციფრი: 1962 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 488.781 მანეთს არ აღემატებოდა, შარშან მან 2.801.000 მანეთს მიაღწია; იმ წელიწადს, როცა ვანო ფიროსმანაშვილი თავმჯდომარედ აირჩიეს, არცერთი მანეთი წმინდა შემოსავალი არ ჰქონდათ და არც სარეზერვო ფონდი გააჩნდათ, შარშან წმინდა შემოსავალმა 103.300 მანეთს მიაღწია, სარეზერვო ფონდში კი 660.000 მანეთი შეიტანეს. განუუოფელი ფონდიც 810.624 მანეთიდან 4.280.000 მანეთამდე გაიზარდა.

კანტორაში რომ მივედით, გვითხრეს, თავმჯდომარე კაბინეტში არ გახლავთ, დილაუთენია ფერმებში წავიდა, მძიმე ზამთარია და იქნებ მეცხოველეებს გაუჭირდათო.

— ისე კი ბინები საიმედო გვაქვს, — ამბობს ბუღალტერი გიორგი ჭავახიშვილი, — არც პირუტყვის საკვები გვაკლია, მაგრამ ზამთარი მაინც ზამთარია... ეგეც არ იყოს, ხუთწლედის ამ მეოთხე განმსაზღვრელი წლის წარმატებით დამთავრებისათვის მეცხოველეთა შორის ახლა იშლება სოციალისტური შეჯიბრება და ჩვენი თავმჯდომარე ისეთი მოუსვენარი კაცია, რომ ყველა საქმეშიც თვითონ თუ არ ჩაიხედა, გული არ გაუძლებს.

თავმჯდომარის მოლოდინში დრო უქმად არ დავკარგეთ. სატრაქტორო სახელოსნო დავათვალიერეთ. გარეთ თოვლი მუხლამდე აუგია, ბერიკაცებს ხის ნიჩბები უჭირავთ და ჭიშკრის მისასვლელებში თოვლს ხვეტავენ.

— ტიტე, ბიჭო, — შეეხმიანა მოხუცი ბასილი თანატოლს, — ხედავ რა მადლიანად ბარდნის? გუშინ ჩემმა შვილიშვილმა, პატარა თამრიკომ იცი რა მითხრა? პაპილო, გაიხედე, რა კოკისპირულად თოვსო. გოგო, მასეთი ქართუ-

ლი ვინ გასწავლა-მეთქი.—ბერიკაცი გულიანად იცინის.

— შოთები ჩამოდისო უნდა გეთქვა, ბასილავ, შოთები. ვაი, დედასა, რომ მე და შენ გუთნისდედობა აღარ შეგვიძლია, ჭამა კი გვინდა... ჰოდა, აგერ მოდის გამტკიცული შოთები... მაგრამ ხელი თუ არ მიაშველე, ისე ჩადნება მიწაში, ვერ გაიგებ.

— გახსოვს, ტიტე, წინათ ამნაირი დიდთოვლობა ღარიბ კაცს რათ უხაროდა? მდიდარს ცხვარი გაუწყდება და ჭალიშვილს მე მომათხოვებსო, თერანას ბიჭს ამაზე ლექსიცა ჰქონდა გამოთქმული.

— არა, ეგ ლექსი ილოსი არ იყო. ერთი ფშაველი მეცხვარე იყო, ჭყოპიშვილის მოჯამაგირე, შირაქში ეყენათ ცხვარი, თურმე ხაზეინის გოგო ჩავარდნოდა გულში და იმედი კი გადაწურული ჰქონდა. დიდი თოვლი რომ დაიწყო, მაშინ ეთქვა: თოვლო ითოვლე, ითოვლე, მოდი ცხვარბევრას კარსაო, ნეტარ არც ახლა მომცემსა ეს ცხვარბევრაი ქალსაო. ილოს სხვები ჰქონდა, მაგაზე უკეთესები — არ გახსოვს — ტიალო ბორჯომის წყალო, ავადმყოფ განუყრელოო, სალამი უმხურვალესი სამშობლო საქართველოო.

ბერიკაცები ისევ წარსულში დაბორიალობენ, შიგნით სახელოსნოში კი მკლავღონიერ ჭაბუკებს ხიდურა ამწეზე ჯაჭვებით ტრაქტორის ძრავა ჩამოუკიდებიათ და გამოცდილი ჭირურგებივით მის შიგნეულს საჭირო ოპერაციას უკეთებენ. სკალპელის ნაცვლად ხელში დიდი უხეში გასაღებები უჭირავთ, მაგრამ ძრავას სატკივარს უმალ უპოვნიან ხოლმე. და საიმედოდ კურნავენ.

— დახეთ, ბიჭებო, კიბო ჰქონია ამ დასაღუპავს, — იძახის ერთი შავტუხა მექანიზატორი და ტრაქტორის ძრავიდან დაწუვეტილ-დაჟანგულ ელექტროლვედსადენებს აძრობს.

— ჰოო, კიბოა, მაგრამ კეთილთვისებიანი. სასიკვდილო პირი არ უჩანს, — დინჯად პასუხობს მეორე ჭირურგი.

მესამემ ტრაქტორის თვლების მუხლუხა საფარი ხელახლა ააწყო, სწრაფად მოარგო თვლებს. და ბრიგადირს გასძახა:

— ეი, ძმობილო, ჩემი ნიკორა-კამეჩი მზად არის, ნება მომეცი გამსვლელ ზღუდეზე დავაყენო.

ბრიგადირმა უსიტყვოდ დაუქნია თავი და ტრაქტორისტმა ძრავა აანთო.

სახელოსნოდან ყოველდღე გამოდის შეკეთებული ტრაქტორი, კომბაინი, სათესი მანქანა, გუთანი თუ კულტივატორი.

აქაური მექანიზატორები მხურვალედ გამოეხმაურნენ საგარეჯოელ თანამოძმეთა მოწოდებას და საქვეყნოდ დადეს პირობა, რომ კოლმეურნეობის მთელ ტექნიკას პირველი მარტისათვის საიმედოდ შეაკეთებენ და გაზაფხულს მზად დახვდებიან.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელსაც მარჯვების კოლმეურნეობის მექანიზატორებმა მართლაც სასახელოდ იშრომეს. აქაური კოლმეურნეობის თვითეულმა შრომისუნარიანმა წევრმა, თავის წილად, სახელმწიფოს თორმეტ ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი მიჰყიდა. ეს დოვლათი მათი დაუზარელი შრომისა და ტექნიკის გამართული მუშაობის შედეგია. გასულ წელს თვითეულ კაცდღეზე 20 მანეთის პროდუქცია შეიქმნა, საიდანაც 10 მანეთი კოლმეურნეს მიეცა შრომის საზღაურში, ზეგეგმური პროდუქციის წარმოებისათვის გაცემული პრემიების გარდა.

თავმჯდომარე გვიან საღამოთი დაბრუნდა.

— მძიმე ზამთარია, — გვითხრა მგზავრობით მოღლილმა თავკაცმა, — მაგრამ ფერმებში ხალხი ძალიან ცდილობს. წველადობა კლების ნაცვლად მატულობს.

— ვანო, ხუთწლედის ამ განმსაზღვრელი წლის სიახლეებზე რას გვეტყვით?

— ჩვენს ფერმებში ბევრ სიახლეს შეხვდებით. უველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენი მეცხვარე-ბრიგადირის გაიოზ ივანძის ამბავი გაგონილი გექნებათ. შარშან რაიონის მეცხვარეებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიჭირა და პირველი ჯილდოც მიიღო. ახლა ცხვარს კარვად აზამთრებს. მის ფარაში დოლი უკვე დაიწყო... წლევანდელი დოვლათის პირველი მანათობლები ის ბატკნები არიან, გაიოზის ბრიგადის სადგომში რომ დაკუნტრუშობენ.

— კიდევ რა გითხრათ, ბევრი საზრუნავი და თავსატეხი გვაქვს. ჩვენი ფერმები აღარ შეეფერებიან დღევანდელი დღის მოთხოვნილებას. მართალია, ქვითკირის ნათელი ბინები გვაქვს, მაგრამ ბევრ მათგანში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის სრული კომპლექტის გამოყენება არ ხერხდება. ეგეც არ იყოს, კაცის ინტერესს, სულიერ მოთხოვნილებას და წყურვილს თუ ანგარიში არ გავუწიეთ, ისე ვერაფერს გავხდებით. ახლა ჩვენი დროის მწყემსი მარტო თავის ჩონგურს დასჯერდება!? ჩვენი ახალგაზრდობა მასობრივად იღებს საშუალო განათლებას, დაწაფებულია კულტურას, თვალს ადევნებს ტელევიზიას, კინოსა და ჟურნალ-გაზეთებს. მას შრომის მაღალი კულტურა აქვს და სულიერ საზრდოსაც მოითხოვს. აქ კი უველაფერი რიგზე არ არის. აი, რატომ ხდება კოლმეურნეობის ფერმებში სამუშაოდ გული არ მიუწევთ ახალგაზრდებს, თუმცა მატერიალური ანაზღაურების საკითხი უკვე მოწესრიგებული გვაქვს.

— არა მარტო პურითა ერთითა... — ჩაერია საუბარში ბუღალტერი.

— სწორია, — დაუდასტურა ვანომ, განა ჩვენს ახალგაზრდობას შრომა ეზარება? განა სიყვარული არა აქვს თავისი სოფლისა? აქვს, მაგრამ აქ სულ სხვა ამბავია. როგორც სამეურნეო გეგმების შესრულებაზე ვზრუნავთ, ისევე გულით უნდა მოვეკიდოთ სულიერი კულტურის საქმესაც. უნდა გაუგო და მიუხვდე ახალგაზრდა კაცს. ის სპორტულ გართობასაც მოითხოვს და კინოფილმების ნახვასაც. არის კიდევ მეორე მხარე — ახალგაზრდამ საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა და ცხოვრების ფერხულში ჩაება, მას სურს იპოვოს გულის ტოლი და თავისი ოჯახი შექმნას. სად უნდა იპოვოს ჭეელმა ბიჭმა გულის ტოლი? სად უნდა შეუწყოს ხასიათი თავის მომავალ მეუღლეს, თუ არა შრომაში, სადაც ყოველთვის ხვდებიან ერთმეორეს, გებულობენ ერთიმეორის ზნესა და ხასიათს.

ვფიქრობთ ჩვენ ამ პრობლემაზე? ძალიან ნაკლებად. ვინ მოვატყუოთ, ჩვენი თავი? აი ასეთ ღონიერ და მდიდარ კოლმეურნეობაში გვაქვს კარგი სპორტული ბაზები? გვაქვს ფერმებში ესთეტიკური გემოვნებით მოწყობილი საცხოვრებლები, წითელი კუთხეები?

არა გვაქვს. მართალია, წინანდელთან შედარებით უკეთესი საცხოვრებელი ბინები მოვაწყეთ, მაგრამ ეს ის არ არის, რასაც დღევანდელი დღე მოითხოვს. ამის გაკეთებისათვის კი ეკონომიური სახსრები, რა თქმა უნდა, გაგვაჩნია. რატომ არ უნდა გვქონდეს ფერმები ისე მოწყობილი, რომ იქ ქალიშვილებიცა და ბიჭებიც ხალისით მიდიოდნენ, იქვე ქმნიდნენ ოჯახებსაც და გულმოდგინედ იქვე მუშაობდნენ?

კიდევ ერთი რამ: ზემომაჩხაანსაც, ჯაფარიძესაც, ჩვენც მშვენიერი კულტურის სახლები გვაქვს, თვითმოქმედი წრეების მუშაობისათვის იქ ფართო შესაძლებლობებია. ვიყენებთ ამ შესაძლებლობებს? მოამზადებენ თითო-ოროლა სკეტჩს, ეგ არის და ეგ. მერე იმ სკეტჩების ხარისხს არ იკითხავთ? რაღაც ხალტურაა, მეტი არაფერი. კაცმა რომ წინადღეს ტელევიზორით რაიკინს უყურა, ან ტარაპუნკასა და შტეპსელს, იმას ამ ხალტურით დააკმაყოფილებ? რას ფიქრობენ ჩვენი მწერლები, კარგი მინიატურა, კარგი სკეტჩი, ოჰ როგორ მოუხდებოდა ჩვენი კულტურის სახლების სცენებს, იქნებ ეს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია ვინმეს? ჩვენთვის კი ეს ძალიან საჭირო რამ არის.

ძალზე უნაყოფოა ხალხური ცეკვისა და სიმღერის თვითმოქმედი წრეების მუშაობაც. რამდენი ძველი სიმღერა იკარგება ჩვენს თვალწინ. კულტურის სახლების ხელმძღვანელები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ; ახალგაზრდობას კი ეს ძალიან დააინტერესებდა, ზოგმა იქნებ ისეთი რამ იპოვნოს ხალხის წიაღში, მარტო რაიონისთვის კი არა, რესპუბლიკისთვისაც საინტერესო გამოდგეს.

ეეხ, ძალიან შორს შევტოპეთ, ჩემო გიორგი! ეს შესავალი იცი რატომ დამჭირდა? შენ სიახლეებზე მეკითხებოდი. ჩვენ გადავწყვიტეთ ტარიბანაზე და ნიახურას ველზე ავაგოთ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ახალი კომპლექსები, გვინდა ავაგოთ ისე, რომ აქედანვე გავითვალისწინოთ კულტურული დასვენების, გართობის საქმე. ეს რთული საქმეა, ბევრ სიძნელეს ვაწყდებით, მაგრამ რაკი დავიწყეთ, საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და, ვფიქრობთ, ახლო მომავალში ჩვენი ახალგაზრდობის ვალიდან ამოვიდეთ, — დაასრულა სიტყვა ვანო ფიროსმანაშვილმა.

გამარჯვების კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ორი შვილი ჰყავს — ნოდარი და მარინე. ნოდარმა წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და საბჭოთა არმიის რიგებში წავიდა თავისი მხედრული ვალის მოსახდელად. მან მალე დაიმსახურა მეთაურთა ყურადღება. აი რა წერილი მიიღეს მშობლებმა პოლკიდან:

„ნოდარ ივანეს ძე ფიროსმანაშვილი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, დისციპლინირებული მებრძოლია. მადლობას გიძღვნით საუკეთესო შვილის აღზრდისათვის“.

ახლა, როცა ვანო ფიროსმანაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, კვლავ მოვიდა პოლკის მეთაურთა დეპეშა. „ძვირფასო ივანე ალექსანდრეს ძევ, იმ ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა, სადაც თქვენი შვილი ნოდარი წარმატებით იხდის სამშობლოს წინაშე თავის მხედრულ მოვალეობას, მხურვალედ გილოცავს საბჭოთა სამშობლოს მაღალ ჯილდოს. გისურვებთ ახალ წარმატებას შრომასა და პირად ცხოვრებაში“.

სოციალისტური შრომის ახალ გმირს გულმხურვალედ მიულოცეს მეგობრებმა, ნათესავებმა, რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელებმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ბაღნარი პეტრას ციხესთან

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე სამართლიანად გაგვაკრიტიკეს იმის გამო, რომ ციტრუსების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებაში ძალიან მცირეა საზოგადოებრივი სექტორის ხვედრითი წონა.

საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი სექტორის ციტრუსოვანთა ფართობი რესპუბლიკის ყველა პლანტაციის 60-მდე პროცენტს შეადგენს. ხოლო მოსავლის წილად მოდის რესპუბლიკაში დამზადებული ციტრუსოვანთა ნაყოფის მხოლოდ 30 პროცენტი. ამ ფაქტიდან აშკარად ჩანს, რომ ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ციტრუსოვანთა ბაღების მოვლა-პატრონობას, აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსურ გატარებას, მეურნეობის მართვას მეცნიერულ საფუძვლებზე. მეციტრუსეობის მეურნეობის ყველა სექტორი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების მხრივ ერთნაირ პირობებშია. მეცნიერთა, სპეციალისტთა ძალების, ტექნიკის, სასუქებისა და შემწეობის ნივთიერებების გამოყენების მხრივ კი კოლოსალური უპირატესობა საზოგადოებრივ სექტორს აქვს. მაშ, რატომ ვიღებთ შედარებით მცირე მოსავალს? რეზერვები კი ჩვენ აურაცხელი გვაქვს — მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება და დანერგვა, სრულყოფილი სოციალისტური შეჯიბრება, მისი ურყევი პრინციპების გამოყენებით, ბაღების აღდგენა და უკეთესი მოვლა, ყველგან და ყველაფერში მომჭირნე და ჭკვიანი მეურნის ირგანიზატორული უნარის გამოჩენა, — ყველა ეს ბერკეტი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს. ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორია მეთოდე მინაშვილი, არც ერთ სხვა მეურნეობასთან პრივილეგირებული არ არის. ისეთივე ნიადაგი, ისეთივე ჰავა, აგრეთვე ისეთივე სხვა პირობები, როგორც მეზობელ მეურნეობებს, მაგრამ სხვასთან შედარებით ერთი დიდი პრივილეგია აქვს — მაღალი მოსავალი, ციტრუსოვანთა ყოველ ჰექტარზე — 10 ტონა ნაყოფი და ეს არა ერთი ან ორი წლის მანძილზე, არამედ სისტემატურად, სტაბილურად. სხვა მეურნეობების ხელმძღვანელები, სადაც ჰექტარზე საშუალოდ 2-3 ტონა მოსავალს იღებენ, მიდით ამხანაგ მინაშვილთან, ისწავლეთ სოციალისტური მეურნეობის გაძღოლა, გადაიღეთ ციხისძირელთა შრომის მეთოდები — აი, თქვენი გამოუყენებელი რეზერვები, რომლის ამოქმედებას საერთო წინსვლა მოპყვება“.

ეს მეტად დამაფიქრებელი სიტყვები ჩვენ ამოვიწერეთ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ალექსანდრე თხილაიშვილის წერილიდან „ჩვენი წინსვლის მძლავრი ბერკეტი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე.

ახლა ამ მეურნეობის შესახებ მინდა ვესაუბრო მკითხველს.

ციხისძირის აღმართს შეუყვები თუ არა, მაშინვე თვალში გეცემა სიმწვანეში ჩაფლული ციხის ნანგრევები. ეს ძველთაძველი პეტრას ციხეა. იგი მაღლიდან გადასცქერის ზ ას უკიდეგანო სივრცეს. საქართველოს ისტორიის შორეული ამბების მიწმეა ეს ციხე, დროთა განმავლობაში ნანგრევებად ქცეულა და ახლა შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოსულ დამსვენებელთა და ტურისტთა განუწყვეტელი ნაკადი მიედინება ყოველდღიურად მისკენ. მერე და, რა ზღაპრული სახილველია აქედან მღელვარე

ზღვა, ან მზის ჩასვლა. გაოგნებული უცქერი, წითელი მზის დისკო როგორ ნელ-ნელა ეშვება ჰორიზონტზე ზღვაში, მართლა გგონია, რომ მზე ზღვაში იძირება და თითქოს გესმის კიდეც გავარვარებული დისკოს შიშინი.

პეტრას ციხე... იქნებ იმიტომაც დაერქვა ამ სოფელს ციხისძირი, ამ ციხის ახლოს რომ არის გაშენებული. მართლაც რომ დიდებული სააგარაკო ადგილი ამოურჩევიათ მეფის რუსეთის გადამდგარ გენერლებს, ამოურჩევიათ და დასახლებულან კიდეც. ჩინებული სასახლეები აუშენებიათ თავიანთთვის თუ საყვარლებისათვის, ციტრუსების ნერგები შემოუტანიათ უცხოეთიდან და თავიანთ ეზოებში დაურგავთ. სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა კი სანამ პირიდან სიღრმეში, მთებისაკენ გადანაცვლებულა; ახლა რომ საბჭოთა მეურნეობას უჭირავს, ამ ფართობზე 33 ჰექტარი ოცდათერთმეტ ამდაგვარ ვენერალსა და ჩინოვნიკს ჰქონდა მითვისებული.

რევოლუციამ დააფრთხო ისინი და ბევრი მათგანი საზღვარგარეთ გაიქცა. მათი სასახლეები მშრომელთა დასასვენებელ სახლებად გადაკეთდა და ახლა, წლის რომელ დროსაც არ უნდა ნახოთ ეს სასახლეები, იქ საბჭოთა კავშირის ყველა მხრიდან ჩამოსული საბჭოთა მშრომელები შეგხვდებათ. ისვენებენ ისინი ამ სიმწვანით ავსებულ ხეობებსა და ზღვის ნაპირას. ისინი ათასობით არიან და არც კი ცდილობენ იმის გახსენებას, რომ ამ ზღაპრულ სამყოფელში ორმოცდაათიოდე წლის წინათ მხოლოდ ოცდათერთმეტი მეფის გენერალი და მოხელე ნებივრობდა.

მთავარ მაგისტრალს მივყვებით მე და ჩემი მეგობარი პოეტი ჯემალ ქათამაძე, რომელიც აქაურია, ციხისძირელია, აქ დაიბადა და დავაჟკაცდა, აქ ცხოვრობს ახლაც; ბევრი ლექსი და ნარკვევი დაუწერია სახელოვან თანასოფლელებზე. ახლა მეურნეობის თავკაცებისაკენ მიმიძღვება და გატაცებით მესაუბრება მათ შესახებ.

უცებ ჯემალი მეუბნება:

— ახლა ერთ კაი კაცს გაგაცნობ.

დაწინაურდა და გზის კიდეზე ლამაზად გაკეთებულ ბამბუკის ფანჩატურთან შეჩერდა. ფანჩატურში საკმაოდ ჭაღარამორეული კაცი იჯდა და გაშლილ გაზეთ „კომუნისტს“ ჩასცქეროდა.

— გამარჯობათ, ბატონო გერმანე! — გასძახა მას ჯემალმა და ფანჩატურში შევიდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

ამ დროს მეც მივუახლოვდი ფანჩატურს. ჯემალმა ჩემი თავი გააცნო მას და მერე მე მომმართა:

— გერმანე ჩიენი მეურნეობის ცოცხალი მატიანეა. თითქმის მეურნეობის დაარსებიდან, ცხრაასოცდაორი წლიდან მუშაობს აქ და მრავალი სახელოვანი საქმე გაუკეთებია. პენსიაში გახლავთ ახლა, მაგრამ მაინც არ ისვენებს, რამდენიმე თვეა ხელისგულზე რაღაც გაუჭედა, თოხსა და ცელს ვეღარ კიდებს ხელს, მკურნალობს და მოუთმენლად ელის, როდის მოურჩება.

გერმანე წამოდგა, ხელი ჩამომართვა, გაიღიმა და ჯემალს უთხრა:

— მომირჩება, აბა რა იქნება. ახლაც ავტობუსს ველოდები, ქობულეთში მივდივარ ექიმთან. მერე კი... ხომ იცი, ჯემალ, ბებერი ხარის რქებიო... ჰოდა მშვიდობა იყოს ნეტავი, და თოხსა და ცულს ჯერ კიდევ მარჯვედ მოვიქნევ!

გერმანე კიწმარიშვილი ჩვიდმეტი წლის უმაწვილი ყოფილა, როცა ჩოხატაურის რაიონის მშობლიური სოფელი გუთური მიუტოვებია და აქ, ციხისძირის მეურნეობაში ჩამოსულა, მეურნეობა ერთი წლის ჩამოყალიბებულიც არ იყო. მაშინ მეურნეობაში ოცდათორმეტი კაცი მუშაობდა მხოლოდ. ერთ ხის სახლში ცხოვრობდა ყველა ერთად და, რა თქმა უნდა, ძალიან უჭირდათ. აქ მაშინ საურმე გზა გადიოდა, დღიური გამომუშავება ცხრამეტი კაპიკი ყოფილა. მაგრამ გული არ გასტეხია ჭაბუკს. ციტრუსების გაშენებას გაუტაცნია. შეუყვარებია ეს ოქროს ნაყოფიანი ხეები. პირველი ნერგები რომ ჩაუყრია, მათ მოვლა-გახარებას ისე გაუტაცნია, ყოველდღიური გაჭირვება არაფრად მიუჩნევია. ერთხელ თურმე თვრამეტ თვეს ხელფასი არ მიუღიათ. ნისიად აჭმევდნენ სასადილოში. მაგრამ თავისივე დარგული ხეები ისე შეჰყვარებია, ვეღარ მიუტოვებია. მერე დაოჯახდა და დასახლდა კიდეც. როგორც მოწინავე მუშა, ბრიგადირადაც დანიშნეს. 1928-29 წლებში მეციტრუსეთა საღამოს კურსებიც დაამთავრა.

ასე დამკვიდრდა თავისი ხელით დარგული და გახარებული მანდარინის ხეების ახლოს გერმანე კიწმარიშვილი. ცხარაასორმოცდაერთ წელს ომში წავიდა. საავიაციო ნაწილში მსახურობდა, აეროდრომებზე თვითმფრინავებს ბომბებით ტვირთავდა. აურაცხელი ჭირ-ვარამი შეხვედრია და ასე მიუღწევია ბერლინამდე. 1945 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა ციხისძირში და მას მერე სულ თავისი ხელით გაშენებულ ბაღნარს დასტრიალებს თავს.

— ყველა სათითაოდ მახსოვს, სად რომელი ნერგი დავრგე, — ამბობს გერმანე, — ახლა ისინი დიდი ხეებია. მათი ოქრო ნაყოფი, ალბათ, ბევრი ქვეყნის მშრომელებმა იგემეს. ახლა მათთან როცა მივალ, თითქოს ისინიც მცნობენ, შეირხევიან, გამესაუბრებიან.

ფანჩატურთან ავტობუსი გაჩერდა. გერმანე წამოდგა, მოიბოდიშა, ქობულეთში ექიმი მელოდება, ჯემალ, საღამოს შინ მესტუმრეთ, უფრო გულიანად ვისაუბრებთო, გვითხრა, ხე-

ლი ჩამოგვართვა და ხმელ-ხმელი, მაღალი ჯერ კიდევ სიბერეშეუმჩნეველი კაცი ავტობუსში შევიდა.

გზიდან გადავუხვიეთ და მივადექით მეურნეობის ფართო და მაღალ კარიბჭეს, რომლის თაღზე მსხვილი ასოებით წერია: „ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა“.

ეზოში საშუალო ტანის, ხმელი, შავგვრემანი კაცი შემოგვხვდა. ჯემალმა გამაცნო მეურნეობის მთავარი აგრონომი თემურ ნოღაიდელი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს ეტყობა ჭაღარა ნაადრევად შეპარვია. ელვარე, მაგრამ ოდნავ ნაღვლიანი თვალები შემომანათა და ღიმილით ხელი ჩამომართვა. დირექტორი მოვიკითხეთ. ბათუმშია და მალე გეახლებათო, გვითხრა აგრონომმა და იქვე კანტორის გვერდით, ბამბუკის ფანჩატურში შევეფარეთ მზეს.

— მწერლის სტუმრობა ჩვენთვის დიდი პატივია, — პირიდან მოუშორებელი ღიმილით თქვა აგრონომმა, — ტრაბახად არ ჩამოგვართვათ და ჩვენს მეურნეობაში მწერალს ბევრი საინტერესო ამბის გაგება შეუძლია.

— ეშვი არ მეპარება, — ვთქვი მე, — ამიტომაც დაიძრა ქართველი მწერლების დიდი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებისაკენ. მწერლებმაც უნდა თქვან თავიანთი სიტყვა. მოგეხსენებათ, ჩვენმა პარტიამ ამ ბოლო წლებში მეტად საინტერესო ღონისძიება დასახა. ამის კვალობაზე საქართველოს მწერალთა კავშირმა ორმოცამდე ცნობილი მწერალი მიავლინა ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწინავე ადამიანებზე ნარკვევების, ლექსების, პოემებისა და რომანების დასაწერად. მე თქვენს რაიონს ვესტუმრე. რამდენიმე დღე, რაიკომის რჩევით, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გახლდით. აგერ, თქვენთანაც შემოვიარე და იმედი მაქვს, ამ ორი მეურნეობის შესახებ რამდენიმე თბილი სიტყვა ვთქვა ჩემს მომავალ წიგნში.

და თემურიც მაცნობს აქაურობას.

— ჩვენი წარმატებები მაინც იქიდან იწყება, როცა მეურნეობის დირექტორად მეთოდე მინაშვილი გამოგზავნეს, — ამბობს თემური, — მე მაშინ ცეცხლაურის ჩაის მეურნეობაში ვმუშაობდი მთავარ აგრონომად. მის მოსვლამდეც მანდარინის პლანტაციები საკმაო ფართობზე იყო გაშენებული, მაგრამ ოქროს ნაყოფი უღმერთოდ ნიავდებოდა. ახალმა დირექტორმა, უპირველეს ყოვლისა, პლანტაციების ფართობები შემოღობა. ეს არც ისე იოლი იყო, მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ, როცა საბოლოოდ დაასრულა ეს საქმე, იმავე შემოდგომაზე მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა მანამდე არნახული მოსავალი.

მერე მთავარმა აგრონომმა შემოგვთავაზა, სანამ დირექტორი გეახლებოდეთ, თუ ისურვებთ, წავიდეთ, პლანტაციები დავათვალიეროთო. ჩვენ სიამოვნებით გავყევით მასპინძელს.

თემურ ნოღაიდელი ახლა კარგ ხასიათზეა. ორმოცდასამი წელი არც ისე დიდი ხანია კაცისთვის, მაგრამ თემურს საგრძნობლად დამჩნევია. ჭაღარა ძალუმად მორევია; 1949 წელს მან მწვანე კონცხის სასოფლო ტექნიკუმი დაამთავრა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა ბრიგადირად. მომდევნო წელს ჯარში გაიწვიეს, ოთხ წელს იმსახურა საზღვაო ფლოტში. 1959 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და მაშინვე დაიწყო მუშაობა ჭობულეთში, ფოტო-პათოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალში. მერე კვლავ ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა, ჯერ აგრონომად, მერე მთავარ აგრონომად. 1968 წლიდან ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომია.

ახლა კარგ ხასიათზეა თემური. შესამჩნევად მოეძალა ღიმილი. მართალია, მეურნეობაში რამდენიმე წელია საქმე სულ წინ-წინ მიდის და აქ თემურის წვლილიც მცირე როდია. მაგრამ წლების განმავლობაში ამ საერთო სიხარულს უმცროსი შვილის, ზურაბის მძიმე ხვედრი უჩრდილავდა: დაბადებიდან გულის მანკი დაჰყვა ბავშვს. რა არ იღონა თემურმა, რა ექიმები არ მოინახულა, მაგრამ ბავშვს ვერაფერი უშველა. ხერხემალი გაეღუნა ბავშვს, ოცდახუთ კილოზე მეტი ვერა და ვერ მოიმატა. სახსრები, მუხლისთავები დაუსივდა, ცოტას რომ გაირბენდა, მაშინვე დაწვებოდა, ტუჩები გაუშავდებოდა, ძლივს სუნთქავდა. იმედი გადაეწურათ თემურსა და მის მეუღლეს. უყურებდნენ, როგორ ეცლებოდათ ბავშვი ხელიდან და ვერაფერს შველოდნენ.

ამ დღეში რომ იყვნენ, შარშანწინ თემურის ქვისლმა ერთი ნოვოსიბირსკელი კაცი, ევგენი მეშალკინი მოუყვანა სტუმრად. ევგენი მეშალკინს, ბავშვი რომ ამ დღეში დაუნახავს, უკითხავს, რა სჭირსო. ევგენი ჭობულეთში ნოვოსიბირსკიდან ჩამოსულიყო დასასვენებლად.

როგორ გაუხარდა თემურს, როცა გაიგო, რომ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მეშალკინს თურმე გულის მანკის ბევრი ოპერაცია გაუკეთებია და ბევრი ბავშვი უხსნია ამ საშინელი სენისაგან.

— ჩამომიყვანე ბავშვი ნოვოსიბირსკშიო, — უთქვამს მას და, მართლაც, ერთი თვის შემდეგ თემურმა ბავშვი ნოვოსიბირსკში ჩაიყვანა. ევგენი მეშალკინმა ბავშვი თავის კლინიკაში გულდასმით შეისწავლა, და რაკი მანკი მძიმე სტადიაში იყო, იმხანად ოპერაცია არ გაუკეთებია.

რამდენიმე თვის შემდეგ თემურს წერილი მიუღია, ევგენი მეშალკინი სწერდა, პიატი-

გორსკში ვარ მიწვეული, ბავშვი ჩამომიყვანეთო. იმავე სასტუმროში დაუბინავებია პროფესორს თემური და მისი მეუღლე, სადაც თვითონ ცხოვრობდა. რამდენიმე დღე ანალიზებს მოანდომა და მერე მშობლებს განუცხადა, ხვალ ოპერაცია უნდა გავაკეთოო. დაზაფრულან მშობლები, პროფესორს იმ დღეებში ექვსი ოპერაცია გაუკეთებია და ერთი ბავშვი გარდაცვლია.

ბნელი ღამე არ სძინებია თემურს. რა თქმა უნდა, ოპერაცია საჭიროა, შვილი ხელიდან ეცლება, ვინ იცის, ეგები გაუმართლოს, მერედ. ეს ნოვოსიბირსკელი პროფესორი, ევგენი მეშალკინი ისე გაუშინაურდა, ისეთი ალალი ადამიანური გული გაუხსნა, ძმასავით მიენდო.

მიენდო და გაუმართლდა კიდეც.

ადრე სიკვდილის პირზე მისული ბავშვი ახლა ჩინებულად გრძნობს თავს, დარბის, თამაშობს; მეზობლებსა და ნათესავებს არც კი სჯერათ, რომ ეს ის ზურიკოა, რომელიც დაბადებიდან აგრე იტანჯებოდა თანდაყოლილი გულის მანკით.

თემურ ნოღაიდელი კი წელში გაიმართა, მის თვალებში ღიმილს სითბო და ლაზათი შეემატა. თავისი ოჯახის ცხოვრება პროფესორ ევგენი მეშალკინის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ახლა ნოვოსიბირსკელი პროფესორისა და თემურის ოჯახებს შორის ნამდვილი ნათესაური, ძმური და მოყვრული ურთიერთობაა.

ახლა კარგ ხასიათზეა თემური. მეურნეობის მთავარი აგრონომი ძალღონეს არ იშურებს, დღედაღამ ციტრუსების პლანტაციებს დასტრიალებს თავს.

ცოტა ხნის შემდეგ შევედით მანდარინის პლანტაციაში. გულდაგულ გამოთოხნილ ბაღს მივადექით; აქ ზოგი თოხნიდა და ზოგს მანდარინის ხეებთან სასუქები შეეჭედა.

ბრიგადირი თეიმურაზ მოწყობილი შემოგვეგება. მან გვითხრა:

— პირველი თოხნა ჩვენ დროზე ადრე დავამთავრეთ. ახლა მეორე თოხნა მიმდინარეობს.

შევედით ბაღში. აქ ყოველ ძირ ხესთან წლის განმავლობაში ოცჯერ მაინც უნდა მიხვიდე, ნიადაგი სამჯერ უნდა გამოთოხნო და გაწმინდო, ნარგავები ოთხჯერ, ხანდახან ხუთჯერაც უნდა შეწამლო.

ამ საუბარში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: სასუქი ყველა ხის ძირში არ იყო მოყრილი.

— ზოგი ხე არ არის განვითარებული ისე, როგორც საჭიროა, — გვიხსნის ბრიგადირი, — ამიტომ ასეთ ხეებს მეტ სასუქს ვაძლევთ. რა თქმა უნდა, ეს სასუქი კარგად განვითარებულ ხეებსაც არ აწყენთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთ. ამან გამოიწვია ის, რომ ნაკლებგანვითარებული ხეები გაუთანაბრდნენ კარგად განვითარებულ ხეებს. სასუქი კი არც ისე ბევრი გვაქვს, რომ გულუხვად გამოვიყენოთ.

ბრიგადირს საუბარში მთავარი აგრონომი ჩაერია:

— მზესუმზირას გადამუშავების შემდეგ დარჩენილი ნაცარი საუკეთესო სასუქია. იგი ძალიან მაგნიუმით. ამგვარი ნაცარი უამრავია რუსეთის სხვადასხვა რაიონში და იქ ის სრულიად გამოუყენებელია. ამას ყურადღება მიაქცია ჩვენმა დირექტორმა. ამგვარ ადგილებში ვეგზავნით ჩვენს მუშაკებს და ნაცარი ჩამოგვაქვს. მაგრამ საკმაო რაოდენობით ვერ ვახერხებთ ჩამოტანას. დირექტორმა დასწერა კიდეც ამის შესახებ, საჭიროა ამგვარი სასუქის ცენტრალიზებული წესით დამზადებაო. აქვე, ოჩხამურში, ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ტუნგოს გადამმუშავებელი ქარხანაა. გადამუშავებული ტუნგოს ნარჩენებს უქმად ყრიდნენ. ჩვენმა დირექტორმა ამასაც მიაქცია ყურადღება. ეს ნარჩენები აღმოჩნდა ციტრუსებისათვის საუკეთესო ორგანიული სასუქი. მაშინვე დაიწყო მისი შეზიდვა ჩვენს პლანტაციებში. საუკეთესო შედეგი მივიღეთ. მერე სხვა მეურნეობებმაც გაიგეს ეს, მიაცხრნენ ტუნგოს ნარჩენებს, მაგრამ უველასათვის საკმარისი არ არის ეს ნარჩენები.

ამ საუბარში ერთი დაბალი ტანის, მზით დამწვარ მთოხნელთან შევეჯახერა მთავარმა აგრონომმა. ეს ჩვენი საუკეთესო მუშა ვლადიმერ გიორგაძე გახლავთო, გაგაცნოთ ის თემურმა. ვლადიმერმა თოხნა მიატოვა და მოგვესალმა.

— ვლადიმერ, გვიამბეთ რამე თქვენს შესახებ, — ვთხოვე მე მას.

ვლადიმერმა ენა ძლივს ამოიდგა:

— აბა, რა გიამბოთ. თვრამეტი წლის ყმაწვილი ვიყავი ვანის რაიონის სოფელ ყუმერიდან აქ რომ ჩამოვედი. მომეწონა აქაურობა, მეურნეობა და მას მერე, აგერ ოც წელზე მეტია, ვმუშაობ აქ. 1955 წელს ჯარში გამიწვიეს, იქ უკრაინელი გოგონა ეკატერინე ჩერკოვა გავიცანი, მომეწონა, დემობილიზაციის მერე თან წამოვიყვანე და ვცხოვრობთ მას მერე ერთად. შვილები გავიჩინეთ. ეკატერინეც მეურნეობაში მუშაობს, ჩაისა და ციტრუსების მრიცხველია. მუშაობაში ჯერ თავი არ შემირცხვენია, არც აწი შევირცხვენ.

—გაგიმარჯოს! — მოგვეგება ამ დროს.

მეურნეობის დირექტორი, მეთოდე მინაშვილი მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა. ჩვენ ერთმანეთი გავეცანეთ. და ეს ხანშიშესული, მაგრამ ძალმსხვილი, ახოვანი და ჯერ კიდევ ჯან-ღონით ალსავსე კაცი ვლადიმერს მიუბრუნდა:

— ვლადიმერ, სარეველა ბალახი ხომ არ გაეპარა სადმე შენს პირმომაბულ თოხს?

— მეთოდე ბატონო, ამ თოხით სარეველა ბა-

ლახების გამოთხხნა როგორც შემიძლია, ისე ზოგ-ზოგი სარეველა-კაკუნების ამოძირკვა რომ შემეძლოს, აი, კაცი მაშინ ვიქნებოდი.

— შენ ოღონდ პლანტაციებში ნუ გაახარებ სარეველას და მაგ კაკუნებს, ხომ ხედავ, როგორ შეუტია ჩვენმა მთავრობამ. შენნაირმა მშრომელმა კაცმა რომ იხაროს, იმიტომ შეუტიეს მუქთახორებს.

ახლა ჯემალს მიმართა დირექტორმა:

— გუშინ მაინც გაგეფრთხილებიე, ჯემალ, ასეთი სტუმარი თუ მოგყავდა ჩვენთან.

პლანტაციიდან გამოვედით და მეურნეობის კანტორისაკენ გავუყევით გზას.

— ალბათ ძალიან გაგიჭირდათ ამოდენა პლანტაციების შემოღობვა? — ვკითხე დირექტორს.

— რა თქმა უნდა, იოლი არ იყო. მაგრამ ხალხს თუ კარგად აუხსენი ყველაფერი, მიგიხვდება. აქაც ასე მოხდა.

* * *

მეთოდე მინაშვილი სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკია. 1935 წლის მერე მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. სხვადასხვა დროს იყო ალამბრისა და კვირიკეს ახლად დაარსებული საბჭოთა მეურნეობების დირექტორი. ამ მეურნეობებში ციტრუსებისა და ჩაის პირველი ნერგების გაშენება მის სახელთან არის დაკავშირებული. მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე. 1957 წლიდან მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობას ჩაუდგა სათავეში. 1966 წლიდან კი ციხისძირის საბჭოთა მეურნეობას ხელმძღვანელობს და, ვინ იცის, რამდენი ჯილდო, ქების სიგელი და მადლობა აქვს მიღებული. ლენინის ორდენის კავალერია. ორიოდე სიტყვით შეუძლებელია მისი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების აღწერა, მასზე საინტერესო წიგნის დაწერა შეიძლება და, ალბათ, ეს წიგნი დაიწერება.

გარდა დიდი ორგანიზატორული ნიჭისა, მას გააჩნია მეტად მომხიბლავი პირადი ადამიანური თვისებები, რომლითაც აგრე მოხიბლა მეურნეობის მშრომელები. სოფელში, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, დიდსა თუ პატარას, ყველა მოკრძალებითა და სიყვარულით ახსენებს მის სახელს. განსაკუთრებით ახალგაზრდობის დიდი ჭირაგი და აღმზრდელია მეთოდე.

ამისთანა მოუსვენარი კაცი მეორე არ გვეგულებაო, — ამბობენ სოფელში. განსაკუთრებით მოსავლის აღების დროს დირექტორს ღამეები არ სძინავს, სად არ ნახავთ მას — პლანტაციებში, გზებზე, მიმღებ პუნქტებში.

როცა ვკითხეთ, რით შესძლებით ამ წარმატებების მიღწევათქო, დირექტორმა გვიპასუხა:

— უპირველეს ყოვლისა, შრომის ორგანიზაციის მოწყობით. მაგალითად, პლანტაციებში სამანქანო გზების უქონლობით მუშას ბევრი ფიზიკური ძალა და დრო ეხარჯებოდა სასუქების შესატანად და მოკრეფილი ნაყოფის გამოსატანად. ახლა ყველა აგროგანყოფილებასა და ბრიგადებში სამანქანო გზებია შეყვანილი, მანქანები პირდაპირ მუშის სამუშაო ობიექტს მიადგება ხოლმე. ამან შეამსუბუქა მუშის შრომა და გაზარდა შრომის ნაყოფიერება. გარდა ამისა, ზედმიწევნით კარგად გვაქვს შესწავლილი პლანტაციების ნიადაგი. ამაში ძალიან გვეხმარება კარტოგრამა. გვაქვს ჩვენი ქიმიური ლაბორატორია, რომლის მეშვეობითაც ვაზუსტებთ, რომელი პლანტაციის ნიადაგს რა ქიმიური სასუქი სჭირდება. ამის მიხედვით ვაწვდით ამა თუ იმ სასუქს.

დირექტორის კაბინეტში შევედით, ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში აელელვებული შემოვიდა მეურნეობის მთავარი ეკონომისტი ალექსანდრე ვასაძე.

— რა ვქნათ, მეთოდე, ჭობულეთიდან მოვდივარ ახლა, ბევრი ვედავე ამხანაგებს, ვუმტკიცე, რომ ჩვენი მეურნეობის პირობებში ძნელია საქონლის მოვლა-პატრონობა. არა და არაო. მეცხოველეობის განვითარებას ახლა დიდი ყურადღება ექცევა და შეღავათს ვერ მოგცემთო.

— რას იზამ, ალექსანდრე, — მიმართა მას დირექტორმა, — ჩვენც გავიჭირვოთ და მოვუაროთ ჩვენს ფერმას. მართალია, მეცხოველეობა ჩვენთვის რენტაბელური არ არის, საძოვრები არა გვაქვს, საკვების დამზადება გვიჭირს, ერთი ლიტრი რძე გვიჯდება 50 კაპიკი. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენი მეურნეობის მშრომელებისთვის, ჩვენი რძე და ყველი რომ გვაქვს, ეს არ არის ურიგო.

მერე მე მომმართა დირექტორმა:

— ალექსანდრე ჩვენი მთავარი ეკონომისტია. ომში მედესანტეთა ასეულს მეთაურობდა. სახელოვანი საბრძოლო გზა აქვს გავლილი. მეურნეობაში ბევრ კარგ საქმესთან ერთი მეტად საინტერესო საქმეც გაგვიკეთა: შეადგინა ჩვენი მეურნეობის მატიანე, დაწყებული დაარსების დღიდან მეურნეობის ყველა საქმიანობა ზუსტად არის აღრიცხული ამ ნაშრომში.

დირექტორმა მაგიდაზე დაალაგა სხვადასხვა დიპლომი და ქების სიგელები. რამდენიმე წელია მეურნეობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუდმივი მონაწილეა.

— ყველაზე მეტად გაგვახარა, — ამბობს დირექტორი, — ჩეხოსლოვაკიიდან მიღებულმა ჯილდომ.

მეთოდე წამოდგა და ფანჯარასთან კედელზე მიდგმულ მაგიდასთან მიგვიყვანა. მაგიდაზე დევს მინის დიდ ყუთში მოთავსებული სამახსოვრო ჯილდო.

1972 წლის 7 ნოემბრიდან 1973 წლის 7 იანვრამდე პრაღაში მოწყობილი იყო გამოფე-

ნა „სსრკ — 50 წელი“, რომელიც დიდი პოლიტიკური მოვლენაა ჩეხოსლოვაკიის მშრომელებისათვის, — ვკითხულობთ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ციხისძირის საბჭოთა მეურნეობისადმი გამოგზავნილ მოლოცვის წერილში. ეს გამოფენა უნახავთ მილიონობით ადამიანებს. დიდი ყურადღება მიუქცევია სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას. ციხისძირის მეურნეობის ექსპონატებმა სპეციალური ჯილდო მიიღეს. ჩეხების მიერ გამოგზავნილ ამ ჯილდოს შეჰხარიან ახლა ციხისძირელი მშრომელები. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მადლობას უცხადებს მეურნეობის ხელმძღვანელობას და გამოთქვამს იმედს, რომ მომავალშიც ციხისძირის მეურნეობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო გამოფენებზე.

როცა მეურნეობის დირექტორს ვკითხეთ, რა მთავარი პრობლემები აწუხებთ მათ ამჟამად, მან გვიპასუხა:

— ძირითადად სამი რამ გვაწუხებს: ერთია — სასუქების ცენტრალიზებული წესით შემოზიდვა; ეს უნდა მოეწყოს. მეორე — ჩვენს რელიეფურ პირობებში გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია საბაგირო გზების მოწყობა. ამ საქმეში უნდა დაგვეხმარონ ზემდგომი ორგანოები; მესამე — უკანასკნელ წლებში ჩვენთან გვალვა არც ისე იშვიათია, ამიტომ საჭირო იქნება სარწყავი სისტემის შექმნაც.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომლის შესახებაც დირექტორმა არაფერი თქვა, შეიძლება ჩემთან არ გაამხილა, მეზობლებს არ ვაწყენინოო. ეს პრობლემა კი არა მარტო ამ მეურნეობის, არამედ მთლიანად ჩვენი სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით ციტრუსოვანთა მხარის მტკივნეული პრობლემაა.

საქმე აი რას ეხება.

ციტრუსების პლანტაციები ამ სოფლის გზების ორივე მხარეზეა გაშენებული. დასასვენებელი სახლების ეზოებიც ციტრუსებით არის გარსშემორტყმული. ერთხელ, გზად მიმავალმა, ასეთი რამ შევნიშნე: გზის ერთ მხარეს გულდაგულ გამოთხრილ, ახლად შეწამლულ მანდარინის ხეებს ხასხასა, ელვარე ფოთლები ჰქონდა, მეორე მხარეს კი ბალახმორეულ მანდარინების რტოებზე ჩაშვებული ფოთლები დაღონებულად გამოიყურებოდა. გზად ჩავლილ ციხისძირის მკვიდრს ვკითხე, რატომ არის ასე-მეთქი. ჭაღარამორეული კაცი გზაზე რტოგამოშვერილ მანდარინს მისწვდა, ფოთოლი შეაწუვიტა, გადმოაბრუნა და მითხრა:

— დააკვირდით ამას?

ფოთოლი დაფარული იყო მტვრისნაირი მოშავო ლაქით.

— ამგვარი ფოთოლი ჩვენი მეურნეობის პლანტაციაში რომ ვინმემ შეამჩნიოს, მაშინვე განგაში ატყდება, შევესევით, სასწრაფოდ შევწამლავთ, — გულისტკივილით მითხრა გზადშემხდურმა, ჭაღარამორეულმა კაცმა, — ეს კი საკურორტო სამმართველოს პლანტაციაა. არ უვლიან. მეზობელი ან აგაშენებს, ან დაგაქცევს, — ხელი ჩაიქნია ჩემმა ახლადგაცნობილმა თანამოსაუბრემ, გამომემშვიდობა და გზას გაუდგა.

„მეზობელი ან აგაშენებს, ან დაგაქცევს“, — ეს სიტყვები სამეზობლოში კარგა გამოცდილი კაცის ნათქვამია. მართლაც, ორ ნაბიჯზეა ერთმანეთთან დაშორებული მეურნეობისა და საკურორტო სამმართველოს პლანტაციები. სრულიადაც არ მინდა ვაწყენინო აჭარის საკურორტო სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკებს. ისინი დიდ საქმეს აკეთებენ. ეს მათი დაუღალავი შრომისა და გულისხმიერი ზრუნვის შედეგია, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები აქედან დიდად კმაყოფილნი რომ მიდიან. რა თქმა უნდა, ჩინებულია დამსვენებელთა სუფრას მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი რომ დაამშვენებს.

მე საკურორტო სამმართველოს ბევრი პლანტაცია ვნახე ციხისძირში. რა დასამალია, აკლიათ მათ მოვლა. კარგად მოვლილი ეს პლანტაციები დიდ მოსავალს მისცემდნენ ქვეყანას. მოუვლელობის გამო იკარგება ტონობით ოქროს ნაყოფი.

გარდა ამისა, და, რაც მთავარია, მოუვლელი პლანტაცია აზიანებს მეზობლად მყოფ საბჭოთა მეურნეობის კარგად მოვლილ პლანტაციებს.

როგორც შემდეგ გავიგე, ამ საკითხზე გვარიანი დავა აქვთ საბჭოთა მეურნეობებისა და საკურორტო სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკებს, მაგრამ სასიკეთო დასკვნა ჯერ ვერავინ გამოიტანა.

* * *

სულ ცოტა ხანი დავყავი ამ შესანიშნავ ადამიანებთან. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საკმარისი. მწერალმა ხანგრძლივად უნდა იცხოვროს მათთან. ჩაებას მათი შრომისა და პირადი ცხოვრების პროცესში და მხოლოდ მაშინ შესძლებს ის ამ ადამიანების ღირსი მხატვრული ნაწარმოების შექმნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

სიკეთე თესე

აჟღერებულხარ და ნათელს აფენ,
ბუნების ძალა შენ გეშველება;
შენში სიცოცხლე სდუღს და გადმოდის,
მაგრამ მე დარდს მგვრის შენი მშვენება!
რომ შენც გეწვევა ჩემებრ სიბერე,
სანამ არ დაგცემს, არ მოგეშვება!
და ყველაფერი, რაც კი რამ გამკობს,
გაქრება, როგორც სიზმრის ჩვენება.
და თუ გსურს დაგრჩეს სახელი მაინც,
შენ თვითონ შენთვის ეს დაიწესე:
რაც კი შენ გარგებს, ის სხვასაც არგებს,
სადაც მიხვიდე, სიკეთე თესე!

1973 წ. დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ებანოიძე

ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი

რომანი

I.

ორი წლის წინათ, ზამთრის დამდეგს, ზემოიმერეთის ერთ სასოფლო საბჭოში რეგისტრირებულ იქნა ქორწინება 1948 წელს დაბადებულ მოქალაქე ნინო ბესარიონის ასულ ნიორაძესა და 1940 წელს დაბადებულ მოქალაქე ვლადიმერ ლევანის-ძე ინაშვილს შორის. ერთი შეხედვით, ეს საკმაოდ ჩვეულებრივი ამბავია. მასში არ არის ნატამალი ნერვიულობისა, რომელიც თან ახლავს სასოფლო საბჭოებში გაზაფხულზე ან ზაფხულში რეგისტრირებულ ქორწინებებს, როცა გახურებული ალოობაა და სოფელს ქორწილისათვის არ სცხელა: პლანტაციებში ხმება ჩაი, ჭკნება სიმინდი, მჭრალდება და სიხასხასეს კარგავს ვაზი, შარშანდელი მოსავლის მარაგი ილევა, ხოლო პატარძალი უზის საქორწილო სუფრას ტანისამოსით, რომელიც გამოჭრილ-შეკერილია მართლაც და ამაღელვებელი გამომგონებლობით. დიახ, თუ ყურადღებით და დაკვირვებით შევისწავლით აქტებისა და სამოქალაქო მდგომარეობათა აღრიცხვის წიგნს, შევამჩნევთ, რომ ნინო და ვლადიმერი რატომღაც ჩქარობდნენ დაქორწინებას. სხვანაირად, აბა რას მივაწეროთ ის, რომ თავიანთი შეუღლება მათ რეგისტრაციაში გაატარეს ცამეტ რიცხვში და ისიც ორშაბათ დღეს.

ჩანს, იმის თავი არ ჰქონდათ ანგარიში გაეწიათ ამ ავბედითი ნიშნისათვის და ეზრუნათ დარბაისლური ტრადიციული საქორწილო ცერემონიებისათვის.

ვლადიმერ ინაშვილის ქორწინების საგულისხმო ისტორია მოსვენებას არ მაძლევს, ალბათ, იმიტომ, რომ მე გახლდით მისი არა თუ თვითმხილველი, არამედ სისხლხორცეულად დაინტერესებული ამ ამბით. ის, რასაც მე მოგითხრობთ, დატრიალდა იმერეთის ერთ სოფელში, მაგრამ შეიძლებოდა ის მომხდარიყო იმერეთის რომელიც გნებავთ სოფელში. ამიტომ მას არ ვასახელებ.

ახლა შევუდგეთ ამბების მოყოლას რიგრიგობით, თანამიმდევრულად.

1.

ამთავითვე გამოგიტყდებით, რომ ვლადიმერ ლევანის ძე ინაშვილი, ანუ უბრალოდ, ლადო მე გახლავართ. დავიბადე თითქმის ოცდაშვიდი წლის წინათ ამ ამბის დაწყებამდე, ზემოთ დაუსახელებელ იმერულ სოფელში და თოთხმეტი წლის რომ შევსრულდი, საც-

ხოვრებლად გადავედი ქალაქ თბილისში.

ამ ასაკამდე მე თითქმის ყოველდღე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვზომავდი სამკილომეტრიან მანძილს სახლიდან სკოლამდე და უკან, სკოლიდან ჩემს სახლამდე. განსაკუთრებით მძიმე მოსაგონარია ეს გზა ავდრიან დღეებში. გულზე მხეთქავდა ის, რომ სკოლაში სამეცადინოდ დავდიოდი ცივი ზამთრის წვიმიან ამინდში და არა ზაფხულში, როცა ატალახებული გზა შრება და სიარულიც გაიოლებულია; როცა დარიანი დღეები იდგა, ბაბუას გვერდში ვუდექი და მასთან ერთად ვთოხნიდი ვენახს ჯერ ბავშვის პაწია თოხით, ათი წლიდან კი დიდი, ნამდვილი გლეხური თოხით. ღუმელს ჩვენს კლასში მე ვანთებდი, ასეთი თანამდებობა მქონდა და ხშირად ღუმელის წინ შემთბარს, ჩამეყვინთებოდა ხოლმე. კარგა ხანს ვთვლემდი, ნანასავით ჩამესმოდა ხმელი შეშის ტკაცუნი და მარო მასწავლებლის ტკბილი ღუღუნი. არ მიყვარდა არც ერთი გეოგრაფიული რუკა, სადაც აღნიშნული არ იყო ჩვენი სოფლის პაწია მდინარე, ამ რუკების მასშტაბები მჩაგრავდნენ და შეურაცხმყოფდნენ გულის სიღრმემდე. გაზაფხულზე, წყალდიდობისას, ჩემი კლასის თავშეკავებულ განუწყვეტელ გუგუნში სულგანაბული ყურს ვუგდებდი, როგორ დუღდა წისქვილის ქვეშ ბორბლების ლაპოტებისგან აშხეფებულ-აქაფებული წყალი, თითქოს მორევში გაცოფებული ქარიყლაპიების გუნდი ბორგავსო. ზაფხულობით შევდენიდი ხოლმე საკუთარ ძროხას საერთო ჯოგში და ვთამაშობდი ფეხბურთს, ვიდრე ძალღონე გამომელეოდა. აქეთ-იქით დავარბენინებდი ბურთს, მერე ნახირთან ერთად მივჯაგჯაგებდი ხევის წყალზე პირუტყვის დასარწყულებლად, ხბორები, მოზვრები და უშობლები ხვნეშით და ქშენით, ფერდებით მეხახუნებოდნენ შიშველ ტანზე და მოუსვენრად იწევდნენ წყლისაკენ. განა ცოტა რამ არის ისეთი, რაც შემიძლია სიამით გავიხსენო ჩემი სოფლური ცხოვრებიდან? მწარეც და ტკბილიც, სასაცილოც და სატირალიც, გასახსენებლად ღირს თუნდაც ის, როგორ ველრიჯებოდი ულმობელ მეველეს დაებრუნებია ჩემთვის საკოლმეურნეო ყანის წახდენისათვის დაკავებული ძროხა, ან ეკალბარდით გასისხლიანებული, როგორ ვეძებდი კუდიანთა ხევში დაკარგულ ცხვარს, როგორ ვიგინებოდი, ვყლაპავდი ცრემლებს და ვბღაოდი ცხვრებისებურად იმ იმედით, რომ ჩემს ბღავილს დაკარგული პირუტყვი გამოეხმაურებოდა, ან როგორ გადავძვერი საკოლმეურნეო ბაღჩაში საზამთროს მოსაპარავად და ხელი ვტუცე კბილებიან ხაფანგში, — ნაჭრილობევი ახლაც მაჩნევია ხელისგულზე, ან როგორ ვწოვდი ძუძუს მეზობლის თხას, რქებით რომ ეჭირა ხელში ჩემს ძმობილ ბიჭუნას; შევუძვრებოდი თხას მუცელქვეშ, არხეინად მოვკალათდებოდი თიკანივით, თავპირით ჯიქანს ვუჯაჯგურებდი, თითქოს კუდსაც ვაქიცინებდი, ოღონდ, პირუტყვი წყნარად მდგარიყო და არ ეტლინკავა; მახსოვს ოქტომბრის გრძელი საღამოები ნართვლევზე, როცა დედა და ბებიაჩემი დაუცხრომლად ფუსფუსებდნენ სამზარეულოში საოჯახო საქმეებზე, ხოლო ჩვენ — მე და ბაბუა გაჩაღებულ ბუხართან მყუდროდ მიყუჩულნი ნარდს ვთამაშობდით და ვერ წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა ცხოვრება ამაზე უკეთესი ყოფილიყო. მახსენდება თავისი სიწმინდით და კეთილსურნელებით შეუდარებელი, უმწეო, ქალწულებრივად ნაზი და უმანკო ყვავილობა კუნელისა გაზაფხულის ტალახიან მინდორზე და სისხლიანი მწკლარტე სიმწიფეც შვინდისა სექტემბრის დამლევს; ნახშირივით შავი ტყეც დათოვლილ მთებზე, მღვრიე შავი წყალი, თეთრნაპირებს შუა მიმდინარე და დახეულ ფეხსაცმელში გაყინული წუნწუხის გაუმძლარი მარცვლები, რომლისგან მთელ ტანში, ხერხემლიდან კიდურებამდე ჟრჟოლა გივლის... ო, რა არ

გადამხდენია თოთხმეტი წლის მანძილზე, მაგრამ ახლა ამაზე როდი ვლაპარაკობ.

თოთხმეტი წლისა ქალაქში ჩამოვედი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სწრაფად და განუწყვეტლად იზრდება, უმთავრესად, სოფლის მცხოვრებთა მოზვავების გამო, და აი, მეც ჩავერთე მიგრაციის პროცესში, დავიპირე ჩემი ადგილი პროცენტში, რომელსაც გაოცებით და რამდენადმე ერთგვარი შიშითაც შეჰყურებენ დემოგრაფები.

ჩემი გადმოსვლა თბილისში დაკავშირებულია, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო და შემთხვევით ამბავთან: ჩვენი სკოლის დირექტორს რამდენიმე დღით ესტუმრა ნათესავი მანდილოსანი თავისი ქმრით და მეგობარი ქალით. ეს მეგობარი ქალი თურმე სამხატვრო აკადემიაში მუშაობდა, უცხო ენათა მასწავლებელი იყო. სწორედ არ ვიცი, რაზე და როგორ ჩამოვარდა მათ შორის საუბარი, მაგრამ, როგორც ჩანს დირექტორმა წაიტრაბახა, მყავს მოწაფე, რომელსაც მხატვრობისაკენ აქვს მიდრეკილება, — ხის მასალისაგან მეტად სასაცილო ფიგურებს — ადამიანებს და ცხოველებს ძერწავსო... ეს მოწაფე მე გახლდით, ზამთრის თოვლიან დღეებში სოფელ-სოფელ დავდიოდი და თოვლის ქანდაკებებს ვაკეთებდი. თოვლის პაპებს თანასოფლელებს ვამსგავსებდი.

სასიამოვნოა, დედაქალაქიდან სადღაც მივარდნილ კუთხეში ჩასული კაცი უცებ სახალხო ტალანტების მძებნელად რომ იქცევი. „ცხოველების პატარა ფიგურები? საინტერესოა... იქნებ, მართლა თვითნაბად ხალას ნიჭთან გვაქვს საქმე“... ყოველ შემთხვევაში, სტუმრები ძალზე დაინტერესდნენ და დირექტორის განკარგულებით გოგონები და ბიჭუნები სოფლის ყოველ კუნჭულს შეედგნენ, ნაბრძანები ჰქონდათ —მოეძებნეთ და დაუყოვნებლივ მივეყვანეთ დანიშნულ ადგილზე ჩემი ნაწარმოებებით.

ჩემმა ტოლებმა კარგად იცოდნენ, სად უნდა მოვეძებნეთ — დაეშვნენ ფერდობზე, მდინარისაკენ და მთელი ხეობა გააყრუეს ძახილით — ლადო, ლადო, ჩქარა, ჩქარა ამოდი წყლიდან, თბილისში გიპირებენ წაყვანასო.

მათ დაწვრილებით მითხრეს ყველაფერი, მეც გული ამიძგერდა, მაგრამ არ შევიმჩნიე, თითქოს უხალისოდ ამოვძვერი წყლიდან, შინისაკენ წავჩანჩალდი, გადავარჩიე, კალათში ჩავალაგე ოცამდე ხის ფიგურა და გავწიე.

სტუმრები ისხდნენ დირექტორის სახლის ღია ვერანდაზე. ჩვენი დირექტორი გონებაშეზღუდული კაცი იყო, მაგრამ, ამასთან, მკაცრი და გაბღენძილა. ამიტომ იყო, რომ მისი სახლი შეუღწეველი მეგონა.

„თამამად, ლადო! შედი, შედი, ნუ გრცხვენია“.

ვიდრე ეზოში მივაბიჯებდი და ვერანდის კიბის საფეხურებზე ავდიოდი, მე ვგრძნობდი, რომ თვალმოუშორებლად და კეთილმოსურნე ღიმილით მომჩერებოდა სანდომიანი ახალგაზრდა ხმელ-ხმელი ქალი, რომელსაც ლამაზი სარაფანი ეცვა.

ეს გახლდათ ლიკა (ერთადერთი შეცვლილი სახელი მთელ ამ ისტორიაში). ბორძიკით და კრძალვით ავედი ვერანდაზე. „დილა მშვიდობისა“ — წავიბუტბუტე, კალათი მაგიდაზე დავდე და განზე, კუთხეში მივიყუჩე; ჩვეულებისამებრ, ბანაობის შემდეგ ტრუსები ამჯერადაც არ გამიწურავს, მუხლებამდე დაკაპიწებული ჩემი შარვალი გალუმპული იყო. სირცხვილისა და შეცბუნებისაგან ცეცხლი მომეკიდა, როცა დავინახე ჩემკენ მოპყრობილი მომღიმარი ალერსიანი ქალის შავი თვალები.

გავიდა ათი წელიწადი, და ჩვენ შევხვდით ერთმანეთს თბილისში, საგაზაფხულო გამოფენაზე.

განვლილ წლებში მე განვიცადე მამის — პროფესიონალი ალპინისტის და-

ღუპვა, საყვარელი ბაბუას სიკვდილი, ჩემი შეყვარებული ქალიშვილის ღალატი და, ბოლოს, დაქვრივებული დედაჩემის გათხოვებაც. დავრჩი ობლად, მარტოდ-მარტო უზარმაზარ ქალაქში... ახლობლების სიკვდილმა და ღალატმა ჯერ სულიერად დამცა, გული დამიჩაგრა, ნებისყოფა წარმიკვეთა, მაგრამ მერე გამიჩნდა რაღაც უცნაური შეგრძნება, თითქოს იმან, რაც გარდამხდა, მიხსნა რაღაც ულლისაგან, ბორკილებისაგან, გამანთავისუფლა ვალდებულებისაგან და გააათკეცა ჩემს არსებაში სიცოცხლის წყურვილი. ჯერ სახელოსნო სასწავლებელში, შემდეგ სამხატვრო აკადემიაში სწავლის წლებში თითქოს ცოტა რამ შევითვისე, როგორც მოქანდაკემ. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც გავიგე, რომ მხოლოდ მუშაობით შეიძლება დაიცხრო წყურვილი, მაგრამ მე მაკლდა დისციპლინა, საკუთარი ნების მოუწესრიგებლობა ღრღნიდა ჩემს არსებას.

ლიკას ადრეც ვხვდებოდი, — ის ხომ აკადემიაში მუშაობდა. ჩემი სტუდენტობის წლებში მას ჩემთან თავი ისე ეჭირა, როგორც დამრიგებელს, ან უფრო სწორედ, როგორც ბიბლიოთეკარ ქალს, — წიგნებით მამარაგებდა.

— მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას თქვენი აწმყოსა და მომავლისათვის, — მეუბნებოდა იგი მაშინ სერიოზულად, თან ალერსით და ქვემოდან ზევით ამომხედავდა ხოლმე, — მე ვიყავი ერთი პირველთაგანი, რომელიც ურჩევდა და არწმუნებდა თქვენს მშობლებს — ქალაქში გამოეგზავნეთ.

— ლადო, სად დაიკარგეთ! რატომ არაფერი არ მოიტანეთ გამოფენაზე? მე თქვენ გთხოვთ — თავს ძალა დაატანოთ, დასძლიოთ ეს სოფლური მორცხვობა და სახლამდე მიმაცილოთ, თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, თქვენ ყოფაქცევაში ცოტა რამ დარჩა ლოყებღაჟღაჟა მოუქნელი ბიჭისაგან. — „სამწუხაროდ". — ვთქვი მე. — „რატომ სამწუხაროდ?" მე მხრები ავიჩეჩე.

იმ ღამეს ლიკასთან დავრჩი.

პატარა გივი (ლიკას ვაჟი მეორე ქორწინებიდან, რომელიც ისევე უიღბლო აღმოჩნდა, როგორც პირველი) წაღვერში იმყოფებოდა, სუსტფილტვებიან ბავშვთა სკოლა-სანატორიუმში, და ჩვენ — ლიკა და მე მთელს გაზაფხულს და ზაფხულს ერთად ვატარებდით.

სექტემბერში ლიკამ შვილი ჩამოიყვანა წაღვერიდან. მე ვფიქრობდი, რახან ბავშვი ჩამოიყვანა, აღარ შემხვდებამეთქი, მაგრამ ყველაფერი დარჩა ძველებურად და მეც თანდათან შევეჩვიე ამ ვითარებას.

თავდაპირველად ლიკა ნიღბავდა ჩვენს ურთიერთობას; ყველასათვის, ვინც შემთხვევით შემომისწრებდა მის ბინაზე, მე ვიყავი სტუდენტი, რომელიც გულდასმით სწავლობდა ფრანგულ გრამატიკას ლიკას ხელმძღვანელობით, მაგრამ ცნობილი ჭეშმარიტებაა: სიყვარულს, ცეცხლს და ხველებას ადამიანებისაგან ვერ დამალავ. ჩვენც გაგვიგეს. მე ეს შევატყვე ლიკას მეგობარ ქალებს გამოხედვასა და ღიმებაზე, იმაზე თუ როგორ იცვლებოდა ჩემდამი მათი დამოკიდებულება; არ არის გამორიცხული, რომ მათ თვითონ ლიკამ მისცა ბიძგი, რომ ვემხილებინეთ... ყოველ შემთხვევაში, სათუთად მგრძნობიარე და საჭიროების დროს საკმაოდ უკმეხი ლიკა ხმას არ იღებდა, როცა ისმენდა მეგობარი ქალების ორაზროვან გადაკრულ სიტყვებს, უფრო მეტი — იღიმებოდა კიდეც რაღაც მოდუნებული, ნებადამრთველი ღიმილით.

— ლიკა, რა გვიშლის ხელს, რომ მე და შენ დავქორწინდეთ.

— რა სისულელეს ლაპარაკობ, ლადო! ეს არ არის საჭირო არც ჩემთვის და, მით უფრო, არც შენთვის.

დროგამოშვებით უცებ ავიწყვეტდი და ლიკას ვტოვებდი, ერთი თვით, ორით, ზოგჯერ სამი თვითაც, მაგრამ ბოლოს მაინც ვუბრუნდებოდი, ლიკამ იცოდა, როგორ მივეზიდე — ზოგჯერ სასაცილო [illegible] ან გულისნადების აგზნებული გამომჟღავნებით, ზოგჯერ გულიდან მომდინარე ნაზი სი-

ტყვების გულწრფელობით და სინატიფით.

ბარათებში ხშირად მომმართავდა „ჩემო ენკიდუ!“ ეს ენკიდუ ყოფილა თურმე რომელიღაც ძველი თქმულების გმირი, ნახირის მწყემსი, ტყიური, თავაშვებული ქალის — შამხათის მიერ მოშინაურებულ-მოთვინიერებული. „ენკიდუ“... ენკიდუ“. რა უცნაური ქალია... რას არ მოიგონებს...

— შამხათი...!

აი ასე დიოდნენ დღენი ჩემი ცხოვრებისა.

მეექვსე წელიწადი დაიწყო იმ დღიდან, როცა მე სამხატვრო აკადემია დავამთავრე, მაგრამ მოქანდაკე ლადო ინაშვილის სახელი იცოდნენ მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა; მიუხედავად ამისა, ჩემი მონათვლა უიღბლო ხელოვნად ნაადრევი იყო არა იმიტომ, რომ ჩვენი მსუქანი პროფესორი — სახელგანთქმული გამრეკელი ჩემსკენ გამოშვერილი მძიმე მელოტი თავის ქნევით იტყოდა ხოლმე: „ლადო ჯერ კიდევ დაუდუღარი მაჭარია“... მის კახურ ასოციაციებს არ შეეძლო ვენუგეშებინე და დავემშვიდებინე ხუთი წლის მანძილზე. მე თვითონ ვიცოდი, რომ მოქანდაკე ვიყავი.

ამ ჩემი ამბის დაწყების დღიდან მე ვცხოვრობდი თბილისის ძველ რაიონში, იქ, სადაც ოდესღაც განთქმული ბაღები იყო. ახლა იმათგან კვალიც არ დარჩენილა — ისინი ჩაყლაპეს ფაბრიკებმა, ხოლო რაც გადარჩა, უკანასკნელ ფოთლამდე დახრეს და დაღრღნეს ავტობუსებისა და ტროლეიბუსის პარკებმა. ერთ-ერთი ავტობაზის ეზოს გადაღმა, მთის ძირას მდგარ პატარა სახლში ერთი ოთახი დავიქირავე. სახლის პატრონი გახლდათ ბუხუტი გაგნიძე — მსხვილი, დაბალი, გასუქებულ-ჩაკუნტრატებული რაჭველი კაცი, ღაჟღაჟა ლოყებით და მოკლე ხელებით. ბუხუტი მუშაობდა იმავე ავტობაზაში მანქანების მრეცხავად. დამეთანხმებით, რომ ეს თანამდებობა არ არის, მაინც და მაინც სახარბიელო და საშურველი, მაგრამ მე არასოდეს არ მინახავს სხვა ასე ნებიერი და სათუთად მოკლიღილი კაცი, არც იყო გასაკვირი: ბუხუტის უვლიდა და თავს ევლებოდა ოთხი დედაკაცი. თავდაპირველად მეგონა, რომ ამ ოთხიდან ორი მაინც მოხვდებოდა ნათესავად, მაგრამ ვცდებოდი. ისინი იყვნენ ბუხუტის მეგობრები, მოსიყვარულე დობილები, — მე არ ვიცი რა სახელი ვუწოდო მათ, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში საყვარლებს ვერ დავარქმევ, რადგან ბევრჯერ უნახავთ ისინი ორნი ან სამნი ერთად ბუხუტისთან სტუმრად მოსულნი: დაიკაპიწებდნენ ხელებს და მეგობრულად, მშვიდობიანად, მხიარულადაც კი უწვავდნენ ბუხუტის კატლეტებს ან ხაშს უხარშავდნენ. ბუხუტის ოთახში მუდამ იდგა საუცხოო მდიდრული კალათა ყვავილებით, ისეთი, როგორსაც მიართმევენ ხოლმე მწერლებს იუბილეზე, ან მსახიობებს პრემიერის დღეს. შეიძლება გვევარაუდა, რომ ვიღაც ინკოგნიტო გამოხატავს ბუხუტის მიმართ აღფრთოვანებას და სურს თავის ნობათით წაახალისოს იგი თვალსაჩინო ღამსახურებისათვის. მე არ მომეცა შემთხვევა, ერთხელ მაინც მეკითხა მისთვის, საიდან იყო ეს კალათები ყვავილებით. ასე და ამგვარად, ბუხუტი დარჩა ჩემს ხსოვნაში მუდმივ იუბილარად, პატარა ტრიუმფატორად, რომელიც ზეიმობს იდუმალებით მოცულ თავის გამარჯვებას.

თავის ორმოცდაექვსი წლის ასაკში ბუხუტი გახლდათ რაღაც საოცარი, მე ვიტყოდი, ფანატიკურად ქალთმოყვარული. როგორც კი უცნობ ქალს თვალს მოჰკრავდა, მაშინვე სახემრგვალი მისი სიფათი, ჩვეულებრივ ძილმორეული და იმდენად აღაჟღაჟებული, რომ არაფერს გამოხატავდა, უმალვე გარდაიქმნებოდა; მის გამოხედვაში ჩნდებოდა რაღაც ონავრული, მონადირული, ჩნდებოდა შევარდენი, თუ მიმინო, რომელმაც ეს არის თვალი მოკრა მწყერჩიტას, და დაიძაბა, წელში გაიმა-

რთა; ასეთ დროს თვით მისი მოკლე ხელები დაგრძელებული ჩანდა. მას ოდნავაც არ ჩეოდა გარყვნილი არშიყებისათვის დამახასიათებელი უხამსი ტრაბახი. ჩემი დაკვირვებით, ქალს იგი ეკიდებოდა მოკრძალებით, მოწიწებით წარმართისა, რომელიც თაყვანს ცემს თავის საყვარელ და ძლიერ ღვთაებას. არასოდეს, არც ფხიზელი და არც მთვრალი, იგი თავს ნებას არ აძლევდა ეთქვა რაიმე უხამსი ხუმრობა თავისი მეგობარი ქალების მისამართით.

ერთხელ, როცა ბუხუტის ვკითხე, არ დათანხმდება რომელიმე შენი მეგობარ ქალთაგანი გამოსაქანდაკებლად პოზაში დამიდგეს-მეთქი, მან მიპასუხა, ოთხივენი პატიოსანი, წესიერი ქალები არიანო. მე არ დავიწყე დავა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა წესიერი ქალები პოზაში დაუდგნენ მოქანდაკეს, მე მხოლოდ ვუთხარი, განზრახვა მაქვს გამოვძერწო მარტო თავი-მეთქი. და მე მომეცა სევდის მომგვრელი შესაძლებლობა რამდენიმე კვირის განმავლობაში ხანგრძლივად მემზირა და დავკვირვებოდი გაბარდნილ, ულამაზო, დამჭკნარ სახეებს ქალებისას, რომლებსაც წილად უიღბლო და უბედური ცხოვრება ხვდათ. დიდხანს იდგა მათი სკულპტურული პორტრეტები ჩემს ოთახში. ხანდახან ჩამოვხსნიდი ტილოს და გულისყურით ვათვალიერებდი აშხენას, ნადიას, ფატმანის და დეიდა მართას სახეებს.

მე ვუმზერდი მათ და აღვუთქვამდი ჩემს თავს, რომ ოდესმე გავიმეორებდი იმ ქალთა სახეებს მარმარილოში, რადგან მხოლოდ დამჯოლოდ მარმარილოა შეშმარიტად უმანკო და უმწიკვლო. მე ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი, რომ ცხოვრება არამზადობაა, რომ მეც არამზადა ვარ, რომ ბუხუტი ორჯერ არამზადაა!.. ეხ, ბუხუტი, ბუჯუტი... გავიდა ხანი, და მე თავები გარეთ გავიტანე, მთის ძირას და მივყარე დახვრეტილი კანისტრების და გაცვეთილი საბურავების გვერდით, იქ, სადაც ნაყარ-ნუყარი ნამუშევარი მასალა გამქონდა. იმ ხანებში ბევრს ვმუშაობდი, რვმუშაობდი ცუდ, უვარგის თიხაზე და გამხმარი ნაძერწი ხელების, ფეხების, ტორსების და თავების ასლების გროვა სამოსამართლო მედიცინის სახელმძღვანელოებში გამოქვეყნებულ ფოტოებს მაგონებდა.

ბუხუტი ოთახისათვის ღვთისნიერ ქირას — ოც მანეთს მაზდევინებდა და მაინც რამდენიმე თვე უხდებოდა ლოდინი, სანამ ბინის ქირას გადავუხდიდი. აკადემიის შემდეგ ცოტა ხნით ორჯერ მოვეწყე სამუშაოზე, მთელი დანარჩენი დროის მანძილზე, თხელი რეზინივით ვჭიმავდი სასაფლაოს ძეგლებიდან აღებულ ფულს. ამ ძეგლებს სახელგანთქმული გამრეკელის რეკომენდაციით მიკვეთდნენ. გავაკეთე სულ ხუთი ძეგლი — სამი ბიუსტი და ორიც ალეგორია, შესრულებული თვითონ დამკვეთების ჩანაფიქრით. ისინი იდგნენ პროვინციული ქალაქების მყუდრო ჩრდილიან სასაფლაოებზე და დრო და დრო მეცხადებოდნენ კომშმარულ სიზმრებში. დამკვეთთაგან ყველაზე გულუხვი იყო ბორჯომის საავადმყოფოს გინეკოლოგი — ათას ორასი მანეთი გადამიხადა, ყველაზე ძუნწი — ქალაქ ხაშურის პედაგოგიური საზოგადოებრიობა — გადამიხადა სამას სამოცდაათი. სრული ანგარიშისთვის თუ ამას მივუმატებთ საფასურს საპატიო დაფისა, რომელიც მე გავაკეთე ჩვენი ავტობაზისათვის, აშკარა გახდება, თუ რატომ მდავიძებდი შემთხვევას მეშოვნა რაიმე სამუშაო.

მანამდე ვიდრე ის ამბები დატრიალდებოდეს, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მე დამჭირდა გაცხარებით მეძებნა ასეთი შესაძლებლობა, ხუთ დღეში ახლო ნაცნობებისა, ნაკლებ ნაცნობებისა და სრულიად უცნობი პირისაგან მე მოვისმინე: ვეცდებით; დანამდვილებით ვერ გეტყვით, გპირდებით, დავურეკავ: დამირეკე, შინაც არგად იქნი. რა ძნელია; ისინი ვერ გაგიგებენ; ხომ არ იკისრებთ, ყმაწვილო, გააკეთოთ ჩვენთვის ათიოდე ტრანს-

პარანტი და რამდენიმე დიაგრამა; მოსვენება არა გვაქვს სამუშაოების მძებნელებისაგან; არც მას აქვს სამუშაო; ეხ, გუშინ რომ მოსულიყავი, კარგი იყო; გუშინწინ რომ მოგეკითხათ' ვნანობ, ძალიან ვწუხვარ ც. შ. და. ა. შ. ვისმენდი აგრეთვე ბოლომდე დაუმთავრებელ ფრაზას, რომლის აზრს ვერაფრის გზით ვერ ვგებულობდი. იწყებოდა ფრაზა ასე: როგორ არა, როგორ არა, მე თქვენს შესახებ მელაპარაკნენ, ასე, ჩემო ძვირფასო, სულ მოკლე ხანში ჩვენთან იხსნება სამომსახურებო მეძაღლეობის დიდი გამოფენა. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა შეჯიბრებებს, შესასვლელთან სანდომიანი ცხვირი... ამ დაუმთავრებელი ფრაზის მოსმენისას ყურმილი დავდე და დღემდე ჩემთვის ამოუხსნელ გამოცანად დამრჩა, თუ რას ნიშნავდა ეს „ცხვირი“.

სამუშაოს პოვნის იმედი რომ დავკარგე, ვცადე ვალი ამეღო, ორი დღე დავრბოდი, ვეძებდი ფულიან ამხანაგებს და მეგობრებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უიღბლო აღმოვჩნდი. ერთმა მითხრა, ცოლი მყავს ავადო; მეორემ — ოჯახობა აგარაკზეა და თვითონ ცარიელ პურზე და მაწონზე გადავდივარო; მესამე სახელოსნოს შესასვლელ კართან გადამიდგა და გამაჩერა მანამდე, ვიდრე ქალბატონი, რომელიც პოზაში იდგა. ხალათს ჩაიცვამდა, თუმცა ეს იყო ფიქცია — ხალათი მკერდზე ეღეღებოდა, ხოლო მუხლებთან — აქეთ-იქით ეშლებოდა.

— ვინ არის? —ვკითხე ჩუმად მეგობარს.

გაეცინა. მხრები აიჩეჩა.

— ვიღაც ობროდია. გაგიჟებამდე უყვარს შიშველ პოზაში დგომა. ხომ არ გინდა შეგახედო?

მეოთხემ თვითონ მთხოვა ფული სესხად; მეხუთე მოჰყვა მწარე და ნაღვლიან მსჯელობას იმაზე, თუ როგორ ღრღნის და აჩანაგებს ფული მეგობრობას; მეექვსეს მხიარულ ლხინზე შევესწარი — ჩვენი ნანა, აკადემიის უდარდელი მენატურე ეთხოვებოდა ბოჰემას.

„ლადო, ძვირფასო, შობილოცე“ ვთხოვდები“. სანამ დაგვტოვებდა, გვთხოვა თვალები ამიხვიეთო. თვალახვეულმა შემოგვიარა და შეუცდომლად გამოიცნო ყოველი ჩვენგანი. ფოკუსი გამოვიდა ნაღვლიანი, ამაღელვებელი და ოდნავ შემაჟრჟოლებელი. „გეთხოვებით, ბიჭებო, მშვიდობით, არა, არ მინდა, ნუ გამაცილებთ“.

მრჩებოდა ერთადერთი ადგილი, სადაც წარმატებას ველოდი, მაგრამ იმ ადგილს ტაბუ ედო. ვგულისხმობ ლიკას. „ტაბუ, ტაბუ, წუწნე დათვივით თათი, ლადო, პრინციპებს კი არ უღალატო“.

ლიკასთან მაინც წავედი, ფულისთვის არ წავსულვარ. მასთან სტუმრები დამხვდნენ. ჩემმა გამოჩენამ ღამის თერთმეტ საათზე ერთგვარი გაოცება, უფრო მეტი, დაბნეულობა გამოიწვია. მე გავწითლდი და მოვიღუშე. ლიკამ ხელი მომკიდა და გამიყვანა მეორე ოთახში, დამიწყო გაუთავებელი კოცნა, თან მეტიტინებოდა რაღაცას ფრანგულად, ბოლოს ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამომიცხადა: „ჩათვლის ჩასაბარებლად მოხვალ ზეგ“. „მე ახლაც მზად ვარ“, — მივუგე. „ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ახლა სტუმრები მყავს!“ იღლიაში რაღაც წიგნი ჩამჩარა და ვიდრე მე სტუმრების წინაშე ბოდიშს ვიხდიდი და ვემშვიდობებოდი, ლიკამ საზოგადოებას ჩემზე აუწყა — „იშვიათი ნიჭის სტუდენტია“. მგონი, იგი საკმაოდ შემთვრალი იყო. კარები ჯახუნით გამოვიხურე და სიცილით გაგუდული კიბეზე დავეშვი.

— სიცილის გუნებაზე კი დაღექი, ლადო, მაგრამ გროში კაპიკი რომ არ გიჭყავის, რა უნდა ხეთქო!

...მეხუთე დღის მიწურულზე გაწვალებულ-გასავათებული შინ დავბრუნდი, შუქი ჩავრთე და ჩემს ნამუშევრებს თვალიერება დაუწყე. ისინი სხვის უბადრუკ ნაწარმოებებად, დაჭანჭყულ და დამშეულ ქმნილებებად მომეჩვენა.

მერე ავედი მთაზე, რომლის ძირში შეყუჟულიყო ჩვენი პატარა სახლი, ნაშუაღამემდე ვიწექი გადამწვარ მოლზე და ამ ხნის განმავლობაში ათჯერ მაინც მიმოვიარე საკუთარი არარაობის შეცნობიდან საკუთარი სიდიადის შეგრძნებამდე გაჭიმული ამპლიტუდა. ჩემი ვნებათაღელვის ფონი გახლდათ შორს გაწოლილი ვეებერთელა ქალაქი, რომელსაც თავზე გვირგვინად ადგა ღამის ცის სივრცეში მოკიაფე სატელევიზიო კოშკი.

როცა აღმოსავლეთით, რუსთავის ზემოთ, ცის ვიწრო ზოლი გაფერმკრთალდა, მთიდან ქვევით ჩამოვედი, შევედი სახლში, გავიპარსე, ხელპირი დავიბანე, ლოგინზე მივწექი და უცებ გარშემო გასაოცარი სიმშვიდე და სიწმინდე ვიგრძენი, — სუფთა იყო ჩემი ოთახი, ფანჯრებიც გაპრიალებული მინებით და გაკრიალებული იატაკი, ქათქათა იყო ჩემი საწოლის თეთრეული, დეიდა მართას ხელით გამოხარშულ-გარეცხილი და დაუთოებული; წმინდა იყო ჩემი თავი, რომელსაც არ ამძიმებდა გამოყოლილი ნამთვრალობა; წმინდა იყო ჩემი სინდისიც, რომელსაც არ ამძიმებდა ცოდვების ტვირთი, სუფთა იყო ჩემი ჯიბეები, და თვით ტუმბოც კი, სადაც ჩაი-შაქარს ვინახავდი, სტერილურად სუფთა იყო. ამ სიწმინდეში მე დამეძინა ჩვილი ყრმის უშფოთველი ძილით და გამეღვიძა გვიან, როცა მზე უკვე ზენიტში იყო და ივლისის პაპანაქება თითქმის შვეულად ეცემოდა დედამიწაზე. ავტობაზის კანტორაში შევედი. სახელგანთქმულ გამრეკელს დავურეკე, გაეხარდა და შინ მიმიპატიჟა. მის მხნე კახურ კილოზე ყურმილიდან შემწვარი გოჭის, ცხელი სულგუნის და წითელი ღვინის სუნი მეცა. თითქოს სასულეში წყალი გადამცდა, ხველა ამივარდა, ბოდიში მოვიხადე, ვუთხარი, არ მშია, უკვე ვისადილე, ისევ დავეძებ სამუშაოს-მეთქი. დახუთული ჰაერისაგან და საკუთარი უხერხულობის შეგრძნებისაგან გაოფლიანებული, ნერვებაშლილი და გაღიზიანებული ვლამობდი ტელეფონის კაბელით შემეღწია პროფესორის გრილ ოთახში, უცებ არმოვჩნდი ლიყავ სახელგანთქმული გამრეკელის უდრტვინველი თვითკმაყოფილებისა და უკმეხი გულკეთილობის გარემოცვაში, მან ხითხითით მომისმინა, მერე რაღაც გაურკვეველად წაილუღლუღა (ალბათ პირში ყველის ნაჭერს თუ იტენიდა) და უცბად ყურმილში ჩამომძახა:

— გატყობ, მშიერი ხარ ქოფაკივით! ახლავე აქ გაჩნდიო.

გამიმასპინძლდა ჩინებულად, არ მოკლებია არც შემწვარი გოჭი წითელი ღვინით, არც მსუყე საცივი თეთრი ღვინით და როცა გვარიანად შეზარხოშებულმა ხელი პაპიროსისაკენ გავიწოდე, მკაცრად მიბრძანა — შეკვეთები საფლავის ძეგლებზე უნდა გათავდეს, გეყოფა. თავი დაანებე ასეთ სისულელეებს. მეც ეს მინდა-მეთქი. გვიან ღამით წამოვედი. თბილისის ქუჩების შეხუთული ჰაერით გარემოცული, მთელი გზა გულაჩუყებული ვბუტბუტებდი:

— ძალიან ბევრს სვამ, მოძღვარო. შენისთანა კამეჩს შეიძლება დამბლა დაეცეს, ა-პო-პლექს-იური დამბლა.

ვინმემ გული ხომ არ გატკინა? მე ხომ არა, მოძღვარო! არ ღირს ჩემი ამბავი გულთან ახლო მიიტანო!

გზის დასასრულს სულ მოვითენთე და მანამდე, ვიდრე ზევით, ჩემს პატარა სახლთან ავიდოდი, დიდხანს ვლოშნე ჩვენი ავტობაზის დარაჯი, ბებერი იუსუფი. ერთმანეთს დავშორდით, ისე, თითქოს მე ვყოფილიყავი ფრონტზე მიმავალი მისი ერთადერთი ვაჟი. ყოველი სამი ნაბიჯის გადადგმაზე უკან ვიცქირებოდი და ხელს ვუქნევდი, ასე გავცდი სატვირთო მანქანებისაგან გატკეპნილ ავტობაზის შესასვლელს, გასწვრივ გავუყევი გაცხელებულ აგურის კედელს და, როგორც იქნა, მივლასლასდი ჩემს სახლამდე. ფანჯრებში ბნელოდა. კარი გავაღე და, რამდენადაც შემეძლო, უჩამიჩუმოდ ჩემს ოთახში შევაღწიე სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი.

2.

ის იყო ჯიბიდან პაპიროსი ამოვიღე და მოწევა დავაპირე, კარს უკან რაღაცამ გაიფაჩუნა, გაიშრიალა და კარებქვეშ შემოჩოჩდა თეთრზე თეთრი კონვერტი.

პირიდან პაპიროსი გამოვიგლიჯე და ვიყვირე:

— ბუხუტი!

არავინ მიპასუხა.

— ბუხუტი! — გავიმეორე უფრო ხმამაღლა.

— ამე, ლადოჯან — შემომესმა ძილმორეული ხმა.

— სახლში ვინმე ადამიანი არის?

— განა ჩვენ — მე და შენ ადამიანები არა ვართ?

— ჩვენს გარდა, სხვა ვინმე თუ არის. ვიღაცამ ჩემი კარის ღრიჭოში კონვერტი შემოაცოცა.

— ნუ გეშინია! აქ ჩვენი მართა დაბორიალებს. ბარათი მოვიდა შენს სახელზე.

ამას მოჰყვა კარების ჭრაჭუნი ბუხუტის ოთახში და მისივე ხმადაბალი ჩურჩული: „რას შვები, ქალო, ხალხს აფრთხობ, შე მელამურევ. დროა მოისვენო, ჩქარა შეძვერი საბანქვეშ“. „თფუ, გავითოშე მწევარი ძაღლივით“. პასუხად გაისმა თავშეკავებული მოგუდული სიცილი. „დაწევი, ლადო, ძილი ნებისა“, — ხმამაღლა გამომძახა ბუხუტიმ. — ძილი ნებისა, — ვუპასუხე. ტახტზე ჩამოვჯექი და ფრთხილი გამჭვრეტი თვალით მივაშტერდი კარქვეშ შემოგდებულ კონვერტს. ღვინო დუღდა და და ბჟუოდა ჩემს სხეულში. თავში აზრები ირეოდნენ, გარბოდნენ, კუდში ხელს ვტაცებდი და უკან ვაბრუნებდი, როგორც დეზერტირებს. რა უნდა იყოს ამ კონვერტში? იქნებ დიდი პოეტის ძეგლის ამგები საკონკურსო კომისიის წერილია!... „თქვენი გაბედული შთანაფიქრი აღტაცებას და გაოცებას იწვევს, ხოლო მისი ხორცშესხმა ყოველგვარ ხოტბას აღემატება. ჩვენ ვულოცავთ, ქართველ საზოგადოებრიობას დიდი ოსტატის მოვლინებას, დიახ, დიახ, დიდი ოსტატის დაბადებას, ესრდენ შთწიფებული და დაჯერებული ნამრომი ესოდენ ჰაბუკურ ასაკში იწვევს აღტაცებას და გაოცებას“. მოიცა, ეს ხომ იყო! „...ასევე მთელი სულით და გულით ვულოცავთ თქვენს მოძღვარს, სახელოვან გამრეკელს. ძეგლის აგება, კომისიისგან დამოკიდებულ გარემოებათა გამო, გაურკვეველ დრომდე გადადებულია, მაგრამ ჩვენ ჩავთვალეთ შესაძლებლად, უფრო სწორად, ჩავთვალეთ ჩვენს პატივად, თქვენი შემოქმედებითი წვის და ძიების წასახალისებლად მოგანიჭოთ იაკობ ნიკოლაძის სახელობის პერსონალური პრემია... ჩვენი მხურვალე სალამი! — თქვენი ნიჭის მარად თაყვანისმცემელნი“... დიახ, დიახ, ეს ასეა, ჩემს წინ დევს ბარათი, დაწერილი ასეთი ან ამის მსგავსი სიტყვებით, მე კი ვზივარ აქ მთვრალი, გალეშილი, თითქოს მოქანდაკე კი არ ვიყო, არამედ უბრალო კალატოზი, თითქოს ეს აღტაცება, ეს ხოტბა-დიდება ჩემზე არ იყოს ნათქვამი. ჰო, ალბათ ასეა. იქნებ კონვერტში დევს არა ბარათი, არამედ უწყება, ეგებ „სალონი“ მატყობინებს, თქვენი „ჯამბაზები“, როგორც იქნა გაიყიდაო. მადლობა ღმერთს. სინდისიც კაი საქონელია, პატივცემულო მყიდველებო! მთელი წელიწადი და ექვსი თვე იყო გამოკიდებული ისე, რომ კაცს არ გახსენებია მისი შეძენა... რამდენად იყო შეფასებული? მგონი, ორას მანეთად. საინტერესოა, ვინ იყიდა? კლუბმა? კულტურის სახლმა? თუ რომელიმე კოლექციონერმა, ვთქვათ, დემნა შენგელაიამ, ან სხვა ვინმემ... „შემიძლია ვნახო ლადო ინაშვილი?„ — „შეგიძლიათ რატომ არა!“ „გამარჯობათ, ბ-ნო ლადო! თქვენ მე არ მიცნობთ! მე თქვენი ნიჭის ერთი მოკრძალებული თაყვანისმცემელი ვარ, მე წილად მხვდა ბედნიერება შემეძინა თქვენი „ჯამბაზები“, რა დიდებული ნამუშევარია. მე აღტაცებული ვარ თქვენი მანერით, ფორმათა განზოგადებით, რომელიც თქვენს ნამუშევრებს ანიჭებს სინატიფეს, ხდის ისეთ

გამსჭვალავ ქმნილებად, როგორც ფორთოხლის ქერქია, გემუდარებით, მომისმინეთ ბოლომდე, ჩემი ქბარი ბებერი და გამოჩერჩეტებულია, ძლივს ვაყიდინე თქვენი ნამუშევარი, იმიტომ, რომ მიყვარხართ, მიყვარხართ დიდი ხანია და მთელი მგზნებარე ვნებიანობით... ვევედრებით, ნუ მკრავთ ხელს, ნუ შემაქცევთ ზურგს"... ჩემს წინ იდგა მშვენიერი ქალი, ახალგაზრდა, ლამაზი ქართველი ქალი და ანთებული თვალებით მევედრებოდა: „გამომკვეთეთ, გამომაქანდაკეთ. მე მინდა, რომ მუდამ ყოველთვის, დღისით და ღამით ვიყო აქ, ამ ოთახში... აი ასეთი... როგორც დიანა, როგორც ნიმფა... გამომძერწე, ჩემო საყვარელო,... გამომძ"... ფუ, ეშმაკმა წაიღოს, ეს რა მომდის! პაპიროსს მოვუკიდე, მთვრალი და გაბრუებული შევღიმოდი, შევცინოდი ჩემს ნაბოდვარს. თავი სავსე მაქვს მზით! მზითა და ყაყაჩოებით, ბარათი კი გდია იატაკზე, კარებს ქვეშ. და მე ისევ ვიძირები შურანში, მეძინება და ვფიქრობ: იქნებ მიწვევენ ზღვისპირას, რომ ქანდაკებებით შევამკო უცხოელ ტურისტთა სანატორიუმი. ჟე ტემ, ჟე ტემ, მონამი... მადამ... მე მინდა შევიძინო თქვენი ყელსაბამი. ეს, მგონი, „შერბურის ქოლგებია", ტურა-რი-რა-რარა... „მე მქვია მიშელ"... „ო, მიშელ! რატომ მიშელ! მე ვიცნობდი ერთ უხეშ მამაკაცს, მას მიშელს ეძახდნენ, მიშელ ლაპტევი. იყვნენ აგრეთვე ცნობილი პოეტები, მოჭადრაკეები, ფეხბურთელები — ყველანი მიშელი, მიშელი. მიშელი და ყველა მამაკაცი, გარწმუნებთ, ყველა ერთნაირად კარგად შერჩეული, ასე რომ, მე ძალიან უცნაურად მეჩვენება შილაია მიშელ!" „ხა-ხა-ხა-ხა, მონ შერამი, განსაკუთრებით მოსწრებული ენის კაკი ბრძანდებით, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აკლიხართ პარიზს... გაიგეთ თავად კოტეტიშვილს, რომ მე არ ვარ მისი კმაყოფილი. თუ ჩვენი წინაპრები ოდესღაც ერთმანეთს მტრობდნენ, ეს კიდევ სრულიად არ აძლევს საბაბს შური იძიოს ჩემზე". „აბა რას ბრძანებთ, მილაია მიშელ, შურისძიებაზე აქ ზედმეტია ლაპარაკი, მშვიდობა — მეგობრობა, სივის პაცემ, პარა ბელუმ, კარგად დაიმახსოვრეთ ეს, ძვირფასო ასპაზია"... მაგნოლიები გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევდნენ და ჩვენი სიყვარულიც იყო სწრაფწარმავალი და მშვენიერი, ვითარცა ყვავილთა ერთი ღამის დედოფლისა.

უკვე მეყვინთებოდა, როცა დავინახე, რომ კონვერტში იდო თავაზიანი მიწვევა-მიპატიჟება მონაწილეობა მიმეღო რომელიღაც მთაზე რაღაც ანსამბლის შექმნაში და თითქმის მაშინვე თვალი მოვკარი „კომსომოლსკაია პრავდას" ნომერს, სადაც დაბეჭდილი იყო კომკავშირის პრემიის ლაურეატთა სია. ადვილად მივაგენი ჩემს გვარსა და სახელს, ხოლო სიის ქვემოთ დაბეჭდილ სტატიაში წავიკითხე შემდეგი ნაჭედი სტრიქონები: „ჩვენს სახელოვან მხვნელ-მთესველთა პატივსაცემად ამა და ამ მთაზე აღმართულ მონუმენტურ ანსამბლში საყოველთაო ყურადღებას იქცევს ფიგურა „მხვნელ-მთესველი". ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკის ეს ნამუშევარი გამოირჩევა ვაჟკაცური და ტრაგიკული ექსპრესიით, ძალოვნებით და, ამავე დროს, ისეთი გამსჭვალავი ლირიკულობით, როგორც ფორთოხლის ქერქი. პრემიის გადაცემის ცერემონიალზე ლადო ინაშვილმა თქვა: „არასოდეს არ მიფიქრია, თუ უფულობა ასე ასახიჩრებს ადამიანის სულს". ამ გაზეთს ყველგან ჯიბით ვატარებდი. ყველანი მილოცავდნენ, გულწრფელად, ფარისევლური ზარ-ზეიმით და თავშეკავებულობით, მაგრამ ყველანი ერთნაირად მოითხოვდნენ კონიაკით გამასპინძლებას. კონიაკის ყიდვა კი არ შემეძლო, რადგან ვერ იქნა და ვერ მივიღე ფული, რომელიც პრემიის სახით მერგებოდა. ეს იყო ხანგრძლივი, დაუსრულებელი კომმარი, ტანტალოსის ტანჯვის მსგავსი წამება: საღლაც გვერდით ეწყო ფულების მთელი ხვავი, მე კი ხელი არ მიმიწვდებოდა; სულის სიღრმეში ვიცოდი, რომ არასოდეს არა-

ვითარი ქანდაკება მხვნელ-მთესველისა არ გამიკეთებია, ამიტომაც განსაკუთრებით ვჩქარობდი მიმეღო პრემიის ფული, ვღელავდი, ვნერვიულობდი, მაგრამ წარჩინებული თანამდებობის პირნი ჩემგან მოითხოვდნენ ცნობებს, მოწმობებს, სადღაც რეკავდნენ, ამის შემყურეს გული მეყინებოდა, ჟრუანტელი მივლიდა, მინდოდა სადმე გავქცეულიყავი, გადავკარგულიყავი; ბოლოს იქ, სადაც მხვნელ-მთესველთა სადიდებლად აღმართული იყო ანსამბლი, კომისია გაიგზავნა, მაგრამ ჩემდა შესაძრწუნებლად, ადგილზე ჩემი ქანდაკება „მხვნელ-მთესველი“ არ აღმოჩნდა, იყო მხოლოდ ცარიელი კვარცხლბეკი. სირცხვილისა და ბოღმა-ბრაზისაგან აცრემლებული ვყვიროდი, რომ ძეგლებს უნდა დაცვა-მეთქი და ყველას თვალებში ვჩრიდი გაზეთს, სადაც ჩემი გვარი წითელი ფანქრით მქონდა ხაზგასმული, მაგრამ ხელისმოძრაობით გაზეთს თვალიდან იცილებდნენ სიტყვებით, — ნუ ხმაურობთ, მოქალაქე, გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობას ჩვენ კიდევ შევამოწმებთ, გვინახავს არა ერთი და ორი თქვენისთანა ლაურეატი. ამრიგად, ვერ ვეღირსე რა ერთ შაურსაც კი ჩემი კუთვნილი ხუთი ათასი მანეთიდან, მე შიშისა და წყენისაგან შეძრწუნებულს გამომეღვიძა, გარეთ, ფანჯრის იქით, ისევ ბნელოდა. ჩანს, დიდხანს არ მძინებია, მაგრამ ესეც საკმაო აღმოჩნდა, რომ გამოვფხიზლებულიყავი. მივედი კართან და კონვერტი ავიღე.

ბარათი ბებიისაგან იყო, სოფლიდან გამოგზავნილი. „შვილო ლადო! — მწერდა ბებია, — რამდენი ხანია ჩვენთან არ ჩამოსულხარ. მეშინია, იქნებ აწი ვერასოდეს ვერ გნახო, ჩამოდი, ბიჭო, თუ შენთვის კიდევ ძვირფასია ბაბუაშენის ხსოვნა. გევედრები, ღვთის გულისათვის, დაუყოვნებლივ ჩამოდი, აქ დიდი სიცხეებია, მაგრამ რძე და ლობიო თავზე საყრელი გვაქვს. თუ ძალიან მოუცლელი არა ხარ, ნუ დაგეზარება, ჩამოდი, გაახარე ბებიაშენი. ერთხანს ძალიან გიყვარდა ჩვენთან სტუმრობა. ახლა რა დაგემართა, რატომ დაგვივიწყე, შე კაი კაცო! ჩვენს სოფელში ბევრი რამ არის ახალი! წითურმა სიმონამ ახალი კანტორა და კლუბი ააგო, ეპიფანემ წყაროცემენტით გადახურა. სნეული ოლია, იქნება გახსოვდეს, შარშან წინ რომ დამბლა დაეცა... ახლა ამ უბედურს სახლკარი დაეწვა. ეგონათ ფულის გულისათვის ვიღაც უკუღმართმა ცეცხლი წაუკიდაო, მაგრამ არა, ბალიშის ყურში უნახეს ნახევრად დამპალ-დაფერფლილი ქაღალდის ფულები. ასე შვილო, თუ კიდევ გინდა ცოცხალი მნახო, თუ სინდისი გაქვს, ჩამოდი. როგორც კი გამახსენდები, ვტირი, სულ ვტირი მე თვალებდასავსები, რამდენიმე დღით მაინც გვინახულე. გკოცნი უთვალავჯერ, გკოცნი, ბიჭო, გენაცვალოს ბებიაშენი თებრო“.

...ჩვენი სახლი ზედ მზის გულზე, ოთხ ვებერთელა ცაცხვს შუა იდგა და ამიტომ თითქოს ჩაყვინთული იყო თბილ სურნელში და ფუტკრების განუწყვეტელი ზუზუნ-ბუბუნი არ ცხრებოდა დილიდან საღამომდე. მზით გამთბარი სახლი ჰგავდა დიდ დამტკბარ სკას. მაგრამ ეს სკა რაღაცით დაავადებული იყო, თანდათან ცარიელდებოდა და ბოლოს შინ, სკაში არავინ დარჩა, გარდა ერთადერთი მუშა ფუტკრისა. აქაური აღათების და წესჩვეულებათა შემნახველი და დამცველი, იგი, შავად მოსილი სულ ძიდი-მოდის ოთახებში, კარიდან კარში, გამოდის აივანზე, გამოდის ეზოში, მიიჩქარის ბოსელში, საქათმეში და მიფრინავს ისევ სახლისაკენ... კარიდან კარში... აცხუნებს მზე, ზუზუნებენ ფუტკრები. და სახლიც დგას ზედ მზის გულზე, როგორც მიტოვებული სკა.

ოთხი წელიწადია სოფელში აღარ ვყოფილვარ, მას მერე, რაც დედაჩემი გათხოვდა და როცა ეს ბებიაჩემმა შეიტყო, მყივანა მკვახე ხმით შეიცხადა: „ეს რა ქმნა ამ ქარაფშუტამ, რა მოუთმენელი დაემართა, სიბერის წლებში მეორე ქმარი დაისვაო“.

ბებია იშვიათად მწერდა. მხოლოდ შემოდგომაზე რომელიმე ჩვენი სოფლელის ხელით მიგზავნიდა ხილს და ტიკ-

ჭორით ღვინოს. მაგრამ არასოდეს მისი წერილი არ ყოფილა ასე მგრძნობიარე და ალერსიანი; რაც შეეხება სიტყვებს — „როცა გამახსენდები, ვტირი, სულ ვტირიო“ — ამ სიტყვებმა ჩამაფიქრეს, ინდიელთა ტომის ბელადის სახის მჭონე ამ მოხუც დედაკაცს ვერ წარმოიდგენდით ატირებულს, მას არ უტირია, როცა ფრონტიდან უფროსი ვაჟის დაღუპვის ცნობა მიიღო, არც მაშინ, როცა სვანეთის მთებში მამაჩემის გადაჩეხვის ამბავი გაიგო, თვალებიდან ერთი კურცხალის გადმოუგდებლად მოთქვამდა დაღუპულ ქმარზე, მხოლოდ დამჭკნარი პირისახე გაუხდა რაღაც საშინელი, შემზარავი, გაბრდღვნილი დედა-არწივის თავს დაემსგავსა. ...ეჰე-ე, — გამიელვა თავში, ბებია რაღაცას ეშმაკობს. საინტერესოა, რად დავსჭირდი ასე სასწრაფოდ და მოულოდნელად. იქნებ ეშინია, რომ ორიოდე დღის სიცოცხლეღა დარჩაო.

— ბუხუტი, — გავძახე ჩემს მეზობელს... ბუხუტი!

— ჯანდაბას შენი თავი — ჩახლეჩილი ხმით გამომეხმაურა.

— ერთ თუმანს ვერ მასესხებ?

— აი შენ ერთი თუმანი, — ხმაზე შევატყე, რომ მიჩვენა სამი თითის კომბინაცია.

— გეყოფა! ნუ ბუზღუნებ!

— იბუზღუნებ მარა, კაცს ძილს არ მაცლი.

—მართა წავიდა?

— არ წასულა, ახლა მიდის. შენ კი სადღა მიგეჩქარება ამ შუაღამისას? რომელი საათია?

— ოთხის ნახევარია. უკვე ინათა.

— ინათა, სულელო... შენ, ვაჟბატონო, არ მუშაობ, ოჯახზე გარჯით და ზრუნვით თავს არ იწუხებ. მე კი ექვს საათზე ფეხზე უნდა ვიდგე.

— კარგი, გეყოფა! გამიბა ამანაც სჯა-ბაასი.

— მაშ ესეც ასე... მივდივარ სოფელში, დავისვენებ.

მომბეზრდა ამ მშიერ კუპეზე წანწალი... ჩავალ სოფელში, შევექცევი ლობიოს და რძეს, და აწი ხელს არ მოვკიდებ საფლავის ძეგლებს. პირდაპირ გულზე მომეშვა. ბრძენი ხარ, ბრძენი, ბებიაჩემო! სწორედ დროზე მომეშველე.

დილით ავტობაზის ეზოში შევიარე, ბუხუტი დამპირდა, შოფრებში ათიოდე მანეთს გიშოვნიო. ის იდგა სარეცხელზე, მოძრავი წყლის მტვერით და ცისარტყელებით გარემოცული, ხელში შლანგს ატრიალებდა, ძლიერი წნევისაგან მთელი სიმძლავრით იფანტებოდა ცამდე ვერცხლისფერი ჭავლი. ბუხუტი მიღიმოდა თავისი სველი ღაჟღაჟა ტუჩებით. „როგორაა საქმე?“ ხელების ქნევით შევეკითხე, „რიგზეა!“ — მიპასუხა, მაგარი ჭავლი გადამავლო და გაიცინა, თითქოს ცერცვი დაბნეოდეს.

3.

ავტობუსი დასავლეთისაკენ ქართლის გახურებულ ველზე მიგელავდა. წინ ეგებებოდნენ სოფლები და ბორცვებზე ნაშენი სასაფლაოების ოაზისები ბაზილიკებით, უძველესი ქალაქი-მღვიმე, თითქმის დაშრეტილი მტკვარი, მაღალ ნაპირებს შუა მომწყვდეული: მერე მტკვარმა განზე გადაიწია, და ჩვენ გავიარეთ ქალაქი ხაშური, გუნებაში მივესალმე ხაშურის პედაგოგიურ საზოგადოებას, რომელიც ახლა ალბათ ქეიფსა და ლხინში ატარებს საზაფხულო არდადეგების უძვირფასეს ოქრო-დროს.

გზა მაღლა მთაზე მიცოცავს, ავტობუსის ღია სარკმელებში შემოიჭრა წიწვნარის სუნით გაჟღენთილი სისველე, გაიელვეს ნატიფი აქვარელების მსგავსმა ფიჭვებით დაჩრდილულმა მოყვითალო-მოლურჯო და ყაყაჩოებით დაწინწკლულმა კორდებმა. კლდის გაგრძელებად ამოიმართა სურამის ციხის რომანტიკული დეკორაცია. ავტობუსმა ზიგზაგებით იწყო მაღლა ასვლა, მისწვდა რიკოთის დანისლულ მიდამოს და დამრეცად დაეჭანა გზატკეცილზე. ჩვენ უკვე იმერეთში ვიყავით.

ორი საათის შემდეგ, უკან მიმავალი

სატვირთო ავტომანქანით, მხიარულ ხნიერ ქალებთან ერთად, მივქროდი, მივიჩქაროდი ჩვენებთან, მთის სოფელში და უცებ, მორიგ მოსახვევს იქით, ფერდობებზე გადაიშალნენ ლურჯი ზვრები, წითლად აკიაფდნენ კრამიტის სახურავები დაჩრდილულ ბაღებში, ხოლო უფრო ქვემოთ ჩაის მუქმწვანე პლანტაციები, როგორც ტალღები მიმოქცევისას, ისე შემოფენოდნენ დაბლობებს. სანამ ჩემს სახლამდე მივაღწევდი, მთებზე მწუხრი ჩამოწვა. არავინ შემხვედრია. აივანზე ენთო ელექტრონათურა, ბინდბუნდში იმდენად მკრთალი, რომ ჩანდა ვოლფრამის ყვითელი ნახევარწრე. გავიხადე ხალათი, ფეხსაცმელი, ჩავედი ეზოში და მივჯექი მერხზე, ცაცხვის ქვეშ. ცემენტის მრგვალი მაგიდა ჩემს წინ მოფენილი იყო ცაცხვის ყვავილებით. ცაცხვის სუნი ნაზად და ალერსიანად შეეხო ჩემს ყნოსვას.

ბებია ბოსლის მხრიდან გამოჩნდა. მოდიოდა ფრთხილად, წინ გამოშვერილ ხელებში, ალბათ რძით სავსე ჭურჭელი ეჭირა. მეტად მარტოხელა და ობოლი მეჩვენა. მე უხმოდ გავყევი მის კვალს და როგორც კი აივანზე ავიდა, ჭურჭელი მოაჯირზე დადგა, უკნიდან მივეპარე და მოვეხვიე. მოხუცმა შეყვირა, მაგრამ იქვე დაინახა თუ არა ჩემი ჩემოდანი და სკამზე მიგდებული თეთრი ხალათი, გაიცინა.

— მაშ, ჩამოდი, არა?

— როგორც ხედავ.

— დაიხარე, უნდა გაკოცო. შენ რა, ბიჭო, არ ამთავრებ ზრდას! ბაბუაშენს დამსგავსებიხარ. მადლობა მომიხსენებია, რომ ჩამოხვედი. ასე მალე არ გელოდი. ალბათ, ცუღლუტობდი, არაფერს აკეთებდი ქალაქში!

— რატომ ვცუღლუტობდი, ბატონო, — ამოვიღე ხმა გაუბედავად.

— კარგი, კარგი... ამას თავი დავანებოთ. აბა, დადექ ნათურის ქვეშ. მინდა შეგათვალიერო. ჯიუტი ხარ, ბიჭო, ჯიუტი, ხედავს მამა ზეციერი, ჩემზე უფრო ჯიუტი დადექი. ვერაფერს ვხედავ... გამხდარხარ... — ნელა ლაპარაკობდა მოხუცი, თან გულისტკივილით და დარდიანად მიყურებდა სახეში, ოხ, შვილო, ჩემო ბიჭიკო, რაგორ ცხოვრობ მარტო, უპატრონოდ, ვინ გაჭმევს, ვინ გირეცხავს, აგერ ხალათი კი თეთრად გიქათქათებს.

— ქვეყანაზე ცოტა როდი არიან კეთილი ქალები, —იდუმალი პასუხი გავეცი მე.

— შენ მაგეებს თავი დაანებე, იმხელა ქალაქში ჩიტირეკია გოგოებს რა გამოლევს. ვინმე გადაგეკიდება და...

ბებია კიდევ დიდხანს მათვალიერებდა, ჰკუას მარიგებდა, მაფრთხილებდა და საუბარსა და საუბარს შუა ბუხარში ცეცხლს აღვივებდა, ან ცომს ზელდა სახაჭაპურედ. მერე ცოტახნით ოთახიდან გავიდა და ღვინით სავსე დოქი შემოიტანა. შეუმჩნეველად, თითქოს თავის თავად სუფრა სავახშმოდ გაწყობილი აღმოჩნდა. ავიღე ცხელი ხაჭაპური, შუაზე გავხლიჩე და ნერწყვის ყლაპვით სულს ვუბერავდი იქიდან გადმოღვრილ გალღობილ ყველს; ცოტა კიდევ უნდა მომეცადა, მაგრამ ვერ მოვითმინე, წავკბიჩე და ტუჩი დავიწვი.

— ნუ ჩქარობ... — ბებიამ ცივი ღვინით სავსე ჭიქა ჩემკენ მოსწია, — აბა, შესვი!

— უფ! — ჭიქა დავცალე, სული მოვითქვი, — კარგი ღვინოა.

—მარტო მელა მაქვს კარგი ღვინო.

— შენი ჯანმრთელობისა შევსვათ და ჩემი ჩამოსვლისა!

— შენი კარგადყოფნის სადღეგრძელო დავლიოთ, შენი ჯანმრთელობისა, — ვთქვი და ჭიქა ისევ გავავსე.

—იცოცხლე, შვილო. ჯანმრთელობა კი არა, შეიძლებოდა აღარც დაგხვედროდი. მალე ოთხმოცი წლის გავხდები. დავიძინებ და ვეღარ გავიღვიძებ. შენ კი ამას ანგარიშს არ უწევ! წყენია ხარ, ფხუკიანი, რა გაწყენინე?

— ბებია!

— ბებია რომ ვარ შენი, კარგად ვიცი, შენ კი დაგავიწყდი. ეს სამი წელიწადია ფეხი არ დაგიდგამს ამ კარმიღამოში; რატომ? გული გატკინე, გაწყენი-

ნე? როგორც ჩემი ღვიძლი ქალიშვილი, ისე მიმაჩნდა, ამიტომ იყო, რომ ასე მწარედ მომხვდა გულზე მისი საქციელი... ეჰ, ღმერთი იყოს მისი შემწე, შენ მაინც თუ გეხმარება, — მკითხა ბებიამ. დედაჩემზე ლაპარაკობდა.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვუსხედით სუფრას. ხაჭაპურიც გაცივდა. დოქიც თითქმის დაიცალა. სიცილით, დანაოჭებულ სახეზე ღიმმორეული ისმენდა ბებია ჩემს მონაყოლს ბუხუტიზე, მის დობილებზე, სახელგანთქმულ გამრეკელზე, თბილისელთა ყოფაცხოვრებაზე.

— ფულს როგორ და სად შოულობ, ბიჭო? რით გაგაქვს თავი, ბინის ქირას რითი იხდი? — მაწყვეტინებდა თხრობას ბებია.

— როგორ გითხრა, შეკვეთებს ვღებულობ სხვადასხვა პირებისაგან, — გაურკვევლად განვაგრძე და უცებ დავძინე, — სწორედ ახლახანს „ჯამბაზები“ გავყიდე.

— რა გაყიდე?

— „ჯამბაზები“... ისეთი პაწია სტატუეტი გავაკეთე, ორი ფიგურა: ერთი დგას მეორის თავზე.

— როგორ და რა ფასად გაყიდე? ბაზარში დაატარებდი, თუ...

— რატომ ბაზარში! თბილისში არის სპეციალური მაღაზია — სურათებით და ჭანდაკებებით ვაჭრობს. იქ მივიტანე და გამყიდველმა გამისაღა.

—კარგ ფასად გაყიდეს?

— სამას მანეთად.

— სამას მანეთად? — შესძახა ბებიამ, სამას მანეთად ძველი ფულით?

— არა, ახალი ფულით.

— ახალით? მაშ შენ სიმონთან ვერ მორიგებულხარ!

— ვინ სიმონთან?

— წითურ სიმონთან, ჩვენს თავმჯდომარესთან.

—აბა რაზე უნდა მოვურიგდე?

— რაზე? მომითმინე, ახლავე ყველაფერს აგიხსნი და გაგაგებინებ. ლადო, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, სიმონს საქმე აქვს შენთან, რაღაცაზე უნდა მოგელაპარაკოს, გასულ კვირას კაცი მომიგზავნა: დეიდა თებროო, თუ შეგიძლია, შემოიარე ჩემთან კანტორაში, თუ არ შეგიძლია, მაშინ მე თვითონ გეახლები სალამოზე, მაგრამ სჯობია შენ მინახულოო. კარგი საქმეა და შენთვისაც ხელსაყრელიო, და ბებიამ დიდი და საჩვენებელი თითების მსუბუქი შეხებით ტუჩების კიდეები მოიწმინდა და გატაცებით განაგრძო: შენ ჩემი ხასიათი იცი, ვუცადე სრულ დაღამებამდე და არ დავწევი მანამდე, სანამ ბაღში მისმა წითურმა სახემ არ შემოანათა. მოვიდა. „გამარჯობა, დეიდა თებროო“... — „გაგიმარჯოს“. — „ბოდიში, რომ დავაგვიანე!“ „არაფერია, — ვეუბნები, — ნუ ბოდიშობ, შენ დასაქმებული კაცი ხარ, მოუცლელი, მე კი ჩემს ბებრულ ასაკში სამ საათზე მეტი ძილი არ მეპატიება, ცოდვაა“.

მერე სიმონი მოყვა აქეთურ-იქითურს, სულ მეკითხებოდა ხომ არაფერი გჭირდება მეურნეობაშიო. ჭერი შეათვალიერა, დაინტერესდა სახურავითაც, სხვენზე ასვლაც მოინდომა, ძლივსძლივობით შევაკავე. გულითადი კაცია, იშვიათი, კეთილი ხასიათისა. ეს შენც კარგად იცი. მერე იტრიალა ამ მაგიდის გარშემო, თითქოს თავს უხერხულად გრძნობდა, თითქოს რაღაცით შეცბუნებული იყო. მე, რა თქმა უნდა, ღვინო მოვიტანე, ათასნაირი ხილეულიც, მე, მართალია, მარტოხელა დედაკაცი ვარ, მაინც არავის ჩამოვურჩები, ყველაფერი მაქვს, როგორც შეძლებულ ოჯახს შეეფერება, ყურძენი შარშანდელი მოსავლის მჭონდა, ღვინო, შენ თვითონ გასინჯე მისი გემო, როგორია? კარგია ხომ? იმაზე ნაკლები არ არის, ბაბუაშენი რომ აყენებდა, ხომ?

— არაა იმაზე ნაკლები, — ვთქვი და ნელნელა მოვწრუპე ძელგი საფერავი.

— სწორედ ასეა, — და ბებიამ თავმომწონედ თავი დამიქნია, კმაყოფილი, გამოცოცხლებული თვალებით შემომხედა და განაგრძო: — სიმონამ ცოტაოდენი ამოიქშინა და მითხრა: დეიდა თებრო, ამბობენ, შენი შვილიშვილი მოქანდაკეაო, — სწორია, ვეუბნები. ამ ხელობის აკადემია დაამთავრა-თქო, ახ-

ლა ქალაქში ცხოვრობს-თქო. ვნანობ, რომ მაშინ არ ვიცოდი, რომ შენს პაწია ფიგურებს სამას მანეთად ყიდდი. თითო ცალს. — მე საქმე მაქვს შენს შვილიშვილთან, მოპატიჟება მინდა მისი, — სწორედ ასე მითხრა, მოპატიჟება მინდაო. — სამუშაო უნდა დავუკვეთოო, ფული უკვე მაქვს გადადებული, გადაწყვეტილებაც მიღებულიაო. როგორ მირჩევ, ხომ არ გავუგზავნო გამგეობის სახელით ბეჭედდარტყმული მოსაწვევი ქაღალდიო. — აბა რათ უნდა მას შენი ბეჭედდასმული ქაღალდი-მეთქი. მე ჩემი შვილიშვილისთვის ბეჭედიცა ვარ და გამგეობაც-მეთქი. ამ სიტყვებზე სიმონს ჩაეცინა: — რამდენი წელიწადია, ჩემი შვილები ათასგვარი შეპირებებით სოფელში ერთხელაც ვერ შემოვიტყუე, რამდენი ხანია შენი შვილიშვილიც აქ არავის უნახავსო. მართლაც, სიმონის ნაშიერი ყველა ქალაქს გადაბარგდა: უშანგი ქუთაისშია, ორი უფროსი ვაჟი ჭიათურაში, შარშან წინ მისი ქალიშვილიც გათხოვდა, ამბობენ უილბლოდო. ზესტაფონში კურსებზე სწავლობდა, იქ ვიღაც არტისტი გადაკიდებია, სოხუმში წაუყვანია... ეს არაფერია, რომ ამდენ ხანს არ ჩამოსულა ჩემი ლადო-თქო, აკი მწერდი, მოუცლელი ვარ, ერთი დღეც მოსვენება არა მაქვსო. აბა უცხო კაცს ხომ ვერ ვეტყოდი, ვინ, სად და როგორ, მაგრამ იცოდე-მეთქი, თუ ჩემმა წერილმა ლადოზე არ გაჭრა და არ ჩამოვიდა, გირჩევ შენს განზრახვაზე ხელი აიღო, ჩანს ლადოს აქ მილიციითაც ვერ ჩამოიყვან-მეთქი. ერთი სიტყვით, შვილო, სიმონს შენთან სალაპარაკოც აქვს, უნდა სამუშაო დაგიკვეთოს, მაგრამ იმდენი ფული, შენ რომ ამბობ, არა მგონია, სიმონს ჰქონდეს.

— საინტერესოა, რა სამუშაო უნდა დამიკვეთოს?

— აბა, რა ვიცი, ამაზე თვითონ არაფერი უთქვამს. მართალი გითხრა, არც მე მიფიქრია.

— სიმონს დედმამა ცოცხალი ჰყავს? — ცოტა არ იყოს, შეშფოთებული კილოთი ვკითხე ბებიას.

— ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მათ სულს! რატომ მეკითხები ამას?

— იქნებ სურს საფლავზე ძეგლი დაუდგას?

— იჰ, — გაოცებისაგან ბებიას თვალები დაუმრგვალდა, — ძეგლიო? ამას კი ვერასოდეს, ვერ მოვიფიქრებდი. ესეც შენი წითური სიმონი! მაგრამ მთელ მის სიცოცხლეში სულ მამას ეჩხუბებოდა, განკულაკებას უპირებდა, არტელი რომ წამოიწყეს, კიდამ კუბოში უკრა თავი, და ახლა ძეგლს დაუდგამს?!... ან იქნებ სურს მამის წინაშე თავისი ცოდვები მოინანიოს?

და ბებიამ პირჯვარი გადაიწერა. — მისულიყავი, შე კაცო, ხვალ დილით და ყველაფერს გაიგებდი.

— კეთილი და პატიოსანი, ხვალ უთუოდ მივალ სიმონთან, — ბებიამ ლოგინი გამიშალა პატარა საწოლ ოთახში. კედლებზე შპალერი გახუნებულიყო. განივ საწოლს ზემოთ ხალიჩა ეკიდა: ვებერთელა ფაფარაყრილ ლომს თათი მაღლა აღემართა და კბილებს მრისხანედ აკრაჭუნებდა. საწოლზე დავეეცი, თვალები მოვჭუტე და ბალიშში ჩავრგე თავი.

ოთხი დღე გავიდა, ვიდრე კოლმეურნეობაში, წითურ სიმონთან მისვლას დავაპირებდი. ბებიაჩემიც დიდად არ მაჩქარებდა, მოსწონდა კიდეც ჩემი დარბაისლური სიდინჯე.

მეხუთე დღეს გავუდექი გზას. იგი გადიოდა მთელს ჩვენს დიდ სოფელზე; ძალიან ლამაზიც იყო, მაგრამ მოულოდნელად ჩემთვის გადაიქცა დაბრ-

ბიბლიოთეკა

კოლებებით აღსავსე ურთულეს ზოლად, და ჩემი სვლაც ამ ზოლში დაემსგავსა რეგბის ან ჩვენებურ გურულ „ლელოს“. თითქმის ყოველ სახლთან, ყოველ ჭიშკართან მაჩერებდნენ, მეხვეოდნენ, გულში მიკრავდნენ... დაკოჟრილი, კორძიანი ხელების მეგობრული დარტყმები... გზის დასასრულს ისე ვიყავი დაკოცნილ-ნაამბორები, ვითარცა წმინდა გიორგის ხატი ჩვენი სოფლის ეკლესიაში. კიდევ კარგი, რომ მთელ ამ გრძელ გზაზე მეყო კეთილგონიერება უარი მეთქვა შემოთავაზებულ ღვინოზე, თორემ ადვილად წარმოსადგენია, რა სახით მიმიტანდნენ კოლმეურნეობის გამგეობაში. გავიტანჯე კი, მაგრამ ამასთან თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. არ მოველოდი, არც ვიფიქრებდი, თუ ჩემი ჩამოსვლა ვინმეს სიხარულს მოუტანდა. მართალია, მე ამ სოფელში გავიზარდე და იმ პირთა მეტი ნაწილი, ვინც მე მეხვეოდა, გულში მიკრავდა, ნათესავები იყვნენ, ვინ მამის ბიძაშვილად, ან მამიდაშვილად მომხვდებოდა, ვინ გარეშე ბიძაშვილებად და უფრო შორეულ ნათესავად, ხოლო დანარჩენები? — დანარჩენები იყვნენ მეზობლები, თანასოფლელები, რომლებსაც უბრალოდ უხაროდათ, რომ სამი წლის შემდეგ სოფელში ჩამოსული მნახეს და სულიერი გულუხვობისაგან მეფერებოდნენ, მიღიმოდნენ, შემომცინოდნენ, ზურგზე და მხრებზე ხელებს მითათუნებდნენ და მეკითხებოდნენ: როგორ ხარ, ლადო, რას აკეთებ ქალაქში, სულ დაგვივიწყე, შე უნამუსო, აბა, პირდაპირ შემომხედე სახეში, შენი ურცხვი თვალებით... გრძნობის მოზღვავებისაგან ვწითლდებოდი და ვკოცნიდი ღაჟღაჟა ლოყებს, სველ ულვაშებს, ღიმმორეულ ტუჩებს, ბავშვების თავებს, მჩხვლეტავი ჯაგრით შემოსილ ლოყებს, მთელ ამ მოხარხარე, გულკეთილ კალეიდოსკოპს — ბიძია ვანოს, ბიცოლა ვასასის, მარგოს, ლამარას, ლიზას, ბებია ანეტას. ეს ვინღაა? ხოხო, ბაბუა იპოლიტე! — უკვე დროა ცოლშვილს მოეკიდო! ეს კი კოტეა ციალათი.. გამარჯვება, ლევან! აქვე ვხედავ მრავალშვილიან სომხურ ოჯახს, შავ-ტუხა პაწია სოფოჩკადან ჩემს ძმობილ ლამაზ მიტომდე, გამოუკლებლივ. აგერ, ჩემი ნათლია ლაზარე — ცოლმა ოთხი გოგოს შობით გაახარა, ახლაც ფეხმძიმედაა და ლაზარე დაბანდალობს არც მკვდარი და არც ცოცხალი: „კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა, ლაზარე, მეხუთე აუცილებლად ბიჭი იქნება“, ეხ, ნეტავი გავჩუმებულიყავი მაშინ.

ბოლოს სოფელი ჩავათავე, და დაბლა მთის ძირში დავინახე მოასფალტებული მოედანი, და იქვე სკვერი, — ოდესღაც იქ ხშირი ტყე იყო. სკვერში, გამგეობის ძველი ფიცრული ოდის გვერდით, იდგა ახალი ქვიტკირის სახლი, ორივ ერთმანეთის გვერდით გამოდგებოდა თვალსაჩინო დამხმარე ხელსაწყოდ სემინარისათვის თემაზე: „კოლმეურნეობათა მატერიალური ბაზის განმტკიცება — ჩვენი წინსვლის საწინდარია“.

გზას გადავუხვიე, ბილიკით ქვევით ჩავირბინე და აღმოვჩნდი მოედანზე, რომელსაც სამი მხრით გარს ერტყა სხვადასხვა ხნოვანების ნაგებობანი. ზღაპრულ უჩინარასავით გამჭირვალეს, მინით და ბეტონით ნაშენებ უსახო მაღაზიას მხარს უმშვენებდა თითქოს ცხოვლადხატული ქოხ-მახი, საიდანაც მოდიოდა ფქვილის მძიმე სუნი; ეს იყო ამ მხარეში ყველაზე უძველესი, მოფამფალებული ელექტროწისქვილი. აქვე იდგა ფინური სახლი ზერელედ შესრულებული წარწერით „ამბულატორია“, მის გვერდით — რაღაც მომცრო და მწვანე, რაც ერთი შეხედვით შეიძლებოდა ცოცხალ ფოთლიან შტოებისაგან შეკრულ კარვად მოგჩვენებოდათ, მაგრამ თუ ახლო დააკვირდებოდით, დაინახავდით, რომ ეს იყო ფეხსაცმლის ფიცრული სახელოსნო, ბრეზენტით შემოხლართული; ის იმდენად მჩატე შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ იფიქრებდით ქარის პირველივე დაბერვისთანავე ადგილს მოწყდება და შორს გაიქროლებსო, მაგრამ იგი ურყევად იდგა, ჰგავდა

არა ნაშენს, არამედ მცენარეს. გაცვეთილ-დახავსებულ ვერანდებიანი სახლების შუაგულში ჩადგმული იყო საფუძვლიანად ნაშენი, ბოძებზე შეყენებული გლეხური სახლი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოთავსებული იყო ჯერ რევკომი, მერე სასოფლო საბჭო და ახლა, როგორც მის შესასვლელ კარებს ზემოთ წავიკითხე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მოედანზე კიდევ ოციოდე სახლი იდგა ქვისა, კაზემატივით ნესტიანები, ზოგიც ფიცრული, მჩატე და მსუბუქი; აქ, ამ სახლებში თავი შეეფარებიათ — პურის სავაჭროს, რკინეულობის დუქანს, სასაუზმეს, აფთიაქს, საწყობებს, აბანოს; აქ იყო კიდევ ამართული სკოლის დიდი აგურის შენობა, ერთი-მეორეს დაშორებული ჯიხურები, სამი სადალაქო-საპარიკმახერო, რომელთაგან თვითეულს თავისი გუნება და ხასიათი ჰქონდა, — ერთი იყო ნათელი, თეთრად შეღებილი სუფთა კედლებით, განიერი სარკეებით, რომლებშიც საგნები და ფერები უფრო მკაფიოდ, მკვეთრად ჩანდნენ, ვიდრე სინამდვილეში. მეორე საპარიკმახერო, მუდამ თამბაქოს ბოლით იყო ავსებული და ჟურნალ „ეკრანის“ და „სოვეტსკაია ეკრანის“ გარეკანებით, ფეხბურთელთა ფოტოსურათებით აჭრელებული. ეს ულაზათო კედლები საბრალოდ და საცოდავად გამოიყურებოდა, როგორც სხვების გამონაცვალ ტანისამოსში მოკოხტავე სიღატაკე; მესამე სადალაქოც მეტად უცნაური იყო, თითქმის ყოველთვის კარგამოკეტილი, ის მოგაგონებდათ კონსპირატორთა შესახვედრ ბინებს დეტექტიური ფილმებიდან.

მეოთხე მხრიდან მოედანს ემიჯნებოდა სკვერი, რომელზედაც, ჩემდა გასაოცებლად, ჯერ კიდევ შორიდან აღმოვაჩინე წესიერად გაყვანილი ბილიკები და სწორ საზურგეებიანი კოხტა მერხები.

იმ შუადღის ჟამს მოედანი თითქმის უკაცრიელი იყო. ყველა სულდგმული გაერეკა აუტანელ სიცხეს. მთელი პაპანაქება თითქოს აქ იყო ჩაგუბებული, თითქოს ვიღაც უხილავს მოედნის თავზე უზარმაზარი ლუპა ეჭირა.

ჩრდილში, ძველ ელექტრობოძთან ერთმანეთს ჩუმად ესაუბრებოდა ორი კაცი: ტიკივით სახეშეშუპებული, მთელი თავისი გასიებული სხეულით თვითნაკეთებ პროტეზზე დაყრდნობილი, ცალფეხა ბრაკონიერი მაქსიმე და ბანჯგვლიან ქოფაკს დამსგავსებული ჯმუხი გლეხი, რომელშიც უმალვე სოფლის მეტყევე პარმენ ორდოქიანი გამოვიცანი. უთუოდ ისინი თათბირობდნენ იმაზე, თუ სად, ნაკრძალი ტყის რომელ კუთხეში მოეჭრა ხეები მაქსიმეს, ან დაეჭირა დინამიტით გაბრუებული თევზები, ისე, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულზე არ წასწრებოდა პარმენ ორდოქიანი ან სხვა უცხო პირი.

...მაქსიმეს რომ ორივე ფეხი ჰქონოდა, მაშინ სულ სხვა საუბარი გვექნებოდა. პარმენმა თავის საქმე ვაგლახად როდი იცის, ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ნადირობა ბრაკონიერზე, რომელიც პროტეზიან ცალ ფეხს ძლივს მიათრევს, აბა რა საკადრისია ისეთი კაცისათვის, როგორიც პარმენ ორდოქიანი გახლავს. სოფელში ბევრს და თვითონ პარმენსაც მიაჩნდა, რომ თუ მაქსიმე უფეხოდ დარჩა, ეს მხოლოდ და მხოლოდ — მისი პარმენის ბრალია. ოცდაათი წლის წინათ მაქსიმემ ის იყო დაიწყო ბრაკონიერის უილბლო კარიერა: ერთხელ, ზაფხულის საღამოს, როცა მაქსიმეს ტერფებს ქვეშ მდინარე ფიქრმორეული ხმაურით მიედინებოდა, მან ანთებული პაპიროსის ცეცხლი დინჯად შეახო დინამიტის კოჭის შნურს, მაგრამ ამ დროს რაღაც მოესმა, თუ უბრალოდ შეეშინდა — ეს მან შემდეგაც ვერ გაიხსენა, თითები როგორღაც მოუდუნდა, აუკანკალდა და, დაკარგა რა რეალობის შეგრძნების უნარი, დაინახა, რომ დინამიტის კოჭი ტრიალ-ტრიალით და ქვებ-

ზე ხტომით ქვევით მიექანებოდა... და როცა, ის იყო მაქსიმეს გაუელვა იმედმა წყალში ჩავარდებოდა, კოჭი ქვებში გაიჩხირა, მაქსიმეს კი ორი ნაბიჯის დაშორებით. იმ საღამოს მაქსიმემ სათევზაოდ თან წაიყვანა მეზობლის ბიჭები — მალხაზი და ნუგზარი (ექვსი წლის მერე ორივენი ფრონტზე დაიღუპნენ)... იმ საღამოს ისინი მკერდამდე წყალში იდგნენ, დინამიტით გაბრუებულ თევზების ამოტივტივებას უცდიდნენ და მათ საჭერად მომზადებულებს თავისი გამახვილებული მზერა გზიდან მაქსიმეზე გადაქონდათ. უცებ წყალს ზემოთ, ქვებში დაინახეს დინამიტის კოჭა. შიშისაგან არც შეუყვირიათ, არც აციეს, არც აცხელეს, უმალვე შევარდნენ ჩქერში და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ცურვით გაჰყვნენ მდინარებას.

მათ ზურგს უკან დაიქუხა და იმ ხმამ მთელი ხეობა გააყრუა; უკანასკნელ წამს მაქსიმემ ნაბიჯი გადადგა დინამიტის კოჭისკენ და გადაისროლა, მაგრამ, ის იყო, კოჭი მოწყდა ქარაფს, და ზონარი უკვე ბოლომდე დაიწვა. ქარაფი თითქმის არ დაზიანებულა, მხოლოდ კლდის ნამსხვრევები შხეფებივით აქეთიქით მიმოიფანტნენ, მაქსიმეს კი მოგლიჯა მთელი კიდური მუხლს ქვემოთ.

ჩანდა, თითქოს მთელ ამ ამბავში პარმენი არაფერ შუაში იყო. იმ დროს, როდესაც მთელ ხეობაში აფეთქებამ დაიგრიალა, პარმენი თავის მარანში იჯდა და მთელ იმერეთში სახელგანთქმულ ლოთთან, კასიანე მღვდელთან ერთად ცლიდა მეორე დოქს საფერავს, კიდევ ერთხელ ამართლებდა რა ამით შერქმეულ სახელს. თუმცა ეს არის ალიბი მხოლოდ იურიდიული: კოლექტივიზაციის პირველ წლებში, როცა წითურმა სიმონმა პარმენს სამეთვალყურეოდ კოლმეურნეობის ტყე და წყალსატევები გადასცა, მეტყევემ თავისი გულმოდგინებით შიშის ზარი დასცა თანასოფლელებს; იმ ავადმოსაგონებელ საღამოს ეპიფანეს წყაროს ახლო, თავის მარანში კი არა, სხვაგან, ვთქვათ, ჭუთაისში ყოფილიყო, მისი დაუდეგარი მშფოთვარე სული, სულ ერთია, მაინც იბორგებდა მშობლიურ ხეობებში. „ყველაფერი ეს ახლა საერთოა, გაიგე? ასე რომ, ვის პარავ შე გლახა? გამოდის, რომ თავის თავს პარავ, გაიგე, შე უტვინო“. აბა რა პასუხი უნდა გაეცათ ამ კითხვაზე? უნდა ითქვას, ამ უბედური ფათერაკის შემდეგ, პარმენ ორდოქიანი შესამჩნევად მოლბა, გულკეთილი გახდა. როცა სოფელში დაინახავდა საწყალ მაქსიმეს, მაშინ ჯერ კიდევ ძარღვმაგარ ხმელ ახალგაზრდას, რომელიც უხერხულად მოკინკლებდა შინ ნაკეთები პროტეზით, თავს ჩაიქნევდა, განშორებისას თვალს გააყოლებდა და თუ ვინმე ამ დროს მის გვერდით იყო, ეტყოდა: ერთი მიბრძანეთ, რამ დააფრთხო, რამ შეაშინა ასე, რომ დინამიტი ვერ დაიჭირა? კიდეც რომ წავსწრებოდი, მერე რა? მხეცი ვარ, ნადირი, თუ რა?..

მე ვფიქრობ, რომ ვერც ერთმა, ვინც ეს შემთხვევა მიამბო, ვერ გადმომცა ის ნოტა პროფესიული სიამაყისა, რომელიც, ალბათ, გაისმა პარმენის ხმის კილოში. ასეთი კაცი იყო იგი: მართალი, ოდნავ გონებაჩლუნგი, გარეგნობითაც და ხასიათითაც ბანჯგვლიან ნაგაზს დამსგავსებული... ან იქნებ ვცდები? ომის წლებში, როცა სოფელში ერთი მეორეზე განუწყვეტლად მოდიოდა ფრონტზე დაღუპვის ცნობები, პარმენ ორდოქიანი ნაკრძალ ტყეში თვითონ სჭრიდა ხეებს დაობლებული ოჯახების შეშით მოსამარაგებლად. ამავე განზრახვით კიდებდა ბადეებს და ანკესებს წყალში, ხოლო ომის მიწურულში, როცა თევზი მეტისმეტად დაფრთხა და თავის ლანდისაც კი ეშინოდა, პარმენი არ თაკილობდა დინამიტის კოჭებით ეარა სათევზაოდ მდინარეზე, რომელიც თვითონ პარმენის ომამდელი მეცადინეობით და მუყაითობით მთელი ოთხი წელიწადი კვებავდა სოფელს თევზეულით.

მოედანზე ვნახე კიდევ რამდენიმე ადამიანი. შემინულ მაღაზიასთან იდგნენ თითქმის ქალაქური შესახედაობის ახალგაზრდები, თვალებამდე ჩამოფხატული განიერი კეპის ქუდებით. ისინი

მომესალმნენ მოჩვენებითი გულმოწყალე თავაზიანობით, ძალდატანებული, ნაძალადევი თბილისური აქცენტით, რომლისგანაც ფრაზის ბოლოში ცოცხალი ზემოიმერული კილო გამოსჭვიოდა.

მომესალმა აგრეთვე შავადჩაცმული ორი მანდილოსანი, ორთავე დიდთვალებიანი და არაბუნებრივად ფერმკრთალნი ასეთ პაპანაქებაში, ერთი მათგანი იყო ოლღას დისწული, იმ მოხუცი ქალისა, რომლის საშინელ სიკვდილზე მწერდა ბებიაჩემი თავის უკანასკნელ წერილში.

მოსალმების ნიშნად თავი დამიქნია ერთმა სახეპირქუშმა, გაუპარსავმა გლეხმა, რომელიც მძიმედ დატვირთულ სახედარს მიერეკებოდა; გაღებული ფანჯრიდან თავაზიანი ღიმილით მომესალმა აფთიაქის პროვიზორი; და, იმ წუთში, როცა ჩრდილიან სკვერში შევაბიჯე და ჩემს გუნებაში ვთქვი, ამ მოედანზე თვით ჩემი თანასოფლელებიც კი ოფიციალურნი, ცივი და მეტისმეტად თავდაჭერილი ხდებიან-მეთქი, ვიღაცამ უკნიდან მკლავები მომხვია, ქშენით და ხმაურით ლოყები დამიკოცნა და ნიკაპზე მიჩქმიტა; როცა მის მკლავებს თავი დავაღწიე, დავინახე ჭაღარა, სანდომიანი, სვანურქუდიანი მოხუცი. უმალ ვიცანი ვინ იყო. ეს გახლდათ ბებიაჩემის ბიძაშვილი აფრასიონი. მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. დიდხანს ვეკითხებოდით ერთმანეთს ჩვენი მრავალრიცხოვანი ნათესაობის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ამბებს, ხანგრძლივად და მშვერმეტყველურად ვპატიჟებდით სტუმრად სახლში ერთი მეორეს: „თუ შენ, შენი ხელით ხვალვე არ შემოაღებ ჭიშკარს ჩემს ეზოში, იცოდე, სასტიკად მაწყენინებ“, „დაბეჯითებით ვერ გეტყვით, ხვალ მოვახერხებ თუ არა“, „ეს არ გამაგონო“, „რაღაც შვიდი კილომეტრი თუ იქნება, შე დალოცვილო, დილით ადრე წამოხვალ და სიგრილეში ნელ-ნელად ქე მოგვადგები კარზე“, „რა ლაპარაკი უნდა, შენს უნახავად ქალაქში არ წავალ“, „რაო? შენს უნახავადო?“ და ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ძლივ-ძლიობით შეხვედრაზე არ შევუთანხმდი და მკერდში ჩახუტებით არ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. წასვლისას კიდევ გამომძახა: „თებრონე, თებრონე... რას შვება, როგორ არის ჩემი საწყალი თებრონე“. მისი ლურჯი გიმნასტურიდან შინ მოყვანილი კარგი თამბაქოს, კოპწია ღარიბი სახლის და ფაქიზი მოხუცებულობის საამური სუნი მობერავდა.

როცა ათიოდე ნაბიჯით დამშორდა, უცებ გამახსენდა:

— ბაბუა აფრასიონ, შემთხვევით კანტორიდან ხომ არ მოდიხარ?

— კი, იქიდან.

— სიმონი იქ არის?

—წითური სიმონი?

— დიახ.

— თავის კანტორაშია, უჩქარე, თორემ სადღაც აპირებს წასვლას.

5.

სიმონ თორაძე ფანჯარასთან იდგა. გარეთ მძვინვარებდა და ძლივს სუნთქავდა იმერეთის გავარვარებული შუადღე. სიმონის სახის შემყურეს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ გარეთ რბილად და ნაზად ჩადის დაისის მეწამული მზე.

ფრანგი პოეტი აპოლინერი რომელიღაც ლამაზ ქალზე წერდა: მისი პირისახე იმეორებდა ფრანგული ალმის ფერებსო... სიმონის სახე კი მთლად წითელი იყო. მართალია, ძალიან ახლო დაკვირვებით ნათელი ხდებოდა (ისევე, როგორც ამას ვხედავთ პუანტილისტების სურათებზე), რომ ეს სიწითლე შედგენილია უამრავი წერტილებისაგან — ყვითელი, მოოქროსფერო, მოწითალო, ხასხასა წითელი, ღია მიხაკისფერი, მიხაკისფერი, მომიხაკისფერო და ვარდისფერის წერტილებით, რომლებიც, ურთიერთ შერწყმულნი ქმნიან იმდენად ცხოველს და ინტენსიურ ფერს, რომ მე, როგორც ადამიანს, რომელსაც დამოკიდებულება აქვს მხატვრობასთან, ხელოვნებასთან, არ შემეძლო გულგრილად მეცქირა მისთვის; რაკი სიტყვა მის გა-

რეგნობაზე ჩამოვარდა, ვიტყვი იმასაც, რომ სიმონი იყო მაღალ-მაღალი, ზორზოხი, თმაწითური, სახის მსხვილი ნაკვთებით, რომელიც ალაგ-ალაგ დამახინჯებული ჰქონდა ნაიარევით. მისი მეტსახელი — წითურა სიმონი, მასზე ისე მჭიდროდ მისადაგებული, თითქოს დაბადებიდანვე დარქმეოდეს, აიხსნებოდა არა მხოლოდ გარეგნობით, — იგი იყო პირველი წითელი კაცი სოფელში: პირველი ბოლშევიკი, რევკომის პირველი თავმჯდომარე და ბოლოს დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი კოლმეურნეობისა, რომელსაც ჩვენში ძველებურად **არტელს უწოდებდნენ**.

როცა მე შევედი მის კაბინეტში — გამგეობის ახალ შენობაში, სიმონი ფანჯარასთან იდგა და ფანჯრების წინ ამართულ ხეებში რაღაცას მიშტერებოდა. ჩემი შესვლის ხმაურზე არ შემობრუნებულა, ისე დაბნეულად დაიძახა: „შემოდი, შემოდიო“, მერე ხელისკვრით ფანჯარა ფართოდ გააღო და როგორც აჩქარებულ ფაცა-ფუცში ხდება ხოლმე, ხმამაღლა დაიყვირა: „პავლია, პავლია, ხელებს დაგამტვრევ, შე საზიზღარო, არ გაბედო!“ მერე თვალი აადევნა-გააყოლა პავლიას, და, ჩანდა მისი მორჩილებით კმაყოფილმა, წაიბუტბუტა: ასე, ასე, შე ვაბურძგვნილო ჭინკავ!

— რა უნდა უქნა მაგ ოხრებს, ა? მაგენიც მონადირეები არიან რაღა! ყაჩაღების ნაშიერები, — მითხრა მე და მოშცინარი თვალებით შემომხედა, — საიდანღაც გადმოკარგული ციყვი შემოგვეჩვია. დღეს მესამედ დავინახე, ამ ხეებსა და ხეებს შუა ხტოდა. ეს ბრიყვი პავლია კი მაშინვე თოფს ეცა. გაზეთიდან ხარ? — შემეკითხა.

მე მედიდურად შევკრიბე შუბლზე ნაოჭები, ხელი გავუწოდე, თავი წარვუდგინე.

— ლადო ინაშვილი, მოქანდაკე.

ამ სიტყვების გაგონებაზე მესროლა ერთი ხანმოკლე შემოხედვა, იმდენად ხანმოკლე, რომ ვერ შევძელი მისი გაშიფრა. მე მხოლოდ მომეჩვენა, რომ მასში, და ამ შემოხედვის ჯერ კიდევ ჩაუმქრალ მხიარულ ღიმილში გამოჩნდა. ის ცნობისმოყვარეობა და დაძაბულობა, რომლებიც ჩვეულებრივ წინ უსწრებს ადამიანთა შორის ვაჭრობას. მართალია, მე არასოდეს არ გამიმართავს ვაჭრობა დამკვეთებთან, ამიტომ იყო, რომ ცნობისმოყვარეობას და დაძაბულობის გამოსახულებას დამკვეთთა სახეებზე ძალიან მალე ცვლიდა თვალების კმაყოფილი გასხივოსნება და თავისი უპირატესობის შეცნობის უწყინარი ღიმილი.

— მაშ, ჩამოდი, არა! დაჯექით, აგერ აქ დაბრძანდით, შენთან ერთი საქმე მაქვს, — სიმონმა მაგიდის წინ თავის სკამზე დამსვა, თვითონ ბოლთის ცემა დაიწყო. გზადაგზა შემომხედავს ხოლმე და გაცხოველებულ სჯა-ბაასს იწყებს.

— უნდა გითხრათ, რომ ბებიაშენი მაგარი დედაკაცია, ხომ მართალს ვამბობ? გადაეცი, — სიმონმა ორივე ხელი მაღლა ასწია და თქვა, — გნებდებითქო. აი შენ ჩამოდი, არა? — ჩემს ვაჟბატონებს კი ქამანდით ვერ ჩამოიყვან, ჰო, ასეა ჩემი საქმე. ეხ, ღმერთმა კარგად ამყოფოთ. ნუ მიწყენ, პირველად ვერ გიცანი, ჩემს უშანგისთან, მგონი, მეგობრობა არ გქონია. თავიდანვე ვერ შეეწყვეთ... რომ დაგინახე, ვიფიქრე, — ეს კაცი ალბათ გაზეთიდანაა გამოგზავნილი, და ვევარაუდობდი საიდან უნდა იყოს-მეთქი — ქუთაისიდან? გარეგნობის მიხედვით თითქოს უფრო თბილისიდან. არც იქიდან, არც აქედან, თურმე ჩვენებური ხარ, ჩვენი ლევანის ვაჟი. ესეც შენი თებრონეს ვაჟკაცობა! მაშ, მიდი და გადაეცი, უთხარი წითურმა სიმონმა ორივე ხელი მაღლა ასწია და შემოგითვალა — გნებდები, გამარჯვებული შენ გამოხვედი-თქო, ხა-ხა-ხა! — აი... — სიმონი გაჩუმდა და შემომხედა. ახლა მის შემოხედვაში ცნობისმოყვარეობას ცვლიდა დაძაბული ყურადღება, — აი რა მოგახსენო. საქმე მაქვს შენთან, როგორც იტყვიან, სალაპარაკო საქმე... ასეთი ამბავია: წამოვიწყე აქ სხვადასხვა სიახლენი, გარდაქმნანი, თუ გაუმჯობესებანი, არ ვიცი, რა დავარქ-

ვა. ერთი სიტყვით, მინდა შნო და ლაზათი მივცე აქაურობას, ისე, რომ კაცს ესიამოვნებოდეს აქ ცხოვრება. ჩვენი ახალი კლუბი ხომ ნახე? არა? ნახე, უსათუოდ ნახე, კარგი კლუბია! კანტორაზე რას იტყვი, გამგეობაზე, მოგწონს?

— ვხედავ. თქვენს გემოვნებას რამდენადმე ისტორიული განხრა აქვს, — ვთქვი მე, — კლუბი ისეა აგებული როგორც ტაძარი, გამგეობის კანტორის შენობა — წერეთლის სასახლის ასლია.

— ოხ-ოხ-ხო! — ხმაჩახლეჩით გაიცინა სიმონმა, — ზუსტად ასეა, — მე თვითონ ვუთხარი ლუკას — ფასადზე თაღებიანი კოლონადა გამიკეთე-მეთქი. ეს გაქნილი კვაჭი ლუკა გამებუტა, მითხრა, შენც წერეთელი ხარ თუ? ხედავ — სად გადამკრა! ვეკითხები — რით ხარ თუნდაც შენ წერეთელზე ნაკლები-მეთქი.

— რისთვის ააგეთ ამ მოედანზე ასე ვთქვათ, ზებგერითი მაღაზია?

— მაღაზიის პროექტი ქალაქში შევუკვეთე, — მეტი სერიოზულობით დაიწყო სიმონმა ახსნა-განმარტება, — და იქიდანაც ტიპიური პროექტი გამოგვიგზავნეს. შენ მართალი ხარ — ეს მაღაზია არც წყალია, არც ღვინო. ჩვენმა გლეხებმა მას სათვალეები დაარქვეს: ე-ეი, რომ მყავდეს კაცი, რომელსაც ავის და კარგის გარჩევა შეეძლოს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა, სულით და გულით მივენდობოდი, — თორემ რას ჰგავს, ჩვენი სოფელი ისე ლამაზი და წარმტაცია, რომ თვალს ვერ მოწყვეტ. აქ დაბლა კი, ასე ვთქვათ, ადმინისტრაციული ცენტრი რაღაც ხარახურაა, რაღაც სიცილიაა და მეტი არაფერი.

— ყველაფერი ეს, ბატონო სიმონ, ძალზე საინტერესოა, მაგრამ, მე რით შემიძლია დაგეხმაროთ, — ვკითხე მე. თანდათან უფრო დამაინტერესა სიმონის სიტყვაგრძელმა და მეტისმეტმა გამოცოცხლებულმა შესავალმა.

— აბა, მე რა შენი ბატონი ვარ, — სიმონმა ხელი გაიქნია და სახე დამანჭა, — მე და მამაშენი ძმაბიჭები ვიყავით, თხებს ერთად ვმწყემსავდით. დამიძახე ბიძია სიმონი, ან უბრალოდ, სიმონი, ნუ გეშინია, არ მეწყინება. [illegible] — უკვე დამსახურებული კაცი ხარ, ხელოვანი, მოქანდაკე გამოხვედი, მე კი დავბერდი ისე, რომ ოთხი კლასის განათლებას ვერ გავცდი, თუმცა იმდენი სხვადასხვა კურსები გავიარე, საერთო ჯამში უმაღლესზე ნაკლები არ იქნება. აი, ჩემო ლადო, ყველაფერს გეტყვი, რიგრიგობით დაგილაგებ, ყური დამიგდე. დიდიხანია, რაც ამ ჩვენი სოფლის გალამაზება განვიზრახე, მაგრამ რითი და როგორ? ლენინის ძეგლი დიდი ხანია გვაქვს. ტრანსპარანტების და პლაკატების გაკვრა და ჩამოკიდება წარწერებიანად, შევასრულეთ და გადავაჭარბეთ, გეგმებს ისედაც ვასრულებთ და ვაჭარბებთ. ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე, სწორედ ზედგამოჭრილი იქნება, თუ აქ კიდევ რამეს ავაგებთ, რაიმე ქანდაკებას აღვმართავთ, ა? რას იტყვი?... მოგწონს? — მკითხა, როცა გამოცოცხლება შემამჩნია, — თავისთავად ცხადია, შემეძლო მიმემართა ქანდაკების კომბინატისთვის, იგი იაფ ფასში გამომიგზავნიდა ნიჩბიან ქალიშვილს, ბურთის მოთამაშე ჭაბუკს, ან უკეთეს შემთხვევაში, ყურძნის საკრეფად რთველში გასულ კოლმეურნის ოჯახს. მაგრამ ჩვენც ცოტა რამ გაგვეგება. იმათ თავიანთი ნაწარმი მუქთადაც რომ მომცენ, არ მინდა, არ მესაჭიროება. ამ რჩევა-არჩევანში რომ ვარ, ვიღაცამ გამახსენა, ჩვენი თებრონეს შვილიშვილი ლადო — მოქანდაკეა, ამ დარგის აკადემია დაამთავრაო და ჩვენც ბევრი აღარ გვიფიქრია, გადავწყვიტეთ გამოგვეწვიე, რათა სამუშაო შენთვის დაგვეკვეთა, მხოლოდ ახლა იმაზე ვფიქრობდით, რა უნდა ყოფილიყო გამოხატული. გამგეობაშიც ვიმსჯელეთ ამ საკითხზე... — სიმონი გაჩუმდა, ისევ მიჩხვლიტა თავისი დაძაბული, მომსინჯავი შემოხედვით და დამორცხვებით, თითქოს რაღაც დაეშავებინოს, ისე განაგრძო, — ზოგიერთებმა დაიჯინეს, სიმონ, შენ უნდა გამოგაქანდაკონ, ჩვენი თავკაცი ხარ, დეპუტატიც, გმირიც, პირველი კომუნისტიც მთელ ჩვენს მხა-

რეში, ერთი სიტყვით ხარ — წითელი სიმონი... ლუკამ აქაც თავი ვერ შეიკავა, გაიბერა, გაიბუტა და თქვა: აგაყუდებთ შუა მოედანზე და თათბირზე აქ, კანტორაში კი აღარ მოვალთ, არამედ მოედანზე წავალთ, შემოგხედავთ, შემოგიყეფთ, შენ კი ხმას ვერ გაგვცემო; მე, რა თქმა უნდა, ამაზე, სასტიკი უარი ვუთხარი. ახლა სხვა წინადადებები წამოაყენეს. კოლია ქათამაძემ (საგანგებოდ მოვიწვიე თათბირზე), აქაც თავისი არ მოიშალა, ასე და ასეო, ჩვენ მოვალენი ვართ უკვდავყოთ ჩვენი თანასოფლელი პროფესორის ხსოვნა, განსვენებულ გიორგის აფასებს და პატივს სცემსო მთელი კავშირი, ჩვენ კი ისე ვიქცევით, როგორც უკულტურო ადამიანები, როგორც ველურებიო და ა. შ. ერთი სიტყვით, ორზე თუ სამზე მეტი სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ამაზე მსჯელობამ ნახევარი სხდომა წაგვართვა. ვიყვირეთ, ვიხმაურეთ და დავიშალეთ, ისე რომ გარკვეული გადაწყვეტილება ვერ გამოვიტანეთ, — სიმონი გაჩუმდა და მაგიდის მოპირდაპირე კიდის კუთხესთან გაჩერდა. მერე პირით შებრუნდა და ამოხვნეშით თქვა: — ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე უმჯობესი იქნება საკითხი თუ რა და როგორ გავაკეთოთ, თვითონ შენ გადაჭრა, ოსტატმა უკეთ იცის და უკეთაც ხედავს. სწორი ვარ, არა? ასე არ არის? მეთანხმები ხომ?

— დიახ, ბიძია სიმონ, ხელოვანს შეუძლია მხოლოდ იოცნებოს ასეთ წინადადებაზე, — აღტაცებით წამოვიძახე მე.

— ესეც ასე, — შვებით ამოისუნთქა სიმონმა, — ახლა საქმე შენზეა. რის დადგმას ისურვებდი ჩვენს მოედანზე, გულდასმით მოიფიქრე. ანაზღაურების დარდი ნუ გექნება. ფული გვაქვს. თუ შენი ნამუშევარი მოგვეწონა, ფასზე მოვრიგდებით. თუმცა გლეხები კი ვართ, მარა ძუნწები არ გახლავართ.

— აბა, რას ბრძანებთ, ბიძია სიმონ! ოღონდაც ჩემი ნამუშევარი ქანდაკება წამოიმართოს მოედანზე და არავითარი სასყიდელი არ მინდა, — ამას რომ ვამბობდი, არ გამხსენებია ოთხი თვის განმავლობაში გადაუხდელი ვალი ბუხუტისა (მიუმატეთ მისგანვე სამგზავრო ნასესხები ათი მანეთი), ჩემი ერთადერთი გაცვეთილი ფეხსაცმელები, რომლითაც როგორც წამებამისჯილი, დავხეტიალობდი ჩემი სოფლის ქვიან შარაგზებზე იმერეთის პაპანაქება სიცხეში.

სკამიდან წამოვხტი და სიმონთან მივედი, ვუთხარი: — მე კი მეგონა, რომ სულ სხვა რამ გქონდათ განზრახული.

— არა, სხვა არაფერი, — შვებით ამოიხვნეშა სიმონმა. მაგრამ ეტყობა რამდენადმე საგონებელში ჩააგდო ჩემმა აღტაცებამ, ჩემმა აღფრთოვანებულმა განწყობილებამ. თითქოს დაიბრუნაო რწმუნებანი თავმჯდომარისა, მან დაიკავა თავისი ადგილი მაგიდასთან, თავის სკამზე დაჯდა, — ყველაფერს, რაც კი მუშაობისათვის არის საჭირო, უზრუნველვყოფთ. ასე რომ, ახლა საქმე შენზეა.

6.

მე დიდხანს ვერ გადამეწყვიტა რა უნდა გამეკეთებია — კოლმეურნეობის თავმჯდომარის პორტრეტი, რომელიმე ძველი რევოლუციონერის სკულპტურა, თუ მაღალი ლამაზი სავარძელი შიგ მჯდარი გამოჩენილი პროფესორით. თვითეულს ამ კანდიდატთაგან თავისი უდავო ღირსება ჰქონდა. წითური სიმონის ბიუსტი, მაგალითად, მე შემეძლო წამეღო საიუბილეო გამოფენაზე; გარდა იმისა, რომ იგი უთუოდ კარგი გამოვიდოდა, იმის გარანტიას რომ მას მწვანე ქუჩა გაეხსნებოდა, წარმოადგენდა თვით ქვეწარწერა: მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პორტრეტი. ასეთი ტიტულებიანი კაცის სახის გამოძერწვისას საშიში არ არის რამდენადმე ფორმალიზმისაკენ რომ გადაიხარო.

მუშაობას მაინც ვერ ვიწყებდი — თითქოს რაღაც წინათგრძნობა მაკავებდა... სოფელში ბავშვობიდან კარგად ნაცნობ შარაგზებზე დავეხეტებოდი, ან გახურებულ კლდოვან ფერდობზე გაშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულ ზვარში ვმუშაობდი, ხან მოსიყვარულე თვალით შევცქეროდი მძიმე უღელ ქვეშ ზანტად მიმავალ ხარებს, ხარბად ვყნოსავდი ბებიაჩემისგან გამომცხვარ ცხელი პურის სუნს, და ყველაფერი ეს მმატებდა ძალას და მანიჭებდა სულიერ სიმშვიდეს, მე ვისვენებდი შფოთიანი ქალაქური ცხოვრების შემდეგ, ვისვენებდი და ჩემს თვალწინ კრთოდა ბინდით მოცული რაღაც ხატება, რომელიც მინდოდა გამემჟღავნებია, გამერკვია და გამომეკვეთა. სახე იგი ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, ჯერ იგი იყო ბუნდოვანი მინიშნება, რაღაც აუხსნელი ჭარაგმა. მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლი არ ვჩქარობდი მის ნაადრევ გამოვლინებას.

მშვენიერი დღეები იდგა.

ჩვენი სოფელი ისე იყო გაჭიმული მთის ფერდობზე, რომ სადღაც მარცხენა მხრიდან ამოსული მზე მთელი დღე ანათებდა მას და მხოლოდ საღამოს მიწურულში ეფარებოდა მთას ზურგს უკან; მაგრამ მანამდე, სანამ სულ დაიმალებოდა, ჩრდილი ჩვენი მთიდან წვებოდა მოპირდაპირე მთის — ბანჯგვლიანი აქლემის მსგავსი მთის, ფერდობზე; მერე ნელ-ნელა ეხვეოდნენ ბინდში დამრეც უტყეო მაღლობზე მობალახე ძროხები, ბურთს გამოდევნებული ბიჭები და თვითონ ბურთიც, რომელსაც ბავშვები წამდაუწუმ მაღლა ისროდნენ.

დილიდან სოფელი თითქმის სულ ცარიელდებოდა — მამაკაცები მიდიოდნენ სამუშაოდ ვენახებში, რომლის მთლიანი მასივები იწყებოდა სოფლიდან ორი კილომეტრის სიშორეზე, ქალები კი, დილის მზეზე მბზინავი ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდებით თავდახურულნი, მიიჩქაროდნენ ჩაის პლანტაციებისაკენ; ბიჭები და გოგოები მთის საბალახოებზე მიერეკებოდნენ ფერდებამოვსებულ, კარგად ნაპატიებ ნახირს, მოსახლეობის ეს აჩქარებული გასვლა სოფლიდან შეიძლებოდა ადამიანს გაჭცევად მოჩვენებოდა, რომ მას თან არ ხლებოდა გამოცოცხლებული გადაძახებანი:

— დონიკ-ა-ა!

— აუ-უ!

— ჩქარა გამოდენე, ხბო! ნოდარი უკვე წავიდა.

— უი,-უი,-ი, მეხი კი დაგეცეს თავზე. გადაძახე, ცოტა კიდევ დაგვიცადოს.

გადაძახება-გადმოძახება გრძელდებოდა უფრო ხმამაღლა და ახალი ტონალობით.

— ნოდარი-ი! ნოდა-რი უ!

— რა გინდა?

— ბიცოლა დონიკა გთხოვს დაიცადეო, ამ წუთში გამოვდენიო.

— რაო?

— ამ წუთში გამოვდენიო.

— რაო?

— ხბოს გამოვდენიო-ო!

— რამდენი ხანი გიცადოთ ეზოში, უკვე ჩამოღამდა, — შეიღრინა ათი წლის ნოდარმა, თუმც მზემ, ეს არის ახლა ამოანათა მთებიდან.

— სოლიკო! აუჩქარე ნაბიჯს, კოჭლო ჭინკავ, ვენახში ყურძენი დაჩამიჩდება, სანამ შენ მოფორთხდები.

— ოხ, შენი ენიდან რომ ქალამნები დაიწნას, კაცი ას წელიწადს ვერ გასცვეთს.

ამგვარი იუმორი (ასე ვთქვათ, ხუმრობა-ჰიპერბოლა), ძალიან გავრცელებულია ჩვენს სოფელში. უფრო მეტი, აქ შემუშავებულიც კი არის რაღაც ადგილობრივი ანდაზისებური თქმები, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის: მაგალითად, თუ ჩვენი სოფლის მკვიდრს სურს შეურაცხყოფა მიაყენოს მოწინააღმდეგეს, ეტყვის: შენ რომ დალევ (იგულისხმება ღვინო), იმდენს მე ყურში ჩავიწვეთებო.

პირველწყარო მსგავს ენამჭევრობათა, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს, იკარგება ათეული წლების ბურუსში, თუმცა ბევრს ჰგონია, რომ ამ გამოთქმების დიდი ნაწილი ეკუთვნის ადგილობრივი სოფლის ხუცესს, ოხუნჯსა და გამოუსწორებელ ლოთს მამაო კასიანეს.

მოსახლეობის დილაადრიანი გასვ-

ლის შემდეგ, სოფელში რჩებიან მხოლოდ პატარა ბავშვები და დედაბრები; სიცხის პირველ შემოტევისთანავე ხმის მოსინჯვას იწყებენ ჭიჭინობლები. ყოველ საათობით მატულობს და ძლიერდება მათი მშრალი, ტროპიკული ჭრიჭინი. მზის მცხუნვარება უღმერთოდ ახურებს დედამიწას. არ ირხევიან ხეები, არ შრიალებენ ფოთლები. გაცრეცილ ცაში ჰკიდია ფრთებგართხმული ქორი, მაღლიდან დაყურებს ეზოებში, ბალახებში მოფუსფუსე მოყვითალო წიწილებს და მსხვილ გაჩეჩილ კრუხებს; ოთხი ცაცხვის ხით გარშემორტყმულ ოდასახლიდან გამოდის დედაბერი, ხელით დაჩრდილული თვალებით შეყურებს ქორს, ქვევიდან ჯვარს რომ ჰგავს, და სუსტი, გაბზარული ხმით ყვირის: ჰაუ! ჰაუ! ჰაუ! იქვე, მეზობლის ეზოში, წელში იმართება მეორე დედაბერი, ბოსტნის კვლებში მიწას რომ ჩიჩქნის და დაბნეულად იმეორებს — ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!. მალე მესამე ბებერი, შინდის ბარდნარში მიმალული, მწივანა ხმით ყვირის — ჰაუ! ჰაუ! ჰაუ! ქორს ესმის ეს ხმები, მაგრამ არ იმჩნევს, რომ ესმის, ისევ უძრავად ჰკიდია, და უთვალთვალებს დაბლა მწვანე ეზოებს, სადაც ცქვიტად დარბიან ყვითელი წიწილები და დინჯად მიდი-მოდიან ძაღლები.

სადღაც ჭრიალებს ურემი, ქვიან შარაგზაზე, თავის ქნევით ნელა მიაბოტებენ ხარები. მათ წინ, ზურგს უკან სახრით, გახუნებულ ყველა ღილზე შებნეულ ფრენჩში, მოაბიჯებს შუახნის კაცი — ეს მეურმე ელეფთერია, — ანჩხლი, მოჩხუბარი, ჭინჭყლიანი, შფოთისთავი, რომელსაც ნერვებაშლილი ქალის ისტერიული ხმა აქვს. ახლა ის გაჩუმებული და დაღვრემილია, რადგან მის უკან ცარიელი ურემი მოგორავს, მაგრამ როდესაც ელეფთერი თავის ხარებით ეზიდება ტვირთს, თუნდაც ეს ტვირთი რიყის ქვიშა იყოს, მისი ხმა წვდება მთელ სოფელს; ხიო, ხიო, შე ღდინძაღლო, გადადგი ნაბიჯი, შე სამგლე, ხიო, — ჩხავის ელეფთერი და მისი მოქნილი სახრე სტვენით და წივილით ტყლაშუნობს შვინდისფერი ხარების ქედზე, ფერდებზე, კისერზე, — ო, შე ზანტო, ხარშაცო, ტყავს გაგაძრობ, შენს ნებაზე არ გაგატარებ, ხიო, წიქარა, ხიო-ო, და სულ ასე, სულ ასე, ბოლო არ უჩანს ამ დაუნაწევრებელ ძახილებს და წკნელის გამჭვალავ სტვენა-სისინს. ელეფთერი უკან ახევინებს ურემს, პირით ხარებისკენაა, ზურგით გზისკენ, დიდრონ მრგვალ თვალებს აბრიალებს და ისე იხედება გარშემო, თითქოს ურემი ნაღმსა და ნაღმს შუა მიყავდეს, ანუ წვრილ ბილიკზე, უფსკრულის პირად, ერთი სიტყვით სიკვდილისგან ერთ ბეწვზე დაშორებით.

თავისი სახლის ეზოში, დიდი კაკლის ხის ჩრდილში ზის ლოყებღაჟღაჟა ბერიკაცი რაჟდენი და უმწეო, ბებრული, ეშმაკური ღიმილით გარშემო იყურება. აგერ, გაიარა მისმა მოხუცმა ცოლმა. ეს არის სულ ახლა აკრეფილი კვერცხებით კალთაში, მას უკან მისდევს ჯერ მოუმაგრებელი მრუდე ფეხებით ხელპირგათხუპნული თავკომბალა შვილიშვილი; აგერ, რაჟდენთან მოცუნცულდა ძაღლი დაგრეხილი, ბანჯგვლიანი კუდით. რაჟდენი ღიმილით უცქერიან. მათ. ოდესღაც რაჟდენი იყო ეშმაკი კულაკი, სოფლის წურბელა, ავაზაკი. ახლა კაკლის ხის ჩრდილში ზის ტანმრგვალი, ლოყებღაჟღაჟა, მომღიმარი ბერიკაცი, რომელსაც თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ უსიამოვნებად მიაჩნია თიაქარი, და არც ისე ხშირად, ღიმილით იხსენებს, ამ ორმოცი წლის წინათ თუ როგორ ატყუებდა გადასახადების ამკრეფს წითურ სიმონას — მაშინ ჯერ კიდევ ტანწვრილ, უწვერულვაშო ყმაწვილს, რომელიც დარბოდა სოფელ-სოფელ და როგორც ცოცხალი ჩირაღდანი, ენთო და იწვოდა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ბედნიერებისათვის.

რაჟდენი არასოდეს არ იხსენებს, რომ იყო დღეები, როცა თავზე ხელაღებული ახალგაზრდა სიმონის წითელი თავი ეჩვენებოდა მიმზიდველ და გამაღიზიანებელ მოხერხებულ სამიზნოდ, და თუ

სიმონის სახეზე არ არის მისი იარაღით დაჩენილი ნაიარევი, — ეს უფრო მეტყველებს რაჟდენის წინდახედულებაზე და არა ბედისადმი მის მორჩილებაზე.

სოფლად აქა-იქ შეიძლება დაინახოთ მომუშავე ხნიერი ქალები, მათ კალთებთან ბავშვები ტრიალებენ. მოხუცი დედაკაცები მეტ წილად წყაროებთან იყრიან თავს, საქმესა და საქმეს შუა ჭორაობენ, წყალში ავლებენ სარეცხს ან ქვიშით ხეხენ ტყემლის სახარშ ქვაბებს და მუშაობის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნებულებს, შინ მიაქვთ ბეჭზე შედგმული, წყლით სავსე ჩაფები.

ერთ-ერთ გულმოდგინედ მოვლილ (თვალს ვერ მოაშორებ!) საკარმიდამო ვენახში მოძრაობს ბაცლურჯი მტვერით გარემოცული, ძველმანებში ჩაცმული მომცრო ტანის კაცი, რომელსაც ზურგზე სასხური მანქანა ჰკიდია. ეს გახლავთ შრომისმოყვარე და გამრჯე აშოტი, მამა ჩვენს სოფელში ერთადერთი სომხური ოჯახისა, ჩემი ძმობილის მიტოს მამა. მაშასადამე, ასე თუ ისე, ჩემი ბიძა. ამ ზაფხულზე ეს მეხუთედაა, აშოტი შაბიამანს რომ ასხურებს თავის ვენახს. სასხური მანქანა, ზურგზე რომ ჰკიდია, თითქმის რელიქვიაა — რევოლუციის წინადროინდელი, ფრანგული მარკისა, სუფთა სპილენძისა; ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ აშოტმა ამ მანქანისათვის რაჟდენას ხელში ჩაულაგა არც მეტი, არც ნაკლები, ათას სამასი მანეთი ძველი ფულით. სამაგიეროდ, ო, რა ნივთი შეიძინა! აშოტს ყველაფერი ემარჯვება, თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, მაინცდამაინც კარგი კალატოზი ვერ გამოდგაო: ამას წინათ კი, პირდაპირ თავი შეირცხვინა. ეს ამბავი ვითომც ასე მომხდარა: ნუგზარის ქვრივს უთხოვნია აშოტისათვის, ჩემს სახლზე აგურის ოთახი მიმიშენეო. აშოტი, თქმა არ უნდა, დათანხმებულა. და აი, როცა კედლები თითქმის სახურავის სიმაღლემდე იქნა აყვანილი, აშოტმა უცებ ყურები ცქვიტა, მიაყურადა და ხმამაღლა შესძახა: ფრთხილად, ახლოს არ მოხვიდეთო, და ცქვიტად განზე გახტა. კედლები ხმაურით ჩამოშვავდა, ხოლო აშოტმა, როგორც ბოროტი ენები ჰყვებიან, თავი გააქან-გამოაქანა, მტვერი ხელისქნევით მოიშორა და ამაყად თქვა: აი, რას ნიშნავს ოსტატის ფხიზელი თვალიო, რა თავის დროზე შევამჩნიე, რომ კედლები ჩამონგრევაზე იყოო. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ამბავი საეჭვოა, რადგან არც ისე დაშორებით ვენახიდან, სადაც ახლა შხივილით მოძრაობს შაბიამნის უწვრილესი შხეფების ბაცლურჯი ნისლი, დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც მყარი საძირკვლიდან წითელი კრამიტის სახურავამდე ბიძია აშოტის საკუთარი ხელითაა აშენებული.

დგება შუადღე. მზე სტოვებს ზენიტს, ზვრებიდან და ჩაის პლანტაციებიდან ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან კოლმეურნეები. მამაკაცებს სახეები გაშარხლებიათ, დაქანცულნი, ნელი ხმით მისაუბრობენ, წყაროებთან არ ჩერდებიან, რადგან შინ ელით ცივი თეთრი ღვინო; ქალები კი, პირიქით, წყაროებთან დიდხანს ყოვნდებიან, გროვდებიან ხეების ჩრდილში, მხრებზე გადაგდებული აქვთ ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდები, ერთხანს ტარტარებენ, ერთმანეთს პეშვებით წყალს უშხაპუნებენ, განუწყვეტლივ ხითხითებენ. ბევრ მათგანს შინ სამუშაო ელოდება — საჭმელი უნდა მოამზადონ, გარეცხონ, დააუთოვონ, მაგრამ მანამდე, ვიდრე ყელამდე ჩაიძირებოდნენ ოჯახური ცხოვრების მორევში, შეუცნობლად ისწრაფვიან მხიარული და უდარდელი თავშექცევისაკენ.

წყაროსთან თავშეყრილ ამ მხიარულ ჯგუფში არ შეიძლება თვალში არ გეცეთ მაღალ-მაღალი დედაკაცი, რომელსაც მკერდზე ორდენი უკეთია. მის მსხვილნაკვთებიან პირისახეს სერიოზული და, უფრო სწორად, მრისხანე გამომეტყველება აქვს. ტუჩები მკაცრად მოუკუმავს. ეს ქალი მერგოლური დომნაა, ორმოცდახუთი წლისაა. აქედან ორმოცი წელიწადი საშინელ სიდუხჭირეში გაატარა, რამაც დაუნდობლად გამოაწრთო და გამოკვეთა მისი ხასიათი და

გარეგნობაც. ჩვენს სოფელში დომნა გამოჩნდა ცხრაას ორმოცდარვა წლის ზამთარში, ერთ წვიმიან დღეს — აქ ის ცოლად მოიყვანა ნაფრონტალმა ანდრომ. ანდროს მაყრები ჩურჩულებდნენ და დაბნევით ჰყვებოდნენ, დომნა წამოვიყვანეთ ნახევრად დანგრეული ქოხმახიდან, სადაც ჭიანჭველებივით ირეოდნენ აუარება გოგო-ბიჭები, სულ ერთიმეორეზე პატარები, ხოლო ტახტზე იწვა უზარმაზარი, გაძვალტყავებული მოხუცი, რომელსაც ნაკუწებისაგან შეკერილი საბანი ეხურაო. ეს იყო პატარძლის მამა.

დომნას ხუთი და-ძმა ჰყავდა. ანდროს ცოლი რომ გახდა, ოჯახს ხუთი ბავშვი შესძინა, — ასე რომ ცხოვრება ახალ სახლში ზუსტად წინანდელს დაემსგავსა. დომნა არ უჩიოდა ბედს — სხვაგვარი ცხოვრება მან არ იცოდა, როგორც წინათ, ახლაც მათი ოჯახი მთელ სოფელში ყველაზე ღარიბი იყო. როგორც წინათ, მათ ქოხში დაფორთხავდნენ და დარბოდნენ დაუბანელი მშიერ-მწყურვალი გოგო-ბიჭები, და ძალიან ადრე, დამწიფებამდე ჰკრეფდნენ მკვახე ნაყოფს ვაშლის, ატმის, ქლიავის ხეებზე და მუდამ მუცელგამობერილები დადიოდნენ. ოჯახში, ყველგან, შინ და გარეთ თითქოს სამუდამო სიღატაკე, უბადრუკობა და უფერული ყოფა დამკვიდრებულიყო. მაგრამ ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის ერთ მშვენიერ დღეს დომნას ბედი წაღმა შეტრიალდა; წითურმა სიმონმა პატარა ნაკვეთზე მოსასინჯად ჩაის ბუჩქები დარგო. მცენარემ კარგად გაიხარა და აქაური ფოთოლი ფაბრიკაში უმაღლესი ხარისხის ფოთლად იქნა მიჩნეული, ხუთი წლის განმავლობაში სოფლის ირგვლივ მდებარე დამრეცი ბორცვები, ძლივ-ძლივობით განწმენდილი მაყვლის უჯიათო ბუჩქებისაგან, შეიმოსა ხუჭუჭა მწვანე მწკრივებით, თითქოს ეს არის ახლად გამოსულან საპარიკმახეროდანო. მათ შორის მალე გაჩნდნენ მკრეფავები, მეტ წილად ქალები. ოჯახური საქმიანობით წელში გაწყვეტილ დომნას გული არც ერთ სამუშაოსაკენ არ მიუწევდა, მაგრამ პლანტაციაში, როცა თითების რიტმული მოძრაობით კრეფდა ჩაის ბუჩქის ნორჩ ყლორტებს, თავი ავიწყდებოდა და ამ თავდავიწყებაში ავტომატურად კრეფდა და კრეფდა უამრავ ფოთოლს.

გავიდა ცოტა ხანი და ქუთაისში წაიყვანეს თათბირზე. მასზე ნარკვევიც დაბეჭდეს Sარაიონო გაზეთში. მერე გაგზავნეს თბილისში. სამ დღეს ცხოვრობდა სასტუმროში, ცალკე ნომერში და ეს ჰგავდა ზღაპარს — ლამაზსა და შიშის მომგვრელს. თბილისიდან ბავშვებს ჩამოუტანა ბალიშა კამფეტები, რომლებიც ჩემოდანში შეწებებულიყვნენ, და ახლა მაგიდაზე ელაგა, როგორც იშვიათი — ვარდისფერი რიყის ქვა. სახლში გაჩნდა ფული. ბავშვებმა სული მოითქვეს, გაძღნენ, შეიმოსნენ, გამხიარულდნენ. სახლს გარს შემოეკრა მინაშენები. ფანჯრები დამშვენდნენ მაქმანიანი ფარდებით. ბოლოს მოხდა ამბავი, რომელმაც დააგვირგვინა ამ გარდაქმნათა ჯაჭვი. დომნას გადასცეს ორდენი. ქალი ორდენს ისე უფრთხილდებოდა, როგორც ერთ დროს უფრთხილდებოდა თავის ჩვილ პირმშოს. თითქმის არასოდეს არ იშორებდა. ეს ორდენი ახლა ყოველწუთში თვალსაჩინოდ და მკაფიოდ ადასტურებდა, რომ დომნამ საკუთარი შრომით შესცვალა თავის ცხოვრება და ცხოვრება თავისი ბავშვებისაც, ამიტომ ქალს გულით უყვარდა ლითონის ეს მბზინავი ნაჭერი, როგორც ცოცხალი არსება, რომელმაც მის გულში რწმენა და სიხარული დაამკვიდრა.

• • •

როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, ვენახებიდან და პლანტაციებიდან შინ დაბრუნებულნი აუჩქარებლად შეუდგნენ ამჯერად საშინაო საქმეს, მეც შევწყვიტე მუშაობა, ვენახიდან ეზოში ავედი, თოხი იქვე ცაცხვს მივაყრდენი, თოკზე გაფენილი პირსახოცი ჩამოვხსენი და მდინარისაკენ გავწიე. ის

იყო პირველი ნაბიჯები გადავდგი, როცა მომესმა:

— ფრთხილად, შვილო, არ დაიხრჩო!

— ვეცდები, ბებიაჩემო!

— ხომ არ გშია?

— არა.

— რძე მაინც დაგელია, შვილო!

— დავბრუნდები, და მაშინ.

— არ დაიგვიანო, ლადო, შიშში არ ჩამაგდო.

— დარდი ნუ გაქვს, ბებია თებრონე!

ჭიშკარი გავაღე და დაგრეხილი ვაზებით გადახურულ გზაზე გავედი.

• • •

ღიღინ-ღიღინით მივაბიჯებდი ადრე ბავშვობიდან ნაცნობ ბილიკზე. მახსოვდა, როგორ დავყავდით ამ ბილიკზე ხელმოკიდებული დედას და ბებიას, მხრებზე შესმული — მამას, მაშინ ბილიკი ძალიან გრძელი მეჩვენებოდა, მაგრამ ვიზრდებოდი და ბილიკიც, ჩემი ზრდის შესაბამისად, პროპორციულად მოკლდებოდა. არც ისე გრძელი, როგორც ბავშვობაში მეჩვენებოდა, არც ისე მოკლე, როგორც თხუთმეტი წლისას მეგონა, ეს ბილიკი პირდაპირ ჩვენი კარმიდამოდან ქუდმოგლეჯილი მიისწრაფოდა მთის ძირისაკენ, ქვიან კბოდეებზე ხტოდა. გზის განშტოებასთან მისული სულს მოითქვამდა და მერე გაჰყვებოდა გასწვრივ რაჟდენის კარმიდამოს (ღობის გადაღმა დაინახავდით კაკლის ხის ჩრდილში მჯდარ ბერიკაცს), ეპიფანეს წყაროსთან უგუნებოდ შეყოვნების შემდეგ იკარგებოდა ხშირი ვენახის ზვარში და იქიდან გამოსული გვერდზე უვლიდა დიდ ოდასახლს, რომლის განკერძოებული, უკარება ბინადარნი ჩემთვის მუდამ გამოუცნობ გამოცანად რჩებოდნენ. როგორც კი პირქუშ სახლს უკან მოიტოვებდა, ბილიკი იწყებდა აუჩქარებელ მიხვეულ-მოხვეულ სვლას მანამდე, ვიდრე კბოდედან პირდაპირ ხრამში არ გადაეშვებოდა. იქ მიმელოდა პატარა ლამაზი მდელო, რომელსაც ყოველთვის უნებური გულისფანცქალით ვუახლოვდებოდი. მისი ტენიანი მომწვანო ბინადი, როგორც ზღვის ფსკერი, იდუმალებით იყო მოცული. სადღაც იქვე, მახლობელ ქვებზე ჩხრიალებდა ანცი ნაკადული. ბარდნარში მიმალული, იგი წკრიალა ზარივით რაკრაკებდა, ხან თუხთუხებდა, ხავსიან ლოდებს დაჯახებული, მერე დაბალ ხმაზე იწყებდა ღუღუნს ქედანივით, აქ, მდელოსთან ბალახი, არასოდეს ითიბებოდა, ზეზე დგომას ვერ უძლებდა და მიწაზე წვებოდა. მდელოს გარს ერტყა შვიტას სქელი და მაღალი ბარდნარი, ამ ნესტიან, მოხატულ უღრანს, მის სიგრილეს და მდუმარებას ზემოდან გადმოსცქეროდა მაღალი სალი კლდე, რომლის შორეული მწვერვალი თითქოს სხვა სამყაროში აღმართულიყო და ხან თეთრად, ხან ვარდისფრად ღვივოდა ამომავალი და ჩამავალი მზის შუქზე.

ამ მომაჯადოებელი მდელოს იქით ჩანდა არც ისე დიდი მდინარე. მისი სიგრძე სათავიდან შესართავამდე ორმოცდაათ კილომეტრს არ აღემატებოდა, და მე ვიცოდი მისი კალაპოტის არა მარტო ყოველი ხვეული; არა მარტო მისი ნაპირების მცენარეულობა, არამედ მისი ფსკერის რელიეფიც კი.

სათავიდან — მურყნით, წაბლით და მუხით შემოსილი პატარა მთებიდან დაწყებული, იგი მხიარული ბუტბუტით მიდიოდა ხეობის ძირში და გზადაგზა მრავალ რუს და ნაკადულს იერთებდა; გზადაგზა ძალებშემატებული მდინარე იცვლიდა ხმას, მიექანებოდა შხუილით და ტლაშუნით, ზოგჯერ უკმაყოფილო ბუზღუნით და ბუყბუყით. ყოველ შებრუნებაზე მდინარე ღონიერდებოდა და მისი მსუბუქი მხიარული ხასიათი თანდათან უფრო მძიმე და თავნება ხდებოდა: აი აგერ ხარხარით გაექანა, შავი, პირქუში კლდისაკენ და მისმა თეთრზე თეთრმა ჭაფმა თავამდე აავსო „დევის ნამუხლარად“ წოდებული მღვიმე კლდის ძირში, აი აგერ, ორ ტოტად გაიყო და დასტოვა, რა შუა კალაპოტში

მზეზე მოლაპლაპე, თეთრი მეჩეჩი, ქვეითკენ დაექანა თავგამეტებით. დამრეც ნაპირებზე ხარობდნენ მისკენ გადმოხრილი მოლაციცე მუხები, იფნები, ნეკერჩხლები, წნორები, ტირიფები, მტირალა ძეწნები, უთვალავი ბარდნარები, რომლებსაც ღეროებზე, შტამბებზე და თვით შტოებზედაც კი აჩნდათ წყალდიდობის ნაკვალევი. იგი არყევდა და აქანებდა მათ გამოშვერილ ფესვებს, ჩემთვის ყველაზე საყვარელი იყო საბანაო ადგილები, რომელთაგან თითოეულს თავისი მიმზიდველი ღირსება ჰქონდა, ეს იყო თავბრუდამხვევი ვარდნილი კლდის შვერილი, ან ფართოდ განშტოებული ხე, საიდანაც შეიძლებოდა შტოსაგან ჩაყოფივით მომწყდარი წყალში გადავარდნილიყავი, ან მუხანათურად მბრუნავი მორევი. მაგრამ ამათში ორი საბანაო განსაკუთრებით კარგი იყო. ერთი ჩვენი — ბიჭებისა, მეორე — გოგოების, ანუ ქალთა საბანაო, ჩვენიდან სამასი მეტრის დაშორებით, ქვემოთ. მისი მარჯვენა ნაპირი, მთლიანად თხილნარით დაფარული, დაბალი და ნესტიანი იყო, სამაგიეროდ მარცხენა ნაპირი ჰქონდა მაღალი და მშრალი, თითქმის მთელი დღე მას მზე აცხუნებდა.

ზაფხულის ცხელი საღამოობით მივიჩქაროდით მდინარისაკენ, მივრბოდით გახურებული რიყის ქვებით მოფენილ ნაპირზე, შარვლებს გზა და გზა ვიძრობდით და ჟივილ-ხივილით ვცვიოდით წყალში. „აბა წავედით, დავეშვით, ბიჭებო“, და ამ წუთიდან იწყებოდა თავგანწირული ბრძოლა-ჭიდილი. ორ გუნდად გაყოფილნი ვძირავდით, ვითომდა ვახრჩობდით ერთმანეთს, ვძირავდით მონდომებით, იმიტომ, რომ ვიცოდით, ყოველი ჩვენგანი კარგად ცურავდა და ძალიანაც რომ გვეცადა, ვერ დავახრჩობდით. იყო ერთი ხარხარი, ხორხოცი, მანამდე, სანამ ყველაზე სუსტი ჩვენს შორის, ჩვეულებრივ ეს გახლდათ რეზო, მყვირალა და მოჩხუბარი ბიჭი, არ გადმოკარკლავდა შეშინებულ თვალებს, უხმოდ არ დააბჩენდა ხახას, მაღლა არ აიქნევდა ხელებს. ამ დროს კი ნაპირზე გამოგვყავდა, ვაწვენდით სახლაზე სულის მოსათქმელად, ხოლო ჩვენ ვიწყებდით სხვა თამაშს. ერთი ჯგუფი ფსკერის ნაოჭებში მალავდა პატარა თეთრს კენჭებს, მეორე კი თავგამოდებით ეძებდა. მერე ყველანი ნაპირზე გავდიოდით და მოწყვეტით ვეცემოდით გაცხელებულ ქვიშაზე, მზე ზურგებს გვწვავდა. რეზო კი, უკვე დამშვიდებული, იმანჭებოდა, ხტუნავდა, ცეკვავდა და უწმაწურ სიტყვებს ისროდა. ჩვენ გვესმოდა, მაგრამ ყურს არ ვუგდებდით, ჩვენი სხეულები მზეზე მწიფდებოდა, როგორც მწიფდება ყურძენი, ან პილპილი.

დაცარიელებული მდინარე მოგვეწყინდა, გვიხმობდა და აქა-იქ ტალღების აშხაპუნებით, ცნობისმოყვარედ ჩვენსკენ იცქირებოდა. ჩვენც ისევ შევდიოდით წყალში და იგიც გვეგებებოდა შეშფოთებული, დრტვინვით და მზრუნველობით გვიგრილებდა თავებს და ბეჭებს როგორც სეკუნდანტი მოკრივეს.

როდესაც მდინარე მიაღწევდა თხილნარს, რომლის ახლო გოგოების საბანაო იწყებოდა, ისე იცვლიდა სახეს და ყოფაქცევას, რომ ვერ ვცნობდით: უწვრილესი და მკვრივი ქვიშით მოფენილ, გლესა და სწორ ფსკერზე დიოდა როგორღაც მდორედ; მე ვიცოდი ჩვენი მდინარის მხიარული გულღია ხასიათი და ამიტომ ძალიან მაოცებდა მისი სრული დადუმება ამ ადგილებში, ალბათ ეს იყო მისი თავაზიანობა, რომლითაც იგი თავის ზედაპირს საბანაოდ უთმობდა მხიარულ და ხმაწკრიალა ქალიშვილებს.

გოგოები ბანაობდნენ ტანგაუხდელი. ამას ჩადიოდნენ სოფლური მორცხვობისა და მოკრძალების გამო, მაგრამ აღწევდნენ თავისი მიზნების სულ საწინააღმდეგო შედეგს. მოხდებოდა ხოლმე, ბიჭები ვტოვებდით ჩვენ ყურეს და ჩუმად, წყლის აუტყლაშუნებლად, ახალ-

გაზრდა ზვიგენების გუნდივით დავეშვებოდით ქვევით, ქალთა საბანაოსაკენ, იმ განზრახვით, რომ გოგოები შეგვეშინებინა, წყალქვეშ გვეთრია, მკერდში ჩაგვეკრა, პერანგი აგვეწია, გოგოებმა ეს იცოდნენ და თვალს მოგვკრავდნენ თუ არა, წივილ-კივილით, მაღლა აწეული ხელების მოუხერხებელი ქნევით ნაპირისაკენ გარბოდნენ; ნაპირზე გოგოები ჩუმად ბაასობდნენ, ყვირილით ჩვენც რაღაცას გვეძახდნენ, იცინოდნენ, და შიგადაშიგ მღეროდნენ კიდეც. ისხდნენ მოზრდილ რიყის ქვებზე გრძელნაწნავებიანნი, ქალურად ნაზნი, ნარნარნი, ბიჭებს რომ არაფრით არ გვანდნენ, და ამავე დროს ჩვენთან დაკავშირებულნი იყვნენ რაღაც უხილავი ძაფებით. ერთხელ, თხილის ხეების ბარდნარში, შემთხვევით ყური მოვკარი, თუ რა აღშფოთებით და შიშით ეუბნებოდა ორი გოგო თავის მესამე მეგობარს: შენ რომ კაბით ბანაობ, ძალიან გამჭვირვალეა, რატომ ჩაიცვი, მასში სულ ტიტველი ჩანხარო. ის კი ამის პასუხად ხმამაღლა და გულამოსკვნით იცინოდა; მე შევიცნე, რომ ეს ნარნარი გოგოები, ასეთი ქალური სინაზით ქვებზე ჩამომსხდარნი, მზეზე ისევე მწიფდებოდნენ, როგორც ყურძენი ან პილპილი.

ქალთა საბანაოდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, ჩვენი მდინარე თავის არსებობაში პირველად ხვდებოდა მისთვის უცხო და უცნობ ცხოვრებას—მის მარჯვენა დამრეც ნაპირზე გამჭვარტლული მილებით ხრჩოლავდა აგურის პატარა ქარხანა. მდინარე ფაქიზი კოპწია ქალის ზიზღიანობით ითმენდა ქარხნის ნარჩენებს და ჩამონადენებს.

ომის დამთავრების პირველსავე თვეს ანდრო შინ დაბრუნდა. დაბრუნდა პირველი და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უკანასკნელიც ჩვენი სოფლის იმ ცხრამეტი ბიჭიდან, რომლებიც ფრონტზე წავიდნენ. შინმოსულს ყველანი სიხარულით და ხმაურით ხვდებოდნენ, პატივს სდებდნენ და გულუხვად უმასპინძლდებოდნენ მას, ოთხ წელიწადს ნაომარს, გამარჯვებულ გმირს, ძლევამოსილ ჯარისკაცს, რომელმაც ხერხემალი გადაუმტვრია ფაშისტურ ურჩხულს. სოფელში ანდროს დაბრუნება ყველასათვის იმედი და საწინდარი იყო იმისა, რომ სხვებიც ჩამოვიდოდნენ.

მაგრამ მიდიოდნენ დღეები, კვირეები, თვეები... ომის შემდგომი პირველი ზაფხული, მშვენიერი და დაუვიწყარი. შეცვალა შემოდგომამ. მოიწიეს მოსაცალი, შესვეს იმათი სადღეგრძელო, ვისაც ჯერ კიდევ ვერ მოესწრო შინ დაბრუნება. ყველას სურდა ანდროს გადახედოდა, ეკოცნა, დილიდან დაღამებამდე მთვრალი ანდრო დაეხეტებოდა სოფელში და ბოლოს სახლში მისული ცაცემოდა ხოლმე რკინის საწოლზე.

...ზამთარმა გააშიშვლა მთები, გაიძარცვა მთა და ბარი. მოთოვა. სიცივეები რომ დაიჭირა, ადამიანები აგუზგუზებულ ბუხრებს მიუსხდნენ.

ეხ, რა კარგი იქნებოდა, რომ არ გვჭირდებოდეს ამ მოგუგუნე პარპალა ალის, ცეცხლმოკიდებული მოტკაცუნე ბუხრის დატოვება, გარეთ გასვლა, ბოსელში შევლა ან ტყეში წაღოღება, სადაც თოვლჭყაპი შეზელია ტალახს, სუსხიანი სველი ქარი სახეში გცემს და ძვალრბილში გატანს.

მერე ისევ დადგა გაზაფხული, მოვიდა ზაფხული, ფრონტიდან კი არავინ დაბრუნებულა. ჩვენს სოფელში ისევ იღებღნენ ხელში ღვინით სავსე ჭიქებს, ჯიუტად ჰყვებოდნენ მავან და მავან ჯარისკაცთა კეთილად დაბრუნების ამბავს, ცრემლმორეულნი ისევ გულში იკრავდნენ ანდროს.

დროის ცვალებადობის მთელი ციკლი კვლავ განმეორდა და ომის შემდგომი მეორე ზაფხულის მიწურულში შრომისაგან დაღლილმა სოფელმა მაშინვე როდი შეამჩნია, როგორ გაუჩინარდა და სადღაც გაქრა ნასალდათარი ანდრო. გამოკითხვებს. მიკვლევ-მოკვლევებს შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოს იმ აზრს დაადგნენ, რომ ეს ჩუმი, უსიტყვო კაცი, ხმის ამოუღებლად რუსეთში წავიდა, სადაც ალბათ გულის მეგობარი ქა-

ლი დარჩაო. ესეც ჩვენი უენო, ჩუმჩუმელა ანდრო! მოდი და ნუ გაგიკვირდება! ნახევარ წელიწადს ანდროზე ხმა კრინტი არ ისმოდა; ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ აშოტამ, რომელიც თავისი შვილით ახალციხეში იყო წასული ნათესავების სანახავად, დაბრუნებისას მოულოდნელი ამბავი ჩამოიტანა, თითქოს მას, სადგურ მარელისის ახლოს, ლიანდაგის შეკეთებაზე გამოსულ გლეხებს შორის, ანდრო ენახოს.

— ჩვენი ანდრო?

— სხვა ანდროს მე არ ვიცნობ.

— შეეშალა, ალბათ, — თქვა ვიღაცამ.

აშოტას ქართული კარგად არ ესმოდა, სწორადაც ვერ ლაპარაკობდა. ასე რომ ამ შენიშვნაზე, ცოტა არ იყოს, გაბრაზებული აშოტა გაცხარდა.

— ვინ შეიშალა, კაცო, მე? აშოტი ყურში კარგად ესმის, თვალიც კარგად ხედავს, კარგად დავინახე. ნამდვილად ჩვენი ანდრო იყო, ათი წელიწადი ჩემი მეზობელია და ვერ გამოვიცნობდი? აი, ჩემი მიტუშამაც დაინახა, — და დასტურისათვის თავის შვიდი წლის ბიჭუნას მიმართა: — მიტუშჯან, ცავოტანემ, შენც ხომ დაინახე ძია ანდრო? შავი ძია, ამოდენა ცხვირით.

ბავშვმა დასტურის ნიშნად თავი დააქნია.

ანდროს, მართლაცდა, მიაგნეს ერთ ნესტიან ძელურ ბარაკში, სადგურ მარელისის ახლოს. სველი ჯანღიდან ამოცურებულმა დრეზინამ სამუშაოდ წაიყვანა მუშების ჯგუფი და ბარაკში ნარებზე, სველ დაბამბულ ქურთუკებს ქვეშ დარჩა მხოლოდ ორი — ჯმუხი ბრიგადირი და ავადმყოფობისაგან დაუძლურებული, ხოჭოსავით შავი ანდრო. როცა ბრიგადირი ჯაჯგურით გააღვიძეს და აუხსნეს ანდრო მიგვყავსო, მან წაიდუდღუნა, წაიყვანეთ, მალე წაიყვანეთ, სანამ არ მომკვდარაო.

ასე დაბრუნდა მეორედ სოფელში ანდრო.

მალე იგი ვნახე ჩვენთან, ჩვენს სახლში, ეს იყო მეტად გამხდარი, მთლად ძვალი და ტყავი, უშნო, აყლაყუდა კაცი, ანდრომ ბაბუაჩემი იკითხა და მეც მას თვალწინ ბილიკით მარანში დავეშვი. წამდაუწუმ უკან ვიხედებოდი, თვალს არ ვაშორებდი ანდროს.

შეღამებისას ანდრო წავიდა. ნელა, სუსტი ნაბიჯით მილასლასდა კუტიკარამდე და მერე მწუხრის ბინდბუნდში გაუჩინარდა. ბაბუამ მას გახედა, თავი გაიქნია და ამოოხვრით თქვა:

— საცოდავი ანდრო!

— ეს რა თქვი, რატომ არის ანდრო საცოდავი? — თითქოს მოყურადებული იყოო, უმალვე გამოეხმაურა ბებია სამზარეულოდან, აივანზე გამოვარდა და მყვირალა ხმით განაგრძო: — მითხარი, რატომ არის ანდრო საცოდავი? საცოდავი ის არის, ვინც ვერ დაბრუნდა. შენი შალვაა საცოდავი! საცოდავია პარმენის ამირანი, ფარნაოზაა საცოდავი, სამი ობოლი დატოვა, ნიკა, ნუგზარი, მალხაზი არიან საბრალონი, რა ბიჭები იყვნენ, ალვის ხეებივით აშოლტილნი და ტანადნი, თვალს ვერ მოაშორებდი, — აი ვინ არის შესაბრალი! შენ შენი შვილი გაიხსენე! ეს შავი ხარაბუა ანდრო დაბრუნდა, ისინი კი ყველანი იქ დაიმარხნენ... ისინი შეიცოდე.

— გეყოფა, თებრონე! — მკაცრად, წარბშეჭმუხვნით შეუტია ბაბუამ, — როგორ არ გრცხვენია, დედაკაცო! — ცოტა ხანს ერთ ადგილზე ცქმუტავდა, რამდენჯერმე დამნაშავის თვალით შეხედა ცოლს: — იცი, რა მითხრა? რატომ წამომიყვანეთ მარელისიდან, ჩავძაღლდებოდი იქ, ბარაკის ნარებზე და მეც უგზოუკვლოდ დავიკარგებოდიო.

— ღვინო ვის არ აუბამს ენას და რას არ ათქმევინებს! — გაცხარებით წამოიძახა ბებიამ და ხელი ჩაიქნია. — ხედავ, რა დალაგებულად აალაპარაკა ღვინომ ეს უენო! — მაგრამ ერთი წუთიც არ გასულა, ბინდბუნდში ჭიშკრისკენ გაიხედა და ხმის კილო არ შეუცვლია ისე თქვა:

— ოჯახს უნდა მოეკიდოს ეგ საცოდავი, ცოლი შეირთოს, შვილები გააჩი-

ნოს, თორემ, ვინ იცის, იქნება ისევ გაიქცეს სადღაც და გადაიკარგოს.

ანდრომ იმავე წელს ითხოვა ცოლი, გვიან შემოდგომისას, წვიმიან და ბურუსიან დღეს შორიდან მოიყვანა უშნო, ტანაწოწილი ქალიშვილი. ვეჯვარეს ხელით მოქონდა პატარძლის პატარა ფუთა, რომელიც წვიმაში დასველებულიყო. ქალიშვილს დომნას ეძახდნენ, გოგო ისეთივე ჩუმი და სიტყვაძუნწი იყო, როგორც მისი ქმარი. მალე ეყოლათ შვილები, პირველად ტყუპი, მეორე წელიწადს კიდევ ერთი.

სწორედ იმ ხანებში იყო, რომ ანდრო მდინარეს დაუმეგობრდა, შეეზარდა მზეზე მოლაპლაპე მის ერთ საქცევს, რომელიც თავის უკანასკნელ ხელშეუხებელ მარაგიდან ანდროს წვერას და ღორჯოს, ჭანარს და კაპარჭინას აწვდიდა.

დრონი იცვალნენ. სოფელში აღარავის შიოდა. ანდრო კი ისევ და ისევ ეწეოდა ბადეს.

ჩემს წინ მდინარე ბრუნავდა, იგრიხებოდა, ბუტბუტებდა, მწვანე ჩქერალი მსუბუქად მოძრაობდა.

ჩვენს მთას მზემ შემოუარა და მდინარეს ჩრდილი დაეცა.

— ლადო! — ყვიროდა ვიღაც ამაზრზენი ხმით, — ლადო, შე ყრუ ინდაურო! ეს მე ვარ გორაზე, ამოიხედე!

მე გაცხელებულ კლდის ქიმზე ვიჯექი და დაბნეული აქეთ-იქით ვიმზირებოდი.

წაბლის ხეებით და ხშირი ბუჩქნარით შემოსილი მოპირდაპირე ნაპირი ციცაბოდ მიიწევდა მაღლა. ხმა იქიდან მოდიოდა და მე არათუ ვერ ვხედავდი იმას, ვინც ზევიდან მიყვიროდა, ვერც ვცნობდი ხმასაც კი.

— რას აქნევ მაგ ქეციან თავს! თფუ, ერთი შარვალი მქონდა და შენი გულისათვის ისიც შემოვიფხრიწე... მე ვარ, ახლა მაინც ხომ მხედავ?!

— გამოდი ტყიდან, — გავძახე მე.

— არ შემიძლია, ძროხა არ მიშვებს.

— რაო?

—ძროხა არ მიშვებს.

— მიბმული ხარ თუ?

— არა! ფერმაში შემყავს, გესმის? დასაგრილებლად. არ ჩერდება ერთ ადგილზე, ეს მგლის კერძი! უხ შენი... — და ჩემს ყურამდე მოაღწია გრძელმა, ყოვლად უწმაწურმა ისეთმა გინებამ, როგორიც მთელ სოფელში მხოლოდ რეზომ იცოდა.

— რეზო! — შევძახე მე.

— დავკლავ, — მოისმოდა გორიდან, — დავკლავ ამ სამგლეს. და ხორცს ძაღლებს გადავუყრი...

— ეს შენა ხარ, ბიჭო?

— ჰო... როგორც იქნა, მიცანი, შე მუდო!

— ჩამოხოხდი!

— ძროხა არ მიშვებს!

— დააბი მერე, შე კაცო!

— რას დააბამ, ატროკებულია, მოთმინება არ ყოფნის მაგ ოხერს, თვითონ შენ ამოდი, მომეხმარე. შენი გულისათვის შარვალი შემოვიფხრიწე.

— კარგი, დამიცადე ერთს წუთს. მოვდივარ — ვთქვი და წყალში გადავხტი, გავცურე, მოპირდაპირე ნაპირისაკენ, ფრუტუნით ცხვირპირიდან წყლის წვეთები მოვიშორე და ავძახე, — რა ისეთ გასაჭირში ჩავარდი...

— რაო?

— რა ისეთ გასაჭირში ჩავარდი, რომ შარვალი შემოგეხია.

— ხეზე ავხოხდი, რომ დაგენახე...

— ძროხა?

— მგელმა ჭამოს მაგისი ჯიგარი, მთლად გამხეცდა, გადაირია.

—არაფერია. მოითმენს!

— მოითმენს, არაფერია, — გამომაჯავრა რეზომ.

ნაპირზე გავედი, წყლის შხეფები ძაღლივით დავიბერტყე.

— რეზოუ!

— ოუ!

— არმიიდან როდის დაბრუნდი?

— დიდი ხანია. ოთხი წელიწადი იქნება მას აქეთ.

— მაშასადამე, შვიდი წელიწადია არ გვინახავს ერთმანეთი.

გავიარე ქვებით მოფენილი ნაპირი და მთის ფერდობს ავყევი.

— ჰეი, სადა ხარ? მხედავ?

— გხედავ!

— სწორად ამოვდივარ?

— ცოტა მარცხნივ დაიჭირე!

მე გაჭირვებით მივხოხავდი, გვიმრა მცემდა მუხლებზე, ხშირი კვრინჩხის ეკლები მიკაწრავდნენ ზურგს და მხრებს. შეხურებულ ტყეში სქელი და შეხუთული ჰაერი იდგა. განსაკუთრებით მძიმე და მძაფრი სუნი ასდიოდათ ყვითელი იელის ვიწროფოთლებიან ბუჩქებს.

მე შემოვუარე ნაძვის ხეების ჯგუფს და მათზე სუროსავით შემოხვეულ მწვანე ეკალბარდებს, ძლივს გავაღწიე ტანმაგარ ნორჩ თხილნარში, მივსწი-მოვსწიე ახლად ნაყარი რტოები და გაოცებისაგან იქვე გავშეშდი. ჩემს წინ გადაიშალა მაყვლის ბუჩქებით დაფარული მდელო. ჩემს პირდაპირ იდგა ქალიშვილი, ღია ფერის ტანსაცმელი ეცვა. უფრო გვიან ხშირად ვიხსენებდი ამ სურათს და ვერ გამეგო, რატომ დასტოვა ამ გოგომ ჩემზე ესოდენ დიდი შთაბეჭდილება. თვითონ განსაჯეთ: ქალიშვილი კრეფდა მაყვალს, მისი სახე არ დამინახავს, ეცვა სრულიად ჩვეულებრივი ხალვათი კაბა, ცოტა მოჯაჯული კიდეც. გაქვავებული ვიდექი და ადგილიდან ვერ ვიძროდი. შეიძლება, უკვე მოვასწარი და გავტყიურდი სოფელში, შეიძლება თავი უხერხულადაც ვიგრძენი იმის გამო, რომ ქალიშვილმა ალბათ ყური მოკრა ჩვენს სულელურ თავშეუკავებელ მხიარულ ყბედობას, ან შესაძლოა შემიპყრო წინათგრძნობამ. არ ვიცი, მხოლოდ ვიტყვი, რომ მე უძრავად, სულმოუთქმელად ვიდექი თხილნარში და სულგანაბული ვუყურებდი, ცერებზე შემდგარი ქალიშვილი, ბუჩქზე მთელი ტანით გადაწეული როგორ მიიწევდა მაყვლისაკენ, რა ლამაზად ეკვროდა გახუნებული კაბა მის ტანს, როგორ უშიშვლდებოდა შავგვრემანი ფეხები. ბოლოს მიწვდა შერხეულ რტოს, მაგრამ ერთბაშად ხელი გამოსწია, თითქოს მდუღარე გადაესხაო, მერე ამჩატებულმა ეშმაკური ღიმილით ისევ გაიწვდინა ხელი, ფოთოლს თითები წაავლო, თავისკენ მიიზიდა და ნაყოფს კრეფა დაუწყო. მე თხილნარში ვიდექი და ვუთვალთვალებდი. აგერ, მთლიანად გაკრიფა მოზიდული რტო და გადავიდა შემდეგ ბარდზე. ნელ-ნელა მიახლოვდებოდა, ნაბიჯის გადმოდგმა კიდევ და დავინახავდი მის სახეს, მაგრამ ამ დროს ჩემს ახლოს, თითქოს ჩემს გვერდით, ხეებს და ბუჩქებს ამოფარებულმა რეზომ საზიზღარი ხმით დაიღრიალა.

— ლადო, შე ძაღლიშვილო, რას მიშვები?

ჩვენ ორივენი შევკრთით და იქით გავიხედეთ, საიდანაც ყვირილი მოისმოდა.

— სად დაიკარგე, შტერო, დოყლაპიავ, ვირისთავო... ლადო, ლადოო! — ვულამომჯდარი ყვიროდა რეზო, მაგრამ ქალიშვილი უკვე ყურს არ უგდებდა, აუჩქარებლად წყვეტდა ნაყოფს, პეშვს ივსებდა და უკან თავგაწეული ხახაში იყრიდა. ის იყო საფარიდან მისკენ ნაბიჯი უნდა გადამედგა, რომ უცებ გამახსენდა, ტრუსების ამარა ვიყავი. უმალვე შემოვტრიალდი და თავქუდმოგლეჯილმა მთისკენ მოვქუსლე. ისეთი ხმაური შეიქნა, თითქოს ტყეში დამფრთხალი ტახი გარბისო.

— ლადო-ო! — ჩახლეჩილი ხმით ჩხაოდა რეზო, — ლადო, ძროხა ერთ ადგილზე არ ჩერდება.

„ჯანდაბას შენც და შენი ძროხაც“ — ვთქვი გუნებაში.

— ფერ-მა-ში მო-დი! ფერ-მა-ში, ფერ-მა-ში დაგიცდი!

მთიდან ქვევით დავეშვი, მივვარდი ქვებზე მიყრილ ტანსაცმელს, სწრაფად ჩავიცვი. ახლა ჩემთვის უფრო ადვილი იყო გამეღწია ხშირ ტყეში, მაგრამ მეშინოდა მიმართულება არ შემშლოდა და აჩქარებით მიმავალი არ ავცდენოდი მზიან მდელოს. კაცმა რომ თქვას, რა მოხდა, ასე რად მიმეჩქარებოდა, — ვკითხე ჩემს თავს — ვინ არის ასეთი ეს გოგო?

ქალიშვილი ნებივრად მიმოდიოდა მზეზე გაყვითლებულ მაყვლის ბარდებს

შორის, ამჯერად იგი მაყვალს მიწაზე გართხმულ ბარდებზე კრეფდა. მე ისევ შემეკუმშა გული. რატომღაც წავბორძიკდი, ერთბაშად გავვარდი მდელოზე ისე, როგორც ხდება კინოკომედიაში, როცა მოშიშარ დებიუტანტებს ხელისკვრით სცენაზე შეაგდებენ ხოლმე.

ხმაურზე ქალიშვილი ჩემსკენ შემოტრიალდა.

მე ვითომ დარდიანი სახით ბუჩქნარს დავუწყე თვალიერება, თანაც შარვალი გავიბერტყე და გუნებაში ჩემს თავს ვუთხარი — „ლადო ინაშვილო, ნუთუ ეს შენა ხარ? რა გემართება, ბოლოს და ბოლოს!“ ავაზის ნელი ნაბიჯით ქალიშვილისაკენ გავემართე.

— გამარჯობათ! რა კარგი ადგილი აგირჩევიათ! — ქალიშვილმა დარცხვენით შემომხედა და უცებ მისმა ლამაზმა შავგვრემანმა სახემ ჩემთვის კარგად ნაცნობი, თითქმის მივიწყებული ბავშვის სახე გამახსენა.

— ნუცა! ეს შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ! — დაიქნია თავი და შავი წამწამები დაახამხამა.

— ბესო ნიორაძის გოგო!

— დიახ, — ქალიშვილმა ისევ დამიქნია თავი და ისევ გამიღიმა.

— რამხელა გაზრდილხარ, სადმე რომ შემხვედროდი, ვერაფრით ვერ გიცნობდი, რამდენი წლისა ხარ ახლა?

— თვრამეტის...

— ჰოო, — ჩავახველე, სასულეში ნერწყვი გადამცდა, — ძალიან გაზრდილხარ, ნუცა, გამოცვლილხარ, სკოლა დაამთავრე? როგორ? წარჩინებით?

ნუცამ მხრები აიჩეჩა.

— თუ ძლივსძლიობით?!

— ორი სამიანი გამომყვა, ალგებრასა და რუსულში.

— ჩაბარებას არსად აპირებ?

ნუცამ ღიმილით თავი გააქნია.

— რატომ? — ვკითხე და მისი ღიმილი მეც გადამედო.

— მამას არ უნდა. მაინცადამაინც არც მე მწადიან.

— ეს რატომ?

— აქაც კარგადა ვარ.

ერთხელ კიდევ გულისყურით და დაკვირვებით ავხედ-დავხედე ნუცას. დიახ, ეს ნინუცა იყო. იმ ოთხი წლის მანძილზე, რაც მე სოფელში არ ვყოფილვარ, შვიტუხა გოგონა გაზრდილა, დამშვენებულა და ნამდვილი თვალტანადი ქალი გამხდარა.

— დიახ! გამობრძმედილი ბესო ნიორაძე ადვილად არ მოტყუვდება. ასეთი ლამაზი გოგო ცხრაკლიტულში უნდა ჰყავდეს ჩაკეტილი. ეს სწორად გადაუწყვეტია მამაშენს, — თავი გავიქნიე და სიცილით თვალი ჩავუკარი ნუცას. ხსენებაზე არ შემიძლია ბესარიონი არ მოვიკითხო: „როგორაა, ხომ ჯანზეა?“

— გმადლობთ, ჯანმრთელობას არ უჩივის.

— დედა?

— იმასაც არა უჭირს რა, გმადლობთ. თქვენ რასა იქთ, როგორ ცხოვრობთ?

— ისე, არა მიშავს, ვცხოვრობ გაწამებული. მუშაობა... მუშაობა... გაუთავებელი მუშაობით წელში ვარ გაწყვეტილი. აგერ, ჩამოვედი სოფელში დასასვენებლად, მაგრამ რის დასვენება. რა დასვენება. უნდა იმუშაო, ჩემო ლადო, უნდა იმუშაოო, ასეთია ხელოვანის ცხოვრება, ჩემო კარგო ნუცა!

— იცით რა, მე შენახული მაქვს თოჯინა, თქვენ რომ მაჩუქეთ, — თქვა ნუცამ და ქარისაგან დამსკდარი ტუჩების ღიმილში თეთრმა კბილებმა გამოანათა.

— თოჯინა? რა თოჯინა?

—ხის თოჯინა, თქვენ იგი დიდი ხანია, რაც გააკეთეთ.

მაშინ შვიდი წლისა თუ ვიქნებოდი... უკვე შემეძლო მწყემსების ყავარჯნების მოჩუქურთმება და ცხოველების პაწია ფიგურების გამოთლა. მაგრამ არ მახსოვდა ნუცასთვის მეჩუქებინოს რაიმე თოჯინა.

— იქნებ მაჩვენო ის დედოფალა? — კარგი? — ვუთხარი და მის იდაყვს შევეხე, ამით თითქოს ვანიშნებდი დაგვეტოვებინა ეს მდელო, რომელმაც ჩემს თვალში უცებ დაკარგა წინანდელი მომხიბვლელობა, მაგრამ ნუცა ვერ მიმიხვ-

და. იმერული აღზრდის შესაბამისად, ზრდილობის გამოხატულებად და თავის წმინდა მოვალეობად ჩათვალა გამოეკითხა ჩემი ნათესავების, ჩემი ბებიის ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა უფროსი შორეულ ნათესავებისაც კი, რომელთა არსებობა ალბათ მამისა და დედისაგან იცოდა. მთელი ჩემი კეთილსინდისიერებით ვუპასუხებდი მის კითხვებს.

ბოლოს მაინც ვერ მოვითმინე, თავი ვერ შევიკავე და გადავიხარხარე.

— აბა, რა შენი სადარდებელია ბაბუაჩემის აფრასიონის შვილიშვილის ჯანმრთელობა. სჯობია მითხრა, როგორ მოხვდი აქ?

—მამამ ფერმაში გამგზავნა და...

— ალბათ გესმოდა როგორ იჭაჭებოდა რეზო?

— ოი, ბევრი ვიცინე, ის დიდხანს, დიდხანს გიყვიროდათ, როცა ჯერ კიდევ დაბლა იყავით, მდინარის პირზე, კლდეზე იჯექით და თავიც კი არ ავიწევიათ მაღლა... ნუთუ არ გესმოდათ?

— არა, კლდეზე მიმჯდარს დამთბუნა და კინაღამ ჩამთვლიმა. ახლა შინ მიდიხარ?

— დიახ!

— მაშ წავიდეთ. თუ მთლად გინდა გაკრიფო ეს მაყვალი?

— მაგას რა გაკრეფს, იმდენია, ხვალ დედაჩემს მოვიყვან აქ, სამურაბედ უნდა, მეც მიყვარს მაყვლის მურაბა.

ჩვენ აუჩქარებელი ნაბიჯით მივდიოდით ფერმისაკენ.

საღამოვდებოდა. მზე ჩავიდა და ცას ჩვენი მთის ზემოთ ვარდისფერი დაედო. ბონდი, რომელიც ფერმას სოფელთან უმოკლესი გზით აკავშირებდა, ჩვენგან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. ამიტომ გაღმა ფონით გავედით. წყალს ნუცა ქვევით-ქვევით მიჰყავდა და გოგოც ირიბად კვეთდა ჩქერებს. მე ოდნავ ჩამოვრჩი, ვტკბებოდი მისი ცქერით. ყველაზე ტანადი ქალიშვილები, რომლებსაც მე ვიცნობდი, აკადემიის ლამაზი მენატურეები იყვნენ — ნანა და ლენა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თავისი გარეგნობით ახლოს ვერ მივიდოდა ნუცასთან.

ნუცა გავიდა კლდოვან ნაპირზე, გაწურა დასველებული კაბის კალთა და შემოტრიალდა.

— ალბათ, ქალაქში სულ გადაეჩვიეთ მდინარის პირად სეირნობას და ფონზე გასვლას. აქ ძალიან სლიპი ქვებია...

ნუცა ზემოიმერულად უქცევდა. იმდენად სუფთა, შეურეველ ზემოიმერულ კილოზე ლაპარაკობდა, რომ კაცი იფიქრებდა, ეს გოგო აღმოსავლეთით წიფას არ გაცილებია და დასავლეთით სოფელ რიონსო.

ჩვენ ნელა ავუყევით მთის ციცაბო ბილიკს.

შევნიშნე, რომ ნუცა ქვეშქვეშიდან შემომყურებდა და იღიმებოდა.

— ნეტა გამაგებინა, რად იღიმები!

— ისე. მეღიმება და ვიღიმები, — შეკრთა ნუცა, მერე დაუმატა:

— მიტოს ნაამბობი გამახსენდა — ბავშვობაში ბოსტანში რომ გადაძვრებოდით ხოლმე და საზამთროებს იპარავდით.

— ალბათ, მიტომ იცი გითხრა, როგორ ვტუცე ხელი ხაფანგში.

— კი, მითხრა.

რაც უფრო ზევით ავდიოდით, მით უფრო გრილოდა. წნული ღობეები და მესრები შეცვალა ხავსიანმა ყორეებმა. წინ გვეგებებოდნენ, პირდაპირ ყორეებსა და ყორეებს შუა ამოსული ლეღვის ხეები, ბროწეულისა და კვრინჩხის ბუჩქები. ალაგ-ალაგ გვხვდებოდა მაყვალიც. ეს მცენარე მიბობღავდა ქვებზე, ლამობდა, რაც შეიძლება დიდ მანძილზე მოშორებოდა ადამიანის თვალსა და ხელს.

ჩანდა, ნუცას არ შეეძლო გულგრილად და მშვიდად გაევლო მაყვლის ბუჩქის ახლოს. თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწარი, ისე აცოცდა მაღალ ყორეზე.

— ეს სად ასულხარ, ქალბატონო!

პასუხად ჩუმად ჩაიცინა და დახუნძლული მაყვლის რტო მიჩვენა.

— მდელოზე ვერ იჯერე მაყვლით

გული? ახლავე ძირს ჩამოდი? ქვებზე ხოხვას გირჩევნია, ის მიამბო, როგორ ეჩხუბება დედაშენი მამიდაშენს ანეტას.

ნუცა გადმოხტა ყორედან, გამომიწოდა მაყვლით ავსებული პეშვი და მითხრა:

— უკვე აღარ ჩხუბობენ.

— ვერ დავიჯერებ! დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასოდეს ვერ შერიგდებიან.

— ახლა მამას მათ ნაკვეთზე პამიდორი მოყავს.

— ო, საოცარი ამბავი მომხდარა! გახსოვს, რა სიცილ-კისკისი და ხარხარი ატყდებოდა ხოლმე, რაცა შენ მათ ჩხუბს წარმოადგენდი.

ნუცამ თავი დაიქნია.

— მაშინ ძალიან პატარა იყავი, სხვა-პასხუპით გაიძახოდი სიტყვებს... „ანეტა გთხოვ, გაჩუმდი, გულს ნუ მიხეთქავ, ანეტა! ნუ მათქმევინებ ყოლიფერს“.

„— რა ყოლიფერს, რა ყოლიფერს, ერთი მიბრძანეთ, — ამყვა ნუცა და გაიცინა, — რა უნდა მითხრა, რა? რომ შენი ქმარი — აფერისტია და შენი შვილები ყველა ხულიგნები. ეს ისედაც იცის მთელმა სოფელმა. რაც შეეხება შენს რიგის ავეჯს და შენს მაცივარს, — ტფუ, ტფუ, ტფუ, ტფუ, — მიმიფურთხებია“.

— ზუსტად, ზუსტად ასეა — ხა-ხა-ხა-ხა! ყველას გვეგონა, რომ შენ მსახიობი გამოხვიდოდი, სკოლაში, თვითმოქმედების წრეში არ გიმეცადინია?

— არა.

— რატომ?

— არ მინდოდა — უბრალოდ მიპასუხა.

ნუცა მსუბუქად მოდიოდა ჩემს გვერდით. მისი ნორჩი ტანი ლამაზად ირხეოდა სამოსს ქვეშ.

— მშვენიერი კაბა გაცვია!

— დამცინი?

— გეფიცებით, მართალს გეუბნებით.

შეუღებავ მუხის ფართო კარებთან შევჩერდით.

— მამამ მაჩუქა დაბადების დღეს. თბილისიდან ჩამომიტანა.

ეზოს, მესერს გასწვრივ, ხურტკმელის ბუჩქები მოუყვებოდა. სიღრმეში ორსართულიანი ქვის სახლი იყო წამომართული.

— ოჰო, ეს დიდებული სახლიც წამოგიშიმავთ.

— სულ ერთ თვენახევარში ავაშენეთ. ეს კი იყო, ხუროთმეზობელ სოფლიდან მოვიწვიეთ.

— რატომ მერე? განა ჩვენი სოფლის ხუროები ერთიანად გაწყდნენ?

— ჩვენი ხუროები ოცი მანეთისას მუშაობენ, ორმოცი მანეთისას კი ღვინოსა სვამენ.

—მაშ ასე, ჩემო კარგო, უკვე გვიანია, შედი სახლში, თუ მამამ დატუქსვა დაგიწყო, უთხარი ძია ლადომ შემაყოვნა-თქო.

— კი ბატონო, ასე ვეტყვი, იქნებ შემოხვალთ ჩვენთან ბიძია ლადო!

— გმადლობთ, ახლა ვერა, სხვა დროს.

ნუციკო დამშორდა. მე თვალს ვადევნებდი მის კვალს, მანამდე, ვიდრე სახლში არ შევიდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

ღრმა პაუზები

როგორც ორმოები საჰაერო
კავკასიონის ავიახაზზე,
ჩვენი საუბარი სანახევროდ
ღრმა პაუზებით არის აღსავსე.
ცაში გალუმპული, ტვირთიანი
ვერ აღწევს მძიმე სიტყვა შენამდე,
ასე იკვამლება თვითმფრინავი
ფრთებდაშვებული ძირს დაშვებამდე.
აჰა, მივაღწიეთ გადასასვლელს,
ცა გაგვიფატრეს მთებმა ეშვებით,
ღრუბლის ვეშაპებმა გადაგვსანსლეს
და დუმილს მაინც ვეღარ ვეშვებით.
რად არ მოგვეღირსა გაღიმება
სიჩუმის ღვედით სკამზე მიბმულებს?
უღვთო, დაღდასმულმა თარიღებმა
ზეცაში სახე რად მოგვიღრუბლეს?
რად არ ვეზიარეთ თანამგზავრთა
ცინცხალ, ბუნებრივ სიცილს, მუსაიფს?
ორი აზრბებერი ახალგაზრდა
ვზივართ და ვდუმვართ წყვილი ბუსავით.
სიტყვის უნებლიე წამოცდენას
ჩვენი თვალები სადღაც გაურბის,
სიმწრის ღიმილიან გაოცებას
ტუჩებზე გვიჩენს გაბმა საუბრის.
და რაც გამოვცარით, სანახევროდ
ღრმა პაუზებით არის აღსავსე,
როგორც ორმოები საჰაერო
კავკასიონის ავიახაზზე.

ა ე რ ო პ ო რ ტ ში

მგზავრობა არასდროს მზარებია,
აეროპორტში დავალ პირქუში,
თევზები კი არა, მგზავრებია
შუშაბეტონის აკვარიუმში.
გარეთ კი ფრთოსანი თევზებია
შორს გასაფრენად გამზადებული;
ვინ უწყის, რამდენჯერ შესევიან
ღრუბლები ჩემზე გზადაბნეული.
მეც მისკენ ვიჩქარი დაუზარლად
და ვდუმვარ, ვდუმვარ ბედსმინდობილი,
ჩემს სულში ვეება პაუზაა
ბენზინით მთვრალი თევზის დობილი.
რიღასთვის ვარჩიო შინდარჩენა,
ან განზრახვაზე ხელის აღება;
დაქსაქსულ გზებიდან შესარჩევად,
თუ უკეთესი ვერ მესახება.
თუ დღემდე როგორმე მოვაღწიე,
ვუმადლი სათქმელს — ჯერ
არ გამხელილს,
რომ ვიყავ გულწრფელი მონაწილე
და მოწმე ბრმათა თვალის ახელის.
შორი გზა სვე-ბედის ქესატობას,
მძიმე ჯვრის ზიდვას გამიიოლებს...
მივალ და, როგორც ჩემს შესანდობარს
კილომეტრების ვნთქავ მილიონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის ხმა ლაქვარდში

ვეება ჯვარია თვითმფრინავი.
ზედ მე ვარ მიბმული ჯამბარათი,
უწყალოდ მოღლილი, ფიქრიანი
ვბორგავ და თან მომდევს ჯამაათი.
ბრბოს დაფნა — გვირგვინად შეუკვრელი
თან მოაქვს ნისლიან სისხამდილით
და სული, ცასავით შეურყვნელი,
მევსება მიწიერ სინამდვილით.
ბაზრის ხმა ლაქვარდშიც მიმაცილებს,
სვე-ბედზე მიკრული ვიგინები:
და მინდა დავუწვნა ვიღაცეებს
ჰაერში ვაჩუქო გვირგვინები.
შემინდოს მოწყალე შემოქმედმა,
თუ გულში უღმერთოდ მიგინია
და ურჩი თვალების შემოხედვა
თუ ჩემთვის გვირგვინთა გვირგვინია...
მაგრამ შორს დავტოვე აღუვსები
სიმწრის და ნუგეშის საგუბარი
და მრავლისმეტყველი პაუზებით
აღსავსე ხანმოკლე საუბარი.
უზომოდ მოღლილი, ფიქრიანი
სულსწრაფთა ქირქილით გავნაწყენდი...
ვეება ჯვარია თვითმფრინავი —
ზეცაში ავყავარ განსაწმენდი.

სასწაულის მოლოდინი

გნიასი მიყვარდა ნავსადგურთა;
სადგურთა ორპირი ნიავქარი,
დღეს ვიცდი, მგზავრობის დასასრულთან,
აეროვაგზალთა ბინადარი.
ვუცდი და მოველი ბარგაკრული
რაღაცა სასწაულს, საოცრებას:
ძიების წიაღში დაკარგული
დღეების ზეციდან ჩამოცვენას.
ვუცდი და არ ხდება არაფერი —
მაღლაა — ცის ლურჯი ოკეანე,
დაბლაა ასაფრენ-დასაფრენი
ბეტონის მინდორი მოკრიალე.
კიბეზე ავდივარ ჩვეულებრივ,
ნელა ვთვლი ლითონის საფეხურებს.
და ადრე სალონში შესულები
გვიან მგზავრს მაყრიან საყვედურებს:
— სადა ხარ?.. რამდენხანს დაგვახანე!..
— ვუცდიდი, — ვპასუხობ
თანამგზავრებს, —
ვუცდიდი, მის ცდაში დავაღამე,
„ვუცდიდი“ — ეს სიტყვა დაგვაზავებს.
მაგრამ ვის ვუცდი ბარგაკრული?..
ვუცდიდი სასწაულს? საოცრებას?
ძიების წრიალში დაკარგული
დღეების ზეციდან ჩამოცვენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცა და ზედაშე

ჩვენი თვითმფრინავი ზეცაშია
და სჭექს სიმღერები საქორწილო...
— მოსვი, ჭეშმარიტი ზედაშეა,
წყვილი დაგვილოცე, დალოცვილო!
მოსვი, უკვდავებად შეგერგება!
ვერ სვამ? უფსკრულეთში გადაეშვი! —
ვიღაც შეხუმრებით მევედრება
და ვსვამ სადღეგრძელოს აზარფეშით.
როგორც ღენერალმა იარალის,
ნეფემ გამიღიმა ნაღვინებმა.
კიდევ შემძლებია იავარქმნილს
სიტყვის ნაღვერდალთა გაღვივება.
ქვემოთ იალაღებს ჩახლართვია
ზვრები, ნაფუძვრები უსაძოვრო, —
დავით კაკაბაძის ნახატია,
მინდა მექორწინეთ ვუსახსოვრო.
მაგრამ საქართველოს ათასფერი
მთელი მიწა-წყალი მაგათია,
სხვა რა ვუსახსოვრო? არაფერი,
მე სხვა არაფერი მაბადია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

ბ უ რ უ ს ი

მოთხრობა

გიორგი ნოზაძეს საავადმყოფოს კარი თავის სიცოცხლეში არ ენახა. მხოლოდ ორჯერ დაიჭრა ფრონტზე, ან, როგორც თვითონ ამბობდა, ორჯერ გაკაწრა ტყვიამ და ჭრილობები ფეხზე მოიშუშა. გოლიათური აღნაგობის პოლკოვნიკი იმ დღეს განსაკუთრებულად კარგ გუნებაზე იყო. ორი ფრონტელი მეგობარი შეხვდა. რესტორანში შეუხვიეს, თითო ბოთლი ღვინო დალიეს. ომი მოიგონეს. გიორგი იცინოდა თავის ნიჩაბივით ხელებს მეგობრებს მხრებზე უტყაპუნებდა.

რესტორანში ცხელოდა. გიორგის თითქოს სუნთქვა ეკვროდა. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მხრები გაშალა, თავისუფლად ამოისუნთქა. ერთმა მანქანა გააჩერა. პოლკოვნიკმა გასეირნება მოისურვა და მეგობრებს გამოემშვიდობა. რუსთაველის მოედანზე ერთხანს შეჩერდა. შინ გული არ მიუწევდა. გადაწყვიტა, მოდი, ერთს კიდევ ჩავივლიო პროსპექტზე. უმალვე გადაიფიქრა. სექტემბრის თბილი საღამო იდგა. ქუჩა ზღვაზე გაშავებული გოგო-ბიჭებით იყო სავსე. ახოვანი პოლკოვნიკი ძალზე გამოირჩეოდა ზომაზე მეტად მოშვებული ულვაშებით. იცოდა, ქუჩაში შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა და შერცხვა, ახლა რომ ხელახლა ჩავისეირნო, უსაქმური არავის ვეგონოო.

ერთხანს ასე იდგა. იქნებ ვინმე ნაცნობმა გამოიაროსო. არა და არ უნდოდა შინ წასვლა. ჯიბრზე ნაცნობიც არავინ გამოჩნდა. ასე ტყუილად დგომაც ეუხერხულებოდა. გიორგიმ ნელა გადაჭრა ქუჩა, მაღაზიაში შევიდა და აპიროსი იყიდა. დინჯად გააბოლა, მერე უკან გამობრუნდა და შინისაკენ გაემართა. როცა წყნარი ქუჩის დასაწყისს მიადგა, უკან მოიხედა. ჟრიამულითა და ელექტრონით ავსებულ პატარა მოედანს თვალი მოავლო. მაშინ მას, არმიის მამაც პოლკოვნიკს, ჯანითა და ღონით სავსე კაცს, ასეთი საზეიმო, ჩინებული განწყობილება რომ დაუფლებოდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ მოედანს უკანასკნელად ხედავდა.

წყნარი ქუჩა გრძელი, ენერგიული ნაბიჯებით გაიარა .შინ იმავე წუთში შეატყვეს, რომ ნასვამი იყო. ცოლს კისერზე ღონიერი ტორი მოავლო, დაიხარა და შუბლზე აკოცა. მერე ვაჟთან მივიდა, ამირანთან. ორივე ხელი მხრებში ჩასჭიდა, ჯერ სახეზე დააცქერდა, მერე აკოცა, ლოყაზე მიიხუტა და ასე იყო ერთხანს.

— ბევრი დალიე? — ჩაესმა შვილის ჩუმი ხმა.

— შე მამაძაღლო, შენი შესამოწმებელიც გავხდი?! — დაიბუხუნა გიორგიმ, მკერდზე მიყრდნობილი შვილი უკან დასწია, მაგრამ მისი თხელი მხრები ისევ თავისი დიდი ტორებით ჰქონდა ჩაბღუჯული .

ამირანი მამას კეთილი, ცისფერი თვალებით მისჩერებოდა. პოლკოვნიკმა შვილს ცალი ხელით ლოყაზე მოუთათუნა, მეორეთი ჯიბიდან ფული ამოიღო და მუჭაში ჩაუდო. მერე სამხედრო წესისამებრ შებრუნდა და ცოლს ომახიანად გასძახა:

— ნინო, აბაზანა გამიმზადე! .

შავგვრემანი პოლკოვნიკი, თავისი უზარმაზარი ტანის მიუხედავად, სწრაფად მოძრაობდა, სამხედრო ყაიდაზე, მაგრამ საკმაოდ უხეშად, — თითქოს ტანს ვერ იმორჩილებდა. ნინო პირიქით — ტანმორჩილი, სუსტი ქალი იყო. შვილი სრულებით არ ჰგავდა მშობლებს. სიმაღლეში მამას უტოლდებოდა, თუმცა პოლკოვნიკისაგან განსხვავებით მსუბუქი, ოდნავ ნაზი მოძრაობით გამოირჩეოდა. მაგრამ ეს როდი იყო მთავარი განსხვავება. ამირანს სრულიად უცხოური იერი დაჰკრავდა, სწორი, ლამაზი ცხვირი და მოგრძო, დახვეწილი სახე ჰქონდა. ქერა თმებსა და წამწამებს ქვეშ ორი ცისფერი თვალი ლივლივებდა.

ყველას აოცებდა მშობლებისა და შვილის ასეთი სხვაობა. როცა პოლკოვნიკთან ამის თაობაზე გაოცებას გამოთქვამდნენ, გიორგი ნოზაძე, ყოველთვის გაზეპირებულივით ამბობდა: ეს მამაძაღლი ომის დროს რუსეთშია დაბადებული, ალბათ იმიტომაა ქერაო.

— ენაცვალოს დედა! — მხოლოდ ამას დახძენდა ნინო და შვილს სიყვარულით მიაჩერდებოდა.

პოლკოვნიკმა ქამარი შემოიხსნა და თავის ოთახში გავიდა. ამირანმა მამას თვალი გააყოლა, მერე ისევ სავარძელში ჩაჯდა და წიგნის კითხვა განაგრძო. დროდადრო მამის ოთახიდან ბრახუნი ისმოდა. ამირანი ამ დროს წიგნიდან თავს აიღებდა და მამის ოთახის კარს მისჩერებოდა. მიხვდა, პოლკოვნიკს ღვინო მოეძალა და პატარა ოთახში მოძრაობა უჭირდა. მერე ღიღინიც შემოესმა. პოლკოვნიკს სმენა თითქოს არ ღალატობდა, მაგრამ დროდადრო თავის ბძალავ ხმას ვერ იმორჩილებდა: ამირანი წიგნს ჩასჩერებოდა და თან ღიმილს ვერ იკავებდა.

— გიორგი, აბაზანა მზადაა! — მოისმა ნინოს ხმა.

პოლკოვნიკმა კარი გამოაღო. კიტელი და ჩექმები უკვე გაეხადა. მოღეღილი მაისურადან ბრგე, ერთთავად ბალნით დაფარული მკერდი მოუჩანდა.

— შე მამაძაღლო, გადი გარეთ, თვალს წყალი დაალევინე, დილიდან საღამომდე რას ჩაჩერებიხარ ამ წიგნებს! — უთხრა შვილს და კარი გაიხურა.

ამირანმა თავი ასწია. იგი ერთხანს კიდევ მიჩერებოდა იმ კარს, საიდანაც რამდენიმე წამის წინ პოლკოვნიკი გაუჩინარდა. ბაგეზე კიდევ შერჩენოდა წელანდელი ღიმილი. ასე იყო რამდენიმე წამს. მერე ღიმილი ნელ-ნელა გაუქრა სახეზე, ფიქრმა გაიტაცა. წიგნი დახურა, მაგიდაზე დადო და ფანჯარასთან მივიდა. უკვე ბნელოდა, ქვემოთ, მტკვრის გაღმა უთვალავი ლამპიონი ციმციმებდა. ამირანი ფანჯრის რაფას დაეყრდნო და ჭუჩაში კანტიკუნტად მოსეირნე წყვილების ფეხის ხმას ყური მიუგდო. უცებ მთელს ქალაქში სინათლე გამოირთო. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. აღარც ჭუჩიდან მოისმოდა გამვლელების ფეხის ხმა. ამირანი უსიამოდ შეიშმუშნა. ხელის ფათურით სავარძელთან მივიდა და ჩამოჯდა. ოთახში მხოლოდ ძველებური დიდი საათის დაგუდული ხმა ისმოდა. საათის ჭანჭარა რიტმულად მოძრაობდა. ამირანმა თავისდაუნებურად, მთელი ყურადღება ამ მონოტონურ ხმაზე გადაიტანა. არ ახსოვს, რამდენ ხანს იჯდა ასე. უცებ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა, ამირანი წამოდგა, სიბნელეს უკვე შეაჩვია თვალი, მაგრამ კართან მაინც ფრთხილად მივიდა და გამოაღო. ნინო შემოვიდა. ხელში რაღაც ეჭირა.

— რაღა ახლა ჩაჭრა სინათლე, რა ღმერთი გაუწყრა! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ.

ამირანი უკან გაბრუნდა, საწერი მაგიდის უჯრაში ელექტროფანარი მოძებნა, აანთო და დედას სამზარეულოში შეუძღვა. ნინოს შაქარი და ყველი ეყიდა გასტრონომში.

— მამაშენი დაწვა? — იკითხა ნინომ და საშაქრე გამოიღო.

— მამაჩემი?! — ამირანს ახლაღა გაახსენდა, რომ პოლკოვნიკის ხმა კარგა ხანია აღარ გაუგონია; მას შემდეგაც კი, რაც სინათლე ჩაქრა. გაახსენდა და თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინა. ცუდად ენიშნა ეს დუმილი. იცოდა, ნერვიული და ტემპერამენტიანი პოლკოვნიკი უმალვე ყვირილს ასტეხავდა, როგორც კი სინათლე ჩაქრებოდა.

— მამა! — გავარდა აბაზანისკენ ამირანი.

ხმა არავინ გასცა.

— მამა! — იყვირა ამირანმა და აბაზანის კარს მხრით დაეჯახა.

სუსტმა საკეტმა დაჯახებას ვერ გაუძლო და ძირს ჩამოვარდა: თხელი ფიცრის კარი მოკაფელებულ კედელს მიეჯახა. ამირანმა ელექტროფანარი აბაზანას მიანათა და შიშისაგან შეჰკივლა.

პოლკოვნიკს უაზრო თვალები რაღაცისთავის გაეშტერებინა და მძიმედ ხროტინებდა.

* * *

ინფარქტი.

დასკვნა ძალზე მოკლე იყო, ლაკონური და ბევრის მთქმელი.

ინფარქტი, თანაც ყველაზე რთული ფორმა.

„ნასვამი აბაზანაში რატომ შევიდა“, — რა უაზროდ ისმოდა ახლა ექიმის ეს ფრაზა.

თეთრ პალატაში გულაღმა იწვა გიორგი ნოზაძე, ბრგე, კუნთებიანი ვაჟკაცი, რომელმაც აქამდე არ იცოდა ავადმყოფობა რა იყო. გული საითა მაქვს, არ ვიცი, — ხუმრობდა ხოლმე იგი, როცა თანატოლები გულის ავადმყოფობას შესჩივლებდნენ. თავთან მეუღლე უჯდა. ნინო ცრემლებს ძლივს იკავებდა. მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა შეეკავებინა. ავადმყოფის განერვიულება არ შეიძლებოდა.

ამირანი ოთახში დროდადრო თუ შევიდოდა. მამის უაზრო გამოხედვას ვერ უძლებდა და ისევ დერეფანში დგომას ამჯობინებდა. ხანდახან ტყავის დიდ სავარძელში ჯდებოდა. სავარძელი ზუსტად იმ ოთახის წინ იდგა, სადაც მამამისი იწვა. როდესაც იქ ექიმი შედიოდა, გული გამალებით უცემდა. ოთახიდან გამოსულ ექიმებს თვალებში შესჩერებოდა, უნდოდა, მათ სახეზე ამოეკითხა რაიმე საიმედო ან საშინელი. ექიმებს კი ყოველთვის არაფრისმთქმელი, განურჩეველი სახეები ჰქონდათ.

გაყვითლებული პოლკოვნიკი კი იწვა და ჭერს უაზროდ მისჩერებოდა. ასე გავიდა ორი დღე. მხოლოდ მესამე დღეს შესძლო ხმის ამოღება. ნინოს ტირილი წასკდა, მაგრამ ექიმმა მკაცრი თვალებით შეხედა. ქალმა ცრემლები გადაყლაპა და ქვედა ტუჩზე იკბინა. თან ცდილობდა, ქმრისათვის სახე მოერიდებინა.

მხოლოდ მეოთხე დღეს დართეს პოლკოვნიკს ხანმოკლე საუბრის ნება. მან შვილთან მოისურვა ლაპარაკი. დანარჩენებს სთხოვა გარეთ გასულიყვნენ.

ამირანი საწოლის ბოლოს დადგა, რომ მამამისს პირდაპირ შეეხედა და თავის შემობრუნება არ დასჭირვებოდა. პოლკოვნიკი ლაპარაკის დაწყებას აგვიანებდა, მძიმედ სუნთქავდა. ბუნდოვნად ხედავდა შვილის ახოვან ,მაგრამ ნატიფ სხეულს, სწორ, ლამაზ ცხვირსა და მოგრძო სახეს, ქერა თმებსა და წამწამების ქვეშ მოლივლივე ორ ცისფერ თვალს, რაც მის გამომეტყველებას ნაზ, მოსიყვარულე იერს აძლევდა.

— შვილო, დღეს ან ხვალ მოკვდები! — დაიწყო ბოლოს პოლკოვნიკმა.

— მამა! — შეაწყვეტინა შვილმა.

— სსს, ჩუმად, ხელს ნუ შემიშლი. მე ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია. ჩემი სათქმელი ბოლომდე უნდა გითხრა. თუ შევძელი, დიდი ვაჟკაცობა იქნება. მაგრამ პირობა უნდა მომცე, რასაც შენ

გეტყვი, რასაც ახლა გაიგებ, დედაშენს არასოდეს აგრძნობინებ. იცოდე, ის დედაა შენი და ახლა მხოლოდ შენა ხარ მისი პატრონი. მე სიკვდილისა არ მეშინია, შვილო. შენი ტოლა ბიჭი ვიყავი, ომში რომ სიკვდილს კუკუმალობანას ვეთამაშებოდი. მე მხოლოდ ერთი დარდი მკლავდა, არ ვიცოდი, მეთქვა შენთვის თუ არ მეთქვა. ბოლოს გადავწყვიტე ყველაფერი გითხრა, ყველაფერი გიამბო. მერე უფრო თავისუფლად წავალ იმქვეყნად. შენი მჯერა, ვაჟკაცი ხარ და ყველაფერს მიხვდები, ყველაფერს გაიგებ და ისე გადაიტან, როგორც კაცს ეკადრება.

— მამა, იქნებ ახლა დაისვენო და სხვა დროს მელაპარაკო?

— ეგ სხვა დრო აღარ იქნება, შვილო! — ჩაცინება სცადა პოლკოვნიკმა, მაგრამ ვერ შესძლო.

— დავიწყებ პირდაპირ, შენ ჩვენი ნამდვილი შვილი არა ხარ.

პოლკოვნიკი ერთხანს გაჩუმდა, თითქოს შვილის რეაქციას დაელოდა. თითქოს უნდოდა შვილის სახეზე დაენახა, ეს საშინელი სიტყვები როგორ იმოქმედებდა.

ამირანი ისევ ჩუმად იდგა. არც შერხეულა, ოღონდ თეთრ, მოცისფრო საფეთქლებზე ნელ-ნელა შემოაწვა წითელი ფერი. დუმილი რამდენიმე ხანს გაგრძელდა, მაგრამ მამასაც და შვილსაც ეგონათ, რომ საუკუნე გავიდა. ამირანი ბოლოს მიხვდა, პოლკოვნიკი შვილისაგან რაღაცას ელოდა — აღშფოთებას თუ გაოცებას, იმედის გაცრუებას თუ რაღაც უფრო საშინელს.

— მე მაგას აღრეც ვგრძნობდი, მამა, მაგრამ ამ ამბავს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც არასოდეს საჭიროდ არ მიმიჩნევია ამ თემაზე საუბარი. განა ჩვენს ურთიერთობაში როდისმე გიგრძვნია რაიმე?

— მაგას მეც ვეჭვობდი. ამ ბოლო წლებში ყოველთვის ვგრძნობდი, რომ შენ რაღაც იცოდი. ქვეყანაზე ათასი ბოროტია, შვილო, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გეტყოდნენ. ყურში შხამს ჩაგაწვეთებდნენ. მაგრამ მე ამისი არასოდეს მშინებია. ახლა რასაც გეტყვი, ის გაცილებით უფრო საშინელი მოსასმენი იქნება.

პოლკოვნიკმა ქშენას უმატა. თავი ოდნავ წამოსწია და მხარის შენაცვლება მოინდომა.

— მამა, შენი განძრევა არ შეიძლება! — მივარდა ამირანი.

პოლკოვნიკმა ამჯერად მოახერხა ჩაცინება.

— აღსასრული უკვე მოსულია. თუმცა შენ მართალი ხარ, სათქმელი უნდა დავასრულო, რადაც არ უნდა დამიჯდეს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა დავასრულო, გესმის? შენ ისევ საწოლის ბოლოში დადექი, მინდა თვალებში გიყურო.

ამირანი საწოლის ბოლოსთან მივიდა, ზუსტად იქ, სადაც წეღან იდგა. გიორგი შვილს განაცრისფერებული, სისველედაკარგული თვალებით მიაჩერდა.

— ეს ავსტრიაში მოხდა, ერთ პატარა სოფელში. ჩვენ უთენია შევიჭერით მტრის ბანაკში, სრულიად მოულოდნელად. მე და ჩემი სერჟანტი ერთ სახლში შევვარდით. იქ თურმე ოფიცერი ცხოვრობდა. ფანჯარა შევამტვრიეთ და პირდაპირ ოფიცრის საძინებელ ოთახში აღმოვჩნდით. ოთახს კუთხეში მიდგმული მკრთალი ნათურის შუქი ოდნავ ანათებდა. ის ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, ხეირიანად არც კი იყო გამოფხიზლებული, მაგრამ ფიცხლად წამოხტა და სასთუმალთან მიდგმულ სკამზე დადებულ რევოლვერს დასწვდა. აღარ მახსოვს, ავტომატის სასხლეტს ხელი როგორ დავაჭირე. მახსოვს მხოლოდ ქალის ერთი, უეცარი შეკივლება. ქალი თავიდან არც კი შემინიშნავს. მერე ბავშვის ტირილი მომესმა. იგი იქვე გვერდზე მიდგმულ რკინის ბადიან საწოლში იწვა. ის ბავშვი შენ ხარ, ამირან!

ეს ბოლო ფრაზა აღარ იყო საჭირო. ამირანი ისედაც მიხვდა ამ საშინელი ამბის დასასრულს, თვალები დახუჭა და ორთავე ხელები რკინის საწოლის თავს ჩაავლო. შეეშინდა, არ წაქცეულიყო.

გიორგი ნოზაძე ხმას არ იღებდა. ამირანმა იცოდა, პოლკოვნიკი პასუხს მოელოდა. მან არ იცოდა რა ეთქვა. მისმა გონებამ ჯერ მთლიანად ვერც კი აღიქვა მამის ნაამბობი, ვერ გადახარშა, ვერ ჩასწვდა, ვერ შეიგრძნო... ამირანი ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მას თავში მხოლოდ რაღაც არეული, გადაუბმელი ფრაზების დასაწყისები მოსდიოდა — დასაწყისები კი ერთმანეთში იხლართებოდა და ირეოდა. ვერ იქნა და ვერცერთი ფრაზა თავიდან ბოლომდე ვერ გამოჰკვეთა. ამ სიტყვების ორომტრიალში უცებ ხროტინის ხმა ჩაესმა. ეს არ იყო ძველებური ხროტინი, რომელსაც უკვე მიეჩვია. ამირანმა თვალი გაახილა. პოლკოვნიკი ჭერს მისჩერებოდა. თვალები კიდევ უფრო ნაცრისფერი გახდომოდა და სისველეს ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. პირი ოდნავ დაეღო და კბილები უსიამოდ უელავდა.

პოლკოვნიკი გიორგი ნოზაძე მკვდარი იყო. ამირანი ადგილიდან არ დაძრულა, ისე დასჩერებოდა მკვდარ მამას. აღარც კი ახსოვდა, რამდენ ხანს იდგა ასე. დროის სათვალავი აერია. უცებ კარი გაიღო და ექიმი შემოვიდა.

— მეტი აღარ შეიძლება, ლაპარაკით ნუღარ შეაწუხებთ! — შორიდანვე ჩურჩულით დაიწყო მან.

— აწი უკვე სულერთია! — თქვა ჩუმად ამირანმა. ექიმისკენ არც კი გაუხედავს, კვლავ პოლკოვნიკის გაციებულ თვალებს მისჩერებოდა.

— უკვე? — ექიმი უხმოდ დასწვდა მიცვალებულის მაჯას.

მის ხმაში არ ყოფილა არც შეცხადება, არც გაკვირვება ან რაიმე მოულოდნელი ამბით შეკრთომის შეგრძნება. — თუმცა, რა, არც კი მეგონა, ამდენხანს თუ იცოცხლებდა. — დასძინა მშვიდად და მიცვალებულს თვალები დაუხუჭა.

ამირანი ახლა ექიმს მისჩერებოდა, ასე ცივად რომ შეასრულა რაღაც პროცედურა. თითქოს იქ მიცვალებულის შვილი კი არა, ვიღაც შემთხვევითი პირი ან რომელიმე მისი კოლეგა მდგარიყოს.

— დედაჩემი დერეფანშია? — ჰკითხა მოულოდნელად ექიმს, — არ მინდა ახლა შევეფეთო.

—მთავარ ექიმთან უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მე რომ შემოვედი, იქ არ დამინახავს.

ამირანი შეტრიალდა და დერეფანში გავარდა. ექიმი შეცდა: ნინო იქვე იჯდა, დერეფანში, ტყავის დიდ სავარძელში. სირბილით მიმავალ შვილს მოჰკრა თუ არა თვალი, ყველაფერს მიხვდა და ოთახში კივილით შევარდა. ამირანს დედის კივილი კიბესთან მისწვდა. სამი სართული თვალის დახამხამებაში ჩაირბინა, საავადმყოფოს კარებთან შეჯგუფებული ხალხი ჯიქურ გაარღვია და ქუჩაში გავარდა. პირველივე შეხვედრი მანქანა გააჩერა.

— ქალაქგარეთ წამიყვანე, სადაც გინდა იქ, ოღონდ მთელი სისწრაფით წამიყვანე.

შოფერმა შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შეხედა ამირანს და მანქანა დიდი სისწრაფით დასძრა ადგილიდან. დროდადრო უცნობს სარკეში აკვირდებოდა. მიხვდა, ჯაბუკს რაღაც ენით ვერმოუთქმელი დარდი სტანჯავდა.

„ალბათ მოუკვდა ვინმე“, — დაასკვნა ბოლოს. გაახსენდა, რომ ჯაბუკმა საავადმყოფოს წინ გააჩერა.

ამირანი წეღანდელივით ვერაფერს ვერ ფიქრობდა. ვერცერთ აზრს თავს ვერ აბამდა და ეს უფრო აცოფებდა. ახლა მას მარტო ყოფნა უნდოდა, სრულიად მარტო, რომ საკუთარ თავს მორეოდა და რაღაცაზე ეფიქრა.

როცა ცოტა გამოერკვა, მიხვდა, წუნეთისკენ მიდიოდნენ. სასაფლაო უკან დარჩა, მანქანამ გაივაკა და მთელი სისწრაფით წავიდა. მალე მოსახვევებიც დაიწყო.

— აქ სადმე გააჩერე!

ამირანმა შოფერს ფული გვერდზე დაუგდო, მანქანას ხეირიანად გაჩერება არ აცალა და კარი გააღო. პატარა შეღმართი სწრაფად გადაირბინა, მერე ხეივისკენ დაეშვა. თვალით შორიდანვე შეიგულა ისეთი ადგილი, სადაც მთელი დღე კაციშვილი არ გაიჭაჭანებდა. აქო-

შინებულმა იქამდე სირბილით მიაღწია და ბუჩქებით გარშემორტყმულ პატარა მინდორზე გულაღმა დავარდა.

* * *

ამირანს არ ახსოვს რამდენ ხანს იწვა ასე. კვლავ უაზროდ ფიქრობდა. იხსენებდა რაღაც უმნიშვნელო ამბებს. ბოლოს წამოჯდა და თავი მუხლებში ჩარგო. თითქოს ოდნავ დაწყნარდა, თითქოს აზრებს თავი ოდნავ მოუყარა, ყოველ შემთხვევაში, ათასი ფიქრი ერთ საბოლოო მიმართულებამდე დაიყვანა. ეს იყო საშინელი სურვილი, გარკვეულიყო თავის ტრაგედიაში. ამირანი სულ სხვა ეროვნების შვილი აღმოჩნდა. მაგრამ ამაში იგი ტრაგიკულს ვერაფერს ხედავდა. პირიქით, ცოტა უცნაური და დაუჯერებელიც კი ეჩვენებოდა თავისი გერმანელობა. არა, ეს როდი იყო მთავარი. უმთავრესი სულ სხვა რამ იყო. კაცმა, რომელსაც აგერ ოცდახუთი წელიწადი მამას უძახდა, მოუკლა ღვიძლი მშობლები — დედა და მამა. იგი ოცდახუთი წლის მანძილზე ეფერებოდა, ეალერსებოდა, ჰკოცნიდა და იფიცებდა საკუთარი მშობლების მკვლელს. განა ამაზე საშინელი, შემაძრწუნებული და ტრაგიკული ამბის წარმოდგენა შეიძლებოდა? მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ამირანი ამ ტრაგედიას ვერ გრძნობდა. სწორედ ეს აგიჟებდა. ჰაბუკის გულში პოლკოვნიკის მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეული მწუხარება უფრო ტრიალებდა, ვიდრე შეგრძნება მისი ცხოვრების საშინელი ტრაგედიისა.

ამირანს უნდოდა ჩასწვდომოდა თავის პიროვნებას, თავის არსებას. უნდოდა საკუთარი სულის ყოველ შეუცნობელ კუნჭულში ჩაეხედა და საბოლოოდ გაერკვია თავისი თავი. ვინ იყო ის, უბედურების აღქმის, ტრაგიკულობის აღქმის რა შესაძლებლობებს შეიცავდა მისი გონება, მისი სული, მისი ინსტინქტები.

არა და არა! იგი შინაარსობრივად ბოლომდე ჩასწვდა თავის სავალალო ხვედრს, მაგრამ ტრაგიკულობის შეგრძნება, სულიერი ძრწოლა და დეპრესია, რაც ამ საშინელი საიდუმლოს გაგებას უნდა მოჰყოლოდა, ოდნავადაც არ ეყო სინამდვილის ტოლფასი. მთელი ამ უბედურებით გამოწვეული მწუხარება იმას არ სცილდებოდა, რომ დაეღუპა აღმზრდელი მამა. თანაც ამ უბედურებას ახლა ისე მწვავედ აღარ განიცდიდა.

ამირანმა კარგად იცოდა, რომ საქმის მთელი შინაარსით, მორალური მხრით, იმ უბედურებათა საშინელი ჯაჭვის წარმოდგენით და გაანალიზებით, რაც ასე ერთბაშად, მოულოდნელად დაატყდა თავს, მასზე უფრო სულიერად განადგურებული კაცი ქვეყანაზე არ შეიძლებოდა მეორე ყოფილიყო. მაგრამ მთელი მისი ტრაგედია სწორედ ის იყო, რომ სავსებით ვერ გრძნობდა ამ ტრაგედიას. მისი განცდები, მისი სულიერი ტკივილები, მისი ტანჯვა ოდნავადაც კი ვერ შეესაბამებოდა იმ ტრაგედიის ნამდვილ შინაარსს, ასე მოულოდნელად რომ გამოაცალა ფეხქვეშ ნიადაგი. ეს არ იყო რაიმე ცხოველური, ინსტინქტური, უძვირფასესი, უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილები, რომელსაც დრო განკურნავს და დავავიწყებს. ეს იყო სულიერი ტრაგედია ადამიანისა, რომელიც აღსასრულამდე, სიკვდილამდე ვერ გაარკვევს საკუთარ თავს, საკუთარ მდგომარეობას. ვერ დაადგენს რა უნდა ქნას, რა უნდა მოიმოქმედოს, ვინ არის იგი, რას წარმოადგენს, ან გამართლებულია თუ არა მისი არსებობა საერთოდ, აქვს აზრი მის ცხოვრებას თუ არა შემდგომში. ან რა ახსნას, რა გამართლებას მოძებნის იმ მოვლენებისა და მიზეზების გამო.

განსაკუთრებულ გულისტკივილსა და სასოწარკვეთილებას ის იწვევდა, რომ მან საკუთარ თავში ვერ აღმოაჩინა ასეთი მორალური ტრაგედიის მთელი სიღრმით ჩაწვდომისა და შეგრძნების უნარი. უფრო სწორად, იგი ჩასწვდა ამ ტრაგედიას, მაგრამ ვერ შეიგრძნო, მის არსებობაში არ დაიბადა ამ უბედურების ტოლფასი ტანჯვა და გულისტკივილი. იქნებ იგი ამისათვის სულიერად არ იყო მზად? იქნებ მისი ინტელექტუალუ-

რი შესაძლებლობანი ძალზე ღარიბი იყო და მას მხოლოდ ცხოველური, ინსტინქტური სიყვარულის დაკარგვაზე, მშობლიური ადამიანის დაკარგვაზე უფრო დიდი ტრაგედიის შეგრძნება არ ძალუძდა? იქნებ ადამიანში ეს განცდები სულ სხვა, უხილავ, შეუცნობელ ძალას ემორჩილება და არა გონებას? იქნებ ამირანს არ შესწევდა ამ ძალაზე ბატონობის უნარი? იქნებ ეს მარტო მისი კი არა, მთელი კაცობრიობის თვისება იყო?

ამირანმა ვერც კი შენიშნა, პირველად როდის ჩაიცინა. მერე სიცილს უმატა. მუხლებში თავჩარგულს სიცილისაგან მხრები უცნაურად უთახთახებდა. ბოლოს მიხვდა, რომ იცინოდა და გაოცდა. თავი ასწია. მზემ თვალი მოსჭრა, ფეხზე წამოდგა და ალმართს ლასლასით აუყვა. მზე საკმაოდ გადახრილიყო. გრილი ნიავი უბერავდა და ხეები სასიამოვნოდ შრიალებდნენ. აქა-იქ უკვე ისმოდა გალობა, ჩიტები შუადღის სიცხის შემდეგ თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდნენ. ამირანი დაიხარა, რაღაც ყვითელი ყვავილი მოგლიჯა და ღეროთი პირში ჩაიდო. ემწარა, ყვავილიანად გადააფურთხა. გზატკეცილზე ისე გავიდა, არაფერ არსებითზე და სერიოზულზე აღარ უფიქრია. მანქანაშიც ისე ჩაჯდა და სახლამდეც ისე მივიდა. რაღაც უაზრო განცდებით იყო გაბრუებული. მანქანა სახლიდან საკმაოდ მოშორებით გააჩერებინა. სადარბაზო შესასვლელთან ხალხი შეჯგუფულიყო. თითქოს ერთბაშად გამოერკვა, თითქოს ახლაღა მიხვდა, რომ მდგომარეობას, რაშიაც აღმოჩნდა მისდა უნებურად, მისგან დამოუკიდებელი ექვსსაათიანი ფიქრის შემდეგ არაფერი არ ჰქონდა გამორკვეული და დადგენილი. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ექნა, თავი როგორ დაეჭირა. არ იცოდა ვინ ეგლოვა, პოლკოვნიკი, რომელსაც ოცდახუთი წელი მამას ეძახდა, თუ თავისი ნამდვილი მშობლები, რომელთა არსებობის ამბავიც ამ ექვსი, შვიდი საათის წინ გაიგო. იქნებ პირველ რიგში თავისი თავი, თავისი ბედი უნდა ეგლოვა?

ახლა ამირანს ერთი რამ უფრო აწუხებდა, არ იცოდა, თავი როგორ დაეჭირა, როგორ მოქცეულიყო. იგი ისევ შეიპყრო დილანდელმა სურვილმა ყოფილიყო უბედური, გამწარებული, სულით ხორცამდე შეძრწუნებული, რომ ბოლომდე ეგრძნო თავისი უაზრო, უმწეო და უბედური მდგომარეობა.

ამირანი სადარბაზო შესასვლელს სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა. თავი განგებ დაღუნა, არ უნდოდა ვინმესთვის სახეში შეეხედა. სიჩუმე ჩამოვარდა. ამირანი გრძნობდა მისკენ მიპყრობილ რამდენიმე ათეულ წყვილ თვალს და სისწრაფეს უმატა. ხალხით გაჭედილი კიბე ისე აირბინა, არავის არ მისცა გამოლაპარაკების, ან მისამძიმრების საშუალება. შუა ოთახში თეთრზეწარგადაფარებულ ცხედარს თვალი აარიდა და მამის ოთახს მიაშურა. მისი გამოჩენისთანავე ახალი ძალით იფეთქა კივილმა. ამირანი ოთახში შევიდა და კარი ჩაკეტა. თითქოს ეშინოდა, ვინმე არ შეჰყოლოდა. ერთხანს ლურჯად შეღებილი კარის ფრთაზე შუბლით იყო მიყრდნობილი. ასე გამოფიტული არასოდეს ყოფილა. ახლაღა მიხვდა, რომ ჯერ თვალიდან ცრემლი არ გადმოვარდნია, ახლაღა მიხვდა, რომ სულიერი ტკივილები სადღაც გაუქრა და უცნაური სურვილი შემოაწვა ფიზიკური ტკივილით მაინც ყოფილიყო გამწარებული. ერთბაშად მის გონებაში რაღაც აზრმა გაიელვა და თითქოს შვება იგრძნო. ბევრი აღარ უფიქრია, მაგიდასთან მივიდა, უჯრა გამოსწია, მამამისის რევოლვერი ამოიღო და მარცხენა ხელისგულს აუღელვებლად დაუმიზნა.

სროლის ხმაზე მეორე ოთახში ერთბაშად გაჩერდა ყველა მოტირალი, ერთბაშად, მხოლოდ წამის მეათედით. მერე სასოწარკვეთილმა კივილმა შესძრა იქაურობა. ვიღაცამ კარი შეამტვრია.

ამირანი მაგიდასთან იდგა. რევოლვერი იქვე დაეგდო. მარჯვენა ხელი ჭრილობაზე ჰქონდა შემოჭერილი, თითებშუა სისხლი ორ ტოტად მოსჩქეფდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი თარბა

დაცემულ მეომართა ბაღში

შევდივარ პარკში... აქ სძინავთ
გმირებს,
ზედ აფარიათ ყვავილთა კალთა.
სოხუმელს ბაღით ვინ გამაკვირვებს,
მაგრამ ეს ბაღი სხვა არის მართლაც!

სასაფლაოზე ქარი რომ ბერავს,
თითქოს დუმილში სიცოცხლეს
ღვიძავს
და ყვავილები, მე ასე მჯერა,
ეხვევა, კოცნის საფლავის მიწას.

როცა დაფებზე წარწერებს ვუმზერ,
ბარადისობა საუბრობს ჩემთან!...
და თუმცა მიწა აყრიათ გულზე,
მესმის მამაცთა გულების ფეთქვა.

მოდის და მოდის მნახველთა რიგი,
ვოლგოგრადელთა რიგი უწყვეტი.
ამ ყვავილების უთვალავ გვირგვინს,
როდი სჭირდება ცრემლების წვეთი.

აქ სძინავთ ბაღში, უმშვიდეს ძილით,
ვინც მოიხადა მამულის ვალი,
ვინც დააჩოქა შავი სიკვდილი
და დაუმკვიდრა ხალხს მომავალი.

დიოსკურია

ვინ ნახა,
ვის ახსოვს
ქალაქი — ზღვის ახლოს;

ის იყო მშვენებაც, დიდებაც მთა-ბარის,
ქალაქი — ლეგენდა, ქალაქი — ზღაპარი!
ზღვის სარკე უყვარდა
ცისფერი, კრიალა;
ის იყო ასული, ქალაქი კი არა!

ჭაღარა ქედებო, მოწმენო წარსულის,
სად არის,
სად არის ახლა ის ასული?

მე მინდა გავიგო, რა ბედმა დალახვრა;
მე მინდა ზღვის ფსკერზე
წარსულის დანახვა!

ო, იქნებ მთის შვილი მოვიდა ქარიშხლად,
დამითმე ასული! — აფხაზეთს ანიშნა,

ამბოხდა შავი ზღვა,
გუგუნით, განგაშით
დამალა ქალაქი ტალღების კალთაში;

დაადგა უკუნი სვეტებს და კამარებს...
და დიოსკურიას ზღვა ეძცა სამარედ.

აფხაზურიდან თარგმნა შოთა აკობიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გოგო თვალებციმციმა
ჟღურტულებდა,
ხტოდა;
უდარდელი სიცილით
აყრუებდა ოთახს.

აღარც ჩაი ახსოვდა,
აღარც ყველი,
პური, —
მხოლოდ ფული სპილენძის,
მხოლოდ ვერცხლის ფული...

ეცემოდა მუხლებზე
გოგო, ერთი ციდა,
ხურდას ჩხრიალ-ჩხრიალით
იატაკზე ყრიდა.

აწყდებოდა მაგიდას,
აწყდებოდა კედელს,
საწოლს ქვემოთ
ხმაურით
პიძვრებოდა შემდეგ.

ოდნავ ფეხს რომ გაჰკრავდა,
ჭრიალებდა კარი,
იქვე ხურდას ყლაპავდა
იატაკზე
ბზარი.

ერთობოდა პატარა,
ჟღურტულებდა,
ხტოდა,
უდარდელი სიცილით
აყრუებდა ოთახს.
მან არც წონა იცოდა
და არც ფასი ფულის.
დედა იქვე, საწოლთან
იჯდა განაბული.
დაბნეულს და მოწყენილს
ნაღვლიანი მზერა
იატაკის ბზარისკენ
გაურბოდა ჯერაც.
ზოგჯერ წამოსტებოდა
ადგილიდან
სწრაფად,
ასწორებდა უაზროდ
გახუნებულ საბანს.

შვილის უდარდელობა
ახარებდა მაინც...
ცივდებოდა ჭიქაში
დაშაქრული ჩაი.

ნე ვიყავი ის გოგო!
საყვარელო დედავ,
უზრუნველი ბავშვობა
საით გაქრა, ნეტავ?!

ის დღე ისევ ხმაურობს,
ვით ნიჟარა ყურთან...
ახლა ჩემი გოგონა
აჩხრიალებს ხურდას.

აფხაზურიდან თარგმნა **ხუტა გაგუაშ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი გაბრიჩიძე

* * *

ერთი პოეტით გყავდეს ნაკლები,
რა გიშავს, ჩემო მზეთუნახავო,
რა დაგეკარგვით, თუკი ჩავჭრები,
საირმის ტყეო, ქართლის საღამოვ;
იმერეთებო — ზემო და ქვემო,
ან შენ, კუმისო, ან თბილო გრემო...
ჩემო თბილისო, ჩემო შატილო,
გელათის სუროვ — სულო მარტვილო...
ჩემზე უკეთეს სიმღერებს ხარჯავს
პატარა ქალიც, რეჰანს რომ არჩევს,
ან ის გოგონა, რომ მწყემსავს ნახირს
და ახლავს ჩრდილი ვეება ძაღლის.
ავარდნილია ცად შადრევანი
და ხორბლისფერი ცვივა წვეთები,
ამაოდ — ჩემი ღამისთევანი,
ვერ დაგენახვე, ისე ვბერდები.
არ მიძებნია მშვიდი პარტერი,
თერგივით, ვლოკე ცხელი ლოდები,
თავფარავანთან ვანთე სანთელი,
მაგრამ მზეჭაბუკს არ ველოდები!
მამულო ჩემო, ყანავ და ნერგო,
გარდამავალო მწვანეში ზვირთო,
მომეც შეგრძნება — რა ბედი მერგო,
რომ შენი მიწის სიმწიფე ვზიდო.
ხატო ფერადო, ქედო ირმისა,
თუმც უკვდავებას არიგებ სურით,
რა დაგაკლდება, გამთენიისას,
ალაზანთან რომ დავლიო სული...
შენ შემოგყურებ და შენს კალთასთან
ეს მერამდენედ ვარ მუხლმოყრილი, —
ვიყავ შემკრთალი და ახალგაზრდა
და ერთგულების მედო ბორკილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ კი ვიცოდი, არ კი ვიაზრე,
რას ვუწოდებდი აწმყოს თუ ყოფილს...
მაგრამ წავაწყდი გამთენიისას
მძაფრი ოქტომბრის მშვენიერ პროფილს.
ო, შენს კალთასთან მუხლმოდრეკილი
ვდგავარ და ლოცვა მეტი არ ვიცი:
— გახადე კაცი ისე კეთილი,
ვით ალავერდი და სამთავისი.
განა ცოტა გვყავს კლდისგან ნაკვეთი,
ვისაც ვუმადლით ენგურჰესს, სამგორს;
ხომ ისევ ჟონავს მადლი ალგეთის
და კარგად იცის, ვინც უნდა ზარდოს.
ისე გენდობი, ისე ვიწამე
მაღალი შუბლი, მტკიცე მარჯვენა,
რომ მჯერა, მთებიც დაგილოცავენ
ძნელ გზას სიკეთის გადასარჩენად...

ჩემს დედამიწას...

ჩემს დედამიწას გავზომავდი ალვის ჩრდილებით,
რომ მაგონებენ წყვილ მერიდიანს,
სადღაც უჩვენოდ მოსასვლელნი ჩანან დილები,
სადღაც ცისფერი იმერეთია.
გაზაფხულები დგანან ხელში ყაყაჩოს თესლით,
ჰაუ, რამდენი შემოდგომა აწყდება მესერს,
ვით ჩვილით ხელში, დავდიოდი ლურჯთვალა ლექსით,
ხვალ მანქანებიც დასწერენ ლექსებს.
მაგრამ ტექნიკაც რომ გამეფდეს ყალყზე შემდგარი,
რომ გაქრეს ქარი, ყველა ეჭვი და პირამიდა,
გაჩნდება ქვეყნად რომელიმე კაცი შენდარი
და დაიწყება სევდა თავიდან.
ჩემს დედამიწას გავზომავდი ალვის ჩრდილებით,
რომ მაგონებენ წყვილ მერიდიანს,
სადღაც უჩვენოდ მოსასვლელნი ჩანან დილები,
სადღაც ცისფერი იმერეთია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია ასათიანი

ჩრდილი უდაბნოში

არაფერია შესამჩნევი აქ სივრცის გარდა,
არაფერია თვალსაჩინო ქვიშების მეტი,
აქ ძალზე სწრაფად ენარცხება ძირს
მძიმე ფარდა

დღისა და ღამის.

თუ ბედუინი დაშავებულს იცვლის
ბედაურს,
მით უფრო მხედარს უიმედოს სტოვებენ
გზაზე,
რომ მირაჟიან ოაზისებს არ შეედავოს,
არცერთი წამით.

აქ მექარავნე კერპი ქარის ქარაგმას
მღერის,
შეგუებული უმოწყალო წყურვილს და
სივრცეს.
და უჩვეულო ვერ აშინებს ეგზიუპერის
თვალებზე ნამი.

თითქოს მოტორი დადუმებას თავისას
სტირის,
ჩაესმის მფრინავს ფეხაკრეფით მოპარულ
ძილში,
მოდის მდინარე, მაგრამ ჭურჭელს არა
აქვს ძირი,
წყალს რომ ზიდავენ.

სიცარიელე აქ ორეულს თავისას ეძებს...
არანაკლები სიჩუმეა უკვალო ცაში,
უცნობ სივრცეებს, როგორც ედემს
უღიმის კაცი
მოსვლის დღიდანვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ი ს ბ ე რ გ ი

რამ შემქმნა ადამიანად.
რატომ არ მოველ წვიმადა

ვ ა ჟ ა

როგორც ხმელეთის ახრილი ზოლი,
ბოლისფერ ზღვებში
ყინულის ბროლი —
მე ყინულების უდაბნო ვიყავ,
როდესაც ელვამ
გააპო სივრცე.
შორს გამიტაცეს თბილმა ქარებმა
ოკეანეთა დინებას მიმცეს.
და ერთადერთი ტვირთი მომანდეს,
გადვუდგე გზაზე
შემხვდურ ხომალდებს,
თავზარი დავცე.
მაგრამ ამოსულს ზღვის ზედაპირზე,
ტალღაზე სრბოლა რომ დავაპირე,
მეც აღარ ამცდა
სხივი ცხოველი
და ზეთისხილის ბაღებს მოვერცხლილს
მასაზრდოებელ ნამად მოვედე.
და რადგან სულ სხვა ძალა მომეცა,
რადგან მიწაზე წვიმად მოვედი,
დღეს, მადლიერი პალმის თვალები
გამალებული ეძებენ მტრედებს...
და ჩემზე ჰიმნი მოეძალება
ედემად ქცეულ სიცოცხლის დედას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზა გოცაძე

ისევ

გაზაფხულზე ო, რამდენი
დამაცვივდა ცრემლი,
სიხარულის, სიყვარულის,
ატმის,
ვაზის,
ტყემლის,

სიცოცხლისკენ,
ცისკენ,
მზისკენ
გამიწვდია ხელი
და მომავალ გაზაფხულზე
ამ ცრემლს ისევ ველი!

სვანეთი. მასპინძელი. ღამე

ჩემი ფიქრის მებადური — ღამე
განისვენებს შიშველ კლდეთა ქიმზე,
წარსულიდან მომიყვება რამეს
ხოჩა მარე[1] ჩამომჯდარი აკივრზე.

და მოუსმენ უბერებელ ზღაპარს;
(ღამეულ ცას გაანათებს მთვარე),
ვით ცხოვრობდა მისი პაპის პაპა
და სინათლე ემატებათ თვალებს.

ქარდაკრული, თავზე ნაბდის ქუდით,
ნაღვერდალით გააჩაღებს ჩიბუხს,
გაყუჩდება, ოცნებების გუნდი
გაიხსენებს ქარაფებს და ჭიუხს.

რა კეთილი სახე აქვს და თვალი ლურჯი,
ხათოფეზე ორგულს როგორ გაიკარებს,
დევგმირული მკლავი ერჩის, გული ურჩობს
და სიბერეს არ ნებდება ხოჩა მარე.

---

[1] კარგი კაცი (სვანურად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მძლავრობს ქარი,
დაიშაშრა მიწა,
ცამ დამალა ცისარტყელას აფრები,
მტკივნეულად მიენარცხა კლდეებს
მზეასხმული აკაციის თმები...

გადახიზნე,
ო, ზენაო გადახიზნე
ქართა ქროლვა,
იქ, მიღმეთში... შორით,
თორემ სტკივა, როგორ სტკივა აკაციას
ეს პაწაწა მომსხვრეული ბოლი.

სედუმია

ზღვა წვიმის შემდეგ ისე ჩუმია,
როგორც თვინიერ თვალების დახრა,
თავჩაკიდული სდუმს სედუმია,
ჟამი-ჟამ სევდის ღიმილი ახლავს.

მიფარფატებენ ქარში ფურცლები,
ო, ყვავილნარი ნაზად ირწევა
და რაც აქამდე იყო უცვლელი
ჩუმად ეძლევა თავდავიწყებას.

ძალზე დიდია მათი განმგები,
ვინც უსაჩუქრა ზღაპრული ფერი,
მის სამეფოში ლოცვად დავდგები,
თუმცა სანაცვლოდ არაფერს ველი.

I სედუმია — ყვავილის სახელია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი მიდელაური

მე აქ რა მინდა

მე აქ რა მინდა, როცა რთველია,
ვიდგე და რთველზე ვილაპარაკო?
როცა ვაზები ასე მელიან,
ჩემო სუნთქვავ და იგავ-არაკო.
მელის ვენახი თეთრიც და შავიც,
მე თავად უნდა ავჭრა აკიდო.
და შემოქმედის მარჯვენასავით
მარნის კარებთან ფრთხილად დავკიდო.

მეც უნდა ზეცას ისარი ვტყორცნო
და ტკბილი წვენი ხარბად დავლიო,
მერე ჩემს მიწას ვკოცნო და ვკოცნო,
გადავირიო და გადავრიო.
მე აქ რა მინდა, როცა რთველია,
როცა რთველია, მე აქ რა მინდა?
მივფრინავ, როგორც ვისი რამინთან,
მე აქ რა მინდა?!

* * *

ჩემი ფარი ხარ, საიმედო,
ჩემი ხმალი ხარ — ჯავარდენი,
ჩემი ზარი ხარ — ზარი დედო,
დაჭრილი სულის ყავარჯენი.
ჩემი დროშა ხარ, მეწინავე,
ცაში აჭრილი შავარდენი,
ლექსები? სულსაც შემოგწირავ,
თუ გასაჭირში ჩავარდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა მჭედლიძე

მხიარული მოთხრობები

პროლოგის მაგივრ...

ნაცნობები მეუბნებიან: მაინცდამაინც კინოში უნდა გადაიღო, რასაც გვიყვები? მოდი, დაწერეო. მეც გავბრიყვდი და დავწერე.

იმერეთში გამიგონია: ერთ ქალს ქმარი გარდაცვლოდა. ზის თურმე და მოთქვამს: „შენ რომ წაბლი მომიტანე“, „შენ რომ წაბლი მომიტანე“, „შენ რომ წაბლი მომიტანეო“... ვეღარ მოათავა წაბლის ამბავი. მღვდელმა თურმე წასჩურჩულა: „ახლა სხვა რამე თქვი, ქალოო“.

ქალი ახლა მღვდელს მიუბრუნდა და გაჰბა: „აბა რა ვთქვა, მღვდელო“, „აბა რა ვთქვა, მღვდელო“, „აბა რა ვთქვა, მღვდელოო“.

„ისევ წაბლი თქვიო“, — უპასუხა თურმე მღვდელმა.

ჩემი საქმეც ალბათ, ასე იქნება. როცა წაიკითხავენ ჩემს ნაწერებს, მეტყვიან: „ისევ კინო დადგიო“.

ვინ შეცვლის ხერლიას?

უკვე მესამედ ჩამოდიოდა ჩვენს ქალაქში ბრწყინვალე ბარიტონი ხერლია. მის სპექტაკლზე ბილეთის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. რა ხერხს არ მიმართავდნენ ჩვენი საოპერო ხელოვნების თაყვანისმცემელნი მისი უბადლო სიმღერის მოსასმენად: იყო ერთი აჟიოტაჟი, ხვეწნა-მუდარა, ტელეფონის ზარის განუწყვეტელი წკრიალი, სხვადასხვა გავლენიანი ნათესავ-მეგობრებისა თუ ნაცნობების ჩარევა, კულტურის სამინისტროსა და იმაზე მაღლა მდგომი ორგანოების შეწუხებაც... რას არ სჩადიოდა ხალხი, ოღონდ ხერლიას სიმღერის საოცრებით დამტკბარიყო.

რას იზამ, ასეთია ხელოვნების ძალა!

იმ დღეს „სევილიელ დალაქში“ ფიგაროს პარტია უნდა შეესრულებინა ხერლიას.

რა თქმა უნდა, ბილეთები რამდენიმე დღით ადრე უკვე აღარ იყო და ოპერის ადმინისტრაცია გულდაგულ ემალებოდა ნაცნობ-ნათესავების მთელ კოლონას, რომლებიც ამაოდ იცდიდნენ ოპერის ბაღში. თეატრის დირექტორი შეუძლოდ იყო და სახლიდან ტელეფონით იძლეოდა განკარგულებებს.

მაგრამ, მოულოდნელად...

თუმცა სჯობია თანამიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს.

ბილეთის გაცემასთან დაკავშირებული უსიამოვნებით განაწამები დირექტორის მოადგილე ეს წუთია შემოვიდა სახლში, ძლივს გადაყლაპა ორიოდე ლუკმა ენერგიის აღსადგენად, და ახლა თვალის მოტყუებას აპირებდა, რომ ერთი საათის შემდეგ, მილიციასთან ერთად, ჩაბმულიყო ბრძოლაში თეატრის შენობის მისადგომებთან.

ტელეფონის ზარის წკრიალმა წამოაგდო, ყურმილი აიღო. დირექტორის სასიამოვნო ტემბრმა აუწყა მოადგილეს:

— გოგი, ხერლიამ დამირეკა, შეუძლოდ ვარ და ვერ ვიმღერებო.

— ეს რა მითხარით! — შეიცხადა მოადგილემ, — რა გვეშველება, მთელი ბილეთები გაყიდულია, აგერ ექვსი საათია, სპექტაკლის შეცვლაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, დეკორაციები უკვე დგას. სხვა მომღერლით რომ შევცვალოთ, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდება? ხალხი ხერლიას მოსასმენად მოდის. იქნებ დავითანხმოთ როგორმე და არ ჩაგვიგდოს დღევანდელი წარმოდგენა, — სხაპასხუპით ლაპარაკობდა დაძინების სურვილზე ხელაღებული დირექტორის მოადგილე.

— რა არ ვუთხარი, მაგრამ არაფრით არ შემიძლიაო.

— ცოტა ადრე მაინც ეთქვა მაგ მამაცხონებულს.

— ახლა სხვა გზა არ არის, ჩემო გოგი, რომელიმე ჩვენი მომღერლით უნდა შევცვალოთ, — თქვა დირექტორმა და ტელეფონის მილში წყვეტილი სიგნალები გაისმა.

დირექტორის მოადგილე სწრაფად წამოხტა, ტანთ ჩაიცვა, მეულღის შეკითხვაზე, რა მოხდაო, არაფერი არ უპასუხა, ქუჩაში გაიჭრა და თეატრისაკენ აიღო გეზი.

სალაროსთან კვლავ იდგა დამატებითი შესასვლელი ბილეთების მოლოდინში მყოფი მაყურებელი. რამდენიმე მილიციელი უკვე მოსულიყო და საჭირო პოზიციაში დადგომამდე ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

დირექტორის მოადგილეს ტანში გააჟრჟოლა, „ნამდვილად ცოცხალი ვერ გადავურჩები ხალხსო“, — მწარედ გაიფიქრა და შენობაში მიიმალა.

კაბინეტში უკვე დახვდნენ მთავარი ადმინისტრატორი და უმცროსი ადმინისტრატორი ორი ვეფხვივით ბიჭის თანხლებით, როგორც თითონ ამბობდა ხოლმე. უკვე გაეგოთ ხერლიას ავადმყოფობა და ახლა შეშფოთებული შეჰყურებდნენ დირექტორის მოადგილეს, აბა რას იტყვისო.

დირექტორის მოადგილემ ტელეფონის მილი აიღო და ერთ კარგად ცნობილ ბარიტონს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს დაურეკა:

— ხერლია ავად გახდა, იხსენი თეატრი და გვიხსენი ჩვენც, იმღერე დღეს, შენ ხომ გიყვარს ეს პარტია, ვერ იტან, როცა სხვა მღერის...

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი, რვა საათზე სპექტაკლი იწყება და შვიდის ნახევარზე მაფრთხილებ იმღერეო? გინდა ჯალხმა დამისტვინოს? — და ყურმილში გაისმა საუბრის დამთავრების მაუწყებელი სიგნალები.

სახოწარკვეთილმა ადმინისტრატორმა კვლავ აიღო ყურმილი და ახლა მეორე ცნობილ ბარიტონს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს დაურეკა.

იგივე პასუხი მიიღო, ოღონდ ოდნავ უხეში.

— შემდეგი! — დაიძახა დირექტორის მოადგილემ. უფროს ადმინისტრატორს ტელეფონის წიგნი ეჭირა ხელში და დირექტორის მოადგილეს ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ბარიტონის ნომრებით უხვად ამარაგებდა.

ახლა მესამე ბარიტონს, დამსახურებულ არტისტს დაურეკა დირექტორის მოადგილემ. დამსახურებული არტისტი საშინლად აღშფოთდა, თქვენ ჩემი გამასხარავება ხომ არ გინდათ, ხალხი ხერლიას ელის და მე ვიმღეროო? მეტი საქმე არ მაქვსო, — და კვლავ საუბრის დამთავრების მაუწყებელი წყვეტილი სიგნალები მოისმა ტელეფონის მილში. დირექტორის მოადგილემ ახლა გადაწყვიტა ურანგო მომღერლებზე გადასულიყო.

— იწამე ღმერთიო, გამოიყვანე თეატრიც და ჩვენც ამ ჯოჯოხეთიდან და მერე შენი ხმალი და ჩემი კისერიო, — ემუდარებოდა დირექტორის მოადგილე რომელიღაც უწოდებო ბარიტონს.

— რაო? — დამსახურებულ არტისტზე მეტად აღშფოთდა უწოდებო არტისტი, — მაშინ კი არ გაგახსენებით წოდებებს ან ბინებს რომ ანაწილებთ, ახლა მოგაგონდით, რომ გაგიჭირდათო? კარგად იყავითო, — და ისევ ის სიგნალები გაისმა ყურმილში.

რომელ ბარიტონს არ დაურეკეს და არ თხოვეს! იმ ახალგაზრდა ბარიტონმაც, კონსერვატორიაში რომ მღეროდა ფიგაროს პარტიას და იქნება ისე დაბერებულიყო, რომ დიდ სცენაზე ამ როლის შესრულება არც კი ღირსებოდა, იმანაც კი უარი განაცხადა.

„მე ურეპეტიციოდ ვერ გამოვალ, ჩემს მომავალ სამსახიობო კარიერას ვერ დავღუპავ, ხალხმა ხერლიას მაგივრად რომ დამინახოს სცენაზე, ხომ ამიყვირდნენ, მერე მთელი კულტურის სამინისტრო იქ იქნება. რას ამბობთ თქვენო“.

თითქოს პირი შეკრესო, უარი განაცხადეს ხერლიას შეცვლაზე.

კარებში კონტროლიორი ქალი შემოვიდა და მორიდებით მიმართა დირექტორის მოადგილეს:

— უკვე მოაწყდა უამრავი ხალხი, შემოსვლას მოითხოვენ, გავაღო კარი? — თქვა და პასუხის მოლოდინში დირექტორის მოადგილეს მიაჩერდა.

მოადგილემ თმაში წაივლო ხელები და თავი ჩაქინდრა. ამ დროს კარი ფრთხილად გაიღო და კაბინეტში სიმპათიური, გამხდარი მამაკაცი შემოვიდა.

— გამარჯობათ, — მორიდებული ღიმილით მიესალმა იქ მყოფთ.

— გამარჯობათ, — თავი არ აუწევია ისე უპასუხა დირექტორის მოადგილემ.

— ვიცი, რომ ძალიან ძნელია, — მორიდებით დაიწყო მან, — მე, როგორც იცით, იშვიათად გაწუხებთ, მაგრამ ისეთი სურვილი აქვს ჩემს მეუღლეს დაესწროს დღევანდელ სპექტაკლს, რომ გადავწყვიტე მოგმართოთ. თან ერთი მეზობლის ქალიც გვახლავს, რა ვქნა, არ მომეშვა, როგორმე შემიყვანეო, იციან ოდესღაც აქ რომ ვმუშაობდი და...

დირექტორის მოადგილემ ამღვრეული თვალებით შეხედა სანდომიანი სახის კაცს. იცნო. ეს მსახიობი, რა გვარია? მგონი, პოპოვი უნდა იყოს.

— როგორ მოვიქცეთ, გავაღოთ კარი? — ჩაერია ლაპარაკში კონტროლიორი ქალი.

დირექტორის მოადგილე ისე უყურებდა პენ-

სიაზე გადასულ ბარიტონს, რომ იგი შეიშმუშნა და უნებურად საკუთარი ტანსაცმლის თვალიერება დაიწყო, ურიგოდ ხომ არაფერი მაცვიაო.

— ფიგარო ჩემი უსაყვარლესი პარტია იყო, — უხერხულად დაიწყო პოპოვმა.

— ჰოდა, ხომ არ იმღერებდით, გეთაყვა, დღეს ხერლიას მაგივრად ფიგაროს პარტიას? — მიმართა დირექტორის მოადგილემ ერთადერთს და უკანასკნელ იმედს.

პოპოვი ჯერ შეცბა, გაშრა. — მომესმაო, ეგონა.

— რას ბრძანებთ? — ძლივს ამოთქვა.

— იმღერეთ-მეთქი დღეს ფიგაროს პარტია! — უფრო მტკიცედ წარმოთქვა იმედმოცემულმა დირექტორის მოადგილემ.

— დამცინით? რა დავაშავე ასეთი?

— როგორ გეკადრებათ, — პათეტიკურად შემოარტყა ხელი ხელს მოადგილემ, — როგორ თუ დაგცინით. ხერლიამ, იმ ოჯახდაქცეულმა, აგერ ახლა გამოგვიცხადა ვერ ვიმღერებო, ბარიტონი არ დარჩა თბილისში, რომ არ მეთხოვოს, გამოგვიყვანეთ ამ საშინელ მდგომარეობიდან-მეთქი, ყველასაგან უარი მივიღე, ზოგმა, წარმოიდგინეთ, კიდევაც გამომლანძღა, — და დირექტორის მოადგილის ხმაში ტირილის მაგვარი ინტონაცია გაერია, — გთხოვთ, გამოგვიყვანოთ ამ მდგომარეობიდან თქვენი თეატრისათვის, ჩვენთვის, გთხოვთ, ნუ გვეტყვით უარს!

პოპოვი თანდათან გონებაზე მოდიოდა.

— კი მაგრამ, ეს როგორ, ხერლიას მაგივრად სიმღერა? თანაც რამდენი ხანია არ მიმღერია, სცენაზე ფეხი არ დამიბიჯებია, ხომ მოგეხსენებათ ჩვენი მომთხოვნი მაყურებლის ამბავი. იცით, რა ხდება გარეთ? მეორედ მოსვლაო, რომ იტყვიან, ის გახლავთ სწორედ, როგორც საერთოდ ხერლიას ყოველ სპექტაკლზე, — დაბნეულად, ძლივ-ძლივს ამოთქვამდა გაოგნებული პენსიონერი.

— ვიცი, — პატიოსნად აღიარა დირექტორის მოადგილემ — ვიცი, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს. ხალხისთვის მოულოდნელი არ იქნება ეს ამბავი, ჩვენ მათ ვეტყვით, რომ ხერლიამ, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, მოულოდნელად, ავად ვარო შემოგვითვალა. ვისაც სურს და ასეთი მსურველი, უამრავი იქნება, ბილეთს დააბრუნებს სალაროში. გაიღეთ ასეთი მსხვერპლი! — ჭეშმარიტი პოეტური მგზნებარებით წარმოთქვა დირექტორის მოადგილემ.

უფროსი და უმცროსი ადმინისტრატორი ნელა მიუახლოვდნენ პოპოვს, ერთმა აქეთ მკლავში, მეორემ იქითა მკლავში ნაზად მოკიდეს ხელი, მოულოდნელობისაგან მთლად დარეტიანებული კაცი საგრიმიოროში შეიყვანეს და დიდი სარკის წინ, სადაც დიდებული ხერლია უნდა დამჯდარიყო, დასვეს.

გარეთ მართლაც რომ მეორედ მოსვლა იყო. მილიცია ძლივს იგერიებდა ხელოვნების მოყვარულთა შემოტევებს.

ოპერის თეატრის კარი სადღესასწაულოდ გაიღო და საზეიმოდ ჩაცმულ-დახურულმა საზოგადოებამ — ზოგმა ბილეთიანმა და ზოგმა კიდევ ბილეთების მაძიებელმა, სასოებით შეხედა შუა კარში მდგომ დირექტორის მოადგილეს.

კონტროლიორმა ქალებმა თავიანთ ადგილებს მიაშურეს და საქმიანად მოემზადნენ ბილეთებზე კონტროლის მოსახედად.

— რა ამბავია, ამდენ ხანს კარს რომ არ აღებდით! — გაისმა ხალხშიც და მაყურებელთა პირველი ნაკადი საკმაოდ აგრესიულად მოაწყდა კარს.

— ამათ რა გადაურჩება ამაღამ, — ერთხელ კიდევ მწარედ გაიფიქრა დირექტორის მოადგილემ და მაყურებელთა კონტრიერიშისათვის მოემზადა.

— ამხანაგებო, — გაუბედავად დაიწყო მან და ტანში გააჟრჟოლა, — ჩვენთვის მოულოდნელად პატივცემული ხერლია ავად გახდა და ფიგაროს პარტიას მომღერალი პოპოვი შეასრულებს, ვისაც სურს, მიბრძანდით სალაროში და დააბრუნეთ ბილეთები.

დირექტორის მოადგილის მაგალითს ადმინისტრატორებმაც მიბაძეს და ამცნეს საზოგადოებას მომხდარი არასასურველი ამბავი.

ხალხის სახეზე გაურკვეველი გამომეტყველება იხატებოდა.

— ხერლია მოულოდნელად ავად გახდა, — ახლა სხვა პარტიას აუწყებდა კარში კონტროლიორებთან მდგარი დირექტორის მოადგილე თავისი ორი განუყრელი ადმინისტრატორით.

— შეგიძლიათ დააბრუნოთ ბილეთები სალაროში და ფული უკან მიიღოთ, — გაისმოდა ყოველ წუთში მათი ხმა. ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. დირექტორის მოადგილე, თავისი ორი ვეფხვებივით ყოჩაღი ადმინისტრატორებით გაზეპირებულ სიტყვებს თავაზიანად იმეორებდნენ. სათანადო ცნობა თეატრის შესასვლელშიაც გამოიკრა.

საათის ისარი რვას უახლოვდებოდა. თეატრის დარბაზი სულ უფრო და უფრო იჭედებოდა ხალხით.

კიბეებზეც კი არ იყო ხალხის ტევა.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული შემომსვლელი გააფრთხილეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ბილეთები ძალიან ცოტამ ჩააბარა უკან.

როზინას შემსრულებელ ახალგაზრდა მომღერალს აღელვებისაგან ორჯერ აუკრთელდა გრიმი სახეზე. ღელავდნენ მსახიობები, ღელავდა დირიჟორი, გუნდი და ორკესტრა.

ზუსტად რვა საათზე ჭერში დაკიდებულმა უზარმაზარმა ჭაღმა ნელ-ნელა დაიწყო ჩაქრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. ოდნავ განათდა ორკესტრი. გამოჩნდა შავ ფრაკში ჩაცმული დირიჟორი. ხალხმა ტაში დაუკრა. დირიჟორმა თავის დაქნევით მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და თავის საქმეს შეუდგა. გაისმა ოპერა „სევილიელი დალაქის“ ბრწყინვალე უვერტიურა, მაგრამ მთავარი მაინც საგრიმიოროში ხდებოდა.

სარკის წინ მომღერალი პოპოვი იჯდა და მისი გონება ათას შავ ფიქრს მისცემოდა. თავი ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა. მაინც რა გააკეთა ეს. ფიგარო, მისი საყვარელი პარტია და ასე მოუმზადებლად უნდა ემღერა? რამდენს აბსოვს ალბათ მისი სიმღერა ამ პარტიაში? მერე ვის მაგივრად გამოდის, ხერლიას მაგივრად, ხუმრობა საქმეა? არა, ხალხი უსტვენს, რა თქმა უნდა, უსტვენს და ღირსიც იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, რა უნდა ქნას, როგორ მოიქცეს? თეატრი გამოიყვანე როგორმე ამ მდგომარეობიდანო, ასე უთხრეს და არ დათანხმებულიყო? ამ ფიქრებში იყო გართული პოპოკი, როცა მესამე რიგის ბოლოში საგანგებოდ მიდგმულ სკამზე, მეზობლის ქალის გვერდით მჯდომი მისი სიმპათიური მეუღლე უფრო უარეს დღეში იყო, ვიდრე თვითონ მსახიობი.

დაიწყო პირველი მოქმედება. მსახიობები, რომელთაც კარგად ესმოდათ ამ უცნაური მდგომარეობის მთელი სირთულე, განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდნენ თავიანთ როლებს. შესანიშნავად უღერდა ორკესტრი. რამდენიმე ადგილას მოწონების ტაშიც კი მოწყდა.

ხალხით სავსე დირექტორის ლოჟაში ვიღაც ელეგანტური, მშვენიერი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა და გაკვირვებული სახით მოათვალიერა ხალხით გაჭედილი მაყურებელთა დარბაზი.

— ხერლია, ხერლია მოვიდა! — გაისმა აქეთ-იქიდან ჩურჩული, მაგრამ, ისე რომ ვთქვათ, დიდი ყურადღება არავის არ მიუქცევია მისთვის.

მაყურებელთა დარბაზსა და ლოჟების სხვადასხვა ადგილებში გაბნეული დიდად და მცირედ ცნობილი ბარიტონები, სახის ირონიული გამომეტყველებით ელოდნენ ფარდის ახდას. დირექტორის მოადგილე თავისი ორი ვეფხვივით ადმინისტრატორით ხომ ენაჩავარდნილი იდგა ბენუარის ლოჟაში და დანა პირს არ უხსნიდა. რა მოხდებოდა, ვინ იცის! მაგრამ სულ სხვა იყო ხელოვნებისა და თეატრის პრესტიჟის სამსხვერპლოზე მიტანილი პოპოვის მდგომარეობა: ფიგაროს ტანსაცმელში გამოწყობილი იდგა იგი კულისებში და სცენაზე გასვლას ელოდა. პარტერში არა ნაკლებ განიცდიდა ქვად ქცეული მისი სიმპათიური მეუღლე. მეზობლის ქალი მართლაც რომ ბედზე წამოჰყვა, თორემ რა ეშველებოდა!

აი, დადგა ფიგაროს გამოსვლის ჟამიც.

გაისმა მშვენიერი მუსიკის ჰანგები. პოპოვმა მოიკრიბა რაც ძალღონე ჰქონდა და ფეხი გადადგა სცენაზე, ღმერთო, რა იქნება, — გაიფიქრა პოპოვმა...

ხალხი სმენად გადაიქცა.

პოპოვმა ჯერ გაუბედავად დაიწყო პირველი ფრაზა, ცოტა ხმაც კი აუკანკალდა ნერვიულობისაგან, მაგრამ მიხვდა რა მსახიობის უტყუარი ალღოთი, რომ ხალხი მთელი სულით და გულით უსმენდა, სულ დაავიწყდა ნერვიულობაც, აღელვებაც და არიის მეორე ნახევარი ისე შეასრულა, რომ ვერავინ ვერ იტყოდა, ამ მომღერალს ამდენ ხანს არ უმღერიაო, ისე მშვენივრად ეღერდა თითოეული ნოტი.

ახალგაზრდა, ნიჭიერმა მომღერალმა, რომელიც როზინას როლს მხოლოდ მეორეჯერ ასრულებდა, თავისი თავი დაივიწყა და ისე ღელავდა პოპოვის გამო, რომ ორჯერ კინაღამ კისერი არ მოიტეხა სცენაზე, როლისათვის უცხო ნერვიულობა როზინას მღელვარებას ნიჭიერად დაუკავშირა და ისეთი სცენა გამოვიდა, რომ თქვენი მოწონებული.

პოპოვმა დაამთავრა თუ არა არია, ისეთი ტაშის ხმა გაისმა, რომ თვითონ ბატისტინს შეშურდებოდა, როგორ ვთქვა და, მგონი, ცოტათი ხერლიასაც კი შეშურდა.

პოპოვმა სიმწრის ოფლი მოიწმინდა შუბლზე და ახლა შემდეგი სცენა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვინ აცალა! გაუთავებელი და გადაბმული „ბის“-ის შეძახილები იუწყებოდნენ, რომ ხალხი არიის განმეორებას მოითხოვდა. კიდევ უფრო გაოგნებული დირექტორის მოადგილე თავისი ვეფხვივით ადმინისტრატორებით უაზროდ იყურებოდა აქეთ-იქით და ვერ გარკვეულიყო, თუ რა ხდებოდა. ხალხით გაჭედილ მაყურებელთა დარბაზში უგზოუკვლოდ გაბნეული ცნობილი და ნაკლებად ცნობილი, უწოდებო და შტატების შემცირებაში მოხვედრილ ბარიტონებს ირონიული გამომეტყველება განცვიფრებით შეცვლოდათ.

განმეორებულმა არიამ კიდევ უფრო დიდი წარმატებით ჩაიარა. გამოვიდოდა პოპოვი, ტაშით შეხვდებოდნენ, გავიდოდა — ტაშითვე გააცილებდნენ.

დამთავრდა სპექტაკლი. ხალხმა ხანგრძლივი ტაშით და მოწონების შეძახილებით დააჯილდოვა მონაწილენი და, რა თქმა უნდა, მათ შორის, პირველ რიგში პოპოვი.

ხერლია იდგა დირექტორის ლოჟაში, ტაშს უკრავდა და „ბრავო, ბრავო“-ს იძახდა. დიდმა მომღერალმა ყველაზე ბოლოს დასტოვა დარბაზი.

კულისებში, ყველასგან დავიწყებული, განუყრელ მეზობლის ქალთან ერთად იდგა პოპოვის მეუღლე და თვალზე ცრემლმომდგარი უყურებდა, როგორ კოცნიდნენ მის მეუღლეს თეატრის თანამშრომლები, დირექტორის მოადგილიდან და მისი ვეფხვებივით ბიჭებიდან და-

წყებული, დირიჟორით, მსახიობებით, გუნდით და ორკესტრით დამთავრებული.

უცბად, ჩურჩული გაისმა სცენაზე. თვითონ ბრწყინვალე ხერლია შემოვიდა და დიდი ამბით გადაკოცნა პენსიაზე გადასული ბარიტონი. სპექტაკლმა მშვენივრად ჩაიარა. შესანიშნავ ხასიათზე დამდგარი საზოგადოება, ნელ-ნელა გადიოდა ფართოდ გაღებულ კარში. აი, უკანასკნელმა მაყურებელმაც დასტოვა შენობა.

ამდენი ნერვიულობისაგან ილაჯწართმეული დირექტორის მოადგილე თავისი ვეფხვივით ადმინისტრატორებით, ბედნიერი, დაღლილი სახით ჰკეტავდა მთავარ შესასვლელ კარს.

შუაღამის ცარიელ ქუჩაში სამი ლანდი გამოჩნდა. მკითხველი რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ესენი იყვნენ მომღერალი პოპოვი, მისი სიპათიური მეუღლე და მათი დიდი სიხარულის მოზიარე მეზობლის ქალი, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა ხვალინდელი დილა და როდის მოუყვებოდა მეზობლებს ამ ამბავს.

წარჩინებული სტუდენტი

მართლაც და, რა უნდა ექნა ჯემალ გაბისონიას, სულგანათლებული ლომონოსოვის სახელობის სტიპენდია რომ არ დაენიშნათ? ოთხმოცი მანეთი, თქვენ წარმოიდგინეთ ეს რა თანხაა?

მთელი წლის განმავლობაში ძალიან გაუჭირდა ჩვეულებრივ სტიპენდიაზე ცხოვრება ჯემალს. მართალია, ცოტა-ცოტას დედაც კი უგზავნიდა, მაგრამ აბა რას უნდა გასწვდომოდა ერთი საშუალო მასწავლებელი ქალის ხელფასი?

ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოუშალოს ნაზაროვის ოჯახს! მართლაც რომ დიდი პატიოსანი და ობიექტური პიროვნებაა ივან პროკოფიევიჩ! რას ამბობ შენ, ბრწყინვალე პიროვნებაა, დიდი მეცნიერი და დიდი მოქალაქე. როგორი გულისყურით მოეპყრო ასე შორისგზიდან ჩამოსულ ახალგაზრდას, არ დაუკარგა სტუდენტური ღვაწლი წესიერს, ხუთოსან ჯემალ გაბისონიას და შესძლო დაერწმუნებინა კომისიის უველა წევრი, რომ სწორედ ჯემალ გაბისონიას და არა სხვას ეკუთვნის ეს საპატიო სახელი. მოკლედ, გაისად, ნაზაროვის წყალობით, ტკბილი ცხოვრება ელის ჯემალს მოსკოვში; შეიძლება, პალტოს ყიდვაც კი გაახერხოს, თორემ წელს თეთრი საწვიმარი ლაბადით დადიოდა ორმოც გრადუს ყინვაში. მთელი ქუჩა იმას უყურებდა. თავიდანვე მაინც რა უცნაურად წარიმართა ჯემალის ბედი. მამა მხოლოდ სურათებში ენახა. ჯემალი ჯერ დაბადებულიც არ იყო, სამამულო ომში ვალმოხდილი მამა მშვიდობიან სამუშაოს რომ დაუბრუნდა, ცოლად შეირთო თავისი ბავშვობის ერთადერთი სიყვარული მარო და ის იყო ახალ, ბედნიერ ცხოვრების დაწყებას აპირებდა, რომ ავარია გზაზე და...

მარომ ამის შემდეგ მთელი ცხოვრება შესწირა ერთადერთი შვილის აღზრდას. რამდენი გაჭირვება უნახავს, ვინ მოსთვლის, მაგრამ ბიჭი მართლა კარგი გამოდგა. სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო მამამისის შვილი. პატარა ჯემალმა წიგნები იმთავითვე მშობელ დედასავით შეიყვარა, სკოლაში ხუთიანზე ნაკლები ნიშანი არ მიუღია, ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და მარო არც განძრეულა, ისე მოხვდა მისი სანაქებო ვაჟი ინსტიტუტში. ინსტიტუტმა ჯემალი მოსკოვში ახლადგახსნილ ფაკულტეტზე გაგზავნა, როგორც სანიმუშო სტუდენტი. თავი იქაც არ შეირცხვინა და დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებელში ნიჭიერი და სანიმუშო სტუდენტის სახელი დაიმკვიდრა. წლის ბოლოს წარმატებით ჩააბარა გამოცდები და ახლა ლომონოსოვის სახელობის სტიპენდიაც კი დაუნიშნეს. უჰ, გაახარა ღმერთმა ნაზაროვი!

საზაფხულო არდადეგებზე თბილისში გამგზავრების წინ ჯემალმა გამოსამშვიდობებლად და მადლობის სათქმელად მოინახულა თავისი მფარველი ანგელოზი. კათედრის გამგემ თბილად მიიღო ჯემალი და სხვათა შორის უთხრა, რომ ერთ კვირაში ისიც მეუღლით მიემგზავრება ბორჯომში დასასვენებლად და ვინაიდან იქ აეროდრომი არ ყოფილა, თვითმფრინავით ჯერ თბილისში ჩავა, შემდეგ კი გაემგზავრება თვალწარმტაც ბორჯომის ხეობაში. ჯემალს არც კი ახსოვს როგორ გამოვარდა ნაზაროვის კაბინეტიდან, ახსოვს მხოლოდ, რომ ორსაათიანი სამგერო გზა ორ საუკუნედ მოეჩვენა.

— ჩემი ჯემალის მწყალობელი პროფესორი ჩამოდისო, — გადაირია კინაღამ საწყალი მარო. ნათესავებში და მეგობრებში დატრიალდა, კარგა ფული მოაგროვა სესხად და ისეთი პურ-მარილი გაშალა, პრეზიდენტის დაპატიჟებისაც კი არ შერცხვებოდა კაცს. მაგრამ ახლა ბინის პრობლემა წამოიჭრა მთელი სიმწვავით. ამ ღარიბულ პატარა ოთახში ისეთი დიდი სტუმრის მოყვანა, მართლაც რომ უხერხული იყო. აქ კი მდიდარმა მეზობელმა გამოიჩინა მისთვის ჩვეული მარიფათი და მთელი ეზოს საყვარელი ბავშვის — ჯემალის პროფესორის მოყვანა-მოპატიჟება თავის მდიდრულად მორთულ ბინაში შესთავაზა.

საქმე ისე აეწყო, რომ უკეთესზე ოცნებაც კი არ იყო საჭირო. აეროდრომზე თბილისელი ახალგაზრდების დახვედრა დიდი სიურპრიზი იყო ნაზაროვის და მისი მეუღლისათვის. სასურველი სტუმრები დიდი ამბით მოასრიალეს ჯემალის ამხანაგის მამის მანქანით ჯემალის მეზობელთან, სადაც მდიდრულად მორთულ ბინაში ზღაპრული სუფრა იყო გაშლილი. ისეთი პატივი სცეს, რომ დიდად პატივცემული სტუმრები სიამოვნებისაგან გაოგნებულნი აქეთ-იქით იყურებოდნენ,

ძვირფას ხალიჩებს და ბროლის ჭურჭელს თვალს ვერ აცილებდნენ.

იმ ღამეს მეზობელმა თავის მშვენიერ ხაძინებელ ოთახში მოახვევინა საპატივცემულო ცოლქმარი.

მეორე დილით ჯემალმა ამხანაგის მამის მანქანით ბორჯომში ჩაასრიალა დიდად ნასიამოვნები სტუმრები და ბორჯომის სანატორიუმის სტუმართმოყვარე პერსონალს ჩააბარა.

მართალია, კარგა დიდი ვალი დაედოთ მაროს და ჯემალის, მაგრამ ახლა ეს აჭ რა მოსატანია. მაროს ერთი წლის ხელფასი მთლიანად გაუსწორებდა ვალებს, აგერ ლომონოსოვის სახელობის სტიპენდიაც და... არა უშავს მაგრამ, ვაგლახ... ჯემალ ბიძინას-ძე გაბისონიას, როგორც, თუმცა სანიმუშოს, მაგრამ ზომაზე მეტად შეძლებულ სტუდენტს. ნაზაროვის წინადადებით, მოეხსნა ლომონოსოვის სახელობის სტიპენდია.

ᲔᲠᲗ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ...

პატარა, ელეგანტურად მოწყობილი დარბაზის ძილისმომგვრელ სავარძლებში რვა თუ ათი კაცი გართხმულიყო. მამაკაცები შესანიშნავ ხასიათზე იყვნენ, გუნდურად რაღაც ამბავს ჰყვებოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. შუქი ჩაქრა და დარბაზში მყოფებმა ყოვლად გულგრილი მზერა მიაპყრეს მთელ კედელზე გადაჭიმულ ეკრანს.

— კი მაგრამ, ჯუანშერს არ დაველოდოთ? — გაახსენდა ვილაცას.

— ჯუანშერი მოსკოვშია, შე კაცო, — დაიძახა კუთხეში მიყუჟულმა მამაკაცმა, რომელიც მომცრო ტანის გამო ძლივს ჩანდა სავარძელში.

— გამოდის, რომ ავტორის გარეშე მოგვიწევს მისი შედევრის ნახვა? — მოხდენილად გადააგდო თავი საკუთარი პერსონით კმაყოფილმა ცისფერთვალება, ასე ორმოცდაათ წელს მიტანებულმა თუ გადაცილებულმა ახალგაზრდამ.

კოლეგებმა გულიანად გაიცინეს.

— კიბეები რომ აათავოს მაგან, გამაღვიძეთ, — თქვა ჩასკვნილმა, საშუალო ხნის მამაკაცმა და ერთი გემრიელად დაამთქნარა.

— რად უნდა კიბეებზე ამდენი პოტიალი, ავიდეს ერთი-ორი საფეხური, ჰა, სამი, თუ გინდა, მეტი რაღა საჭიროა? — სევდიანი სახით თქვა შავსვიტრიანმა, რომელსაც სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ მთელი ქვეყნის საფიქრალი აწვა პატიოსან მხრებზე.

— ეს ჩვენაა, რომ ვითმენთ, თორემ მაყურებელი სტვენას დაიწყებს, — თქვა შეწუხებულსახიანმა მამაკაცმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ძალიან უფრთხილდებოდა თავისი დაწესებულების პრესტიჟს.

— შენც ერთი, რა გენაღვლება, უსტვინოს რამდენიც უნდა, — ჩაილაპარაკა მსუქანმა კაცმა და სავარძლის ზურგს მიადო თავი.

— მაინც რამსიგრძეა ეს მიხეილის და ნინუცას დიალოგი, — მოუთმენლად სახე კიდევ უფრო მოეუკუმა ჩია კაცს.

— ჩუმად, წამაძინეთ ცოტახანს, მთელი ღამე ვსვამდი, — ნამძინარევი ხმით წამოიძახა ჩასკვნილმა, პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა მამაკაცმა.

— მტერი ჩავარდა თქვენს ხელში, — ჩაიქირქილა სავარძელში ღრმად ჩამჯდარმა სათვალიანმა კაცმა.

დარბაზში მყოფნი ცოტა ხანს გამოფიტულთ სახეებით მისჩერებოდნენ ეკრანს.

— ამათ კიდევ არ დაუმთავრებიათ სიყვარულზე ლაპარაკი? — გამოიღვიძა ჩასკვნილმა და პალტოს საყელო აიწია.

— ეს სხვა ადგილია, კაცო, — ჩაიცინა სათვალიანმა.

— არა, მატარებლის ეპიზოდია კლასიკური. გულშეწუხებული ნინუცა რომ გარბის დედამისთან სოხუმში, — წამოიკვნესა ვეება სავარძელში მიკარგულმა ციცქნა კაცმა.

— აბა, აბა, — იცინიან კოლეგები.

— ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს, მიხეილს დედად შეეფერება ნინუცა, — ჩაილაპარაკა ვიწროშუბლიანმა, საკმაოდ ლამაზმა კაცმა.

— იქნება დედაა, რა ვიცით ჩვენ, — ხუმრობს ცისფერთვალება.

— ო, რა ხართ, — ხითხითებს სათვალიანი.

— ნეტავი სად იშოვეს ის გოგო, მიხეილის საყვარელს რომ თამაშობს? — იკითხა თმაშეთხელებულმა ახალგაზრდამ, რომელსაც დაჭმუჭნულ შარვალზე ეტყობოდა, რომ არავის არ ჰგავდა და ამაში იყო მისი ტრაგედია.

— ნახევარი წელი გადაყვნენ მაგის ძებნას,— თქვა რუხთვალებიანმა, რომელსაც გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ჭკვიანი უნდა ყოფილიყო.

— მართლა? — იკითხა ჩასკვნილმა, მხარი შეიცვალა და თვალები მიხუბა.

— გადამრევს ეს ხალხი, — იცინის სათვალიანი.

— ის მწვანე კაბა როგორ უხდება ჭსენიას! — წამოიძახა მოშუტულთვალებიანმა, რომელსაც წარბებამდე ჩამოფხატულ სვანურ ქუდზე ეტყობოდა, რომ ნიჭიერი იყო (რაც უფრო დაბლა აქვს ჩამოწეული, უფრო ნიჭიერია).

— ეს რა, ინდური კინოა? — მაღალი ხმით იკითხა რუხთვალებიანმა.

— მართლა, რა არის ამსიგრძე სიმღერა კაფეში? — მიემხრო რუხთვალებიანს დაჭმუჭნილშარვლიანი.

დარბაზში წუთით სიჩუმემ დაისადგურა.

მამაკაცები არაფრისმთქმელი სახეებით შესცქეროდნენ ეკრანს.

— როგორც ვატყობ, სულიკოს და ციალას ცეკვის ეპიზოდზე ისევ მოგვიწევს ტირილი, — წამოიწყო ცისფერთვალებიანმა.

— ნამდვილად მოგვიწევს, — იცინიან დანარჩენნი.

— რა ხალხია, — იცინის სათვალიანი.

— სამაგიეროდ მმაჩის ბიუროს ეპიზოდში მოგველის ბევრი სიცილი, — გამოცოცხლდა რუხთვალებიანი.

— თუ იცით, ის დარჩა, ბიკენტის პორტფელიდან რომ ბატი ამოფრინდება? — სავარძლის ზურგს უკან ამოანათა ოდნავ მოგრძოთავიანმა, ხნიერმა მამაკაცმა.

— ოჰ, ის მართლა საოცარი უგემოვნობაა, — თავი გააქნია რუხთვალებიანმა და ხელად შეეტყო, რომ მართლა დიდი გემოვნების კაცი იყო.

კოლეგების დროსტარებას სულ უფრო ემატებოდა ლაზათი და ეშხი.

ამ დროს შემოსასვლელი კარი ფართოდ გაიღო და დარბაზში ახოვანი ჯუანშერი შემოვიდა.

დამსწრენი უცბად ჩაყუჩდნენ და სერიოზული გამომეტყველება დაიჭირეს.

გატრუნულნი ისხდნენ მამაკაცები ფილმის დამთავრებამდე.

დარბაზში სინათლე აინთო.

— რას ერჩი, კარგია ძმაო!

— მშვენიერია!

— შესანიშნავია!

— ბრწყინვალეა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

სათვალიანმა შეუმჩნევლად ჩაიცინა.

— მართლა არა უშავს, ხომ? — იკითხა ნასიამოვნებმა ჯუანშერმა.

— ვაჰ, ჯუანშერ, საიდან გაჩნდი კაცო! — გაიკვირვეს დარბაზში მყოფებმა და პასუხის გაცემა არ დააცადეს ჯუანშერს, ერთხმად აყვავყანდნენ.

— მომილოცნია, ძმაო, ასეთი სიამოვნება კაი ბანია არ მიმიღია, — თქვა ნახევრად გამოფხიზლებულმა ჩასკვნილმა და პალტოს საყელო ჩამოიწია.

— ნამდვილად დიდებულია, — დაადასტურეს დანარჩენებმა.

თავის თავში დარწმუნებული ჯუანშერი ვითომ გულგრილად უსმენდა თანამშრომელთა გულწრფელ საუბარს.

— კიბეების ეპიზოდი ახლა ზომიერადაა გაკეთებული, — განაცხადა შავსვიტრიანმა.

— მართალია, მართალი! — გაისმა დარბაზში.

— აბა, მე თუ მკითხავთ, მიხეილის და ნინუცას დიალოგს კი სჭირდება ცოტათი წამატება, — შემოიტანა წინადადება ჩია კაცმა.

— სწორია, ისე იშვიათად ისმენ ადამიანი პროფესიულად გამართულ დიალოგს, რომ გსურს ცოტათი მაინც გაგიხანგრძლივდეს სიამოვნება, — თქვა ჩასკვნილმა და ისე ოსტატურად დაამთქნარა, რომ პირიც კი არ გაუღია.

— ნამდვილად აგრეა! — ერთხმად დაასკვნეს კოლეგებმა.

— სიყვარულის ეპიზოდია ორიგინალურად გადაწყვეტილი, — განაგრძო ჩასკვნილმა და კვლავ პირმოკუმულმა დაამთქნარა.

— როგორ, მატარებლის ეპიზოდი ნაკლებია, ნინუცა რომ დედასთან მიემგზავრება სოხუმში? — თვალები მოჭუტა და ისე გახედა ჩასკვნილს ციცქნამ.

— ყველა ეპიზოდი ერთმანეთს სჭობია, — დაასკვნა ცისფერთვალებიანმა.

— ეგეც მართალია! — დაეთანხმა ამხანაგებს ჩასკვნილი.

— ნინუცა სულ ახალგაზრდად გამოიყურება, პირდაპირ, ჩვენ შორის დარჩეს და, შვილადაც კი ეკუთვნის მიხეილს, — თქვა და ჯუანშერისაკენ გაიხედა საკმაოდ ლამაზმა მამაკაცმა.

— აბა, კაცო! — წამოიძახეს სხვადასხვა ადგილებიდან.

— რაც შეეხება მიხეილის სატრფოს, მართალია, დიდხანს ვეძებეთ, მაგრამ კი ღირდა, ძმაო, ამდენი ძებნა!

— მშვენიერი ქალია, — განაცხადა რუხთვალებიანმა.

— ჭსენია, ჭსენია რა არის ბიჭო, ა? — გაახსენდა ოდნავ მოგრძოთავიანს უმართებულოდ მივიწყებული ჭსენია.

— აბა, აბა, ჭსენია, — ტაში შემოჰკრეს დანარჩენებმა.

— მწვანე კაბაშია რაღაც გასაგიჟებელი, — წამოიძახა თვალებმოჭუტულმა, და უფრო ქვევით ჩამოსწია სვანური ქუდი.

—ძაან შევიკავე თავი, ძმაო, კინაღამ გადავხტი ეკრანზე, — წამოიძახა გამხდარმა, ნატიფი სახის მამაკაცმა, რომელსაც მუხლებზე გაცვეთილ კოვბოური ჯინსებზე ეტყობოდა, რომ მეტად თანამედროვე შეხედულებათა სულისკვეთებით ცხოვრობდა.

— არა, არა, ძმაო, მაგ გოგო რომ დავინახო მწვანე კაბაში, იცოდეთ, არ ვაგებ პასუხს ჩემს ნერვებზე... — იცინოდა სათვალიანი.

— ჰო, მართლა, ხუმრობა იქით იყოს და კაფეში ცოტნეს სიმღერა უდროო დროს არის წაჭრილი, — წარმოსთქვა რუხთვალებიანმა.

— რა და, შეგვეშინდა, ჩადგმული ნომერი რომ არ გამოსულიყო, — ისე იმართლა თავი ჯუანშერმა, რომ ოდნავადაც არ დაუკარგავს ღირსება.

— რატომ, შესანიშნავად მღერის ცოტნე და დატკბეს ადამიანი მეტ ხანს მშვენიერი ხმის მოსმენით, რა უჭირს ვითომ? — თქვა დაჭმუჭნილშარვლიანმა.

— ვნახოთ, რა ვიცი! — სერიოზულად დააფიქრა ჯუანშერი გულწრფელმა რჩევამ.

— მე, ძმაო, ჩემი ბუნებით არ ვარ სენტიმენტალური კაცი, მაგრამ რა ვქნა, სულიკოსა და ციალას ცეკვის ეპიზოდზე ცრემლი მომადგა, — დარცხვენით წარმოსთქვა მუხლებთან ჯინსებგაცვეთილმა გამხდარმა კაცმა.

— ოჰ, ტყუილი არ თქვა, მხეცი უნდა იყო,

მაგ ადგილზე რომ არ ატირდე! — აღშფოთდნენ მამაკაცები.

კოლეგები კამათობდნენ, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ჯუანშერი კი ლაღად დაფრინავდა მეშვიდე ცაზე...

როდესაც მოკამათენი დერეფანში გამოეფინენ, ერთმა დამსწრემ, რომელსაც ეტყობოდა, ამ დაწესებულების წევრი არ გახლდათ, მიმართა სათვალიანს:

— ვითომ რა იყო ეს! რომ არ მოგწონდათ, რატომ არ უთხარით?

— რას ამბობ კაცო, შენ, — შეცბა სათვალიანი, — მაგას როგორ ვეტყვით ჯუანშერს! ჯუანშერი მაინც ჯუანშერია.

— მერე რა, რომ ჯუანშერია?

— აჰ, როგორ შეიძლება, რაც არ უნდა იყოს, მაინც ჯუანშერია, — სერიოზული სახე მიიღო სათვალიანმა მამაკაცმა და ენერგიულად შეაღო თავისი კაბინეტის კარი.

ცხენზე...

ქუთაისში ვსწავლობდი და არდადეგებზე ჩავდიოდი სოფელში. სვირის სადგური ქვის ორსართულიან მინიატურულ შენობას წარმოადგენდა, ქვევით ქვის ნაშენი ყორით. ეს სადგური ახლაც ასეევეა დარჩენილი, არაფერი არ შეცვლილა.

საკვირველია, ყველა სადგური გადაკეთდა, გალამაზდა, რაღაც პავილიონები მიემატა, ირგვლივ გაზონები გაშენდა. სვირის სადგური კი დარჩა ისე, როგორიც იყო.

სოფელი ცოტა მოშორებითაა სადგურიდან, ასე შვიდი-რვა კილომეტრითაა დაცილებული. მგზავრების გადასაყვანად მაშინ ურემი და ცხენი იყო საჭირო.

სვირის სადგურში მატარებელი სულ რაღაც ორ წუთს ჩერდებოდა.

მზე უკვე გადაწვერილი იყო, ვაგონიდან რომ გადმოვედი. სახლში იცოლნენ, დღეს რომ ჩავდიოდი და ურემი უნდა დამხვედროდა, მაგრამ ხარი გამხდარიყო ავად და ურმის გამოგზავნა არ მოხერხდა. სადგურში ცალთვალა დავითია ცხადაძე აქირავებდა ცხენს. დამჭირავებელს პატარა ბიჭს გაატანდა, მგზავრი რომ დანიშნულ ადგილას მივიდოდა, პატარა ბიჭი ცხენს წამოიყვანდა და უკან მოგვრიდა დავითიას. და აი, დავითიას მივმართე თხოვნით. დავითიამ თხოვნა შემისრულა, მხოლოდ ბიჭი არ გამატანა, მე ხომ იქვე მეზობლად ვცხოვრობ, ხვალ მე თვითონ წამოვიყვან ცხენსო. ამგვარად, ბაწრით გაკრული ჩემი ოთხკუთხედი კოლოფი და ფუთა მიაკრა უნაგირზე, წინ მე დამსვა და ასე გავუდექი გზას. ცხენი რაღაც განსაკუთრებული ემოციით წავიდა. ისე მითხრიკობდა, გეგონებოდათ სადღაც აღთქმის ქვეყნისაკენ აიღო გეზიო.

გზის პირად, მოშორებით თავლა იდგა და ცხენიც, თურმე იქითკენ მიიჩქარებოდა ასე ხალისიანად.

— ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ! — გაისმა დამატებობელი სერობის ხმაური. მე რაც შემიძლია სადავეს ვეწევი — შენც არ მომიკვდე, — ცხენი ყურადღებას არ მაქცევს, თავის საქმეს განაგრძობს და როცა გული კარგად იჯერა თივის ხრამუნით, სწრაფად მობრუნდა და განაგრძო გზა, რომელიც სოფლამდის მიდიოდა. მოვეხსენებათ კარგ ხასიათზე დამდგარი მხედრის ამბავი, ამჯერად მის სწრაფ, ლამაზ თოხარიკს, სიმღერაც კი ავაყოლე.

შუა გზაზე პატარა მდინარე მოჩუხჩუხებდა. სოფლელები მას „თეთღელეს“ ეძახდნენ (ალბათ, სატყვიდან „თეთრი ღელე“), ცხენი ჩადგა თუ არა მდინარეში, ხარბად დაეწაფა წყალს.

რას ვიზამდი, მოიკლავს წყურვილს და გზას განაგრძობს-მეთქი, — ვფიქრობდი. მაგრამ აი, ბედის სიმუხთლე! ცხენი უკან გამობრუნდა და ისევ თავლაში შემაგელვა.

— ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ! — განაგრძო თივის მირთმევა. მე კვლავ ვეწევი აღვირს, რაც შემიძლია, მაგრამ ცხენი არავითარ ყურადღებას არ მაქცევს.

კარგად მოსალამოვდა. წამოვიღე წვიმა. რა ვქნა, რა ვიღონო. შიში, სიბრაზე ერთმანეთში ამერია და ტირილი დავიწყე. ცხენი კი წინანდებურად არავითარ ყურადღებას არ მაქცევს, ვითომ ამ ქვეყნად არც კი ვარსებობდი ჩემი ბარგი-ბარხანიანად: მივიდოდა თავლაში, ჭამდა თივას, ღელეში დააყოლებდა წყალს...

კარგად დალამდა. ახლა კი უფრო შემეშინდა და ხმამაღალი ტირილი მოვრთე. ცხენს, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მოუქცევია ჩემი ღრიალისათვის და თავის საქმეს განაგრძობდა.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ჩემი განსაცდელი, მწყემსები რომ არ გამოჩენილიყვნენ: წამსვე გადმოჭრეს გზა და მე და ჩემს ცხენს ისევ დავითიას სამფლობელოში ამოგვაყოფინეს თავი... და ასე ამგვარად, დავითიას ცხენმა ოდნავი თანაგრძნობაც კი არ გამოიჩინა თავისი მხედრის მიმართ — ზრუნვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი!

ბოდიშს ვიხდი ასეთი ანალოგიებისათვის და ცხოვრება ვინ იცის, რამდენ შესაძლებლობებს თავაზობს ადამიანს. ვაგლახ, რომ ეს შესაძლებლობანი ბევრ შემთხვევაში ხელიდან გამოცლილ განძს ჰგავს, თუ იგი დროზე მიზნობრივად არ წარმართეს, თუ თავის დროზე მისი სადავეები არ აიღე მტკიცედ და მარჯვედ!

— ასე დაასრულა მამიდამ თავისი ეს პატარა მოგონება.

მიხსენით!

— ერთი საინტერესო ჩანაფიქრი მინდა მოგიყვეთ, —ამ სიტყვებით შემოვიდა დირექტორის კაბინეტში შთაგონებით აღსავსე რეჟისორი.

„დავილუპე... ახლა ამან სცენარის მოყოლა თუ დაიწყო აქ, დილამდე ვერ მოათავებს", — გაიფიქრა დირექტორმა, მხიარული სახე მიიღო, ხელები გაშალა და პათეტიკურად წარმოთქვა:

— ა, სმენად ვარ გადაქცეული, დაბრძანდით.

თავისი ახალი ჩანაფიქრით აღფრთოვანებული რეჟისორი, მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში და გატაცებით დაიწყო მოყოლა.

დირექტორი დიდად დაინტერესებული სახით უყურებდა შემოქმედს და ფიქრობდა:

„ყველაფერში ბედი გინდა კაცს: ახლა ორი წუთით მაინც ადრე რომ მოეთავებია ტელეფონში ლაპარაკი იმ მამაცხონებულს, ან ეს შემოსულიყო ორი წუთით გვიან, ხომ გადავრჩებოდი: ჩემ ლანდს ვერ ნახავდა აქ ადამიანი".

რეჟისორი ნელა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ხელები გაიწვდინა:

— სიცხისაგან გადახრუკულ მინდორში გამოჩნდა წერტილი, რომელიც ძალიან ნელა მოემართება აპარატისაკენ.

წერტილი თანდათან იზრდება, იზრდება და ადამიანის ფორმას იღებს: ნახევრად შიშველი ადამიანი დინჯად უახლოვდება ობიექტივს, მოდის, მოდის, უახლოვდება, უახლოვდება, მაგრამ მე ის ახლო ხედამდე არ მომყავს, საშუალო ხედზე ვტოვებ...

დირექტორს ფართოდ გაეღო თვალები, შემოსასვლელ კარს თვალს არ აცილებდა და ფიქრობდა:

„ახლა რომ ვინმე შემოვიდეს, ო, რას მიხსნის... აუტანელი დაწესებულებაა, სად არ ჭყოფილვარ უფროსად, ასეთი თარსი სალხი ჯერ არ შემხვედრია. მართალი მითხრა ჩემმა შოფერმა, „ხაზეინ, ან შენ სად მოდი, ან მე სად მომიყვანე, რა გვინდოდა ამ ხაგიუეთში, ვიყავით იქ, ჩვენთვის, წყნარადო". შოფერი დაუძახე შენ, ჩემზე ჭკვიანი კი გამოდგა დ..."...

— მე მგონია, პირველ ვარიანტს მაინც მეორე ვარიანტი ჯობია, — გულხელი დაიკრიფა რეჟისორმა.

— მე პირველი ვარიანტი მირჩევნია, — ანგარიშმოუცემლად წამოიძახა დირექტორმა, თვითონაც არ იცოდა რისთვის დაიწუნა მეორე ვარიანტი.

— რატომ ჯობია პირველი ვარიანტი, — თქვა რეჟისორმა და უფრო მყარად მოკალათდა სავარძელში, — იქ გმირი...

— ვაი, ჩემი ცოდვა, — ჩაილაპარაკა დირექტორმა.

— რატომ არის ცოდვა... — თავის ემოციების სფეროდან არ გამოდიოდა გატაცებული ხელოვანი, — ხალხი მის მხარეზეა...

„რა ეშმაკი მწევდა ენაში, ვერ გავჩერდი?" — ფიქრობდა დირექტორი, რას დავეძებ, რომელი ვარიანტიც უნდა, ის ვარიანტი აირჩიოს, ოღონდ თავი დამანებოს. არა, მაინც რამდენი ლაპარაკის თავი აქვთ ამ რეჟისორებს! ამის ნახევარი ენერგია რომ დაეხარჯა გადაღებებზე, ხომ დროზე ჩავაბარებდით ფილმს და გეგმას შევასრულებდით. რა პრემია დამიკარგა მაგ აფრენილმა".

რეჟისორმა შუბლზე გადაისვა ხელი და განაგრძო:

— აქ შეიძლება რამდენიმე აზრი დაებადოს ადამიანს...

დირექტორმა ნიკაპთან მიიტანა ხელი, სმენად გადაიქცა და ფიქრობდა: „აზრი იშვიათად მოდის თავშიო", აინშტაინს უთქვამს, და ამ ჩვენს რეჟისორებს და სცენარისტებს რა აზრების კორიანტელი აუტყდათ ტვინში".

— აქ დიდ როლს ითამაშებს ოპერატორის ხელოვნება, — დაფიქრდა რეჟისორი და გადაწუვეტით თქვა: — არა, ჩვენს სტუდიაში ვერ ვხედავ შესაფერის ოპერატორს.

— ახლა ოპერატორის ძებნას გადაყვება და მეც გადამაყოლებს თან, — გაიფიქრა დირექტორმა.

— მინდორი აუცილებლად უნდა შეიღებოს, ფერადი ფილმი დიდი სიძნელეების წინაშე გვაყენებს, ჩვენი ფირი...

„მაინც რა მოუვიდა ამ ხალხს, რომ არავინ შემოდის, ჭირმა გაწუკეტა სუყველა, თუ რაშია საქმე! ახლა ლამაზი ქალი რომ იჭდეს აქ, მაშინ კი ვერ მოიშორებ მაგ ოჯახდაქცეულებს... ყველას ერთად აუტყდებათ სიარული, სწორედ მაშინ მოუნდებათ საბუთებზე ხელის მოწერა, ათასნაირ საქმეებზე საუბარი, არ მოგცემენ საშველს და ახლა... თუმცა, რას გაიმტყუნებ ალაბიანს: ლამაზი ქალის ცქერას რა სჯობია, ამა ახლა იჭექი და უყურე"...

— რამდენი ლამაზი ქალები იქნებიან ახლა იქ... — აღმოხდა დირექტორს.

— ლამაზ ქალებს რა დალევს საქართველოში! — დაემოწმა რეჟისორი, — მაგრამ ამ როლის შემსრულებელი მშვენიერი ქმნილება როგორ მოინახება, არ ვიცი, ბევრი ძებნა მოგვიწევს მე და ჩემს ასისტენტებს, — ამოიოხრა რეჟისორმა.

„ჰო, ახლა ლამაზი ქალების სინჯებს ვერ მოათავებს და ვინ იცის, როდის ჩამბარებს ფილმს", — ფიქრობდა დირექტორი, მაგრამ ლამაზი ქალების გახსენებისას ვერ დააღწია თავი ამ ცდუნებაზე ფიქრს და უფრო აუტანელი ეჩვენა რეჟისორთან ურთიერთობა. რეჟისორს კი, რაც დრო გადიოდა, იმდენი ახალ-ახალი აზრები მოსდიოდა თავში და უფრო მეტი გატაცებით განაგრძობდა საუბარს.

„არა, არა, როგორც ვატყობ ეს დღეს არ მოათავებს ლაპარაკს, ფიქრობდა სასოწარკვეთილი დირექტორი, — ამ ტელეფონს მაინც რა ჭირი მოუვიდა, რომ არავინ რეკავს, ან საპროტექციო საქმე არა აქვს ვინმეს, ან კიდევ სხვა რაღაცა... როცა არ გინდა, რიწკინით შეგიწუხებს გულს, ხომ არ გაფუჭდა ეს ოხერი", — დირექტორმა

შეუმჩნევლად ხელი გააპარა და მილი აიღო. ტელეფონში ისეთი ხმამაღალი სიგნალი გაისმა, რომ თავდავიწყებამდე მისული რეჟისორი, რომელიც ახლა მისტიკურ ასპექტში გადაწყვეტილ ეპიზოდს ჰყვებოდა, შეკრთა. დირექტორმა სწრაფად დადო მილი და თავის მწარე ფიქრებს მიეცა:

„ახლა ვილაცა რეკავს, მაგრამ კი არ მოდის ზარი. მთელი თბილისის ტელეფონებს, თავისი ატეესებიანად, თავი უნდა მოუყარო კაცმა და ცეცხლი წაუკიდო“.

სახეაფორაჯებული რეჟისორი კი ყვებოდა გატაცებით.

ახლა კი დირექტორის მოთმინების ფიალა აივსო, უცნაური მოვლენები დაემართა: ფეხებში რომ დაუარა რაღაცამ, მერე თავში აუვარდა და ისევ ფეხებისაკენ დაეშვა, მხედველობა უსუსტდებოდა და ისეთი საწყალი თვალებით უმზერდა კარს, რომ იმის საცოდაობის ყურებით კაცს გული მოუკვდებოდა.

ამ დროს კარი გაიღო და ჭაღალდით ხელში თავიდან ფეხებამდე გაზინთული კაცი შემოვიდა.

— სად ხარ, შე კაცო ამდენ ხანს! — აღმოხდა დირექტორს და შეებით ამოისუნთქა.

ღვთისაგან მოვლენილმა, რომელსაც, რა თქმა უნდა თავისთავზე არ მიუღია უფროსისაგან ასეთი უჩვეულო შეგებება, უკან მიიხედა, ვინ შემოვიდაო.

— მოდი, მოდი! — დაუძახა მას კარგ ხასიათზე დამდგარმა დირექტორმა, რომელიც თავის სიცოცხლეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ასე გაახარებდა ამ მაზუთში და მანქანის ზეთში ამოვლებული კაცის დანახვა.

— შეებულებაში მინდა გავიდე, — თქვა ღვთისკაცმა და განცხადება დაუდო მაგიდაზე.

კარგა ხანს კითხულობდა ორ ბწკარად დაწერილ ქაღალდს დირექტორი. „ბრძანებაში“, როგორც იქნა დაწერა განცხადებას.

ღმერთისგან მოგზავნილმა კაბინეტიდან გასვლა დააპირა.

— კი მაგრამ, გარაჟში რჩება ვინმე შემცვლელი? — დაადევნა დირექტორმა შეკითხვა.

— არაუთინოვი იქ არ არის? — უპასუხა მაზუთში ამოვლებულმა და თან გაიფიქრა: — „ვა, როდის მერე დაინტერესდა ჩვენი უფროსი გარაჟის საქმეებითო“.

— მოიცა, ოჯახში ხომ კარგადა ხართ? — არ ეშვებოდა დირექტორი.

— არა გვიშავს რა, ბატონო, — დაბნეულად წარმოთქვა უფროსის გულისხმიერებისაგან გულაჩუყებულმა გარაჟის წარმომადგენელმა.

— საბინაო პირობები როგორი გაქვს? — დაინტერესდა დირექტორი.

მაზუთით მოთხუპნულის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა:

— ათი წელია, ბატონო, ოთახს ვთხოულობ, ახალ მოსულებს ყველას დაურიგეს ბინები, მე კი განზე დამტოვეს... და შეუდგა გარაჟის კაცს უბინაობით გამოწვეულ სირთულეების შესახებ მოყოლას. დირექტორს არ უყვარდა, როცა ბინის საკითხზე აწუხებდნენ, მაგრამ ახლა, რეჟისორის მიერ ნაამბობ სცენართან შედარებით, გაჭირვებაზე ლაპარაკი უნაზეს მუსიკად მოეჩვენა და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარი სიხალისითაც კი უსმენდა თავის მხსნელს.

ამასობაში რეჟისორი ღრუბლებიდან თანდათან ეშვებოდა დირექტორის კაბინეტში დაგებულ ხალიჩებზე.

დირექტორმა საათს დახედა.

— უჰ, სამ საათზე თავმჯდომარესთან უნდა ვიყო, — თქვა საგრძნობლად გამოცოცხლებულმა და სავარძლიდან წამოხტა, რეჟისორს ხელ კავი გამოსდო და კარისკენ ნელა წაიყვანა.

— ძალიან დამაინტერესე, მართალი რომ გითხრა, ახლა რაც მომიყევი, ჩქარა დაწერე და დროზე შევუდგეთ საქმეს.

კაბინეტიდან გამოსვლისას მდივან გოგონას მიმართა:

— მე, დღეს ალბათ, ვერ მოვახერხებ დაბრუნებას, მინისტრთა საბჭოში მივდივარ!

ეს თქვა და შლეგივით გავარდა: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო იმოდენა სუფრის თამადობა.

კაბა

— ასე ბინას თუ ვუცადეთ, დაჭორწინება არ გეეღირსება, ძალიან ახალგაზრდა ნუ გვგონია ჩვენი თავი, როდის უნდა მოვესწროთ ცხოვრებაში რაიმე სიკეთესო, — გადაჭრით გამომიცხადა გიორგიმ.

ხელი მოვაწერეთ და პატარა ქორწილიც კი გადავიხადეთ.

სამსახურში გოგოებმა ფული შეაგროვეს, სპეკულანტებში ირბინეს და ისეთი ფრანგული კაბა მომიტანეს საჩუქრად, რომ სიხარულისაგან თვალები დავაჭყიტე

— რატომ დაიხარჯეთ, — უხერხულად ვთქვი მე.

— რას ამბობ, — აყვირდნენ, — შენს გათხოვებას მოვესწარით და კაბის ფულს დავინანებთო?

გოგოები მეცნენ, ერთმა კარს მოკიდა ხელი, შემთხვევით ვინმე კაცი რომ არ შემოსულიყო, თვალის დახამხამებაში გამხადეს ტანსაცმელი და თავიანთი ხელით ჩამაცვეს მოძღვნილი კაბა.

ახალმა კაბამ დამხატა.

„ხომ გითხარით, კარგად ექნება-მეთქი“, „კიდევ კარგი, ის მწვანე კაბა რომ არ ვიყიდეთ“, „რა ლამაზია“, „თითქოს მის ტანზე არის შეკერილი“, „როგორ უხდება“, „ნამდვილი პატარძალია“ — იძახოდნენ გოგოები და თან უფროსის მოსაცდელში სარკის წინ ციბრუტივით მატრიალებდნენ.

მთელმა თანამშრომლებმა ერთხმად დაადგინეს, რომ კაბა საოცრად მიხდება და მამაკაცებ-

მა შიშიც კი გამოთქვეს, რომ ეს ახალი გათხოვილი ქალი ქუჩაში არ მოვეტაცებიე ვინმეს.

ერთი სერიოზული საზრუნავი გვქონდა: სად უნდა გვეცხოვრა?

გიორგის კი ქონდა ოროთახიანი ბინა, მაგრამ იქ მისი ქმარშვილიანი და ცხოვრობდა, ჩემს სახლში კი ჩემი ცოლშვილიანი ძმა. მართალია, გიორგის დაც გვეხვეწებოდა აქ იყავითო და ჩემი ძმაც მეუბნებოდა, სად უნდა წახვიდეთ, აქ მოდითო, მაგრამ როგორ უნდა დავტეხულიყავით ამდენი ხალხი? ეგეც არ იყოს, ახალი ცოლ-ქმარი ვიყავით და დამოუკიდებლად გვინდოდა ყოფნა. გიორგის კი დაპირდა თავის უფროსი, ოღონდ შენ ცოლი შეირთე და ახალ სახლს რომ ავაშენებთ, აუცილებლად მოგცემთ ბინასო, ის სახლი ჯერ დაწყებული არც იყო და სანამ აშენდებოდა, სომ უნდა გვეცხოვრა სადმე?

გასაქირავებელი ოთახები კი იყო, მაგრამ ისეთ ძვირს აფასებდენ, რომ ჩვენი საოჯახო ბიუჯეტი ასეთ ხარჯს ვერ გაუძლებდა.

კარგა ხანი ვიარეთ ასე: ეტყოდნენ გიორგის ნაძალადევში ვიღაც ოთახს აქირავებსო, შესვენების დროს დაკრავდა ფეხს და ნაძალადევში ეაიქცეოდა. ახლა ვიღაც ეტყოდა ავლაბარში, მეტროს თავზე ჰქონია ვიღაცას ოთახიო, ახლა სამსახურის დამთავრება და ავლაბარში გაქცევა ერთი იყო. მეც ხომ ასე დავრბოდი: თინამ, ჩემმა მეზობელმა მითხრა, ავჭალაში ქირავდებაო ოთახიო, მეც ჩემი განყოფილების უფროსს ვთხოვე ცოტა ხნით განთავისუფლება და ბინის სანახავად გავიქეცი. ავტობუსიდან ტროლეიბუსში ვინაცვლებდი. ერთ დღეს ამხანაგმა მითხრა, ამა და ამ ადგილზე ქირავდებაო ოთახიო, ბედზე სამუშაო დღეც დამთავრდა, სამსახურიდან სასწრაფოდ გამოვედი, ავტობუსში ჩავჯექი და გავეშურე იქ, სადაც მიმასწავლეს. ავტობუსი ხალხით იყო გაჭედილი. კაბას ღილები არ დამაწყდეს-მეთქი, გავიფიქრე. „დინამოს“ სტადიონთან ვიღაც ხანშიშესული კაცი ამოვიდა, გახუნებული შარვალი და ხალათი ეცვა, მხარზე გადებული რამდენიმე ძველი ფიცარი ამოიტანა. ფიცარში ჩარჭობილი დაჟანგული ლურსმანი წამომედო და კაბა გამისია. გული მომიკვდა.

— რა არის, ბიძია, როგორ შეიძლება ასეთი ლურსმნიანი ფიცრებით ამოსვლა! — ვთქვი მე და სინანულის ცრემლი მოვერია.

ამის თქმა და ხალხის აყაყანება ერთი იყო.

„რას ერჩი მაგ საცოდავ კაცს“, „უყურე ერთი მაგ ქალბატონს“, „რა ქნას ბატა, ფიცრები თუ აქვს წასაღები“, „თუ ავტობუსით მგზავრობა არ მოგწონს, ტაქსით იარე“. შეიქმნა ერთი ამბავი.

ამოსულს ვიღაცამ ადგილი დაუთმო, კაცი დაჯდა და ფიცრები გვერდით ააყუდა.

— კი მაგრამ, იქნება ეს ერთი კაბა მაქვს და უნდა შემომახიოთ ტანზე? — გავაპროტესტე მე.

ნეტა არ მეთქვა, უარესი ამბავი შეიქნა, ვიღაცამ „უსინდისოც“ კი მიწოდა.

— გეტყობა, ერთი კაბის მეტი რომ არ გაქვს, — ირონიულად გადმომძახა წინა სკამზე მჯდომმა მსუქანმა ქალმა.

მთელმა ავტობუსმა გაიცინა.

ფიცრებიანი კაცი სმახ არ იღებდა, იჯდა ჩუმად, თუმცა რა უნდა ეთქვა, როცა ამდენი დამცველი გამოუჩნდა.

— მართალია მაგ გოგო, რას ერჩით, აბა ცოდვა არ არის, — თქვა, გაზეთს რომ კითხულობდა იმ ბიჭმა.

ახლა იმ ბიჭს შეუტიეს: „შენ ვისი დამცველი ხარო“, „გამოჩნდა უფასო ადვოკატიო“, „აი, რა ახალგაზრდობა მოდის, ზრდილობა სულ დაკარგესო“, „იმის მაგივრად, რომ ღარიბი კაცი შეეცოდოს, აქაო და ლამაზიაო, გოგოს კაბა ეცოდებაო“, — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ მგზავრები.

— დამანებეთ ერთი თავი, სისულელე მომივიდა, რომ რაღაცა ვთქვიო, — გულგრილად ჩაილაპარაკა ბიჭმა და გაზეთს მიუბრუნდა.

დიდი ვაი-ვაგლახით გადმოვედი ავტობუსიდან, ხალხმა ზიზღით გამომაყოლა მზერა. მოვდიოდი ქუჩაში, ყელში სიბრაზის ცრემლები მახრჩობდა. ისე დამეკარგა ყველაფრის ხალისი, რომ სადაც მივდიოდი, იქ არ წავედი და სახლში დავბრუნდი.

გიორგი მოსულიყო და მოუთმენლად მელოდა. ჩემი დამწუხრებული სახე რომ დაინახა, ჯერ შეეშინდა, შემდეგ რომ გაიგო რაშიც იყო საქმე, მშვიდად მითხრა:

— რა მოხდა მერე, მაგისთვის თავს იკლავ? ოთახი ვიშოვე, წავიდეთ შენც განახებ და თუ მოგეწონება, დღესვე გადავბარგდეთ.

მე ისე ვიყავი დადარდიანებული, რომ არსად არ მინდოდა წასვლა, მაგრამ გიორგი არ მომეშვა.

ავტობუსში გიორგი სულ მეხუმრებოდა, მაგრამ მე დანა პირს არ მიხსნიდა.

— დაიცა, ავიღებ ფულს და მაგაზე უკეთეს კაბას გიყიდი, იქნებ მეშველოს და ვინმემ მართლა მოგიტაცოს, — იცინოდა გიორგი.

ავტობუსიდან გადმოვედით, აღმართს შევუყევით და ერთ ორსართულიან სახლთან გავჩერდით. გიორგიმ ზარი დარეკა. გაისმა ძაღლის ყეფა. დიასახლისმა კარი გაგვიღო და „მობრძანდითო“ გვითხრა.

ეზო მაინცდამაინც დიდი არ იყო, მაგრამ იქ ყოფნას არაფერი ჯობდა: რა ხილი არ იდგა შიგ. ალაყაფის კარებიდან სახლის შესასვლელამდე ვაზის მშვენიერი თალარი მიყვებოდა. ეზოში პატარა აუზი იყო, სადაც წითელი თევზები დაცურავდნენ. სახლში შევედით. გაგიარეთ მდიდრულად მოწყობილი ოთახები. ერთი ოთახიდან მაგნიტოფონის ხმა და გოგო-ბიჭების მხიარული ყიყინა ისმოდა, დერეფანში შარვლიანი გოგო

შეგვეფეთა, ძვირფას ლარნაკზე დაწყობილი ხილი მიქუნდა, ჩვენ მოგვეხალმა და იმ ოთახში შევიდა, სადაც ახალგაზრდების სიცილი ისმოდა. ქალმა მეორე სართულზე აგვიყვანა და პატარა ოთახში შეგვიძღვა.

მართლაც რომ სახიამოვნო ოთახი იყო, ფანჯრიდან ხელისეულიეით მოჩანდა ქალაქი და სუფთა ნიავი ქროდა.

— რამდენად აქირავებთ? — ვკითხე მე.

— ას მანეთად, ხომ მორიგდით თქვენ და ჩემი ქმარი, — უთხრა დიასახლისმა გიორგის.

— რა ამბავია ასი მანეთი, — ვუთხარი გიორგის გზაში.

— ხომ ხედავ, ასე ქირავდება ოთახები, ამდენი ხანია დავდივართ და ვერაფერი ვერ ვიშოვეთ. არა უშავს, უფროსი ამბობს მალე აშენდება ჩვენი სახლიო, — მაიმედებდა გზაში გიორგი.

ისეთ სახიათზე ვიყავი, არაფრის თავი არ მქონდა. როგორი სიხარულით მაზომებდნენ კაბას გოგოები, ვფიქრობდი.

იმ დღესვე შევკარით ბარგი და გადავედით ნაქირავებ ბინაში.

მეორე დილით უფრო ლამაზი მეჩვენა იქაურობა. ხალათი მოვიხურე და ფანჯარაში გავიხედე. მამაკაცს რეზინის მილი ეჭირა ხელში და ბაღს რწყავდა, ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟი ფულს თხოვდა მას.

— რად გინდა, ბიჭო, ფული? — ეჩხუბებოდა მამაკაცი ბიჭს, ფულს არ აძლევდა და თავის საქმეს განაგრძობდა.

— კარგი რა, მამა, — უკან დასდევდა შვილი, — მთელი კურსი მიდის და მე რა დავაშავე.

თვალები მოვიფშვნიტე, ახალი გამოღვიძებული ვიყავი და სიზმარში ხომ არ ვარ-ვეთქი, ვიფიქრე.

— გიორგი, — ვინ არის ის კაცი?

გიორგიმ ფანჯარაში გაიხედა და მიპასუხა:

— ამ სახლის პატრონი.

— გუშინ მაგ კაცმა გამიხია კაბა ავტობუსში.

ერთხელ მერხეულში

თანამშრომელს მამა გარდაეცვალა. მთელი ჩვენი დაწესებულება მიგვეწვიეს მერხეულში.

სამსახურიდან ადრე დავბრუნდი, ვიბანავე. ჩავიცვი თუ რამე საუკეთესო მქონდა და ედუკის, ვისთანაც ვიღექი მდგმურად, ვთხოვე ჩემთვის მხარი დაემშვენებია და გასვენებაში წამომყოლოდა. ედუკიმ შესანიშნავი ტირილი იცოდა. არ ქონდა იმას მნიშვნელობა იცნობდა თუ არა გარდაცვლილს, გულსაკლავად შეიცხადებდა. მოკლედ ოსტატი იყო და უყვარდა კიდეც ეს საქმე.

— კი, ჩემო ბიძინა, მაგას როგორ დაგამადლიო, — დიდი სიამოვნებით დამთანხმდა ედუკია და ასეთი მნიშვნელოვანი მისიისათვის საკადრის თალარიგს შეუდგა. იმანაც ჩაიცვა ძვირფასი შავი ტანისამოსი, თავზე უშველებელი, თალხი მანდილი მოიხვია და ასე მორთულ-მოკაზმული გაუდექით მერხეულის გზას.

უშველებელი ეზო ხალხით იყო სავსე.

ცოტა მოშორებით, ორლობეში, შორი სოფლებიდან ფეხით მომავალი ქალები გამტვერიანებულ უძიროებს იბდიდნენ და საგარეო ფეხსაცმელს იცვამდნენ. იყო ერთი მზადება.

აქამდე თუ ჩვეულებრივად მივდიოდით, ეზოსთან მიახლოვებისას ედუკიამ თმები გაიშალა, ერთი შეიცხადა, კივილ-კივილით გაიარა ეზო და სახლის კიბეებს აუყვა.

მე, იმის გამო, რომ ასე სახახელოდ მოვედი პატივსაცემად, ამაყად მოვყვებოდი ედუკიას.

მიცვალებული ტახტზე ესვენა და თეთრი ზეწარი ქონდა გადაფარებული. ედუკიამ ისე დააკივლა, რომ შეშინებული გარდაცვლილი წამოდგა და დაფეთებული შეაჩერდა მის წინ გაშეშებულ, თმაგაშლილ ედუკიას.

— უიო, — თქვა ედუკიამ და უკან დაიხია.

„მიცვალებული წამოდგაო" — იხუვლა ხალხმა და თავჭუდმოგლეჯილი მოწყდნენ ადგილიდან. უნდა გენახათ, რას გავრბოდით ჭირისუფალი თუ მომსვლელი, სულ ერთმანეთზე გადავეღობოდით. ახლად შემოვლებულ ღობეს ვეცით და სულ მივანგრ-მოვანგრიეთ. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ თეთრად მიცვალებულიც გამწარებული მოგვდევდა უკან.

„მიცვალებული მოგვდევსო" — მთლად გადარია ხალხი. ვინ სით გარბოდა ვერ გაიგებდი: მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, კაცები თუ ბავშვები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ ვის გაასწრებდა.

გავრბოდით, მაგრამ რას გავრბოდით. სად? ჩვენ თვითონ არ ვიცოდით, სად. უნდა გენახათ ას წელს გადაცილებული ბებრები როგორ გარბოდნენ, აქამდე თუ ძლივს დადიოდნენ ჯოხებით, ახლა ყავარჯნები და ტროსტები გადაეყარათ და ისე მიქროდნენ სოფლის შუკაში, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე მორბენალ სპორტსმენსაც კი შეშურდებოდა მათი.

მერხეულს რომ ჩავუარეთ შურდულივით და ახლა სოხუმისაკენ მიმავალ გზას დავადექით, ჩვენ, კაცები თანდათან გონზე მოვედით, შევჩერდით და აქლოშინებული შეეაცქერდით ერთმანეთს, — ასე სანამდე ვირბინოთო, ვთქვით და იქნებ ვინმე რაიმემ ჭკვიანური თქვასო, სწენად გადავიქეცით.

— კი მაგრამ, ერთმა მიცვალებულმა როგორ შეგვაშინა ამდენი ხალხი, სირცხვილია, დავბრუნდეთ, ვნახოთ, ერთი რაშია საქმე, — ვთქვი და ჩემი ხმა ვერ ვიცანი, შიშით ისეთი უცხო ბგერები ამოდიოდა პირიდან.

— ბიძინა მართალიაო, — ასევე შემცბარი ხმებით თქვეს აქეთ-იქიდან, — ბოლოს და ბოლოს კაცები ვართო.

რამდენიმე კაცმა რევოლვერები ამოვიღეთ,

ხველებ-ხველებით დავბრუნდით უკან სოფლისაკენ.

მივდიოდით მარჯვედ, მაგრამ ეზოს რომ მივუახლოვდით. მაშინ კი წავხდით. თუმცა რევოლვერები მოვიმარჯვეთ, მაინც მუხლების კანკალით გადავიარეთ ეზო.

ხომ მოგეხსენებათ, გზის მშენებელი ინჟინრების ათასნაირი განსაცდელით სავსე ცხოვრება, რამდენჯერ გაგვითევია ღამე მთებში, უკაცრიელ ველ-მინდვრებში, უღრან ტყეებში, მგლების და დათვების გარემოცვაში. ახლა ამ ერთმა უმწეო მიცვალებულმა როგორ წაგვახდინა ასე!

კიბეზე, როგორც იქნა, ავედით, მაგრამ ახლა აივანზე შესვლა იყო მთავარი გმირობა. დავდექი კიბის თავში და ფეხს ვითრევდი, ვერცერთი ვერ ვბედავდით აივანზე პირველად ფეხის გადაბიჯებას.

სოფელში უგზო-უკვლოდ მიმობნეული, თავზარდაცემული ხალხიც ნელ-ნელა მოგროვდა, ეზოს მოშორებით იდგა და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს გაჭირვებას.

მოვიკრიფეთ, რაც სულიერი თუ ფიზიკური ძალა გაგვაჩნდა და რამდენიმე კაცმა ერთად გადავდგით ფეხი აივანზე.

ოთახში შესვლა! — აი ეშმარიტი გმირობა. აჭ კი დაგვადგა დღე.

ბოლოს რევოლვერები მოვიმარჯვეთ და ისე შევვარდით ოთახში, თითქოს იქ შეიარაღებული ბანდიტები ყოფილიყვნენ.

მიცვალებული თავის ადგილას ესვენა.

აი, რაში ყოფილა საქმე: თურმე სენაკიდან ვიღაც ნათესავი ჩამოსულა, უტირია და დასასვენებლად ტახტზე წამოწოლილა. მასპინძლებს ზეწარი წაუფარებიათ, ბუზებმა არ შეაწუხონო. ედუკიას შეეშალა და მიცვალებულის მაგივრად ზეწარგადაფარებულს დააკივლა. სტუმარს თურმე შეშინებია და წამომდგარა, ვერ მიმხვდარა რაში იყო საქმე, ხალხი რომ იძახდა „მიცვალებული წამოდგაო“, და გარბოდა, ამასაც შეშინებია და უკან დადევნებია ხალხს.

„მიცვალებული მოგვდევსო“ — სულ შეიშალა ხალხი და ისეთი კისრისტეხით გავარდა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ.

როცა უველაფერი გაირკვა, რა თქმა უნდა, დამსწრე საზოგადოება ნელ-ნელა ისევ მოგროვდა, არავინ არ დაკლებია, გასვენებამ ჩვეულებრივი სახე მიიღო და სალხმა სულით და გულით სცა პატივი, როგორც მიცვალებულს, ისე მის ჭირისუფალს.

ეს უველაფერი კარგი, მაგრამ დღემდის არ მასვენებს კითხვა: რევოლვერები მაინც რაღად გვინდოდა?

პოეტის მოსაგონარ საღამოზე

პირველი ორატორი: — მე ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მქონდა შევხვედროდი ჩვენს შესანიშნავ პოეტს და პირადად მესაუბრა მასთან. ერთხელ, გვიან ღამით, ქუჩაში მოვდიოდი. დაცარიელებულ ტროტუარზე, ჩვეული სიდარბაისლით მოაბიჯებდა პოეტი. „მომესალმა,“ — მივესალმე. შენა ხარ დათიკოვო, მითხრა, ახლა სწორედ შენზე ვფიქრობდიო. სულ ახლახან დავამთავრე შენი წიგნის კითხვა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ სახლში ვერ დავდექი და ამ შუაღამისას ქუჩად გავიქერიო. მე ბედნიერი ვარ, რომ ბოლო ეღება თანამედროვე პროზაში ჩამორჩენილობასო.

მეგობრებო, ადვილი წარმოსადგენია ჩემი დიდი სიხარული. „ღმერთო დიდებულო, — ვფიქრობდი მე, — ვინ მეუბნება ამას, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზეო, ბრწყინვალე პოეტი, ჭკუის სარკე. მართალი გითხრათ, ბევრს უთქვამს ჩემთვის მსგავსი რამ, მაგრამ არცერთ შექებას ასეთი გავლენა არ მოუხდენია ჩემზე. მაშასადამე, მართლა რაღაც შემიქმნია, — ვფიქრობდი მე და უკაცრიელ ქუჩას გავყურებდი. ქარი კი შეუბრალებლად მიწეწავდა ქოჩორს.

— ხომ არ გეჩქარება? — მკითხა პოეტმა.

სად შეიძლება მეჩქარებოდეს შენგან? — გავიფიქრე და საყვედურით სავსე თვალები მივაპყარ მას.

პოეტი ჩასწვდა ჩემს ბობოქარ ფიქრებს, ბავშვივით გამიღიმა და ნელა ავუყევით ბესიკის აღმართს. ისე მივადექით მთაწმინდას, ხმა არ გამიღია. მხოლოდ ის ლაპარაკობდა: ყრუ, ხავერდოვანი ხმით, აღტაცებული საუბრობდა ჩემი წიგნის ირგვლივ. დიდი შენაძენიაო, ამტკიცებდა.

მე და ის წმინდა მთის კალთებიდან გადმოვყურებდით ბრილიანტის კოლიესავით აელვარებულ თბილისს. ნამდვილად დიდი პროზაიო, — მთაწმინდის იდუმალებით აღსავსე სიჩუმეში ყურს ჩამესმოდა მისი მშობლიური, ნიავივით ფაქიზი ბგერები და ვერც ერთმა ვერ გავიგეთ, როგორ დაგვთენდა თავზე.

მეორე ორატორი: — მართლაც დიდი ბედნიერებაა გახსენება იმისა, რომ პატივი მქონდა საკუთარი თვალით მენახა ჩვენი სახელოვანი პოეტი ფრიად მნიშვნელოვან გარემოცვაში. მახსოვს, ერთ-ერთ წამყვან თეატრში ჩემი პიესის პრემიერა იყო. მე ფოიეში ვიჯექი, სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან ერთად და რაღაც ანეკდოტებს ვუყვებოდით ერთმანეთს. დაფეთებული დასის გამგე მოიჭრა ჩვენთან და სადღესასწაულოდ გვაუწყა პოეტის პრემიერაზე მობრძანება. მთელ თეატრს ელვის სისწრაფით მოედო ეს ხმა. ჩვენი შესანიშნავი პოეტი ზის პარტერშიო, — ერთმანეთს ეუბნებოდნენ დაფეთებული მსახიობები.

უველამ ვიცოდით, რომ მგოსანი მისი სიცოცხლის ბოლო წლებში იშვიათად დადიოდა თეატრში და ჩემს პრემიერაზე მისი დასწრება, რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო ჩემთვის. მე მაყურებელთა დარბაზში შევიპარე, შესასვლელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ჩავცუცქდი და ისე ვადევნებდი თვალს მისი სახის თითოეულ მოძრაობას.

მახსოვს, გაუნძრევლად იჯდა სპეციალურად მორთმეულ სავარძელში, მხოლოდ ბესარიონის და ქეთევანის გამოთხოვების სცენაზე შეტოკდა ოდნავ, მარჯვენა ხელის შუა თითით მარცხენა ლაწვზე დაგორებული კურცხალი მოიწმინდა და ისევ პირვანდელი პოზა მიიღო.

მახსოვს, რა დიდი წარმატებით ჩაიარა პრემიერამ. ცხრანახევარჯერ აიხადა ფარდა. ტექნიკურმა რეჟისორმა განკარგულება გასცა რამდენჯერმე ჩაექროთ და ისევ აენთოთ სინათლე აღტაცებული მაყურებლისათვის დროის შეხსენების მიზნით.

მგოსანი იდგა, როგორც მარილის სვეტი და ყველაზე გვიან დასტოვა მაყურებელთა დარბაზი.

თეატრში შუქი ჩააქრეს.

მე ვიჯექი გაუნათებელ ფოიეს ბნელ კუნჭულში და თვალწინ მედგა ქანდაკებასავით ალმართული, თვალზე ცრემლმომდგარი მგოსანი...

მ ე ს ა მ ე ო რ ა ტ ო რ ი: — მე ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებზე მინდა გიამბოთ თქვენ, ამ ზეიმის პატივცემულო მონაწილენო!

მახსოვს, ყველასათვის ჯერ უცნობმა პოეტმა, ჩემი ხელნაწერი ლექსები ამოვილღიავე და გავემართე მგოსნის ადგილსამყოფელისაკენ. დიდი ღელვით შეპყრობილი მივაბიჯებდი, რატომღაც, შუა ქუჩაში.

ღმერთო, რა იქნება, ღმერთო, რა იქნება, — ამ ფიქრით ავუყევი მეხუთე სართულისაკენ მიმავალი კიბის საფეხურებს. აკანკალებული საჩვენებელი თითი გაუბედავად დავაჭირე ელექტრონის ღილაკს.

კარს იქით დინჯი ნაბიჯების ხმა გაისმა. ეს მისი ნაბიჯის ხმა იყო, რაღაც განსაკუთრებული იდუმალებით მოცული ბგერები. გასაღების გადატრიალების ხმაზე თვალები დავხუჭე და როდესაც გავახილე, ჩემს წინ იდგა ის, სანატრელი და ტკბილმოუბარი.

— შემობრძანდი, ყმაწვილო, — ისე თბილად მომმართა, რომ უმალ გამიარა ყოველგვარმა ღელვამ და გაბედული ნაბიჯებით მივდიე უკან.

— რას გვიბრძანებთ ყმაწვილო? — გამიღიმა მან.

— იქნებ ჩემი ლექსები გადაიკითხოთ, ბატონო! — ულაზათოდ გავიღიმე მე და თან გამიკვირდა, როგორ მოვახერხე-მეთქი ხმის ამოღება.

— დიდის სიამოვნებით, — ჩაიცინა მან და ორთავე ხელი გამომიწოდა.

მე მეგონა დაიტოვებდა ხელნაწერს, მაგრამ ჩემდა განსაცვიფრებლად მგოსანმა გადაფურცლა ჩემი ცისფერყდიანი რვეული და შეუდგა ლექსების კითხვას.

პოეტმა ახლა მეორე გვერდი გადაფურცლა და მე ვხედავდი, თანდათან როგორ იტაცებდა ნამდვილი ლექსის მადლი.

ბოლოს, ისე გაეხვია პოეტი ბობოქარ სულის განწყობილებებში, რომ ყველაფერი გადაავიწყდა ამ ქვეყანაზე — ჩემი არსებობის ჩათვლითაც კი.

მე თვალს არ ვაშორებდი მის სახის გამომეტყველებას და ვცდილობდი ერთი ნიუანსიც კი არ გამომპარვოდა.

მგოსანმა კითხვა დაამთავრა, რვეული დაკეცა და ჭერს მიაპყრო შუქჩამდგარი თვალები.

ასე გარინდული იჯდა ცოტა ხანს, შემდეგ ანაზდად გაახსენდა ჩემი არსებობა, მომიბრუნდა და მითხრა აღტაცებულმა:

— რა ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილხარო. შენ უნდა წერო და წერო ლექსები, პოემები, ბალადებიო... დღესვე შევიჭრები გამომცემლობაში და რედაქტორს გავაცნობ ჩემს მოსაზრებასო. არ დავიდარდებ დღეის შემდეგ, თუ წავალ ამ ქვეყნიდან, უკვე ვიცი, რომ შენ გტოვებო...

სიხარულით ფრთაშესხმული გამოვრბოდი ქუჩაზე...

მ ე ო თ ხ ე ო რ ა ტ ო რ ი: მეც დიდი სურვილი მაქვს გიამბოთ ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ შთაბეჭდილებებზე.

ეს ადამიანი იყო ჩემი დიდი პატივისმცემელი და მეც სამართლიანად მეამაყება ეს გარემოება. რამდენი ყურადღება მახსოვს მისგან... რამდენი დაფასებაა, როდესაც საკუთარი წიგნი გამომიგზავნა წარწერით: მაღალ ნიჭიერს, დიდად ჭკვიანს, ბრწყინვალე მოქალაქეს და კრიტიკული ხელოვნების ამომავალ ვარსკვლავს — ვიქტორ სეფერთელაძესო.

ჩემო ვიქტორ! შენ უნდა დასწერო ამ წიგნზე რეცენზია, რადგან შენ და მხოლოდ შენ გსახავ ჩემი სულის ნათესავადო. გეხვევა და გკოცნის ამ სტრიქონების მადლიერი ავტორიო.

და ის წიგნი, რომელიც საუბედუროდ ვიღაცამ მომპარა, იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი რელიქვია.

მ ე ხ უ თ ე ო რ ა ტ ო რ ი: — მეც მაქვს მის შესახებ ერთი მოგონება.

მახსოვს, ქუჩაში მოვდიოდი. ჩემსკენ მოდის იგი... სალამიც არ უთქვამს, შორიდანვე დაიწყო: რამდენი ხანია შენი შრომები არ შემხვედრია წიგნის თაროებზეო. პირდაპირ საკვირველია ჩვენი გამომცემლობის საქმე, რატომ ხშირად არ გამოსცემენ ასეთი დიდი ტალანტის შრომებს, შენ უნდა გამოიცე და გამოიცე ხოლმეო. როგორ დამჭირდა შენი წიგნი რაღაც მასალისათვის და აპაოდ დავეხეტებ მაღაზიიდან მაღაზიაშიო. ახლა იძულებული ვარ საჯარო ბიბლიოთეკას მივმართო. შენ ხომ არ გექნება შემთხვევით შემორჩენილი, თუ ძმა ხარ, რაიმე გამიხერხეო.

— მე სულ დავარიგე თავის დროზე, — ვუთხარი აღელვებულმა, მაგრამ ჩემს მამიდაშვილს შემორჩა და დღესვე მოგართმევთმეთქი.

ოჰ, რა კარგია, რომ შეგხვდითო, — შვებით ამოისუნთქა პოეტმა, — გმადლობთ, გმადლობთ, პირდაპირ საკვირველიაო, — თქვა მან და აღგილიდან დაიძრა.

მე დიდხანს ვიდექი შუა ტროტუარზე და სანამ ხალხის ტალღამ არ შთანთქა, მანამ ვუყურებდი ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მგოსანს.

მეექვსე ორატორი: — მეც მომეცით ნება გითხრათ ის, რასაც ჩემს ბიოგრაფიაში ყველაზე სანუკვარ მოგონებად ვთვლი, პატივცემულო დამსწრენო!

მახსოვს, იმ დღეს ჩემი წიგნის განხილვა იყო დანიშნული. სხდომამ გვიანობამდე გასტანა. სასტიკად გამაკრიტიკა ზოგიერთმა პირმა. მაშინდელი განხილვის ბევრ მონაწილეს დღესაც ვხედავ ამ საკრებულოში.

პო, იმას მოგახსენებდით. მე ყველაზე გვიან გამოვედი დარბაზიდან. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სის ქვეშ მდგარი მგოსანი დავინახე.

ნუთუ ესეც ესწრებოდა სხდომას. მერე და რატომ ვერ შევამჩნიე? — გავიფიქრე მე და ნელა მივუახლოვდი მას. პოეტმა კარგა ხანს მიყურა, შემდეგ ცხვარზე ხელი დამადო და დინჯად მითხრა: შენ დიდი ადამიანი ხარ და არ გმაინებს ყველას აყოლაო, რა ვუყოთ, რომ შენი წიგნი დიდხანს არ გახადდა და ახე დაიმტვერა წიგნის თაროზეო, მით უარესი ჩვენი საზოგადოებისთვისაო. საზოგადოდ, როდესაც ახალი რამ კეთდება, უცბად ძნელია ყველასათვის მისი გაგება რაც უფრო ღრმაა აზრი, მით უფრო ძნელია ჩასწვდე მასო. ახლა სხვა მხატვარს უნდა გააფორმებინო ყდა და ახლად გამოსცე, მე ვითავებ ამ საქმესო. პირდაპირ დაუშვებელია ისეთი ნიჭიერი და ჭკვიანი კაცის მიჩქმალვა, როგორიც შენა ხარო, — თქვა მან და ცრემლით დაიწამა ჭკვიანი თვალები.

ჩვენ ორნი დავეხეტებოდით უკაცრიელ ქუჩებში და მხოლოდ სავსე მთვარე იყო ჩვენი საუბრის მოწმე...

და ბევრი მსგავსი მოგონებებით გამოვიდნენ ორატორები და საინტერესო მასალებით აღგვიდგინეს ეპიზოდები ჩვენი მგოსნის ცხოვრებიდან.

აჰ, ალარ წავალ...

„დიდად პატივცემულო ბ-ნო პოლიკარპე!

ამა წლის № რიცხვში, № შენობაში შედგება ნუგზარ ბზიაძის ახალი წიგნის „წლების მიღმა“ — გარჩევა-განხილვა.

დასწყისი ღღის 12 საათზე.

უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდეთ.

გარჩევა-განხილვის მომწყობი კომისია“.

„სწორედ უნდა წავიდე, — გაიფიქრა ყურსალ-გაზეთების ზღვაში ჩაძირულმა პოლიკარპემ, „ცისკარი“ გვერდზე გადადო და საათს დახედა.

თერთმეტი სრულდებოდა.

პოლიკარპემ სხვადასხვა ადგილას გაბნეული ტანსაცმელი შეაგროვა და ტახტზე ჩამოჯდა.

„ვაყურებინებ იმას სეირს, — ფეხთ იცვამდა და თან ფიქრობდა პოლიკარპე, — საჭაროდ ისეთ დღეს დავაყრი, ტყავს გავაძრობ! მაინც როგორ გაბედა იმოდენა კლასიკოსის ასე გაბიაბრუება? რა არის მისი წიგნი, თუ არა ვერგაგება იმ დიდი შემოქმედის არსისა, რომელიც თაობებს წმინდანად ესახებათ და რად გვინდა კლასიკოსების გარშემო შეიქმნათ ისეთი გაუგებრობა“... იცვამდა და თან ფიქრობდა: „მოეთხრი მაგ ავტორს ისე, რომ არაფერი დარჩეს მისგან“.

ბატონმა პოლიკარპე არსენიძემ ერთხელ კიდევ შეამოწმა ტანსაცმელს უკუღმა სომ არ ვიცვამო და კედელზე ჩამოკიდებული სარკის წინ თმები შეისწორა.

„მაინც რას გავს ეს? ვისაც რა მოუვა თავში, ყველაფერი უნდა ღაბეჭდონ ჩვენმა გამომცემლობებმა? მითხარით, გეთაყვა, ეს ნაწარმოები რას ეუბნება ჩვენ მკითხველს?“ რუსთაველის პროსპექტზე გარბოდა და თავის განზრახვით შეპყრობილი ვერ ამჩნევდა მასთან მრავალმეტრის სურვილით კისერწაგრძელებულ სახეებს...

„მოვსწრი, მოვძირკვავ. მიწასთან გავასწორებ“, — უკვე მერამდენეჯერ გადასწყვიტა პოლიკარპემ და კლუბის კარს მიაღგა. კარის ზღურბლს იქით იდგა სახეგაბრწყინებული ნუგზარ ბზიაძე, ნატიფი თავაზიანობით ეპატიჟებოდა შემომსვლელთ და დახიეწილი, ზრდილობიანი მანერით სავარძლებისაკენ უთითებდა.

— აქეთ, ბატონო. აქეთ მობრძანდით, — ჟღურტულა ხმით ხშირად იმეორებდა ის.

პოლიკარპე არსენიძის დანახვაზე კი ერთი შედგა, შემდეგ უფრო მეტად გაებადრა სახე, თავისი შემოქმედების რამდენიმე თაყვანისმცემელი უცბად მიატოვა, ხელები ფართოდ გაშალა ახე ხელგაშლილი წამოვიდა პოლიკარპესაკენ.

— ღმერთო ჩემო, რომელ ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმადლოდე, რომ ჩემი უმნიშვნელო ქმნილების განხილვაზე დაგინახეთ!

პოლიკარპე შეცბა.

ნუგზარ ბზიაძემ ორივე ხელი ძალუმად მოხვია დაბნეულ დამსწრეს და დიდის მოწიწებით მიმართა მის ირგვლივ მყოფთ:

— ნება მომეცით წარმოვიდგინოთ პატივცემული პოლიკარპე...

— ვიცნობთ, ბატონო ნუგზარ! — მოკრძალე-

ბული ღიმილით წარმოსთქვა რამდენიმე კაცმა ერთად, რომლებმაც აგრეთვე დიდის პატივისცემით პოლიკარპეს სკამს მიართვეს.

— არ დამაგვიანდეს-მეთქი, საშინლად ვღელავდი, — დაბნეულად წარმოსთქვა ნუგზარ ბზიაძის მხრიდან ასეთი თავაზიანობით მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პოლიკარპემ და თითონაც არ იცოდა რატომ გაიღიმა.

— რას ჭვია დაგაგვიანდათ! ვინ გაბედავდა უთქვენოთ დაწყებას, ბატონო პოლიკარპე, როგორ გაიფიქრეთ მაგ, — პათეტიკურად წამოიძახა ნუგზარ ბზიაძემ და ხელი მოხვია სანუკვარ სტუმარს.

პოლიკარპე დაჯდა და უმწეოდ მოაველო თვალი იქაურობას.

დარბაზი თანდათან ხალხით ივსებოდა.

ნუგზარ ბზიაძე კვლავ კარებთან დადგა და ხვალასხვა განშტოების თავაზიანობით ხვდებოდა მოსულებს: ვის კოცნიდა, ვის უკოცნელად ეხვეოდა, ვის თან კოცნიდა, თან ეხვეოდა, ვის მხარზე ხელს უთათუნებდა, ვის ყურში რაღაცას უჩურჩულებდა და სიცილით კვდებოდა. ვისთან მხოლოდ მდაბლად თავის დაკვრით იფარგლებოდა. ყურადღება არავისთვის დაუკლია, ყველასთან მოცემული გარემოების შესაფერისი მიდგომა გამონახა.

იაკინთე ბჟალავას, რომელსაც ღღეს მოხსენების წაკითხვა ჰქონდა დაკისრებული, ხშირად საქმიანად გადაუსაპარაკებდა ხოლმე და შემდეგ მომსვლელთა დასახვედრად ისევ პირვანდელ პოზიციას დაიჭერდა.

როდესაც დარბაზი ხალხით კარგა გაიჭედა, დაიწყოთო, კაცო, რას ელოდებითო, — წამოიძახა რამდენიმე აღტორიტეტულმა პირმა და იაკინთე ბჟალავა, რომელსაც უკანასკნელი კორექტივები შეჰქონდა თავის მოხსენებაში, ნელა წამოდგა და დინჯად გაემართა ტრიბუნისაკენ.

მოხსენებას სტუმრები დიდი მოწიწებით ისმენდნენ.

იაკინთემ ცაში აიყვანა და მიწას ფეხი არ წააკარებინა ავტორს — ნუგზარ ბზიაძეს. დიდი ერუდიციით, ჩვეული უძლიერესი შინაგანი და გარეგანი ლოგიკით დაასაბუთა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები მას კარგა ხანია არ წაუკითხავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად ახლებურად გადაწყვეტილ სელოვნების ქმნილებასთან, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარვართ, თუ რა არის ეს, რომ ეს ნამდვილი გენიალური კი არა, ზეგენიალური ნაწარმოებიაო და ა. შ.

„სულელს სულელი მაქებარი არ დაელევაო," ფიქრობდა პოლიკარპე, ორატორს რომ უსმენდა.

— მაგრამ, — ამჯერად მორიდებით დაიწყო მომხსენებელმა, — მაქვს ფრიად უმნიშვნელო შენიშვნებიც: იქნებ არ იყო მთლად საჭირო ამ ასპექტში...

...მაგრამ ვინ დააცალა წინადადების დამთავრება! დარბაზში საშინელი ალიაქოთი ატყდა: „რას ჭვია არ არის საჭირო"; „სწორედ რომ მაგ არის შესანიშნავი", „სწორედ მაგ არის ორიგინალური", — გაისმა აქეთ-იქიდან ხმები.

— არა, არა, ისე ვთქვი ყოველშემთხვევისათვის, — სწრაფად გამოასწორა შეშინებულმა მომხსენებელმა, — ხომ არ ანელებს წიგნის შთაბეჭდილებას-მეთქი და მომხსენებელი კვლავ მოჰყვა ჭებათა-ჭებას, ყოველად უპასუხისმგებლოს, პოლიკარპეს რწმენით.

„რა ამბავია, გაგიჟდა ეს ხალხი თუ რაშია საქმე? — ფიქრობდა თავის გულს შემომსკლდარი, განცვიფრებული პოლიკარპე.

„არა, არა, სწორედ ახლა უნდა ავდგე და სწორედ ახლა უნდა მოვთხარო"... —გადასწყვიტა მან, მაგრამ ზუსტად ამ დროს, ისეთი ბავშვური მიამიტობით შესცინა მას ნუგზარ ბზიაძემ, რომ პოლიკარპე მოჯადოებულივით გაშეშდა ერთ ადგილზე.

სიტყვა უამრავმა მსურველმა მოითხოვა.

მოკამათეები, თითქოს პირი შეკრესო, ყველა ერთი და იგივე ბიძართვით, ოღონდ სხვადასხვა ვარიაციებით, იწყებდა თავის გამოსვლას: „მე მოხარული ვარ, რომ ჩემი ნუგზარი", „მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ძმა ნუგზარი"... „ჩემი საყვარელი ნუგზარი"...

პოლიკარპე ძლივს მალავდა აღშფოთებას: „რა არის ეს: „ჩემი ძმა ნუგზარი!" „ჩემი საყვარელი ნუგზარი!" არა, ნამდვილად გაგიჟდა ეს ხალხი, — რამ წამომიყვანა ნეტავ, ვერ დავეტიე სახლში? რამდენჯერ მივცემ ხოლმე ჩემს თავს პირობას, რომ არ წავალ ვისიმე შემოქმედების განხილვაზე-მეთქი, მაგრამ მაინც წავალ ხოლმე და მაინც..."

ტრიბუნიდან კი დაუსრულებლივ გაისმოდა ხოტბა.

მაგრამ როგორც კი ვინმე თავმოძულებული განიზრახავდა ოდნავი შენიშვნის მიცემას, დარბაზი ერთხმად აღშფოთდებოდა და საორატოროდ შემართულ მოაზროვნეს ხმას გააკმენდინებდა.

„უნდა ავდგე ახლა და გავანადგურო ყველა.. მაგრამ ღირს კი ამ თავყრილობაში?! ყოყმანობდა პოლიკარპე.

ტრიბუნაზე გამოჩნდა პროფესორი ამბერკი მშვიდობაძე.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — დაბალი ხმით დაიწყო პროფესორმა, — მე რადიკალურად წინააღმდეგი ვარ საკითხის იმ ასპექტში გადაწყვეტით, როგორც ეს ვიხილეთ ღღევანდელ განსახილველ... — და... რა დადგა წუთი ნაკლის დამადასტურებელ არგუმენტებზე გადასვლისა, — უჰ, რა ამბავი ატყდა!

საბედნიეროდ, ღროზე უშველა პროფესორ-

მა თავისთავს: ტრიბუნიდან ფეხაკრეფით გაემართა და თავის სკამზე მიესვენა.

„ღმერთო, ნუ გადამრევ, რა ამბავია .არა აჰ, არ ღირს აქ გამოსვლა!... ასეთმა ფიქრმა მოიცვა პოლიკარპე, რომ ამ დროს ყურში ჩაესმა ნუგზარ ბზიაძის დაშაქრული ჩურჩული:

— ბატონო პოლიკარპე, ხომ მოგეხსენებათ, თქვენი ძვირფასი აზრი მაინტერესებს ყველაზე მეტად, გთხოვთ, ერთი-ორი სიტყვა როგორმე შეგვაწიოთ...

პოლიკარპე შეკრთა:

— არა, არა, რა უნდა ვთქვა ბატონო იმის მეტი, რაც აქ ითქვა.. — კატეგორიულად დაიხია უკან პოლიკარპემ თავისი განზრახვისაგან.

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, გამლანძღეთ, გამთათხეთ, ოღონდ თქვით რამე და გამაბედნიერეთ, — პირდაპირ შარბათი იღვრებოდა ნუგზარ ბზიაძის პირიდან და ისე შესციცინებდა თვალებში პოლიკარპეს, იმდენი სიყვარული და ნდობა იფრქვეოდა პისკენ მიმართულ გამოხედვაში, იმდენი თავშეკავებული გრძნობა გამოსჭვიოდა მის ლურჯ თვალებში, იმოდენა სათნოება კიაფობდა სახის თითოეულ ნაკვეთზე, თავაზიანობა მთელ მის მიხვრა-მოხვრაში...

პოლიკარპეს თავბრუ დაეხვა. იგი გრძნობდა, რომ საბოლოოდ განიარაღდა ბზიაძის შინაგანი მაგნეტიზმით და ანაზდად ისე, რომ თითონაც ვერ გაიგო, აღმოჩნდა ტრიბუნაზე. მართალია, მორცხვად, მაგრამ ძირითადად მაინც გაიზიარა დიდად პატივცემულ მოკამათეთა მოსაზრებანი და იმედი გამოსთქვა, რომ ნუგზარ ბზიაძის შრომები არა ერთხელ გახდება ასეთი ტრიუმფის საგანიო.

ტაშის გრიალში ჩამოდიოდა ტრიბუნიდან პოლიკარპე, თან ფიქრობდა: „აჰა, გათავდა, ამის მეტად მე აღარ წამოვალ განხილვებზეო".

განხილვა-გარჩევაში მონაწილე საზოგადოება ერთხმად შეთანხმდა იმ აზრზე, რომ ასეთი ნაწარმოები არ დაწერილა და საეჭვოა, შემდეგში დაიწერება თუ არა, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით მისი ფასი და მნიშვნელობა და ა. შ.

ღელვისა და სიამოვნებისაგან სახეაფორაჯებული ნუგზარ ბზიაძე მეტად თავაზიანად, დიდი ტალანტისათვის დამახასიათებელი მოკრძალებით და თავმდაბლობით უხდიდა მადლობას მისი „მცირე ნაშრომის ესოდენ დიდი შეფასებისათვის".

პოლიკარპე კი მიაბიჯებდა ქვაფენილზე და როგორც ყოველთვის, ახლაც ასე გადასწყვიტა, ეს უკანასკნელია, ამის შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ წავალ წიგნის განხილვაზე — და თან საფრინველე-სასურსათო მაღაზიებისაკენ დაიჭირა თვალი, იქნებ სადმე გაყინული ქათამი იყოსო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

წინ, გარმაცებო!

მოთხრობა

ჟვეყნიერების მერვე საოცრება

მთელი ათი დღეც არის, რაც ბებიამ მიხოს წერილით შემატყობინა, ისეთი რთველი გვქონდა, ისეთი, ქოცოებიც გავავსეთო.

ციხისთავში კი ახლა დაიწყო რთველი.

ჯერ ვაშლი დავკრიფოთო, გვითხრეს, ვაშლი ბევრი გვაქვს და ჯერ ის დავაბინაოთო.

შევესიეთ ვაშლის ბაღსა და ვკრეფთ. ყუთებში ფრთხილად ვაწყობთ, ისე ფრთხილად თითქმის ვეფერებით, გვეშინია, არ დაიჟეჟოს. გავავსებთ ყუთებს, ბალახს დავაფენთ ზევიდანაც, დავლურსმავთ, დავაწყობთ მანქანაზე, და, ჰაიდა, მიაქროლებენ დამზადებისაკენ. თვალით მივაცილებთ მანქანას და ვილოცებით: ვინც არ უნდა იყო, მიირთვი და შეგერგოს! ხანდახან გაიხსენე ხოლმე ისინი, ვინც ეს ხილი მოიწია, ვინც მოიყვანა ეს მოსავალი.

ფლავიდან ჩამოვიდნენ ტრაქტორისტი გოგოები. ჩვენ იმათი ცქერით, მათ კი ჩვენი და... საქმეც გავარდა წინ.

მთელი სასწავლებელი დიდიან-პატარიანად მოსავალის აღებით ისე იყო გაფიცხებული, ჩვენმა ჯგუფელმა, ჯონდო მანწკავამ, აკი იხუმრა კიდევაც, მგონი, ყველას დაავიწყდა, სასწავლებლად რომ ვართ ჩამოსულებიო.

ესეც არაფერი: სკოლის მერხები სად გაგვექცევა, რაც სასწავლია, შენ მოწადინება მითხარი, თორემ კაცი როგორ ვერ ისწავლის! აი, ვაშლის კრეფა კი ცოტა სხვა ამბავია — ერთი გულამღვრეული ქარი რომ ამოვარდეს, კარგად მეყოლე, ფოთოლსაც აღარ შეარჩენს ხეს. დაქეჩილ ვაშლს თბილისამდე ძლივს ჩაიტან და შენახვაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია და ზედმეტი. მოდი და ნუ დაეშურები საქმეს!

რაც არ უნდა გასაოცრად მოგეჩვენოთ, ვაშლს რომ ვკრეფდი და გოგოებს ვუყურებდი, ფლავიდან გამოგზავნილი წერილი არც გამხსენებია. შეიძლება ეს უფრო იმის ბრალია, რომ გოგოების შემხედვარე ბიჭები გარჯაში დაბერებული ბერიკაცებივით ვმუშაობდით — ბეჯითად და ერთგულად.

ამდენ მშვენიერ გოგოს რომ დაინახავ, რა დროს სიზარმაცეა, თუ ძმა ხარ!

სიმღერა და ჟრიამული ერთმანეთშია გახლართული. ჩვენი დირექტორი და მასწავლებლები ფეხზე ძლივს დგანან სიხარულით: ეს რას მოვესწარით, ხალხო, რა მოსავალი გვაქვს და რა მოსწავლეები გვყავსო!

---

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 2.

მღერიან გოგო-ბიჭები, მე კი გაბუტულივით ვეზიდები ჩაწითლებულ ვაშლს, ვითომდა, სიმღერას საერთო საქმეს ვამჯობინებ. სიმართლე თუ გინდათ, ეს არის: მე რომ ვიმღერებ ხოლმე, ყურებზე ხელებს იფარებენ, რა არის, კაცო, ხმელი ჭიგო გატეხეს თუ ტაშტს ფეხი წამოჰკრესო.

თქვენ გენაცვალეთ, თურაშაულივით ლოყებღაბრაწულო, მხიარულო გოგოებო! ჩემი ხმის პატრონი რომ არ ვმღერი, ესეც კი მშვენიერი სიმღერაა!

შებინდებისას ვბრუნდებით სასწავლებელში, გვარიანად დავნაყრდებით. ღამეც ჩამოდგება მერე, დავწვებით დასაძინებლად, მაგრამ დღევანდელი ვაშლის კრეფა თავიდან იწყება ფიქრში. ბალიშქვეშ შემოძვრებიან კეთილი მოგონებები და ძილში ჩაყურყუმალავების უფლებას არ გვაძლევენ. არც ზურაბი იღებს ხმას, არც მე, ერთმანეთს ვატყუებთ, გვძინავსო... რა დროს ძილია, ბიჭებო, არც გოგოებს სძინავთ ამაღამ და, ჩვენ რა დაგვაძინებს!

საწოლის აუჭრიალებლად გვღვიძავს, ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ: ხვალ უფრო გაბედულნი, ბეჯითები, გულახდილები ვიქნებით, უფრო მეტი ფიქრი მოგვაწყდება... მაგრამ ძილს თავისი გააქვს და უსასრულო სიზმრებში ვიძირებით.

ხილის კრეფას მოვრჩით და რთველიც მოგვაწყდა.

ჩვენს სასწავლებელს ვენახი შედარებით პატარა აქვს, ისეთი პატარა, ერთი ამოსუნთქვით გამოვკრეფდით. ასეც მოხდა. სწორედ რთველში მოხდა ის ამბავი, რომელმაც კინაღამ გამაოგნა: დაგიჯერებიათ, ფლავიდან გამოგზავნილი წერილი გუშინ გამახსენდა, როცა არც მოველოდი. კაცმა რომ თქვას, აქ არაფერი ყოფილა მოულოდნელი — სულ ერთია, მაინც გამახსენდებოდა ოდესმე.

გამახსენდა წერილი და თვალთვალი დავუწყე გოგოებს, ნეტავ რომელმა გამომიგზავნა-მეთქი? რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ვიკითხო, არ ივარგებს. არ ვიკითხო და, რა გამოვა...

— გიდელი გაივსო, გაიტათ! — იძახის ერთი გოგო.

ფიქრიდან ვერკვევი და მისკენ მივდივარ. გიდელისათვის ისე მოუბამთ თავი, თუ არ მოვაკელი, მოვიკიდებ და მტევანი კისერზე მოიღებს ტყაპანს.

— რა გქვია? — ვეკითხები იმ გოგოს, გიდელი გაივსოო, რომ იძახდა.

— მზია, —მიღიმის.

— ცოტა მოვაკლოთ, მზია.

— მოვაკლოთ, — ვედროში გადაამხო ყურძენი.

გიდელი მოვიკიდე, ვაზის მწკრივებშუა მივირყევი, საურმეზე გამაქვს და ცარიელ ხის გოდორში ვცლი.

— აბა, გიორგი, როგორ არის საქმე? — მეუბნება კლასის დამრიგებელი, — ხომ არ მოგეწყინა?

— რას ბრძანებთ, რა დროს მოწყენაა?!

სირბილით გამოგვაქვს ყურძენი. ბიჭები ისეთ გუნებაზე ვართ, ბენზინი რომ გაუთავდეს მანქანას, არც ვინაღვლებთ, მივაწვებით და მესამე სიჩქარით წავიყვანთ: სადაც გოგოები არიან, ჯანი და ხალისიც იქ არის!

ნეტავ ჩვენზე რას ფიქრობენ გოგოები?

ისე მუშაობენ, სადაცაა გადაგვრევენ: გიდელის მოტანას ვერ ვასწრებთ, სავსეა უკვე. აბა, ჰე, წამოიკიდე, გიო და გავარდი კისრისტეხით.

მოვიტანე ერთხელაც ცარიელი გიდელი, სხვა გოგოებიც არიან იქ. მაგრამ სხვაზე მეტად მზიას ვიცნობ და ამიტომ მას ვეუბნები:

— ცოტა ნელა კრიფეთ, მაინც მოვრჩებით სამხრობამდე.

— წარჩინებულ მოსწავლეთა დაფაზე შენი სურათი ვნახე, — ეღიმება.

— ნახავდი.

— ჰოდა, მეწყინა.

ვერ მივხვდი და იმიტომ გავიოცე:

— მე მეგონა, გაგიხარდებოდა.

— გამიხარდა, მაგრამ პირობა რომ დაარღვიე?

ახლა კი მივუხვდი და დავიბენი.

ახლა სითამამემ თუ არ წამომიარა, გასაქცევი გზის მეტი აღარაფერი დამრჩენია.

— მაშინ ისიც გეცოდინება, ვინ გამომიგზავნა პასუხი.

— ვიცი! — მომახალა მაშინვე.

— მეც ხომ უნდა ვიცოდე?

— რატომ?!

— მე ხომ არ დამიმალავს ჩემი ვინაობა? გვარი და სახელიც კი მოვაწერე.

— მაგრამ შენ ხომ იხუმრე?

— იმან არ იხუმრა?

— არა.

ღიმილით ავიკიდე გიდელი.

მეორე მწკრივში, ჩემს გასწვრივ, ზურაბი მოაბოტებს, ქირქილებს:

— წამოგიკიდეს გოგოებმა?

— აღარც არაფერი უკლია.

ახლა უკვე ყველა გოგოს ვუთვალთვალებ: ლამის გადავირიო, ისე მაინტერესებს, რომელმა დამიბრუნა პასუხი. ჩვენი ბევრი ბიჭი მეგობრობს ამ გოგოებთან, მათ რომ ვუთხრა, ერთ წუთში გამიგებენ, მაგრამ თავს ვიკავებ, მეშინია, საჭორაოდ არ გაიხადონ. როგორ მითხრა, მზიამ, მას არ უხუმრიაო? მე ნამდვილად სახუმაროდ გავუგზავნე წერილი, გამხიარულდნენმეთქი. კარგი მხიარულება კი გამომივიდა.

შევისვენოთო, და ჩვენც ვისვენებთ. მე და ზურაბი გავცალკევდით, დაკრეფილ ვენახში შევედით, დავსხედით მიწაზე და ვფიქრობთ, როგორ გავიგოთ, რომელმა გოგომ დამადგა თვალი. ის მიცნობს, მე — არა, ეჭვიც ვერავისზე მიმიტანია. თითქოს საგანგებოდ შეარჩიესო, ყველანი ერთმანეთზე უკეთესები არიან.

— თავი აგვსკდება ამდენი ფიქრით, — მეუბნება ზურაბი, — ან თქვი რამე, ან ყურძენი მიირთვი.

— რა მეყურძნება, თუ ძმა ხარ!

— ნახე, თაფლივით ჩამტკბარა.

— შენც რქაწითელსა და საფერავზე შეპატიჟები! მართლა, — აქ რატომ ვერა ვხედავ რქაწითელსა და საფერავს? — ვაზებს ვაკვირდები.

— არ ვარგა და იმიტომ.

— ვინ მოგახსენა!

— მე ვბრძანებ.

— შენ ეგრე გგონია! იმის მოწევას ბევრი ჯაფა უნდა და იმიტომ ერიდებიან. შენც მოგეხსენება, ბატონო ზურაბ, ამ ბოლო დროს გაზარმაცდა ხალხი.

— იქნებ აქ არა ხარობს?

— მეეჭვება.

— ასე იქნება ნამდვილად.

— არა მგონია. აი, მიწაც სწორედ ისეთია, ნაცრისფერი, როგორც ჩვენთან. ეს რა არის, რქაწითელმა და საფერავმა ისეთი დაზეპვა იცის, ერთ ვაზს ვერ აიკიდებ... აქ რომ რქაწითელი და საფერავი ახარა, აივსებოდა ხალხი.

— მართლა არ ევარგება, ანდა ვერ ეგუება აქაურობას, თორემ სხვა შენზე დიდიც არის და დიდი ჭკუაც აქვს.

— მე ვცდი და დაგიმტკიცებ, რომ მართალი ვარ.

— სცადე, ოღონდ, გაფრთხილებ, შენი სისულელე არ დაამტკიცო.

— მაგასაცა ვნახავთ!

— მეც ეგ არ მინდა?!

გოგოებს მარტო ჩემი სახელი აკერიათ პირზე: გიორგიო, გიო. ალბათ, მიხვდი, რატომაც — იმ წერილის ბრალია ყველაფერი. ყველანი მაკვირდებიან: როგორ ვლაპარაკობ, როგორ დავდივარ, როგორ ვსაქმიანობ... მოკლედ, ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი ცხენი ვარ! ველარ გავიგე, მწყინს თუ მსიამოვნებს? ვინმეს რომ არ შევრჩე დაბნეული, ხშირად ნახევრად ცარიელ გიდელსაც მივარბენინებ. დანა არ გამომიყოლებია, თორემ ყურძნის კრეფაც არ მაწყენდა, მხრებს მაინც დავასვენებდი, გოგოების თვალიერებით

დაღლილ თვალებზეც რომ არაფერი ვთქვა.

ყურძნის კრეფას მზის გადახრისას მოვრჩით: მანქანები გოდრების გატანას ვერ აუდიოდნენ. ამიტომ იმდენი დაკრეფილი ყურძენი დარჩა, სამ მანქანაზე არ დაეტეოდა. დირექტორმა გამოაცხადა, გოგოებს შეუძლიათ წავიდნენ, ეს ბიჭები კი აქ დარჩნენო. სია წაიკითხა. იმ სიაში მეც მოვხვდი, დარჩნენ და მანქანები დატვირთონო.

ზურაბი ღიმილით დამემშვიდობა:

— მშვიდობით, ძმაო, საღამოთი შევხვდებით ერთმანეთს. ისე, აჯობებდა, შენ გოგოები გაგეცილებინა, მე აქ დავრჩენილიყავ.

— წადი, დაიკარგე აქედან!

მამაჩემის ნათქვამი გამახსენდა და გამეცინა: სიმართლის მთქმელს უფრო ხშირად დაუტატანებენ ხოლმეო.

ბედად, მანქანები მალე მოვიდნენ. ორიოდე საათმა გაიარა და მეც უკვე სასწავლებლის ეზოში ვიყავი.

ოთახში რომ შევედი, გაოცებისაგან გავშეშდი: დამლაგებელს ისე დაეკრიალებინა იქაურობა, პური იქმეოდა იატაკზე. ჩვენი ზარმაცი დამლაგებლის ამბავი ვიცოდი და იმან ამაწურინა მხრები.

ზურაბი წიგნს კითხულობდა. ისე იყო კითხვით გართული, თავიც არ აუწევია.

— ახალი რა არის? — ისე ვკითხე, დუმილის დასარღვევად.

— ნიკა იყო აქა, — წიგნი გადაფურცლა.

— რა მინდაო?

— რაც მთავარია, პაპიროსს გადავეჩვიეო. მეორე, კიდევ უფრო მთავარს მოგახსენებთო: კვირასო, სამი დღის შემდეგაო, გორის მესამე საშუალო სკოლა მოდის, გვემუქრებიან, ჰიდაობა უნდა გასწავლოთო. ხვალ გადაკრავენ აფიშებს.

— მაგარი რამე იქნება! — გამიხარდა.

— ერთსაც გეტყვი და სიხარული მერე ნახე, — შუადღისას გაიმართება ჭიდაობაო.

— ეგ რაღაა?

— ჩვენი გოგოები დაგვესწრებიან, — მითხრა და შემომხედა.

არაფერი ვუპასუხე, გახარებით კი ნამდვილად გამიხარდა.

ზურაბმა წიგნი დახურა, ზმორებით წამოდგა:

— როგორ მოგწონს ჩვენი ოთახი?

— თვალებს არ ვუჯერებ.

— დამლაგებელი გამოცვალეს, მგონი.

— ახალი ცოცხი მოვიდა?

მართლაც, ცოცხის შრიალი მოგვესმა. ზურაბმა მიაყურადა, მერე თითი გაიშვირა კარისაკენ:

— მზის ჩასვლამდე ვიმუშავებო, ამბობს. გადი, ერთი შეხედე.

მაშინვე დერეფანში გავედი.

გავედი და ვხედავ: გოგოა ვიღაცა, გვერდითა ოთახი დაუგვია და ახლა ზღურბლზე აგროვებს ნაგავს. ჩავახველე. მოიხედა. სახე ისე აქვს თავშლით ახვეული, მოცომცომე თვალებიღა უჩანს. დამლაგებლები სად არ მინახავს, მაგრამ ისინი თითქმის ყოველთვის ხანშიშესულები იყვნენ. ეს კი ჩემხელა გოგოა! ნეტავ ჩემსავით სიზარმაცემ ხომ არ დაატოვებინა სახლი? ამას წიგნი უნდა ეჭიროს ხელში და ცოცხს არ ჩაფრენია?! ვდგავარ და გაოცებული ვუყურებ. მშვენიერი გოგოა. ნეტავ ერთი თავშალი მოიხსნა! ისე ჰგვის, თითქოს მსახიობია და სცენაზე თამაშობსო.

ზურაბმა მხარზე ხელი დამარტყა.

— ნიკასთან ავალ მაღლა და მალე დავბრუნდები.

წავიდა ზურაბი და გოგომაც შემომხედა. დავიჭირე მისი მზერა და ჩავფიქრდი: სადღაც მინახავს ეს თვალები! სადღაც შემოუნათებია ამ შავ თვალებს.

— დამლაგებელო, — ვეუბნები, — სულ ჩვენთან იმუშავებ?

თავი დამიქნია.

ფეხებზე რომ დავხედე, გულზე რა-

ღაცამ გამკრა: დამლაგებელი მუშაობის დროს მაღალქუსლიან, მოდურ ფეხსაცმელს არ იცმევს, არც ასეთ კაბას. მაშინვე წერილი გამახსენდა.

— ეს არის დაგვა? — ვეკითხები.

— მომერიდე, — მეუბნება, — ნაგავს არ გაგაყოლო.

— მთელი ოთახი კარგად დაგიგვია, მაგრამ მაგიდის ქვეშაც რომ მოგესვა ცოცხი, ვალად არ წაგივიდოდა!

— მაჩვენე, სადა? — ოთახში შევიდა.

შევიდა და შევყევი. კარი მივუხურე, და ღიმილით ვეუბნები:

— თავშალი მოიხსენ.

— ჰა? — ცოცხი უგერგილოდ უჭირავს ხელში და თვალები უცინის, — არ მოვიხსნი!

— მოიხსენი.

— არა! — გაჯიუტდა.

— ნუ მოიხსნი, ოღონდ, — წერილი ავიღე კარადიდან, — ხედავ ამას, შენი დაწერილია.

მაშინ კი მოიხსნა თავშალი.

— ვაჰ, მზია?! — გავოცდი.

— მზია ვარ.

— შენ გამომიგზავნე ეს წერილი?

— მე გამოგიგზავნე.

ვიდექი და ვუყურებდით ერთმანეთს. ბოლოს ძლივს მოვახერხე:

— დაჯექი ცოტა ხანს.

უარი არ უთქვამს, დაჯდა.

ზურაბმა კარი შემოაღო.

— აქა ხართ? — იცინის, გიო, ნიკასთან ვიყავი, ახლა კაციაშვილთან ავალ ერთი საათით. არ იჩხუბოთ, — და კარი გაიხურა.

მე მოგიკვდეთ, თუ ეს ზურაბის ოინი არ იყოს!

ჭიდაობას რა უნდა

ისე მოხდა, რომ სულ რაღაც სამ დღეში ორჯერ კიდევ შევხვდი მზიას. ამ ხუმრობა-ხუმრობაში, მგონი, მართლაც შემიყვარდა. თავიდანვე ისე აეწყო საუბარი, თითქოს, აგერ, გუშინ კი არა, რაც ქვეყანაზე მოვედით, მას აქეთ ვიცნობდით ერთმანეთს. თურმე წერილი რომ მიიღეს ფლავში, ჩემი არ იყოს, მზიაც ზარმაცების ატამანად ითვლებოდა. აიღეს და იმას მიართვეს წერილი, ესაო, სადაც სამართალია, შენ გეკუთვნისო. მთელ ღამეს უტირია. მე თქვენ გაჩვენებთო, გულში უთქვამს და... მალე თავში მოქცეულა. წიგნისა და სწავლის მეტი აღარაფერი მახსოვდაო. მე რომ მისგან გამოგზავნილი წერილი მივიღე, იმ ხანებში უკვე გამოზომილი ნაბიჯით მიიწევდა წინ.

დედაჩემს რომ ჰკითხოთ, რა დროს ჩემი სიყვარულია, ღლაპი ვარ ჯერ. ცხვირსახოცის ხმარებაც კი არ იციო, მეუბნება. ბებიაჩემსა ჰკითხავთ და: სიყვარულმა დიდ-პატარა არ იცისო. მგონი, ბებიას უფრო დაეჯერება.

მე და მზია შევთანხმდით: ორ-სამ დღეში თუ ვერ ვნახავთ ერთმანეთს, მოკითხვის ბარათები მაინც არ დავიშუროთო. ვნახოთ, როგორ წავა ჩვენი სწავლის ამბავი.

მზია იმას ფიქრობს, რასაც მე: დავამთავრებთ სასწავლებელს, თან ვიმუშავებთ, თან ვისწავლით.

მე, ალბათ, ჯარში წასვლა მომიწევს. წავალ, ქვეყანას თვალს გადავავლებ. დავბრუნდები და მაშინ იქნება: ჩემიანებს გავაცნობ, თქვენი რძალია-მეთქი.

თურმე კარგად მიცნობს მზია. ჩემი წერილის შემდეგ ყველაფერი დაწვრილებით გაუგია: რა კაცი ვარ, სადაური, ვინა მყავს და ათასი წვრილმანიც. მე კი მისგან გავნათლდი: ერთი ძმა ჰყოლია, ერთი — და, მშობლებიც, პაპაც. ბებია შარშან გარდამეცვალაო. ბებიაჩემი და მისი პაპა რომ შეხვდებიან ერთმანეთს, კაი მოსასმენი საუბარი ექნებათ, ღმერთმანი! იმანაც, თურმე, ბებიაჩემივით სულ სარჩო-საბადებელზე იცის გაუთავებელი ლაპარაკი. ვერც გაამტყუნებ: მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გაატარეს და ამ დოვლათის შემყურეებს, ძველი ახსენდებათ.

ორიოდე დღის წინ ფიქრშიც ვერ

წარმოვიდგენდი, სიყვარულის მორევში მეც თუ მომიწევდა ჩაყვინთვა. თითქოს მრცხვენია ამას რომ ვამბობ, მაგრამ რა ჩემი ბრალია! შეიძლება ვილაპარაკო, საწინააღმდეგო ვილაპარაკო, მაგრამ გულში სხვა ნიავიც უბერავს: თბილი, ნაირნაირ ყვავილებში აშრიალებული, დაჭანრებულ ჯეჯილში გაბლანდული, გაპუტული გოგო-ბიჭების თმებში აფათურებული ნიავი. ბევრი ბავშვი გვყავს, უფრო მეტნი გოგოები არიან... ძაღლი გვიბია სახლუკან, დაღამდება და ჭიშკართან გადმოვაბამთ მავთულზე... მთელი ეზო ფერადი ქათმებით არის სავსე... უთენია მივდივარ სამუშაოდ. ეს ამოდენა პირდღრები ჩემი მოსახვნელია. რა ვქნა, ქალო, ველარ მოვიცალე, თორემ ერთი მტკაველი სახახვე მიწის გამობარვას რა უნდოდა!.. უფროსმა ბიჭმა მეზობლის ბიჭს ქვა გაარტყა თავში? რატომ გაარტყი, შეგაგინა? ჰოო, რატომ მეორედაც არ გაარტყი?" „ბიჭს გადამირევს ეს შეჩვენებული?! ციხისთავში გასწავლეს ასეთი დატუქსვა?.". „დედაშენი ხომ კარგად არის?" — ვეკითხები. „ჩვენებმა შემოგითვალეს: ღმერთმა გაახაროს ჩვენი სიძე, მაგას რომ ის წამალი არ ეშოვა, არ ვიცი, რა გვეშველებოდაო". „მიხოს შენთვის საკაბე რომ დავაბარე, ჩამოგიტანა?", „ერთის ნაცვლად ორი კი არ ჩამომიტანა? ერთი ჩემი მხრიდან, ჩემო რძალოო!" „ხომ მშვენიერი ძმა მყავს?! „ძმას რა უჭირს. შენ ნინო იკითხე". „ნინოს თავი დაანებე! ნეტავ ამ რძლებს რა დაგიშავეს მუღებმა, მსოფლიო ომი რომ გამოუცხადეთ?!" „მეტი რაღა უნდა დამიშაოს, ხედავს, ტყუპი მყავს და, ერთხელ არ გადმოივლის, ხელს არ წამომაშველებს! ეს უფროსი გოგო-ბიჭები მაინც გამაცალოს, ქა!" „შენ უკვე ჩვენებურად არ უჭცევ?" „მაშ, საგნებურად მოვუჭციო?!" „ნინოზე ძვირი აღარ თქვა ჩემი ხათრით, კარგი?!" „არც ვხლა მითქვამს ძვირი"... „ერთი მანქანაც ვიყიდოთ და მერე დავისვენებ ცოტას". „ვიყიდოთ, მაშ არ ვიყიდოთ?! ეჰ, რა კარგია მანქანა!

— ადე, ცოტა წაივარჯიშე! — შემანჯღრია ზურაბმა, — ასე მოთენთილი რომ გახვიდე ლეიბზე, ჭერზე ბუზებს დაგათვლევინებენ.

— მოიცა, ავდგები, აბა, სულ ასე ხომ არ ვიწვები?

— ადე, ადე, ამაღამ იფიქრე მზიაზე.

— მზიაზე არ ვფიქრობდი, — ვატყუებ.

— ბროლის კოშკებს აშენებდი? — საბანი გადამაძრო, — წყალიც დაგასხა? — გრაფინს მისწვდა.

თუ არ წამოვხტი, ხუმრობა არ უყვარს, დამიჟიებს ნამდვილად...

სპორტდარბაზი ხალხით არის გაჭედილი. აფიშები სამი დღით ადრე გააკრეს მთელ სოფელში. გორელებსაც ბევრი გულშემატკივრები ჩამოჰყვა, ციხისთავიც დიდიან-პატარიანად ჩვენს სპორტდარბაზში შემოგრიალდა. ისეთი ამბავი დატრიალდა, კინაღამ ჩვენ, მასპინძლები, გარეთ დავრჩით, მასპინძლები და, ძალიან რომ არ გადავაჭარბო, მოჭიდავეებიც.

ვიდრე აწონა დაიწყებოდა, მე და ზურაბი ახმაურებულ დარბაზში შევედით. ფლავიდან ჩამოსული გოგოები, ჩვენი თავგადაკლული გულშემატკივრები, წინა მერხზე დასხეს.

დარბაზში უცხო გოგოებსაც ვხედავ. ესენი ან აქაურები არიან, ანდა გორიდან ჩამოიყვანეს.

მზიამ დამინახა და ხელს მიქნევს, თან მეძახის:

— მოდი აქ, გიორგი!

იმ წუთში მივედი. ხელი ჩამოვართვი.

უხერხულობიდან ფიზკულტურის მასწავლებელმა გამომიყვანა, დაგვიძახა, დროაო, და ჩვენც წავედით.

სასწორზე ყველას თვალწინ დაგვაყენეს რიგრიგობით. საგულდაგულოდ აგვწონეს. ისე აგვწონეს, ამდენი კილო და ას ოცდახუთი გრამიაო, ისიც

არ დაუტოვებიათ ჩაუწერელი. ოცდახუთი ვრამი რაღაა, ვერ გამიგია!

ამ საქმეს მორჩნენ, მერე დასხდნენ და ოქმის გაფორებას შეუდგნენ. ფიზკულტურის მასწავლებელსაა ვკითხე, რა ხალხია-მეთქი. მანაც არ დაიზარა და გამაცნო. ოქმს რომ წერს, ის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტიდან არისო. ჩოფურა კაცი ჩვენი მოწინააღმდეგის მწვრთნელიაო. ორი სხვა კაციც იყო იქ. ერთი — სრული, წაბლისფერთმიანი, დინჯი კაცი, რაიონული გაზეთის თანამშრომელია, ვაჟა ჰქვიაო. მეორე — მაღალი, შავგვრემანი, ულვაშიანი, ჰადრაკს თამაშობსო მაგრად, ეგეც იმ რედაქციიდან გახლავთ. ჯემალი ჰქვიაო. დღევანდელი შეხვედრის ანგარიში უნდა დაწეროსი. შენ კიდევ, მგონი, ხუმრობა გგონიაო. ჯემალი ისეთი მოუსვენარი, ცქვიტი ვინმე იყო, აი, ჩიტი კრუხად რომ ზის ხოლმე, რაღაცა საეჭვო ფაჩუნს ძოჰკრავს ყურსა და ვეღარ ისვენებს, ისე იქცეოდა სწორედ. ვაჟა კი ისე იდგა დაფიქრებული, თითქოს მის გარდა ახლომახლო არავინ იყო. რა ვქნა, ორი კორესპონდენტი რომ გამომიგზავნეს, რაო, მსოფლიო პირველობააო?!

სპორტული ფორმა ჩავიცვით, პატარ-პატარა ყვავილების თაიგულები დავიჭირეთ ხელში. ჩვენი კაპიტანი, შოთა ხუროშვილი, გაგვიძღვა და დოლის ბაგაბუგში, ზურნის ჭიჭყინსა და დაინტერესებული მაყურებლის ხელების ტყაპატყუპში დარბაზში შეგვიძღვა. ჩვენი მოწინააღმდეგეები უკვე იქ დაგვიხვდნენ, სმენაზე იდგნენ.

ჩვენმა დირექტორმა ერთწუთიანი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მათმა უფროსმა ქაღალდი დააძრო პიჯაკის ჯიბიდან და ხუთი წუთი იცოდვილა. ბოლოს მოწინააღმდეგეებს თაიგულები მივართვით, მივესალმეთ, შეტრიალდით და დარბაზის კუთხეში მივგროვდით.

ბოლო ორ წონაში არც გორელებს გამოუყვანიათ მოჭიდავეები, არც ჩვენ, ამიტომ მსუბუქსა და ქვემსუბუქ წონაში ორ-ორი წყვილი დაუშვეს, დარბაზში რომ გამოაცხადეს ეს ამბავი, ტაში დასცხეს. ნამდვილი ჭიდაობა თუ გინდა, ამ წონის მოჭიდავეებს უნდა უყუროთ: ცოცხალი, ტემპიანი, ათასნაირი და უცნაური ილეთების დემონსტრაციაა ყოველთვის. მძიმე და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები ხშირად უფრო ბღლარძუნაობენ, რასაც საერთო არაფერი აქვს სპორტთან; შემთხვევითაც არ არის, ხშირად ფრე რომ მოსდევს ხოლმე.

ჩემი მოწინააღმდეგე ზნაურ ბედოშვილი იყო, მეცხრე კლასის მოსწავლე. ისე იქცეოდა, ისე ეჭირა თავი, თითქოს უკვე გამშხლართა და ეგ არის.

ჩვენმა ბიჭებმა ხმა დააგდეს, ერთი საათიც არ გვივარჯიშია, რა უნდა მოვიგოთო. გორელებს ეს ახარებდათ სწორედ. რას ამბობთ, იმას რა გვათქმევინებდა, მთელ ორ კვირას ჩვენი მწვრთნელი ოფლად გვღვრიდაო. ან რა ვარჯიშობა გვინდოდა, ჩვენ რომ მანქანა-ტრაქტორის საჭესა და ნაწილებს ვეჭიდავებით, განა ვარჯიშის დროს იმაზე მეტი დატვირთვა გვაქვს?!

— ხომ არ გეშინია? — მეკითხება ზურაბი და ფერფური გადასდის.

— როგორც ვატყობ, შენ თვითონ გეშინია!

— მეშინია არა!...

გორიდან სავანგებოდ ჩამოსულმა მსაჯებმა ადგილები დაიკავეს. დამკვრელებმა ააჭიჭყინეს ზურნა, ააბრაგუნეს დოლი, მერე მთავარი მსაჯის ხელის აწევაზე გაჩუმდნენ.

— ვიწყებთ, ამხანაგებო, შეხვედრას ქართულ ჭიდაობაში გორის მესამე საშუალო სკოლასა და ციხისთავის პროფტექნიკურ სასწავლებლებს შორის. ჭიდაობს პირველი წყვილი უმჩატეს წონაში. გორიდან — რთველიაშვილი, ციხისთავიდან — კაციაშვილი. შენ დაუკარ!

არც დაზვერვა, არც ერთმანეთის ძალების მოსინჯვა, ლეკვობიდან გადაკიდებული ქოფაკებივით ებღაუნენ ერთ-

მანეთს. კაციაშვილმა შუაკაურზე წამოიკიდა, წამში გაშხლართა ბეჭებზე, მაგრამ არ ჩაუთვალეს. ლეიბს გარეთ იყოო.

დარბაზმა ყიჟინა დასცხო, მსაჯი რაღაცას ურევსო.

მაგრამ ჩვენი დირექტორი წამოდგა სკამიდან, დაიბღვირა და დარბაზმაც კლიტე დაიდო პირზე.

მეორედ მისვლა და გორელის გაგორება ერთი იყო.

— არ არის! — იხუმრა ვიღაცამ.

დარბაზი ახარხარდა.

ჩემამდე სამმა წყვილმა კიდევ იჭიდავა, სამივე ჩვენ მოვიგეთ: ერთი ქულებით, ორი — წმინდად.

მე რომ გამიძახეს, ერთიანად ავთახთახდი: ციხისთაველების დასანახავად პირველად ვჭიდაობდი და ცოტა შევფიქრიანდი, ზურგზე ლეიბი არ ავიკრა-ბეთქი. ზურაბმა ახლახან მოიგო შეხვედრა, ჩოხას იხდიდა და თან ქაქანით მეუბნებოდა:

— თუ შეშინდი, კუსავით ამოტრიალდები გულალმა და სხვამ თუ არ გიშველა, ვეღარ გადაბრუნდები.

ფიზკულტურის მასწავლებელმა მხარზე ხელი დამკრა:

—ეს ერთი კახელი გვირევიხარ, აბა, შენ იცი და შენმა კახელობამ, როგორ გამოიდებ თავს!

ჩოხა რომ მოვირგე და ქამარიც გამიჭირეს საგულდაგულოდ, მაშინ დავინახე დირექტორი, იქვე იჯდა, წინა რიგში. სარბიელზე გადასვლისას გვერდზე გავუარე:

— ყოჩაღად, გიო, — ხმადაბლა მითხრა.

— ჭიდაობს მეხუთე წყვილი: გორიდან — ბედოშვილი, ციხისთავიდან — ბიჭიაშვილი. შენ დაუკარ!

ზურნა აჭიჭყინდა, დოლი აბრაგუნდა და ჩვენც მივებაერეთ ერთმანეთს. ორივენი ვფრთხილობდით. ორიოდე წამიც არ იყო გასული, დაძაბულობისაგან მე უკვე დაღლილი ვიყავი. მზია დარბაზში რომ იყო, ის მაშინებდა, თორემ ისეთი მოჭიდავე ვიწა თქვა, თავჩაქინდრული ერთხელ მაინც არ გასულიყოს სარბიელიდან. მართალია, მზიას არ დავპირებივარ, საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავე უნდა გავხდე-მეთქი. ბრინჯივით რომ გავიშალო, შეიძლება არაფერი მითხრას, მაგრამ გულში მაინც გაივლებს, არ შეეძლო და ხელს ვინა ჰკრავდაო. ოღონდ მზია დარბაზში არ იჯდეს, ოღონდ წამდაუწუმ თვალში არ მეჩხირებოდეს და თუნდაც ერთ ამოსუნთქვაში წავაგო!

— ნუ შიშობ, მიდი! — ხუროშვილის ხმა ვიცანი.

მოწინააღმდეგემ ქამარში წამავლო ხელი, შუაკაურზე ისე სწრაფად წამომიღო, ბრუნის გაკეთებაც ვერა ვცადე. წამომიღო და ორი ქულა წამართვა.

სიმწრის ოფლი დამასკდა.

მსაჯმა სარბიელის ცენტრში გვიხმო.

წელში მოვიხარე, მუხლებზე დავიწყე ხელები და თვალში მივჩერებივარ მოწინააღმდეგეს. ის კი გარშემო მირბენს, მეც ასე, გაშეშებული ვტრიალებ.

— დაღამდა, შე ოხერო! — მიყვირა ზურაბმა.

— გიო! გიო! — მზიას ხმაა.

ბედოშვილმა ისევ შუაკაური სცადა. ავიცდინე. მესამედ დამიჭირა, ვცადე, მაგრამ ვერ მოვიშორე მისი ფეხი. მაშინ მთელი ძალით ავწიე, ბრუნი გავაკეთე და ორი ქულა ავართვი.

ანგარიში გათანაბრდა — ორით ორია. მაგრამ ასე თუ დამთავრდა შეხვედრა, გამარჯვებას მას მიანიჭებენ აქტიურობისათვის. ეს რომ გავიფიქრე, თანაც უკვე ბარიბარს ვიყავით, გული მომეცა და ახლა მე შევუტიე. ეგონა, შუაკაურზე მიდისო, ჩამკეტა. სწორედ ამ დროს გარე სარმა მოვდე და ისე თაეისუფლად ავიღე ერთი ქულა, დარბაზზე უფრო მე გავვოცდი.

ტაშმა და სიხარულის ღრიანცელმა კინაღამ ხელი ამაფარებინა ყურზე.

ორივენი გავხურდით.

ბედოშვილმა მოგვერდი დამიგდო. მე

მარჯვენა ხელი მოვკიდე მკერდზე. შემობრუნდა. მეც ეს მინდოდა: ღონივრად ჩავაფრინდი, მარჯვენა მკლავი დავუჭირე, გარესარმა მოვდე, ეგონა, პირდაპირ გადატანას ეცდებაო, უკუღმა კი ავაკრეფინე ფეხები და სუფთად გავაკარი ლეიბს.

ზურაბისა და დოლის ხმა დაცემისთანავე შეწყდა. ტაშმა იგრიალა. ახლა ჭარტო გოგონების მხიარული შეძახილი მესმოდა.

პირველად ზურაბი გადამეხვია. მერე — ნიკა, მგონი, იფიქრა, ახლა ვაქვს შერიგების მიზეზიო და აკი ასეც მოხდა. ბოლოს და ბოლოს, სულ ნამდურავები ხომ არ ვიქნებოდით!

შემდეგ კიდევ სამი წყვილი გამოვიდა ყველა შეხვედრა მოვიგეთ. მაგრამ ნიკამ რომ მოიგო, ის მაინც სხვა იყო: მეზურნეს ხელრიანად არცა ჰქონდა ლოყები დაბერილი, ნიკამ აიტაცა გორელი და ციმციმ დადო ლეიბზე.

ტაში და სიცილი ერთმანეთში აირია.

მოკლედ: სამარცხვინო ამბავი დავმართეთ გორელებს, ერთი ქულაც არ გავატანეთ. დირექტორმა აკი უთხრა კიდევაც სიცილით, ვერ გაგიწიეთ კარგი მასპინძლობა და, თუ გინდათ, გვიჩივლეთო.

ჩვენი დირექტორი რედაქციის თანამშრომლებთან მივიდა.

— რას იტყვით? — ეღიმება.

— რა გვეთქმის? — მხრები აიწურა ჯემალმა.

ვაჟამ თავი გააქნია.

ᲰᲘᲛᲜᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡᲐ

მოულოდნელად არ ჩამოუთოვია, ჟინჟლავდა, თრთვილი დადო, თოვლჭყაპი გამოურია, მერე ქარი ამოვარდა და ფანჯრები ჩაგვაკეტინა. ის ქარი რომ ჩადგა, ჩამოთოვა. მანამდეც გვეცვა პალტოები. თოვლი რომ დავინახეთ, მაშინ უფრო დავიჩულეთ.

„დაჭრილების გორა“ თეთრად დაგვაღგა თავზე. შორეული მთები და გორები ფიფქების ბურუსმა სადღაც გადაგვიკარგა.

აქ ცენტრალური გათბობა გვაქვს, კარგი რომელია, მაგრამ ასეთ სხვაა აწითლებული ღუმელის გემო და აღუღუნებული ბუხრის გუგუნი, ნედლი შეშის გაუთავებელი ტირილი.

აქ უფრო ცივი ზამთარი სცოდნია, აქ უფრო მწარედ მოწუწუნებს ქარი, ზუზუნებს მავთულები, იბუზებიან ბეღურები. ფეხქვეშ თოვლი აქ უფრო სხვანაირად ხრაშუნებს, ვიდრე ჩვენთან. და მაინც ზამთარი ყველგან ზამთარია სითეთრითა და გაზაფხულის ნატვრით.

ციმა ზამთარმა მჭიდროდ ჩაგვიკეტა საერთო საცხოვრებლისა და სასწავლებლის კარი. სიცოცხლით სავსე ბატონი სიბეჯითე ზარმაცებსაც მიესალმა, გადაფურცლული წიგნებითა და ყდაშემოფცქვნილი რვეულებით; შინიდან გამოგზავნილი, ასჯერ გადაკითხული წერილებითა და თბილი წინდებით... ერთიანად მოგვაწყდნენ ბუხართან მოსმენილი თუ წიგნებიდან ამოკითხული ზღაპრები...

ბიჭები ხშირად დავდიოდით გორში. კვირა დღეს გოგოები ჩამოდიოდნენ ფლავიდან, დაგხვდებოდნენ გორში და სად არ დავდიოდით: სტადიონზე, თეატრში, კინოში, ყველგან, სადაც ჩვენი ადგილი იყო, სადაც გული მიგვიწვედა. ისე გავიცანი მთელი ქალაქი, აქაურიც ვეღარ მაჯობებდა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერება. რატომღაც ისე იგეგმებოდა ჩვენი დღე და მარშრუტი, თითქოს საგანგებოდ გვერდს ვუვლიდით სახლ-მუზეუმს. ვისთან ერთადაც გორში ჩავდიოდით, მათთვის ის სანახავი საკუთარი სახლივით ნაცნობი გახლდათ, სახვალიოდ გადადებდნენ ხოლმე მის დათვალიერებას, მეც ხმაამოუღებლად ვემორჩილებოდი მათ სურვილს.

ერთ შედარებით თბილ კვირა დღეს ზურაბს ვთხოვე, გორში გამომყევი, სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერება მინდა-მეთქი. რას დაიუარებდა! წავიდეთო. მორიგე მასწავლებელს ვუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხარით, სადაც მივდიოდით. არ გაცივდეთ, ფრთხილად იარეთ, არ დაიღამოთო, მეტი არაფერი უთქვამს. ჩვენი სასწავლებლის ჭიშკარს რომ გამოვცდით და ავტობუსის გაჩერებისაკენ წავედით, ნიკა წამოგვეწია, არ ვიცი, საღ მიდიხართ, მაგრამ მეც თქვენთან მინდა წამოსვლაო.

— სტალინის სახლ-მუზეუმი უნდა დავათვალიეროთ, — უთხრა ზურაბმა.

— მე ვერ დავათვალიერებ?!

— ჯერ არ ყოფილხარ?

— რამდენჯერ! კიდევ რომ ვნახო, მაწყენს?

— არა მგონია, —ხელთათმანიან ხელებზე დავიორთქლე.

— აგერ, ავტობუსიც მოდის. წავიდეთ.

სიხარულით ამოხტა ავტობუსში...

მოგეხსენებათ, ზამთარში ექსკურსიების სეზონი თითქმის დახურულია, ამიტომ ჩვენს მეტი არავინ ასულა ერთი ციცქნა სახლის კიბეზე. ვიცოდი, პატარა სახლი იყო, მაგრამ ასეთ პატარას კი არ ველოდი.

აივანზე ავედი თუ არა, მოპირდაპირე ოთახში შევიხედე, მერე — გვერდითა ოთახში. გვერდითა ოთახი სულ ცარიელი იყო, კედლებზე სტალინისა და სხვა ცნობილი ადამიანების სურათები ეკიდა.

თვალი შევავლე და ისევ პირველი ოთახისაკენ გამოვტრიალდი. ბიჭებიც გამომყვნენ.

შევიხედე ოთახში და გავშრი: ეს რა თავზარდამცემი სიღარიბეა! რასაც ვხედავთ, ძველია, ბუნებრივია, ძველი უნდა იყოს, მაგრამ ძველიც არის და ძველიც!

ერთხელ კიდევ მოვათვალიერე ოთახი, გულხელი დავიკრიფე და ცოდვის ჟრუანტელმაც დამიარა. ეს რა სიღარიბეა, ღმერთო!

ტახტი,
ტახტზე ორი ბალიში, ხალიჩა.
ორი ტაბურეტი,
ორი განჯინა,
სამოვარი.
სარკე,
დოქი,
ლამპა,
მომცრო კარადა,
სკივრი.

ფანჯარაზე — ნემსების დასამაგრებელი ბალიში,
კარადა,
სულ ეს არის!

ყოველივე ამის სანახავად კი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიან ხოლმე ადამიანები, არ ერიდებიან ყინვებს, ქარიშხლებს, ავადმყოფობას, მთავრობის წლობით ყოყმანს — მისცენ თუ არა ვიზა... არ ერიდებიან არაფერს, ოღონდ ჩამოვიდნენ აქ და ნახონ, რას ნიშნავს რწმენა, მიზნისაკენ სწრაფვა. შორეული ქვეყნებიდან მოდიან, მოიხდიან ქუდსა და თავდახრილნი დგანან. მათთვის ახლა ლეგენდაა იმ ადამიანის ცხოვრება, ვინც ამ ჭერქვეშ დაიბადა, აქ აიდგა ფეხი და აქ გაატარა ბავშვობა.

ამ ლეგენდას ყველა სხვადასხვანაირად კითხულობს და იგებს. და მაინც ლეგენდაა!

ეჰ, თვალხილულო, დაუნდობელო, მაგრამ პატიოსანო სიღარიბევ! მართალია, შენი უბედურებისა არაფერი გამეგება, მაგრამ გხედავ და ვგრძნობ!..

სიღარიბე შიშს იწვევს ადამიანებში. ადამიანს აბეჩავებს სიღარიბის შიში, თუ ერთიანად მოეშვა, დამორჩილდა, უნებისყოფობას დანებდა, რწმენამ უღალატა. რწმენა, ეს თვითონ ადამიანია, ადამიანმა კანონად უნდა იწამოს, რომ ადამიანობის ზღვარს არასოდეს გადააბიჯებს, მაშინ ყველაფერს მოევლება, მტანჯველ სიღარიბესაც კი. საამისოდ არსებობს გონება და ხელები. ხელები — ყველაფრის ამშენებელი და დამანგრეველი ხელები ..

რამდენი კაცი მეგულება, მშობლების ჭონება რომ აქვთ საამაყოდ. სტუმარს დახვდებიან ტრაბახით: აი, ძმაო, ჩემი ავლა-დიდებაო. მშობლები კი ამ დროს გვერდზე სხედან, ისე მისჩე-

რებიან შვილს, ვითომც საჩოთირო არაფერი ეთქვას.

გაივლის რაღაც წელიწად-ნახევარი, დავამთავრებ სასწავლებელს და ტრაქტორისტიც მერქმევა. სადაც მეტყვიან, იქ წავალ სამუშაოდ, უკან ერთი წუთითაც არ დავიხევ, არ შევყოყმანდები. მე გადავხნავ თვალუწვდენელ ყამირებს, ანეულებს. ზღვა-ჯეჯილად ვაქცევ ცარიელ ტრამალს. და შენ, ვინც არ უნდა იყო, ჩემს მოყვანილ პურს რომ აიღებ ხელში, შენ არ გეცოდინება იმ კაცის სახელი, ვინც შუაღამისას ფარების შუქზე ხნავდა მაგ პურის მოსაყვან მიწას, ვინც გამთენიის სუსხით ათახთახებული გარბოდა რადიატორში ჩასასხმელი წყლის მოსატანად. შენ არ გეცოდინება, რომ ვინც ეგ პური მოიყვანა, მას დაუგვიანდეს მინდორში პურის ჩატანა, მაგრამ ტრაქტორის საქე არ მიუტოვებია, მთელ ღამეს მშიერი ხნავდა... მე გადავაბრუნებ სავენახე მიწას და, როცა იქ მოწეული ყურძნის წვენს დალევ, თუ ერთხელ მაინც გაიხსენე ის ლამაზი სადღეგრძელო, ჩვენთან, კახეთში რომ იციან ღვინის დაჭაშნიკების დროს — ამის მომყვანს გაუმარჯოსო, — ბედნიერი ვიქნები, რაკი შენი სიცოცხლის პატარა ნაწილი ჩემი გარჯის ნაყოფიც იქნება!

წეღან ვთქვი, მართლაც, რამდენი კაცი მინახავს, მზამზარეულად მირთმეული ქონებით რომ ამაყობს — უსირცხვილოდ იჩიმება. დედაჩემი მეტყვის ხოლმე, ზოგი ახლანდელი გამოსაზრდელი იმიტომაც არის თავცარიელი და უმაქნისი, უზრუნველად, ჰაერივით რომ მოსდის ყველაფერიო. მე დაგიმტკიცებ, დედაჩემო, იმ გამოსაზრდელებში მე და ჩემი მეგობრები რომ არ ვურევიარ.

თან ვიმუშავებ, თან ვისწავლი. ოჯახი მეც მექნება, სოფელში მეც კაცი მერქმევა...

ძნელია, ვთქვა, რამდენ ხანს ვიდექი გულხელდაკრეფილი, დაფიქრებული, რამდენ ხანს მივშტერებოდი ერთ წერტილს. ზურაბის ხმამა ამაწევინა თავი.

—მთელი საათი ასე დგახარ, გული ტოკებლად.

— ნიკა სადღაა?

— აქა ვარ, — უკანა არა მდგომია?

— წავიდეთ?

— როგორც შენ გინდა! — მითხრა ნიკამ და პალტოს საყელო აიწია.

ნაზამთრალი ხეები

გაზაფხული მერცხლების მოუსვლელად დადგა.

თავდაპირველად ღობის ძირებში, პირმზითზე ამოიწვერა მწვანე, ხასხასა ბალახი. ბალახს ფერდობებზე ამომძვრალი ენძელები მოჰყვნენ, ენძელებს — თაიგულებად ამოხეთქილი ფურუსულები.

ვენახებში სარის წაჩეკვის რიტმული კაკუნი გაისმა, შემდეგ — სასხლავის წკაპაწკუპი.

ეს უკვე გაზაფხული იყო!

გაზაფხული მოვიდა და გაგვიღო ფანჯრები, გაგვიღო და მიკეტვაზე აღარ უფიქრია, ღრიჭოდ ტოვებდა ყოველთვის. პალტოები არ გაგვხადა, ნაფტალინი არ ჩაგვიყარა ჯიბეებში, მაგრამ აღარც არაფერი დააკლო. გაკვეთილებზედაც უპალტოოდ მივდიოდით, გარაჟებსა და სახელოსნოებშიც. პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ეზოშიც ასე, გუშინდელთან შედარებით შილიფად გამოვდიოდით.

სოფლიდან ახლაც მოდიოდა ბარათები. სხვა საინტერესო და უკვე ათჯერ მოწერილ, უინტერესო ამბებთან ერთად, იმასაც მატყობინებდნენ, აქაც გაზაფხული მოდის მწვანე ბალახებითა და ნაირფერი მინდვრის ყვავილებითო.

ქართლში, კახეთში, ყველგან ერთნაირად მოდის გაზაფხული, მაგრამ სხვადასხვანაირია მაინც. ჩემი სოფლის გაზაფხული რომ მახსენდება ხოლმე, ყოველთვის ბებია მიდგას თვალწინ. პირმოტეხილი, ვინ იცის, როდინდელი, მუცელგაბერილი სადუღა-

რი გამოუტანია მყუდროზე, შავი კაბის კალთა გაუშლია და იმ სადუღრიდან ამოღებულ ჭრელჭრელ ჩითის ნახევებში გამოკრულ მწვანილეულობის თესლს ორად ყოფს: ზოგს ეზოს ბოსტანში დავთესავ, ზოგს — ალაზანზე, ვენახის თავში საბოსტნე რომ მაქვს, იქაო.

ყველგან, ყველა სოფელში, ერთნაირნი არიან ბებიები, განსაკუთრებით კი გაზაფხულზე, როცა მწვანილების თესლს ითხოვს მიწა...

ეს ზღვა თოვლი, აუღებელი რომ გველოდა, ერთბაშად აიღო მზემ. მას შემდეგ კინაღამ ორი კვირა გავიდა, გათენდება და წითლად კაშკაშებს მზე. გუბეები, ნისტი და ჟუანტობები ორთქლად ააძრო მიწას...

გულმაც იგრძნო გაზაფხული. აღარ ჩამობარდნის მუხლამდე ჩასაფლობად და მეც ხშირად ავირბენ ფლავში იქაური ტრაქტორების სანახავად. მე და მზია წერილის მონატრულს არ ვხდით ერთმანეთს, მაგრამ საუბარი სხვა არის მაინც.

ფანჯარას მზე მოადგა რა ხანია. გაუტოკებლად ვწევარ, მეშინია, ზურაბი არ გავაღვიძო.

— გღვიძავს, გიო? — მეხმაურება ზურაბი.

— საათზეც მეტი იქნება.

— მეც ეგრე არა ვარ?!

— რა ვიცი, ფაჩუნიც კი არ გამიგია

— არ გავაღვიძო-მეთქი. რა ვქნა, წამოვემხტარიყავით?

— ჯერ ადრე არ არის? — გვერდი ვიცვალე, გულაღმა გაჭიმულ ზურაბს მივჩერებივარ.

— ავდგეთ და „დაჭრილების გორაზე“ ავიდეთ, — ახლა ისიც მე მიყურებს.

—კვირა ხომ არა გგონია დღეს?

— ჩამოვასწრებთ. წავიდეთ?

— დაგვრჩა რამე?

— ნუ იტყვი! მარტო იქიდან გადმოხედვა მინდა, მეტი არაფერი.

— მაგაზე გაწყენინებ? — არ დამეზაროს-მეთქი, მაშინვე გადავიძრე საბანი და წამოვხტი. ზურაბიც წამოხტა...

„დაჭრილების გორაზე“ ვართ და ქვეყანას გადავყურებთ. ჩვენი სასწავლებლის წენობები თეთრად ლაპლაპებს დილის მზის სხივებში. იგი ახლა ჩემთვის ისეთივე გულისამჩრობელია, როგორც ჩემი სახლი. ადრე კი ვერც წარმოვიდგენდი, ასე თუ შევეჩვეოდი იქაურობას, ასე თუ ჩამიძვრებოდა სულში და სიყვარულის ჟრუანტლად დამივლიდა. ვიღაცისაგან გამიგია, სიყვარული შეჩვევაო. მართალი ყოფილა!

გორის ციხე მზეში წამომართულა და სიბერისაგან მოტეხილი ბერიკაცივით ჩაფიქრებული გადმომდგარა, წარსულსა და ხმაურიან წლებს იხსენებს, როცა ათასი ჯურის გადმთიელი აწყდებოდა დასაჩოქებლად.

მიწისა და მზის ორთქლი ფენა-ფენად აწყვია შორს გადაშლილ ბაღ-ვენახებსა და თეთრ-წითლად გაყუჩებულ სოფლებს. აქედან ადამიანები არ ჩანან, არც მანქანების ხმაური ისმის, ამიტომ რჩება უკაცრიელის შთაბეჭდილება. შორიდან ასე ჩანს ყველაფერი — ახლოს მიხვალ და ხედავ: სიცოცხლე ხმაურობს კაცების გადაძახილად, დედაკაცების ჭორაობად, ბავშვების ჟრიამულად, სკოლის მერხად, ნაპატიებ ბაღ-ვენახებად...

ხეების კვირტები რუხ ფერს კარგავენ თანდათან, ნაცრისფერს იჭარბებენ. ბოლოს ის ნაცრისფერიც გაიპარება და დაინახავთ: გადამწვანებულია მიდამო. განსაკუთრებით შვინდებმა იციან — ჯერ ფოთოლიც არ გამოუტანიათ, ყვითლად კი ხარხარებენ ხოლმე. ვისთვის სიბერესა ნიშნავს სიყვითლე, ვისთვის — ახალგაზრდობას.

— იმ მწვერვალს „დანახვისა“ ჰქვია,— მეუბნება ზურაბი.

— რომელს?

— აი. ყველაზე მაღალს.

— ეგეც მწვერვალია და იალბუზიც?

— ამ ახლომახლო რასაც ვხედავთ, იმის კვალობაზე ხომ მწვერვალია!

— რა თქმა უნდა!

— „დანახვისიდან“ ღამე, თურმე, მშვენივრად ჩანს ელნათურებით აცივცემებული თბილისი. რა დასანახი იქნება!

— მართლაც!

— ავიდეთ როდისმე!

— ავიდეთ!

— ნიკაც წავიყვანოთ, თუ დანახვაა, ის უფრო ჩვენზე კარგად არ დაინახავს? ცასთან ახლოა.

—სამაგიეროდ, ჩვენ მიწასთან ვართ ახლოს.

გვეღიმება...

გახსოვთ, ალბათ, ზურაბს რომ ვესაუბრებოდი რქაწითელისა და საფერავის თაობაზე, მგონია, აქ უფრო ივარგებს-მეთქი. დავნაძლავდეთო. რა ბიჭი ვარ, უარი მეთქვა! მამაჩემს წერილი გავუგზავნე, მეტს არა გთხოვ, მარტო ორმოცდაათი წლიური ვაზი გამომიგზავნე-მეთქი, ნახევარი საფერავი, ნახევარი — რქაწითელი. თანაც, ჩვენი სანაძლეოს ამბავსა ვწერდი. თურმე ჩემი წერილი რომ მიიღო, ძია გურამიც ჩამოსულა მანგლისიდან. მამაჩემს ეთქვა წამოსვლისას, არაფერი დამავდებაო. ცოტა გადავუხვიო. ციხისთავში ჩახვიდე, ეს ვაზი, ეს რამერუმეები და ეს წერილი გიოს ჩაუტანეთო. ძია გურამს გაუცინია თურმე, რას მეხვეწები, შე კაი კაცო, გიოსთან ჯერ არ ავსულვარო? ძია გურამი ჩემთან ხშირად ჩამოდის. მოდის ხოლმე. მოფრიალდება „ვოლგით“ და სირცხვილითა მწვავს: ყოველ მოსვლაზე იმდენი რამე მოაქვს, ნეტავ, რად მინდა? ჩამომიტანა ძია გურამმა ვაზი, ვთხოვე დირექტორს, ჩვენს ნაკვეთში, აგერ, ეზოშივე დავრგავ-მეთქი. რა თქმა უნდა, თხოვნამდე მასაც გავაცანი ჩვენი სანაძლეო. საინტერესოა — მითხრა დირექტორმა, ძალიან საინტერესოაო. ორმოცდაათივე ვაზი ჩემი ხელით დავრგე, კოკოლებიც მე გავუკეთე. ზურაბი მეხვეწებოდა, ასე პირდაღებული როდემდე უნდა მოგჩერებოდე, კაცი არა ხარ, თოხზე მაინც მიმიშვიო! ახლოს არ მივაკარე. გაივლის რამდენიმე კვირა და ვაზიც ამოიწევს. ვნახოთ, რით დამთავრდება სანაძლეო. წელს არაფერი, გაისად ყურძენს მოისხამს უკვე. მართალია რთველს კახეთში დავხვდები, მაგრამ მტევანს ჩემს წასვლამდე შეეტყობა უკვე. ან არადა, სართვლოდ ვერ ჩამოვალ? ბოლოს და ბოლოს, ხანდახან ჩემი სასწავლებელი ხომ უნდა ვნახო ხოლმე?..

ჩემი სტუდენტი და ორჯერ ჩამოვიდა თბილისიდან, თან ვიღაც კარგი ბიჭი ჩამოჰყვა, ჩემი ჯგუფიდან არისო. ბიძაჩემმა ხომ ნამდვილად გული შემიჯამა: რამდენჯერ მითხრა დირექტორთან, ხომ არაფერი გიჭირსო. შენ თუ გიჭირს რამე, ნუ მოგერიდება, გაბედე და მე და გიო უსაყვედუროდ დაგეხმარებითო, გაიცინა ვახტანგმა. ამ ხალხს ისევ პატარა ბიჭი არა ვგონივარ?!. ალბათ, ჩემთან ვერაფერს ეუბნებოდა დირექტორი: ჩაიკეტებოდნენ ხოლმე კაბინეტში და, ნეტავ ამდენი რა ჰქონდათ სალაპარაკო? აქ რომ ვერ ათავებდნენ, ახლა გორისაკენ აივლიდნენ ხოლმე... მიხოს წერილი ყოველ მესამე დღეს თუ არა, კვირის თავზე მაინც მომდის. გელამაც ისწავლა წერა... რვეულის ორ ფურცელს ისე გაავსებს ხოლმე, თავი რომ მოიკლა, ორმოცზე მეტ შეცდომას ვერ იპოვი. ყველაზე საინტერესო ჯუმბერის წერილებია, ქალაქის ჭორებიც არ გამორჩება, მომკლა კაცო, სიცილით. ოქროს მედალი განაღდებული აქვს და მაშ, რა, უნდა იცინოს?!

ერთხელ ყური მოვკარი და ერთხელ კიდევ ჩემთან წამოსცდა მამაჩემს, ციხისთავის სასწავლებელში მეგობარი მყავსო. ნეტავ რომელია მამაჩემის მეგობარი? თავს ვიმტვრევ და ვე-

რაფრით მივხვდი. დირექტორი? დირექტორმა ხომ საყვედური ამკიდა, ღამის თორმეტ საათამდე გორში რა გინდოდაო?!

მართლაცდა, რას გაიგებ, რომელია მამაჩემის მეგობარი. აქ ყველა ერთმანეთზე უკეთესად მექცევა. მაგრამ თუ წამიცდა ფეხი, მაინც არ მაპატიებენ...

ჰო, მალე, ალბათ, მინდორში გავალთ, დროა, ტრაქტორის საჭეს მიუსხდეთო. გავალთ მინდორში და ვცდით, გვემორჩილება თუ არა ტრაქტორის საჭე. საინტერესოა, როგორ გავიტან კვალს. ბიჭებიც მოუთმენლად ელიან ამ დღეს, ეს იქნება ჩვენი პირველი გამოცდა...

ორიოდე დღის შემდეგ სოფელში მივდივარ: ერთ კვირას მაინც დავრჩები. ვნახავ, იქ რალას აკეთებს გაზაფხული. ალბათ, იქაც დაბერა კვირტები, იქაც თეთრი ორთქლი მოაფინა მიწას, ჩიტები ააჭიკჭიკა, აატირა ვაზი... ალბათ, მამაჩემი უკვე ბარავს საბოსტნეს. საღამოთი კი ვაზის სასხლავს მჭადა ქვაზე ლესავს...

ის ორიოდე დღეც გავიდა და მე უკვე სოფელში ვარ. ადვილად წარმოიდგენთ, რა წივილ-კივილსაც ატეხდა ბებიაჩემი, როგორ აცრემლდებოდა დედაჩემი, როგორ გაიხარებდა მიხო და როგორ ჩაიღიმებდა ჩემი დაბღვერილი მამა. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია ყველგან, ყველასათვის და ამიტომაც აღარაფერს ვიტყვი ამაზე. მეზობლებმა: ვერ უყურებ, როგორ დავაჟკაცებულაო. გელამ:

— ჩამოხველ გიჟოო?

— ჯერ არა.

— შენ არ გაიხარე, ჩემი ცოდვით, დედაჩემს რომ მიმაგდე საჯიჯგნად!

— ეგრე მოგიხდება! ვერ წამოეთრიე ჩემთან ერთად?

— გამომიშვეს და უარი ვთქვი?.. ბიჭო, რა გახარებულია მამაშენი, კაცად მიქციეს ღლაპიო!

— სწორი უთქვამს და რას ერჩი! — მეცინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდი თვე ჩემიანები და სოფელი არ მენახა. ველარ ვძღები მათი ცქერით და ლაპარაკით. სიხარულის ზღვა მომაწყდა, მაგრამ მთელ ღამეს მარტო ჩემი სასწავლებელი მესიზმრებოდა.

აქაური საჭმლის გემო რაღაც ისეთი აღარ მეჩვენება, როგორიც მახსოვდა. წყალიც ძალიან მეუგემურება.

ჩემი ფანჯრიდან „დაჭრილების გორა“ რომ არა ჩანს, გაქცევაზე მიჭირავს თვალი.

მამაჩემი უკვე თანასწორივით მელაპარაკება. სუფრას რომ მივუსხდებით ხოლმე, ხშირ-ხშირად აღარ აბოლებს პაპიროსს.

დედაჩემს მწუხარების ცრემლი აღარ აწვება თვალზე.

ბებია აღარ ჩამჩიჩინებს, წიგნში ჩაიხედე, შე სასიკვდილეო.

გაბო ძიასაც ისევ ის დანჯღრეული „ვოლგა“ აქვს. ნეტავ ავტოინსპექტორს არ გამოულია ჯარიმის ქვითარი?

მოდი, ვნახოთ ვენახი

ჩვენებური გაზაფხული სხვანაირად მომეჭიდა გულზე: უფრო თბილად, უფრო ლონივრად, მთელი სხეული შემიქანა და პატარაობის მოგონებები წამომიშალა. შაშვის ჭახჭახი ამ გაზაფხულზე აქ გავიგონე პირველად. ეს ჭახჭახი ადრე თითქმის არაფერს მახსენებდა, ბუდეში პირდაღებული, ყვითელნისკარტა ბარტყების გარდა. ახლა კი მზია გამახსენდა და გამაღიმა. ახალი გაღვიძებული ვიყავი და შაშვის ჭახჭახი უფრო მკაფიოდ იჭრებოდა ჩემს ოთახსა და ჩემში.

სამზარეულოდან ხმადაბალი საუბარი მოესმა:

— შენ სიცილადაც არ გყოფნის! — ცხარობდა დედაჩემი.

— მე აქ გასაბრაზებელს ვერაფერს ვხედავ! — თავშეკავებით იცინოდა მამაჩემი.

— ამის შემდეგ რაღა უნდა გელაპარაკო!

ნეტ ვ რაზე დაობენ?

— ათასჯერ აგიხსენი, ვერ გაგაგებინე და ჩემი ბრალია? — უკვე სერიოზულად ეუბნება მამაჩემი.

— ამას რა გაგება უნდა, ჯერ მიწას არ ასცილებია და უკვე ვიღაც გოგო არ უყვარს!

ვაიმე!... წამოსვლის დღეს მზიას წერილი მივიღე, საერთო საცხოვრებელში დატოვება დამავიწყდა, ავტობუსში რომ ავედი, მაშინ გამახსენდა, მაგრამ რაღა ეშველებოდა! დასახევად და გადასაგდებად როგორ გავიმეტებდი, პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე. ალბათ, პიჯაკს გარეცხვას უპირებდა დედაჩემი და მაშინ ამოაბრუნებდა ჯიბეებს. მორჩა, უკან დამატოვებინებს ციმბირს, თუ, რა თქმა უნდა, მამაჩემმა გაუშვა თავის ნებაზე. მიხოს სძინავს, ეს საუბარი არ ესმის, თორემ ქვეყანას მოჰფენდა შემოდგომის დაღინჯებულ წვიმასავით.

— მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ? — განაგრძობს მამაჩემი.

— არ გინდა, დაინახო! მაგ უტვინოს, ცხოვრება ისა ჰგონია, ახლა რომ დაბრძანდება თავის ნებაზე!

— ბავშვია და მეტს რასა თხოვ?

— აკი შენც ამბობ, ბავშვიაო? სწორედაც ბავშვია, და ერთი მიბრძანე რა დროს მაგის სიყვარულია? — ისე გაცხარდა დედაჩემი.

— სიყვარულმა ასაკი არ იცის. უყვარდეს, რა მოხდა? სიყვარული უკეთილშობილესი გრძნობაა, კაიკაცობისაკენ უბიძგებს ადამიანს, შემდეგ...

— გეყოფა! — შეაწყვეტინა დედაჩემმა, — რა გადარეულიც შენ იყავი, ის შვილი გყავს! ასე როგორ დაიმსგავსე?!

— მაშ, ვის უნდა ჰგვანებოდა? — ეცინება მამაჩემს, — აჯობებს, თუკი ჩასწვდა ცხოვრებისა თუ ოჯახის საიდუმლოებას, პატარაობიდანვე გაიგოს. ერთ მშვენიერ დღეს ხომ მაინც გაიგებს? ჰოდა, ნურაფერს დაგვიმალავთ! ვერ ატყობ, ახლა ბავშვებს ადრეულ ასაკში ეხსნებათ გონება — წყნარად ამბობს მამაჩემი.

— მერედა, იცნობ, ის გოგო ვინ არის?

— მე რა შუაში ვარ? ვისაც უყვარს, ალბათ, ის იცნობს.

— ღმერთო, რა მეშველება ამათ ხელში?!

— მომეცი წერილი, კიდევ ერთხელ წავიკითხავ.

— აჰა, შენ ისე მოგეწონა, რომ, მგონი, დაზეპირება გინდა.

მერე სიწყნარეა.

— მშვენიერია! — ამბობს ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემი, ეტყობა, ორჯერ მაინც ჩაიკითხა წერილი, — არაფერი მინდა, მეტი არაფერი, გიოს წერილიც ჩამაგდებინა ხელში!..

— შენი დიდი ხათრი აქვს, უთხარი და თავიდან დაგიწერს, ნუ გეფიქრება, მეხსიერებას არ უჩივის!.. ალარ მიხვალ სამუშაოზე? — მოთმინებიდან გამოდის დედაჩემი.

— დღეს საქმე არაფერი მაქვს. რამდენი ხანია გიო არ მინახავს, არ მიყვარს მასთან, ეს დღე შვილთან უნდა გავატარო. ვითომ ვერ ატყობ, როგორ არის შეცვლილი? დავჯდები დღეს და დავაკვირდები, იქნებ მივხვდე, საიდან დაიწყო ეს შეცვლა. მაინტერესებს, რამ დაავაჟკაცა ასე ერთბაშად!...

— შეგახსენებ: სიყვარულმა.

— სწორია, თუმცა სხვა რაღაც უნდა იყოს კიდევ...

— ვიდრე ბიჭები გაიღვიძებენ, ჩავალ ეზოში, საბოსტნე დამრჩა გამოსაბარი, გამოვათავებ, თორემ შინ ალარ შემომიშვებს დედაჩემი!.. ხედავ, ამხელა კაცი ვარ, ომით გადავიარე მთელი ევროპა, ბავშვად კი დავრჩი ისევ— დედაჩემის ახლაც მეშინია, — ეცინება, — მეშინია და მერიდება. ის მახსოვს, რა წვალებით შოულობდა

ლუკმა-პურს და სიბრალულის ცრემლი მადგება თვალზე. გითხარი კიდეც, სიბრალულიდან იწყება ნამდვილი სიყვარული. წავედი. მართლა, სად არის დედაჩემი?

— ინკუბატორში წავიდა, გიოს სახელზე ასი წიწილა უნდა გამოვიყვანოო.

— მე ვერ მითხრა, კაცო?!

— ამ პატარა რამეზედაც ვახტანგი შევაწუხოო?

— რა ქალია კაცო, რა მოუსვენარი ქალია! ასი წიწილაო?!

— ასიო, გიოს სახელზეო.

— ასივე გაიზრდება, იცოდე...

გვიან გამახსენდა, ჩემს ოთახზე უნდა გამოევლო მამაჩემს. თავი მოვიმძინარე, მაგრამ ველარ მოვასწარი და, ისე უხერხულად დამრჩა ხელები, ასე ჩათვლემითაც ვერ ჩათვლემს ადამიანი.

თვალები დავხუჭე. მამაჩემი ოთახში შემოვიდა და გაჩერდა: ნაბიჯის ხმა შეწყდა. მერე მომიახლოვდა, დაიხარა:

— გეღვიძა, გიო?

თვალი გავახილე.

— მეღვიძა.

ტუჩებზე თითი მიიდო:

— ვითომც არ გაგიგონია.

მეც ტუჩებზე მივიდე თითი.

შუბლზე მაკოცა, თვალი ჩამიკრა ღიმილით და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

მალე მიხოსაც გაეღვიძა.

— დილა მშვიდობისა! რომელი საათი იქნება?

— ცხრა დაიწყო. გუშინაც ამ დროს გაიღვიძე. იქნებ პირველ გაკვეთილზე არც კითხულობენ სიას?

— კვირა დღეს გვიან ვდგები, —სათვალე გაიკეთა, — დღეს უფრო დიდი კაცი მეჩვენები. მამამ საჩუქარი გიყიდა, გითხრა?

— არა, რა საჩუქარია?

— გამაფრთხილა, არ წამოგცდესო.

— მერე, რატომ წამოგცდა?

— როდის წამომცდა? მე მარტო ის გითხარი, საჩუქარი გიყიდა-მეთქი. რა საჩუქარია, იმას არც გეტყვი.

— რაღა ფასი აქვს. მითხარი, ბარემ.

— არ გამცემ? ნამძინარევი რომ არ ვყოფილიყავი, ბუხენვალდშიც ვერ მათქმევინებდნენ გერმანელები.

— არ გაგცემ, მითხარი.

— მაჯის საათია. ისაო, მიდის-მოდის კაცია და, ნამდვილად სჭირდებაო.

— დედამ რა უთხრა?

— არაფერი. პირიქით, დედაჩემის ხელფასი ჩაუთვლია. იცი, რა საათია, ორმოცი მანეთი მისცა. კაცი ხარ, რა!

— ძალიან მოგწონს?

— ნუ იტყვი!

— თუ გინდა, დაგითმობ.

— რას ამბობ, შენს საჩუქარს მე როგორ ავიღებ?

— როგორც გინდა!.. არ ავიწიოთ ასადგომად?

— ადრე არ არის?

— მაშინ, იწექი, რა მენაღვლება!

ავდექი, ტანთ ჩავიცვი, ხელ-პირის დაუბანლად ჩავედი ეზოში. სათონედან ბარი გამოვიტანე და მამაჩემს მხარი დავუმშვენე; ახლა ორივენი ვბარავდით, საპამიდვრე, საოხრახუშე, საწიწმატე, საქონდრე ეზოს.

— რაღა მიჭირს რა, — ხუმრობს მამაჩემი, — ვაჟკაცი ამომიდგა მხარში და ვარსკვლავები მომაწყვეტინა.

— თორემ ტყუილს ამბობ, აი!

— ბელტის გადაბრუნება და ჩაკეპვაც გისწავლია?!

— ამას რა ცოდნა უნდა!

— რა ცოდნა უნდაო, ამბობ? ბარვაზე გეტყვით ისეთ რამეს, მარტო შენ კი არა, ბევრი არავინ დაკვირვებია. გაგიგია, ოდესმე ბარვაში მღეროდნენ? უცებ არ მიპასუხო, ჯერ კარგად დაფიქრდი.

— ბევრი ფიქრი რად უნდა, არ გამიგია.

— მე კი ერთი მუსიკის პროფესორის წიგნში წავიკითხე, რომელიღაც ძველი სიმღერა იყო, ეს სიმღერა ბარვაში იმღერებოდაო. საინტერესოა, სად გაიგო, სად მოისმინა, ვინ უთხრა, გლეხიკაცი ბარვაში მღეროდაო?

— ბარვაში უკან-უკან რომ მიდიან, იმიტომ?

— არა. ბარვის დროს, დიდი ძალა ადგება მთელ სხეულს, განსაკუთრებით კი მკერდს, ფილტვებს. მიყურე: ბარის ტარი ფერდზე რომ არ მივაჭირო, მენჯის ძვალი რომ არ შევაშველო, ანდა — ბარძაყი, ათ წუთსაც ვერ ვიმუშავებ, ხელები დამაწყდება. ამიტომ სუნთქვაც ჭირს, ოფლიც უცებ დაგასკდება ხოლმე.

— მოდი, ვცადოთ სიმღერა, ვნახოთ, რა გამოვა.

— ვნახოთ. პირველი მითხარი შენ:

გლესავ და გლესავ, ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინაო...

— რას შვრები, ბიჭო, გაჩერდი?! ასე ვის უჭირს სიმღერა?!

— უცებ არ დამავიწყდა?!

— აღარ დავიწყო? აბა, პირველი.

გლესავ და გლესავ, ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინაო...

ორი მუხლი ჩავათავეთ და დავრეტიანდით კიდევაც, ოფლმაც ამოხეთქა და სუნთქვაც აღარ მყოფნის. ბარის ტარზე დავეყრდენი და შუბლზე მაჯას ვისვამ.

— რას იტყვი? — ეღიმება მამაჩემს და ისიც ოფლს იწმენდს.

— მართლა არ შეიძლება ბარვაში სიმღერა.

— მავას ვამბობდი: ის პროფესორი ერთხელ მაინც რომ ჩასჭიდებოდა ბარის ტარს, ამ შეცდომას აღარ დაუშვებდა.

— ეს ხალხი რამ დააგიჟა! — დელიმელა მოდგა ღობეზე და ყვირის, — ბარვაში ვინ გაიგონა სიმღერა? უე, ბარავენ და ყანის მკობისას არა მღერიან?! ფეტვიაანთ ნინოს ბიჭმა კიდევ მე შემიყარა ქვეყანა, [illegible] ლიმელას კრამიტი აქვს დაცურებული!..

— გადმოდი, გიორგავ, თითო არაყი გადავკრათ, — დაპატიჟა მამაჩემმა.

— ნეტავ სულ ეგეთი შაქარი ამოგდიოდეს პირიდან! — გაუხარდა დელიმელას და შარაგზისაკენ გატრიალდა, — მოვდივარო, აღარ გადათქვა, ვახტანგო, მოვდივარ!

მიხო და დედაჩემი აივანზე იდგნენ და ღიმილით მოგვჩერებოდნენ.

სუფრას შემოვუსხედით. დელიმელამ ჭიქა აიღო, ამ ოჯახს სიტკბოთი გაუმარჯოს, სიმწარე მოშორებოდეს, მაგრამ ამ ჭიქაში რომ არის, ასეთი სიმწარე არასოდეს დაელიოსო.

მალე ბებიაც მოვიდა:

— რა გვიან გაგხსენებიათ შიმშილი, ქა?!

— გიორგას ველოდით, — უთხრა მიხომ.

— შენ ლაპარაკს მოუკელი, თორემა ეგ ბარკალიც მე დამრჩება, — გააფრთხილა დელიმელამ.

— რა უყავი წიწილები? — ჰკითხა მამამ.

— იმ კვირია იქნებაო. შენ კი გენაცვალე, გიო, მადაც არ მომატებია?!

— შენ რატომ არ მიირთმევ, — ეუბნება გიორგა ბებიას, — შენთვინა სჭამენ?

— შენ ხმა ჩაიწყვიტე, მანდა! — აფრთხილებს ბებია.

— არ იქნება ავდგე და გარეთ გაგაგდო? — იქით ემუქრება გიორგა.

ყველანი ვიცინით. ბებია თავისებურად, ბებრულად ჰუკჰუკებს...

მთელ დღეს შინ ვიყავით ყველანი. იმდენ რაღაცას მეკითხებოდნენ, თავგზა ამიბნიეს კინაღამ. განსაკუთრებით ბებია იყო დაინტერესებული, იქაო, შენ სადაცა სწავლობო, რა რჯული ხალხია, ქურდობა-მამაძაღლობა ხომ არ უყვართო. როგორი რთველი იყოო. სეტყვა იქითაც იცის თუ

არაო. გვალვამ მოსავალი ხომ არ მოშუშა და მოფშრუკაო... მიხო კინალამ ხელიდან გამოგვეცალა სიცილით.

მამამ მითხრა, ჩავიაროთ, ვიდრე მოშუადღევდება, შინა ვენახი გამოვსხლათო. უკვე დროა, ვენახის სხვლა ისწავლოო... სიხარულით დავეთანხმე, მაგრამ ვენახის გასხვლის შესწავლა მართლაც ძნელია. სასხლავები რომ გავლესეთ და წასასვლელად მოვემზადეთ, გელა აყვირდა ჩვენს ჭიშკართან:

— ჰაი, ძია ვახტანგ! გიო! ოჯახიშვილებო, გამოგვხედეთ!

ისეთი ხმით ყვიროდა, შეგვეშინდა, რამე უბედურება ხომ არ არის ჩვენს თავსაო.

— რა ამბავია? — დაეხმაურა მამაჩემი.

— აი, — გვერდზე შეტრიალდა, ზედ ჭიშკრის პირდაპირ მორჩილი ავტობუსი იყო გაჩერებული, მისკენ გაიშვირა ხელი, — ერთი ავტობუსი სტუმარი გეწვიათ.

გულზე მოგვეშვა.

— მერე, შე უგერგილო, ვერ გაუღე ჭიშკარი?

შარაზე გავედით. მამაჩემი ავტობუსის ფანჯარაზე აკრულ სახეებს ათვალიერებდა დაბნეული, ეტყობა ნაცნობი ვერავინ დაინახა:

— მობრძანდით, — თხოვა შოფერს.

— გვეჩქარება, — ღიმილით უთხრა შოფერმა.

მე ავტობუსის ღია კარში ავაბიჯე, გაღიმებული ხალხი მოვათვალიერე, მაგრამ ვერც მე წავაწყდი ნაცნობ სახეს.

— მობრძანდით ოჯახში, — მივიპატიჟე ყველა, — მობრძანდით, — თან უხერხულობისაგან ვწითლდებოდი.

ხმას არავინ იღებს, ღიმილით მომჩერებიან.

— ჩამობრძანდით, ჩამობრძანდით! — გელაც ავტობუსში არ ამოსულა?!

ბოლოს ავტობუსის სულ უკანა სკამებშუა ვიღაცა ამოძვრა, რაღა ვიღაცა:

— ვაჰ, ზურაბ! — მივვარდი. ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— ოფლი გაწურინე თუ არა? — იცინის.

— შენც მოიგონე ხუმრობა!

ხალხმა ტაში დაჰკრა, იხოცებიან სიცილით.

— მამა, ზურაბია! — ვეძახი.

ზურაბი ძირს ჩამომყავს. მამაჩემი შუბლზე კოცნის.

— საიდან, შვილო? —ეკითხება.

— ბიძაშვილი დამიქორწილდა ენისელში, მაყრებად მივდივართ. ორი ავტობუსი წინ წავიდა.

მერე თავისიანებს გვაცნობს.

— ეს მამაჩემია, დედაჩემი, მამიდა, ბიძა... სხვებმა უკვე აიარეს ამ გზაზე.

— სასიამოვნოა! — ზურაბის მშობლებს ეუბნება მამაჩემი, — ჩვენ ვერ მოვიფიქრეთ და ერთმანეთი ისევ შვილებმა გაგვაცნეს.

— მართალს ბრძანებთ. როცა ჩვენს შვილებს უყვართ ერთმანეთი, ჩვენც უნდა გვიყვარდეს, — ამბობს ზურაბის მამა.

— აბა, ჩამობრძანდით! — ბრძანებს მამაჩემი, — ერთი ქორწილი აქაც გადავიხადოთ.

— რას ამბობთ? — გაიოცეს, —ისედაც დავაგვიანეთ!

—მოსვლა თქვენი სურვილი იყოს. წასვლა — ჩვენია! — რას დაუთმობს მამაჩემი?!

გაწევ-გამოწევის შემდეგ დავითანხმეთ, ოღონდ მაღლა არ ამოვალთ, მარანში დავილოცებით ფეხდგომელაო. მამაჩემმა თავი მოიკლა, მაგრამ შოფერი ვერ დაითანხმა, ეზოში ვერ შემოაყვანინა ავტობუსი.

სახელდახელო სუფრა გავშალეთ

მარანში, ქვევრს მოვაძრეთ სარქველი. თიხის ჯამებით დავლოცეთ ჩვენი ჰერი, ახალდაქორწინებულთა ბედ-იღბალი, ეს მშვენიერი ქვეყანა, ქართველი კაცის ღია გული, ღია მარანი, მიწის ბარაქა და ცის სიმშვიდე...

ბებიამ გაიხარა, იმასაც ველირსე, გიოს სტუმრები ავტობუსით მოსდიანო.

ერთი საათი მაინც გავაჩერეთ. ორიოდე სიმღერა მაინც შემოვძახეთ კარგი ხალხის გასაგონად.

გვეხვეწნენ, წამოდით, დაგვაფასეთო. დრო არა გვქონდა და ვერ წავედით, თორემ საბოსტნეს გამობარვასა და ვენახის სხვლას ქორწილი რომ სჯობია, ამას რა არჩევანი უნდა.

ჩვენიანების გაცნობის შემდეგ ზურაბმა მითხრა, როგორც შენ ამბობდი, ზუსტად ისეთები არ ყოფილანო.

დიდი მადლობით დაგვემშვიდობნენ.

დამშვიდობებისას კიდევ ვკითხე ზურაბს:

— შენ გვიან წამოხვედი, გეცოდინება, ახალი რა არის ჩვენს სასწავლებელში?

— ბევრი არაფერი.

— მაინც?

— რაღა მაინც, ჩვენს ჯგუფში რომ არის, გიგო ხუბულური, იმან ტრაქტორი უკან-უკან წაიყვანა, დროზე ვეღარ დაამუხრუჭა და შენი საცდელი სადგური გადათელა. ერთი კოკოლა აღარ დარჩა, ისე მოასწორა იქაურობა.

მეტი აღარაფერი უთქვამს, ავტობუსიც დაიძრა და წავიდა.

ეს რა დამემართა: რამდენს ველოლიავებოდი, რამდენს ველოდი და ერთბაშად არ მომწყვიტა წელი?! ჩავიდე ციხისთავში, ისე უნდა ვცემო, იმისი ღრიალი ცასა სწვდებოდეს! მერე გინდა გამრიცხონ და გინდა დამიჭირონ.

— რამ დაგაფიქრა, შვილო? — მკითხა მამაჩემმა.

— ციხისთავში მივდივარ.

— როდის, ბიჭო?!

— ახლავე.

— რა ამბავია?!

— ჩემს ვაზებზე ტრაქტორი დაუტარებიათ. ნახევარ საათში გურჯაანის ავტობუსი ჩამოივლის, მერე მატარებელზე გადავჯდები. უნდა წავიდე!

— როგორც გული გეუბნება, ისე მოიქეცი.

დედაჩემმა ბუზღუნით ჩამილაგა ტანსაცმელი ჩემოდანში. მიხო ისე იყო გაჯავრებული, რაღაც ნახევარ საათში ასჯერ გაწმინდა სათვალე.

ავტობუსში ასვლისას მამაჩემმა ფული ჩამიდო ჯიბეში, გქონდეს, გამოგადგებაო. მერე მითხრა, მარცხენა ხელი გამომიწოდე და თავი გვერდზე მიაბრუნეო. ასეც მოვიქეცი და საათი გამიკეთა მაჯაზე, ესეც გამოგადგებაო.

— მაგვიანდება, ვახტანგ. — შეახსენა შოფერმა.

— ეგ არაფერი, ცოტა ჩქარა წადი და აანაზღაურებ დროს. ჰკვიანურად მოიქეცი, — მარიგებს, — არ შემარცხვინო. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ დაიმსახურე და გეუბნები, შენი სასწავლებლის დირექტორი, ვახტანგი, ჩემი მეგობარია. ტელეფონითაც ვსაუბრობთ ხოლმე ერთმანეთთან და წერილობითაც. მიხარია, ყველა რომ გემადლიერება სასწავლებელში. მზია მომიკითხე, — გაეღიმა.

ხმა არ ამომიღია.

ყველანი დამემშვიდობენ ბუზღუნითა და საყვედურით...

გურჯაანში მატარებელზე გადავინაცვლე. თბილისში მატარებელი გამოვიცვალე და, გორს რომ მივუახლოვდი, მაშინ გამახსენდა: ზურაბი მეხუმრა. სადაც ვაზი დავრგე, იმ ადგილს ვეება ვაშლები აქვს შემოჯარული, შიგ სანაძლეოზეც ვერ შეიტან ტრაქტორს. ეს რა დოყლაპია ვარ, რატომ აღრე არ დავუკვირდი?! რაკი წამოვედი, ორი დღის გულისათვის უკან დაბრუნება აღარცა ღირს!

ეს ყველაფერი, რაც მოგიყევით, მატარებელში გამახსენდა. შეიძლება აქა-იქ თარიღები ამერია, მაგრამ იმედი მაქვს, დიდ ცოდვაში არ ჩამითვლით. ჩავლილი დროის თავგადასავალი კრიალოსანის მარცვლები არ არის, ერთმანეთს მიჰყვნენ რიგრიგობით. როდის რა ამოტივტივდება მეხსიერებაში, ჩვენც იმას ვყვებით ხოლმე დროის მოუნიშნებლად. გულწრფელად ვყვებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ თავთან მარტონი ვართ. მეც მგზავრობის სიმარტოვემ გამახსნევინა გული.

ვფიქრობთ, ვოცნებობთ, მზიანი მომავლისაკენ ვიხედებით. ჩემთვის გარკვეულია მოსასვლელი დღეები: ამ სასწავლებელს დავამთავრებ, მერეც ვისწავლი და ამაყად ვიცქი ქვეყანაზე. ხალხს ჩემი იმედი აქვს და, ადამიანი მერქმევა, ნაცარი რომ წავაყარო მათ იმედს?

მამაჩემს, ჩემს ოჯახს, არასოდეს ვეტყვი სამდურავს. ახლა ვერც წარმომიდგენია თავი ამ სასწავლებლის გარეშე. ისე აეწყო ყველაფერი, თითქოსდა, საბედნიეროდ, ასეც უნდა მომხდარიყო. მადლობელი ვარ იმ გზის, რომელიც მამაჩემმა მანიშნა, რომელზედაც ჩემმა სასწავლებელმა და მასწავლებლებმა დამაყენეს. თქვენც დაუჯერეთ მშობლებს, მასწავლებლებს, და, დამერწმუნეთ, არასოდეს ინანებთ. ისინი სიკეთისაკენ რომ გვიბიძგებენ, საკუთარი ბავშვობის, წარსული ცხოვრების შეცდომებს ითვალისწინებენ. ამას რომ გეტყვის კაცი, იცოდე, ნათელი გული აქვს და ბედნიერება უნდა შენი. უნდა ისეთ მამულიშვილად მოევლინო ერთ დღეს, ქვეყანასაც რომ გამოადგები და საკუთარ ოჯახსაც...

ყველანი მენატრებიან ახლა, ყველანი თუ დამიჯერებთ, ქიმიის მასწავლებელიც კი...

მატარებელი გორში შედის. გაზაფხულის საღამოს ბინდბუნდში იძირება გორის ციხე.

ერთი უნდა მოვიცალო და გორის ციხეზედაც ავიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერვიანი

კლდის ვეფხვი

ბიოგრაფიული რომანი

მოგვითხრობს ალიოშა ჯაფარიძე

...ხაუზმის შემდეგ დავიწყეთ გზის შერჩევა კლდეებში. მაგრამ ვერტიკალურ და სიპ კლდეებზე ძალიან ძნელია გზის დასახვა შორიდან. თვალი შევაჩერეთ ბუხრის მსგავსად შეღრმავებულ ადგილზე კედლის ქვემო ნაწილში. როდესაც ამ ბუხარს კარგად დავაკვირდით, შევნიშნეთ, ზემოდან ჩამოკიდებული თეთრი ხაზი. გამოვარკვიეთ, რომ ეს იყო თოკის ნაჭერი, დატოვებული ჩვენს წინარმობედთა მიერ.

ბუხრის დასაწყისთან რომ მივსულიყავით, საჭირო იყო კედელ-კედელ გავყოლოდით რაფას.

უკიდურესი სიფრთხილით გავიარეთ სახიფათო ადგილი და 10-15 მეტრის შემდეგ მივედით ბუხრის ძირში, სადაც ეკიდა შორიდან ჩვენს მიერ შემჩნეული თოკი.

თოკი სრულიად დამპალი იყო და ხელის ოდნავ შეხებაზეც კი იშლებოდა. ეტყობა, იგი დატოვებული იყო 1903 წელს, შუღლეს ჯგუფის მიერ. გარდა თოკისა, ბუხარში შევამჩნიეთ კედელში ჩარჭობილი რკინის პალო.

ბუხარი თითქმის ვერტიკალური იყო, მაგრამ კლდის მცირე შვერილების გამოყენებით მე, გიო და ალექსანდრა ავცოცდით მასზე. პირველი ბუხრის მერე ჩვენ მოვხვდით მეორე ბუხარში. აქ ვიპოვეთ კიდევ ორი პალო. პალოებზე თოკი დავამაგრეთ, ალექსანდრა იქვე დავტოვეთ, მე და გიო კი გავყევით რაფას კედლის გაყოლებით. გავედით მესამე ბუხარში, სადაც კვლავ შევამჩნიეთ კედელში ჩარჭობილი პალო.

ეს გარემოება თითქოს მიგვანიშნებდა გზაზე, და მე მყისვე დავაპირე ბუხარზე ასვლა, მაგრამ ჩვენი ცდა ამაო გამოდგა. დიდი ხნის შეუპოვარი მუშაობის შემდეგ იძულებული გავხდი უკანვე დავბრუნებულიყავი — ამ სიძნელის გადალახვა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ჩემს შემდეგ ბუხარზე ასვლა სცადა გიომ, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდა, და უკანვე ჩამობრუნდა.

ვინაიდან ყველა ნიშნის მიხედვით ეს ბუხარი ერთადერთ ასასვლელ გზას წააგავდა, მე და გიო თითქმის სამნახევარი საათის განმავლობაში ვცვლიდით ერთმანეთს და თავგანწირვით ვცდილობდით ზევით ასვლას, მაგრამ ჩვენმა შრომამ სულ უქმად ჩაიარა და იძულებული გავხდით უკან დაგვეხია.

გიომ იშოვნა მოხერხებული დრო და შეუდგა თავისი თეორიის გადმოლაგებას იმის შესახებ, რომ უშბის მწვერვალი მიუდგომელია, რომ „იმაზე არავინ ასულა, და ვინც ამბობს ავედიო, ცრუობს“ და სხვა ამგვარი.

დამარცხებულთა მძიმე განცდით დავბრუნდით უკან. ჩვენს შეგნებაში მთელი თავისი სიმწვავით ჩაისახა ეჭვი, რომ უშბაზე ასვლა მიუწვდომელია ჩვენი ძალ-ღონისათვის.

მერე რა შედეგი მოჰყვებოდა ჩვენს ხელცარიელ დაბრუნებას? მთელი ჩვენი ექსპედიცია დაცინვის საგნად გახდებოდა სვანეთში; იმის ნაცვლად, რომ აქაურთა შეგნებიდან საბოლოოდ გაგვედევნა ცრურწმენა ადამიანისათვის უშბის მწვერვალის მიუღწევლობისა, ჩვენი ცდის უშედეგო დამთავრება ზედა-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

მეტი საბუთი იქნებოდა ამ ცრუმორწმუნეობის განსამტკიცებლად.

უკვე სამი საათი იყო, როდესაც დაქანცულები გავედით ბუხართან, სადაც კლდესთან იჯდა ალექსანდრა. მან გვირჩია გზის მოძებნა ზევით. — თქვენს ცდაში — თქვა მან, — ქვემოდან ვათვალიერებდი ადგილს ამ კედლის თავზე და მე მგონია იქ შეიძლება ასვლა...

უფსკრულზე გადმოწეული კედლის სიმაღლე დაახლოებით სამ მეტრს უდრიდა. მე შევუყენე გიოს ბეჭი, შემდეგ ხელებითა და წერაყინით მოვეხმარე, რომ კედელზე ასულიყო. ერთი წუთის შემდეგ კი მოგვესმა გიოს გახარებული ყვირილი: „თოკი, თოკი! როგორც ჩანს აქ შეიძლება ასვლა!“

გიოს მხიარულმა ყვირილმა იმედები გააღვივა ჩვენში. დაქანცულობამ თითქოს გადაგვიარა და უკვე მზად ვიყავით განგვეგრძო იერიში, მაგრამ უკვე ოთხი საათი იყო, იაგორაც ქვევით იმყოფებოდა.

ერთად რომ მოვიყარეთ ყველამ თავი, იაგორამ და გიომ მოისურვეს სამხრეთი კედლის ძირში ღამისთევა. ალექსანდრამ არჩია აქვე მიბმულიყო კლდეზე, ბუხრის ძირში და ისე გაეთია ღამე. მე ძალიან მომეწონა ალექსანდრას განზრახვა. ბუხარში დარჩენით იგი ზოგავდა ენერგიას, რაც ტყუილ-უბრალოდ უნდა დახარჯვოდა რამდენიმე ასეული მეტრი ძნელი და სახიფათო გზის დასაძლევად „წითელ კუთხემდე“ და უკან.

ალექსანდრას დატოვებას კლდეებში მე მიკარნახებდა სხვა გარემოებაც. ჩვენ ხომ წინ უდიდესი და სახიფათო სიძნელეების გადალახვა მოგველოდა, რომელიმე ჩვენთაგანს კი შეეძლო ყოყმანი დაეწყო და სულაც უარი ეთქვა ასვლაში მონაწილეობაზე. ყოველ შემთხვევაში, განცდილ სიძნელეთა ზეგავლენით ზოგიერთ ჩვენთაგანს შეიძლება ეჭვი ჩასახვოდა ასეთი მძიმე და სახიფათო ასვლის მიზანშეწონილობაში, რომელიმე ჩვენთაგანს შეიძლებოდა ინტერესი დაკარგვოდა უშბისადმი. ეს კი უეჭველად დაასუსტებდა ჯგუფს ფიზიკურად და სულიერად. ახლა კი კლდეზე დატოვებული ალექსანდრა იმ ცოცხალ საწინდარს წარმოადგენდა, რომელიც ყოველად შეუძლებელს ხდიდა ჯგუფის რომელიმე წევრის უკან დახევას და ჯგუფს უკარნახებდა ყოველმიზეზს გარეშე გაეწანწალებინა უშბაზე შეტევა. ამგვარად უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი იყო.

მოგვითხრობს მისხეილ სერგიანი

— მთებთან ხუმრობა რომ სახიფათოა, ყველა მგსიმაღლემ კარგად იცის. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი რამ მოგვეტევება, მაგრამ მთაში მიმავალი ადამიანი უნდა განწმინდოს, განსპეტაკდეს ცოდვა-ბრალისაგან, ისე მთა არ მიიღებს მას. მთად მიმავალმა კაცმა სულიერი კათარზისი თუ არ განიცადა, ისე არაფერი გამოუვა ცისიერეთში, იმიტომ, რომ მთა გულზვიადია, ამაყი და მომთხოვნია, თავისდამფასებელია.

ზოგი გარეგნულად ისეთი მშვიდია, მამა აბრამის ბატკანი გეგონება. აი, მაგალითად, თეთნულდი. მას მეტსახელად „სვანეთის პატარძალსაც“ კი ეძახიან. მართლაც, რომ შეხედავ, საქორწილოდ მორთული დედოფალი გეგონება, ისეთი ლამაზი და მშვიდი, სათნო და მომხიბლავია. მაგრამ გავიხსენოთ 1929 წელს მის კალთებზე დატრიალებული ტრაგედია, როცა ორი შესანიშნავი ქართველი მთამსვლელი — სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი აღესრულა მის კალთებზე, და ადვილად დავრწმუნდებით, რომ მთათა სიმშვიდე მოჩვენებითია, მხოლოდღა მაცდური პოზაა...

და რა უბრალოდ დაიწყო ყველაფერი, მყინვარმა თითქოს ხუმრობა-ხუმრობით გაისტუმრა ორი ვაჟკაცი მოუსავლეთში.

გავიხსენოთ კიდევ ერთი გულდასწყვეტი ამბავი — შხარის კალთებზე დატრიალებული ტრაგედია. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ლამის სამშვიდობოზე გასულ გურამ თიკანაძეს სწორედ იმ ადგილას წამოეწეოდა სიკვდილი? ყოველივე ძნელადგასავლელი უკან მოიტოვეს, გულში თავისთვის გამარჯვებას ზეიმობდნენ მთამსვლელები და უცბად ყველაფერი ჩაუმწარდათ. ეს იმას ჰგავს, ომიდან მშვიდობით მობრუნებული ჯარისკაცი ალაყაფის კარებთან რომ მოიტეხავს კისერს, მაგრამ რას იზამ, ასეთია მთამსვლელის ბედი. ერთ ბეწო შეცდომაზე მთელი სიცოცხლით აგებ პასუხს. ყველაზე გულისდამწველი კი ალბათ ასეთი აღსასრულია, ასეთი უეცარი და მუხთალი აღსასრული.

ასეა თუ ისე, მწარე გაკვეთილები უამრავი გვქონდა ჭკუისასწავლებლად: მთამსვლელობის ისტორიის თვალისგადავლება იმიტომ არის კარგი, რომ იგი მოდუნებულ სხეულში მთვლემარე სიფრთხილის გრძნობას წამოაბატუნებს და გამოაფხიზლებს. ყველა დიდი და საპასუხისმგებლო ასვლების წინ არც ერთ მთამსვლელს არ აწყენდა მისი აწ გარდაცვლილი, ან რაღაც სასწაულით გადარჩენილი კოლეგების, ამხანაგ-მეგობრების მიერ დაშვებული შეცდომების კიდევ ერთხელ გახსენება, თვალის გადავლება, გონებაში წარმოსახვა, რათა თვითონაც შესძლოს იმათი თავიდან აცილება, ამიტომაც იყო, რომ უშბაზე საიერიშოდ მზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. უშბა ხომ არც თეთნულდი იყო და არც რომელიმე სხვა მცირე მწვერვალი კავკასიონისა. ჩვენს „სარკეზე“ ხომ ჯერ ადამიანის ფეხი არ შემდგარიყო, ძეხორციელის გამოსახულება არ

არეკლილიყო. ჩვენ ვიქნებოდით მისი პირველი მეკვლეები, დაუპატიჟებელი სტუმრები და ვინ უწყის როგორ მიგვეღებდა, რა მასპინძლობას გაგვიწევდა იგი?

რამდენიმე წლის წინ მე და ცნობილმა საბჭოთა მთამსვლელმა მიშლიაევმა პირველებმა განვიზრახეთ „უშბის სარკის“ იერიში, ავედით კიდეც უნაგირაზე, რათა ახლოდან შეგვეხედა და დაგვეთვალიერებინა იგი.

— მუხთალია... — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მიშლიაევმა, — ეგრევე ეტყობა, რომ ბოროტგანზრახვებისაგანაა ალეწილი...

— ასე ფიქრობ? — უფროსი მეგობრის ნათქვამში დაეჭვება ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა ჩემის მხრიდან.

მიშლიაევს უსიამოვნოდ შეეჭმუხნა წარბები, მრეში, მოწუენილი თვალები კედლისთვის არ მოუცილებია, ისე გაიმეორა ნათქვამი:

— მზაკვარი რომ არის, ეგრევე ეტყობა, ხედავ, როგორ ლაპლაპებს?

ერთი კილომეტრის სიმაღლის „მოშალაშინებულ“ კედელს მზე მოსდგომოდა და მისი ანარეკლი თვალებში გვეცემოდა. „უშბის სარკე“ სულთამხუთავად აუუდებულიყო ჩვენს ცხვირწინ. რაღაც უმწეობისა და უსუსურობის გრძნობას მოეცვა ჩვენი არსება. მაგრამ ალბათ ამიტომ — მით მეტი იყო წინააღმდეგობის გაწევის, პირისპირ შებმისა და შერკინების სურვილი. არასოდეს დამავიწყდება ის წუთები. უცბად ვიგრძენი, რომ მთელი სხეული მიცახცახებდა, ასე ხშირად დამმართნია სარაიონო შეჯიბრებებზე, საჭიდაოდ რომ გამოვდიოდი. მას მერე მსგავსი გრძნობა არ განმიცდია. რომ გამოვერკვიე და გონს მოვეგე, თვალები კვლავ კედელზე მქონდა მიშტერებული, გონებით ხელჩასავლებ ღრეჩოებს. ასასვლელ მონაკვეთებსა და ღამისსათევ ბაქნებს ვეძებდი და ვიწიშნავდი. მაგრამ არც ერთი იყო და არც მეორე, მესამეზე, ღამისსათევ ბაქანზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, მაგრამ გონება გაცხოველებული მუშაობდა, თვალით ახლა საპალოე ადგილებსა და გასავლელ მეტრებს ვითვლიდი და ვანგარიშობდი. რამდენ დღეს მოვუნდებოდით სარკის დალაშქვრას? ერთი... ორი... სამი... ოთხი... — სულ რვა ღამისთევა გამოვთვალე. მერე კოლეგისათვის რომ გამეზიარებინა ჩემი ფიქრი, მისკენ შევტრიალდი, მაგრამ მიშლიაევი იქ აღარ იდგა. ნაფეხურებს გავაყოლე თვალი და რამდენიმე მეტრზეღა დავაწიე მზერა. იგი დაბლა ეშვებოდა. საკუთარ თავზე გამეცინა, მაინც რანაირად ვაპირებდი მარტოხელა კაცი ამხელა კედელთან შებმას? განა სულელური არ იყო ჩემი საქციელი? გამეცინა და მყისვე უკან გამოვდიე ამხანაგს.

„— ახალბედა ხარ, გამოუცდელი, უფროსს დაუჯერე“, — ჩავილაპარაკე გულში, მიშლიაევი რამდენიმე ოქროს მეღღის მფლობელი გამოცდილი, ერთ-ერთი უმამაცესი მთამსვლელი იყო. ამხანაგებში და ალპინისტთა წრეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ახლა კი მე თითქოს იმის ვაჟკაცობასა და შეუპოვრობაში შემჭონდა ეჭვი. ეს ეჭვი იყო ალბათ, უკან რომ მეწეოდა და მექაჩებოდა მწვერვალისაკენ, უშბას თითქოს თავისი უხილავი ხელი მოეხვია ჩემთვის და არ უნდოდა გაშვება, თავისკენ მიმიხმობდა.

„ერთი სცადე, იქნება რამე გამოგივიდეს!“ — დამცინოდა იგი. მთელი სხეული თოვლის გუნდასავით შემეკრა, არ ვიცი, იმ წუთში კრიჭის გახსნა თუ შემეძლო. ერთიანად უშბასთან შებმის ჟინს მოეცვა ჩემი არსება და კიდევ — სირცხვილის გრძნობას: ეს საპირისპირო განწყობილებები ბუღრაობდნენ სხეულში. — ორი თავმომწონე ვაჟკაცი ლაჩრულად იხევდა უკან, შინისაკენ მიჩანჩალებდა ზაფრადაცემული, სახლისაკენ მიეშურებოდნენ რათა თბილ საწოლებში ჩათბუნებულიყვნენ. ტკბილი სიზმრები ეხილათ...

— სიცოცხლე როცა მომბეზრდება, ჩრდილოეთი უშბის განაცხადს წარვადგენ ალპინიზმის ფედერაციაში და ამ დაწუევლილ სარკეს მოვადგები კიდეც... — ღაარღვია დუმილი სრულიად დამშვიდებულმა მიშლიაევმა, — მანამდე კი ერთი დიდი სურვილი მაქვს, ჩათინთაუს მინდა შევუტიო...

„ჩაიშალა, უველაფერი ჩაიშალა... მორჩა, გათავდა....“ — ვფიქრობდი მთელი გზა და არა მარტო იმ დღეს, მერეც სულ ვფიქრობდი „უშბის სარკეზე“. რამდენჯერმე დავაპირე კიდეც, კვლავ შემეხსენებინა მიშლიაევისათვის ჩრდილოეთი უშბის დალაშქვრა. მაგრამ შემდგომ წელს ჩათინთაუს მწვერვალიდან ავბედითი წითელი შუშხუნა გაეკრა ზეცას... ვიცოდი, ამ რაიონში მისი თექვსმეტკაციანი ჯგუფი მოქმედებდა. რაღაც ავი მიაზრა იმ წუთში გულმა. ამჯერად გუმანს სამწუხაროდ არც ჩემთვის უმტყუნებია: რამდენიმე დღის შემდეგ მიშლიაევი და კიდევ ჯგუფის რამდენიმე წევრი ჩამოვასვენეთ მესტიაში. ამ დაუდევარმა ადამიანმა მხოლოდ ერთი წლით გადაივადა სიკვდილი. იოლი გზის მაძებარი არასოდეს ყოფილა. მაგრამ უშბაზე გაცილებით „მშვიდმა“ ჩათინთაუმ რატომღაც არ დაინდო იგი; გამოცდილმა კაცმა რა შეცდომა დაუშვა, რომ ასე მკაცრად დასჯა მისმა საყვარელმა ჩათინთაუმ? მითუმეტეს, მიშლიაევმა ხომ მშვენივრად იცოდა მონადირული და ამ შემთხვევაში ალპინისტური თქმა — „სადაც არ ელოდები, იქ უფრო გმართებს სიფრთხილეო...“

უკვე სხვა გზა არ დამრჩენოდა. ახალი ამხანაგები უნდა მეძებნა, ახალი სწორფერანი და თანამგრძნობნი ამ სარისკო და საძნელო საქმეში. ერთობ საოჭოფო და სათუო კი იყო — სიკვდილმობნეულ ბილიკებზე სამოგზაუროდ უნდა მომეხმო და გამეყოლებინა ქვეყნის წინაშე ალალმართალი, უღანაშაულო ადამიანე-

ბი, რომელთაც ჰქონდათ დიდი ოჯახები, ჰყავდათ ცოლ-შვილი, და-ძმები და ნათესავები... ვისთან ყოფნაც ასე უხაროდათ, ვისთან დაშორებაც ასე ეძნელებოდათ...

მაგრამ მათს აყოლიებას, მათს მხარში ამოდგომას მოითხოვდა არა მარტო ჩემი პირადი ინტერესები და რაიმე ძველი ანგარიშები უშბის მიმართ, არამედ საქართველოს ალპინისტთა ინტერესები, და კიდევ ის, რომ ისინი ყველანი მთამსვლელები იყვნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და არაერთი სავალალო ინციდენტისა და მარცხის შემდეგ საჭირო იყო დიდი, საყოველთაოდ აღიარებული გამარჯვების მოპოვება; ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ წინადადებით მივმართე ჩემს უახლოეს ამხანაგებს — შალვა მარგიანს, ჯოკია გუგავას, გივი წერედიანს, ჯუმბერ კახიანს, შალვა ახვლედიანს, შოთა ჩართოლანს, მიხეილ ხერგიანს (უმცროსი)... ალბათ სწამდათ და სჯეროდათ ჩემი, ესმოდათ საქმის სირთულე და მისი მნიშვნელობაც. არცერთმა არ დაიხია უკან. ყველანი ერთხმად ამომიდგნენ მხარში. ყოველგვარი ჭოჭმანისა და „შინ შევეკითხების“ გარეშე განაცხადეს თანხმობა. ეს იყო 1959 წელს, მაგრამ არც მაშინ, არც მომდევნო წლებში ჩვენს ერთობლივ სურვილს აღსრულება არ ეწერა. უშბის სარკეზე შეტანილ განაცხადს სხვადასხვა მიზეზების გამო არ ამტკიცებდნენ.

1964 წლისათვის კი, როგორც იქნა, გამოცხვა დიდი ხნის ნალოლიავები კვერი და ჩვენ მთელი მონდომებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით შევუდექით სამზადისს.

ალიოშა ჯაფარიძე

„...31 აგვისტოს ადრიანად ავდექით და შევუყევით ნაცნობ გზას. დილის ათ საათზე უკვე ალექსანდრასთან ვიყავით ასული, რომელსაც ჩინებულად გამოეძინა და სავსებით მხნედ გრძნობდა თავს.

ზედა რაფაზე მცირეოდენი დასვენების შემდეგ გიომ ბეჭი შემიყენა რათა იმ კედელზე ავსულიყავი, სადაც ამგვარივე წესით გუშინ თვითონ აცოცდა. თოკის დახმარებით მე სხვებიც ამომყვნენ.

თუმცა დიდი სიძნელით, ერთ ხანს მაინც დაუბრკოლებლივ მივდიოდით, მაგრამ ჩქარა ისევ ჩიხში მოვექეცით. მარჯვნივ და მარცხნივ სრულიად ვერტიკალური კლდეები იყო აღმართული. მდგომარეობა გუშინდელის მსგავსად თითქოს გამოუვალი იყო.

მაგრამ უბრძოლველად უკანდახევა არ შეგვეძლო.

ყველა შესაძლებლობა მოვსინჯეთ, რომ როგორმე დაგვეძლია ვერტიკალური კლდეები. მეც და გიოც ვცდილობდით ხან მარჯვნივდან, ხანაც მარცხნიდან აგვევლო მაღთვის, მაგრამ ამაოდ — ვერავითარ გამოსავალს ვერ ვპოულობდით, მეტი გზა არ იყო, იერიში უნდა მიგვეტანა მესამე კლდოვან ღარზედაც.

ეტყობოდა, არც ერთი ჩვენი წინამორბედი არ ასულა ამ ღარით, მაგრამ ამ გზის ძებნას რომ შევდგომოდით, რომლითაც მათ ამ ადგილს გვერდი აუარეს, დიდი დრო დაგვეკარგებოდა. ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტეთ უკან არ დაგვეხია უკანასკნელ შესაძლებლობამდე და ვცდილიყავით კედელზე ასვლას.

მთელი საათის განმავლობაში მე და გიო ვცვლიდით ერთმანეთს და თავგამოდებული ვერიში მიგვქონდა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. კლდის გლუვი ზედაპირი ვერაფრით ვერ დავძლიეთ. აუწერელი ჯაფა დაგვადგა და ძალღონეც თითქმის სრულიად გამოგველია. საჭირო იყო თავი დაგვენებებინა ცდებისათვის...

მაგრამ აი, ერთი უკანასკნელი და გადამწყვეტი შეტევაც — გიო ჯაბრალებს იხდის და ფეხშიშველი ცდილობს გლუვ კედელზე აცოცებას. მისი ცდა შედეგს აღწევს — შიშველი ფეხები კედელზე მაგრდება, გიო მიცოცავს ზევით, თითქმის ღარის ნახევრამდე და ასწრებს კლდის ბზარში რკინის პალოს ჩარჭობას. ამით გადაწყვეტილი იქნა ჩვენი ასვლის ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანი. კედელი, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დავძლიეთ....“

მიხეილ ხერგიანი

— რა დაგრჩათ კლდეებზე, მიწაზე ვერ დაეტევით? თავს რაზე იკლავთ? — ხშირად მსმენია საყვედური, განსაკუთრებით ძნელი, ტრაგიკული ასვლების მერე გვხაყვედურობენ ხოლმე. ნათესავ-მეგობრებს ვეცოდებით და თავიანთ გულისწყრომას იმის გამო, რომ ჩვენ კინაღამ გადავიჩეხეთ, ან გავიყინეთ, ასე გამოხატავენ. რა თქმა უნდა, ძნელია პასუხის გაცემა. ასეთი პრაქტიკული თვალსაზრისით თუ მივუდგებით ამ საკითხს, მართლაც და რა დარჩენია ადამიანს უკაცრიელ მწვერვალებზე? მიდი და აუხსენი თუ კაცი ხარ, აუხსენი და დაარწმუნე, რომ დარჩენა-არდარჩენა აქ არაფერ შუაშია.

გაახსენე, ამ სალხს 1942 წლის კავკასიონის ბრძოლები, როცა გადამწყვეტ როლს სამთო ოსტატობა და ალპინისტური ხელოვნება ასრულებდა. გაახსენე ბექნუ და გაბრიელ ხერგიანების, მაქსიმე გვარლიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, გოჩი ზურებიანის, ილიკო გაბლიანისა და სხვა ქართველი მთამსვლელების სასახელო საქმეები კავკასიონზე, იქნებ მაშინ შეგეშვან და თავი გაგანებონ... მაგრამ ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა.

ჩემთვის, მაგალითად, ყოველი დაუპყრობელი მწვერვალი აუხსნელი, კონკრეტულ საგნად ქცეული ოცნებაა, მიზანია, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს ასულდგმულებს და ამოძრავებს, შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის

ალმართული სამანია და შენ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გინდა დაიმორჩილო იგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, გინდა აიხდინო წმიდათაწმიდა ოცნება, გულისწადილი შენი. განა მაგაზე საპატიო საქმე არსებობს რაიმე ამ ქვეყნად? მე არა მაქვს მხედველობაში მაინცდამაინც მთამსვლელის მიერ რომელიღაც მწვერვალის დაპყრობა, მე ვგულისხმობ ოცნების, მიზნის აღსრულებას საერთოდ, რასაც იშვიათად აღწევს ხოლმე ადამიანი. რა თქმა უნდა, ძნელია, ძალიან ძნელია. ეს არის დღენიადაგ ბეწვის ხიდზე სიარული, ხიდზე, რომელიც მორყეულია, ქანაობს და შეიძლება ამ წუთში ჩატყდეს, შეიძლება ცოტა მოგვიანებით, ეს ეშმაკმა უწყის! ალბათ ამიტომ არის, რომ მთამსვლელი, რომელმაც საექსპედიციო თადარიგი დაიწირა, ტყავის ბურთივით დაჭიმული, დაკუმშულია; შინაგანი, ქვეშეცნეული მღელვარება ძაბავს და აჭანდაკებს მას. მთამსვლელებს სიტყვაძუნწობასაც უსაყვედურებენ ხოლმე. სიტყვაძუნწი ხალხი რომ არის, ეს მართალია. აბა სცადეთ და რომელიმე ხელოვანს ეწვიეთ თავის სახელოსნოში, როცა იგი გაცხარებული მუშაობს. საუბარს გაგიბამთ კი არა, შეიძლება კარიც კი მოგიხუროთ, ასევეა მთაშიც. მთა ალპინისტისათვის იგივე სახელოსნოა; მართალია, აქ ქანდაკება არ იძერწება, მაგრამ ისეთივე შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს; მხატვარივით, მწერალივით რაიმე ხელშესახებს. კონკრეტულს არ ჰქმნის, ერთი შეხედვით, მარტივ საქმეს ასრულებს: ადის მწვერვალზე და ეშვება მწვერვალიდან, შეიძლება ნაფეხურებიც არ დარჩეს მისი; ვერავისთან ვერ დაიტრაბახებს, ამდენი ოფლისღვრის შედეგად ეს შევქმენი, ის შევქმენიო. მაგრამ სიცოცხლე? სიცოცხლე, რომელიც უვნებელი, მთლიანი დაბრუნდა ბარში? ამ სიცოცხლეს ხომ იგი დაატარებდა სიკვდილიან ნაპრალებს შორის, ეზიდებოდა თვალშეუვლებელ ქარაფებსა და ქიმებზე. მან განაცდევინა გამარჯვების სიხარული და სიძაძე შეჰმატა საერთოდ ადამიანის სულს: მთამსვლელის დაპყრობილ მწვერვალებს, ამ სიცოცხლეს, ამ სულის სიდიადეს სხვები დაინახავენ და წაიკითხავენ, როგორც სიმამაცის, სიყვარულისა და ძლიერების წიგნს. აი, ამ მომენტში იგი უკვე ახლოს არის ხელოვანის შემოქმედებასთან. ჭეშმარიტი მთამსვლელი არასოდეს მიატოვებს მთას, ისევე, როგორც მეზღვაური — ზღვას და პოეტი — ლექსის წერას. არ მიატოვებს ვიდრე არ გამწყდარა მისი ჯაჭვი. მერე კი...

დაძაბულობასა და გაჭირვებას ყოველთვის ადათილებს და ანაზღაურებს გამარჯვების სიხარული. ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღლია!

გოჯი ზურებიანი: ვეშვებოდით მწყობრად, როგორც თანქარღნი

1943 წელი... ზამთარი. უკან დარჩა უშბის ქალთებზე ჩვენს მიერ დიდის წვალებით გამართული ათამდე ნაბინავარი. უკან დარჩა კოშმარული ღამეების წყება... და რაღა მხოლოდ ღამეები... დღეებიც. ისინი კვირა-ორშაბათის მთვარესავით წაგავდნენ ერთმანეთს. თითქოს დანარჩენი სამყარო უფსკრულში ჩაიჩეხაო და მხოლოდღა ჩვენ შემოვრჩით უშბის ქარაფს, რაღაც ბედად თუ უბედობით — ერთადერთი, რისი არსებობაც ჩვენ ყოველწამს შეგვახსენებდა ხოლმე თავს, ეს ავბედითად დატრიალებული ქარბორბალა იყო, გრანიტოვან შვერილებზე რომ იფხრიწებოდა, ქარბორბალა, რომელიც თოვლში ჩამარხულ კარავშიც მოძვრებოდა და თითოეულ ჩვენგანს თავის აშარ ხელებს გვიფათურებდა სულში, სხეულში...

და კიდევ იყო მეორე საშინელება — შიმშილი. თავისი უხილავი, წახნაგოვანი ბრჭყალები რომ ჩაეცლო ჩვენთვის და დახრჩობას, მოგუდვას გვიპირებდა. მოჩვენებები არ გვასვენებდნენ, თვალწინ გვედგა სადღაც შორეულ მიწაზე დატოვებული დღესასწაულები, ლხინ-ქეიფები და დღეობები, უშველებელ სპილენძის ქვაბებში მოთუხთუხე ნახარში და ტაბაკებზე ჩამორიგებული, მეხორცეთა მიერ მსხვილად დანაწილებული მსუქანი ულუფა, მეწღეთა მიერ პირის გასახსნელად ჩამორიგებული თითო კათხა წინწინაქარი... და რაღა არა... აუ, რა მაცდუნებლად მოჩუხჩუხებდნენ სანეტარო მუავეწყლები. ვეძა-სგიმები შიხრისა და მესტიისა, მულახისა და კალისა... მჟავეწყლები, რომელთაც დუცის მომჟავო გემო წაჰკრავდათ და სხეულში მაცოცხლებელ ნექტარად იღვრებოდნენ.

მერე ჩვენი უსაგნო ფარფატი მოჩვენებათა სამყაროში ერთი აკვიატებული სურათით მთავრდებოდა: უფსკრულებში მიფრიალებდა მუხინის ზურგჩანთა, რომელიც მას ქარმა მოსტაცა, და რომელშიც გვჭონდა ხორაგეული, შავი დღისათვის შემონახული პური არსობისა.

ამის მერე მარტო ალიოშას იმედით ვიყავით. მომჭირნეობით გადანახული თავისი წილი ულუფიდან იგი შოკოლადის ნატეხებს გვირიგებდა ილაჯმიხდილთ.

ახლა ერთად მივაბიჯებთ ყველანი. ახლა ჩვენ ვგავართ მეუდაბნოეთ, რომელთა გამოფიტული სხეული მთელი თვეა უწყლო ჭვიშრობებსა და ბარხანებში დაეხეტება და ჰა, შორს, სადღაც ცის დასალიერთან მოჩვენებასავით დალანდეს ოაზისთა მწვანე ანაბზინი და აი, სანეტარო სიმწვანის ხილვით აღტყინებული მათი სული გაშმაგებული მიიჩქარის იქითკენ...

და აი, ჩვენ კვლავ აქა ვართ, ადამიანთა მი-

წაზე; რამდენიმე ნაბიჯიც და თბილად მოგუზგუზე კერიასთან დავეყრებით, სადაც სვანური ხაჭაპურების ოხშივარი და თეთრი გომეჯების მადისაღმძვრელი სურნელება დატრიალდება. ცოტაც და თოვლის ექვსეული გალხვება, მხრებიდან ჩამოიბერტყავს ფანტელებს და მალე უველა მათგანის სხეულში მწვანე გაზაფხული დამკვიდრდება...

ცოტაც და...

ჯერ კი წინ გზა გვიდევს; გზა, რომელიც არ ცვაშინებს, რომელსაც დავძლევთ, რადგან უარესი უკან მოვიტოვეთ. ეს გზა არარად გვიჩანს... მხოლოდ მოთმინება, კიდევ მოთმინება, მოთმინება...

— ეს რა ემართება რაიზერს, რას სჩადის! დაუშალეთ, რომ მეტად აღარ მოხვეტოს ცივი თოვლი და...

— დაუშალეთ, თორემ მერე გვიან იქნება, ჩაარტყით ხელში, რომ თოვლს აღარ დასწვდეს, ამოანთხევინეთ პირიდან, თოვლის ნაუური... ნუ დაიშურებ მისთვის მცირე სამსახურს, ჩაარტყით თოვლიხვეტია ხელზე...

ახლა კი მივაბიჯებთ როგორც თანასწორნი. ერთ თოკზე გადაბმულნი, ერთ ფიქრზე ამოცმულნი, ერთი იმედით აღტკინებულნი. ერთი... ორი... სამი... ექვსი კაცი მოკვალავს გზას შინისაკენ, ადამიანთა მიწისაკენ. მაგრამ ჯერ კიდევ დარჩა, ჯერ კიდევ არის ხრამები და ნაპრალები, თოვლისაგან შენიღბულ-დამალული; ამ თოვლში ჭიანჭველებივით ვფუთფუთებთ და ვირევით.

— მოვდივართ. მოვდივართ. პეი, ვინა ხართ, სადა ხართ. თქვენთან მოვდივართ. ასე გულდაგულ მოვისწრაფვით და თქვენ კი აღარსადა ჩანხართ...

ᲥᲚᲛᲐᲪᲕᲘᲠ ᲙᲕᲘᲪᲘᲐᲜᲘ: ᲨᲕᲘᲓᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲓᲝᲑᲐᲠᲘ...

— არ მახსოვს ერთ კვირაში ამდენი თოვლი ჩამოეტანოს. და არც არავის არ ახსოვს ლომის ხეობაში მსგავსი რამ. იმდენი ითოვა, იმდენი ითოვა, რომ სახურავები და გზათაპირები ერთმანეთს გაუთანაბრდა. სახლებსა და ეზო-გალავნებში შესასვლელები „საიქიოს შუკებს“ დაემსგავსა. ზოგან შებოლილი სახურავები ჩაიქცა; მეზობლის ახმახი ვაუკაცი სახლის გადათოვლისას ყავარ-ხიდებს ჩაჰყვა თან და ნანგრევებიდან ძლივს გამოვიყვანეთ დახაჩირებული და გაციებული. კავკასიონს გადაღმა ომი მძვინვარებდა, და ითქოს სოფელში დარჩენილი ბებრებისა შურდა ბუნებას, ყოველის წამლეკავი ქარტეხილი დაატეხა თავს. ბეჩომაზრელებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ 1943 წლის შემოდგომა. მაინც რამდენი თოვლი ჩამოყარა უცბად. ქელეხსაც თოვლიან მოედანზე ვიხდით. სოფლებიდან მოზღვავებული შაოსანი ხალხი ბარებითა და ნიჩბებით შეიარაღებული მოდიოდა.

შაოსანი ხალხი... რა უცნაური სანახავი იყო თოვლგადახვეტილ მოედანზე გამართული ქელეხი. თითქოს თეთრი და შავი ფერი ებრძოდა ურთიერთს, შავი ზედ დააბიჯებდა თეთრსა და ფეხქვეშ თელავდა, მაგრამ თეთრი მაღლით მოიფრქვეოდა და მოიბარდნებოდა. ეს ადამიანები კავკასიონის ძაგძაგს გადაურჩნენ, მტრის ურდოები ჩაჩუმქრეს ძიუვალ ხეობებსა და გადასასვლელებზე, მაგრამ ახლა თეთრი რისხვა მოდიოდა მაღლიდან...

ერთი ვაუკაცი უკვე იწვა სარეცელზე, დიდთოვლობის მსხვერპლი! ხალხი გაოგნებული დასჩერებოდა მის გაყინულ სახეს და რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა. მახვშები, ნაბდის ქუდიანი მოხუცები წამდაუწუმ გამოდიოდნენ გარეთ და ზეცას ააშტერებდნენ სისველეგამჭდარ თვალებს — იქნება პირი იცვალოს ამინდმაო. მაგრამ არ ჩანდა არსიდან შველა, არსიდან ნუგეში...

მერე ერთს ჩრდილოეთისაკენ გაიხედავდნენ, მაგრამ სად იყო ჩრდილოეთი? თეთრად დაბარდნილი თოვლიანი ველები მოჩანდნენ ყოვლის მხრივ. მოხუცები, და არა მარტო ისინი, მუხლმორთხმულნი ეაჯებოდნენ ზეცას, ერთი ნაბდისქუდიანის დანაკლისი ეკმარებინა ხეობისათვის. მშვიდობით მოებრუნებინა უშბაზე წასული ვაუკაცები...

მერე თოვლში სამარე გავთხარეთ. ნანგრევებს მოყოლილი ვაუკაცი წავასვენეთ სვანური სამგლოვიარო ზარის გუგუნით. არასოდეს არ მსმენია ასეთი შემზარავი ზარი, და არც არავის სმენია ლომის ხეობაში მსგავსი მოთქმა, იმიტომ რომ მთელი სოფელი ტიროდა, იმიტომ რომ ისინი ერთბაშად შვიდ ვაუკაცს დასტიროდნენ, ერთის კუბოს მიასვენებდნენ და ექვსი მკვდარი იქ ეგულებოდათ მრისხანე უშბაზე, საიდანაც ამინდიანობაშიც კი იშვიათად ვინმე დაბრუნებულა სად-სალამათი, იმ ექვსეულისაგან კი, კვირაზე მეტია, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჰო და, ახლა შვიდეულს დასტიროდა სოფელი, ჯანღონით სავსე ვაუკაცებს გლოვობდა.

მერე შესანდობარი დაილია იმათი, უველახე ერთად. შესანდობარი ალიოშა ჯაფარიძისა, ქელეშში ონიანისა, გოჯი ზურებიანისა, მუხინისა, რაიზერისა და ტელემაქ ჯაფარიძისა. ექვსიდან სამი აქაურები იყვნენ, ადგილობრივი. ლომის ხეობისანი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა ამჟამად, გლოვობდნენ უველას ერთად, რადგანაც მთამსვლელთა შორის გარჩევა არასოდეს არ იყო; შინაურ-გარეული, უველა ვინც მთას ებრძოდა, სიმაღლეები იტაცებდა, მზეს ესწრაფოდა, ერთნაირად საყვარელი იყო მთათა მკვიდრთათვის, ერთნაირად დასაფასებელი...

და სწორედ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: მოდიან, მოდიანო... ქელეხის ხალხი აიშალა, აიშა-

ლა და ჩრდილოეთით თოვლიან მინდვრებისაკენ დაძაბა მზერა, სადაც თითქოს ღრიანკალივით მოფუთფუთებდნენ შავი წერტილები...

— მოდიან... მოდიან... — გაისმა იმედიანი ხმა. ისინი მწყობრი ნაბიჯით, ერთიმეორის მოყოლებით მოდიოდნენ. მოკვალავდნენ თავიანთ გრძელ და მძიმე ბილიკს. როგორც ტოლნი და თანასწორნი...

წინ ტელემაქ ჯაფარიძე მოუძღოდათ, ბრგე, ახოვანი ვაჟკაცი. ტელემაქს რაიზერი მოჰყვებოდა. მერე კი სხვები.. ყველანი იღიმებოდნენ. ხიფათი გამოვლეს და უხაროდათ. მხოლოდ მერე, თბილ კერიას რომ შემოუსხდნენ, მაშინღა დაიკვნესა ტელემაქმა, დაიკვნესა და წაიქცა. ზღართანი გაადინა იატაკზე. როგორც გაზაფხულზე ლოლუები წყდებიან სახურავებიდან, თითქოს ისე დაულხვა და გასძვრა ბრგე ვაჟკაცს კოშებამდე მოყინული ფეხები... ტელემაქმა ერთი უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს თავიხი, ამ ერთადერთი ამოოხვრისა შერცხვაო, სახეზე სიწითლის ალმურმა გადაუარა...

სხვები გამოერკვნენ, ვეღარაფერი გაეგოთ, რა ხდებოდა—მათ წინ იწვა „ფეხმკვდარი" ადამიანი, რომელიც მთელი გზა წინ მოუძღოდა ჯგუფს და ყველაზე დიდი ზურგჩანთა ეკიდა. ახლა კი იგი იატაკზე გაშოტილიყო. რაიზერმა ხმა ვეღარ ამოიღო, მან ერთი ამოილუღლუღა და დადუმდა, მერე კი ხრიალი აუვარდა, ხრიალი, რამაც შემდეგში ერძნობა-გონება დაუბნელა სამუდამოდ...

უშბა კი... ზეიმობდა გამარჯვებას.

მეზამთრეებიც თავიხ მხრივ ზეიმობდნენ მწვერვალზე გამარჯვებას.

მხოლოდ რაიზერი აღარ იყო მამაცი ექვსეულიდან ამ ქვეყანაზე.

* * *

— ალიოშა ჯაფარიძის, როგორც მთამსვლელის ერთადერთი ნაკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის იყო რომ მან უკანდახევა არ იცოდა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, იგი შეუპოვარი სიჯიუტით ესწრაფვოდა გამარჯვებას, ბოლომდე რჩებოდა ბრძოლის ველზე. „გამარჯვება ან სიკვდილი" — ეს სიტყვები ალიოშა ჯაფარიძის დევიზი იყო. და არც აროდეს უნახავთ იგი დამარცხებული. მხოლოდ 1945 წლის შემოდგომაზე, ერთხელ მთელი მისი სპორტული ცხოვრების მანძილზე, არ გაუმართლა ბედის ვარსკვლავმა. საუკუნოდ ემსხვერპლა თავის სათაყვანებელ უშბას, გვიან შემოდგომაზე გასულმა სამკაციანმა ჯგუფმა უამინდობის გამო ზედიზედ ექვსი ღამე ათია მწვერვალზე, მეშვიდე ღამეს კი ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა ქარბუქმა სამუდამოდ აღგავა მათი კვალი მიწის პირისაგან — ალიოშა ჯაფარიძე, ქელეშბი ონიანი და მუხინი. მამაცი სამეული თავიანთ კარავთან ერთად უშბის მარადისობას შეერწყა.

1946 წლის აგვისტოში უშბის მწვერვალზე დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილი ჩრდილოეთი უშბის ექსპედიციის წევრებმა — გაბრიელ ბერვიანმა, ბექნუ ხერგიანმა, გოჯი ზურებიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა, მაქსიმე გვარლიანმა, ალექსანდრა ჯაფარიძემ ივანე მარის ხელმძღვანელობით რამდენიმე ღირსსახსოვარი ბარათი ჩამოიტანა მრიხხანე უშბიდან. ეს ბარათები გვამცნობენ, თუ რა გაჭირვება ადგა მამაც სამეულს და მაინც რა ვაჟკაცური შემართებით მიიწევდნენ ისინი მიზნისაკენ...

„საქ. ალპური კლუბის ჯგუფი:
1. ალიოშა ჯაფარიძე (ხელმძღვანელი).
2. ქ. ონიანი
3. ნ. მუხინი

ამოვედით უნაგირაზე კოკინის გზით გულის მყინვარ ვარდნილით. ძლიერი ქარბუქის გამო ვათიეთ უნაგირაზე 6 ღამე. ამინდის გამოუკეთებლობისა და საკონტროლო ვადის (6 X) მოახლოვების გამო სამხრეთ უშბაზე ასვლას თავი დავანებეთ და ცუდი ამინდის პირობებში ამოვედით ჩრდილოეთ უშბაზე და ვეშვებით უშბის პლატოსაკენ. ღამეს ვათევთ თვით მწვერვალზე.

მწვერვალზე ვნახეთ ა. მალეინოვის ჯგუფის ბარათი დათარიღებული 1940 წლის 7/IX.

ჩვენ კარავში ვართ, გარეთ ძლიერი თოვაა. ხვალ აუცილებლად უნდა ვიყოთ უშბის პლატოზე. დავიწყეთ ჩასვლა 6/X 12 საათზე, მიუხედავად ქარბუქისა..."

ეს იყო მამაცი მთამსვლელების უკანასკნელი ხმა. ვაჟკაცური გადაძახილი თანამოძმეთა გასაგონად, უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი სიტყვები თოვლით განსპეტაკებულ სიმაღლეებთან, ქვეყნიერებასთან.

მაგრამ სულ სხვა იყო გიოს სიკვდილი. უშბის ერთ-ერთი პირველდამპყრობი ტყვიამ იმსხვერპლა; გაბრიელი კი... გაბრიელიც მთებს შეუერთდა, იმისი მოუღალავი სული იმათ მდუმარებას და სიმაღლეს შეერწყა. მთიდან მომწყდარმა ზვავმა ჩააჭრო კოცონად დანთებული მისი შეუდრეკელი სული...

* * *

უშბა! შიშისმომგვრელად გაისმის ეს სახელი. შიშისმომგვრელად და გამომწვევად.

უშბა! — მრისხანების, ქედუხრელობისა და სიჯიუტის განსახიერება. ასე იცნობენ მას ალპინისტები, ჩვენში თუ საზღვარგარეთ. ინგლისში არსებობს მთამსვლელობის „უშბისტთა კლუბი", სადაც წევრებად მსოფლიოს უძლიერესი ალპინისტები მიიღებიან.

უშბა! — საბჭოთა კავშირში მთამსვლელობის განვითარების ყველაზე უტყუარი და მკაცრი მემატიანე.

რამდენი ადამიანი შეეწირა მის ფრიალოებს, რამდენმა მის ცივ ყინულებში ჰპოვა სამუდამო

ვანსასვენებელი. სხვები კი მწვერვალის მისადგომებიდან ოცნებააუხდენელნი, ნირწამხდარნი გამობრუნებულან უკან და რევანში შემდგომისათვის გადაუდვიათ.

ძნელია უშბაზე თავის აყოფა, მის წვერზე შედგომა!

მაგრამ მთამსვლელობა — ეს არის შურისძიება დაღუპული ამხანაგებისათვის. და ყოველთვის, როცა ვაჟკაცები წერაყინებითა და სამთო ფეხსაცმელებით, ზურგჩანთებითა და დიდი იმედებით შეიარაღებულნი მიემგზავრებიან საიერიშოდ, პირველ რიგში ისინი შურს იძიებენ. ისინი უკვდავყოფენ კლდეებიდან ფერმკრთალ მოჩვენებებად გადმომზირალი საყვარელი სახეების ხსოვნას...

ისინი შურს იძიებენ...

მიხეილ ხერგიანი

— სხვადასხვა მოსაზრებებით უშბის სარკეზე წინა საიერიშო სამზადისი სამ ეტაპად დავყავით.

პირველ რიგში საჭიროდ მივიჩნიეთ ძირითადი ჯგუფის დაკომპლექტება, მისი საბოლოოდ ჩამოყალიბება, აგრეთვე უშბის რაიონისა და კერძოდ „სარკისადმი“ შეფარდებული, ტექნიკურად შესაბამისი საჭურვლის დამზადება და მისი გამოცდა საცდელი ასვლების დროს.

ფიზიკური მომზადების პროგრამაში შევიტანეთ ვარჯიშები, ტექნიკური ხასიათის ასვლები ციცაბოებსა და ისეთი შვეული დაქანების კლდეებზე, რომელთა თვისობრივი მონაცემები ძნელადდასაძლევობისა და დაქანებულობის თვალსაზრისით „უშბის სარკისას“ უახლოვდებოდა. ფიზიკური მომზადება ითვალისწინებდა აგრეთვე 1964 წლის ზამთარში სათხილამურო მეცადინეობას, ნადირობას, სხვადასხვა ხასიათის სამუშაოების შესრულებას, ეს იქნებოდა შეშის დამზადება, სამშენებლო ქვის მოზიდვა, კარტოფილის თოხნა და სათიბების შემოღობვა, აგრეთვე კლდეზე ცოცვის იმიტაციური ვარჯიშების შესრულება...

მეორე ეტაპით გათვალისწინებული იყო მთელი რიგი სასიმაღლო ასვლები ცენტრალურ კავკასიონზე და არა მარტო სასიმაღლო ასვლები, უნდა გვევარჯიშა კედლოვან მონაკვეთებზე, რათა უკეთ დავკვირვებოდით მოიერიშე ჯგუფის ყოველ მონაწილეს: რაიღა წინასაიერიშო ასვლები ფრიად დამჭანცველი და მომღლელი იქნებოდა, შესაძლებელი იყო რომელიმეს უარი ეთქვა „უშბის სარკის“ იერიშზე; ამას გარდა, გამორიცხული არ იყო მთამსვლელთა დაშავება, ფიზიკური და სულიერი დეპრესია. სწორედ ამიტომაც. წინასაიერიშო ასვლებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით, იგი ყველა ჩვენთაგანისათვის იქნებოდა ერთგვარი გამოცდა უშბის სარკის იერიშის წინ.

ჩვენს მესამე ამოცანას შეადგენდა ძირითადი მარშრუტის დაწვრილებითი შესწავლა. მოიერიშეთა გუნდის წევრებს თავისი თვალით უნდა ენახათ კედელი, გულდასმით გასცნობოდნენ მას და მერე აზრთა ურთიერთგაზიარების საფუძველზე ერთობლივი დასკვნები გამოეტანა კედლის გავლის მთავარი მიმართულების დასადგენად. უნდა გამოგვერკვია უშბა-ჩათინის დიდი კულუარის — ჩალაათის მყინვარის მიდამოებში ძირითადი ბანაკის მოწყობის შესაძლებლობები.

ვიდრე უშუალოდ მთებს ვეწვეოდით, გადავწყვიტეთ ჯერ ჰაერიდან დაგვეზვერა ჩვენი სამოქმედო უბანი. ქუთაისში მომუშავე მესტიელმა მფრინავებმა სიამოვნებით ითავეს ჩვენი მეგზურობა კავკასიონის უღელტეხილებზე. ისინი ქორებივით დასტრიალებდნენ თავს მრავსხანე უშბას და მზად იყვნენ მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ეჩვენებინათ ჩვენთვის. მაღალმთიანი პირობები სულაც არ აშინებდათ მათ. ჩვენ კი გვეხუმრებოდნენ — მთამსვლელები მანამდე იყავით, ვიდრე თვითმფრინავი გაჩნდებოდა, მას მერე კი რაღასი მაქნისები ხართ, აბა ჩვენ თუ გაგვეჯიბრებით მწვერვალთა დაპყრობაშიო.

ჰაერიდან დათვალიერების მერე კიდევ უფრო გაგვიცხოველდა უშბასთან შებმის სურვილი, მაგრამ ყოველნაირად ვცდილობდით მოძალებულ ცდუნებას არ ავყოლოდით. ვგრძნობდით, აჩქარება ისევე, როგორც ყველა საქმეში, აქაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩენილიყო.

გავაგრძელეთ დაკვირვება. 20 ივნისიდან 10 აგვისტომდე სულ ექვსჯერ გავიდა ჩვენი ჯგუფი ლაღამიდან უშბის მისადგომებისაკენ. ამ ხნის განმავლობაში „ჩვენი კედლის“ სხვადასხვა მხრივი, საგულდაგულო და საბოლოო დათვალიერების ნიადაგზე შევადგინეთ „უშბის სარკის“ მიკრორუკა, მთელი გასავლელი მარშრუტი დავყავით უბნებად და მონაკვეთებად. მოვნიშნეთ ღამისსათევი ადგილები, გავითვალისწინეთ ღამისთევის ხასიათი — ძირითადად „ცივი“, ჰამაკებზე ღამისთევისათვის უნდა შევმზადებულიყავით. ეს გარემოება კი უამრავ საზრუნავს გვიჩენდა ყველას. „ცივ ღამისთევას“ არცერთი არ ვიყავით მაინცადამაინც შეჩვეული და შეგუებული.

კედლის გავლის თაობაზე მონაწილეებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოვახერხეთ ერთიანი, ყველასათვის მისაღები სავარაუდო გზის დადგენა. გავითვალისწინეთ აგრეთვე ამ გზიდან შესაძლო გადახრათა უბნები. ექვსჯერადმა დაკვირვებამ ღრმად დაგვარწმუნა, რომ „ჩვენი კედელი“ მაინცდამაინც ჩინებული „ყოფაქცევისა“ არ უნდა ყოფილიყო. მხედველობაში მაქვს მთელი აღმოსავლეთი ფერდის ზაყოლებაზე ჩვენს მიერ შემჩნეული მზის ამოსვლიდან ლამის დაღამებამდე ინტენსიური ქვათაცვენა, აგრეთვე

ხანგამოშვებით, კედლის თავანიდან ნამქერული ზვავების გადმოფრქვევა, რასაც თან ახლდა ყურისწამღები ხმაური, ხანდახანაც ყინულის ნატეხები ცვიოდა მაღლიდან, ამ დროს ყრუ გუგუნის და საუკუნოვანი თოვლის ლაწანისა და მტვრევის ხმა იდგა.

ჩვენ ვითომ შედარებით „მშვიდობიანი" მარშრუტი შევარჩიეთ. ვითომო, ამას იმაზე ვამბობ, რომ გვეჩვენებოდა თითქოს ჩვენს მიერ თვალით მონიშნულ მონაკვეთზე შედარებით სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა.

ამ ვარაუდებს მალე პრაქტიკული გამოცდა უნდა გაევლო. მანამდე კი უსაფრთხოობის მიზნით გადავწყვიტეთ მეშახტეთა ქუდებით შევიარაღებულიყავით. იმათი შოვნა სვანეთში ცოტა საძნელო საქმედ გვეჩვენებოდა მაგრამ, განსაცდელისაგან მეხტიელმა მეხანძრეებმა გვიხსნეს. მათ სიამოვნებით დაგვითმეს თავიანთი ჩაფხუტები — ამ დღეებში საქმე არაფერი გვაქვს და ტყუილად რაღაზე დავიმძიმოთ თავი ამ რკინებითო.

გაუმარჯოს უკანდახევას!..

და აი, დადგა დრო, როცა პრაქტიკულად უნდა შევდგომოდით იერიშისწინა მზადებისათვის შემუშავებული გეგმის განხორციელებას. ჯგუფის შემადგენლობაში მოხდა ცვლილება, ერთ-ერთმა მონაწილემ — ავთანდილ ახვლედიანმა უარი განაცხადა ექსპედიციაში მონაწილეობაზე. მის ნაცვლად გუნდში ჩარიცხული იქნა შალიკო მარგიანი სათადარიგო შემადგენლობიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „უშბის სარკეში" ჯერ საცდელი ასვლები უნდა ჩაგვეტარებინა; ჩვენ შევარჩიეთ მწვერვალები, რომლებიც გეოგრაფიულად უშბასთან ახლოს მდებარეობდნენ და აგრეთვე რელიეფისა და ძნელადდასაძლევობის თვალსაზრისითაც უახლოვდებოდნენ მას.

იერიშისწინა ასვლები იმითაც იყო გამართლებული, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვეძლეოდა უშბის რაიონისათვის შესაფერისი აკლიმატიზაცია მიგვეღო.

პირველად სამხრეთ უშბას შევუტიეთ. გვინდოდა ეს ასვლა გაბრიელ ხერგიანის ხსოვნისათვის მიგვეძღვნა, გაბრიელის გზით ბევრი ჩვენთაგანი არც იყო ასული უშბაზე; ეს გზა თავის დროზე ურთულესად ითვლებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართველმა და უცხოელმა მთამსვლელებმა იგი აითვისეს და უკვე სამხრეთ უშბის ხსენება წინანდებურად თმებს აღარ უყენებდა ყალყზე ადამიანს.

ამ გზით პირველად ძველი თაობის ალპინისტები — გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ ხერგიანები, ჩიჩიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი ავიდნენ მწვერვალზე. მათ ვულის მყინვარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლით შეუტიეს ბუმბერაზს და სვანური ჯაბრალებითა და კანაფის თოკით აღჭურვილებმა დაიმორჩილეს იგი. ეს მოხდა 1937 წელს. ასე რომ ჯერ იყვნენ ბეთქილი, ჩორდა და მურათბი. მურათბის მერე იყვნენ ალიოშა და გიო, მათ მერე კი — გაბრიელი, ბექნუ, ბესარიონი, ჩიჩიკო და მაქსიმე...

ჩვენმა ჯგუფმა სამხრეთი უშბის მეხუთე „ბ" კატეგორიის მწვერვალი უკან მოიტოვა და ახლა გეზი მის აღმოსავლეთით მდებარე შუროვსკის პიკისაკენ აიღო (მეხუთე „ბ" კატეგორიის სიძნელის ნწვერვალი). ეს მწვერვალი დავიმორჩილეთ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან.

ამის შემდეგ ჯგუფმა პლატოდან შეუტია მცირე უშბას. პლატოსა და მცირე უშბიდან გავაგრძელეთ „ჩვენი კედლის" ვიზუალური დათვალიერება. განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავ მის „ყოფაქცევაზე" ვამახვილებდით, რადგანაც ყველაზე მეტად სწორედ ქვათაცვენისა და ზვავების გვეშინოდა.

მოსამზადებელი ასვლები დავამთავრეთ ცენტრალური შხელდის დაპყრობით ჩრდილოეთის კედლიდან.

საცდელი ასვლების დროს მოიერიშეთა ძირითადი ბირთვის შემადგენლობაში რაიმე ცვლილება არ მომხდარა. ექსპედიციის წევრები კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს, ჩადგნენ ფორმაში და მზად იყვნენ მთავარი ამოცანის შესასრულებლად.

რვა აგვისტოს ჯგუფი გამოემართა შინისაკენ ალპურ ბანაკ „შხელდიდან" და კვლავ ეწვია უშბის პლატოს, რათა ახლა უკანდასახევი გზა მოგვენიშნა. გამორიცხული როდი იყო ასვლისას უამინდობა მოგვწეოდა, ანდა სხვა რამ დაბრკოლება შეგვმთხვეოდა. უკანდასახევი გზის მონიშვნა და შეგულება ადრე არ გაგვხსენებია და ახლა, როცა ყველაფერი მოთავებულად მიგვაჩნდა, უცბად პირიბე გვარლიანმა ჩამოგვიგდო სიტყვა ამ დაწყევლილ „უკანდახევაზე". პირიბე მაშველი ჯგუფის უფროსი იქნებოდა „სარკის" იერიშის დროს. და ამიტომ უპირველესად მას ევალებოდა ყოველი შემთხვევისათვის უკანდასახევი ან მისაშველებელი გზების წინასწარი შეგულება-მონიშვნა.

— ეგე თქვა ამანაც... — წამოიძახა პირიბეს ამ ახალი აღმოჩენით არც თუ ისე ნასიამოვნებმა შალიკო მარგიანმა — ახლა უშბის პლატოზე დაბრუნებას ის მირჩევნია, სულაც ველარ ჩამოვაღწიო ორკუზიანიდან, გაიგე?

შალიკო მართალი იყო. მწვერვალებმა საკმაოდ გამოგვფიტეს და დაგვღალეს. ახლა დასვენებას არაფერი გვერჩივნა. სხვა რომ არა, ძალღონე ხომ უნდა მოგვეკრიბა მთავარი ასვლისათვის. არც ის მოგვწონებია მაინცდამაინც, რომ უკანდასახევი გზის მოსანიშნავად უნდა გავბრუნებულიყავით და არა სხვა რა-

მეზე. „უკან დახევა“ — ამის გაფიქრებაც კი სამარცხვინო და სათაკილოა ყველა მთამსვლელისათვის.

მაგრამ რაღა გაეწყობოდა — პირიბე დაჟინებით მოითხოვდა უკან გაბრუნებას, ამ შემთხვევაში კი იგი იყო ჩვენი უფროსი. ისე ჩვენც მშვენივრად გვესმოდა, რომ უკანდახევის ხელოვნების ცოდნაც ისეთივე აუცილებელია მთამსვლელისათვის, როგორც იერიშისა.

ხანდახან კი უკან დახევა გამარჯვების მომტანიც არის, როგორც ბრძოლის ველზე, ისევე მთამსვლელობაშიც. არ მახსოვს ზუსტად რომელ ალპინისტს ეკუთვნის ეს სიტყვები — „გაუმარჯოს უკანდახევას, რადგანაც სხვა გზები განჭარდნენო“.

ჩვენ გავსწიეთ უშბის პლატოსაკენ. მაგრამ ეს კი იყო — ბიჭები კბილებს უღრჭიალებდნენ პირიბეს — შენი ოინებია ეს ყველაფერი, მაგრამ ჩავალთ მესტიაში და იქ განანებთ როგორც ჯერ არსო...

მერე მივხვდით, რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა ეს გზობა ჩვენთვის. მთასთან „ფუთი მარილი“ თუ არ შეჭამე, ისე ვერაფერს გაიგებ მისას. ამ გზობაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ძირითადი ბანაკი ჩათინისა და ჩრდილოეთ უშბის გადაკვეთაზე ჩამოწოლილი კულუარის შუაწელზე დაიდგმებოდა, მეტეჭივით ამობურცული შავი კლდის ძირში, ზღვის დონიდან 3500 მეტრის სიმაღლეზე. სამაშველო და მეთვალყურე ჯგუფები კი ჭალადის მყინვარის ბოლოში, ლეგვმერის ქედის თხემზე დაბანაკდებოდნენ. მოიერიშე ჯგუფის წინსვლის შესაბამისად დამხმარე რაზმს თანდათან უკან უნდა დაეხია და საბოლოოდ გულის მყინვარზე გადასულიყო და იქ დაგვლოდებოდა.

ამ გზობაზე მოვახერხეთ აგრეთვე ტრასის აგეგმვა და ჭაღალდზე გადატანა.

9 აგვისტოს კედლის მისადგომები მოვინახულეთ ჩალათის მყინვარიდან. ათ აგვისტოს კი უკვე მესტიაში ვიყავით. აქ, დასვენებულზე, კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი მარშრუტს, ჩვენი ექსპედიციის უფროსთან, გამოჩენილ მთამსვლელ სანდრო გვალიასა და მეთვალყურეთა ჯგუფის ხელმძღვანელ ბექნუ ხერგიანთან ერთად განვიხილეთ ყოველი წვრილმანი ჩვენს ასვლასთან დაკავშირებით. ცოცხალ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით გამოვთვალეთ საიერიშოდ საჭირო დრო. დავადგინეთ, რომელ მონაკვეთზე ვინ ვისთან ჩაებნეოდა წყვილში, რასაც ტაქტიკური მოსაზრებებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით. მარშრუტზე გასვლა დავადგინეთ 12 აგვისტოსათვის. დასვენება ორი დღეღა გამოგვდიოდა, რაც საკმარისი არ იყო ძალების მოკრებისათვის, მაგრამ გვეშინოდა ამინდის გაფუჭებისა და ფორმის დაკარგვისა, ამიტომაც ჩვენი აჩქარება ერთგვარად გამართლებული იყო.

ტიანშანი...

— წყალი, ჰე, ჰეეი, წყალი...

სასოწარკვეთილ ხმას ქარის წივილი ერთვის. კარავში მწოლიარეთ ესმით ეს ყვირილი-მუდარა, მაგრამ მათ თავისი გასაჭირი ადგათ, თავისი მწუხარებაც ჰყოფნით. არა და მწყურვალის ხმა კვლავ და კვლავ ეხმიანება ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ მდუმარებას, რომელსაც კარვის კალთებზე დახეული ქარის წუილი თუ დაარღვევს ხანდახან.

— წყალი, ჰეჰეეი, წყალი...

მეზობელ კარავში, სადაც ორნი წვანან, მღაღადებლის ხმაზე ფუსფუსი ატყდა.

— ჩქარა, მინაან, ჩქარა... — მოცახცახე ხმით ეუბნება ამხანაგს საძილე ტომარაში ჩათბუნებული ხმამინავლებული კაცი, — ცოდვაა, მიეშველე, მინაან...

მინაანი გაზქურაზე შედგმულ ჭურჭელს დასჩერებია. ჭურჭელი თოვლით არის გავსებული. თოვლის ბულული თანდათან დაბლა იწევს, გემივით იძირება მოთუხთუხე წყალში.

„— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა...“ — რეკავენ უჩინარი ზარები.

მაგრამ თოვლი ნელა, ჯიუტად იცვლის სახეს, ეტყობა, ეს გარდასახვა არაფრად ეპიტნავება და წამი-წამ, წუთი-წუთ იხანგრძლივებს პირველყოფილ სიცოცხლეს, ქათქათა სიცოცხლეს...

მინაანი წუთით შორდება ქვაბსა და ციებიანთან მიდის. იგი წევს და კვნესის.

— მოიტა, მოიტა მანამდე ხელები...

— ხელები? — უკვირს მწოლიარეს მინაანის ნათქვამი.

— მოიტა, გაიგე, მოიტა...

— ხელები? — გონებას ძაბავს ციებიანი.

— ჰო, ხელები.

მერე ნელ-ნელა ამოაქვს საძილე ტომრიდან გათოშილი მკლავები და სიგრძეზე ილაგებს.

მინაანი სწრაფად ეცემა მოცახცახე მკლავებს და თავის სითბოს უნაწილებს მათ. ძარღვიანი, ღონიერი თითებით ჩააფრინდება გაყინულ სხეულს და სახინკლე ცომივით ბუბნის და ზელავს.

— არა... არა... არა... — ჯიუტად გაიძახის ციებიანი, — არა, არა...

— გაჩუმდი, შენ გაჩუმდი...

— არა... არა... — მკლავებს ინთავისუფლებს იგი, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის.

იქით ქვაბი თუხთუხებს, თუხთუხებს, თოვლი კი ისევ გაუმდნარია. ვიდრე გადნება, დრო აქვს, მანამდე შეუძლია იმუშაოს.

— ჯერ არ გამდნარა, გაიგე? რო არ გამდნარა, ეს ოხერი?

— მიუტანე, წყალი მიუტანე... — იძახის ციებიანი. ის თანდათან თბება, დამზრალ კაპილარებში მაცოცხლებელი სისხლი იწყებს მიმოქცევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმას მიხედე, ჯერ იმას მიხედე. არა... არა... არა... — თავის მკლავებს ებრძვის ავადმყოფი, იწმაწნება, თავის დაძვრენას ლამობს, მაგრამ მინაანი ისე მაგრად ჩაფრენია, თითქოს მაცხოვარის ეზოში ვინმე მებურგიელს ეჯაჯგურებოდეს. აქეთ ლაღამელებია, იქით სეტ-მესტიელები.

ქვაბი კი თუხთუხებს. თეთრი გემი კი ჩაიძირა. ჩაიძირა... კიდევ კარგი, დროზე ჩაიძირა.

— მალე მოვალ, გაიგე, მალე მოვალ... — ხმამაღლა უყვირის მინაანი ამხანაგს და მკლავებს საძილე ტომარაში უფუთნის, — მე ახლავე მოვბრუნდები...

— წყალი... აუ, წყალი... — ისმის ყვირილი მეზობელი კარვიდან.

მინაანი გამოდის გარეთ და ფორთხვით მიიწევს მეზობელი კარვისაკენ. ქარის წუილი მოთქმა-გოდებად გაისმის შორეთში... აღარც ვარსკვლავები კიაფობენ, აღარც სხვა რამ ორიენტირი მოჩანს. ყოველივე მდუმარებასა და წყვდიადში განქარვებულა. აღარ არსებობს ეს ქვეყანა, არის მარტო წყვდიადი, არის თოვლი, თეთრი მდუმარება, ყინული და ქარი. არის უფსკრული და ქარი. ყინული და წვავარნები. არის ზმანება, სასოწარკვეთილი კაცის ხმა და სიკვდილის შიში. როკავს იგი, გამარჯვების სიმღერას მღერის.

მესანგრესავით მიხოხავს თოვლზე. ოკეანის უსასრულობაში მოსროლილი მეზღვაურივით მოიქნევს ხელ-ფეხს, ირგვლივ უფსკრულებია, ქარაფებია. ახლა ისინი უკუნეთს შერწყმიან, მინაბულ-მიყუჟულან, მაცდურად ჩასაფრებულან, ეს კარგად იცის „მეზღვაურმა“; ფრთხილად მიხოხავს ეშმაკის თხემზე მეზობელი კარვისაკენ, საიდანაც კვნესა და ღაღადისი მოისმის:

„— ოღონდ არ გაყინოს, ეს მოთუხთუხე ქვაბი ამ გამთოშველმა ქარმა არ გაყინოს“ — ჩქარობს, ჩქარობს მინაანი...

— წყალი... წყალი... წყალი...

სიკვდილის ხმაა ეს. იმქვეყნიური ჩქამია.

— აი, წყალი... მოგიტანე, წყალი... ნუ გეშინია, აქა ვარ, აი, აქა ვარ...

კარავში ოთხნი წვანან, მინაანი მეხუთეა. იგი ძლივს პოულობს სათავისო ადგილს. გრძნობს, მის ხმაზე როგორ შეტოკდებიან ხოლმე გაყურსული ლანდები, ხოლო ერთი მათგანი ზეზე წამოიწევა და ხელებს გამოიშვერს მისკენ.

— მომეცი, მომეცი... — ამბობს იგი.

— დამაცადე, რა მოგივიდა, დამაცადე... — არ აძლევს წყლიან ქვაბს მინაანი.

— მომეცი, ჩქარა, ჩქარა... — მკლავები გამოიწოდა ისევ მწყურვალმა.

მინაანმა იცის, რომ ამ გაყინული ხელებით ქვაბს კი არა, ასანთის კოლოფს ვეღარ დაიჭერს, ძალა აღარ ეყოფა, იცის და არ აძლევს ხელში. ახლა წყალი რომ დაიღვაროს, ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი.

— აჰა, დალიე, ჩემი ხელიდან დალიე, ოღონდ ნელა მოსვი, ნელ-ნელა მოსვი...

მწყურვალი ხვრეპავს. სულმოუთქმელად ცლის პატარა ქვაბს. მერე ხნაკილით ამბობს:

— კიდევ მინდა, კიდევ...

— მაინც როგორ მოხდა ყოველივე? — ეკითხება მინაანი მეოთხეს.

— ქვევით გეტყვი, ჩავალთ და იქ მოგიყვები... — ოდნავ მშვიდდება იგი.

მინაანი ახლა მას ეფხურება მკლავებზე. სახელოებს უკაპიწებს და ღონივრად უზელს. იცის, რომ ყოველივე ამაო და უსარგებლოა, მაგრამ ვიდრე არ დაიღლება, მაინც უნდა ებრძოლოს, უნდა ეცადოს, ეს მისი ვალია. ვიდრე ძალა შესწევს უნდა იმუშაოს. სიკვდილმა უკვე დაიძახა. ყოველივე ამაოა, უსარგებლო და გვიანია.

— მაინც როგორ მოხდა ყოველივე, რანაირად ჩავარდით ამ დღეში, ა? — კვლავ გაუმეორა კითხვა მინაანმა მეოთხეს. მას აინტერესებდა ეს ისტორია, უცნაური და გასაკვირი ამბავი ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ საქ-სალამათი, ბრძოლის ყინით აღვსილი ადამიანებისა.

— აი, ჩავალთ ქვევით და გიამბობ, იქ გიამბობ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს მეოთხე.

მათს საუბარში მეორე ერევა; იგი იმედიანი კაცის ხმით ლაპარაკობს:

— მწვერვალისწინა თხემზე ზურგჩანთები მოვიხსენით და დავტოვეთ. რად უნდა გვეთრია ტყუილუბრალოდ. ჩვენც ავდექით და დავტოვეთ. მე და ილიკო ერიოხინის წერილის საძებრად გავეშურეთ. მწვერვალზე ვნახეთ 1956 წელს აბალაკოვის დატოვებული ბარათი. გვიწოდა ერიოხინის წერილიც მოგვეხსნა როგორმე.

მეოთხეს რაღაცის თქმა სწადია, მაგრამ ენას ვერ სძრავს. ერთხანს ხრიალებს, მერე როგორღაც აკოწიწებს სიტყვებს:

— მინაან... იცი, მინაან, როგორ მეცოდები, მაღლა რომ ვერ ამოხვედი, ძალიან მეცოდები, გაიგე?

— თქვენთან როგორი ამინდი იყო? ზევით კი ერთმანეთს ვეღარ ვარჩევდით, ისეთი ღრუბელი იწვა. მე და ჯუმბერი ერთგან მოვწყდით, მაგრამ ბედად თოკი ყინულებში გაეჭედა და როგორღაც გადავრჩით. აი ეს მხარი მაშინ დავიშავე... — თქვა მესამემ.

— უკან რომ გამოვბრუნდით, ამინდი შეიცვალა, ირგვლივ ბურუსი ჩამოწვა, ეტყობა ცუდ ფეხზე ვიყავით ამდგარი, ზურგჩანთები ვეღარსად ვნახეთ. — თავი წამოყო მეორემ — ვიფიქრეთ, ალბათ ქარმა თუ გაიტაცა ჩვენი ბარგი-ბარხანა-თქო... სამიდან ერთი იყო — ან ქარმა გაიტაცა, ან თოვლმა ჩაჩუმქრა, ანდა მხარი გვეცვალა... ყოველშემთხვევაში, ჩვენი საქმე

ცუდად წავიდა. ვგრძნობდით, ამაღამ ოხერი ტიანშანის ქარი ჩვენგან თოვლის ბაბუებს გამოაცხობდა... რა გრძნობაა ეს, იცით? თუ არ განიცადა კაცმა, ისე ვერ მიხვდება. გახსოვს, მინაან, თქვენი დატოვება არ მინდოდა, ალბათ გული მიგრძნობდა, რომ ამ დღეში ჩავვარდებოდით... ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, აბა მეტი რა მახსოვს. შენ თქვი — მეც დავრჩებიო, მაგრამ სამნი ხომ არ ჩაებმებოდნენ ერთ თოკში, ჰოდა, აგიყოლიეს, წყვილწყვილად რომ გევლოთ, შენც აგიყოლიეს.

— მე გული მიგრძნობდა, ხომ გითხარი, გულმა მიგრძნო-მეთქი... — წამოიძახა მეორემ.

— ეს მოგონილი ამბავია, გული არავის არაფერს არ უგრძნობს. გული მუშაობს, სისხლს აწვდის სხეულს, სხვა რამ გრძნობა მას არ გააჩნია, — თქვა მესამემ.

— არა, ყველა ისე როდია აწყობილი. ზოგს მგრძნობიარე გული აქვს. ჩვენ ალბათ მგრძნობიარე გულისანი ვართ. ყველა ერთნაირი გულის კი არ არის...

— ჩვენ ოდნავ დაბლა დავეშვით, იქ, კარავი გავშალეთ და დაველოდეთ. იმათ ვეძახოდით და ვუყვიროდით, მაგრამ იმ ქარსა და წყვდიადში რას გავაგონებდით. ხმაც იმაზე ჩაგვეხლიჩა. სხვა რა შეგვეძლო ჩვენ უბედურებს... — ამბობს მესამე.

— რა არის, იცი? თბილად გვეძინაო, კარვებში გვეძინაო, მაგრამ აბა წარმოიდგინე, შენი ამხანაგები სადღაც მშიერ-მწყურვალნი და შეცივნულნი დაბარგანაობენ, სიკვდილს, ქარის მოძალებას ებრძვიან... ამ დროს შეიძლება კაცმა თბილად დაიძინოს? გინდაც სამეფო საწოლში იწვეს, შეიძლება ერთი წუთითაც მოხუჭოს თვალი? — ამოიდგა ენა პირველმა, — თემო მართალს ამბობს, ზოგს ბოჩოლასავით საწყალი გული აქვს, ზოგისა კი ტყვიას აისხლეტს.

— მინაან, იცი, რა?... — ამოიხნავლა მეოთხემ, — მეცოდები, ძალიან მეცოდები მწვერვალზე რომ ველარ ამოხვედი. ყველა მეცოდება, ვინც იქ ვერ ამოვიდა...

— მიხეილი როგორ არის? რას ამბობს ჩვენზე? — იკითხა მეორემ.

— მიხეილი? — დავრდომილის ზელა არ შეუწუვეტია მინაანს, ისე გაეპასუხა — რას უნდა ამბობდეს მაინც? რა ეთქმის რო...

— ალბათ ნაწყენია. ვიცი, ნაწყენი იქნება... — თქვა ფრთხილად მეორემ და დანარჩენებს გადახედა, თითქოს იმათი აზრის გაგება ეწადაო.

— ვერ არის კარგად, არ ვიცი, რა იქნება... ძალისძალად კი გამომაგდო თქვენთან — იმათ მიხედეო...

— არ უნდა მიგვეტოვებინა, შენს ანაბარაა და არ უნდა მიგვეტოვებინა, — თვალები აუწუწლიანდა მეორეს.

წუთით უხერხული დუმილი ჩამოვარდა. არავის არ სურდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება. ახლა განსჯის თავი არავის ჰქონდა, არც იყო იმისი დრო. ყველას თავისი სადარდებელი, თავისი ფიზიკური თუ სულიერი სატკივარი გასჩენოდა და ის აწუხებდა. დედამიწა მონატრებოდათ ადამიანებს... ადამიანთა მიწა... მაცდუნებლად ზიმზიმებდა იგი სადღაც ქვევით, ათას ქარაფსა და ნაპრალს მიღმა. მშობლიური ქალაქის ლამპიონები ციმციმებდნენ შორით. ნაცნობთა სახეები, დიდი ხნის უნახავი სახეები ირეოდნენ სივრცეში. მაცდური იყო შორეული მოჩვენებები. მაცდური და, ამავე დროს, ურჟოლვის მომგვრელი. სახიფათო იყო მათი ეგრერიგად მოძალება, სახიფათო და დამღუპველი. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა, რაღა სადღაც, დაბლა მიეჩქარებოდათ ყველას. აჩქარება კი სააშიში და სახიფათო იყო, სახიფათო და დამღუპველი...

და არავის ეცალა ახლა განსასჯელად. პირადი, სხვისთვის ჩალისფასად ღირებული სურვილ-სატკივრები წამოშლილიყვნენ გონება-გრძნობაში. მთელი ეს ხანი საერთო, ზოგად საქმეს ემსახურებოდნენ, საკუთარი და პირადი აღარ არსებობდა მათთვის, საკაცობრიო სიმაღლეებს ერკინებოდნენ და იმისი დამორჩილების სურვილით ანთებულნი ცისიერეთში ისწრაფვოდნენ. ახლა კი მიზანი მიღწეულია და მათ აქვთ უფლება პირადზე, საკუთარზე, მიწასა და ქალაქებზე იფიქრონ.

და ამიტომაც არავის ჰქონდა ახლა განსჯის თავი.

მხოლოდ მეორეს ველარ მოესვენებინა. მას ეტყობა, სხვებზე მეტად ჰქენჯნიდა სინდისი:

— ამას ვერც გაამხელ ვერსად. ამხანაგი მიატოვეს და თვითონ მოქუსლეს მწვერვალისაკენ... ასეთ გამარჯვებას არც რა მადლი აქვს...

— აბა რას ამბობ, ეგ რა სათქმელია, ამხანაგი მიატოვესო. მინაანს ჩავაბარეთ იგი, მორჩა და გათავდა. მინაანს რომ ჩააბარებ კაცს, იგი მიტოვებულად არ ჩაითვლება... შენ შეუძლოდა ხარ და ის გალაპარაკებს ასე... — გაეპასუხა მესამე.

მინაანმა წუთით მიატოვა მეოთხე და მეორესთან გაჩნდა. მეორეს მართლაც უჭირდა. ეტყობოდა, რომ ძალიან უჭირდა, ლაპარაკისას ხრიალი გაერეოლა ხმაში, ხანგამოშვებით ყრუ კვნესა აღმოხდებოდა უნებურად.

— არა, მე არაფერი მიშავს. სჯობია იმას მიხედოს, ან მიხოსთან გავიდეს. მარტოხელას მიხედავს. მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

— იმან თქვენთან გამომაგდო. იმათ უპატრონეო... ისიც შენსავით იძახდა, იმათ მიჰხედე, მე არაფერი მიშავსო... — ძალისძალად აუკაპიწა სახელოები მინაანმა მეორეს.

მეოთხემ კვლავ სცადა წამოწევა, მაგრამ ველარ შესძლო, მხოლოდ ოდნავ იცვალა გვერდი საწოლში და ისე ამოიხნავლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან მეცოდები... ძალიან მეცოდები...

იგი თითქოს ძილბურანში იყოო, ისე უაზროდ წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, ბედნიერი კაცის იერით წარმოთქვამდა:

— იცი, რა სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ? მართალია მხოლოდ ერთ წუთს განიხვნა ცისკიდური, მხოლოდ ერთ წამს მოიხსნეს მთებმა საბლარდნელი, მაგრამ ისიც საკმარი იყო... ჩვენს ფერხთით მსოფლიო განფენილიყო. მთელი მსოფლიო იქ იწვა, მთების ძირში, განსპეტაკებული მწვერვალები ამაყად დასჩერებოდნენ შავად მოზიმზიმე ქვეყნიერებას... შორით ჰიმალაის ბუმბერაზები მოჩანდნენ, მაგრამ ჩვენი მწვერვალი იმათაც მაღლიდან დაჰყურებდა, ერთი სიტყვით, ყველაზე მაღალი ადამიანები ჩვენ ვიყავით იმ წუთში, მსოფლიოს ყველაზე მაღალი ადამიანები... ამიტომ ვიძახი — ყველა შეცოდება-თქო...

— იცი რა, შენი ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება, — გააწყვეტინა მეოთხეს პირველმა, — გაიგე, არ შეიძლება...

— ვინა თქვა... ჩემთვის ყველაფერი შეიძლება, — ჩაჭირჭილება სცადა მეოთხემ, მაგრამ ცარიელი ხრიალი კი აღმოხდა — ნეტავი სიმღერა შემეძლოს, იცი, რას ვიმღერებდი? „ბუბა-ქაქუჩელას“ ვიმღერებდი... ამ სიმაღლეზე ბუბა ქაქუჩელა ჯერ არავის უმღერია...

— საკმარისია. ჩემი ულუფა მივიღე, ახლა მარტოხელას გაჰხედე. ჩვენ სამნი არა, ოთხნი ვართ, ჩვენ რა გვიჭირს, მარტოხელას გაჰხედე, გუშინ რომ მივატოვეთ, ისიც ეყოფა... ჩვენ არა გვაქვს უფლება... არა-მეთქი... — დაითრია შკლავები მეორემ.

— თქვენი არ ვიცი და... მე ყველაფრის უფლება მაქვს უკვე... რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. შენ რას იტყვი ამაზე, განა ასე არ არის, ჰა, ასე არ არის? — მიმართა მან მეორეს.

— არა ხარ მართალი, არავის არა აქვს უფლება შუა გზაზე შიატოვოს დავრდომილი, არავის ამ ქვეყანაზე. ვინც ასე იქცევა, ის მუტრუკია, გაიგე, მუტრუკია და მეტი არაფერი.

— აი ნახავ, იმასაც. ნახავ და მერე თუ ილაპარაკებ ასე... — სევდანარევი კილოთი გაეპასუხა მეოთხე.

— რაზე ამბობ ამას? რა უნდა ნახოს მაინც? — ვერაფერი გაიგო მესამემ, — თუ მაინც არ იშლი ლაპარაკს, გასაგებად გვითხარი...

— მე იმას ვამბობ, ველაფრის უფლება მაქვსმეთქი. თქვენი არ ვიცი და მე ყველაფრის უფლება მაქვს უკვე. აი, რომ შემეძლოს „ბუბა ქაქუჩელას“ ვიმღერებდი. შენ მოგისმენია როდისმე „ბუბა ქაქუჩელა“? ალბათ არ მოგისმენია და იმიტომ ხარ წინააღმდეგი. იცი, რაზეა ის სიმღერა?

— ეჰე, შენც გაუტიე რაღა.. .მოდით რა, მაგ ამბებს შევეშვათ. მე ძილის მოშხრე ვარ. თქვენა? — იკითხა მესამემ, — მაშ ასე, მე მძინავს უკვე...

— ჰო, ძილი კარგია. ვინ იცის, თქვენ მიწა იხილო სიზმარში, ქალაქები და ნაცნობი სახეები... ძილს რა შეედრება მართლაც, მაგრამ ილიკო? ილიკო რო ვერ დაიძინებს? მოლანდებებისა და ზმანებათა ანაბარა მივატოვოთ? — ამხანაგებს გადახედა მეორემ.

— ისიც დაიძინებს. ნახავთ თუ არა. თანდათან მოითენთება და დაიძინებს. — თქვა საძილე ტომარაში ჩათბუნებულმა მესამემ ბურდღუნით.

— შენ ასე ფიქრობ? თემო, მინაან, თქვენა? თქვენც ასე ფიქრობთ? თუ ყველანი ამ აზრისა ხართ, მართლაც დავიძინოთ. რაღას ვუცდით მართლაც? თუ კი ასეა, ამას რა სჯობია. მიწაზე ფიქრში ისე ტკბილად ჩამეძინება...

— ჩემზეა ლაპარაკი? — უცბად წამოსწია თავი მეოთხემ,—ღმერთებს ვესაუბრე და იმათ მირჩიეს დაიძინეო, მაგრამ მე ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე ვიფხიზლო. ასე სჯობია. დილამდე ვიფხიზლებ, მერე კი დავიძინებ. გული მიგრძნობს, რომ ასე სჯობია. დილამდე კი შემიძლია ვიმღერო. აკი კირილეს არასოდეს მოუსმენია ჩვენებური სიმღერები. ძილში მუსიკა კარგია. ფერად-ფერადი სიზმრები იცის. დილამდე რამდენ რამეს იმღერებს კაცი. ამიტომაც გადავწყვიტე ვიფხიზლო. მე მგონი ახლა მაინც გასაგები ენით ვლაპარაკობ, ა? — შეეკითხა იგი მესამეს და პასუხისათვის არ დაუცდია, ისე განაგრძო — ხოლო დილას მათს განკარგულებაში გადავალ. მანამდე კი ნუ მიწუენენ. და საერთოდ, ნურავინ ნუ მიწუენს. თქვენ რომ დაიძინებთ, მე ერთ სიმღერასაც გავიხსენებ. ოდესღაც ძალიან მიყვარდა ის სიმღერა, ჰო, ბავშვებზე იყო, მომლოდინე ბავშვებზე, ნანადირევი ხორცი რომ მოჰნატრებიათ და ნერწყვმომდგარი გასცქერიან მთათა ბილიკებს, იქნებ სანატრელი მამა გამოჩნდეს სადმეო. მაგრამ იგი არა და არა ჩანს. ეს სიმღერა მგონი ბევრჯერ მიმღერია. ა, კირილე, იქნებ შენ მოგისმენია ეს სიმღერა? ჰო, ბოდიში, თქვენ დაიძინეთ ახლა. დაიძინეთ, გეთაყვა. მე კი ფერად-ფერად სიზმრებს გამოგიგზავნით. მაშ, ასე...

— მინაან, შენ გეძახიან. გარეთ გეძახიან, — უთხრა ამხანაგს მეორემ, — აქ უკვე აღარაფერი გესაქმება. აქ ფუჭად გასცდები, მეტი არაფერი...

„მაინც როგორ მოხდა ყოველივე?“ — ფიქრობდა თავისთვის მინაანი. იგი ხოხვით გამოვიდა კარვიდან და ხოხვითვე განაგრძო გზა. იგი არც დაღლილობას გრძნობდა უკვე და არც უძილობას. ერთადერთ ფიქრს შეეპყრო მთელი მისი არსება — „მაინც როგორ მოხდა ყოველივე?“ — მერე გაახსენდა კირილეს ნაამბობი. გაახსენდა და კიდევ ერთხელ წარმოუდგა თვალწინ მწვერვალზე უკარვოდ, უსაძილეტომ-

როდ მობარგანავე ადამიანები. ისინი წამოწეულ ღამის წუვდიადში თავშესაფარს, თბილ ტანისამოსს, საჭმელს დაეძებენ, ჩოქვით, ფორთხვით, ხოხვით, რანაირად არ დაეძებენ, მაგრამ ქარის წივილისაგან გამოყრუებულნი, ნამქერისაგან თვალებდახოხებულნი ვერაფერ სანუგეშოს ვერ ნახულობენ. ისინი ებრძვიან მოახლოებულ სიკვდილს. ყვირიან და ღრიალებენ. მაგრამ დაღლილ სხეულს მაინც თავისი გააქვს, იგი ძილს მოითხოვს, ახლა ძილი კი სიკვდილს ნიშნავს.

„ცივი ღამისთევა... ცივი ღამისთევა...“ — ვიატაუს მწვერვალი აგონდება მინაანს. ო, რამდენი წლის წინათ მოხდა ეს ამბავი. მაშინ იგი გინგლიანი ბავშვი იყო ვიატაუზე რომ მოუხდა „ცივი ღამისთევა“. მაგრამ სად „თბილ“ კავკასიონზე „ცივი ღამისთევა“ და სად მრისხანე ტიანშანის ქედზე, მითუმეტეს იმ გადასაკარგავ სიმაღლეზე...

ერთი რამ მაინც ვერ გაეგო მიხეილს — როგორ შეიძლებოდა ზურგჩანთების ჯერ კიდევ მწვერვალისწინა თხემთან დატოვება? რა მოსაზრებით „დამარხეს“ იქ მთელი ავლა-დიდება, მთელი სარჩო-საბადებელი? განა ისე რა გაუჭირდათ, რომ თუნდაც ასიოდე მეტრზე ველარ აზიდეს ისინი? გამოუცდელი, ახალბედა მთამსვლელებისაგან ისე არ გაუკვირდებოდა კაცს ეს ამბავი, მაგრამ ისინი ხომ მრავალჭირნახული, გამობრძმედილი ალპინისტები იყვნენ? გამარჯვების პიკზე განა შეიძლებოდა მაცდური ამინდის ნდობა?

ვერაფრით, ვერაფრით ვერ აეხსნა ეს საიდუმლო. როგორ არ ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— რაო, რა ამბავია, რას შვრებიან ისინი?

მინაანი ახლაღა გამოერკვა ფიქრებიდან.

— რა ამბავია? დაიძინეს, უკვე ყველამ დაიძინა.

—მართალს ამბობ? არ მატყუებ?

ისევ უშბა

ძველად სვანი მონადირეები და მეგზურები შორ გზაზე რომ მიდიოდნენ, საგზლად ქუმელის გუნდები მიჰქონდათ. იგი მსუბუქიც იყო და ყუათიანიც, ამავე დროს, ობს არ მოიკიდებდა, არ დალპებოდა და არაფერი. ანდა, — ერთიმეორეში აზელილ ყველსა და პურს შეეჭცეოდნენ. ჩხეტვრას არც მარილი უნდოდა, არც საწებელი და არც სხვა რამ დასაყოლებელი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ წინაპართა გამოცდილება, საკვები რაციონის შერჩევა-დამზადებისა. მაგრამ ხალხური მენიუს შემადგენლობაში უნდა შეგვეტანა გარკვეული ხასიათის ცვლილებანი, რაც გამომდინარეობდა ძირითადად ჩვენი ამჟამინდელი, არც თუ ურიგო, „ეკონომიური შესაძლებლობებიდან“.

საკმაოდ ძნელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში ხელი შეგვიწყო იმ გარემოებამაც, რომ ასვლის მონაწილეებს უველას მთიელთა ყოფის ადათ-ჩვეულებები გვქონდა შესისხლხორცებული. ამიტომაც კვების რაციონის შედგენისას ჯგუფის წევრებს შორის არ წარმოშობილა რაიმე უთანხმოება; ერთხმად გადაწყდა ისეთი პროდუქტების წაღება, რომელსაც უოველდღიურად ხმარობდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ეს პროდუქტები იყო:

კუბდარები — ხორციანი პურები, 350 გრამამდე თითოეული (ერთი კუბდარის მაწიერობა ტოლია დაახლოებით 150 გრამი მოხარშული საქონლის ხორცის, 2 კვერცხის, 200 გრამი პურის და ერთი ჭიქა რძის კალორიულობისა ერთად). კუბდარების წაღება იმითაც იყო გამართლებული, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს გემოსა და სირბილეს.

დაწურული თაფლი, ნიგოზით შეზავებული, რაც დიდი დატვირთვისა და დაძაბულობისას, აგრეთვე ოფლიანობის დროს გამოფიტვისაგან იცავს ორგანიზმს.

ხბოს მოხარშული ხორცი. ხბოს ხორციც შედარებით დიდხანს ინარჩუნებს სიახლესა და სირბილეს, საქონლის ხორცივით არ მჭლევდება და ხმება.

ქათმის მოხარშული ხორცი. იგი ადგილობრივად დამზადებული კოწახურის საწებელთან ერთად კარგად მოქმედებს მოდუნებული, გადაღლილი კუნთების აღგზნებადობაზე.

სვანური „აჯიკა“ — პილპილითა და მარილით შეზავებული გამხმარი მწვანილი.

თან წავიღეთ აგრეთვე მთამსვლელთა ტრადიციული პროდუქტები — კონსერვები, შაქარი, ყავა, კაკაო, ძეხვეული და სხვა.

უოველ მონაწილეზე დღეში საშუალოდ 600-650 გრამი საჭმელი მოდიოდა, რაც დაახლოებით 4500-5000 დიდ კალორიას იძლეოდა.

— ამ აზნაურული საჭმელებით თუ გამიმახპინძლდებით მეც წამოვალ უშბაზე, ჰხი... ხი... — ჩაიჭირჭილა მიხეილის კარის მეზობელმა შარდენ ფალიანმა, — ბესარიონსა და მაქსიმეს ჰადი ჰქონდათ სანატრელი, მაგრამ მგლებივით კი დაეგლებოდნენ კლდეებზე.

სიტუვამოსწრებული და ხუმარა კაცის ნათქვამმა ჯორ-ვირების დასახალნებაში გართული მეზობლების ხარხარი გამოიწვია.

მართლაც შესანიშნავად, მოკლედ ჩამოაყალიბა შარდენმა ადრინდელი და თანამედროვე მთამსვლელობას შორის განსხვავება. ადრე, როგორც ეს ხალხურ ლექსშია ნათქვამი, მთამსვლელებს „რკინის გული“ ჰქონდათ, ტყავის ჯაბრალები ეცვათ, სვანური ნაბდის ქუდები ეხურათ, ჩოხა-ახალუხი შეენოდათ. მუჯრა ეჭირათ წერაყინის ნაცვლად. კანაფის სამაშველო თოკებით ებმებოდნენ ერთიმეორეს. თვალები ჰქონდათ „ქორებულ მხედველნი“, ეს იყო და ეს. დღეს კი — უველაფრით უზრუნველყოფილი

მთამსვლელი. ერთი განაცხადის დამტკიცებას თუ ეღირსა ჯგუფი, მერე ჩიტის რძესაც კი იშოვნის, თუ უნდა. ჩვენც გვარიანი მდიდრები ვიყავით — თავიდან ფეხებამდე აღვიჭურვეთ პირველხარისხოვანი საჭურველ-იარაღით, ტანსაცმლით, ღამისსათევი მოწყობილობით, საკვებით...

და ახლა შარდენის ნათქვამზე წუთით გავიფიქრეთ ყველამ — მართლაც რანი ვიყავით ჩვენ ბესარიონსა და ბექნუსთან, ჰიჰიკოსა და გაბრიელთან შედარებით? აფსუსი არ იყო ეს ფუფუნება ჩვენთვის, როცა ისინი ლაშქრობებში შინ გამომცხვარი ქერის პურებით იკვებებოდნენ?

კაცმა სიმართლე რომ თქვას, ნამდვილი მთამსვლელები ისინი იყვნენ, ჩვენი სახელოვანი მასწავლებლები, უფროსი ადამიანები, კეთილშობილი, უბრალო ხალხი, დღეს რომ ასე მზრუნველურად დაგვტრიალებდნენ. ჩვენ რანი ვიყავით იმათთან შედარებით, რას წარმოვადგენდით?

მოგვითხრობს ბექნუ ხერგიანი — მეთვალყურეთა ჯგუფის უფროსი

— მოიერიშეთა ძირითადი შემადგენლობა სოფელ ლაღამიდან გაუდგა გზას. მათ აიარეს დაბდერის ყანები, ლეჯჰარის წარაფები და ფოშდელისა და ქორულდის გავლით ლეგვმერის ქედისაკენ გაემართნენ, რომელიც ჭალადის მყინვარს ემიჯნება.

მაშველი ჯგუფი უკან გაჰყვა ძირითად შემადგენლობას. მან გეზი პირდაპირ ჭალადის მყინვარისაკენ აიღო, რათა წინდაწინ შერჩეულ ადგილას დაეცა ბანაკი და მალევე შესდგომოდა თავისი მოვალეობის აღსრულებას.

ამინდი შესანიშნავია. მზე თითქოს ზურგზე მოჰბჯენიათო ალპინისტებს. მართალია, ისევე, როგორც სიცივე, სიცხეც აუტანელია მგზავრობისას, მაგრამ ამაზე ახლა ვინ ოხერი აწუწუნდება: პირიქით, ისინიც და ჩვენც, ყველანი, გულში იმასა ვნატრობთ, დიდხანს იდგეს დედამიწაზე მზიანი დარ-ამინდი.

— ელია ყოვლისშემძლეა, სიკეთის მქნელია, არაფერს გაგვიჭირვებს, — ამბობს მთამსვლელი ექიმი, მაშველი ჯგუფის წევრი ხიტო მუსელიანი, რომელსაც თავისი სიცქვიტისა და მოუსვენრობის გამო მეტსახელად „ბუზულა" (ბუზი) უწოდეს სვანეთში.

— შენს პირს შაჰარი, ჩემო ხიტო, მაგრამ ეს ღრუბლები ხომ არ გამოგრჩა მხედველობიდან? — აღმოსავლეთისაკენ ახედებს შარდენ ფალიანი „ბუზულს", — რაღაც არ მომწონს თეთნულდის თხემზე მიკერებული ფთილები.

ისევ ტიანშანი

— ეს მოხდა 1961 წელს. ქართველი ალპინისტები ტიანშანის მთიანეთში აკლიმატიზაციას გავდიოდით, რათა მოკლე ხანში ჩვენი ქვეყნის სიმაღლით მეორე მწვერვალისათვის, „გამარჯვების პიკისათვის" შეგვეტია (7439 მ. ზღვის დონიდან), რომელიც „კომუნიზმის პიკს" სულ რაღაც 56 მეტრით ჩამოუვარდება (იგი მხოლოდ 1943 წელს იქნა ტოპოგრაფების მიერ აღმოჩენილი, მანამდე კი ტიანშანის უმაღლეს მწვერვალად ხან-თენგრის პიკი ითვლებოდა — 6995 მ.).

აღნიშნული მწვერვალის პირველდამპყრობმა აბალაკოვმა ღრუბლის ფთილებს შორის თვალი მოჰკრა უზარმაზარ მწვერვალს, რომელიც გულგოროზად დაჰყურებდა ზემოდან მთელს ტიანშანს, მის უამრავ მთაგრეხილებსა და მწვერვალებს. მაგრამ უამინდობის გამო გაურკვეველი დარჩა სად მდებარეობდა იგი — საბჭოთა ტერიტორიაზე, თუ საზღვარგარეთ.

შემდეგშიაც მრავალჯერ მოეწყო ექსპედიციები ტიანშანის ამ რაიონში, მაგრამ უამინდობისა და რუკის უქონლობის გამო ვერავინ ზუსტად ვერ განსაზღვრა უცნობი მწვერვალის ადგილმდებარეობა და სიმაღლე. როგორც აღვნიშნეთ, 1943 წლამდე იგი გამოუცნობი, იდუმალებით მოცული რჩებოდა.

და ნეტავი, სულაც არ ყოფილიყო იგი — ასეთი ფიქრი არ შეიძლება არ დაეუფლოს ადამიანს, რომელმაც კარგად იცის ამ მწვერვალის უკუღმართი ხასიათის ამბავი. კარგად იცის, ამ მოკლე დროში, თუ რამდენი შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს მისმა კალთებმა...

რომელი ერთი ტრაგედია უნდა გაიხსენო ადამიანმა. თუმცა საამისოდ 1961 წლის უბედურებაც კმარა, უბედურება, რომელიც ისე უბრალოდ დაიწყო და, რომელსაც გამართლება არა აქვს...

ჰო, ეს მოხდა...

ჩვენ უნდა დაგველაშქრა „გამარჯვების პიკი". ჩვენ — ექვს კაცს — თეიმურაზ კუხიანიძეს, ჯუმბერ მეძმარიაშვილს, ილიკო გაბლიანს, მიხეილ ხერგიანს (უმცროსი), კირილე კუზმინს, რომელიც ჩონ-ტაშის ბანაკში შემოუერთდა ჩვენს ჯგუფს, და მე.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. პირველ დღეს ავედით 5800 მეტრის სიმაღლეზე და ღამე თოვლის ქვაბულში გავატარეთ. შემდეგი ღამისთევა 5600-ზე გვიწევს, მესამე კი — 6000 მეტრზე. ამინდი ცუდია, მაგრამ მაინც წინ მივიწევთ. 6500-ზე კარვებში ვათენებთ ღამეს. მეორე დღეს საშინელ ქარსა და გრიგალში მხოლოდ ორას მეტრს გავდივართ. თოვლის გამოთხრის თავი და ღონე უკვე არა გვაქვს, ამიტომ კვლავ კარვებში ვათენებთ.

მომდევნო ღამესაც კარვებში ვატარებთ, რომელიც წინა ღამისთევიდან სულ ასიოდე მეტრის მოშორებით, კლდეებში გავშალეთ. საქმეს თითქოს კარგი პირი არ უჩანს. სიმაღლემ, სიცივემ (30-40, ხანდახან კი 50 გრადუსი), ჰაე-

რის სიმშრალემ, მზის რადიაციამ, ქარებმა და თოვლმა იმოქმედა ადამიანებზე. ცნობილია, რომ სამიათას მეტრზე უკვე ხელებში ძალა თითქმის სამჯერ ნაკლებია, ხოლო რა უნდა იყოს 6000-ზე? ამ სიმაღლეზე ხდება სისხლის შემადგენლობის ცვლილება, გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მუშაობის დაქვეითება, რასაც თან ახლავს თავის ტკივილები, გულისრევა, სასუნთქი გზების კატარი და დაზიანება, უცნაური ქცევები...

ჯგუფი მიახლოვებოდა კრიზისულ მდგომარეობას. მაგრამ უკანდახევას არ აპირებდა. მეორე დღეს ჩვენ ავედით დასავლეთის მწვერვალზე. ჯუმბერმა დაწერა ბარათი და მაშინათვე დავეშვით თხემზე, რომელიც უნაგირათი მიემართებოდა პირდაპირ ცენტრალური მწვერვალისაკენ. 7000-ზე გამოვთხარეთ ქვაბული, ხოლო მერე გავედით უნაგირასთან, საიდანაც უკვე გამარჯვების პიკის აღმართი იწყებოდა. აქ ღამე კარვებში გავათენეთ. გარეთ საშინელი ამინდია.

იმ ღამეს ცუდი სიზმრები ვნახეთ. მიხეილმა ყველაზე საზარელი ამბავი გვაცნო — ცუდადა ვარო.

ამ ორ სიტყვაში ბევრი რამ იგულისხმებოდა. იგი უთქმელი კაცი იყო, უთქმელი და მორიდებული და ყველა მიხვდა, რომ იგი აქამდე მალავდა ავადმყოფობას, ძალ-ღონესა და მოთმინებას იკრებდა და მალავდა, რომ ჯგუფის წინსვლა არ შეეფერხებინა, მაგრამ ეტყობა მეტი ვეღარ შეძლო და...

— მე ჩავიყვან მას დასავლეთი მწვერვალის გავლით ხაზარაძის ბანაკში. ხაზარაძის ჯგუფი მეორე დღეს უნდა გამოგვყოლოდა უკან. ისინი დაიპყრობდნენ დასავლეთის მწვერვალს და უკანვე გაბრუნდებოდნენ. ჩვენსავით ტრავერსზე არ აპირებდნენ წამოსვლას. ვფიქრობდი — გზად სადმე შევხვდები ან წამოვეწევი მათ და ავადმყოფს დავუტოვებ, მერე კი უკანვე გამოვბრუნდები და თანაჯგუფელებს შევუერთდებიმეთქი.

— თუ საჭიროა, მეც გამოგყვებით, — თქვა თეიმურაზმა, — საჭირო კი არა, ეს აუცილებელია. ჩვენ არა გვაქვს უფლება...

ყველანი დუმდნენ. ეს იყო ალბათ ამ გზობაზე მთამსვლელთათვის ყველაზე მძიმე წუთები. ამდენი რამ გადაიტანეს, ამდენი ითმინეს, რათა მიზნისათვის მიეღწიათ და როცა მწვერვალამდე რაღაც მეტრებიღა დარჩათ, უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ, ხელი ჩაექნიათ ათვისებულ სიმაღლეზე, წყალში ჩაეყარათ ყოველივე...

მწვერვალი კი, სანეტარო მწვერვალი მაცდუნებლად აღმართულიყო მათს ცხვირწინ, ერთი ხელის გაწვდენაზე. ერთი დღის სავალზე...

— არა მგონია მიხეილს მთის ავადმყოფობა სჭირდეს, უბრალოდ, შეუძლოდ გახდა, ხვალ კარგად იქნება. ასე რომ საგანგაშო არაფერია, — დაარღვია დუმილი კუზმინმა, — ეს მწვერვალი უნდა დავიმორჩილოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს...

კუზმინს მდიდარი სამთამსვლელო-სასიმაღლო გამოცდილება ჰქონდა. ამდენად მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენც დავუჯერეთ, დაველოდეთ ხვალინდელ დღეს. ჩავებით მე და მიხეილი კირილეხთან ერთ თოკში, დანარჩენები კი ცალკე და განვაგრძეთ გზა... გავჩერდით 7.360 მეტრზე. ღამეს ვათევთ კარვებში.

— მომილოცავს, მეგობრებო, ასეთ სიმაღლეზე საბჭოთა მთამსვლელებს ჯერ არ გაუთევიათ ღამე, ჩვენ პირველები ვართ... — საზეიმო ტონით გვახარებს კუზმინი.

მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც მიხეილზეა გადასული. მის ჯანმრთელობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მიხეილი კი თითქოს არც თუ ურიგოდ გრძნობს თავს. ხუმრობს და იცინის.

ისე კი ყველას უჭირდა. არასაკმარისმა მომზადებამ მალევე იჩინა თავი და ახლა დაღლილობასა და ჰაერის უკმარისობას თავისი მძიმე ტორი დაედო ყველასათვის. მე კი ჯერჯერობით საოცრად მხნედ ვგრძნობდი თავს. ახე კარგად არც არასოდეს მიგვრძნია თავი ამ სიმაღლეზე.

და აი, ირიჟრაჟა კიდეც. ყველანი ერთი ფიქრითა ვართ შეპყრობილნი: როგორ აღსრულდება კუზმინის წინასწარმეტყველება მიხეილის გამომჯობინების თაობაზე? მაგრამ ყველაფერს ხომ ხმამაღლა არ იტყვის ალპინიანი! ჩუმად გავცქერით მიხეილს, აბა რას იტყვის იგი? როგორ გვაჩვენებს თავს? ჯერჯერობით კი ყველაფერი რიგზეა. მიხეილი ჩვეულებრივად იცვამს, იკიდებს ზურგჩანთას, იღებს ხელში წერაყინსა და ებმება თოკში, მერე კი ჩვენთან ერთად დაადგა გზას. უკან მოვიტოვეთ ათი მეტრი, მერე კიდევ ათი და კიდევ ათი, და აი ამ წუთას ყველაფერი ირკვევა: არა, არ მართლდება კუზმინის წინასწარმეტყველება! მიხეილი მხოლოდდამხოლოდ ამხანაგების ხათრით ებრძვის მოძალებულ ტკივილებს, იგი უდარდელი ადამიანის როლს თამაშობს ძალისძალად, მაგრამ მსახიობსაც კი უჭირს საათობით სცენაზე საკუთარი თავის გარდასახვა, და მით უფრო გაუჭირდებოდა მიხოს მოძალებული ტკივილების მალვა.. გაუჭირდებოდა, მაშ არ გაუჭირდებოდა?

მიხეილი პირქვე ეცემა და ხნავილით გვამცნობს:

— მეტი აღარ შემიძლია. ღმერთმანი, აღარ შემიძლია...

ყველასათვის გასაგები გახდა მისი მძიმე მდგომარეობა. ჯგუფი ერთ აღგილზე გაიყინა.

— ვერც ზევით წამოვალ, ვერც — ქვევით... აქ მშვენიერი ადგილია...

— ტრავერსი აღარ შესდგება. მიხეილი უნდა გადავარჩინოთ როგორმე... — გამეფებული მდუმარება დაარღვია კუხიანიძემ.

დაარღვია, მაგრამ სულ ერთი წუთით. კვლავ

იძალა სიჩუმემ. თავჩაქინდრული წერაყინ ზურგჩანთებიანი ადამიანები, გაყინულ ქანდაკებებს დამსგავსებოდნენ. მდუმარება და უმოძრაობა, სიჩუმე და ჭოჭმანი სუფევდა გამარჯვების პიკის თხემზე.

ორი საპირისპირო გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს. გრძნობა მოახლოვებული სანეტარო გამარჯვების სიხარულისა და გრძნობა გაჭირვებული თანამოძმის გადარჩენისა. და არც იყო აქ არაფერი გასაკვირი. მთებთან შებმისა და მათი დამორჩილების ჟინი მხოლოდ ნამდვილ მთამსვლელთათვის არის დამახასიათებელი. ისინიც ხომ სულით ხორცამდე ალპინისტები იყვნენ ყველანი. და ახლა, ამ მწვავე მომენტში მათი სული გაორებულიყო. ორ ცეცხლს შუა თუხთუხებდა, გზაგასაყარს შორის ცახცახებდა. „ზევით თუ ქვევით?“ — რეკდნენ უჩინარი ზარები..

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ეს მდუმარებაც აუტანელი გახდა. რაღაც უნდა თქმულიყო. ხმა უნდა ამოელო ვიღაცას. ან „ჰო“ ეთქვა, ან — „არა“.

„ჰო თუ არა?..“

— მწვერვალი ხელისგაწვდენაზეა. იქნებ ცენტრალურ პიკამდე თხემით გავსულიყავით და მსწრაფლ მოვბრუნებულიყავით უკან? — თქვა კუზმინმა.

შეპასუხება აღარ შეიძლებოდა. არც შეეძლო ვინმეს საწინააღმდეგო არგუმენტის წამოყენება. აბა ამისი თავი ვისა ჰქონდა ამ მდუმარების ჟამს? ადამიანებმა ერთი თავისუფლად ამოისუნთქეს და მადლიერების გრძნობითაც კი გადახედეს კუზმინს.

მაგრამ ადგილიდან მაინც არავინ იძვროდა. პირველი ნაბიჯის გადადგმა ყველას უჭირდა.

— მიხეილის დატოვება არ შეიძლება. ყველანი აქ უნდა დავრჩეთ. თუ ხვალამდე გაიღწია, თბილად შევმოსავთ და დავტოვებთ. ჩვენ ავალთ მწვერვალზე და უკან გამოვუვლით. მე მგონი, ასე უნდა მოვიქცეთ. ადამიანური ვალი მოვიხადოთ დავრდომილის წინაშე... და თუ ხვალამდე ვერ გაატანა, მაშინ რაღა გაეწყობა... ახლა კი მე იქ წამოსვლის თავი არა მაქვს, მე აქ ვრჩები. აქ კარგია... — მიხეილს დავადე მხარზე ხელი და შევანჯღრიე — ა, მიხო, შენ არა თქვი, აქ კარგიაო?

მიხომ სველი გუგები გადმოატრიალა და გაღიმება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. მხოლოდ შუბლის ღარები დაეჭმუხნა რაღაცნაირად, თითქოს რაიმე ძველისძველი ამბის გახსენებას ლამობსო.

თეიმურაზს რაღაცნაირი გამოცოცხლება დაეტყო ამ წუთში. მან ამხანაგებს გადახედა და ერთი საფეხურით ჩამოივარკა. ილიკო და ჯუმბერი შეტოკდნენ, თითქოს ჰაერის ტალღამ გადაუარათო. მერე წერაყინები მოისინჯეს ხელში და ის იყო, ამხანაგს უნდა გამოჰყოლოდნენ უკან, რომ კუზმინმა დაბეჯითებით მოითხოვა მარშრუტზე გასვლა:

— ამ სიმაღლეზე დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. კიდევ ერთი დღე, კიდევ ერთი ღამის თევა და ჩვენ ყველანი დავიღუპებით... არ გესმით თქვენ ეს ამბავი?

კუზმინი ყველაზე უფროსი იყო. უფროსი ხნოვანებითა და გამოცდილებითაც. ამიტომაც მისი ყოველი სიტყვა კანონივით ულერდა. კუზმინისა მეტი სჯეროდათ. რწმენა კი ისეთი რამ არის...

ჯერ ყველაფერი ბურუსით იყო მოცული. რა მოხდებოდა, ვინ უწყოდა წინდაწინ?

„იქნება მართლაც არ შეიძლება ამ სიმაღლეზე დარჩენა, იქნებ ეს „ადამიანური მოვალეობის აღსრულება“ მხოლოდ ფუჭი შრომაა და მეტი არაფერი? და ამ „ფუჭმა შრომამ“ მთელი ჯგუფი რაღაზე უნდა შეიწიროს?“. ფიქრობდა თვითეული ჩვენთაგანი.

— ერთი ღამისთევაც და საახალწლო თოვლის ბაბუებად მოვირთვებით. ქაჯ-ეშმაკები სელიბელს ჩაჰკიდებენ და ფერხულს დაუვლიან ჩვენს გარშემო...

• • •

ისინი წავიდნენ.

კუბიანიძე ერთხანს ისევ უარზე იდგა, მაგრამ უიმისოდ წყვილი „გატყდებოდა“. სამ კაცს უფრო გაუჭირდებოდა ერთ გაბმაში სიარული. ჰოდა, წავიდნენ წყვილ-წყვილად, ერთიმეორის მიყოლებით.

ეს იყო რაღაც საშინელი წუთი. ურწმუნობის, სიცარიელისა და სიღარიბის წუთი. ჩვენ ვეჭქონდა მხოლოდ ერთი ჭილა საჭმელი, თოკის ნაგლეჯი და ...მთელი ქვეყნის სამყოფი თოვლი. მეტი არაფერი და არავინ იყო. ოთხი წერტილი გამოეყო ორ ლაქას და მაღლა ღრუბლებში გაუჩინარდა. ორი ლაქა ერთურთს შეერწყა. ისინი საკერებელივით აჩნდნენ გადაპენტილ ფერდობს. საკერებელი ტრიალებდა, ბრუნავდა, დაბლა ჩამოუყვებოდა წარაფს...

დავრდომილი და ჯანმრთელი, ორი მიხეილ ხერგიანი საკერებლად ქცეულიყო.

ორი კაცი, ერთი დავრდომილი და მეორე ჯანმრთელი — ებრძოლა აღსასრულის მოახლოებას.

— ტყუილად ირჯები... გეუბნები, ტყუილად ირჯები... — ამბობს დავრდომილი.

— სსს... სსს... — ხელს ვაფარებ ტუჩებზე.

— ჭსსს... ჭსსს... — მივათრევ მთელი სისწრაფით ფერდობზე. თოვლზე გახახუნებულ ტანსაცმელს რაღაცნაირი ჭსუილი გაუდის.

სადაც სწორია თავდაღმართი, საქმე წინ მიდის. ტვირთი იოლად მომყვება. მოსახვევებში ჩვენი ქარავანი სვლას უკლებს. ჩერდება. ამ დროს მის მკლავს მხარზე გადავიგდებ და ძალისძალად ვეწევი. ძნელია ამ სიმაღლეზე მძი-

მე ტვირთის ტარება. ძნელია ეს მშიერი და არც თუ მთლად დასვენებული ადამიანისათვის. მაგრამ, შენდა საკვირველად, უხილავი ძალები იბადებიან სხეულში, ძალები, რომელთა არსებობაზე დღემდე წარმოდგენაც კი არ გქონდა. გული გუნდასავით შეიკვრის, გონება გაფაციცებული მუშაობს, ითვლის ქვეშეცნეულად ათას შესაძლო ვარიანტსა და ალაგებს ყოთ თავისი რიგის მიხედვით. ამ ათასი ხსნიდან, ერთი მთავარი გზა უნდა შეირჩეს, ყველაზე იმედიანი და მისაღწევი. გზა — დასაძლევი და გასავლელი.

— არ გჯერა... ჩემი არ გჯერა...

— სსს...

— ყოველთვის გჯეროდა. დღეს — არა.

— გაჩუმდი, გესმის, გაჩუმდი!

— იცი, რა? თითქოს რაღაც ჩამწყდა გულმკერდში, ჩამწყდა და უკვე ველარაფერი გაამართელებს...

— გეჩვენება. ამ დროს ბევრი რამ ეჩვენება ადამიანს...

— არა... არა... არა...

— სსს... სსს...

— აქ მშვენიერი ადგილია. ამაზე უკეთესს რას ნახავ კაცი... დამიჯერე.

„აქ უნდა გავჩერდეთ. უნდა გავჩერდეთ და დავისვენოთ. დღეისათვის საკმარია. ამდენი ნჯღრევისაგან რაღაცა ჩასწყდა...“

— ახლავე ღამისსათევს მოვაწყობ.

მთელი საათი ვიმუშავე. ფხვიერი თოვლი ადვილად ამოვჩიჩქნე, მაგრამ ქვეშ ყინულის ფენა შემხვდა. იმას კი ვერაფერი მოუხერხა ჩემმა წერაყინმა. ტყუილად შემრჩა ამდენი წვალება. ბრაზისაგან აღარ ვიცი რა ვქნა. არა, არ უნდა ავყვე გულისთქმას. რამენაირად სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო, რათა საღი აზროვნების უნარი არ დამეკარგოს.

— გემუდარები, დამიჯერე...

— მოიტა შენი მკლავი. რაც დაბლა დავეშვებით, უკეთ გახდები.... — შევეცადე მის გამხნევებას.

— პირიქით, უარესად წავა ყველაფერი... ამიტომაც დამიჯერე. აი, გაიხედე ერთი.

— ჰო, გავიხედე, მერე?..

— ჩვენს მხარეზე გადამიშვი, ძმურად გევედრები, გადამიშვი. ყველაფერი გათავდება. შენთვისაც ასე სჯობია, იქნებ შენ მაინც უშველო თავს როგორმე. ჩემს წამებასაც მოელება ბოლო...

— ჰა, რა თქვი? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩამესმის მისი სიტყვები. ეს იმიტომ, რომ ალბათ მწვავე რამ საფიქრალს მოუცავს ჩემი გონება.

— მერე კი შენი ნებაა.. .მოხვალ და „ამკრიფავ“. მერე რაც გინდა, ის მიქენი...

„მერე მოხვალ და „ამკრიფავ“, მერე რაც გინდა ის მიქენი“ — დაიჭირა ყურმა მიხოს სიტყვები. ტანში უსიამოდ გამაჟრჟოლა. სიტყვა „აკრეფამ“ რაღაც შემაძრწუნებლად იმოქმედა ჩემზე.

— ასე ნუ ლაპარაკობ, გაიგე? — დავუყვირე ხმამაღლა. — პირზე რაც მოგადგება, ყველაფერი კი არ უნდა წამოროშო, გესმის?

ჩემმა ყვირილმა შეაცბუნა. ხმა არ ამოუღია.

ჩვენს მხარეზე მართლაც თვალშეუვლები კედელია. ჩინეთისაკენ კი თოვლიანი, მშვიდობიანი ფერდობი დაუყვება.

„ამ ფერდობზე ადვილად ჩაიყვანს ადამიანი, — გამკრა უეცრად თავში, — კი ჩაიყვანს, მაგრამ მერე? მერე რა იქნება? მერე ჩვენ საერთოდ ვერავინ ვერ მოგვნახავს, ჩვენი ასავალ-დასავლისას ვერავინ ვერაფერს გაიგებს...“

არა, როგორმე ძალღონე უნდა მომეკრიბა და დასავლეთის მწვერვალის აღმართს შევდგომოდი, აღმართს, რომელიც ორი დღის წინ ჩამოიარა ჩვენმა ექვსეულმა.

იმ წუთში ცივი გონებით რომ შეეხედა ადამიანს ჩვენთვის, ალბათ ყოველივე სასაცილოდ და უაზროდ მოეჩვენებოდა. ასვლა-წასვლაზე ფიქრს არც გაიელვებდა თავში. მაგრამ მთამსვლელებში ალბათ ძალიან ცოტა ურევია ცივი გონების ხალხი. არ ვიცი, ჩვენს ჯგუფში კი ერია ასეთი ვინმე? იქნებ ერია კიდეც, იქნებ არც ერია...

7300 მეტრზე კვლავ შევუდექი ქვაბის გამოთხრას. როგორც იქნა, გამოვთხარე და მიხეილი შიგნით შევათრიე. გათბობით რას გავთბებოდით. იგი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. და თუ რამეს შეეძლო ახლა მისი მობრუნება, ალბათ ერთი მოგუზგუზე ბუხართან ჯდომა იყო, ან თბილ მაჩუბში მოფიხვნე ხალხთან ბაასი. მაგრამ შორს, ძალიან შორს იყო საქართველო, სვანური მაჩუბის სითბო კი ველარასოდეს მოაღწევდა ტიანშანის ველებამდე. ჩვენით უნდა გავმთბარვიყავით როგორმე, უბუხროდ და უმაჩუბოდ, მაგრამ როგორ?

მას წყალი უნდოდა.

— სგიმ... სგიმ ლამაშ... სგიმ ლამაშ... — წამოაბობდებდა ხანდახან.

სგიმს ვინ ჩიოდა, თოვლის ნაჟური სანატრელი გაგვხვდომოდა. იმას კი თავი ლეგაბში ეგონა, მყავეწყალზე. ვიღაცას ეჩხუბებოდა — დამანებე, რა, გემოზე დამალევინე ერთიო...

ვიღაცა უშლიდა სგიმის დალევას.

— სგიმ... სგიმ ლამაშ... ჯესმიმა, სგიმ ლამაშ...

მთელი ღამე ბოდავდა. ნახევრად გრძნობადაკარგული ებრძოდა შორეულ მოჩვენებებს. ტკივილის, წყურვილისა და შიმშილის მოძალებას.

არც პურის დაღება შეეძლო. მაგრამ იგი კი აუცილებელი იყო მისთვის. დავრდომილი ორგანიზმისათვის აუცილებელი იყო საკვები.

— სგიმ ლამაშ... სიმარესი, სგიმ ლამაშ...

გაზჭურა კი ჩვენ არ გვქონდა, არც სპირტი

გვჭონდა, თოვლი რომ გაგვედნო. არაფერი ჩვენ არ გვჭონდა. თოვლს კი არ ვაძლევდი. თოვლის ჭამა წყურვილს არა კლავს, პირიქით, ამძაფრებს მას და ამიტომ თოვლს არ ვანებებდი.

იგი კი ამბობდა:

— ნეტავი რას მიფრთხილდები და მაწვალებ, მე ხომ უკვე მოვკვდი...

— სსს... სსს... — პირზე ვაფარებ ხელს.

— მე უკვე გავთავდი და რაღას მელოლიავები...

ამ სიტყვებზე გული ამიჩუყდა. თვალებში ცრემლი მომადგა. ავჭვითინდი. შემეცოდა, ძალიან შემეცოდა მიხო და მივეცი თოვლი. ნაიალაღარი ხარი რომ დააკვდება სალოკ მარილს, ისე დააცხრა ყინულს.

იგი მთელი ღამე ხნაოდა და კვდებოდა. მაგრამ მე ვერაფრით ვერ შევგუებოდი იმ აზრს, რომ თბილისის აეროდრომზე ერთად არ დავეშვებოდით თვითმფრინავით, ჯანმრთელნი და ხალ-ხალამათნი. ვერაფრით ვერ წარმომედგინა სამგლოვიარო ზარის გუგუნი ლანჩვალში, მიხოს გასვენებაზე. ნუთუ ერთად ვერახოდეს დავლეწდით ლეგაბისა და სგიშის, შეგდისა და კახრულდის მყავეწყლებს მე და მიხო? არა, ეს არ უნდა მომხდარიყო. თვით განგებაც კი ვერ მოიმოქმედებდა ამხელა უსამართლობას. არა, არავის არ მივცემდი ამის ნებას, ცოცხალი თავით არავის დავაჩაგვრინებდი მიხოს... ჩემს საყვარელ ძმასა და მეგობარს, მუდამ სახემომღიმარსა და მდუმარე მიხოს...

ვერა, ვერავინ წამართმევდა მას. ის ჩემია, ჩემი სისხლ-ხორცია. სხეულის ერთი ნაწილია, გაგრძელებაა. და მე რაც შემეძლო, ვზელავდი მას, ვზელავდი მთელი ღამე. თვალი არ მომიხუჭავს და ოფლი არ შემშრობია. ვზელავდი და ვზელავდი, ოლონდ დამეთბო მისი სხეული როგორმე, სისხლი ამეჩქროლებინა უწინდებურად მის ძარღვებში... საკუთარი სითბო გამენაწილებინა მისთვის.

— ტყუილად ირჯები, მინაან, ამაოა ყოველივე, ფუჭია. იმათთან უნდა წასულიყავი... — ამბობდა, როცა გონს მოეგებოდა.

— სსს... — პირზე ვაფარებდი ამ დროს ხელს. აბა, რა უნდა მეთქვა სანუგეშო.

უხერხულობა...

სოფლის ბიჭები აივნის ბოძზე დახვეულ თოკს ჩაბღაუჭებიან, თავისკენ ეწევიან. მაღლა, დერეფანზე მთამსვლელები დგანან, თოკის ერთი ბოლო ხელში ჩაუჭერიათ და მითითებებს აძლევენ მომხმარეებს. ხაჭართველოს კინოსტუდიის ოპერატორმა ბორის კრეპსმა, რომელიც საგანგებოდ იყო მივლინებული სვანეთში უშბის ექსპედიციის გადასაღებად, აპარატი აამუშავა. მას მაშველი ჯგუფის უფროსმა, სპორტის ოსტატმა პირიბე გვარლიანმაც მიბაძა, თავისი ფოტოაპარატით ლაფაროში ახორავებულ მორებზე აძვრა: არ უნდა გამორჩეს თოკის დამუშავების მომენტი.

ოჯახის უფროსი, სპორტის ოსტატი ბესარიონ ხერგიანი აჩჩარებს ბიჭებს. წინ დიდი გზაა, უნდა ისწრაფონ...

ქალები კუბდარებს აცხობენ, თაფლით სავსე ვედრო გასაცხელებლად შეუდგამთ ღუმელზე, დანაყულ ნიგოზს უმატებენ.

მიშამ (უფროსმა) ეს-ეს არის დაამთავრა სურსათის განაწილება და ამხანაგებს შინ ეპატიჟება წასახემსებლად. სუფრა გაშლილია. ყველანი სხდებიან, მადიანად ილუკმებიან. ეს არის, მასპინძელი წრიალს აუტანია რატომღაც. რა მოხდა? რატომ ღელავს ბიძია ბესარიონი, მისი მეუღლე, ქალიშვილი? რა სატკივარი გასჩენიათ?

სუფრას არაყი აკლია! ვის გაუგონია ქართული სუფრა უსასმელოდ? ასეთი საპატიო სტუმრები გუავდეს და არყის ნაცვლად ლეგაბიდან მოტანილი მჟავე წყალი ასვა? აი, მოხუცებიც აქ არიან: ახსოვს ვინმეს ასეთი ამბავი?

ბესარიონი შვილს გადახედავს ხოლმე მაველერებელი თვალით, იქნებ ცოტაოდენი მაინც დაალევინოს ამხანაგებს, მისცეს ნება, შესთავაზოს?

მაგრამ მიხეილი ხდუმს, პირველად სიცოცხლეში არ უჯერის მამა ბესარიონს.

ჯოკია გუგავა ხვდება ოჯახის უფროსის გულისტკივილს და თანაგრძნობით ეუბნება ბესარიონს:

— იერიშის წინ არც თქვენ მიირთმევდით სასმელს. რაა აქ საუხერხულო... რომ დავბრუნდებით, მაშინ ჰო, მაშინ რამდენიც გენებოთ...

„მართალია. განა არ ვიცი, რომ არ შეიძლება, ჩვენც არ ვსვამდით, მაგრამ უარყოფ სუფრა რა უნდა იყოს. ჩვენს ოჯახში, სტუმრიანობისას უარყოფ არავის ახსოვს სუფრა. აი, მოხუცებიც აქ არიან...“

მერე ბესარიონსაც მიაწოდეს მჟავეწყლით სავსე ჭიქა და მანაც ადღეგრძელა უშბისაკენ მიმავალი ბიჭები.

გამოცდილ ადამიანს სხვა უფროსებმაც მიბაძეს, მთელი სახლი ერთხმად ღაღადებდა:

— ღმერთო, შენ დაიფარე ჩვენი ბიჭები...

— ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე ვაჟკაცები...

მიხეილ ხერგიანი (უმცროსი)

— ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, მოიერიშეთა ჯგუფს რაც შეიძლება ადრე უნდა მიგველწია პირველ ღამისსათევამდე, ე. ი. მთავარ ბანაკამდე, რათა მის მოწყობასთან ერთად ერთ-ერთი წყვილი მარშრუტზე გასულიყო და გზის წინასწარ რეკოგნოსცირებასთან ერთად აეთვისებინა ტრასა. ასე უნდა გაგრძელებულიყო შემდგომშიაც. წინდაწინ შემუშავებული

ტაქტიკური სურათი ჯგუფის ხელმძღვანელსა და მონაწილეებს ასეთნაირად გვესახებოდა:

ვიდრე მოიერიშეთა ერთი ნაწილი აწყობს ღამისსათევს და ამზადებს საჭმელს, სხვები ამუშავებენ მომიჯნავე უბანს. ღამისთევები განზრახული გვაქვს ჰამაკებზე, დაკიდულ მდგომარეობაში, აგრეთვე ხელოვნურ მოედნებზე. უფრო სწორად, იძულებულნი ვართ ახე მოვიქცეთ. მხოლოდ ორჯერ თუ მოგვიხერხდება კარვების დადგმა, ისიც იერიშის დაწყების პირველ და ბოლო დღეს (ეს უკანასკნელი კი იმ შემთხვევაში, თუ კი ჩვენ წარმატებით შევასრულებდით დასახულ ამოცანას), სარკის მისადგომსა და მწვერვალისწინა მშვიდობიან თხემზე. მაგრამ ვარაუდი მაინც ვარაუდია — იქნებ ის, რაც შორიდან შესაძლებლად გვეჩვენება, ახლოდან, თვალდათვალ სულ სხვანაირად გამოჩნდეს?

ჯგუფის ექვსი კაცით დაკომპლექტებაც ტაქტიკური გეგმით იყო ნაკარნახევი. ამ კედელზე მოგვიხდებოდა სპეციალური, მხოლოდ უშბის სარკისადმი დამახასიათებელი სამუშაოების შესრულება. როცა გულდასმით შევისწავლეთ ამ სამუშაოთა ხასიათი და ნაირგვარობა და მისი მოცულობა კაცსაათებზე, საბოლოოდ კი კაცდღეებზე გადავიტანეთ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ უკეთეს შემთხვევაში ექვსი ადამიანი ნამდვილად აუვიდოდა საქმეს. თუ მოიერიშეთა შემადგენლობა მაქსიმალურად დაიტვირთებოდა, თუ ყველა პირნათლად შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაშიც არც ჯგუფის ხელმძღვანელს და არც სხვა ვინმეს ეჭვი არ ეპარებოდა, უთუოდ გზაზე წამოჭრილ უოველგვარ წინააღმდეგობას მოვერეოდით და დადებითად გადავჭრიდით.

ამიტომაც მიხეილი, ასვლის მონაწილეთაგან სერიოზულ მომზადებას მოითხოვდა. რა თქმა უნდა, მთებთან ჰიდილისას არ არსებობს მეორეხარისხოვანი საქმე — საძილე ტომრის დაკეცვით დაწყებული, კედელზე პალ-ის ჩარტყმით დამთავრებული, ყოველი წვრილმანი თუ მსხვილმანი ოპერაცია ერთნაირ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. უგულისყუროდ დაკეცილი აჩაჩულ-დაჩაჩული საძილე ტომარა შეიძლება სიარულის დროს ქიმს გამოედოს და უფსკრულში გადაუძახოს პატრონს. ასეთივე სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა პალოს არასაიმედო ჩარტყმას. ეს მარტივი მთამსვლელური ჭეშმარიტებანი უველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ მიხეილი ბევრ რამეს ხელახლა შეგვახსენებდა ხოლმე. თანაც ამას ისეთნაირად აკეთებდა, დანარჩენი წევრების წინაშე თავისი მეობა არ წამოეჩინა და ამით მათი თავმოყვარეობა არ შეელახა.

ასვლის ექვსივე მონაწილეს ერთნაირად უნდა გამოეკვეთა თავი საერთო საქმისათვის. ამ დღეებში ჩვენთვის აღარ იარსებებდა „ჩემი საქმე", „შენი საქმე". იქნებოდა საერთო მიზანი, ერთნაირი პასუხისმგებლობა მის შესასრულებლად. იქნებოდა საერთო სიხარული და მწუხარებაც ასევე... „მე"-ს ნაცვლად იქნებოდა „ჩვენ", „უველანი"...

აი, როგორ უნდა წარმართულიყო ჩვენი მუშაობა სარკის ნებისმიერ უბანზე:

მეწინავე წყვილი წინასადაზვერვო სამუშაოებს ასრულებს მისი ამოცანაა ტრასის ათვისება, უსაფრთხოობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა. პალოების ჩასობა და ძირითადი თოკების გაჭიმვა, საჭირო შემთხვევაში საიერიშო „ბაქნებისა" და „მოედნების" მოწყობა, კლდესაბურღი შრომატევადი სამუშაოების შესრულება, საიმედოდ გამაგრება ათვისებულ სიმაღლეზე. მეწინავე წყვილმა უნდა უზრუნველყოს მიმყოლი წყვილის მიღება და „დაბინავება".

რას აკეთებს მანამდე მეორე წყვილი?

რადგანაც გაკვალულზე სიარული და წინ წაწევა შედარებით ადვილი საქმეა, მეორე წყვილი შედარებით „მშვიდ" ცხოვრებას ეწევა, მაგრამ მალე მან ხომ წინ მიმავალი ამხანაგები უნდა შესცვალოს. ამიტომაც ეს „დასვენება" დიახაც რომ სჭირია მას. ასე რომ შემდეგში პირველი წყვილი იჭერს მეორის ადგილს, ასრულებს მეორის სამუშაოს, ხოლო მეორე მიდის წინა ხაზზე და იკავებს მოწინავე პოზიციას. ყოფილი პირველი, ამჟამად კი მეორე, ეხმარება მესამეს, ბოლო გაბმას ამოსვლასა და მთელი ექსპედიციის ტვირთის ამოზიდვაში, ამავე დროს, იცავს მეწინავეებს. როგორც კი მთავრდება ტვირთის ამოზიდვა, ისინი ენაცვლებიან ერთმანეთს. ამგვარად ეს, მონაცვლეობის თავისებური მეთოდი მონაწილეთა შორის ძალთა განაწილების, მათი თანაბარი დასაქმების საშუალებას იძლევა. ამავე დროს, ერთი და იმავე ადამიანის სხეული დროის გარკვეულ მონაკვეთში სამი სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებს და ნაკლებად იქანცება.

რაც დამახასიათებელია ამ მეთოდის გამოყენებისას, ეს ის არის, რომ წინსვლა, თუ კი ეს შესაძლებელია საერთოდ, წუთითაც არ წყდება, რაც მთავარი და ძირითადია და ურომლისოდაც არც ერთი ლაშქრობა წარმატებით არ დამთავრებულა არასოდეს.

მუშაობის ზემოთაღწერილი რიტმით შესაძლებელი იყო ათ დღე-ღამის განმავლობაში ათი-თორმეტი საათი გვემუშავა. ზოგჯერ, თუ ღამისსათევის მოწყობის შემდეგ ცოტაოდენი დრო კიდევ გადაგვრჩებოდა, მეწინავე წყვილს შეეძლო თავის ნება-სურვილზე გასულიყო უშბაზე, რათა საკუთარი საქმე წინ წაეგდო და არა მარტო საკუთარი, მთელი ჯგუფის საქმე.

მესტია

უკან დარჩა სახლი, ახალმომკილ ყანებთან შეგროვილი გამცილებლები ხელებს იქნევენ, თანდათან პატარავდებიან, სიმინდის კაჭაჭებად მოჩანან. მესტიას უკვე ზემოდან დავცქერით. აი, მისი ძველი და ახალი უბნები, ენგური, სგიმიერისა და შგედის ხიდები. მაღლა და მაღლა მიიწევს მთამსვლელთა ჯგუფი.

მიხეილი ხელმოჩრდილვით გასცქერის სოფელს. ღიმილგამკრთალი ამბობს:

— ასეთი ლამაზი არც როდის მინახავს მესტია...

მე მიკვირს — რატომ თქვა ასე? რა უნდა შეჰმატებოდა სოფელს გუშინდელს აქეთ? იქნებ ვინ უწყის, რა იდუმალება იმალება ამ სიტყვებს მიღმა? მაგრამ ვინ გამოიცნოს ის წინათგრძნობა და გუმანი, რამაც ეს სიტყვები ათქმევინა მოიერიშეთა რაზმის ხელმძღვანელს მშობლიურ სოფელთან გამომშვიდობების ჟამს?

ამ წუთში მესტია თავისი ძველი და ახალი საცხოვრისებით, მურყვამებითა და ქუჩაში გამოფენილი ადამიანებით იცინოდა, სახეგაბადრული აცილებდა მთაში, ჯიუტი უშბისაკენ მიმავალ ვაჟკაცებს, იქნებ ამ საერთო ერიამულმა უცვალა სახე მთების ქვეყანას? იქნებ იმიტომ მოეჩვენა ასეთი ლამაზი მესტია?

— არა, ასეთი მშვენიერი არასოდეს არ ყოფილა მესტია... — გაიმეორა ისევ მიხეილმა, აჩრდილული ხელი დაბლა დაუშვა, შემოტრიალდა და ამხანაგებს წამოეწია.

შალიკო მკრგიანი: „გზაც ვამბობ, თორემ რა გზაა...“

მონაკვეთი № 1. მთავარ ბანაკიდან ზუსტად ღამის პირველ საათზე გამოვდივართ. ამ უბანზე, ე. ი. უშბა-ჩათინის კულუარის შუაწელში მეჭეჭივით დასკუპებულ ლოდიდან „სარკის“ უშუალო მისადგომებამდე ქვათაცვენა იყო მოსალოდნელი. მისი თავიდან აცილების მიზნით მონაკვეთის გავლა შუაღამისას გადავწყვიტეთ, როცა ბუნება შედარებით მშვიდ ძილს მისცემია, არემარე კი მკვდარივით გარინდებულა.

რაც არ უნდა იყოს, ღამით მთაში სიარული ერთობ სარისკო და საშარო საქმეა, მაგრამ კედლის მისადგომებთან მიღწევა რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობებთან არ იყო დაკავშირებული. ჩვენ უნდა გაგვევლო მთვარის შუქით განათებული, ქვათაცვენისაგან დაორმოებული და დახეთქილი, შედარებით უსაფრთხო თოვლიანი ფერდი და ვფიქრობდით, რომ წინ არაფერი საშიშროება არ გველოდებოდა.

წინ მივიწევდით, მაგარ, მყიფე ფირნაზე წერაყინმოჭარჯვებულნი და წრიაპვწამოცმულნი. ფერდის დახრილობა დაახლოებით 35 გრადუსია. მივდივართ, რაც შეიძლება ჩქარა, სულმოუთქმელად. ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ვაწყდებით ნაპრალს, რომელსაც შემაზრზენად დაუფჩენია ხახა.

ბევრნი პირველად ვხედავდით მთვარის შუქით განათებულ „თოვლის ჭრილობას“. მით უფრო გვაშინებდა და თავზარს გვცემდა იგი, რომ ნაპრალის ხახას, სიღრმეში ჩრდილი ადგა და რაღაც ავბედითად ჩამუქებულიყო. სადღაც დაბლიდან კი რაღაცნაირი ბუუბუუი მოისმოდა, თითქოს დევების ქვაბი თუხთუხებდაო.

ნაპრალის გარშემოვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, იგი ფირნს მთელს გაყოლებაზე გასდევდა. გადახტომითაც ვერ გადაახტებოდა კაცი, რადგანაც მისი მოპირდაპირე მხარე სამი-ოთხი მეტრით მაღალია აქეთა კიდეზე.

წინასწარი დათვალიერებისას მიხეილმა (უფროსი) და ჯუმბერ კახიანმა ორსაათნახევარი მოანდომეს დღისით-მზისით მის გადალახვას. საბედნიეროდ, მათ წერაყინზე დამაგრებული თოკი დაუტოვებიათ, რომლის მეორე ბოლოც ადვილად მოვნახეთ და მაშინათვე შევუდექით კიდეც ნაპრალის ფორსირებას. 25 წუთში მეორე ნაპირზე ვართ ყველანი. იმ ადგილას, სადაც ჩვენ თავს გადმოვევლეთ უფსკრულს, მისი ყელის სიფართოვე ოთხ მეტრამდე აღწევდა.

მონაკვეთი: № 2. ნაპრალს გადაღმა ფერდის დაქანება 40-45 გრადუსი გახდა. ჩვენს წინ კვლავ ფირნოვანი ველია გადაშლილი. მიხ გასლიპულ ზედაპირზე უწრიაპებოდ მართლაც რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა. რამხელა შეღავათია, საფეხურების ამოკვრა რომ არ გვიხდება. მონდომებულნი ვართ და ვჩქარობთ. პირველი დღე გვინდა განსაკუთრებით ნაყოფიერად და შედეგიანად დავამთავროთ, რათა შემდგომისთვისაც წარმატება დავიბედოთ.

მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ჩვენ ხომ სახიფათო ადგილები უნდა გავიაროთ. ქვათაცვენა კი... მთამსვლელისათვის ყველაზე ულმობელი და ძნელად თავდასაღწევი მოვლენაა.

არაერთ სტიქიურ მოვლენას აჯობა ადამიანმა, გასაღები მოუნახა, მაგრამ ქვათაცვენის წინაშე იგი დღესაც ისეთივე უძლურია, როგორც ათი საუკუნის წინათ. მეხანძრეთა ჩაფხუტებით თავისდაიმედება სასაცილო იქნებოდა და მეტი არაფერი! ქვა თავში კი არა, შეიძლება საერთოდ არც შეგეხოს ადამიანს სხეულზე და ისე გაგიყოლოს თან, მოუსავლეთში, ამდენად ჩაფხუტები მხოლოდ „წვრილი. საშწყერე საფანტისაგან“ თუ გვიხსნიდნენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საფანტი მაინცდამაინც კეფაზე იყო დამიზნებული.

მთამსვლელობაში ამ მიმართულებით ოიოქმის არაფერი არ შეცვლილა. გარდა იმისა, რომ თუ

ადამიანები წინდაწინ იგრძნობენ მის საშიშროებას, ისინი ცდილობენ უსაფრთხო ჟამს გარდავლონ იგი და, ამავე დროს, რაც შეიძლება „იჩქარონ". მთაში კი „უსაფრთხოო ჟამად" მიჩნეულია შუადამიდან მოყოლებული ვიდრე დილის ათ-თერთმეტ საათამდე, რის შემდეგაც მზე საიმედოდ გამაგრებულ წარაფებს ფუტკარაძირკველს ულხობს.

ალბათ ქვათაცვენაზეცაა ნათქვამი — „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო". მაგრამ ამა მითხარი, რანაირად უნდა გაეცალო, რა გზებითა და მანქანებით უნდა დაიღწიო მას თავი?

და აი, როცა სამშვიდობოზე ვეველონა თავი, ახლა წინ ბერგშრუნდი გადაგეღობა. იგი ჩვენს მიერ ახლახან უკან მოტოვებული ნაპრალივით მთელ ფირნოვან ველს გაჰყვება სიგანეზე, ვიდრე მცირე უშბის მისადგომებამდე. ნაპრალთან შედარებით, მისი მოპირდაპირე კიდე ხუთი-ექვსი მეტრით მაღალია აქეთა ნაპირზე. ბერგშრუნდს ნაპირ-ნაპირ ვუარეთ, პოლოს მისი ფორსირება იმ ადგილას გადაეწყვიტეთ, სადაც იგი მაღლიდან ჩამოცვენილი ქვა-ღორღებით ლამის შუაწელამდე მაინც იყო ამოხერგილ-ამოქოლილი. ხერგილამდე ვეშვებით თოკით, ხოლო იქითა ყინულოვან კედელს პალოების დახმარებითა ვძლევთ.

მონაკვეთი № 3. ბერგშრუნდის მერე ყინულოვანი ფერდი იწყება. იგი უფრო დაქანებულია მის წინამორბედ ციცაბოზე. თანაც ეს დაქანება ისე თანდათან და შეუჩნევლად მატულობს, თითქოს ჩვენს დაშინებას უფრთხისო. ყინული მუქი-რუხი ფერისაა და მთვარის შუქზე ზღვის ზედაპირივით ლიცლიცებს. მეწინავე საფეხურებსა ჭრის. ათასწლოვანი დაწნეხილ-დაჭირხლული ყინულის მცირეოდენი ნაფხვენის მოხვედრაზეც კი ისეთი გრძნობა ეუფლება ადამიანს, თითქოს მთელი კანი აატყავაო. ძნიმეა საუკუნოვანი თოვლი. ტყვიის ნაფლეთებივით გვაცვივა იგი მუხლისთავებზე, მხრებზე, ზურგზე და ფოლადის ნემსებივით გვჩხვლეტს. შიშით არ გვეშინია მისი. წერაყინს არ შეუძლია იმხელა ბელტი მოატეხოს კულუარს, რომ ადამიანისათვის საბედისწერო ალმოჩნდეს იგი.

წყვილები მონაცვლეობით ჭრიან საფეხურებს. ალაგ-ალაგ მეტი უსაფრთხოებისათვის ყინულის პალოებს ვარტყამთ და როცა საჭიროა, რომელიმე წყვილი დაცვაზე გადის, რათა მეწინავეებმა გულდამშვიდებით იმუშაონ. მერე მათ მეორე ამხა ენაცვლება. ახლა მეწინავეები ისვენებენ — ისინი ზრუნავენ დანარჩენებზე. თოკებით ეწევიან უკან მიმყოლებს. მაღლიდან კატასავით თვალარიალებულნი შემოგვცქერიან ამხანაგები. რამხელა სიყვარულს, პასუხისმგებლობის გრძნობას მოუცავს მათი აზრი-გონება და მათ მიმართ რაოდენ დიდი მადლიერების გრძნობით არის აღვსილი ჩვენი გული...

დაბლა, მიწაზე, არა მგონია ვინმეს შეეძლოს ყოველივე ამისი თუნდაც მიახლოებით წარმოდგენა და შევრძნება.

მონაკვეთი № 4. მყინვარული ფერდის გაელის შემდეგ კლდეებზე ალმოვჩნდით, ეს იყო ბრტყელი, ძაბრისებური ფორმის სიმები. დაქანება აქ სამოცი გრადუსია. კლდეები უთოვლოა, მშრალზედაპირიანი. მეწინავე ცოცვით მიიწევს მაღლა. დაცვას კლდის პალოებით ვაწარმოებთ.

მონაკვეთი № 5. მალე გზაზე თოვლის, ყინულისა და კლდოვანი უბნების მონაცვლეობას ვაწყდებით. დაქანება ამ ნაწილში ნაკლებია, სამაგიეროდ მრავლადაა კლდოვანი შვერილები, რომლებიც ჩქარ მოძრაობას გვიშლიან, მაგრამ ჩვენ მათ ერთგვარ საყრდენებად ვიყენებთ, თოკს გადავუგდებთ სერხემალზე და ერთმანეთს ვიცავთ. ამ უბანს თავზე უშველებელი უარყოფითი დაქანების კედელი გადმომხობია. უკვე დილის ათი საათიც გახდა. ჩვენი მიზანი კი ნაწილობრივ შესრულებულია. ქვათაცვენისაგან სამშიში მონაკვეთი გავლილია. მართალია, უარყოფითი დაქანების კედელი ცხვირწინ აგვტუზავია, მაგრამ მისი არსებობა ხომ ადრევე იყო ჩვენთვის ცნობილი...

აქ ალბათ მთელი დღე მოგვიწევს ლოდინი. უშბის სარკე ხომ აქ იწყება, უშბის სარკე მთელი თავისი ბრწყინვალებითა და ხელშეუვალობით. იწყება ჩვენი ჭიდილი კლდესთან, ჭიდილი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ უარყოფითი კედლის დამუშავებას კი ალბათ მთელი დღე მოვუნდებოდით, შეიძლება ვერც მოგვესწრო მისი გავლა დარჩენილ დროში და ამიტომ გადავწყვიტეთ მის ძირში ღამისსათევი მოედნის მოწყობა; ბაქნის შედარებით სწორი რელიეფი და ქვათაცვენისაგან საიმედოდ დაცული ადგილმდებარეობა იძლევა ამის საშუალებას. კარავში, რომელიც აქ მოთავსდება, ოთხი ადამიანი გაათევს ღამეს. ორს კი ჰამაკებში მოგვიწევს „ნანაობა". ვიდრე ამხანაგები ბინას გააწყობენ, მე და მიხეილი დღევანდელი გეგმის შესაბამისად მონაკვეთის ათვისებას შევუდგებით.

მოგვითხრობს გივი წერედიანი

მონაკვეთი № 6. გავდივართ უარყოფითი დაქანების კედელზე (125 გრადუსამდე). გადაწყვიტეთ შიდა კუთხით გვეცადა ასვლა, რადგანაც მისი დახრილობა გარე კუთხესთან შედარებით ნაკლებია. პორებსა და ხელჩასავლებ ღრეჩოებს ველარსად ვხედავთ, ამიტომ კლდის პალოებთან ერთად შლიამბურულსაც ვიყენებთ. მაღლა ჩვენი კუთხე თანდათან ფართოვდება.

100 გრადუსიან „ცილაში“ გადადის. პირველი წყვილი წინ მიიწევს თოკის კიბეებისა და მოედნების დახმარებით. ხოლო მეორე და მესამე გაბმა „აბალაზებით“ მიაყვება მათ უკან.

მონაკვეთი № 7. გრანიტის მონოლითური ფილის ორსავე მხარეზე გადმოკიდულია კარნიზები. მათი გადალახვა ძალიან ძნელია. მხოლოდ ფილის შუანაწილია კარნიზისაგან თავისუფალი. აქ უნდა ვცადოთ გაძრომა. ფილა სარკესავითაა მოპრიალებული. ამიტომ ჩვეულებრივი კედლის პალოსათვის ჩახარტყმელი ადგილიც კი ვეღარსად მოვნიშნეთ. ვსპარობთ შლიამბურულ პალოებსა და ისევე, როგორც წინა უბანზე, მოწინავე წყვილი გზას მიკვალავს „მოედნებისა“ და თოკის კიბის დახმარებით. ფილისთავზე მცირე ფართობის ოდნავ შეწეული კლდეღარი გეხვდება. აქ საშუალება გვეძლევა დაკიდული მდგომარეობიდან მდგომელაზე გადახვლისა. დაქანება ამ ადგილს 85-90 გრადუსია. დაკიდებული მდგომარეობით დაღლილ-დაქანცულ სხეულზე შეებისმომგვრელად მოქმედებს „მიწის“ შეგრძნება, მიწისა, რომელსაც ასეა შერჩეული ყოველი ჩვენთაგანი, და რომელიც. უკვე რამდენი საათია, ფეხქვეშ გამოგვეცალა...

მონაკვეთი № 8. ვერტიკალური კედელი კვლავ უარყოფით დაქანებაში გადადის. თუმცაღა დაქანება წინა უბნებთან შედარებით ნაკლებია — 85 გრადუსამდე. კლდის ზედაპირი გლუვია, თითქოს საგანგებოდ გაულესიათო. პალოზე ჩაქუჩისცემის ხმა კოდალის რაკუნივით გაისმის სივრცეში. კვნესასავით ხმას გამოსცემს პალო, რაც იმას ნიშნავს, რომ კლდე შეუვალია, მყიფეა. პალო ძნელად ეპყრობა. არა, პალოებით შორს ვერ წავა კაცი, რადგანაც ბზარი რამდენიმე მეტრზე მრთელდება. კვლავ შლიამბურულ პალოებს ვხმაროობთ. მაგრამ განა კლდის ბურღვა ნაკლებ შრომატევადია? პირიქით — სიპი კლდის დანაჭრეტებასა და მერე იქიდან ნაბურღი მტვერ-ნაფცქვენების ბუშტულათი გამოსუფთავებაზე ილაჯგამწყვეტი და მომქანცველი რა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე? მაგრამ სხვა რა გზაა. თუ არ გაირჯები, ფონს ვერ გახვალ.

ამ მონაკვეთზე ჩვენი წყვილი ისვენებს. სამუშაო თითქმის არაფერია. მეწინავეები თავადაც ძლივს ეტევიან კლდე-ღარის ვიწრო კუთხეში და ქვევიდან დამსმარის მიღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მესამე წყვილმაც ამოზიდა ჯგუფის ქონება. ისინიც ჩვენთან ერთად პირდაფჩენილნი შესცქერიან ორ მიხეილ ხერგიანს, მაღლა, ციხკიდურზე რომ კიწყიალობენ. ჩვენ, მართალია დაცვაზე ვართ გადასული, მაგრამ რამე რომ მოხდეს, უველაფერი გათავებულია. მეწინავენი ოცი მეტრით მაინც იქნებიან ჩვენგან დაშორებულნი. მოწყდომის შემთხვევაში კი ისინი ორმოც მეტრს იფრენენ, ჩვენამდე ოცდაუცდ ჩვენს მერე. სამაშველო თოკი მეორმოცე მეტრზეა დაიძაბრება და შეუძლებელია თავისი მოვალეობის აღსრულებას, მაგრამ მეტეორივით ჩამოკრილებული ორი ვაჟკაცის სიმძიმეს რომელი საყრდენი პალო, ან სადაური თოკი გაუძლებს? ამ წუთში დაცვა ფორმალურია. ეს — მეწინავეებმაც და მიმყოლებმაც იციან. უველამ ვიცით, მაგრამ რა მოვიმოქმედოთ და ვიღონოთ? რა ძალგვიძს ჩვენ? მთამსვლელობაში არის წუთები, როცა ადამიანები განსაკუთრებული მდგომარეობის გამო თავთავიანთ იღბალზე არიან მინდობილნი. და კიდევ წინ წასულ ბიჭებზე. ჩვენც მათზე ვიყავით მინდობილნი, მათს სიმარჯვესა და ვაჟკაცობაზე. და გვჯერდა ორი მიხეილისა, ერთმანეთისაგან განსახსხვავებლად მეტსახელებით — „უფროს-უმცროსით“ რომ მოსწათლეს კოლეგებმა, ამხანაგებმა, ჟურნალისტებმა (მიხეილი — „უფროსი“, მიხეილი — „უმცროსი“), მონათლეს და საკმაოდ შეცდომითაც. შეცდომით იმიტომ, რომ სინამდვილეში „უფროსი“ ასაკით უმცროსია „უმცროსზე“. მართლაცდა, ჟურნალისტების ოინბაზობა ხუმრობას უფრო წააგავდა, ვიდრე სხვა რამეს. ისედაც მათი ნათლიობა, ბევრი სხვა რამის მსგავსად, პირობითი იყო. პირობითობა კი სიმარტივისათვისაა მოგონილი. ადამიანები ესწრაფვიან სიმარტივეს. ამიტომაც მონათლეს ისინი თავის ნება-სურვილისამებრ. იცის მიხეილ „უმცროსმა“ რომ უფროსობა დამსახურებისამებრ ასაკით უმცროსს ეკუთვნოდა. იქნებ იმიტომაც უწოდეს მას „უფროსი“? თუ კი იმიტომ მონათლეს ამ მეტსახელით, მაშინ ჟურნალისტები მართლაც რომ ბკვიანი ხალხი ყოფილა...

ამ წუთში კი ისინი ბეწვის ხიდზე გადადიოდნენ და ერთ თოკზე გადაბმულთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა უფროს-უმცროსობას, ჯგუფის ხელმძღვანელობასა და რიგით წევრობას. ოღონდ ემარჯვათ, მშვიდობიანად გასულიყვნენ ფონს.

„— გავლენ? — გავლენ... გავლენ... აუცილებლად გავლენ...“ — ფიქრობდა ამ წუთში თითოეული ჩვენთაგანი. ჩვენს იმედიან ფიქრს, ეტყობა, რაღაც საეჭველი ჰქონდა — მართლაც მალე თავს ზემოთ გადმოსწობილ ვიწრო კუთხეში ჯერ ერთის სილუეტი გაუჩინარდა, მერე მეორისა. ბოლოს კი ჰაერში ჩამოკონწიალებული თოკის კიბეები და მოედნებიც გაქრნენ თვალთახედვიდან. კედელი კვლავ გაშიშვლდა, მხოლოდ ალაგ-ალაგ შლიამბურის პალოები აჩნდა კორძებად...

მერე ისევ აკაკუნდა ჩაქუჩი. იგი გარკვეული ინტერვალის მერე შეწყდებოდა, მერე კვლავ დაიწყებოდა. ეს ნიშნავდა — ვამაგრებთ პა-

ლოებს მაშველი და სადამცველო თოკებისათვის რომელთაც მალე ჩამოვუშვებთ. გაემზადეთ. სულ სამი პალო ჩაერჭო კედელში. სამი საკმარი იყო ორი ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ძირითადი თოკის დასამაგრებლად, რომელსაც ახლა ჩვენ უნდა ავყოლოდით.

მალე თოკი მზის სხივივით ნუგეშად და იმედად ჩამოცურდა მაღლიდან. მის დანახვას ჩვენი ოთხეული უთქმელი, შინაგანი ყიყინით შეხვდა. ახლა ამ თოკისათვის უნდა ჩაგვევლო ხელი და მიგვენდო ჩვენი თავი. მზისკენ, მაღლა აგვიყვანდა იგი. დასასრულისაკენ, მიზნისკენ გაგვიძღვებოდა. და აა, ჩვენ უკვე მაღლა ვართ, კლდიან ბეჭობს თავზე მოქცეულნი, მაგრამ სადღაა დასასრული? სადღაა მიზანი სანატრელი? წინ კლდეებია, ღარებია, კუთხეებია, მათს შვერილებზე, სიპეებზე კვლავ ჩვენი ჯან-ღონე უნდა დაიხარჯოს და გაიბნეს...

მაგრამ ეს არ არის მთავარი. სადღაა ოქროსფერი მზე? ან თოკმა საით ამოგვიყვანა? არსად, არსად მზე არ იყო. წელან თუ ღრუბლებშორის გამოკრთებოდა და გამოანათებდა ხოლმე იმისი გავარვარებული ბადრო, ახლა რაღა იქნა?

აღმოსავლეთის ჭარმა დაბერა ქარაფებზე, დაბერა და თან ნისლის ნაფლეთები მოაჩანჩალა საიდანღაც. ისინი ჩვენ გველამუნებოდნენ მხრებზე, სახეზე და გვასველებდნენ.

მერე ჭარმა იმძლავრა. ულმობლად დაგვიშინა ნისლის ქულები. ირგვლივ ნაცრისფერმა მდუმარებამ დაისადგურა. უშბის კალთები ჩამოიბურა. ჩაირაზა ჩვენი ფანჯრები, გარესამყაროსთან რომ გვაკავშირებდა. მოვწყდით ყველას და ყველაფერს. მრუმე ფარდა ჩამოეშვა მთებსა და ხეობას შორის. თვალს მიეფარა სამაშველო ბანაკი ჩალათის მყინვარზე, თვალს მიეფარნენ გულშემატკივრები, ჩვენთვის შეუმჩნეველნი და უხილავნი, ჩვენს ყოველ ნაბიჯს რომ აკვირდებოდნენ, ხედავდნენ. გამოვეყევით, განვემარტოვეთ მთელს გარემომცველ სამყაროს, უხილავი ძაფების გაბმულა ჩაგლიჯა ვიღაცამ, და ახლა დაწყვეტილნი სადღაც დაბლა, დალის ნაწნავებივით იწეწებოდნენ ქარისაგან...

მარტოობის შეგრძნებამ თითქოს ფრთები შეგვკვეცა. თითქოს დაგვაძაბუნა. მოწყენილობამ დაისადგურა ჩვენს ბანაკში. მოწყენილობამ და მდუმარებამ. მაგრამ არა... ასე არ შეიძლება. როცა მარტო ხარ, მეტი მონდომება და შემართება გმართებს. როცა მარტო ხარ, უფრო გმართებს თავის გამოჩენა, რათა როგორმე თავი დააღწიო სიმარტოვეს.

ახლა ყველა ჩვენთაგანი ასე ფიქრობდა და თანდათან დევნიდა თავისი არსებიდან მაცდურ განწყობილებას. მალე ყველანი განვთავისუფლდით კიდეც მისი მოძალებისაგან და კვლავ წინანდებური ყინით აღვენთეთ საბრძოლველად. განახლდა კაკუნი. მოკლე გადაძახილები წყვილებს შორის. ბანაკში ყველაფერი ისევ იყო. მონაწილეები თანდათან ეგუებოდნენ უამინდობას, ახალ პირობებს...

საათს რომ დავხედე, აღმოჩნდა, რომ ამ ოციოდე მეტრის გავლისათვის ას ოც წუთზე მეტი მოგვინდომებია.

— რამდენი პალო დავხარჯეთ ამ მონაკვეთზე? — ვკითხე უფროსს შენაცვლებისას.

— ათი შლიამბურისა და ხუთი ჩვეულებრივი კლდის პალო... — მიპასუხა მან. მთავარი კი ამ შემთხვევაში უფროსის განწყობილების გაგება იყო ჩემთვის. როგორ გუნებაზე იყო იგი? ამინდის შეცვლამ რანაირად იმოქმედა?

მიხეილის ხმა კი მორწმუნეთა შორის ზარის რეკვასავით გაისმოდა, იმედიანი, ბრძოლის ყინით აღვსილი ხმა. ყველას რაღაც იმედი ჩაგვესახა გულში. იმედი, რომლის გაქარწყლებაც არავის და არაფერს არ ძალუძდა, არც ამ ქარს, არც ამ ბურუსსა, სიცივეს და წვიმას, არაფერს არ ძალუძდა მისი ხელყოფა.

დუმილი

— ერთი თეთრი — ჯგუფი კარგადაა, ორი თეთრი ან ორი მწვანე — საკონტროლო დროის გაგრძელება. ხოლო წითელი... — უმძიმს მიხეილს ლაპარაკი — წითელი...

სხვებიც დუმან.

ჯოკია, გივი, მიხეილი (უმცროსი), ჯუმბერი და შალიკო, ყველანი დუმან.

დუმან მთები. შურთხებიც კი გაუჩინარდნენ სადღაც. არც იმათი სტვენა აღელვებს გამეფებული მდუმარებას. ყვავები უშბისპირა კლდეებს მიეფარნენ.

მე მიხეილის წინ ლოდზე ვზივარ. მუხლზე რვეული მაქვს გაშლილი და მის ყოველ სიტყვას ვიწერ. ახლა კი თითქოს ხელი გამიშეშდა. გაშტერებული შევცქერი მათს მდუმარე სახეებს. დუმილი რაღაც ბლანტ სითხესავით გალვრილა და განფენილა ჩვენს გარშემო.

მას მერე, რაც ადამიანი კლდეებთან ორთაბრძოლაში ჩაება, გაჩნდა ერთი ახალი წუთი, მანამდე ქვეყნიერებისათვის უცნობი წუთი, როგორც ასტრონომის მიერ ახლად აღმოჩენილი ვარსკვლავი ან პლანეტა. როდესაც წითელ შუშხუნაზეა ლაპარაკი, ყველა დუმს. ყველა რაღაც მწვავე ფიქრსა და სადარდებელს მოუცავს. წითელი შუშხუნის მიღმა საზარელი იდუმალება იმალება და იმისი წარმოდგენა თავზარსა სცემს ადამიანს.

სიჩუმე ამ წუთში ნიშნავს იმის განცდას, რასაც მთამსვლელთა ენაზეც უბედურება ჰქვია.

— წითელი შუშხუნა — ჯგუფს უჭირს, სასწრაფო დახმარებაა საჭირო. საკონტროლო ვა-

და ოცდაექვს აგვისტომდე, — მოკლედ ამთავრებს მიხეილი.

მე ვკეცავ სასიგნალო ნიშნებიან რვეულს და სათუთად ვინახავ, თითქოს მასზე იყოს დამოკიდებული ვაჟკაცთა ბედი. მერე მიხეილი დგება, ბიჭები ზურგჩანთებს იკიდებენ. და ის არის, გზას უნდა გაუდგნენ, რომ ჯგუფის უფროსი მოდის ჩემთან და ჩუმად მეუბნება:

— ჩემს სიცოცხლეში წითელი შუშხუნა არ მისროლია. მაგრამ თუ დაინახავთ, იცოდე, მაშველმა ჯგუფმა ძირიდან არ სცადოს დახმარება, არაფერი გამოუვა. უმჯობესია მწვერვალიდან იმოქმედოს...

ისინი წავიდნენ.

ჩვენ — მე, კინოოპერატორი ბორის კრეპსი ჩვენი შეფი, პირიბი გვარლიანი და ჯგუფის ექიმი ხიტო მუსელიანი დაერჩით დაცარიელებულ სამაშველო ბანაკში. ჩვენს წინ ჩალათის მყინვარი გადაშლილა. მოსახარში ბორცვით დაკეპილი, სიკვდილმობნეული. უსასრულოდ გრძელი და ციცაბო მყინვარი. იგი უშბისა და ჩათინის მწვერვალთა გზაგასაყარისაკენ მიემართება მაღლა და სადღაც ზევით, ღრუბლის ფთილებთან უჩინარდება და უერთდება ცისიერ ჰორიზონტს. ბიჭები ამ მყინვარს აპყუებიან, და მის თავში დაიდგამენ კარავს, რათა პირდაპირ შეხედონ უშბის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელს, გამოქვაბულის ჭერივით გადმოყუდებულსა და გადმოპირქვავებულს, ჭერეთ ადამიანის ფეხშეუდგამს. რამდენი ჯგუფი დაბრუნებულა უკან ხელმოცარული. ხუმრობა საქმე ხომ არაა, ექვსასმეტრიანი „სარკე"!.. იქ ჩაქუჩებითა და ფოლადის პალო-ბურღებით სამუშაო ელოდებათ, ათი დღე-ღამის თოკებზე კონწიალი ელოდებათ.

ამ რამდენიმე წლის წინ, როცა მიშლიაევმა უარი განაცხადა უშბასთან შებრძოლებაზე, მიხეილის გულს შიში მაინც არ გაჰკარებია. მართალია, ერთხანს დაბნეულობამ და ეჭვებმა მოიცვა, ბოლოს მამამისს გაანდო თავისი გულისნადები. და მიხეილი კვლავ ეწვია უშბის სარკეს. ოღონდ ამჯერად მას ბესარიონი ახლდა თან. მთელი ორი საათი იდგნენ ისინი ზღაპრული გოლიათის პირისპირ და დინჯად, აუღელვებლად ზვერავდნენ კედელს. ათასი ვარიანტი შეადგინეს, ათასი მხრით დაზვერეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ბესარიონმა თქვა:

— კარგი ბიჭები თუ გეყოლება, შეიძლება მაგისი დალაშქვრა...

ეს იყო საბოლოო შეთანხმება მამა-შვილს შორის. სწორედ იმ დღიდან დაიწყო სერიოზული სამზადისი უშბის სარკესთან საბრძოლველად. ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველებმა თანდათან მოიყარეს თავი.

ჯოკია გუგავა — „გასრიალდი, გასრიალდი, თოკო..."

ციფრულად დაცული ბიბლიოთეკა

— აქ შეიძლება ამოისუნთქოს კაცმა, — ამბობს უმცროსი მიხეილი და მარჯვედ მაგრდება კედელზე. ჩემი და შალიკოს წყვილი კი დაცვაზეა გადასული. წინწასულთა — ჯუმბერისა და გივის თოკების რხევით ვგრძნობთ მათს გადაადგილებას, დალხინებას თუ გასაჭირს. თოკი პირველი მეკავშირეა ჩვენი. იგი, ამავე დროს, გვაერთიანებს, ერთ კონად გვკრავს. მითუმეტეს ახლა, როცა თვალსაწიერზე ბურუსს დაუჩრდილავს ყველაფერი და ერთიმეორეს ძლივს ვარჩევთ, ეს კავშირის ძაფი ათჯერ უფრო ახლობელი და ძვირფასი ხდება ჩვენთვის.

„გასრიალდი, გასრიალდი მაღლა, ავბედითად არასოდეს დაიჭიმო, თოკო..." — მახსენდება სტრიქონები რომელიღაც მთამსვლელური სიმღერიდან.

თოკი მართლაც შეუჩერებლივ მისრიალებს ჩემსა და შალიკოს ხელებში, მისრიალებს ზომიერად, თანაბრად. იგი არ ჭანაობს და არ ირწევა. ეს კი კარგია, ძალიან კარგია.

მალე ჩვენც მივუყვებით თოკს. ზევით მცირე ბაქანზე ვმაგრდებით და კვლავ დაცვაზე გადავდივართ. დაცვა აქ უფრო ხერხდება, ვიდრე ეს ქვევით იყო შესაძლებელი. როცა აქა-იქ კედელი უარყოფით დაქანებაში გადადის, ჩვენ სამმაგი თოკის კიბეებს ვიყენებთ. ამ მონაკვეთის ზემო ნაწილში ვაწყდებით ნათლად გამოკვეთილ კუთხეს, რომელიც არ ჩანს, მაგრამ ხელის შეხებით შეიგრძნობა. კუთხე დგომისათვის ხელსაყრელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ მოწყობილი დაცვა კიდევ უფრო საიმედო იქნება. და კიდევ იმას, რომ კედელში შლიამბურული პალოების „ჩაყრა" გაადვილდება. როცა თუნდაც ცალი ფეხით მიწიერ საყრდენს გრძნობს ადამიანი, მის მიერ მოქნეულ ჩაქუჩს გაცილებით მეტი ძალა აქვს. კუნთები კი ნაკლებად ეღლება, ნასვრეტი მალე ჩნდება კლდეზე, სუფთავდება, ერჭობა პალო, პალოზე მაგრდება თოკი, თოკზე — ადამიანი... ადამიანი მიიწევს მაღლა...

ალაგ-ალაგ ფეხის დასადგმელად კვლავ კიბეებს ვიყენებთ. როგორც წესი, პირველი წყვილი წინ მიიწევს მოედნებისა და კიბეების დახმარებით.

მონაკვეთი № 9. ეს უბანი 75-90 გრადუსი დახრილობისაა. სხვა უბნებისაგან იმით განსხვავდება, რომ გრანიტოვანი კედლის ზედაპირს მკრთალად ატყვია ძნელად შესამჩნევი ნაპრალოვანი სარტყელი, რომელიც ვერტიკალურად აუყვება მაღლა, კედლის ზედაპირი „ცხვრის შუბლის" ფორმისაა და აღნიშნული ზოლი ისე ამჩნევია, თითქოს ნაჯახის ჩანარტყამიაო. ჩვენ გაგვიხარდა მისი დანახვა. მაგრამ

ნაპრალი იმდენად ვიწრო აღმოჩნდა, რომ პალო ახლოსაც კი არ გაიკარა. აქა-იქ „შუბლზე“ რქებივით გამოშვერილან კლდის გამონაზრდები, ისინი კლდის ზედაპირთან მართ კუთხეებს ჰქმნიან. მანძილი მათს შორის ორ მეტრამდეა. მთელი მონაკვეთი დაკიდულია, შუა წელში კი უარყოფითი დაქანებისაა, მხოლოდ ზევით, მარცხენა მხარეს აყოლებული ვიწრო ღარის თავზე ბაქანივით მოჩანს რაღაცა. მეწინავე წყვილი არ უშვებს შემთხვევას ხელიდან და სწორედ იმ ბაქნისაკენ მიემართება. კვლავ გაისმის ჩაქუჩის ცემის ხმა. ტვირთგანმგებლებსა და დამცველთ თავსა და მხრებზე გვეყრება კლდის მტვრისებრი ნაფხვენ-ნაშალი.

როცა ქარის ძლიერი ტალღა მკვრივ, ნაცრისფერ ღრუბლებში გაგვხვევს, თვალთახედვიდან გვეკარგება ღარის თავზე მოგულვებული სანატრელი ბაქანი. უკვე ველარ ვხედავთ წინ წასულ ამხანაგებს, ჯუმბერსა და გივის. ოცი-ოცდაათი დარტყმის მერე ბაერში მოკონწიალე ადამიანს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს იგი, ელლება კუნთები და უკვე მის დარტყმებს ხასურველი შედეგი აღარ მოაქვს. ამიტომაც მას შენაცვლება სჭირდება. ხოლო თანამეწყვილის დაქანცვამდე მან უნდა მოასწროს დასვენება, ძალ-ღონის მოკრება, რათა კვლავ თავისი ადგილი დაიჭიროს. ჩვენ მათს მონაცვლეობას ჩაქუჩის ცემის ოვითოეულისათვის დამახასიათებელი ხმით ვადევნებთ თვალს. ჩაქუჩის ცემის „ხელწერით“ ეკვსივე ვანსხვავებდით ერთიმეორეს. ასე რომ, კლდეზე გასული ამხანაგების ცნობა, ბურუსისა და წყვარამის მიუხედავად, მაინც არ გაგვიჭირდებოდა.

— ბაქანი... ბაქანი... — მოისმა ამ დროს მაღლიდან ჯუმბერის ხმა, რაც გვაუწყებდა, რომ უბანი დაძლეულია. ახლა დაცვიდან მოვიხსნებოდით, დროებით შეწინავეები შეასრულებდნენ ჩვენს უფუნქციას, ისინი უკვე საიმედოდ იყვნენ მიმაგრებული კედელზე და ვიდრე მიმყოლებს არ აგვიყვანდნენ ბაქანზე, ძირითად და სამუშაო თოკს ვერ მოაშორებდნენ ხელს; დავეკიდეთ თოკზე. სათითაოდ ავყევით მას. ჩვენ მეწინავეებისაგან ჩავიბარეთ ჩაქუჩები, შლიამბურისა და კლდის პალოები, კიბეები და სხვა საჭირო ავლადიდება და წინ გავვარდით. ის იყო, ცოტაოდენი წვიმაუშავეთ, რომ უფროსის ხმა მოისმა ქვემოდან:

— მუშებო, როგორ ფიქრობთ, ახლა რა დროა?

ამ უბრალო შეკითხვაზე, ცოტა არ იყოს, დავიბენით, ათას რამეზე ვფიქრობდი იმ დღეს, მაგრამ საათზე ერთხელაც არ დამიხედავს, და არც გამხსენებია დროის არსებობაც კი საერთოდ.

— რა დროა? — მე და შალვამ მხრები ავიჩეჩეთ.

— ექვსი საათია. ბინა-თავშესაფარზე ფიქრის დროა სწორედ. მით უმეტეს ასეთ ამინდში, როცა მთელი ქვეყანა ბურუსითაა მოფენილი...

არც ერთს არ გვესიამოვნა ეს ამბავი. ბრძოლის ჟინით ვიყავით ანთებულნი და უცბად თავი უნდა გაგვენებებინა ყველაფრისათვის. წვიმა-ქარმა ვერაფერი დაგვაკლო. ამ დროის სიმცირემ კი სულ აგვირ-დაგვირია ყველაფერი. მაგრამ რაღა გაეწყობოდა. უნდა შეედგომოდით ჰამაკების გაბმას და მალე „ღამე ნებისა“ გვესურვებინა ერთმანეთისათვის...

მონაკვეთი № 10. ჟინჟღლავს, ქარი ქრის. ვერ გაიგებ რა ამინდია. ან მხოლოდ წვიმდეს, ქარი ქროდეს, ჟინჟღლავდეს ან ბურუსი იდგეს. ჩვენ კი ყველაფერი ერთბაშად მოგვეელინა. წუხელის, ყოფელი შემთხვევისათვის, წყალგაუმტარი ბრეზენტები გადავიფარეთ. წყალგაუმტარიო, მაგრამ ეს საძილე ტომრები რაღამ დაალბო?

ძალიან ცუდი გრძნობაა დაღლილ-დაქანცული რომ მიწვები და დილას იმავე ტანსაცმელში გამოგელვიძება. ტანსაცმელი რატომღაც მძიმდება და მაჭლაჭუნასავით გაწევს მხრებზე, ბორკილებივით შემოგტმასნია სხეულზე. მითუმეტეს, მსგავსი განცდა მძიმე ასვლებისას უფრო ცხოველია, როცა სიცივის გამო იძულებული ხარ თბილად შეიმოსო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უსიამო განცდა მუშაობაში თანდათანობით ნელდება და ბოლოს გავიწყდება კიდეც, რომ ეს ერთი კვირაა ცხელი ან თუნდაც ცივი აბაზანა არ მიგიღია. მხოლოდ დაწოლა-ადგომის ჟამს თუ გაგახსენდება ისევ...

მალე ჯგუფის წევრები კლდეებიდან ეხსნებით. ვკეცავთ ჰამაკებსა და თოკებს. ნაბინავარზე ვაძრობთ (სადაც ეს მოსახერხებელია) ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფას შლიამბურის პალოებს, ვნაყრდებით და ვაგრძელებთ გზას.

გივი წერედიანი

ჩვენი „ბაქნიდან“ კედელს ვიწრო შიდა კუთხე მიჰყვება. ამ კუთხეს შეუტიეს ბიგებმა. იგი ვერტიკალური დახრილობისაა, სულ მაღლა კი იშლება, ძაბრის ფორმას იღებს. აი, იქ გაჭირდება გადაძრომა, თორემ მანამდე შაინცდამაინც არ გვეშინია.

ძაბრი, ეტყობა, მოგიქცულია. მისი სველი ზედაპირი, როცა ღრუბელი ჩაფარფატდება და ცის ნათელი მიადგება კედელს, გაიბზინებს ხოლმე. ზევით საჩვენო ადგილი არ მოიძებნებოდა. ამიტომაც შორიდან ვუთვალთვალებთ და გაფაციცებულნი ვადევნებთ თვალს მათ მძრაობას. თოკი ჩვენსა და მათს შორის უფრო და უფრო გრძელდება, რაც იმას ნიშნავს რომ დაცვის საიმედოზა თანდათან კლებულობს. როგორც უკვე ითქვა, დაცვისას წყვილებს შორის

მანძილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როცა სამაშველო თოკი ათ მეტრზე მეტად დაიჭიმება, ეს იმას ნიშნავს, რომ დამცველები უძლურნი არიან ამ დროს თავიანთი მოვალეობა აღასრულონ. ათი მეტრის სიმაღლიდან მომწყდარი ადამიანის სიჩქარე და წონა გეომეტრიული პროგრესით იზრდება და თოკის საყრდენი წერტილიდან მეათე მეტრზე, თუ მანამდე არაფერმა შეაკავა იგი და არაფერს გამოედო, მისი დაჭერა და თუნდაც ოდნავი შეკავება ფაქტიურად შეუძლებელი ხდება, თანამედროვე კაპრონის თოკებსაც კი არ ძალუძთ ყოველთვის ასეთი დიდი სიმძიმის ტკივილი შეაკავონ. ამ დროს აღგილი შესაძლებელია საყრდენი პალოს მოძრაობა, კლდის ქანის გამოშვრევაც კი.

კაცმა არასოდეს არ იცის, იმ ათასი რგოლიდან თავის სიცოცხლის სადარაჯოზე რომ დააყენა, რომელი უმტყუნებს, რომელი გატყდება... მაგრამ მიუხედავად ამისა, მთამსვლელის ვალია პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობანი. ხოლო დანარჩენი, რაც მის შესაძლებლობებსა და უნარს აღემატება, ხვე-ირბალს ანდოს...

— ჰა, რამდენი მეტრია, აბა გამოთვალე ერთი... — ამოგვძახა ქვემოდან მიხეილმა, — ძალიან გავერთეთ მავათი ცქერით. რა ცირკის ჯამბაზები ვყვანან...

უფროსს ნაწყენი ადამიანის ხმა აქვს. ღელავს, აშკარად ეტყობა, რომ ღელავს; როცა სხვა არის განსაცდელში, მაშინ თუ შეატყობ მას მღელვარებას, სხვა დროს უგრძნობელი, ოდნავ გულცივი კაცის ნიღაბი აქვს აფარებული. ახლა კი იგი ყველაზე მეტს განიცდის და ამიტომ მღელვარებას ვერ მალავს.

— ათი... ათი მეტრი...

დამცველთა და მებარგულთა ბანაკში წუთიერი მდუმარება ჩამოვარდა. ერთმა ფიქრმა მოგვცვა ყველა — ბიჭებზე, საშიშროებაზე ფიქრმა.

დუმილში კი წუთი წუთს მიჰყვება, ათი წუთი გადის, ოცი, ოცდაათი წუთი. კიდევ ოცი. ერთი საათი. ბიჭები დაიკარგნენ თვალსაწიერიდან. რა ხანია, არაფერი ვიცით მათს შესახებ.

და უცბად ამ დროს კვლავ აელვარდნენ იმედის ნათურები შორეულ სივრცეში. ზემოდან ვაკუნის ხმა მოისმა, დაძაბულ სახეებზე მსუბუქი ღიმი დაგვთამაშებს.

„ბიჭებმა წინ წაიწიეს...“ — ვიძახით ჩვენთვის გულში. აქამდე თუ წამდაუწუმ ვისვამდით სახეზე ხელს, რათა წვიმის წვეთები ჩამოგვეწმინდა, ახლა უკვე აღარაფერზე ვდარდობთ. ბიჭები ალბათ ძაბრზე გადიან უკვე, კაკუნი ისე შორიდან მოდის, ნამდვილად ძაბრზე იქნებიან გასულები. სულში ჩაბუდებული შიში განქარდა. იმედის ნაპერწკალი გაკრთა სულში. ნაპერწკალი გაღუზღუზდა, კოცონად აბრიალდა.

— რამდენი მეტრია... გამოთვალე, რამდენი მეტრია... მიყვირის კვლავ ქვემოდან მიხეილი. იგი და მისი „უმცროსი“ სეხნია რა ხანია მორჩენ ბარგის შეკვრასა და წასაღებად გამზადებას და ახლა ჩვენგან რამდენიმე მეტრზე დაშორებულნი გულისფანცქალით ელოდებიან ყოველ ახალ ცნობას მაღლიდან.

მე და ჯუნბერს გვეუცნაურება მიხეილის ხმა, რაზე შეშფოთებულა ჩვენი ხელმძღვანელი. ჯერჯერობით ხომ ყველაფერი რიგზეა, საქმე, ღვთის შეწევნით, კარგად მიდის — ბიჭები ძაბრზე გადადიან. მაშ რაღამ შეაშფოთა უფროსი?

— კაკუნი შორიდან მოისმის. ბიჭები, ეტყობა ძაბრზე გადადიან... — ჩავძახით დაბლა მესამე ამბას — ხილვადობა ცუდია, მაგრამ კაკუნი ისე შორიდან მოისმის...

სწორედ ამ დროს ერთი მძლავრად დაბერა აღმოსავლეთის ქარმა. დაბერა და მურყნის ჭერქივით გადააშვლიპა კედელს ღრუბლის საბლარდელი. და მოხდა რაღაც უცნაური და წარმოუდგენელი — მეწინავენი სულ რამდენიმე მეტრზე, ამ საათნახევრის წინ ათვისებულ სიმაღლეზე იტკეპნებოდნენ ისევ. ჩვენ კი გვეგონა, რომ ისინი მაღლა ძაბრზე გადადიოდნენ, თურმე რაოდენ უსაფუძვლო ყოფილა ეს აღტყინება და სიხარული, საერთოდ ნურავინ იტყვის — ვიპი მთაში მოვიქერი და რა უნდა შემეშალოსო. შეუცდომელი არავინ არის, მეტადრე ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით იმჟამად, ადვილად შეიძლება მოტყუებულიყო ადამიანი.

— ათი მეტრი... — ღარცხვენილმა ხმადაბლა ჩავძახე ამხანაგებს — ისევ მანდვე იტკეპნებიან...

— საჭიროა მიხმარება... ბიჭებს უჭირთ... — მოისმის ქვევიდან უფროსის ხმა.

რამდენიმე წუთის მერე კი იგი უკვე ჩვენთან არის. ეტყობა, გულმა ვეღარ მოუთმინა და თვითონ ამოვიდა მისახმარებლად. იგი ძირითად სამაშველო თოკში ებმება და მეწინავეთა წყვილისაკენ მიცოცავს.

— არ მიყვარს ეს ძაბრები... ვერ მიუდგები კაცი ვერანაირად, მე გვერდის ავლას ვცდი... — დაგვიტოვა ამბავი და ახალმოყრილ ბურუსის ნაფლეთებში გაუჩინარდა. მხოლოდ მოჭანავე თოკით-ღა ეხვდები რომ იგი წინ მიიწევს, მოძრაობს. ბიჭები კი სდუმან, ეტყობა ძალა გამოელიათ, ან იქნებ ძაბრის დაძლევის იმედი გადაეწურათ და ახალი გზის ძებნაში გაერთვნენ? წუთით ისვენებს ალმასიანი შლიამბურის წვეროკინა, რომ მალე კვლავაც შეუნგრიოს გულისფიცარი გრანიტის კედელს.

გადის რამდენიმე წუთი. მაგრამ ჩვენ ეს დრო საუკუნედ გვეჩვენება. ძნელი წარმოსადგენია „თამაშგარეთ“ აღმოჩენილი მთამსვლელის მდგომარეობა, როცა მის ამხანაგებს უჭირთ წინ

წაწევა, ძაბრებსა და შვერილებზე ამაღლება. დგას იგი ხელ-ფეხ შებორკილი და ელოდება... ელოდება რაღაცას... ელოდება როდის ატყდება მაღლით გამარჯვების ყიჟინა. მაგრამ გამარჯვება რომ ყოველთვის არ მოდის?

და დგახარ ასე, მხერხჩამოყრილი. ხელში „მკვდარი" თოკი გიჭირავს, რომლის მეორე ბოლოზეც კლდეს გარჩენილი, აწ დამარცხებული წყვილია გამობმული, წყვილი, რომელიც ვერც წინ მიიწევს და ვერც უკან. მთამსვლელებს უამრავი გასაჭირი და საფრთხე დაატყდებათ ხოლმე თავს. მაგრამ ყველაზე საშინელი და აუტანელი მაინც ამ მდგომარეობაში ყოფნაა: იმის ნაცვლად რომ გაიხმარე, იბრძოლო და იმოქმედო, იძულებული ხარ ერთ ადგილზე გახევდე, ხელში უკვე არაფრისმაქნისი სამაშველო თოკი ჩაბღუჯო, თოკი, რომელიც ირხეოდა, ჭანაობდა, სიპებზე მისრიალებდა, სიცოცხლის ძაფად გაბმულიყო ადამიანთა შორის და უეცრად რაღაც მიზეზის გამო გაჩერდა, „მოკვდა".

— ყველა თავის ადგილზე დარჩება, ვიდრე რაიმეს გავარკვევთ... — მოდის უფროსის ხმა მაღლიდან. იგი, ეტყობა, მეწინავეებთან თათბირობს, თავის მოსაზრებას აცნობს შალიკოს და ჯოკიას.

და აი, რამდენიმე წუთში კვლავ აჩქამდება კოდალა. ახლა უფრო მარცხნიდან მოისმის კაკუნი. ალბათ უგანეს ძაბრს და იმის მომიჯნავე კლდის ბექს ბურღავენ.

თოკი ჯერ აძაგძაგდა, ადგილზე შექანქანდა, მერე თითქოს ძალა მოიკრიბაო, ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან, დაიძრა და თან ჩვენს გულში ჩაბუდებული და ჩამოწოლილი უიმედობისა და სასოწარკვეთილების ბურუსიც გაიყოლიაო თითქოს.

ერთი თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

ჯუმბერს გადავხედე. მის სახეზე კვლავ გაკრთა სიცოცხლისა და სიხარულის ღიმილი (ალბათ იგივე ამბავი იყო ჩემს თავზეც). ღიმილი, რომელიც იშვიათად შორდებოდა ხოლმე ჩემს მეგობარს.

— ბიჭებო, რა ისმის, რა ამბავია... — ქვევიდან მოგვძახის ჯგუფის ტვირთსა და საჭურველთან უმეწყვილოდ დარჩენილი უმცროსი მიხეილი. მის ხმაში სევდა და მოწყენილობა ჩანს. ვინ უწყის რა ფიქრები მოეძალა ასეთი, მაგრამ ერთი რამ კი ნათელი იყო: მარტოობას ხომ შეიძლება ემოქმედა მასზე. მთაში ბევრ რამეს შეიძლება გაუძლოს კაცმა, ბევრი რამ გადაიტანოს, როცა ამხანაგი გვერდითა ჰყავს, ხმის გამცემი ადამიანი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, მაგრამ ამის იმედი ნუ გექნება მარტოდ შთენილს, უმეწყვილოს, უამხანაგოს...

— თოკი დაიძრა... მე მგონი უტევენ... — გაეპასუხა ჯუმბერი მიხეილს.

— შენ მანდ ხომ არ მოიწყინე? — ჩავძახე ჭვეკით.

— მოვიწყინე? — გაიოცა მიხეილმა. — მოწყენა მანდ მოიკითხეთ, თორემ მე რა მიჭირს, ერთი შემომხედეთ...

— ჰეი, შენ მანდ დაწურულ თაფლის მათარს მოხადე პირი, არა? მოიცა, ავძახო მაღლა, მოიცა... — დაემუქრა ნერწყვმომდგარი ჯუმბერი ამხანაგს.

— ვერა, ვერ გამოიცანი... აბა, თუ გაიხსენებ, ტყავის ხალთაში რა ჩავალაგეთ მე და შენ?

— ტყავის ხალთაში? — საგონებელში ჩავარდა ჯუმბერი — ვაშლი... ჩართოლანების „შემოწირული" კეხურა... შენ მანდ ხელის ფათურს გაანებე თავი, გაიგე?

— რატომ ვითომაო? წყალი თუ მწყურია, პირი რიღათი გავისველო?

— ეშმაკსაც წაუღიხარ, რა ჩემი საქმეა შენი წყურვილი... იქნება შენ მთელი დღე ვერ დაიკმაყოფილო წყურვილი, ჰმ...

— ჰო, და იმას არ გეუბნები, რა მომაწყენს-მეთქი... უშბაზე წყალი და საჭმელი თუ გაქვს, არ გცივა და არაფერი, რაღა მოგაწყენს კაცს... მე კი გინდა ექვს საძილე ტომარაში ჩავიფუთნები... ჰი... ჰი... — ნიშნისმოგებით ამოსძახა მეგობარს მიხეილმა.

ჩვენი საქმე ვერ იყო კარგად. კამათითა და ჩხუბით არაფერი გამოგვდიოდა მიხეილ უმცროსთან, ყოველ შემთხვევაში ჯუმბერმა ველარაფერს მიაღწია დაშინება-მუქარით, ამიტომ გადავწყვიტე შემრიგებლური პოზიცია დამეჭირა.

— საჩხუბარი რა გვაქვს, შე კაი კაცო, მეზობლები ვართ სხვა თუ არაფერი. ერთი, დიდი-დიდი, ორი სართული გვაშორებდეს, მეტი ხო არა, ერთი კორპუსის მობინადრენი რო ვართ, ეგ ხო ნაღდია, შესასვლელიც ერთი გვაქვს, მხოლოდ სართულები გვაშორებს. ეგ კი რა სახსენებელია... ჰო და, ძმა ძმისთვისო, — ნათქვამია...

ამ დროს ვიგრძენი თოკის რხევა. მან ერთი ძალუმად გაიწია, შექან-შემოქანდა, თითქოს ფშიდან ახალამოყვანილმა კალმახმა გაიფრთხიალა ხელშიო, თანდათან გაცურდა, გასრიალდა. კაკუნის ჩქამიც უფრო შორიდან მოისმოდა, ცხადი იყო, ბიჭებმა გატეხეს ყამირი და მაღლა-მაღლა მიიწევდნენ ფრიალოებზე.

„—ეჰეჰეეი..." — მინდა დავიღრიალო სიხარულისაგან, მაგრამ ჯუმბერის მშვიდ მზერას რომ ვაწყდები, ჩემი შინაგანი აღტყინება ცხრება. მის ცვრიან სახეს ცივი ნისლის ფთილები ელამუნება. დარწმუნებული ვარ, ჯუმბერს ჩემსავით უხარია თოკის სრიალი, მაგრამ არ იმჩნევს, თავს ერევა.

„მაინც როგორ ახერხებს იგი ასეთი დაძაბულობისას სიმშვიდის შენარჩუნებას?" —

მიკვირს მე. საერთოდ მთამსვლელები ძალიან ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, ბევრი რამით და, უპირველეს ყოვლისა, აუღელვებლობითა და სიტყვაძუნწობით, აგრეთვე სიდარბაისლით. განსხვავებაც არის მთამსვლელებს შორის; ამ წუთში ჩემს გვერდით კედელზე მიბმულ, ხელში სამაშველო თოკჩაბღუჯებულ ჯუმბერს ველარც კი ვცნობდი, ასეთი მშვიდი და საქმიანი იშვიათად მენახა იგი. ჯუმბერი რაღაცით თითქოს მიხეილს წააგავდა. მიხეილზე ითქმოდა, ისეთი გულისაა, ვერ გაუგებ, რომელ მხარეს უფეთქავსო. მიხეილს ყველაზე გაჭირვების ჟამსაც ვერ შეატყობდა კაცი აღელვებასა და სულის წრიალს... არა და როგორც ხელმძღვანელი, სავალალო შედეგებისათვის იგი იყო სწორედ უპირველესი პასუხისმგებელი.

ამ წუთში კი ჩემს წინაშე ჯუმბერ კახიანი იდგა და არა მიხეილი. „დაიყვირე, რაღას უცდი, ვიცი, რომ გაგიხარდა...“ — ვეუბნები გულში ამხანაგს, მაგრამ იგი თითქოს ვერც ამჩნევს ჩემს ღაჟინებულ მზერასო, კვლავ მაღლა იხედება. წვიმისაგან ერთიან დასველებია სახე, წულის წვეთები წურწურით ჩამოუყვება ღაწვებზე, და ნიკაპიდან სრიალ-სრიალით ჩაჰყვება საყელოში. ჩამოქნილი და მთამსვლელისათვის დამახასიათებელი სახე აქვს, ძლიერი და ლამაზი, თვალებიც შორსმხედველი, ოდნავ მოჭუტული, გეგონება სულ პორებისა და ნაჭვრეტების ძებნაშიაო. იგი ჩასჭიდებია თოკს, რომელზეც წინ წასული ამხანაგები არიან გამობმული. და რომ რამე მოხდეს, მე თუ ვერა, დარწმუნებული ვარ, იგი მოახერხებს რაღაცას. მე თუ დავიბნევი, ჯუმბერი არ დაიბნევა, იმიტომ, რომ იმას უფრო ყოჩაღად უჭირავს თავი. მე რომ გამჭირვებოდა რამე, პირველ რიგში ჩემი თანამეწყვილე ამომიდვებოდა გვერდში, იგი გაიზიარებდა ჩემს დარდსა და სატკივარს... არაფერს არ დაიშურებდა ოღონდ როგორმე ჩემი სიცოცხლე ეხსნა. და მისი პალოც რომ მომწყდარიყო და თვითონაც უკან გამდგარებოდა მოუსვლელობაში, დარწმუნებული ვარ ჩემს სახელს დაიღრიალებდა უფსკრულებში გადაშვებული...

და უეცრად რაღაც თბილი, საოცრად თბილი, ჯერეთ განუცდელი, ყოვლისმომცველი გრძნობა მომაწვა ყელში. „ვინ, ვინ უნდა მიყვარდეს მე ამ კაცზე მეტად? ძმები, ნათესავები? ნუთუ მართლა სისხლით ნათესაობაზეა დამოკიდებული ადამიანთა მაღალი სიყვარული და არა მათს ურთიერთგაგებასა და სულიერ სიახლოვეზე?“ — ვფიქრობდი ჩემთვის გულში. უცბად მომინდა გადავხვეოდი ამხანაგს და გადამეკოცნა იგი, რაც სხვა დროს არც როდის გამიკეთებია, მაგრამ როგორღაც თავი შევიკავე, ცალი ხელი სამაშველო თოკს შევუშვი და მაღლით ცქერაში გარინდებულ ამხანაგს დავეყრდენი მხარზე...

— ამოჰყევით სამაშველო თოკს... — მოვიდა ამ დროს მაღლიდან ბრძანება, — ფრთხილად ამოჰყევით...

პირველი მე გავუდექი გზას. ჯუმბერი უკან უნდა მომყოლოდა, მაგრამ მან უარი განაცხადა — მე დავრჩები, მიხოს მოვეხმარები ბარგის ამოზიდვაშიო. თითქოს რაღაც მეწყინა, მაგრამ თავს მოვერიე და აღარაფერი შემიმჩნევია — მიხო მარტო იყო, ყველაზე უფრო ამ წუთში იმას უჭირდა, უჭირდა თუნდაც იმიტომ, რომ ბაიბურში არ იყო — რა ხდებოდა მაღლა. ძირითადი თოკი მხოლოდ ჩვენამდე აღწევდა და ეს უპირველესი შუამავალი და კავშირის ძაფი მას აღარაფერს აუწყებდა...

— ჰო, რა თქმა უნდა... — მყის დავეთანხმე ჯუმბერს და ფრთხილად გავდიე თოკს. შლიამბურის პალოები საყურეებად აჰნდა სველ გრანიტს, საყურეებში გაყრილი თოკი მაღლა მეწეოდა, მას ახლა ამხანაგები ჩასჭიდებოდნენ მეორე ბოლოში და მე უკვე არავითარ მოსაღოდნელ ხიფათსა და საშიშროებებზე არ ვფიქრობდი. მალე ხელშეუვალი ძაბრი გვერდზე მოვიტოვე. კლდიანი ბექის თავზე გამამხნეებელი შეძახილებით მხვდებიან შალიკო და ჯოკია, რომელთაც ვიწრო ნაპრალთან დაუდევთ ბინა, მიკრულან კლდეს და ბადესავით ეზიდებიან კაპარონის თოკს მაღლა.

— მიხეილი? სად არის მიხეილი? — ვკითხე ბიჭებს როგორც კი ძირითადი თოკიდან მოვეხსენი და ირგვლივ მიმოვიხედე. ჩვენი ხელმძღვანელი ახლო-მახლო ველრსად დავლანდე, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

— მიხეილი? — შალიკომ მარჯვენა მხრით გამავალი ნაპრალი შეათვალიერა. — აი ამ ღრეჩოს გასდია, — დღეის გეგმა სანახევროდ მაინც შევასრულოთ როგორმეო...

— ხო, ასე თქვა... — დაემოწმა შალიკოს ჯოკია.

ნაპრალი ნახევარმეტრიანი სიღრმის სარტყელს წარმოადგენდა, იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით მიემართებოდა და რაღაც სამიოდ მეტრზე სქელი ბურუსის სამოსელში იკარგებოდა. ამ ბურუსმა შთანთქა ჩვენი უფროსიც. ახლა, ამ წუთში უფროსის ასავალ-დასავალისა არაფერი ვიცოდით, მაგრამ მის შეუპოვრობასა და სიმარჯვეში რომ ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი. დიდად აღარას ვდარდობდით. მალე კი ჩვენს თავს ზემოთ კოდალა აკაკუნდა. კაკუნმა ჩვენი გულისცემაც აიყოლია. „ერთი, ორი, სამი...“ — ვითვლიდით ჩაჭუჩის დარტყმებს, ხოლო თანდათან მინავლებული და შორეული ჩქამით კი მიხეილის მიერ დაძლეულ და ათვისებულ მეტრებსა და ნაბიჯებს ვანგარიშობდით. რაოდენ დიდი სიხარულის მომგვრელი იყო იმისი შეგრძნება რომ ჯიუტი, ესოდენ ხელშეუვალი და მრისხანე კედელი ბოლოსდა-

ბოლოს ნებდებოდა ადამიანებს, ქედს იხრიდა მათი ნებისა და მონდომების წინაშე.

ნაპრალთან ამოყო თავი ჯუმბერმაც. ხოლო სულ ბოლოს მიხომ ამორგო თავი. იგი თანაგრძნობით „დაკარგვით“ დადარდიანებული მორჩილად ეზიდებოდა მაღლა ჩვენს სალაშქრო აღჭურვილობას, სურსათ-სანოვაგეს.

— შენა? რაღას დასცქერი მიეხმარე, რაღა... — ვუთხარი ღიმილგამკრთალ ჯუმბერს, — აკი იმაზე დარჩი ქვემოთ, მიხოს უნდა მიეხმაროო...

— იცი, რა? სულ გაუთავებია... გაიგე? ერთი მაინც შემოენახა. მაშინ მართლაც მიეხმარებოდი. ჩემი ჩალაგებული მაინც არ იყოს იმ ხალთაში.., სულ დაუცარიელებია...

— რაშია საქმე? — გვეკითხებიან შალიკო და ჯოყია — რა ჩაიდინა ასეთი მაგ საცოდავმა? — ისინი ბაიბურში არ არიან, იმათ უფრო მიხეილი ეცოდებათ, მარტოხელა რომ ეზიდება მთელი ჯგუფის სურსათ-სანოვაგესა და სათადარიგო აღჭურვილობას.

— მაგი რომ იცოდეთ, ახლავე გადაუძახებდით ქარაფებში ჩვენს მებარგულსა, აბა... ისევ ისა სჯობს მეტს ნუღარაფერს მკითხავთ, თორემ რაღაც უსიამოვნო ამბავი არ მოხდეს...

— გვითხარით, ბოლოსდაბოლოს, რა გააკეთა ასეთი მიხომ?

— ვუთხრა, რა ჩაიდინე, შე უსვინდისოვ. შენა? — შემცოდებელი მზერა მოავლო მიხოს ჯუმბერმა.

— უთხარი. ხახვი არავინ დამაჭრათ ყურზე.

— მთელი ხალთა კენჭურა სულ გადაუსანსლავს. მე და გიგიმ რომ წავასწარით, უკვე გვიანი იყო. ერთი ნამცეცი მაინც შემოეთავაზებინა მაგ ობერ-ტიალს, თითქოს ჩვენ ცით მოურენილები ვყოფილიყავით... — ბრაზობდა ჯუმბერი.

ამ დროს თოკი შეირხა. მალე კლდის ღარში მიხეილი ჩამოცურდა. თვალის უსწრაფესად დაეშვა ჩვენთან. მე უმალ ჩემს ადგილს მივაშურე. ვიცოდი, თოკს ჩავჭიდებოდი და ავყვებოდი. ისე გავიჯგიმეთ და დავიძაბენით, თითქოს უშბა იქცეოდა და ის უნდა შეეკავებინა. მიხეილი უხმოდ უშვებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქმე კარგად ვერ იყო, ზევით წასვლა რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი, თვითონ ჩვენთან არ ჩამოვიდოდა.

მიხო პირველი მიუხვდა თავის სეხნიას განზრახვას და უხმოდ დაიწყო ბარგის გახსნა. ჩვენ კი ვფიქრობდით — კიდევ კენჭურას ხომ არ დაეძებს ზურგჩანთაში-თქო.

— რას გახვეებულხართ. პალოებისათვის ღრეჩოები მოათვალიერეთ... — ამოგვძახა მიხომ ქვემოდან.

ღრეჩოებზე ზრუნვა ამ მომენტში შალვას და ჯოყიას ევალებოდათ. მე და ჯუმბერი ხომ დაცვაზე ვიყავით გაპირობებულნი. რაკიღა უფროსის მითითება არ გვქონდა დაცვის მოხსნის თაობაზე, თვალებიდან ნაპერწკლებ ვყლეოდა ისე დაძაბულნი ჩავჭიდებოდით [illegible] თოკს.

შალვა და ჯოყია მალევე დაფაცურდნენ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. თარო ზედმიწევნით მოსახერხებელი ადგილი აღმოჩნდა ღამისთევისათვის. ყოველშემთხვევაში, ექვს ადამიანს თავისუფლად დაიტევდა აღნიშნული ბაქანი. ეტყობოდა ღრეჩოებიც მოინახებოდა ახლომახლო, ამის იმედს ჩვენგან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაყოლებული კლდიანი ღარი გვაძლევდა, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ მიხეილი ჩამოჰყვა.

საერთოდ მთაში და მეტადრე მწვერვალზე სარტყელებისა და ღარების არსებობა ქანის ხარისხზე მეტყველებს. და მთამსვლელს ძალიან უხარია მათი დანახვა. ღრეჩოები და პორები პალოს გამოყენების საშუალებას აძლევიან. ხოლო ეს უკანასკნელი კი ადამიანს ათავისუფლებს ზედმეტი, მომქანცველი, გამომფიტველი შრომისაგან — შლიამბურის პალოებით კლდის ბურღვისაგან, რომელიც ქვის კოდგაზე უფრო ძნელია, ვინაიდან ქვისმთლელი მჯდომარე ან ფეხზე მდგომი ეწევა მუშაობას, რაზეც მთამსვლელს მარტო ოცნება თუ შეუძლია — მას შლიამბურის პალოს გამოყენება ხომ უარყოფითი დაჭანების გრანიტოვან კედელზე უხდება, სადაც იგი მოკლებულია მცირედ საყრდენსაც კი. მთელი სხეულით ერთ ბეწო თოკზე ჩამოკიდებული, ძალადაცლილი უთაქუნებს ჩაქუჩს, ხოლო თოკი მაცდუნებლად ირწევა თვალშეუვლები უფსკრულის თავზე.

— ჰამაკები და... ძილი! ქვათაცვენისა ნუ შეეშინდებათ, უშბის სახურავი კაკარდიანი ქუდივით გადმოეგმსობია თავზე...

— ღერთო, დაგვილოცე ხვალინდელი გზა-ხვალი. — ჩაიბურტღუნა ვილაცამ ხმადაბლა.

მერე კი მალლიდან მოსაღამოებამდე მოიხმოდა ნელი კაკუნი. თითქოს კოდალა უკაკუნებდა მუხის ხეს, იმის ნაფოტებად დანაკუწებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ვიდრე სხვები ეწყობოდნენ, ჩხვიმლიანს გულმა ვეღარ მოუთმინა და მეორედ ეწვია მწვერვალისწინა სახურავს...

იგი ებრძოდა უშბას.

შუშხუნები...

კლდის ნატეხზე ვზივარ. ჩრდილოეთისაკენ ვიხედები. არაფერი ჩანს. საშინელი ბურუსი ჩამოწოლილა, მრუმე ფარდად ჩამოჰფარვია იგი სვანეთის კავკასიონს.

სცრის.

..იქ თოვს ალბათ... იქ, უშბაზე არასოდეს არ სცრის, უშბაზე ყოველთვის თოვს“...

ჩემს ფეხებთან ჩათინის მყინვარი იწყება. მისი თეთრი და ნაპრალოვანი ზედა წელი ჩა-

მოწოლილ ბურუსს ჩაუჩუმჭრავს. ქშინავს, ცოცხალ არსებასავით ხმაურობს იგი. ამ ათასწლოვანი თოვლის სიღრმიდან განუწყვეტელი შხუილი მოისმის. ზღაპრული გველეშაპივით ებერება თითქოს ფილტვები და ძილნაკლულივით ხროტინებს.

მინდა გავიგო ბიჭების ამბავი. ამისათვის ვზივარ მთელი დღე ამ გაყინულ ნატეხზე და ჩრდილოეთს გავცქერი უელმოლრეცილი და გულმოფანცქალე. ველოდები შუშხუნებს— თეთრ შუშხუნებს, მაგრამ ირველიე ცივი. ნაცრისფერი ბურუსი დგას და არაფერი ჩანს. არც გუშინ მოგვილანდავს რაიმე, დღეს კი ცხრას გადასცილდა მაგრამ... არც თეთრი, არც მწვანე და... არანაირი შუშხუნა არ ჩანს.

უკვე წვიმს, მსხვილად წვიმს. მერე წვეთები კიდევ უფრო მსხვილდება და თეთრდება. ესე იგი თოვს. მე მაინც ვზივარ. ათი საათია და ისევ ვზივარ... თოვსა... ველოდები... ამაოდ,,, არაფერი ჩანს, არაფერი. წვიმდეს, ეფხვდეს, რა ვუყო, ოღონდ გამოჩნდეს თეთრი შუშხუნა და აღარაფერს დავეძებ.

ათის ნახევარია. ზეცით მრუმე ფარდა ჩამოეშვა. წყვდიადი განეფინა არემარეს. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი. მე კი ისევ ვზივარ. მინდა დავამარცხო ეს წყვდიადი, ეს სიჩუმე და მწვალებლური მოლოდინის შემოტევა, უწინარი წამები და წუთები მინდა მოვთოკო, თვალსა და ხელს შუა რომ მიჰქრიან, უმოწყალოდ რომ მიჰქრიან...

მწვერვალი კი არ ჩანს. არაფერი არ ჩანს. არსაიდან ჩამიჩუმი!

ო, როგორ მინდა შუშხუნა — თეთრი ან მწვანე.

მეტი არაფერი არ მინდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

დაფასებული ღვაწლი

ბესარიონ ჟღენტი უაღრესად პოპულარული კაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოს ბევრი ნიჭიერი კრიტიკოსი ჰყოლია და დღესაც ჰყავს, მაგრამ მათ შორის ერთსაც ვერ ღაასახელებ, ხალხში ასეთი დიდი პოპულარობა და ერთსულოვანი აღიარება რომ მოეხვეჭოს. პოპულარობა, საერთო-სახალხო აღიარება ბუხრისთავზე შემოსადები სამახსოვრო ნიშთი როდია, რომელსაც შეიძლება კაცი ერთხელ და სამუდამოდ დაეპატრონოს. იგი, როგორც უზარმაზარი სახახლე, ყოველდღე და ყოველ წუთს აგურ-აგურ შენდება, შენდება იმისდაკვალად, თუ როგორ თანდათანობით ჰკვეთს თავის სახეს ერის წინაშე ქვეყნის რჩეული შვილი.

მე, პირადად, ვინმემ რომ მკითხოს, დიდი მოთაყვანე როდი ვარ საიუბილეო ზეიმებისა, მაგრამ კაცს სიტყვა როგორ მოგიბრუნდება, თუ თავის ხანდაზმულ მოქალაქეს, დიდმნიშვნელოვან გარჯასა და შრომაში გათეთრებულ თავის მოღვაწეს ერი მადლობას ეტყვის და გამამხნევებელი შემოძახებით გულში წმიდა სამსახურის ახალ ცეცხლს დაუნთებს.

ბესარიონ ჟღენტი ერთი ასეთი მოღვაწეთაგანია. ამ საიუბილეო თარიღის ჯეროვნად აღნიშვნა, უველამ ვიცით, ქვეყანასაც ესაჭიროება, რათა ეროვნული კულტურის სარბიელზე მის კვალდაკვალ მომავალი მამულიშვილებიც გაასალკლდევოს და თვით მასაც, ძვირფას იუბილარს, სიცოცხლეში ერთხელ მაინც გააგონოს ხალხის საპასუხო ამოძახილი, აღიარება იმისა, რომ ამაოდ არ უცხოვრია, რომ ნარეკლით მოფენილი ძნელი გზა ამაოდ არ გამოუვლია, რომ საქართველო აფასებს თავისი გარჯილი შვილის განსაკუთრებულ ღვაწლს, რომელიც მან მშობლიურ ლიტერატურას დასდო. ხოლო ის, რაც ნამდვილად და გულწრფელად დაფასებულია დღეს, იმედი უნდა ვიქონიოთ, დაფასებული იქნება ხვალაც და ზეგაც.

ბესარიონ ჟღენტის იუბილეს დღეებში მომხსენებლები და ორატორები შორიდან იწყებდნენ მწერლის ბიოგრაფიას, იგონებდნენ ბესოს მშობლიურ სოფელ ქვაციხეს, მამის ინტელიგენტურ ოჯახში, იმ დროის მოწინავე ადამიანების თვალწინ გატარებულ მის ბავშვობას და მოწაფეობას, იგონებდნენ დიდ პედაგოგებს — იოსებ ოცხელს, დიმიტრი უზნაძეს, სილოვან ხუნდაძეს, ვისი მამობრივი წინამძღოლობითაც ღვივდებოდა მომავალი კრიტიკოსის გულში მშობელი ხალხის უანგარო სამსახურის წმიდათა-წმიდა იდეალი. და ეს შემთხვევითი როდია. ხომ გვითხრა ჩვენმა დიდმა პოეტმა, რაიც სულს ერთხელ ღრმად დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემისო. სულს კი ისე ღრმად და სამუდამოდ არაფერი არ „დააჩნდების“, როგორც ურმობის შთაბეჭდილებები, გარემომცველი სამყაროს პირველი აღქმა, სამყაროსი,

რომელსაც უოველი ახალი თაობა თავისთვის ხელახლა აღმოაჩენს ხოლმე. არ იქნება პარადოქსი თუ ვიტყვი, რომ შემდეგ ადამიანი იმ პირველ ხილვათა გარემოში ცხოვრობს, ოღონდ ცხოვრების გამოცდილების შეძენის და გონიერების ჰორიზონტის გაფართოების კვალდაკვალ პირველქმნილი შთაბეჭდილებები ღრმავდებიან, სახეს იცვლიან, მაგრამ არსებითად იმადვე რჩებიან, რაიც დიდი ხნის წინათ, გარემომცველი სამყაროს პირველ აღქმისას იყვნენ. თუ გინდა, კაცის ხასიათის ადამიანური მხარე გამადიდებელი შუშის ქვეშ დაინახო, წარმოსახვით მისი სიყრმის დღეებში უნდა გადასახლდე, იმ ისტორიულ გარემოს და კონკრეტულ წრეს უნდა მიმართო, რომელშიაც შენთვის საინტერესო სიუმაწვილემ გაიარა. იქაა უველა ავისა და კარგის, სიკეთისა და ბოროტების სათავე, სულის წუაროები იქიდან მოჩუხჩუხებენ.

ბესარიონ ჟღენტი და უველა ჩვენ, მისი მკითხველები, ვისაც უაღრეს მოწიწებას აღგვიძრავს კრიტიკოსის მაღალი ზნეობა, შეუპოვრობა და სიტყვის ხელოვნების წიაღში ღრმად წვდომის უნარი, სწორედ იმ ანკარა წუაროებს უნდა ვუმადლოდეთ, რომელთაც მომავალი მწერალი ბავშვობის წლებშივე დაეწაფა.

ამ ჩემს მოკლე წერილში მე სულაც არ ვცდილობ ბესარიონ ჟღენტის დიდ დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე ასე თუ ისე სრულად შევეხო, მაგრამ რაკი ხელში კალამი ავიღე და ორიოდე სიტყვის დაწერა განვიზრახე, არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი განსაკუთრებული როლი მშობელი ხალხის, მშობლიური ქართული ლიტერატურის, მშობლიური ქართული ენის თვითმყოფობისათვის გამართულ ცხარე დისკუსიებში. ეს ბრძოლა, ჩვენც, ლიტერატურის სარბიელზე მოგვიანებით გამოსულებს, გვიკარნახებს, იმავე გზას მივდიოთ, რომელი გზითაც ბესარიონ ჟღენტი აქამდე მოვიდა. დასამალი როდია: სულმოკლე, პაწაწინა კაცუნები მას დღესაც ებრძვიან ხოლმე კუთხიდან, მოღუნული თოფით, მაგრამ არა უშავს რა, ეს წვრილმანი ბრძოლა იმ დიდი საშვილიშვილო ბრძოლების რანგში ასაყვანი არ არის, ხოლო მოღუნული თოფიდან გამოვარდნილ ტყვიას, მადლობა ღმერთს, ჯერ არავინ მოუკლავს და ვერც მოკლავს.

ამავე კონტექსტში ცალკე მოხსენიების ღირსია ბესარიონ ჟღენტის დაუცხრომელი ზრუნვა მწერლობის ახალ-ახალი თაობების მიმართ. მისი ხანგრძლივი, უანგარო მოღვაწეობა უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრესა და ალმანახ „პირველ სხივში", რომელშიაც ამ წრის წევრ ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა, მისი ადამიანური, ნამდვილად მამობრივი სითბო თვითეული ლიტერატორისადმი.

იმ ძნელ წლებში, როცა ქვეყანა დამანგრეველი ომისაგან მოყუენებულ ჭრილობებს იშუშებდა და უველა, მთელი ხალხი, დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, თავადაც ხელმოკლე ბატონ ბესარიონს რამდენჯერ საკუთარი სახსრებიც კი გაუღია ლიტერატურაში ახალფეხადგმული ადამიანებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ნურავინ მიწყენს და, ბესოს ეს ჩვევაც, ალბათ, ოჯახიდან, იმ თავისი ყრმობის დროიდან გამოჰყვა. ჩვენი იუბილარის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებში საკუთარ კეთილდღეობაზე და ოჯახურ ფუფუნებაზე ზრუნვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. პირადი გამდიდრებისაკენ სწრაფვის სანაცვლოდ ასე თუ ისე შეძლებული ოჯახები და შემოსავლით წელში გამართული წარმოება-დაწესებულებები, მათ შორის ჭიათურის შავი ქვის ამბანაგობა, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ნიჭიერ, იმედის მომცემ ქართველ ახალგაზრდებს ზრდიდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია ბ. ჟღენტის დიდი და განუყრელი მეგობრობა ჩვენი დროის გამოჩენილ ადამიანებთან, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მე აქ არ ჩამოვთვლი ბესოს უველა მეგობარს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რჩეულ ადამიანთა ამ მეგობრობამ მრავალი სიკეთე მოუტანა ქართულ ლიტერატურას, ქართველ ხალხს.

ბევრი ითქვა, ათჯერ და ასჯერ მეტის თქმა შეიძლება. დღეს ბატონ ბესოს დღეა და უველა ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვინ უფრო ვასიამოვნებთ, ვინ უფრო გავახარებთ, ამიტომ პირადად მე პირში წყალს ვიგუბებ და განგებ არაფერს ვამბობ იმის ირგვლივ, რაშიაც და რის გამოც ოდესმე არ ვეთანხმებოდი და არც ახლა ვეთანხმები. თვით მას არა ერთჯერ უბრძანებია, ღმერთმა ნუ ქნას, უველა ერთ აზრზე დავმდგარიყოთ და საკამათო აღარაფერი დაგვრჩენოდესო, ეს ხომ ლიტერატურის გამოფი-

ტვის და ერთ ადგილზე გაყინვის მომასწავებელი იქნებოდაო. ტრიბუნაზე რომ დგას, ბესარიონი თავად დაეძებს ხოლმე საწინააღმდეგო აზრს, რეპლიკას. ოღონდ კი ვინმე შეეკამათოს, სათქმელი სიტყვა გამოაჩხრეკინოს — ეს მისი ბედნიერებაა! სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე განთქმული მოაზროვნე და სწორუპოვარი ორატორი.

მაშ, რაკი ასეა, დიდხანს, დიდხანს სიცოცხლესთან ერთად, დაბადების 70 წლისთავზე იუბილარს ოპონენტებს ჯანმრთელობაც უნდა ვუსურვო, რათა მარად ენთოს მისი პოლემიკური მგზნებარება, რათა ბესო ჟღენტი მარად ბესოჟღენტობდეს, რათა ჩვენი საამაყო კრიტიკოსი და ტრიბუნი მარად იდგეს სამშობლოს მალალ სადარაჯოზე, ერთი მხრიდან რომ დიდების კვარცხლბეკია, ხოლო მეორე მხრიდან მიუდგომელი ციხე-სიმაგრე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

პრიტიკოსის გზა

ამ ცოტა ხნის წინ, ქართველმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის სახელოვანი წარმომადგენლის, ქართული საბჭოთა კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ჟღენტის დაბადებიდან სამოცდაათი წლისთავი.

ეს პირველი შემთხვევაა საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა ლიტერატურის კრიტიკოსი იუბილარის გვირგვინით იდაფნება და მას საერთო-სახალხო მადლობას ეუბნებიან.

დიახაც, ღირსია ბესარიონ ჟღენტი ასეთი პატივისა; მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ეს ჰეშმარიტი ამაგდარი მართლაც რომ თავდაუზოგავად ემსახურებოდა მშობლიურ ხალხს, თავის ქვეყანას, მთელს დიდ საბჭოეთს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ერთგულად უდგას იგი მხარში მშობლიურ მწერლობას და მთელ თავის ნიჭს, უნარს, მონდომებას საბჭოთა ლიტერატურის წინსვლის საქმეს ახმარს. პირდაპირ საოცარია, რომ მძიმე შრომისა და ბრძოლის წლებმა ვერ დაღრიკა, გზნება ვერ ჩაუქრო, ენერგია ვერ შეუმცირა ამ დაუღალავ მოღვაწეს, მუდამ ხმალივით შემართულს, მუხლჩაუდრეკელს, გულად მებრძოლსა და გატაცებულ ენთუზიასტს.

სწორედ ეს ერთგულება, ეს უჭკნობი სიყვარული ხალხისა და მისი კულტურისადმი, ეს მარადი წადილი მათდამი სამსახურისა, ეს სურვილი სიკეთის მოტანისა აძლევდა მას ძალას და უშუქებდა გზას, რომელმაც დღეს საერთო აღიარება, საყოველთაო პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული მოუტანა.

ბესარიონ ჟღენტის იუბილე მთელი ქართული კრიტიკის დღეობადაც იქცა, რამდენადაც მან თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ჩვენს ხალხს ამ ძნელი ხელობის ოსტატებიც არანაკლებ უყვარს, თუ ისინი ღირსეულად ეწევიან თავის ჭაპანს და უღალატოდ, უშურველად, დაუღალავად ემსახურებიან იმ დიდ საქმესა და საკაცობრიო იდეალებს, რომელიც ბესარიონ ჟღენტმა თავისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შთამაგონებლად და გზის მკვლევად გაიხადა

სალიტერატურო კრიტიკა, როგორც მეცნიერული აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების საზიარო საგანი, ძალზე სპეციფიკური სფეროა. ამიტომ საუბარი კრიტიკოსზე ერთობ ძნელია და ძალიანაც ჭირს. მის დახასიათებლად ვერც ლექსს მოიტან, ვერც მოთხრობას გაიხსენებ, ვერც სურათს გამოუფენ. კრიტიკული დეფინაციების მოშველიება კი ფრიად სახიფათო და ამასთან უამური საქმეა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცდებით ამ საინტერესო ადამიანისა და დიდად დამსახურებული ლიტერატორის ცხოვრებისა და საქმიანობის ზოგადი სურათი წარმოვაჩინოთ.

* * *

ადამიანის ხორცშესხმულად წარმოდგენა მისი ბიოგრაფიის გარეშე, ოჯახური ძირებისა და პიროვნების ფორმირების ისტორიის გარეშე ძალზე ძნელია. მით უფრო, როცა ადამიანის ბიოგრაფიაში ბევრი რამაა საყურადღებო და საგულისხმო. სწორედ ასეთი საინტერესო წარსულის მჭონეა ბესარიონ ჟღენტი და შესაძლოა სწორედ ეს არის მისი სულიერი მრავალფეროვნების ერთი მიზეზთაგანი.

ასეთ ვითარებაში, როცა პიროვნება, გარკვეულ თარიღთან დაკავშირებით, საზოგადოებას ერთგვარ ანგარიშს ამბარებს განვლილი ცხოვრების შესახებ, თუ კაცი კაცობს, არ შეიძლება მშობლები არ გაუხსენო. ამიტომ ორიოდე სიტყვა ბესარიონის ცხოვრების ჭარგაზე და იმ გა-

რემოზე, რომელშიც მოხდა მისი, როგორც ადამიანისა და მამულისშვილის, ჩამოყალიბება.

ბესარიონ დავითის-ძე ჟღენტი დაიბადა 1903 წლის 14 ივლისს ზემო იმერეთის სოფელ ქვაციხეში, შეძლებულსა და დიდად კულტურულ ოჯახში. მამამისი, დავით დიმიტრის-ძე ჟღენტი, პროგრესულად განწყობილ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ფრთას ეკუთვნოდა და ფრიად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი აკაკი წერეთლის კლასის ამხანაგი იყო და აკაკისთან გულითადი მეგობრობა აკავშირებდა.

დავით ჟღენტი განათლებული, ნაკითხი და მახვილი გონების ადამიანი იყო. მისი დიდად ტრადიციული და პურმარილიანი ოჯახი მოწინავე ინტელიგენციის შესაკრები ადგილი იყო. დავითის ოჯახში ხშირად შეხვდებოდით გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს — აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, კიტა აბაშიძეს, გიორგი წერეთელს, გრიგოლ აბაშიძეს, კირილე ლორთქიფანიძეს, მამია გურიელს, გიორგი ზდანოვიჩს... ცხადია, რომ ასეთ გარემოცვას არ შეიძლება სათანადო კვალი არ დაემჩნია ნიჭიერ მოზარდზე.

დავითი დიდი მოყვარული იყო ლიტერატურისა, კარგად იცნობდა ქართულსა და რუსულ მწერლობას და თვითონვე წერდა ლექსებს, პატარა მოთხრობებს. სკოლაში იგი ლიტერატურასა და ისტორიას ასწავლიდა.

ბესარიონ ჟღენტის დედა, ნინო, თავის დროზე ფრიად შეძლებული და გავლენიანი მემამულის, მიხეილ ლორთქიფანიძის ქალი იყო. მაგრამ როგორც ეს ხშირად მომხდარა საქართველოში, მიხეილის ერთ-ერთი შვილი, ნიკოლოზი (კოლია), თავგანწირული რევოლუციონერი გამოვიდა. მის საარაკო გმირობასა და შეუპოვრობაზე ლეგენდები შეიქმნა. შორს დაირხა მისი გმირული სიკვდილის ამბავიც; როცა რეაქციის პერიოდში დაპატიმრებულ კოლია ლორთქიფანიძეს ჩამოხრჩობით სიკვდილი მიუსაჯეს და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ჯალათი მიუახლოვდა, მან ჯალათს ხელი ჰკრა და თვითონვე ჩამოიცვა უულფი კისერზე; სწორედ ასეთი გმირული სიკვდილი შეშვენოდა ამ გულადსა და ვაჟკაც ადამიანს, რომელიც 1905-1907 წლების რევოლუციის უაქტიურესი მონაწილე იყო და თავისი შეიარაღებული რაზმით შიშის ზარსა სცემდა არა მარტო ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციულ ორგანოებს, არამედ რეაქციის მხარეზე მყოფი მმართველი კლასების მრავალრიცხოვან წარმომადგენლებსაც.

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს ბესარიონს სწორედ კოლია ლორთქიფანიძის ოჯახში მოუხდა ცხოვრება. პატარა ბესარიონის გრძნობა-გონებაზე ამ საარაკო რევოლუციონერის ამბავმა ძალუმად იმოქმედა, იგი სამუდამოდ ჩაებეჭდა მას გულში და ერთ-ერთ შთამაგონებელ მაგალითად ექცა.

მეორე პიროვნება, რომელმაც ასეთივე უდიდესი გავლენა მოახდინა ჭაბუკ ბესარიონზე, იყო მისი უფროსი ძმა, გიორგი ჟღენტი, საოცარი ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი, უაღრესად ერუდირებული ლიტერატორი და საიმედო პოეტი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის დროს დაავადდა და უეცრად გარდაიცვალა. იგი იყო მეგობარი და თანაშეზრდილი ცნობილი ქართველი პოეტებისა — შალვა აფხაიძისა და სანდრო ცირეკიძისა[1]. უფროსმა ძმამ პეტერბურგში გამგზავრებისას პატარა ბესარიონს ალბომში ჩაუწერა ლექსი, რომელიც დღესაც გამოდგება ყოველი მამულიშვილის ცხოვრების დევიზად:

ყურს ნუ უგდებ ბოროტ ენას,
არ იწამო არ რა მისი,
ცხოვრებაში გაიმარჯვე
სამშობლო და სინდისი!

გარდა კეთილმოქმედი ოჯახური გარემოსი, ბესარიონის სულიერ ფორმირებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ, რომელიც იმ დროის კვალობაზე სახალხო განათლების უშესანიშნავესი კერა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის მთელს უოფილ იმპერიაშიც და სადაც, ისევე, როგორც თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბესარიონის როგორც პიროვნებისა და ლიტერატორის ჩამოყალიბებისათვის, ამ დიდმა სასწავლო კერამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

მარტო ის რად ღირს, რომ ქუთაისის გიმნაზიაში მასწავლებლობდნენ შესანიშნავი პედაგოგები, მეცნიერები, მამულიშვილები და საზოგადო მოღვაწეები — იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, სერგო რობაქიძე (გორკის მეგობარი, მაიაკოვსკის მასწავლებელი), სვიმონ ქვარიანი, დომენტი თომაშვილი, ნიკო ჯაფარიძე და ალექსანდრე ჯანელიძე.

ლიტერატურულ შემოქმედებას ბესარიონი ჯერ კიდევ ქუთაისში ეზიარა. ლექსებს იგი თავისი უფროსი ძმის, გიორგის მსგავსად ბავშვობაშივე წერდა. თვით ბესარიონისთვისაც და მისი მეგობრებისთვისაც ფრიად სამახსოვრო გამოდგა მის მიერ პირველი საჯაროდ წაკითხული ლექსის ამბავი. ეს მოხდა აკაკი წერეთლის გარდაცვალების დღეს. როგორც ცნობილია, აკაკის

1. ცნობები გიორგი ჟღენტზე მომაწოდა დაუვიწყარმა შალვა აფხაიძემ, როდესაც ბესარიონ ჟღენტის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოზე წავიკითხე მოხსენება ბესარიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სიკვდილმა თავზარი დასცა მთელ საქართველოს და გასაკვირი არ არის თუ იგი სულითხორცამდე შესძრავდა პატარა ბესარიონსაც, რომელსაც აკაკი უყვარდა არა მარტო როგორც დიდებული პოეტი, არამედ როგორც საკუთარი ოჯახის მახლობელი, დიდბუნებოვანი ადამიანიც. ეტყობა ამ ამაუორიაქებელმა გარემოებამ მას ლექსი დააწერინა.

გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა შეიტყო თუ არა აკაკის გარდაცვალების ამბავი, მაშინვე მთელი გიმნაზია სამგლოვიარო მიტინგზე შეჰყარა და დიდ ქართველ პოეტს სამოქალაქო პანაშვიღი გადაუხადა. სწორედ მაშინ მოახსენეს მას, რომ მეოთხე კლასის მოწაფემ ყულენტმა ლექსი დასწერაო. ი. ოცხელმა მიიხმო თორმეტი წლის ბესარიონი და, რადგანაც ბავშვი მეტისმეტად პატარა იყო, ხელში აიყვანა, მაგიდაზე შეაყენა და ლექსი ისე ათქმევინა.

შეკრებას ესწრებოდნენ არა მარტო გიმნაზიის პედაგოგ-მასწავლებლები და მოსწავლეები, არამედ ქუთაისის მთელი ინტელიგენციაც. სამარისებურ სიჩუმეში წაკითხულმა ლექსმა ყრუ ქვითინი გამოიწვია. ეს იყო ბესარიონის პირველი საჯარო გამოსვლა და ის პირველი ენამზეობა თითქოს სამუდამოდ დაეკვება მას.

საინტერესოა, რომ ამის შემდეგ ოცხელი ყოველდღე შედიოდა კლასში და კითხულობდა — „აბა, ყულენტი, ახალი რა დაწერეო“. და ბესარიონიც თითქმის ყოველ დღე ახალ ლექსებს უკითხავდა...

შვილის „პოეტობა“ დავითსაც ძალიან ესახელებოდა!

გულისხმიერ აღმზრდელთა შემწეობით და მათივე დახმარების წყალობით ქუთაისის გიმნაზიაში გამოღიოდა ხელნაწერთა ჟურნალებიც და ბეჭდური გამოცემებიც, რომელთაც თვით მოსწავლე ახალგაზრდობა ამზადებდა. ერთ-ერთ ასეთ წრეში გაერთიანებული იყო რამდენიმე ნიჭიერი ყმაწვილი. ისინი სულ მალე ქართული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენლები გახდნენ. გარდა ბ. ყულენტისა, ამ ლიტერატურულ წრეში შედიოდნენ: სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით გაჩეჩილაძე და კიდევ ორიოდე სხვაც:

თვრამეტი წლისა იყო ბესარიონი, როცა საქართველოს ისტორია ახალი გზით წარიმართა და მრავალტანჯულ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა.

ამ დროისათვის, სულიერად ადრე მომწიფებული ჭაბუკი, მაღალი მოქალაქეობრივი და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი, უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული გახლდათ, როგორც საზოგადოებრივი, ისე პიროვნული თვალსაზრისით, მაგრამ ახალმა სოციალისტურმა სინამდვილემ მაინც ახლებურად გადაჭედა იგი, სოციალისტური იდეალებით შეაიარაღა და ახალი საქმის, ახალი ეპოქალური ამოცანების ერთგული თანაზიარი გახადა.

ბესარიონ ყულენტის, როგორც კრიტიკოსის, მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება. სწორედ ამ დიდმა ისტორიულმა მოვლენამ განაპირობა მისი მოღვაწეობის სახეც, ხასიათიც და მიზანდასახულობაც.

და რამდენადაც მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის ყველა ღირსშესანიშნავი ნაშრომი ამ პერიოდთანაა დაკავშირებული, ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით მის მოღვაწეობას ამ პერიოდში, ე. ი. ოცდაათი წლებიდან — დღემდე.

* * *

მხატვრული ლიტერატურა, როგორც ხალხის სულიერი ცხოვრების უმეტყველესი გამოვლინება და ჭეშმარიტი სარკე მისი რაობისა, მხოლოდ მაშინ არის თავისი მშობელი ხალხისა და წარმომქმნელი ეპოქის სიმაღლეზე, როცა მას თან ახლავს და საკუთარ თვითგააზრებას უადვილებს მისი შესაბამისი თეორიულ-კრიტიკული აზროვნება.

ყოველი ლიტერატურისათვის, რა დროისაც არ უნდა იყოს იგი, კრიტიკა ისეთივე აუცილებელი მხარეა, როგორც მხატვრულ-სახეობრივი აზროვნების სხვა დარგები. თუ მხატვრული ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, კრიტიკა ლიტერატურის სარკეა. ამიტომ ყოველი ხალხი, რომელიც პატივსა სცემს თავის წარსულსა და აწმყოს, ზრუნავს, რათა მისი ცხოვრების სარკე დაუბინდავი, გაუბზარავი და სწორად მაჩვენებელი იყოს.

ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე, როცა საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში გაერთიანებული საქართველო ახალ ცხოვრებას ეზიარა, როცა მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია ახალი გზით წარიმართა — ახალმა სინამდვილემ დაბადა ნოვატორული ლიტერატურა, რომელმაც, თავის მხრივ, როგორც საკუთარი თვითგამხელა და თვითშეცნობა, წარმოქმნა სრულიად ახალი სალიტერატურო კრიტიკა.

და ერთი პირველთაგანი, ვინც საბჭოთა კრიტიკას საძირკველი ჩაუყარა, ვინც ეს დარგი საბჭოთა ლიტერატურის ქმედით იარაღად აქცია, ქვეყნის განახლების საქმეს აზიარა, მისი ხელშემწყობი და მეჭაშნიკე გახდა — ბესარიონ ყულენტი იყო.

მართალია, ჩვენ ვერ ვიტყვით თითქოს ბ. ყულენტი 1921 წლიდანვე, ე. ი. საქართველოში სოციალისტური წყობილების გამარჯვების პირველსავე დღიდან ერთბაშად და სრულად შედგა

1. ცნობები ბესარიონის ბავშვობასა და სიყრმეზე მომაწოდეს მისმა მეგობრებმა, ცნობილმა ქართველმა პოეტებმა — ნიკოლოზ ჩაჩავამ და დავით გაჩეჩილაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ამ პოზიციაზე, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად შეესაბამებოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას ლიტერატურის დარგში, მიუხედავად იმისა, რომ მისი პოზიცია უახლოვდებოდა პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის კურსს.

1921-1922 წლებში ბ. ჟღენტი ქართველ ფუტურისტ-ლეფელთა წრის ჩამოყალიბების ერთი ინიციატორთაგანი იყო. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას, შეიქმნა ლიტერატურული ჯგუფი, რომელშიც, გარდა ბესარიონ ჟღენტისა, შედიოდნენ სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით გაჩეჩილაძე. ამ წრეს თბილისში შეემატნენ დემნა შენგელაია, ნიკოლოზ შენგელაია, ირაკლი გამრეკელი, ლევან ასათიანი და სიკო დოლიძე. სწორედ ეს წრე გახდა ძირითადი ბირთვი ქართველ ფუტურისტ-ლეფელთა ჯგუფისა, რომელიც, როგორც ვთქვით, ძირითადად 1921-1922 წლებში ჩამოყალიბდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბ. ჟღენტი ქართველ ფუტურისტ-ლეფელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი და, მთავარი იდეოლოგი გახლდათ. რა თქმა უნდა, ეს იყო ფორმალისტური ყაიდის კორპორაცია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი რევოლუციური პრეტენზიებითაც გამოდიოდა, თუმცაღა ფორმალისტური და ვულგარიზატორული შეცდომები არ აძლევდა რეალისტური ამსახველობისა და სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე შედგომის საშუალებას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართველი ფუტურისტი-ლეფელები მაშინ სულ რაღაც 20-23 წლის ყმაწვილები იყვნენ და ლიტერატურის მეთოდოლოგიური პრინციპების იმ საყოველთაო დაუბვეწაობის პირობებში, ეს მომაკვდინებელ ცოდვად არ უნდა ჩავუთვალოთ. მით უფრო რომ „მემარცხენეობამ“ პრაქტიკულად სულ სამოთხე წელს გახტანა. ახლა კი მოკლედ შევეხებით ამ ლიტერატურულ დაჯგუფების ისტორიასა და შემოქმედებით პრინციპებს.

როგორც ცნობილია, ქართველ „ლეფელთა“ ჯგუფი „მემარცხენეობა“ ორგანიზაციულად დაარსდა 1922 წელს. ჩვენ არ გამოვუდგებით ამ ჯგუფის იდეურ-მხატვრული პოზიციის სრულ დახასიათებასა და მისი მრწამსის გადმოცემას — ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც დავძენთ, საკითხის სწორი გაგებისათვის, მით უფრო, რომ ბ. ჟღენტის ჰოლვაწეობის პირველი პერიოდი უწყვეტადაა მასთან დაკავშირებული.

რუსეთში ფუტურიზმი რევოლუციის წინა წლებში აღმოცენდა. ფუტურისტული მიმდინარეობა შინაგანად ძალზე ნაირფერი და წინააღმდეგობრივი იყო. თვით ერთი ქვეყნის ფუტურისტებიც კი იდეურ-მხატვრული პრინციპებით ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ფუტურიზმი ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სპეციფიკურ ელფერს იღებდა.

საგულისხმოა, რომ რუსი ფუტურისტები ყველანი მილიტარიზმისა, იმპერიალიზმისა და ტექნიკის ფეტიშიზაციის მომხრენი, როგორც ეს იყო ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში; რუსი ფუტურისტები, არსებითად, რევოლუციის მომხრეებად გვევლინებოდნენ. მაგრამ მათთვის დამახასიათებელი იყო წვრილბურჟუაზიული და ინდივიდუალისტური ტენდენციები, ანარქისტული ბუნტარულობა.

რევოლუციის შემდეგ რუსმა ფუტურისტებმა, რომლებმაც სხვა ჯგუფთაგან განსხვავებით მიიღეს რევოლუცია, სოლიდარობა გამოუცხადეს საბჭოთა ხელოვნებას და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურულ ბრძოლაში, კიდევ უფრო აქტიური შემოქმედებით მუშაობა დაიწყეს და წამოაყენეს პრეტენზია როგორც „ყველაზე უფრო რევოლუციური“ და ყველაზე უფრო „მემარცხენე“ ხელოვნების წარმომადგენლებმა.

მათ შექმნეს ჟურნალი „ლეფი“ და მის ირგვლივ გაერთიანდნენ (აქედან სახელწოდება „ლეფელები“). მაგრამ არსებითად ეს იყო ფორმალისტური მიმდინარეობა; და მათი უმრავლეს შემთხვევაში გაუგებარი, ზაუმნიკური შემოქმედება ასევე გაუგებარი დარჩა ხალხისათვის. ფუტურისტული თეორიები ხელს უშლიდნენ სოციალისტური მხატვრული კულტურის შემდგომ განვითარებას, თუმცაღა სხვა, „მემარჯვენე“ დაჯგუფებებთან შედარებით, უფრო პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდნენ.

აი, საბჭოთა პერიოდში არსებული სწორედ ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ზეგავლენით და წაბაძვით 1922 წელს შეიქმნა ქართველ ფუტურისტთა გაერთიანება „მემარცხენეობა“. მის ბირთვად იქცა ქუთათური ჯგუფი. ბესარიონი იყო ამ ჯგუფის ერთი ხელმძღვანელთაგანი, მისი იდეოლოგი და თეორეტიკოსი. ქართველ ფუტურისტებს ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები, საკმაოდ გახმაურებული პერიოდული გამოცემები, ასეთი იყო „მემარცხენეობა“, გაზეთი „დროშელი“ და სხვ.

ქართული ფუტურიზმი, როგორც ზემოთაც ვთქვით, ძალიან სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა, იგი სავსებით თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლებას, რაც ვერ ითქმის 20-იანი წლების სხვა ჯგუფებზე. „მემარცხენეობის“ პერიოდულ გამოცემებში სისტემატურად იბეჭდებოდა ბესარიონ ჟღენტის ლექსები, ამასთან ერთად, თეორიული და კრიტიკული წერილებიც.

ოციანი წლების ნახევარში დაიწყო მძაფრი დისკუსიები ფორმალიზმზე და ბესარიონ ჟღენტი ამ კამათის ერთი უმთავრესი მონაწილე გახდა. ბევრს ახლაც ახსოვს მისი მძაფრი მოხსენება პროფკავშირთა დარბაზში, რომელმაც მთე-

ლი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა ბესარიონის წერილები ფორმალიზმზე, გამოქვეყნებული ჟურნალ „მნათობში“ 1925-26 წლებში. უნდა ითქვას, რომ ფორმალიზმით გატაცება იმ ხანად ფრიად გავრცელებული სენი იყო. ეს იყო თავისებური რეაქცია ისეთ ლიტერატორთა წინააღმდეგ, რომლებიც მხატვრულ ფორმას შესაფერ ყურადღებას არ აქცევდნენ.

რა თქმა უნდა, ორივე უკიდურესობა, ე. ი. როგორც გაუმართლებელი ფეტიშიზაცია ფორმისა, ისე მისი მნიშვნელობის სრული უგულვებელყოფა, — ორივე მცდარი გზაა და საბჭოთა ლიტერატურამ ორივე უარყო, მაგრამ იმ პერიოდში ბევრი რამ იყო ბუნდოვანი, გაურკვეველი, დაუდგენელ-აღმოუჩენელი და ფორმალისტებს თავი იმგვარ პროგრესულ მიმდინარეობად მიაჩნდა, რომელიც ახალი ეპოქის შესაბამის „სამოსელს“ ეძებდა. სწორედ „სამოსელს“, რადგან ფორმალისტთა უმრავლესობას მხატვრული ფორმის ცნებაც არასწორად ჰქონდათ გააზრებული.

ფორმალისტთა რიგებში იყვნენ თავის დროზე ცნობილი ლიტერატორები — ვ. შკლოვსკი, ბ. ეიხენბაუმი, ი. ტინიანოვი, ბ. ტომაშევსკი და სხვანი. მათ ლექსწყობის შესწავლით დაიწყეს, შემდეგ კი სიუჟეტის, არქიტექტონიკის და სხვა საკითხებზე გადავიდნენ.

ფორმალისტებისათვის მხატვრული ლიტერატურა იყო თვითმიზანი და არა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, კლასობრივი იდეოლოგიის გამომხატველი და სინამდვილის ამსახველი. მათთვის უცხო იყო ასახვის ლენინური თეორია. „ფორმა — ამბობდნენ ისინი, — თავის იმანენტურ განვითარებაში თვითონ ქმნის საჭირო შინაარსს“.

მაგრამ აქვე უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც კი საქართველოში გავრცელებულა, თავისი მოდიფიკაცია, თავისი განსხვავებულობა და სპეციფიკურობა მოსდგამდა. და არც შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო. მცირერიცხოვანი ერებისათვის ნიშნეული გამახვილებული გრძნობა ნაციონალური ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი, რაც ესოდენ ახასიათებდა რევოლუციამდელი პერიოდის ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას, უბიძგებდა ქართველ მოღვაწეებს ეროვნული კულტურის ტრადიციებისადმი შესაფერისობის თვალითაც შეეხედათ ყოველივე ახლისადმი. სწორედ ეს თვალსაზრისი იყო საფუძველი იმ სპეციფიკისა, რომელიც ქართულ რომანტიზმს, ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, ქართულ სიმბოლიზმს, თუ ქართულ ფუტურიზმს მოსდგამდა.

როგორი იყო ბესარიონ ჟღენტის პოზიცია ზოგიერთი ფორმალისტური სქემისა თუ შეხედულების მიმართ? იგი მაშინ, მაგალითად, თვლიდა, რომ საჭიროა ფორმალიზმის მარქსიზმთან შეგუება-შეთანხმება და მისი ხაზი მარქსიზმის ფორმალიზმთან ასეთ შერიგება-შეთანხმებას ითვალისწინებდა. რა თქმა უნდა, ეს უხეში შეცდომა იყო, მაგრამ კვლავ დავსძენთ, რომ ეს იყო არა მარტო ბ. ჟღენტის შეცდომა, არამედ იმჟამინდელი ლიტერატურათმცოდნეების ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილისაც. ეს იყო დროის, ეპოქის თავისებური ცდომილება.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი ბ. ჟღენტის იმჟამინდელი პოზიციისა, ისევე როგორც საერთოდ ქართველი „ლეფელებისა“, იმის მტკიცება იყო, ვითომც სწორი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევისათვის საჭიროა ჯერ ლიტერატურული მასალის „ფორმისეული ანალიზი“ — ხერხების მხატვრული საშუალებების გარკვევა, ე. ი. ფორმის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ გადასვლა ნაწარმოების თუ მწერლის სოციალური ეკვივალენტის გარკვევაზე, მისი იდეისა და თვალსაზრისის დადგენაზე, მისი საზოგადოებრივი რაობის განსაზღვრაზე. ამრიგად, სალიტერატურო კრიტიკის მთავარ ამოცანად მხატვრული ფორმის სტრუქტურის შესწავლა ცხადდებოდა.

რა თქმა უნდა, ესეც შემცდარი აზრი იყო. იგი თავისებური შედეგია ფორმალისტთა ფართოდ ცნობილი თეორიისა, რომლის თანახმადაც ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მხატვრულ ხერხთა ჯამია და სხვა არაფერი. ამის გამომხატველი იყო უბადალებული ლოზუნგი: „ხელოვნება — ხერხთა ჯამია“.

ფუტურიზმისა და ფორმალიზმის მოღვაწეობის პერიოდში ბ. ჟღენტმა არაერთი წერილი გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა, მიუხედავად მრავალი სწორი აზრისა თუ დებულებისა, ნიჭიერი მიგნებისა, მახვილი პოლემიკური შემართებისა, მოტივაციის სიძლიერისა და მე ვიტყოდი, ესთეტიკური ზემოქმედების გარკვეულ უნარისაც (ხოლო ესთეტიკური ზემოქმედება კარგი კრიტიკულ წერილს ისეთივე კუთვნილება უნდა იყოს, როგორც ლექსისა თუ ნოველისა), მიუხედავად ამ არა ერთი მიმზიდველი და დამამახსოვრებელი თვისებისა, მეთოდოლოგიურად მოძველებული და ზოგიერთ შემთხვევაში მიუღებელია.

მიუხედავად ამისა, მათ დღესაც არ დაუკარგავთ გარკვეული მნიშვნელობა ჩვენი ესთეტიკური და კრიტიკული აზრის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ევოლუციის მაჩვენებელთ, და როგორც ქართული კრიტიკული აზრის ზრდა-განვითარების საილუსტრაციო კონკრეტულ-ისტორიულ მასალას.

ბესარიონ ჟღენტი თვითონ უკეთ გრძნობს ყოველივე ამას და ამიტომ თავისი კრიტიკული მოღვაწეობის ჰეშმარიტ დასაწყისად მიიჩნევს 1925 წელს, როცა ახლადდაარსებულ ჟურნალ

„მნათობში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი „ქართული მწერლობა 1924 წელს“, რომელშიც მან მთელი იმჟამინდელი ქართული მწერლობა შეაფასა. ამ წერილში პირველად გამოჩნდა სრულად და ნათლად ბესარიონის მახვილი კრიტიკული ალღო, მომავალში სწორად ორიენტირების უნარი, მართებული კვალიფიკაციის ჩვევა.

ამ წერილში მან განიხილა იმ პერიოდის თითქმის ყველა თვალსაჩინო ქართველი მწერლის იმჟამინდელი პროდუქცია და სწორად შეაფასა იგი. მაშინ ბესარიონი ოცდაორი წლისა იყო. ამ კრიტიკულ წერილს მოჰყვა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნებული „1926 წლის ლიტერატურული მიმოხილვა“ და აი, მალე 50 წელი სრულდება, რაც კრიტიკული მოღვაწეობა, ეს მართლაცდა უძნელესი საქმე, კვლავაც რჩება ბ. ჟღენტის ცხოვრების უმთავრეს საქმედ.

ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენმა კრიტიკოსმა ვერ გაუძლო ამ სამძიმო ხელობას და ან ლიტერატურის ისტორიას შეეკედლა, ან სულ სხვა უანრში გადაბარგდა, ანდა სრულად განერიდა ლიტერატურას. ბ. ჟღენტი კი ბოლომდე ერთგული დარჩა ერთხელ არჩეული „ხელობისა“ და საოცარი ერთგულებით ემსახურება მას.

ვინ იცის, რამდენმა ქარიშხალმა გადაიარა მის თავზე! იგი ხომ იმ თაობას ეკუთვნის, ვისაც მზამზარეულად და სრული თეორიული ნათელყოფით კი არ მიუღია საბჭოთა ლიტერატურის ხახელმძღვანელო პრინციპები — ხალხურობისა, პარტიულობისა, იდეურობისა, არამედ შრომისა და ბრძოლის პროცესში აითვისა ისინი, შემოქმედებითი მუშაობის ცოცხალ პროცესში დაეუფლა მათ.

მიუხედავად სიჭაბუკეში ფუტურიზმისადმი კუთვნილებისა, ბ. ჟღენტისათვის უცხო იყო ნიჰილიზმი კლასიკური მემკვიდრეობისადმი, რომელმაც არაერთი მისი თანატოლი მოწამლა. პირიქით, ბესარიონი თავიდანვე წარსულის პროგრესული, დემოკრატიული და რევოლუციური ტრადიციების დამცველად მოგვევლინა. იგი იყო თანაავტორი მოხსენებისა, რომელიც მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე იქნა წაკითხული (1934 წ.). ეს იყო ქართული მწერლობის პირველი გატანა საკავშირო ასპარეზზე, მისი პირველი დიდი სახალხო აღიარება. ბ. ჟღენტის ვრცელი წერილი „პრავდაში“ ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს დღეებში (1937), იყო ილიას დიადი მემკვიდრეობის ღირსეული დაფასება.

ფრიად საყურადღებო და სიმპტომატური იყო ბ. ჟღენტის მოხსენება მოსკოვში ნ. ბარათაშვილის იუბილეზე, 1945 წელს, როცა გენიალურმა ქართველმა პოეტმა პირველად გაიხმაურა მთელს საბჭოთა კავშირში და პირველად მოევლინა საბჭოთა ხალხებს თავისი მაღალი შემოქმედებით.

მაგრამ მთავარი ყურადღება ჩვენი იუბილარისა მაინც XX საუკუნის, განსაკუთრებით კი საბჭოთა ლიტერატურისადმია მიქცეული. ამის შედეგია მისი მრავალრიცხოვანი წერილები თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალზე — შ. დადიანზე, ნ. ლორთქიფანიძეზე, მიხ. ჯავახიშვილზე, ლ. ქიაჩელზე, ს. შანშიაშვილზე, გ. ტაბიძეზე, ი. გრიშაშვილზე, კ. გამსახურდიაზე, ტ. ტაბიძეზე, პ. იაშვილზე, გ. ლეონიძეზე, ს. კლდიაშვილზე, ალ. აბაშელზე, დ. შენგელაიაზე, ს. ჩიქოვანზე, კ. ლორთქიფანიძეზე, ალ. მირცხულავაზე, აკ. ბელიაშვილზე, კ. კალაძეზე, რ. გვეტაძეზე, ირ. აბაშიძეზე, გრ. აბაშიძეზე, ი. ნონეშვილზე, რ. მარგიანზე. ზოგიერთი მათგანი ცალკე წიგნადაც არის გამოცემული. ეს იყო პირველი გამოხმაურებანი ქართული საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკისა ამ მწერალთა შემოქმედებაზე — ოპერატიული, დროული, უაღრესად საჭირო; ეს იყო ერთი პირველი შეფასებათაგანი ჩვენი თანამედროვეობის მხრივ და ამიტომ პრინციპული ღირებულების მქონე.

ბ. ჟღენტი უკომპრომისო მებრძოლი და საოცრად მძაფრი, ფხიანი პოლემიკოსია. ლიტერატურულ კამათში იგი დაუნდობელი და ირონიულია. ამიტომაც დიდი ბრძოლები გადაუხდია, დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონია. მაგრამ ეს არ უშლიდა მას ხელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა თავის ოპონენტებთან და, რაც მთავარია, არც თვითონ დაუკარგავს ოდესმე მათი პატივისცემა, არც მათგან მოჰკლებია პატივი. ამის საუკეთესო დადასტურება, თუნდაც, ის არის, რომ მწერლები, რომელთაც მასთან არაერთგზისი მძაფრი კამათი ჰქონიათ, თვითვე იწვევდნენ მომხსენებლად თავიანთი შემოქმედების შესახებ, მათი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო და საზეიმო მომენტებში.

ბესარიონი იყო მომხსენებელი გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, ს. ჩიქოვანის იუბილეებზე, რომლებიც მათსავე სიცოცხლეში ჩატარდა და რომლებიც ბესარიონის შესანიშნავმა მოხსენებებმა დაამშვენა.

ბ. ჟღენტის კრიტიკული მოღვაწეობის მთელი პათოსი ისაა, მძაფრი ზემოქმედება მოახდინოს თანამედროვე ცოცხალ ლიტერატურულ პროცესზე და წარმართოს იგი საბჭოთა ლიტერატურის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ჩვენი შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით, მაღალი იდეურობის, ხალხურობის, პარტიულობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბესარიონ ჟღენტი თანამიმდევრულად იბრძვის მაღალი იდეური და ესთეტიკური კრიტერიუმების დამკვიდრებისათვის, სრულყოფილი

მხატვრული ოსტატობისათვის და ამ ბრძოლაში არ იცის არც დაღლა და არც უკანდახევა.

ბ. ჟღენტი მართლაც, რომ ტიპიური კრიტიკოსია; იგი განსაკუთრებით ილტვის ლიტერატურულ მოვლენათა პირველი შეფასებისაკენ, პირველი ცოცხალი, მძაფრი, მეტყველი კრიტიკული გამოძახილისადმი. მას არ აინტერესებს სქელტანიანი მონოგრაფიების წერა, არ იზიდავს უკვე შეფასებული ნაწარმოებების ყოველმხრივი ანალიზი; თვით წარსულის მწერალთა გაბნილვის დროსაც ისტორიულ მასალას იგი იხილავს თანამედროვეობასთან მისი კავშირის, დღევანდელ დღისადმი მისი დამოკიდებულებისა, ტრადიციების ჩვენს თანადროულობასთან ურთიერთობისა და ნოვატორობისათვის მათი ღირებულების თვალსაზრისით.

ასეთია მისი საყურადღებო ნაშრომები დ. გურამიშვილზე, ნ. ბარათაშვილზე, ილ. ჭავჭავაძეზე, აკ. წერეთელზე, ალ. ყაზბეგზე, ვაჟა-ფშაველაზე, ეგ. ნინოშვილზე, დ. კლდიაშვილზე და სხვა ქართველ კლასიკოსებზე.

ნაშრომთა ამავე რიგს ეკუთვნის ბ. ჟღენტის რამდენიმე წერილი შოთა რუსთაველზე. ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა ნ. ზაბოლოცკიმ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი მოზარდთათვის, მას წარემძღვარა ბ. ჟღენტის წერილი პოემის შესახებ, რომელმაც პირველმა გააცნო გენიალური ქართველი პოეტი რუს საბჭოთა ახალგაზრდობას.

არც ის უნდა დავუვიწყოთ მას, რომ შოთა რუსთაველის პირველი იუბილეს დროს (1937 წ.), სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საგანგებო პლენუმი გაიხსნა ბ. ჟღენტის მოხსენებით შოთა რუსთაველის შესახებ. არსებითად ეს იყო ერთი პირველი შეფასება, რომელიც საბჭოთა ეპოქამ და საბჭოთა ხალხმა გენიალურ პოეტსა და მოაზროვნეს მისცა.

ბესარიონ ჟღენტს, როგორც კრიტიკოსს, ნათელი და გარკვეული შეხედულება აქვს ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე; იგი წინააღმდეგია გადაჭარბებული მზრუნველობისა, თავზე ხელგადასმისა, სამართლიანი და პრინციპული ბრძოლა მიაჩნია მას მხატვრული აღზრდის ნამდვილ სკოლად. ამიტომ არ ერიდება შეტაკებას ახალბედა ავტორებთანაც კი. მან იცის, რომ ნიჭს, თუ იგი მართლაც ჭეშმარიტი და თვალსაჩინოა, ვერც გულს გაუტეხ და ვერც საბოლოო მიზანს დააშორებ.

ამიტომ მას სპარტანული აღზრდის პრინციპები შემოაქვს ლიტერატურაში და ხშირად ისეთი ცეცხლითა და ტემპერამენტით უტევს ახალგაზრდას, რომ საქმეში ჩაუხედავს ეს შეტევა მტრობად მოეჩვენება. ბესარიონის პრინციპი ძველთაგანვე ნაცნობია. შვილი მტრულად გაზარდე. მოყვრად გამოგადგებაო.

ძნელად მოიძებნება მეორე ქართველი კრიტიკოსი, ვისაც ესოდენ თვალსაჩინო ამაგი მიუძღოდეს ახალგაზრდა ლიტერატურული კადრების აღზრდის თვალსაზრისით და იმდენი გაეკეთებინოს ამ დარგში, რაც ბ. ჟღენტს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრე, რომელიც მან, ნ. კეცხოველთან ერთად, დააარსა და რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა. ასეთი წრე თავის ბეჭდვითი ორგანოთი, არც ერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელს არ ჰქონდა.

ამ წრის ალმანახის, „პირველი ხხივის“, რვა ტომი ბ. ჟღენტის რედაქტორობით უკვე გამოვიდა. წრის მნიშვნელობა მართლაც რომ უზარმაზარია. იქ აიდგეს ფეხი, როგორც მწერლებმა, თანამედროვე ქართული ლიტერატურის სახელოვანმა ოსტატებმა — რ. ჯაფარიძემ, ნ. დუმბაძემ, მ. მაჭავარიანმა, ა. სულაკაურმა, რ. ინანიშვილმა, შ. ნიშნიანიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, მ. კახიძემ, გ. ხუხაშვილმა, ნ. კილასონიამ, თ. ჭილაძემ, აკ. გეწაძემ, ო. ჭილაძემ, კრიტიკოსებმა — თ. ბუაჩიძემ, ტ. კვანჭილაშვილმა, გ. ვარდოსანიძემ, ზ. ჭუმბურიძემ, მ. თოდუამ და სხვ.

ბ. ჟღენტი არასოდეს არა ყოფილა კაბინეტური ტიპის კრიტიკოსი, რომელიც მარტო წერილების წერით კმაყოფილდება. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აქტიურად იყო ჩართული მწერალთა კავშირის პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საქმიანობაში; ათეული წლების მანძილზე მესვეურობს ამ უდიდესი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობის ორგანიზაციას.

ფრიად საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 1926 წელს, ოცდაორი წლის ახალგაზრდა კრიტიკოსი ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე, სადაც რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით. მას შემდეგ ბესარიონს გამუდმებით ირჩევენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, პრეზიდიუმის წევრად და საერთო ანგარიშით ოც წელზე მეტია, რაც მწერალთა კავშირის მდივნად მუშაობს.

თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე არ ყოფილა საქართველოს მწერალთა კავშირის არც ერთი ყრილობა, პლენუმი, ან რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, დისკუსია, თათბირი, თუ დეკადა, რომ ბ. ჟღენტს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს მასში. ასეთივე შეუნელებელი ინტერესით მონაწილეობს იგი საკავშირო ღონისძიებებში. იგი არის სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ყველა ყრილობის დელეგატი, ხოლო უკანასკნელ სამ ყრილობაზე არჩეულ იქნა სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

ბ. ჟღენტის, როგორც კრიტიკოსის, მიდგომა მხატვრული ნაწარმოებისადმი ყოველთვის არის არსებითი, პირდაპირი და სადა; ამასთან, ლოგიკური და პოზიციურად სავსებით ნათელი. ბესარიონს არ ეხერხება არაფრისმთქმელი ფორმულირებებისა თუ განსაზღვრებების საშუალებით

მტკივნეული საკითხებისათვის გვერდის ავლა. იგი მუდამ უმთავრესის ნათელყოფისაკენ ისწრაფვის და ძირითადი იდეის, მთავარი შინაარსის გარკვევას ცდილობს. მას არ შეუძლია თავის განზრახ მოყრუება, რაიმესთვის გვერდის ავლა. შინაგანი პასუხისმგებლობის მიზეზით იგი მუდამ ისწრაფვის იყოს არა მარტო ლიტერატურული ცხოვრების კურსში, არამედ მის ცენტრშიც.

დიდი ტემპერამენტი და ემოციურობა განაპირობებს ბესარიონის დაუცხრომელ ინტერესს, მუდმივ სწრაფვას მოვლენათა გააზრებისა და შეფასებისაკენ. სწორედ ეს არის მისი კრიტიკული დაუშრეტელობის საფუძველი, ეს ჰმატებს ძალას ამ განსაცვიფრებელი ენერგიის კაცს, რომელსაც შეუძლია ერთ დღეში სამ სხდომაში მიიღოს მონაწილეობა და მეოთხეზე დასასწრებად სხვა ქალაქში გადაფრინდეს.

ხალხთან, ადამიანებთან მუდმივი კონტაქტების ძიებამ, მუდამ მათთან ყოფნისაკენ სწრაფვამ, ყველგან ყოფნისა და ყველაფრის მოსწრების სურვილმა (ურომლისოდაც ბესო, ბესო არ იქნებოდა), რამდენადმე დააზარალა მის მიერ გამოცემულ წიგნთა რაოდენობა, მაგრამ აბა შეკრიბეთ მის მიერ ნათქვამი თუ პერიოდულ პრესაში ღონიერ წერილებად გაბნეული მახვილები, ცალკე გამოცემული წიგნები, თუ ფუნდამენტურ ნაშრომებში შეტანილი მისივე უამრავი ნარკვევები და — განსაკუთრებულ ნაყოფიერებას მიიღებთ! ბესოს ნაშრომთაგან ტომები შედგება. ასეთი ნამუშაკები, ასეთი ღონიერი, საშვილიშვილო საქმის ჭაპანში ასე ერთგულად შებმული კაცი ძალიან ცოტა მოიძებნება, თვით ჩვენს გამრჯე ქვეყანაშიც კი.

ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოში არ დაწერილა არც ერთი მნიშვნელოვანი პოემა, ლექსი, მოთხრობა, რომანი, პიესა თუ კრიტიკული ნაშრომი, რომ ბ. ჟღენტი საჯარო სიტყვით, უმრავლეს შემთხვევაში კი წერილით არ გამოხმაურებოდეს მას.

რა თქმა უნდა, ბესოს ჰქონდა შეცდომებიც. ამას იგი არც თვითონ მალავს. მოგეხსენებათ, რომ უშეცდომო კრიტიკოსი ბუნებაში არ არსებობს. შესაძლოა ბესარიონის ზოგიერთი პროგნოზი და შეფასება არსებით კორექტივს თხოულობს, ზოგიერთ რამეში შესაძლოა გადააჭარბა, ან რაიმე დააკლო, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უნიშობისათვის, ან მოჩვენებითი ნიშიერებისათვის მხარი დაეჭიროს და შარავანდით შეემკოს.

შესაძლოა ზოგს ეჩოთიროს კიდეც, რომ მე აქ იუბილარის შეცდომებზე ვამახვილებ ყურადღებას. მაგრამ ტყუილად. ბესო რომ მათემატიკოსი ან ასტრონომი ყოფილიყო, მის შეცდომებზე ხმას არ ამოვიღებდი, იმათთვის ეს დაუშვებელია, მაგრამ კრიტიკა სხვა არაფერია, თუ არა სხვისი შეცდომების მხილება და ამ მუდმივ პროცესში შენი საკუთარი შეცდომების დაძლევა-გასწორება.

ბესარიონის მიერ თავისი შეცდომების გასწორება და ახალ პროცესებთან საკუთარი კონცეფციების შესაბამისობაში მოყვანა, დროის შეგრძნებისა და მისდამი დამორჩილების უნარია. მისი კრიტიკული პლასტიკურობა სწრაფ დენადი, ხშირად წინააღმდეგობრივი და ბობოქარი დროის შედეგია.

აი, ერთი მაგალითი: ოციანი წლების დამლევსა და ოცდაათიანის დასაწყისში ბ. ჟღენტი, როგორც ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსი, წერილობითაც და ზეპირი დისკუსიების დროსაც იმ აზრს იცავდა, რომ დრამატურგიული ნაწარმოები თეატრისა და რეჟისორის ხელში, უპირველესად, მასალობრივი ელემენტია და თეატრს უფლება აქვს ყოველგვარ პიესაში არსებითი ცვლილებების შეტანისა (ტექსტუალურისაც და სიუჟეტურ-კომპოზიციურისაც კი).

დღეს ეს იმპერატიული მტკიცება ზოგს შეიძლება უცნაურადაც მოეჩვენოს, მაგრამ მაშინ მას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. მოგეხსენებათ, რომ ეს იყო პერიოდი, როცა ორიგინალური ქართული დრამატურგია თავის პირველ, გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა. ამასთან, ეს იყო პერიოდი, როცა ქართულ თეატრს მხსნელად, მასწავლებლად და თამამ რეფორმატორად მოევლინა დიდი რეჟისორი და სცენის ნამდვილი ჯადოქარი კოტე მარჯანიშვილი. კოტემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი თანამედროვეობის ამსახველი პიესების ძებნას და პრაქტიკულადაც ეხმარებოდა ქართველ დრამატურგებს პიესების დაწერის დროს.

მაგრამ რა ჰქონდა მას მაშინ ხელთ? „შალვა დადიანის „კაკალ გულში“ (1928 წ.), რომელიც იმხანად სატირული კომედიის პირველი ცდა იყო მთელს მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში და სცენაზე დასადგმელად არსებით კორექტივებს, ამასთან უკეთესს კომპოზიციას საჭიროებდა; „ყვარყვარე თუთაბერის“ (1929 წ.) პირველი ვარიანტი; კარლო კალაძის „როგორ“ (1929 წ.), რომელიც უკეთეს სცენიურ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით კონსტრუქციულ ცვლილებებს მოითხოვდა.

კიდევ უფრო მეტ მუშაობას საჭიროებდნენ 1929 წელს დადგმული პიესები — დ. შენგელაიას „თეთრები“, ალ. ქუთათელის „შუაღამემ გადაიარა“, დია ჩიანელის „ბაილი“, გ. ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ“ და ბევრი სხვა. ზოგიერთი ამ პიესათაგანი ზედაპირულ-ილუსტრაციული იყო და გამამდიდრებელ სცენებს საჭიროებდა, ზოგიერთი „რევიუს“ უფრო წააგავდა და სიღრმისეული მომენტებით შევსებას მოითხოვდა, ზოგიც კომპოზიციურად შეუკრავი და მეტის-მეტად უხვსცენიანი იყო, ზოგს კი დრამატურ-

გიული ხერხემალი აკლდა და შეუკრავ ფრაგმენტების კრებულს უფრო მიაგავდა.

კოტე მარჯანიშვილი — უდიდესი გემოვნების, ალღოს, ინტუიციის და მბატვრული ტაქტის შემოქმედი — გამოუცდელ დრამატურგთა დახმარების მიზნით, აქტიურად ერეოდა პიესის ქსოვილში და არსებითი კორექტივები შეჰქონდა. იგი, მართლაც, მასალობრივად უდგებოდა ზოგიერთ პიესას და მისი უკეთესი ვარიანტის შემუშავებაში შველოდა ავტორს. ასევე იქცეოდა ხანდახან ახმეტელიც. ისიც უნდა დავძინოთ, რომ მაშინ რევოლუციური რეპერტუარის უქონლობისა და ამავე დროს მისი დიდი საჭიროების პირობებში, ქართული თეატრის მესვეურები ფრიად თამამად ექცეოდნენ კლასიკურ თუ უცხოურ ნაწარმოებებს და ცდილობდნენ რევოლუციური პათოსით მათს გამსჭვალვას, ამ პიესათა „რევოლუციურად აყვერებას“.

აი, სწორედ ასეთი თეატრალური პრაქტიკის, ამგვარი სცენური პოლიტიკის საფუძველზე (რაც იმხანად სავსებით გამართლებული იყო) წარმოიშვა ბესარიონ ჟღენტის კონცეფცია პიესის მასალობრივი გამოყენების შესახებ.

მაგრამ გავიდა ორმოციოდე წელი და ქართული საბჭოთა დრამატურგია საოცრად გაიზარდა, გამდიდრდა, დაიხვეწა, შეიქმნა მთელი რიგი კლასიკური დრამატურგიული ნიმუშებისა, როგორც უფროსი (შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, პ. კაკაბაძე, ი. ვაკელი), ისე საშუალო და ახალი თაობის დრამატურგთაგან. უკეთ იქნა შესწავლილი და ნათელყოფილი ქართული კლასიკური დრამატურგიაც. ყოველივე ამან კი, ცხადია, გამოცვალა ჩვენი დამოკიდებულება ქართულ ორიგინალურ პიესათა სცენაზე დადგმის საკითხისადმი. ისიც უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ აღარც კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელისნაირი ძალის რეჟისორები გვყოლია.

სწორედ ამან განაპირობა ბესარიონ ჟღენტის ახალი შეხედულება, რომელიც მან პირველად არჩილ ჩხარტიშვილის მიერ ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ დადგმასთან დაკავშირებულ დისკუსიაზე წამოაყენა — დრამატული ნაწარმოების ხელშეუხებლობის შესახებ (იგულისხმებოდა მისი ძირითადი და უმთავრესი კომპონენტები). ჟ ბესარიონი პიესის რეჟისორული ხელწერის წინააღმდეგ გამოდიოდა.

რა არის ეს? ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა? არა, ეს არის დროის ზეგავლენით საკუთარ შეხედულებებში აუცილებელი კორექტივების შეტანა, რაც ერთიანი პრინციპის დარღვევას კი არ წარმოადგენს, არამედ დროის კარნახით გამოწვეული ახალი შეხედულებების მიღებასა და აღიარებას.

საოცარი ჩახედულობა საქმეში, ღრმა ცოდნა წარსულისა და აწმყოსი, დიდი ერუდიცია, განსაცვიფრებელი მახსოვრობა, გამახვილებული ინტუიტური გრძნობა, რთულ მოვლენებში სწორად ორენტირების ალღო, გულთმისწური უნარი მომავლის შეცნობისა — ბესარიონ ჟღენტის სანაქებო თვისებებია.

ამიტომ არის, რომ პირველსავე ნაბიჯებიდან დღემდე უზარებლად და უღალატოდ მოჰყვება იგი ქართულ საბჭოთა კრიტიკას და ორმოცდაათი წლის განმავლობაში წუთითაც არ მოწყვეტია საყვარელ საქმეს. დღეს, მთელს მრავალეროვან საბჭოთა კავშირში არ არის კაცი, რომელიც თავის ეროვნულ ლიტერატურას ასე მხარდამხარ მიჰყვებოდეს ნახევარი საუკუნის მანძილზე და დღესაც ასე მტკიცედ იდგეს, დღესაც ასე წინ იხედებოდეს, დღესაც ასე ღონიერად ახმარდეს ხელს მშობლიური მწერლობის განვითარებას.

ლიტერატურაზე ნაკლები გულის ცეცხლი როდი შეალია ბესარიონ ჟღენტმა ქართული თეატრის აღორძინებისა და აყვავების საქმეს. ბესარიონს თავიდანვე ორი კერპი ჰყავდა: ქართული მწერლობა და ქართული თეატრი. და ეს არ არის შემთხვევითი: ხელოვნების ეს ორივე დარგი ეროვნულობის შენარჩუნებისა და გამოვლენის უმძლავრესი საშუალებებია. ხელოვნების ყველა ფორმათაგან სწორედ ისინი ეყრდნობიან ეროვნულ ენას, რომლის დაცვისა და განვითარებისათვის ბესარიონ ჟღენტი მართლაც თავდადებული მებრძოლია.

კოტე მარჯანიშვილის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი, იგი ერთი უპირველესი თეატრალური კრიტიკოსიცაა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული თეატრის აყვავების საქმეს. ქართველ მსახიობთა მეგობარი, მესაიდუმლე, მრჩეველი და შემფასებელი, იგი განუშორებლად ახლავს ქართულ თეატრს. კოტე მარჯანიშვილის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, ნაყოფიერი რეცენზენტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი გამგეობისა და პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, თეატრის რთულ საქმეში ერთი ყველაზე ჩახედული თეატრალური კრიტიკოსი — აი, ბესარიონის მოღვაწეობის უარსებითესი მხარე. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კ. მარჯანიშვილის თეატრი გაიხსნა ბ. ჟღენტის ნათარგმნი პიესით — „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

ასევე ვრცელია და მდიდარი ბ. ჟღენტის მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის სფერო. თბილისის უნივერსიტეტის უძველესი პედაგოგთაგანი, იგი ქართული საბჭოთა ლიტერატურის სალექციო კურსის ერთი პირველი დამდგენიცაა.

ავტორი მრავალრიცხოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა, მრავალი წელია მეთაურობს საბჭოთა ლიტერატურის შესწავლის ცენტრს საქართველოში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის

ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებას.

ასეთივე დიდსა და საპატიო სამუშაოს ეწევა ბ. ჟღენტი ქართული ლიტერატურის საქართველოს გარეთ პროპაგანდის თვალსაზრისით. იგი არის სარედაქციო კოლეგიის წევრი მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიისა, მეცნიერი კონსულტანტი დიდი ენციკლოპედიისა და მათში გამოქვეყნებულ ყველა მიმოხილვათა და შემაჯამებელ წერილთა ავტორი. ბესარიონი კაპიტალური მრავალტომიანი გამოცემის, — „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ერთ-ერთი თანაავტორია.

ბესარიონ ჟღენტი რედაქტორობს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის მეხუთე და მეექვსე ტომებს.

არ არის რესპუბლიკა, სადაც ეს ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი სიტყვითა და მოხსენებით არ გამოსულიყოს, მას ყველგან აფასებენ და პატივს სცემენ. დაუვიწყარია მისი გამოსვლები ნაციონალური ენისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე მოწყობილ საკავშირო დისკუსიებზე.

ათეული წელია მეთაურობს ბესარიონი საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექციას და დიდ სალექციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა საზოგადოება „ცოდნაში“, რომლის პრეზიდიუმის წევრიც იგი არის.

ვინ იცის, რამდენჯერ დაუცავს მას ქართული კულტურის ავტორიტეტი დიდ ფორუმებზე, რამდენჯერ უსახელებია ქართული მხატვრული სიტყვის შნო და ლაზათი. მას ყველგან იცნობენ, როგორც შესანიშნავ ორატორს, ჩინებულ მოსაუბრეს. ბესარიონს არა მარტო ეხერხება ლაპარაკი, არამედ საოცრად უყვარს იგი. მას შეუძლია ოსტატურად გამოიყენოს ყოველნაირი შემთხვევა, რათა სიტყვა თქვას. მაგრამ, როგორც წესი სიტყვა — მახვილი, დროული, ოსტატური, ნაპერწკლიანი, გულგრილს რომ არ დაგტოვებს.

იგი არ ცნობს რეგლამენტს (თვით ტელევიზორშიაც კი), ათ წუთს მისცემენ და საათს ილაპარაკებს, მაგრამ ისე ნიჭიერად, რომ ხალხი მონუსხულივით უგდებს ყურს, აქტიურად ეხმაურება — აი, ეს არის მჭევრმეტყველის ძალა.

ბესოს ასეთი ხალისიანი სურვილი მეტყველებისა — ეს არის გამოხატულება სიტყვასთან შარადიული შერკინების მისეული წყურვილისა. სწორედ ისე, როგორც ჭეშმარიტი პოეტი მუდამ ისწრაფვის ლექსისაკენ, ბესოც ისწრაფვის სიტყვისკენ, მაგრამ ეს სურვილი ლაპარაკისა მოდის შინაგანი რწმენიდან: რამდენჯერ დავრწმუნებულვართ, რომ თვით ურთულეს საკითხებზე მსჯელობისას, იშვიათად რომ ბესოსნაირად ვისმეს შეეძლოს გაანათოს საკამათო საკითხი, ასე ოსტატურად გამოყოს მთავარი მეორეხარისხოვანისაგან, ჭეშმარიტი მცდარისაგან, ტყუილი მართლისაგან, მხატვრული მოჩვენებითისაგან.

ბესარიონ ჟღენტის დაუცხრომელი მოღვაწეობა ღირსეულად დააფასა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ. იგი რამდენიმეჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებულია რამდენიმე ორდენით, მინიჭებული აქვს საპატიო წოდებები.

მუდამ ჭეშმარიტებისაკენ ისწრაფვოდა მისი საღი აზროვნება, ყოველთვის ნათელი, თანმიმდევრული და ლოგიკური. სწორედ ეს თვისებები აძლევდა საშუალებას მართებულ პოზიციაზე შედგომისა, შეცდომათა დაძლევისა, სწორი გეზის აღებისა; იგი საკმაოდ ჯიუტი კაცია, მაგრამ ეს სიჯიუტე თავნებობის გამოხატულება კი არ არის, არამედ ხასიათის სიმტკიცის გამოვლინებაა.

მართლაც მტკიცე, უდრეკი, საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი უნდა იყო, ხალასი მოქალაქეობრიობა, მამულიშვილობა და საზოგადოებრივი ინტერესი უნდა გამოძრავებდეს, რომ მთელი ნახევარი საუკუნე უდრეკად და უსვენებლად იდგე კრიტიკის ცეცხლოვან ბასტიონზე, რომელზედაც ყოველ წუთსა და წამს მოაქვთ იერიში.

სწორედ ასეთია, მრავალეროვნული საბჭოთა კრიტიკის გამოჩენილი მოღვაწე ბესარიონ ჟღენტი.

ადამიანები, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ უძღვნიან თავს რომელიმე საშვილიშვილო საქმეს, რაგინდ რთული და ძნელად განსაძლები არ იყოს იგი, — უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ. სწორედ ასეთ პატივისცემას იმსახურებს ქართული საბჭოთა კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბესარიონ ჟღენტი.

ვუსურვოთ, ქართული საბჭოთა კულტურის სახელოვან მშენებელს კვლავაც ჩვეული ერთგულებითა და ნაყოფიერებით ემოღვაწეოს მისი სათაყვანებელი საბჭოთა საქართველოს, მთელი ჩვენი დიადი და მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კვესელავა

ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები

I.

საუკუნე ნახევარზე მეტია, რაც „მსოფლიო ლიტერატურის“ საკითხებს იკვლევენ, მაგრამ არასოლეს ისე გაცხოველებული კამათი არ ყოფილა ამ ცნების გარშემო, როგორც უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე. ალბათ თვით საკითხის სირთულე იწვევს აზრთა ამგვარ სხვადასხვაობას. მართლაც, რას უნდა ნიშნავდეს „მსოფლიო ლიტერატურა“ დღევანდელი თვალსაზრისით? ან შეიძლება თუ არა საერთოდ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა? ბევრს ეეჭვება კიდეც ეს და გაურბის ამ ცნების შინაარსის კონკრეტულ განსაზღვრას, ან ისე შორიდან უვლის საკითხს, რომ მის არსებით ნიშნებამდე ვერც აღწევს. ერთი კი ზოგი რას წერს, ზოგი — რას! უმთავრესად კი ვარაუდობს: ან ასე უნდა გავიგოთ, ან ისეო. თვით ბროკჰაუზის ლექსიკონიც ვერ ასცდა ამ შემთხვევაში, „ანან“-ის ლოგიკას და მსოფლიო ლიტერატურის ცნების განმარტების ორი შესაძლებელი ვარიანტი მოგვცა: „ან ყველა ხალხისა და დროის ლიტერატურა მთლიანად (Gesamtliteratur), ან ამ ლიტერატურათაგან ის ნაწარმოებები, რომელნიც ეროვნული წარმოშობის სფეროდან უნივერსალურ ადამიანურ და მხატვრულ მოთხოვნილებამდე არიან ამაღლებულნი“.

ჩვენთვის ორივე ეს ვარიანტი მიუღებელია. მაინცდამაინც არც სხვებს დაუჯდათ ჭკუაში ამგვარი განმარტება, რადგან პირველი გამორიცხავს მსოფლიო ლიტერატურის ცნების სპეციფიკურ ნიშნებს, ხოლო მეორე უგულვებელყოფს ეროვნულ ლიტერატურათა თავისთავად მნიშვნელობას. დღეისათვის სხვაც ბევრი ვარიანტია შემოთავაზებული ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ. ყოველივე ეს სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1965 წლის მაისში მოწვეულ კონფერენციაზე. ორი წლის შემდეგ აქ წაკითხული მოხსენებები ცალკე წიგნად გამოიცა კრებულის სახით, რომლის ანოტაციაში წერია, რომ „კრებულში პირველადაა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციიდან განხილული უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიულ მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციები მსოფლიო ლიტერატურის შესახებ. ავტორები არა მარტო კრიტიკულად განიხილავენ, არამედ პოზიტიურადაც აფასებენ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს, რაც აუცილებელია მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საერთო კანონზომიერებათა გასაგებად“.

ეს აუცილებლობა, როგორც მოგახსენეთ, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეების მიერ „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ შექმნის პრაქტიკულმა ამოცანებმა გამოიწვია. საქმე საქმეზე რომ მიდგა, უველაფერი თავიდან გახდა გასარკვევი და განსამარტავი. „მსოფლიო ლიტერატურის“ ცნების საკითხი რომ დაისვა, მაშინვე ის იკითხეს, კი, მაგრამ „ეროვნული ლიტერატურა“ რაღააო. აქაც გაჩნდა სადავო საკითხები. ეროვნული ლიტერატურის მრავალი ნიშანი იქნა ჩამოთვლილი, მაგრამ უველაზე უფრო მეტი ყურადღება ენას მიექცა, თუმცა არც ეს ნიშანი აღმოჩნდა მყარი. ინდოელ მწერლებს რა ვუყოთ, ვინც ინგლისურად წერსო, ან აფრიკელ მწერლებს, რომელნიც თავიანთ ლიტერატურულ ენად ფრანგულს მიიჩნევენ, ლათინური

* წერილი მეორე.

ამერიკის მწერლები ხომ ესპანურს ხმარობენ, თუნდაც ავსტრიელები ან შვეიცარიელები, რომლებიც გერმანულად ან ფრანგულად წერენ. მერე ისიც იკითხეს, აქვთ კი საერთოდ თავიანთი ეროვნული ლიტერატურა კანადელებს, ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ავსტრიელებს, ავსტრალიელებს ან შვეიცარიელებს? ასე რომ მივყვეთ იქნებ ამერიკელების ლიტერატურის არსებობაც დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ: ისინიც ხომ ინგლისურად წერენ. ამის საპასუხოდ ზოგიერთებმა ასეთი გამოთქმები მოიგონეს: „გერმანულენოვანი", „ინგლისურენოვანი", „ფრანგულენოვანი" ან „ესპანურენოვანი" ლიტერატურები. მერე თვით „ლიტერატურის" ძველთა-ძველი ცნებაც დააყენეს კითხვის ნიშნის ქვეშ. თქვეს: თუ ლიტერატურა, საერთოდ, წერილობით გამოთქმულ აზრს ნიშნავს, ხოლო კონკრეტულად კაზმულსიტყვაობას, რას უნდა მიეკუთვნოს ხალხური შემოქმედება? ესეც თავსატეხ პრობლემად იქცა, რადგან აზრთა სხვადასხვაობამ აქაც იჩინა თავი. უმრავლესობა, მათ შორის საბჭოთა ლიტერატურათმცოდნენიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხალხურ შემოქმედებას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამ საკითხებს სპეციალური კრებულიც უძღვნეს, რომელშიც თავმოყრილია ბონის, ვენის, გისენის, გეტინგენის, პრინსტონის და ციურიხის უნივერსიტეტების პროფესორების (რ. ალევინი, ვ. ჰაბიჰტი, კ. ჰეზელჰაუსი, ვ. ჰინკი, ჰ. ჰირტენჰოიზერი, ვ. ლანგე, პ. რუდიგერი) სათანადო მოხსენებები. კრებულში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: „ეროვნული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურა", „ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურა თანამედროვე კომპარატივისტიკაში", „ევროპული ხალხური ლიტერატურა" და სხვ. წარმოდგენილია აგრეთვე ხალხური ბალადების მრავალი ნიმუში, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ცხადია, არაფერია ნათქვამი (ან საიდან უნდა იყოს!) ქართულ ხალხურ ბალადებზე, თუნდაც ვეფხისა და მოყმის ამბავზე, რომელიც მსოფლიოს არც ერთი ხალხის ამ ჟანრის არც ერთ ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება.

ეს რომ ასეა, გასაგებია, მაგრამ ის კი ყოვლად გაუმართლებელია, თუ რატომ გულისხმობენ ისინი „მსოფლიოსა" და „ევროპის" ცნებებში მხოლოდ დასავლეთის სამყაროს? განა მსოფლიო მხოლოდ ევროპაა, ან ამ ცნებებში აღმოსავლეთი ან თუნდაც აღმოსავლეთ ევროპა არ იგულისხმება? თუმცა არც ესაა შემთხვევითი. არა ერთი ბურჟუაზიული მეცნიერი ამტკიცებს, რომ „მსოფლიო ლიტერატურის" ცნება დასავლეთ ევროპით უნდა შემოიფარგლოს. რატომ? თურმე იმიტომ, რომ ეს უფრო რეალურია და ხოსახერხებელიც, თუნდაც კვლევის პირველ საფეხურზე. როცა საქმე მართლაც მსოფლიო ლიტერატურის საფეხურებრივ შესწავლას ეხება, ეს დასაშვებიცაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ არსებითად ყოველივე ეს ისევ იმ „ევროპოცენტრიზმის" ფერგადასული თეორიის გამართლებაა, რასაც არცთუ ისე ხანმოკლე ისტორია აქვს.

II

ასე წამოიჭრა მსოფლიო ლიტერატურის გეოგრაფიის განსაზღვრის ანუ კაცობრიობის ლიტერატურული რუკის შედგენის საკითხი, რაც იმთავითვე სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდა. თეზამ „ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ლიტერატურა" ამ საქმეს ისეთი გლობალური მნიშვნელობა მიანიჭა, რომ მისი სპეციფიკური ნიშნების დადგენა დროისა და სივრცის თვალსაზრისით მართლაც შეუძლებელია. აბა, წარმოიდგინეთ ლიტერატურული ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა, რომელიც ჩვენს პლანეტას „აკრავს" გარშემო. ვინ იცის, რამდენი ხილული და უხილავი ვარსკვლავია, მოკიაფე თუ ოდნავ მბჟუტავი ან სულაც უჩინარი. რამდენს წვდება ან ვერ წვდება ჩვენი თვალთახედვა. გარდა ამისა, ვის შეუძლია ერთ ხედვაში მოაქციოს მთელი ეს ხომალდი ვარსკვლავებისა. ამიტომ არის, რომ ასტრონომები ცალ-ცალკე სწავლობენ ცის ყოველ მონაკვეთს, ერთმანეთს ადგამენ და ასე ადგენენ მთლიან რუკას, რომელზედაც მათთვის თვალმისაწვდომი პლანეტები და ვარსკვლავები აღნიშნული. ალბათ, ასევე უნდა მოიქცნენ ლიტერატურათმცოდნენი, რომელთაც კაცობრიობის ლიტერატურული რუკის ანუ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შედგენა სურთ. ისე, ცის ერთ რომელიმე თანავარსკვლავედს რომ მივაჩერდეთ და ვიძახოთ ეს არის მთელი ვარსკვლავთა სამყარო — არაფერი გამოვა.

სამწუხაროდ, ასე კი ხდება, ვინც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შედგენის პრეტენზიას აცხადებს, როგორც წესი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის ინტერესების ნიადაგზე დგება და იქიდან უყურებს თუ რა ხდება გარშემო. მისი თვალსაწიერი კი, უკეთეს შემთხვევაში, მეზობელ ქვეყნებს თუ წვდება, თორემ დანარჩენი „სულ სათათრეთია". რაც არ უნდა ერუდირებული იყოს ავტორი, მისი ხედვა დედამიწის ორივე ჰემისფეროს ვერ მოიცავს. ასეცაა სინამდვილეში. „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის" ვერც ერთი ავტორი ვერ აღწევს ამ ცნების შინაარსის გლობალური მასშტაბით გარკვევას. ყველას თავისი ნაკლი აქვს. დასავლეთის ლიტერატურის სპეციალისტები უგულვებელყოფენ აღმოსავლურ ლიტერატურას, აღმოსავლური ლიტერატურისა კი ნაკლებ ყურადღებას აქცე-

ვენ დასავლეთს. ბევრი საკუთარი ეროვნული ლიტერატურის ფარგლებით იზღუდება და სათვალავში არ აგდებს საერთო ლიტერატურულ პროცესებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ თვალსაზრისთა მცდარობა შეუმჩნეველი იყოს. არა. ბევრი თვალსაჩინო ლიტერატურათმცოდნე ილაშქრებს რეგიონალური შეზღუდულობისა და ეროვნული კარჩაკეტილობის წინააღმდეგ. არის ცდები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის უველასათვის მისაღები მოდელების გამომუშავებისა, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ვარაუდების სფეროშია, ხოლო თითო-ოროლა პრაქტიკული ნაბიჯი გადადგმული ამ მხრივ საერთო აღიარებას ვერ პოულობს. ამიტომ ლიტერატურის ისტორიკოსთა უმრავლესობა ისევ იმ რეგიონალური პრინციპებით კმაყოფილდება. დასაწყისისათვის არც ეს არის ცუდი, მაგრამ საერთო მიზანი მაინც განუხორციელებელი რჩება. ისიც საგულისხმოა, რომ რეგიონალურ ლიტერატურათა განხილვას მაშინ აქვს ღირებულება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისათვის, თუ ეს მიზანი წინასწარ იქნება გათვალისწინებული, ესე იგი ცალკეული ეროვნული ლიტერატურა თუ ეროვნულ ლიტერატურათა ჯგუფი (დასავლეთ ევროპის, სკანდინავიის ქვეყნების, აღმოსავლეთ ევროპის, სლავების, ლათინური ამერიკის, არაბული სამყაროს და ა. შ.) მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში იქნება განხილული.

III

დასავლეთის ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობის უმთავრესი ნაკლი ამ მხრივ ისევ ის უბადაღებული „ევროპოცენტრიზმია". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში „ევროპა" კომპარატივისტების თვალსაზრისით მხოლოდ გეოგრაფიული ცნება კი არ არის, არამედ სულიერი: განვითარება აზრისა, თითქოს მსოფლიო ლიტერატურას მხოლოდ ევროპული სულისკვეთებით გამსჭვალული მწერლობა ქმნიდეს. ზოგიერთი მკვლევარი აღმოსავლეთის ლიტერატურის უგულვებელყოფას იმით „ახსნიან", რომ მას ევროპულ კულტურაზე გავლენა არ მოუხდენიაო. რაც დრო გადის, ამგვარი თვალსაზრისი სულ უფრო და უფრო ჰკარგავს მომხრეებს. უკვე დასავლეთის ლიტერატურათმცოდნენიც აცხადებენ, თუ მსოფლიო ლიტერატურის პრობლემები გვინდა ვარკვიოთ, ჯერ ეს ევროპოცენტრიზმი უნდა დავძლიოთო, თუმცა, ზოგ შემთხვევაში ეს ლიტონი განცხადებაა: საფრანგეთში გალიმარის მიერ გამოცემულ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სამი ტომიდან ერთი მთლიანად ფრანგულ ლიტერატურას აქვს დათმობილი, აღმოსავლეთის ლიტერატურა კი საერთოდ უგულვებელყოფილია. ინგლისელი მეცნიერი ჯ. დრინკუტერიც მოითხოვს მსოფლიო ლიტერატურის მხოლოდ „ევროპული მოდელების" (On The European model) მიხედვით შესწავლას.

ამგვარი ევროპოცენტრისტული თვალსაზრისი ერთ-ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე კატეგორიულად უარჰყო საბჭოთა მეცნიერმა ს. ბრაგინსკიმ. მისი აზრით, მსოფლიო ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესი ეროვნულობის გარეშე კი არ არის როგორც ზეეროვნული მოვლენა, არამედ ინტერნაციონალური ფაქტია, რაც, თანმიმდევრულნი თუ ვიქნებით, ეროვნულის მსოფლიო ლიტერატურაში შერწყმას გულისხმობს. ბრაგინსკის აზრით, მსოფლიოს ეროვნულ ლიტერატურათა განვითარების ისტორიაში უნდა ორი ეტაპი გავარჩიოთ: 1. წინა ეროვნული, ადგილობრივი, ეთნიკურად სხვადასხვაგვარი — კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამყარებამდე; 2. ეროვნულ ლიტერატურათა, რაც განმანათლებლების პერიოდიდან იწყება და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთანაა დაკავშირებული. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ეროვნული ლიტერატურა ვითარდება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ხალხების ლიტერატურებთან ურთიერთ კავშირში. მისი აზრით, ჯერ იყო „მსოფლიო ლიტერატურა თავისთავად". (an sich) შემდეგ კი „მსოფლიო ლიტერატურა თავისთვის" (für sich). პირველ პერიოდშიც შეიმჩნეოდა ისტორიულ-ტიპოლოგიური პარალელები, რაც ლიტერატურული სინთეზის საფუძველს წარმოადგენდა; მეორე პერიოდში კი ყოველივე ეს ნამდვილ ინტერნაციონალურ ნიადაგზე დადგა.

ამ პერიოდებად დაყოფაში, შეიძლება ყველაფერი უდავო არ იყოს, მაგრამ ბრაგინსკის სწორი შეხედულებით გოეთეს მსოფლიო ლიტერატურის პრინციპი საფუძველშივე გამორიცხავს ევროპოცენტრიზმის უფლებამოსილებას. მართლაც, გოეთესათვის უცხოა მკვეთრი მიჯნების გავლება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურათა შორის. მეტიც, მას ეს საკითხი ისე როდი ესმოდა, თითქოს აღმოსავლური მოტივები უნდა შეერწყას ევროპულს. არა. გოეთე კაცობრიობის განვითარებასა და მსოფლიო ლიტერატურის ჩამოყალიბებას ერთმანეთთან ურთიერთკავშირში ხედავდა. იგი ამტკიცებდა, რომ ორი კულტურა — დასავლეთის და აღმოსავლეთის, ორგანულად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს, „აღმოსავლეთი და დასავლეთი გათიშული არ უნდა იყვნენ" — წერდა გოეთე.

მეცნიერთა აზრით, ეს სრული გათიშულობა არც არასოდეს შეიმჩნეოდა. იყო კონტაქტები ძველ ეგვიპტურისა ძველ ბერძნულ კულტურასთან, აგრეთვე ძველი ირანულის, საბერძნეთის და რომის — ანტიკურობასთან (ზოროასტრი — პლატონი — მითრას კულტი). ცნობი-

ლია აგრეთვე ინდო-ირანული და ინდო-ჩინური კულტურული ურთიერთობანი. ინდოეთი ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა შორეულ აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შორის (მანიქეველობა, ბუდიზმი). ასევე განიხილება ძველი ებრაული ლიტერატურა, როგორც გარდამავალი საფეხური ელინისტურ ლიტერატურაზე, რაც დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურული სინთეზის პირველ და განსაკუთრებით თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე მუსულმანურ, არაბული ლიტერატურის გავლენა ევროპულ ლიტერატურაზე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რენესანსის მომზადებაში. ბრაგინსკი სპეციალურად უსვამს ხაზს ბიზანტიური, ქართული და სომხური ლიტერატურის მნიშვნელობას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებულ კულტურულ ურთიერთობაში. ეს საკითხი ჩვენთანაც საკმაოდ კარგად არის შესწავლილი პროფესორების შ. ნუცუბიძის, ს. ყაუხჩიშვილის, შ. ხიდაშელის და სხვათა მიერ. სასურველია, ამ კვლევას ისეთი შემაჯამებელი შრომა მოჰყვეს, რომლის თარგმნა რუსულ და უცხო ენებზე დიდად შეუწყობდა ხელს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურათა სპეციალისტებს ადრე შუა საუკუნეებისა და რენესანსის პერიოდის ლიტერატურის საკითხების სრულყოფილ გარკვევაში. ეს კი იმითომაცაა აუცილებელი, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიკოსები ადრე შუასაუკუნეების ლიტერატურას, (V-VI საუკუნეებიდან) რაღაც ინერციით (აქაოდა ყველა გზა რომისკენ მიდისო) დასავლეთ და სამხრეთ ევროპით იწყებენ, მაშინ როდესაც ამ პერიოდში რომის იმპერიის ნანგრევებზე და გუთებისა თუ ბიზანტიელების მიერ მილეწილ-მოლეწილ დასავლეთ თუ სამხრეთ ევროპას არავითარი მნიშვნელოვანი ლიტერატურა არა აქვს, ხოლო ბიზანტიას, საქართველოს, სომხეთს და რაც მთავარია, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს უფრო საყურადღებო ლიტერატურული ძეგლები გააჩნიათ.

იგივე უნდა ითქვას შუასაუკუნეებისა და ადრე რენესანსის პერიოდის ევროპულ მწერლობაზე.

რაც შეეხება უფრო ახლო პერიოდის აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურულ კონტაქტებს, ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ განსაკუთრებულ მითითებას არც საჭიროებს. მხოლოდ ისაა გასათვალისწინებელი, რომ ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთობის კვლევის დროს, ევროპულ-აღმოსავლური (ბიბლია), ევროპულ-არაბული (შუასაუკუნეები), ევროპულ-სპარსული (გოეთე), ევროპულ-ჩინური (ვოლტერი) და ასე შემდეგ, საკითხებში ის კი არ არის მთავარი ერთი ლიტერატურიდან რა ერთვის მეორეს, არამედ ესა თუ ის მწერალი ამა თუ იმ ნაწარმოებში, როგორ იყენებს, ასხვაფერებს, ავითარებს საერთო თემას ისე, რომ ჩნდება ახალი, სხვაგვარი, უაღრესად ინდივიდუალური, თანაც ისე მნიშვნელოვანი, რომ მიუხედავად ეროვნული თავისებურებებისა მაინც საერთო, საკაცობრიო სფეროს განეკუთვნება. ლიტერატურაში განსხვავებულ ღირებულებათა სინთეზი უაღრესად რთული და დღემდე სადავო საკითხია. ამიტომაა, რომ იგივე ბრაგინსკი სრულიად სამართლიანად ასკვნის: „ამრიგად გოეთეს იდეა სინთეზისა დღეისათვის მსოფლიო კულტურის აქტუალური საკითხად იქცა“.

IV

ახლა ის ვიკითხოთ, თუ ვის როგორ აქვს წარმოდგენილი ეს „მსოფლიო ლიტერატურა“? დასავლეთელი ლიტერატურათმცოდნენი უმთავრესად ზეეროვნული ანუ უნივერსალური ლიტერატურის ისტორიის მომხრენი არიან. მათი აზრით, საჭიროა მსოფლიო ლიტერატურის არა გეოგრაფიული, არამედ ტრანსცენდენტური გაგება. ი. ჰომკინსი წერს, მსოფლიო ლიტერატურა უნივერსალური ხასიათისა უნდა იყოსო. მისი აზრით, ამისთვის საჭიროა ჯერ ევროპის ლიტერატურის პარალელური განვითარება შევისწავლოთ, ლიტერატურული კავშირ-ურთიერთობანი დავადგინოთ და ლიტერატურულ მწვერვალთა შედარებითი ანალიზი მოვახდინოთ. ე. ფონ ტუნკი ამტკიცებს, რომ მსოფლიო ლიტერატურა „უველა ერის უველაზე რეპრეზენტატივული ნაწარმოებთა ჯამიაო“. ა. გერარის აზრით, მსოფლიო ლიტერატურა ეს არის „მთელი მასა ნაწარმოებებისა, რომელთაც საერთო აღიარებას მიაღწიეს, იდეალურ შემთხვევაში მთელი კაცობრიობის, ისე კი, პრაქტიკულად, ჩვენი, დასავლეთის ცივილიზაციის ზონისა მაინც“. ჯ. პრამპოლინიც უნივერსალური ლიტერატურის თეორიის მომხრეა. იგი მოითხოვს მსოფლიო ლიტერატურაში გათვალისწინებული იქნეს არა უველა ეროვნულ ლიტერატურათა წარმომადგენლობა, არამედ თავისი ხასიათით საერთაშორისო, საკაცობრიო, უნივერსალური მოვლენები. საბჭოთა მეცნიერი ი. ნეუპოკოევა ფიქრობს, რომ ამგვარი თვალსაზრისი შეიძლება გაზიარებულიც იქნეს, თუ უოველივე ეს გაანალიზდება სოციალურ ისტორიულ პლანში. ვან ტიგემს მიაჩნია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ უმთავრესად სინთეზური სურათი უნდა მოგვცეს და დადგინდეს საერთო პროცესები ლიტერატურული უანრების განვითარების მიხედვით. უოველივე ამას იგი „მსოფლიო ლიტერატურის სინთეზურ ისტორიას“ უწოდებს, სადაც უოველი ეპოქა დახასიათებული იქნება თავის ზოგად მონაცემებში ეროვნულისაგან დამოუკიდებლად. ფაქტიურად ამავე პოზიციაზე დგას ჟ. ტრუკი. იგი ასეთ კითხვას სვამს: მსოფლიოს მრავალ ლიტერატურათა ისტორია, თუ მსოფლიო ლიტერატურის

ისტორია, როგორც მთლიანობა? ეს კითხვა უფლებამოსილია, რადგან მართლაც ძნელია ხუთივე კონტინენტის ლიტერატურის მოთავსება „მსოფლიო ლიტერატურის“ ერთიან ისტორიაში. ძნელია, მაგრამ აუცილებელი თუ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შექმნის დასახული მიზნის მიღწევა გვინდა. ასეთი მიზანი კი ახლა იქნეს არ იწვევს, მაგრამ მისი განხორციელების მეთოდოლოგიური პრინციპები მაინც არ არის შეთანხმებული. დასავლეთის ლიტერატურათმცოდნეობა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შექმნის სამ მთავარ პრინციპს გვთავაზობს:

1. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, როგორც ცალკეულ ლიტერატურათა ჯამი — განხილული თანმიმდევრულად ან პარალელურად.

2. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, როგორც ლიტერატურულ კავშირურთიერთობათა ისტორია, უმთავრესად დასავლეთის ლიტერატურათა ზეგავლენის გათვალისწინებით.

3. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, როგორც უნივერსალური, ზეეროვნული (Supernational) მოვლენა.

ამასთანავე, ზოგი უნივერსალური ლიტერატურის ისეთ ისტორიას უპერს მხარს, სადაც ყურადღება არ ექცევა ენობრივ სხვაობას. მათთვის მთავარი სინთეზია და არა ეროვნული თავისებურება. კვლევის ობიექტსაც ზე-ეროვნული საფუძვლები übernationale Grundlage აქვს. ისევე როგორც ერთია მთელი კაცობრიობა, ერთია მისი ხელოვნება და ლიტერატურაც. ერიხ აუერბახი წიგნში „მსოფლიო ლიტერატურის ფილოლოგია“ წერს: „ყველა უნდა მიეჩვიოს აზრს, რომ ერთიან სამყაროში შეიძლება მხოლოდ ერთიანი კულტურა იყოს“. აქედან ვითარდება თვალსაზრისი მსოფლიო ლიტერატურის როგორც ზე-ეროვნული ღირებულების შესახებ. საკითხიც გადაჭრითაა დასმული: ან მსოფლიო ლიტერატურა ან ეროვნული. მათი შერწყმა არ შეიძლება.

მიუხედავად ამგვარი კატეგორიულობისა, ეს არც დასავლეთშია გაბატონებული აზრი. სხვები მაინც მსოფლიო ლიტერატურის როგორც ერთიანი კანონზომიერების დადგენას ცდილობენ, მაგრამ ეს „კანონზომიერება“ კი არ გამორიცხავს ეროვნულ ლიტერატურათა მნიშვნელობას, არამედ გულისხმობს მას. საჭიროა მხოლოდ მსოფლიო ლიტერატურის ეტალონების შექმნა, დიდი ლიტერატურული პროცესების გადმოცემა ჟანრების ან მიმართულებების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ არც ამგვარი მსჯელობაა უნაკლო, რადგან მსოფლიო ლიტერატურის განვითარება დაჰყავს მხოლოდ ისტორიულ პარალელებამდე. იგი კმაყოფილდება ამგვარი პარალელების გავლებით ანუ განმეორებით, რაც უგულვებელჰყოფს თავისთავადსა და განუმეორებელს ეროვნულ ლიტერატურაში.

ჩვენში ნაწილობრივ კ. აბაშიძე იყენებდა ამგვარ მეთოდს. ზოგჯერ იგი გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევდა საკითხს თუ ესა თუ ის ევროპელი მწერალი რომელ მწერალს გვაგონებს, თუმცა განსხვავებასაც უსვამდა ხაზს. მისი აზრით, „სპეტაკი და ანგელოსური ოცნება ბარათაშვილისა ლამარტინს გაგონებთ, რომ ლამარტინის ამაღლებული აზრები ცოტა რიტორიკით არ იყოს შეზავებული, ზნეობრივი სტოიციზმი მისი უფრო ადამიანურია, უფრო ნაზი და ამით უფრო რაღაც ჰუმანიური, ვინემ სტოიციზმი დე-ვინისა, რომელიც თავისი მედიდურობით, არისტოკრატიული ინდეფერენტიზმით შეფერადებულ ამაყობას გაგახსენებთ ხოლმე, სიწრფელე და სინაზე მისი მიუსსეს წრფელ კვნესას მოგაგონებთ, მაგრამ იმაზე უფრო ღრმაა, რადგან მიუსსეს ეტყობა, ცოტა არ იყოს, დარდიმანდული თვითნებობა, ეპიკურული პესიმიზმი და წუთიერ გრძნობათა უმდაბლესი მხარეებით გადმეტებული გატაცება“.

კ. აბაშიძეს მიაჩნდა, რომ „ბაირონის გვერდის დამამშვენებელ ლირიკოსთა შორის ადგილი ბარათაშვილსაც ეკუთვნის“, მაგრამ იმასაც წერდა, „თუ სხვებმა ბაირონის პესიმიზმი სავსებით შეითვისეს და შეისისხლხორცეს, ბარათაშვილმა ზნეობრივი მოვალეობის შეგნებულება გამოიჩინა და უსასო, დაუსრულებელ პესიმიზმს კაცთა — შვილთა სოფლისა — მოვალეობა ამოუყენა გვერდით...“

ეს უსათუოდ სწორი დაკვირვებებია, მაგრამ საერთოდ სხვადასხვა ხალხის ლიტერატურული პროცესების მსგავსების აღნიშვნა ხშირად არ გულისხმობს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესებს, ან სათანადო ყურადღებას არ აქცევს მათი ურთიერთზეგავლენის როლს. არც იმას თუ როგორ იცვლება ისტორიულად სხვადასხვა ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი. ამის საბუთად ი. ნეუპოკოევას მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ აქვს პრომეთეს მითი ოსური ლიტერატურა წარმოდგენილი ირანულისა და ტაჯიკური ლიტერატურის რეგიონალურ ჯგუფში და შენიშნავს როგორ შეიძლება კ. ხეთაგუროვის შემოქმედების ტაჯიკურ ლიტერატურასთან დაკავშირება. ამგვარი პარალელიზმები არ ქმნის მსოფლიო ლიტერატურის ორკესტრულ სახეს, რადგან ეროვნული ლიტერატურის სპეციფიკა ჩუღავნდება არა მარტო შედარების გზით, არამედ კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით. ეს კი მოითხოვს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შესაქმნელად მრავალი ლიტერატურული ხერხის გამოყენებას, შედარებითი მეთოდი კი ერთ-ერთი უმთავრესია მათ შორის. ეს მართლაც ასეა, მაგრამ საქმე ის არის თუ ვინ როგორ იყენებს ამ მეთოდებს. ბურჟუაზიულ მეცნიერთაგან ვის როგორი მეთოდი აძლევს ხელს, ისე ადგენს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, მაგრამ რაკი მათთან თვით ეს

მეთოდებია არსებით ნაკლოვანებათა შემცველი, ცხადია, მიღებული შედეგებიც არ არის უდავო. მთავარი კი ის არის, რომ დასავლეთის ლიტერატურათმცოდნეობა ვერ ახერხებს მსოფლიო და ეროვნულ ლიტერატურათა სინქრონულ შეთანხმებას. ამას ხელს არ უწყობს ლიტერატურულ პროცესთა პარალელურობის პრინციპი, რასაც ასე თავგამოდებით იცავს ტიგემი. მისი აზრით, მსოფლიო ლიტერატურა განხილული უნდა იქნეს პარალელური ხაზებით ურთიერთკავშირისა და გავლენების გარეშე. მანვე შემოიღო ე. წ. „თემატოლოგიური პრინციპი". იგი ყოველი გაბატონებული ლიტერატურული მიმართულების ცენტრად აცხადებს ამა თუ იმ ქვეყანას, სადაც ეს მიმართულება უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი, მაგალითად: რენესანსი — იტალია, ბაროკო — ესპანეთი, XVII-XVIII საუკუნეები — საფრანგეთი და ა. შ. დანარჩენი ქვეყნების ლიტერატურა კი ამის მიხედვით უკანონდებაო — ამტკიცებს იგი. ამაზე ინგლისელები აუმხედრდნენ მას, თავის დროზე მილტონის გავლენა რასინზე ნაკლები როდი იყოო.

ასეთივე პოზიციებით ებრძვიან ერთმანეთს ამერიკელი და ფრანგი კომპარატივისტები. აქილევსის ჭუსლს კი აქაც ეროვნულ ლიტერატურათა უგულვებელყოფა წარმოაღენს. ისინი უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენენ ეროვნული ლიტერატურის სპეციფიკურ მნიშვნელობისადმი საერთო, უნივერსალურ ლიტერატურის კომპლექსში. მიუხედავად გოეთეს კატეგორიული გაფრთხილებისა, ბევრნი მაინც „ლიტერატურული უნიფიკაციის" მომხრენი არიან. ისინი აცხადებენ, ეროვნულ ლიტერატურისადმი გადაჭარბებული ყურადღება მოძველებულიაო და მოითხოვენ „ლიტერატურის დენაციონალიზაციას", რაც გამოიხატება დევიზით: „უნიფიკაცია სინთეზში". სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ლიტერატურები შეერწყმიან ერთმანეთს და, როგორც ამბობენ, გადადნობილი იქნებიან ევროპული ცივილიზაციის დიდ ჭურჭელში. მათი აზრით, გოეთეს ეს იმიტომ არ უნდოდა, რომ ფიქრობდა გერმანიის ლიტერატურა ყველაზე მეტად დაზარალდებოდა ამ უნიფიკაციის პროცესში. მათ კარგად ესმით, რომ არც სხვა ერების წარმომადგენლები მიიღებენ აღტაცებით დენაციონალიზაციის ამგვარ გეგმას, ამიტომ ზოგჯერ კომპრომისზედაც მიდიან და აცხადებენ დიდი ლიტერატურული სინთეზის პროცესში ეროვნული ლიტერატურებიც ითამაშებენ გარკვეულ როლსო. ფრიდრიხი და მელონი, იმასაც კი ჰპირდებიან მათ „ყველა ხმა იქნება გაგონილიო", მაგრამ პრაქტიკულად ასე არ გამოდის, ისევ ძალაში რჩება მთავარი თეზა, რასაც რ. ველეკმა და ა. უორენმა „ზეეროვნული მასშტაბის ლიტერატურის სინთეზური ისტორია" უწოდეს. ეს პრინციპი კი გერარიმ, ა. პეირიმ და სხვა კომპარატივისტებმა ისეთ უკიდურესობამდე მიიყვანეს, რომ აცხადებენ, ეროვნული ლიტერატურა სხვა პრაფერია, თუ არა პოლიტიკური შოვინიზმის გადანაშთიო. გერარს ამისთვის სპეციალური გამოთქმაც აქვს შერჩეული: ეროვნულ და სოციალ-ისტორიულ კონკრეტულობისაგან ექსტირაცია (გათავისუფლება). ისე, კაცმა რომ თქვას, სრულიად წარმოუდგენელია ეროვნულ ლიტერატურათა გარეშე რას უნდა ნიშნავდეს „თვით მსოფლიო ლიტერატურის ფენომენის შესწავლა", რასაც იგივე გერარი ქადაგებს. ამის შედეგი ხომ ისეთი კურიოზული ფაქტია, როგორიცაა პოეზიის სრული გამოთიშვა მსოფლიო ლიტერატურის ცნებიდან, აჭაოდა ლექსების გაგება მხოლოდ ეროვნულ ენებზე შეიძლებაო. და ეს მაშინ, როცა საერთოდ აღიარებული აზრით უველა ქვეყნის ლიტერატურა პოეზიით იწყება.

მიუხედავად ამგვარი ანტაგონისტური და ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლო თვალსაზრისთა სიმრავლისა, ბევრი რამ ასე თუ ისე მაინც გარკვეულია. ახლა უველასათვის ცხადია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორია არ შეიძლება იყოს საერთოდ არსებულ ლიტერატურათა მათემატიკური ჯამი, ე. ი. „უველაფერი რაც დაწერილა უველა ენაზე და უველა დროში" თეორიულად, რა თქმა უნდა, შეიძლება ამის წარმოდგენა, მაგრამ პრაქტიკულად დიდი არაფერი მნიშვნელობა ექნება. აბა, ვის შეუძლია ამ ზღვა მასალის კლასიფიკაცია და მისი გარკვეულ თვალსაზრისით დაჯგუფება. თანაც უველაფერი, რაც ამ დარგში შექმნილა ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობისა ხომ არ არის მთელი კაცობრიობის ინტერესი რომ გამოიწვიოს. ამიტომ მთავარი მაინც ხარისხია, მხატვრული დონე, თუმცა არც ესაა დღესავით ნათელი საკითხი. ადვილი სათქმელია „ხარისხი", „მხატვრული დონე". მერედა ვინ დაადგენს ამ დონის „განმსაზღვრელ კრიტერიუმებს", ან რა ნიშნების მიხედვით უნდა მოხდეს ეს? მწერლების რანგებად დაჯგუფება შეუძლებელია. ვერც საამისო მოდუსს მოძებნის კაცი. საკითხი თუ მსოფლიო ლიტერატურის ისეთ აღიარებულ მწვერვალებს ეხება როგორც ჰომეროსია, დანტე, რუსთაველი, სერვანტესი, შექსპირი, გოეთე, ტოლსტოი, დოსტოევსკი ან სხვა ვინმე, საერთო ენის გამოძებნა ადვილია, სიძნელე კი ამის შემდეგ იწყება, განსაკუთრებით, როცა თანამედროვე ლიტერატურის საკითხი დგება. ამასთანავე „მსოფლიო ლიტერატურას" ხომ მხოლოდ „მწვერვალები" არ ქმნიან. ვიღაც წერდა „მსოფლიო ლიტერატურა მწვერვალების გრეხილი არ არისო", მართლაც არ არის. იგი ეროვნულ ლიტერატურათა საერთო ღონესა და ხარისხს გულისხმობს და არა მხოლოდ „მწვერვალებს". ასე რომ არ იყოს, შეიკრიბებოდა საერთაშორისო კომისია, იდავებდნენ, იდავიდარაბებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც შეადგენდნენ მსოფლიო ლიტერატურის ისტო-

რიაში შესაყვან მწერალთა სიას და სპეციალისტებიც ამისდა მიხედვით დასწერდნენ ლიტერატურის ამგვარ უნივერსალურ ისტორიას.

პროფ. ეტიემბლიმ მართლაც შეადგინა მსოფლიო ლიტერატურის იდეალური ბიბლიოთეკა, მაგრამ ესეც ამაო ცდა იყო, რადგან, კაცმა რომ თქვას, მსოფლიო ლიტერატურა არც პანთეონია და არც უკვდავთა აკადემია. ის ისეთი სიმაღლეა, რასაც გენერლებთან ერთად ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც იპყრობენ. შეიძლება ესა თუ ის მწერალი საერთო აღიარებით „მწვერვალთა" რანგს არ განეკუთვნებოდეს, მაგრამ თითოეროლა ისეთი ნაწარმოები, ლექსი ან პატარა ნოველა ჰქონდეთ, რაც მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს დაამშვენებს. ამიტომაც არის, რომ კინდლერის ლექსიკონი შედგენილია არა მწერლების, არამედ ნაწარმოებთა რეგისტრით. მართალია ამ ლექსიკონის ავტორთა ინფორმაციაც შეზღუდულია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პრინციპია გარკვეული. მიუხედავად იმისა, რომ კინდლერის ლექსიკონში არც თუ ისე მცირე ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ ლიტერატურათა ნიმუშებს, მისი ავტორები მაინც არ არიან თავისუფალნი კოსმოპოლიტურ ცდუნებათაგან. ეს საერთოდ ახასიათებს კომპარატივისტთა უმრავლესობას, რომელთა თვალსაზრისი ე. წ. „უნივერსალური ლიტერატურის ისტორიაში" გამოიხატება. მათი აზრით, მსოფლიო ლიტერატურა უნდა წარმოდგენილი იქნეს როგორც მთლიანი ფენომენი, თავისუფალი ყოველგვარი ეროვნული კომპონენტებისაგან. ლიტერატურის ისტორია უნდა გამოხატავდეს მხოლოდ სინთეზს. უნდა დაძლეულ იქნას ადგილობრიზმი და პროვინციული ვრძნობები. ეტიემბლი წერს: უნივერსალური ლიტერატურა ზე-ეროვნული მოვლენაა. მისი აზრით, ისევე როგორც ერთია მსოფლიო — ერთია ხელოვნება და ლიტერატურაც. ჩვენი ვალია განვიხილოთ მხოლოდ უნივერსალური ხასიათის ნაწარმოებები. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩავიხრჩობით ინფორმაციის სიმრავლეში.

ამგვარ კოსმოპოლიტურ თვალსაზრისს სხვებიც გამოთქვამენ. ერიხ აუერბახის აზრით, ყველა უნდა მიეჩვიოს ფიქრს იმის შესახებ, რომ ერთიან სამყაროში შეიძლება მხოლოდ ერთიანი კულტურა იყოს, სულერთია საბოლოოდ მაინც მოისპობა ცალკეული ენები და ეროვნული თვისებები; ეს აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ. ლიტერატურული ნაწარმოებისათვის მთავარია ხარისხი და ზეგავლენის სფერო. ისე, ლიტერატურა პარლამენტი, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხომ არ არის სადაც თითქმის ყველას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს: საერთოში კერძო წაშლილია, კონკრეტული აბსორბირებულია ზოგადში, სინთეზი გულისხმობს მთლიანს და უგულვებელყოფს ცალკეულს. ასეა მსოფლიო ლიტერატურაც. იგი უფრო ტრანსცენდენტური ცნებაა, ვიდრე გეოგრაფიული.

ეს აზრიც ისეა გავრცელებული, რომ შეიძლება იგავურადაც გამოვსახოთ: შავი ზღვა სხვადასხვა მდინარეთა შენაკადებისაგან იქმნება, მაგრამ ზღვაში უკვე ვინღა ეძებს სად რომელი მდინარის წყალია, მდინარე თავდება იქ, სადაც ზღვას ერთვის, ზღვა კი სრულიად ახალი ფენომენია. მას ზღვის თვისებები აქვს და არა მდინარისა. ვინც ამ თვალსაზრისს არ გაიზიარებს, შეიძლება ისეთ ახირებულ კაცს დაემსგავსოს, რომელიც შავ ზღვაში ნავს შეაცურებს და ძებნას დაუწყებს სად რიონის წყალია და სად პრუტის, დუნაის ან დნესტრისაო.

კომპარატივისტთა აზრით ასევეა მსოფლიო ლიტერატურაც. იგი ზღვაა და სულაც არ საჭიროებს ეროვნული შენაკადების გათვალისწინებას. გასაგებია, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა კატეგორიულად უარყოფს ამგვარ თვალსაზრისს. რაც არ უნდა რთული იყოს ეროვნულ ლიტერატურათა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვა, ეს მაინც აუცილებელია. თვით მსოფლიო ლიტერატურაც როდია ისეთი ერთფეროვანი მასა, რომელსაც თავისი შემადგენელი ნაწილების თავისებურებანი აქვს დაკარგული. არა. მსოფლიო ლიტერატურა შეიძლება ისეთ ჯადოსნურ თასს შევადაროთ, რომელიც დასავლეთში თუ აღმოსავლეთში მოპოვებულ თვალ-მარგალიტებითაა მოჭედილი და ათასფრად ელვარებს. თანაც სულ ცვალებადობის პროცესშია. ყოველი ახალი ეპოქა ახალ სახეს აძლევს მას. ერთ დროს საერთო აღიარებით ძვირფასი ქვები ყამთა ვითარებაში კარგავენ თავიანთ ელვარებას, მაშინ მათ სცვლიან სხვები, ახალ აღმოჩენილნი ან ახალ მოვლენილნი. სახელდობრ ვინ, ამასაც დრო სწყვეტს. ზოგიერთი სახელი უცებ აკიაფდება მსოფლიო ლიტერატურის ტატნობზე, ზოგიც საუკუნეების მანძილზე უცდის ამას. რამდენი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჰომეროსი მსოფლიო ლიტერატურის საკუთრებად იქცა, ან თუნდაც დანტე ალიგიერი. ახლა წერენ ომარ ხაიამი რამდენიმე საუკუნის შემდეგ გამოჩნდა მსოფლიო ლიტერატურის არენაზეო. ეს მწერლებზე, ნაწარმოებებზე კი ნუ იტყვით! რამდენია დიდი ხნის შემდეგ აღმოჩენილი ანუ ჯერაც ისტორიის ბურუსში ნიმალული. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაცაა, რომ ლიტერატურული თვალმარგალიტი ნიჟარითაა გარემოსილი და ზღვის ფსკერზე ჩაძირული. უნდა მოვიდეს ვილაც (გასაგებია ვინ!), ზღვაში ჩაეშვას, ის ნიჟარა ამოიღოს, გახსნას და თვალმარგალიტი გამოაბრწყინოს. ამას დიდი ცოდნა და ოსტატობა უნდა. ვისაც ეს მადლი არა აქვს მინიჭებული, მსოფლიო ლიტერატურის საკითხების მკვლევარად ვერ გამოდგება, რადგან ვერც აღმოაჩენს რამე ღირებულს და ვერც ელვარებას შემატებს მას.

V

ამ დარგში დაბრკოლებათა უგულვებელყოფა, საქმის გაიოლება ან ზედმეტად გამარტივება არ გამოდგება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული. ყველაფერი ღირებული, რაც კი მეცნიერებამ შექმნა ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნებში, ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. არც მეთოდოლოგიური ეკლექტიზმია დაძლეული. ჯერ კიდევ არ არის ლიტერატურული პროცესების ერთიანი გააზრება. საერთაშორისო მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის ყურადღება ამჟამად მიპყრობილია ამ საკითხებისადმი. მეცნიერები და კრიტიკოსები ადგენენ რეგიონალურ კავშირურთიერთობებს, მსოფლიო ლიტერატურული პროცესების სინქრონულად გადმოცემის მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ამგვარი თეორიული მუშაობა მიმდინარეობს მსოფლიო ლიტერატურის საბჭოთა ისტორიის შექმნასთან დაკავშირებით. რ. სამარინის, ი. ნეუპოკოევას და სხვათა მოხსენებებიდან ჩვენთვის ცნობილია ამ გრანდიოზული შრომის ზოგადი პრინციპები, ისიც თუ წინასწარ რა ორგანიზაციული ღონისძიებანი იქნა ჩატარებული, საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეთა მიერ ამ ამოცანის გადასაწყვეტად. მეცნიერებათა აკადემიის, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში შექმნილია სპეციალური ჯგუფი: „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ანხორციელებს კავშირს, როგორც აკადემიის სხვა ინსტიტუტებთან, ისე უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრებთან; ეს იმიტომ, რომ დასახული ამოცანა მეცნიერთა დიდი კოლექტივის გაერთიანებულ შრომას მოითხოვს. გარდა ამისა, განზრახულია უცხოელი მეცნიერების მოწვევა.

საქმემ მოითხოვა ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებაც. თავისთავად ცხადია, ვიდრე მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომიანი ლიტერატურის პროსპექტის შედგენა დაიწყებოდა, ჩამოყალიბებული იქნა სახელმძღვანელო კონცეფცია, რაც პრინციპულად განსხვავდება დასავლეთში დღემდე არსებულ ანალოგიური შრომებისაგან. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება იმ დადებითი გამოცდილების გაზიარება, რაც ადრეც იყო მოპოვებული. როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის მეცნიერთა მიერ. ეს ეხება მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის სინქრონული ნუსხების მომზადებასაც, რაც წინ უძღვის დასახული მიზნის განხორციელებას. რ. სამარინი წერს, რომ „მსოფლიო კულტურული პროცესის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია მიუთითებს ლიტერატურის ისტორიის მსოფლიო მასშტაბით გააზრების აუცილებლობაზე“. იქვე ნათქვამია, რომ დადგა დრო, როცა ლიტერატურათმცოდნე, რომელიც თანამედროვე ლიტერატურის რომელიც გნებავთ საკითხზე არ უნდა მუშაობდეს, ვალდებულია მხედველობაში ჰქონდეს ამ საკითხების კავშირი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის განვითარებასთან. ამის გარეშე ყოველი ნაშრომი გაღარიბებული აღმოჩნდება, ხოლო განხილული მასალა — იზოლირებული.

მე უკვე მოგახსენეთ იმის შესახებ, რომ ასეთივე ამოცანა დგას ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოსთა წინაშეც. თავს ნებას ვაძლევ ეს ერთხელ კიდევ აღვნიშნო ხაზგასმით, რადგან დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩვენ არც ამ „გაღარიბებისაგან“ ვართ დაზღვეული და არც „იზოლირებისაგან“. მეტიც, რატომღაც უდარდელ დამოკიდებულებასაც კი ვიჩენთ ამ საკითხებისადმი, მაშინ როდესაც დღეს ქართულ ლიტერატურაზე ნამდვილად მეცნიერული შრომების დაწერა შეუძლებელია მისი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან დაკავშირების გარეშე. ეს განსაკუთრებით ითქმის ახალ და უახლეს ლიტერატურის ისტორიის შესახებ. მე საგანგებოდ გამოვყოფ ამ პერიოდს, რადგან, ცნობილია, რომ „მსოფლიო ლიტერატურა“ ყალიბდება კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში. რა თქმა უნდა, ლიტერატურული კავშირურთიერთობანი დროდადრო მანამდეც იყო ცალკეულ ლიტერატურულ ზონებს თუ ჯგუფებს შორის, მაგრამ ამას ჯერ კიდევ არ ჰქონდა „ერთი, მთლიანი მსოფლიო ლიტერატურის“ სახე მიღებული. ახლა ეს ფაქტია და ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. მსოფლიო ლიტერატურა ის დიდი საგანძურია, რომელშიც თავისი შესაძლებელი წვლილი შეაქვს ყველა ერის ლიტერატურას. ეს იქედანაც ჩანს, რომ საერთოდ მიღებული აზრის მიხედვით ნამდვილი ხელოვნება, ლიტერატურა ეკუთვნის არა მხოლოდ რომელიმე ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, რაც, მოგეხსენებათ, კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ჩვენი XIX საუკუნის კლასიკოს მწერლებსაც — ილიას, ვაჟას; აკაკი წერეთელიც წერდა:

ხელოვნებას არა აქვს
საკუთრება... საზღვარი,
იგი ყოველ ხალხს ეკუთვნის
ვით ყველას მაცხოვარი.

ასე იყო უწინ, ასეა ახლაც. დღეს ეს შეგნებული აქვთ იმ ერებსაც, რომელთა ლიტერატურა მხოლოდ გუშინ და გუშინწინ შეიქმნა. ხოლო იმათ, ვისაც მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციები გააჩნიათ, მით უმეტეს, ევალებათ კარგად გაიაზრონ ლიტერატურული პროცესების ეს ზოგად-კაცობრიული ხასიათი, რათა უფრო წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანები. უნდა გადაჭ-

რით უკუვაგდოთ ზოგიერთ „ზერელედ მოაზროვნე" ლიტერატურათმცოდნისა თუ კრიტიკოსის ყოვლად გაუმართლებელი აზრი, თითქოს ეროვნული ლიტერატურის მიღწევების ამგვარი განხილვა ხელოვნური, დამამცირებელი ან ეროვნული სპეციფიკის უგულვებელმყოფელი იყოს. პირიქით. ჯერ კიდევ გოეთე ამტკიცებდა, რომ ყოველ ეროვნულ ლიტერატურას სწორედ თავისი თავისებურებით შეაქვს წვლილი მსოფლიო ლიტერატურაში, და რომ ეს თავისებურებანი უკეთ გაიგება სხვათა ეროვნულ ლიტერატურასთან კავშირში. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნენიც ამას წერენ: „ლიტერატურის ეროვნული სპეციფიკა, მე მგონი, ამით მხოლოდ მოიგებს. ზოგადის ჩვენებით მსოფლიო ლიტერატურის ისტორია უფრო ნათლად გამოაჩენს იმ კერძოს, **განუმეორებელს, რაც ყოველ** ერს შეაქვს მსოფლიო ლიტერატურაში" (რ. სამარინი).

ამ უბრალო ჭეშმარიტებას მე სხვისი სიტყვებით იმიტომ ვამბობ, რომ არა მჯერა შეისმენენ თუ არა ამას ისინი ვისაც ურჩევნია წაუყრუოს ამ საკითხებს. მე უკვე მოგახსენეთ იმის შესახებ, რომ ადრე ამგვარ წაყრუებას ჰქონდა ერთგვარი ობიექტური მიზეზები. ახლა არავითარი. ამიტომ დროზე უნდა გავთავისუფლდეთ იმ ინერციისაგან, ახლებურად შევხედოთ ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს. სათანადოდ უნდა შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ რაც ამ მხრივ არის გაკეთებული. კრიტიკულად ავითვისოთ ის აზრები, XIX საუკუნის ლიტერატურის კლასიკოსებს რომ აქვთ გამოთქმული ამ საკითხზე. ღირსეულად უნდა შევაფასოთ და გამოვიყენოთ ქართველი ლიტერატურათმცოდნეების — კ. აბაშიძის, ვ. კოტეტიშვილის, კ. კაპანელის და სხვათა ნაშრომები. უარსაყოფი უარვყოთ, მისაღები — მივიღოთ, განვავითაროთ და ახალი შრომებით გავამდიდროთ აღნიშნული საკითხების კვლევა-ძიება. სულ ახლო დროის ქართველ მწერლებსაც საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული. მე მაგონდება ლ. ასათიანის მშვენიერი წიგნი „ვოლტერიანობა საქართველოში", აგრეთვე ა. კალანდაძის ამასწინ გამოცემული „ლიტერატურული ნარკვევები". დაინტერესებული მკვლევარი სხვა მნიშვნელოვან შრომებსაც მიაქცევს ყურადღებას.

ასე ხდება სხვაგანაც. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მომზადების წინ გორკის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტმა სპეციალურად შეისწავლა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების, აგრეთვე პლეხანოვის, ლუნაჩარსკის და განსაკუთრებით გორკის თვალსაზრისი მსოფლიო ლიტერატურის შესახებ. გარდა ამისა დაიწერა ისეთი შრომები, როგორიცაა: „ლათინური ამერიკის ლიტერატურები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიებში", „ინდოეთის ლიტერატურის პროცესი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიებში" და სხვ. ინდოეთსა და ლათინურ ამერიკის პრობლემებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ლიტერატურის ისტორიას მაინც მივხედოთ ამ თვალსაზრისით. საამისო სახელმძღვანელო დებულებებსაც საკმაოდ ვიპოვით და საკვლევ მასალებსაც, სხვა რომ არა იყოს რა, ისევ მ. გორკი გვაძლევს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხების შესწავლა. ამისთვის საკმარისია თვალი გადავავლოთ მის აზრებს, გამოთქმულს რუსული და ევროპული ლიტერატურის კავშირ-ურთიერთობის შესახებ. რაც შეეხება ჩვენს „შინაურ საქმეებს", აქაც უნდა ითქვას, რომ ფრიად საყურადღებო მეცნიერული შედეგებია მოპოვებული. ჩვენთან ლიტერატურულ კავშირ-ურთიერთობების საკითხს ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი სწავლობს. რუსთველოლოგები სპეციალურ კრებულებსაც კი უძღვნიან ამ საკითხებს. საინტერესო შრომებია დაწერილი ქართულ-რუსულ, ქართულ-სპარსულ, ქართულ-ფრანგულ თუ სხვა ლიტერატურულ ურთიერთობებზე. ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებიც ეხებიან შემთხვევისდა მიხედვით ამგვარ კავშირ-ურთიერთობებს, მაგრამ, როგორც ერთხელ უკვე მოგახსენეთ, დღეს ეს საკითხი რამდენადმე განსხვავებულ ასპექტში დგას: **კვლევის საგანი ხდება არა მხოლოდ ლიტერატურული გავლენები და კავშირურთიერთობები, არამედ დიალექტიკურ დაპირისპირებათა შემცველი, მაგრამ მაინც ერთიანი ლიტერატურული პროცესის გლობალური მასშტაბი.**

ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ გავლენებისა და ურთიერთობის მნიშვნელობა უგულვებელყოფილია. პირიქით, მსოფლიო ლიტერატურის „გლობალური მასშტაბი" ამ გზითაც იქმნება. კაცობრიობის მრავალფეროვან ლიტერატურულ ლანდშაფტს ერთიანი ხედვის ობიექტივიც სჭირდება. კავშირურთიერთობათა გარეშე კი ამგვარი მთლიანობა ვერ წარმოიდგინება. ამ შემთხვევაში არც ლიტერატურული ტრადიციებისა და ზეგავლენის პრობლემებია მივიწყების ღირსი. თორემ ახლა ისეთი მდგომარეობაა, თუ ვინმემ თქვა ესა თუ ის ქართველი მწერალი ვინმეს გავლენას განიცდიდაო, ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე მაშინვე იფეთქებს, ეს ჩვენი სასიქადულო მწერლის შეურაცხყოფააო. რატომ? განა გავლენების თუ ლიტერატურული ადაპტაციების გარეშე რომელიმე ქვეყნის ლიტერატურა განვითარებულა? ან ვინმეს თუ შეუძლია მსოფლიო ლიტერატურის ისეთი დიდოსტატი დაასახელოს, რომელიც სრულიად თავისუფალია წინამორბედთა თუ თანამედროვეთა გავლენისაგან, სულერთია, თანამემამულენი იქ-

ნებიან ისინი თუ სხვანი. გოეთე წერდა: „მე დიდად ვარ დავალებული ბერძნებისაგან, განსაკუთრებით კი შექსპირის, გოლდსმითის და სტერნისაგანო". ახალგაზრდობაში ბალზაკს თავი გალტერ სკოტის მოწაფედ მიაჩნდა. მ. გორკი აცხადებდა, რომ იგი აღიზარდა არა მარტო რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურულ ტრადიციებზე. რომელ ასეთ მაგალითს მიმართოს კაცმა! ამის გარეშე ხომ არც არავითარი ლიტერატურა არსებობს. უველა ჭეშმარიტად დიდი მწერალი გულწრფელად აღიარებს ამას, რაც, ცხადია, არც ერთ მათგანს არ ამცირებს, რადგან ტრადიციებისა და გავლენების მიუხედავად იგი, უწინარეს ყოვლისა, თავისთავადი, ორიგინალური მწერალია, ისეთი შემოქმედი, რომელიც უველაფერს თავის საკუთარ სტილსა და მსოფლგაგებას უმორჩილებს. იგი ერთის მხრივ აგრძელებს მსოფლიო და ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებს, მაგრამ მეორეს მხრივ იმდენად ახალს, განსხვავებულსა და განუმეორებელ ღირებულებებს ქმნის, რაც გამოყენებულ მასალასაც თავისებურ სახეს აძლევს და ამით ახალ ატმოსფეროს, ან მიკროკლიმატს ქმნის ლიტერატურის ისტორიაში. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურული ზეგავლენები ახალგაზრდობის პერიოდში უფრო თვალსაჩინოა, ხოლო შემდეგ თანდათან იკლებს და ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად ქრება. როცა ლერმონტოვმა მურის წიგნი წაიკითხა ბაირონის შესახებ, დაწერა:

Я молод, но кипят на сердце звуки,
И Байрона достигнуть я б хотел:
У нас одна душа, одни и те же муки,
О, если б одинаков был удел!..

შემდეგ კი იგივე ლერმონტოვი ამბობდა:

Нет, я не Байрон, я другой,
Еще неведомый избранник,
Как он гонимый миром странник,
Но только с русскою душой.

ასეა. გავლენები ხელს როდი უშლის მწერალს იყოს ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი; ცხადია, როცა ჭეშმარიტ მწერალთან გვაქვს საქმე და არა ეპიგონებთან. ესეც იგავურად რომ ვთქვათ, რაღაც ჯადოსნურ სარკეს ჰგავს. ჩაიხედავს მწერალი ამგვარ სარკეში და არა მარტო თავის თავს, არამედ სხვებსაც მოჰკრავს თვალს. შეიძლება ზოგს ეს არც ესიამოვნოს, იქნებ გულიც მოიყვანოს, მაგრამ რას იზამს — თვალი რომ დახუჭოს ვერც საკუთარ სახეს დაინახავს. არადა, არ უნდა თავისში სხვასაც ხედავდეს. არც ის, კრიტიკოსებმა რომ მიუთითონ ამაზე. ამიტომაც ღელავს, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ვითომ ემიჯნება უველას. ისინი ვინ არიანო, ჩემთან რა საქმე აქვთო. მე არც ერთ მათგანს არ ვიცნობო და სხვა ასეთი... ერთი სიტყვით მე ვარ და ჩემი ნაბადიო, თუმცა უველა ასე როდი იქცევა. ეს მხოლოდ მცირე გამონაკლისია, რაც უმთავრესად მწერლის უსაფუძვლო ქედმაღლობის ნიშანია, ვიდრე სინამდვილისა, თორემ უფრო ლაღნი და თამამნი „სხვათა საზოგადოებაშიც" მშვენივრად გრძნობენ თავს და ღირსეულადაც გამოიყურებიან, რადგან თვითონაც იმათი „გორისანი" არიან და თანაც ისე ორიგინალურნი, რომ არავის ჩრდილის დაცემისა არ ეშინიათ. ამიტომაც არიან სახელოვან წინამორბედებსა და თანამედროვეთა მიმართ მოკრძალებულნი, მაგრამ არა ქედმოდრეკილნი. მაშინაც კი როცა სხვათა უპირატესობას გრძნობდნენ. ფლობერი წერდა: „რაც დრო გადის, ერწმუნდები თუ რა ძნელია ჩემთვის უბრალო რამეზეც წერა და ცხადად ვხედავ რა უმწეობაა ის, რაც მიღწევად მიმაჩნდა. საბედნიეროდ, ამასთანავე ერთად იზრდება ჩემი აღტაცება დიდი ოსტატების მიმართ. მათთან შედარება სასოწარკვეთას კი არ მგვრის, პირიქით კიდევ უფრო აძლიერებს წერის დაუოკებელ სურვილს".

ეს ჭეშმარიტი შემოქმედის აღსარებაა. ამის მსგავსი რამ კი ბევრია. ამიტომ ზედმეტია კიდევ იმის მაგალითების მოტანა, თუ (ცხადია, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა) დიდების რა შარავანდედით მოსავდნენ სხვათა შემოქმედებას თავადაც დიდების შარავანდედით მოსილი მწერლები. ჭეშმარიტმა შემოქმედებმა იციან როგორც საკუთარი ღვაწლის, ისე სხვისი დაფასებაც, ჰორაციუსის exegi monumentum-ის შემდეგ პუშკინმაც თქვა ხელთუქმნელი ძეგლი ავიგეო. გოეთე ამბობდა, ბუნებამ თავისი შესაძლებლობა ჩემში ამოსწურაო. ტოლსტოის თავი დმერთკაცად მიაჩნდა. ილია წერდა, მე ცა მნიშნავს და ერი მზრდისო. ვაჟასაც უთქვამს, მადლი მფენია ხვთისაგანო, და ბოლოს ...ცაში მაშხალავით ასროლილი სიტყვები:

როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი...

უოველივე ეს სრულიად ბუნებრივად ჟღერს, რადგან თუ პოეტურ ჰიპერბოლასაც გავითვალისწინებთ, ეს მართლაც ასეა. აქ არც არავითარი ეგოცენტრული ქედმაღლობაა, რადგან უოველი მათგანი აღიარებს, რომ სხვებსაც მიუძღვით წილი მათ ამგვარ „ღმერთკაცობაში". ის კი არა, თვით ვაიმარელი ზევს-ოლიმპიელიც ისე მოკრძალებული იყო ასეთ შემთხვევაში, რომ ამბობდა ახალი მე არაფერი მითქვამს, უველაფერი რაც შემიქმნია, ეკუთვნის კოლექტივს, რომლის სახელია გოეთეო. ასეთი მწერლები „სხვათა საზოგადოებაში" თავს უხერხულად არ გრძნობენ, რადგან იციან, რომ მათთან ერთად წარმოადგენენ მსოფლიო ლიტერატურის დიდებულ თანავარსკვლავედს.

იგივე უნდა ითქვას ლიტერატურულ მსგავსებებზე. ერთნაირი სოციალ-ისტორიული გა-

რემო. ერთნაირი საზოგადოებრივი პოზიცია და მისწრაფება, ბუნებრივად იწვევს სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებთა მსგავსებას, თუნდაც სრულ ურთიერთუცნობობის პირობებშიც. მე უკვე არაფერს ვამბობ ლიტერატურული ადაპტაციის მეთოდზე, რაც ასე გავრცელებულია როგორც ძველ, ისე თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში. არც ამის აღნიშვნა შეურაცხყოფს ვინმეს, რადგან საყოველთაო აზრით აბსოლუტური შემოქმედებითი თავისუფლება მითია. ან. ფრანსი პირდაპირ წერს, რომ ყოველი მწერალი უფრო მეტს სესხულობს, ვიდრე ქმნის. შეიძლება ეს გადაჭარბებული იყოს, მაგრამ რაღაც ჰეშმარიტების შემცველი მაინც არის. თავის დროზე კარლო გოცი ამტკიცებდა მსოფლიო დრამატურგიაში დღემდე სულ 33 ორიგინალური დრამატული სიტუაციაა შექმნილიო. ჟერარ ნერვალმა შემდეგ ეს რიცხვი 24-მდე დაიყვანა. ცნობილია, რა თავისუფლად იყენებდა შექსპირი ძველ თუ თანამედროვე „მწერალთა ლიტერატურულ საკუთრებას“. გოეთე უყვებოდა ეკერმანს, თუ რა სიამოვნებით „მოიპარა“ მან სხვისი ლექსი „ფაუსტისათვის“ და დასძინა: რა მექნა, როცა ვიცოდი, რომ მე ამას უკეთ ვერ დავწერდიო. ასე იყო შემდეგაც. დღესაც ხომ ასეა. ამისთვის თუნდაც თომას მანი გავიხსენოთ, ან თომას ელიოტი. ისეთი მწერლებიც არიან რომელთა ნაწარმოებნი ლიტერატურულ მოზაიკას ჰგავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მაინც მათი მოზაიკაა, მათი სისხლი და ხორცი. ამიტომ სრულიად უადგილოა ამგვარ შემთხვევებისადმი ირონიული დამოკიდებულება. არც რამე საგანგებო ხაზგასმა სჭირდება იმას, რაც თავისთავადაც ცხადია და თვალსაჩინო. მ. გორკი წერდა: „მე არ ვეძებდი მსგავსებას უცხოელ და რუს მწერლებს შორის, არა. მე ვეძებდი განსხვავებას და ვპოულობდი მსგავსებას“. ასეთ რამეს გორკი მარტო სხვებზე კი არ ამბობდა, არამედ თავის გმირებზედაც. ასე მაგალითად, კლიმ სამგინის შესახებ იგი წერს: „მე მას ვაკავშირებ ევროპის მწერლების გმირებთან ჟულიენ სორელიდან დაწყებული გოეთეს ვერთერით გაგრძელებული — ა. დე მიუსეს „საუკუნის შვილთან“, ბურჟეს „მოწაფესთან“, სენკევიჩის რომანის „დოგმატების გარეშეს“ გმირებთან“.

კიდევ კარგი, რომ თვითონ გორკი ამბობს ამას, თორემ ეს რომ რომელიმე ლიტერატურათმცოდნეს ან კრიტიკოსს ეთქვა — მკრეხელობად ჩაეთვლებოდა. რატომ? განა გორკი ოდნავ მაინც ამცირებს თავის ნაწარმოებს, როცა ასეთ მსგავსებებზე წერს? რა თქმა უნდა, არა. ეს საერთოდ ასეა და ქართული ლიტერატურა რა გამონაკლისი უნდა იყოს, რომ ასე თავგამოდებით ვებრძვით ლიტერატურული გავლენებისა და მსგავსების ყოველგვარი ფაქტის აღნიშვნას. უწინ ვიტყოდით, ბაირონი და ბარათაშვილიო და ეს არც არავის ეხამუშებოდა. შემდეგ კი ასეთი რამ შეცდომად ჩაგვთვალეს. ლიტერატურისმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა თორემ თვითონ მწერლები ამ საკითხში უმთავრესად ისევე პირდაპირი და მოურიდებელნი არიან, როგორც ეს მაქსიმ გორკის მაგალითზე ვნახეთ. ავიღოთ თუნდაც ჩვენი პატივცემული მწერლის დემნა შენგელაიას მეტად საინტერესო მსჯელობა მისი გმირის, ბათა ქექიას შესახებ. რომანის ბოლოსიტყვაობაში იგი წერს: „მეხვეწება ვთქვა, რომ ის დიდი ჩამომავლობისაა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ის მართლაც სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი ფალსტაფისა და გარგანტუასი, სანჩო პანსასი და ლეპრე გუძაკისა, კოლა ბრუნიონისა და ლუარსაბ თათქარიძისა. მას არ უნდა ლიტერატურული ნათესაობა შეწუვიტოს არც „კალმასობის“ მთავარ გმირთან და არც ნაცარქექიასთან“.

ჰეშმარიტი ბრძანებაა! მერე და ეს „დიდი ჩამომავლობა“ ოდნავ მაინც ამცირებს ამ მეტად საინტერესო ნაწარმოების ორიგინალურ ღირებულებას ან ეროვნულ სულიხკვეთებას? თუ პირიქით, დიდ საერთაშორისო მოვალეობასაც აკისრებს მას და მსოფლიო ლიტერატურის ფართო ასპარეზზე გაჰყავს. მე მგონი ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოების გმირი ასეთივე „დიდი ჩამომავლობისაა“. ე. წ. „მსოფლიო ტიპებიც“ ამგვარი კატეგორიის მოვლენებია. როცა ილია ჭავჭავაძე „მსოფლიო ტიპებზე“ წერდა, კერძოდ რუსთაველის გმირებს გულისხმობდა, მაგრამ „მსოფლიო ტიპების“ შექმნა ხომ რუსთაველის პოემით არ დასრულებულა! ამის შემდეგაც ბევრი ისეთი ტიპი შექმნილა, რომელნიც შეიძლება თავიანთი მასშტაბებით ვერ შეედრებოდნენ რუსთაველის გმირებს, მაგრამ მათი „გორისანი“ კი არიან. დრო და დრო ამას ჩვენი თანამედროვე ქართველი მწერლებიც აღნიშნავდნენ თავიანთი კოლეგების შესახებ. ასე მაგალითად, ა. ბელიაშვილი წერდა: „მიხეილ ჯავახიშვილმა მთელი გალერეა შექმნა განზოგადებული სახეებისა. მსოფლიო ლიტერატურაში თქვენ იშვიათად დაასახელებთ მწერალს, რომელსაც ერთზე ან ორზე მეტი ასეთი განზოგადებული სოციალური ტიპი შეექმნას, ტიპი აღტურვილი საერთაშორისო, უველასათვის გასაგები დამახასიათებელი თვისებებით. შექსპირის ფალსტაფი, ბალზაკის გობსეკი, გოგოლის პლიუშკინი, — ის ნათლად გამოკვეთილი ხასიათები არიან რომელთა მსგავსებს თქვენ უველა დროში და უველა ერში შეხვდებით. ასეთივე ზოგადი სახეებია ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ჯაყო, კვაჭი და დამპატიჟე“.[1]

განა იგივე არ ითქმის პ. კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერზე, ს. კლდიაშვილის ლახუნდარელზე და მრავალ სხვაზე, რომელთა ჩამოთვლა შორს

1 „მნათობი“, 1961 წ. № 12. გვ. 115.

წაგვიყვანდა. ნ. დუმბაძის მიერ დახატული გურული ბიჭები თავიანთ თანამემამულეებად მიაჩნია ყველა ხალხს, ვინც კი მათ გაეცნო. ისიც სასიამოვნოა, რომ სერგო ზაქარიაძის გიორგი მახარაშვილი ისე შინაურულად დაიბოტებს ჩვენი პლანეტის ყველა მერიდიანზე, გეგონებათ თელავსა და გურჯაანს შორის მოგზაურობსო. მსოფლიოს რამდენ მწერალს უცდია შეექმნა შემოქმედი ხელოვანის ორიგინალური სახე, — კ. გამსახურდიას კონსტანტინე არსაკიძე ერთი უპირველესთაგანია მათ შორის. ჩვენი საუკუნის ქართველი პოეტების ლექსები, რომელიც გნებავთ იმ ქვეყნის პოეზიის დონეზე დგას. ან თუნდაც ქართული მოთხრობები და ნოველები აიღეთ. ევროპის ქვეყნების და ამერიკაში ყოველწლიურად გამოდის საუკეთესო ნოველებისა და მოთხრობების კრებულები. ყოველ წელიწადს თუ არა, 3-5 წელიწადში მაინც ჩვენც უნდა გამოვცეთ ამგვარი წიგნები ჟანრების მიხედვით. ეს უფრო თვალნათლივ დაგვანახვებს ჩვენს მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, თუ, რა თქმა უნდა, „ოქროს ფონდის" შერჩევის დროს საჭირო პრინციპულობასა და გემოვნებას გამოვიჩენთ. ცხადია, ყველა ერთნაირი მხატვრული დონისა არ იქნება, მაგრამ ეს არაფერია. საერთოდაა ასე: ლიტერატურის ისტორიის მრავალ შენაკადიან მდინარეს დიდი მორებიც მოაქვს, ნაშუალო ზომისაც და პატარებიც, ნაფოტებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ ყველა მათგანი ამ დიდ დინებას მოჰყვება. მართალია, ნაფოტებსა და პატარა მორებს დროთა ტალღები ჩქარა გამორიყავენ ნაპირზე, სხვები კი გარკვეულ მანძილს გაივლიან, ზოგი მეტს ზოგი ნაკლებს, ხოლო უფრო გამძლენი მათ შორის „მსოფლიო ლიტერატურის ოკეანესაც მიაღწევენ, სადაც თავიანთ კუთვნილ ადგილს მოიპოვებენ, თუ, რა თქმა უნდა, დროსა და სივრცის ძნელ გამოცდას გაუძლებენ.

„დიდი მორებიო" რომ ვამბობ, უსათუოდ გენიოს მწერლებსა და მათ უკვდავ ნაწარმოებებს როდი ვგულისხმობ. არა. ეს შეიძლება ამა თუ იმ მწერლის ესა თუ ის ნაწარმოები იყოს, სულერთია დიდი მოცულობისა იქნება ის თუ მცირესი, თუნდაც ერთი პატარა ლექსი, ოღონდ ისეთი მხატვრული ძალისა, რომ გაუძლოს დროს, რომელიც ისევე გამოსცდის მას „ვითა ცხენსა შარაგრძელი"... ნაწარმოები, რომელიც ასეთ გამოცდას ვერ უძლებს, ეროვნული ლიტერატურის საკუთრებად კი რჩება, მაგრამ სადღაც თანდათან მაინც ეთიშება დიდ „ლიტერატურულ მარულას". „შარა გრძელს" კი ისეთები განაგრძობენ, რომელნიც არა მარტო ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ, არამედ თავისი შემეცნებითი და მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით დღესაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მკითხველ საზოგადოებაზე. გერმანელებმა, რომელთაც XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო ლიტერატურის, ფილოსოფიის, მუსიკის და მხატვრობის ჯოხიფეები ჰყავდათ, საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურულ ასპარეზზე ისე ჩამოიკაკეს, რომ თავიანთი კულტურის საუკეთესო მოღვაწეებს „შინაური გენიოსები" (Heimatsgenie) უწოდეს.

სხვაგანაც ასე ხდება. განა ყველა ქვეყანასა და ყველა დროში არიან მსოფლიო მასშტაბის მოღვაწეები! ამიტომ არც „შინაური გენიოსები" იმსახურებენ ირონიას. მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს არა მარტო კორიფეები ქმნიან, არამედ ეროვნულ ლიტერატურათა საერთო მიღწევები. ყველა მწერალს თავისი წილი შეაქვს ამ საგანძურში, იმის მიუხედავად ხვდება მისი სახელი „მსოფლიო ლიტერატურის" ფურცლებზე თუ არა. ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა ვალდებულია ისტორიულის თვალსაზრისით შეხედოს ამ საკითხებს და ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. თავისთავად ეს არ მოხდება. არც სხვა ვინმე გააკეთებს ამას ჩვენს მაგივრად. „მსოფლიო ლიტერატურის" მემატიანენი მოსაწვევ ბარათებს არ არიგებენ. ჩვენი უნდა ჩვენვე გამოვაჩინოთ და წარვადგინოთ მსოფლიო ლიტერატურის სამსჯავროზე. იქ კი დროა უდიდესი მსაჯული. ჟამთა ვითარება ერთ სახელს წაშლის და მეორეს დასწერს, მაგრამ ყოველგვარი ძალა უძლური აღმოჩნდება იმათ მიმართ, ვინც მარადიულ ღირებულებას ქმნის და ამით ადასტურებს თავის უკვდავებას.

VI

თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა იღლება იმის უფლებასა და საფუძველს ვიფიქროთ, რომ მსოფლიო ლიტერატურის ამ დიდ სამსჯავროს წინაშე, სხვა ერებთან ერთად, ისიც ღირსეულად წარსდგება, თანაც არა მხოლოდ თავისი განვითარების რომელიმე ეტაპით, არამედ იმ თავიდან ამ თავამდე, როცა ლიტერატურის განვითარების საშუალება არსებობდა ჩვენში. იგი თავის საწყის პერიოდშივე არა მარტო ქრისტიანული სამყაროს ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში დგას, არამედ თავისი განსაკუთრებული ადგილიც უჭირავს მასში. „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, დაწყებული მე-4-5 საუკუნეებიდან ვიდრე რუსთაველის ეპოქამდე, ე. ი. მე-12-13 საუკუნეებამდე, წარმოადგენს თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს ქართულ ლიტერატურას საშუალ-საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა ციკლიდან. პირველი და ძირითადი თავისებურება ის არის, რომ საქართველოში ბრწყინვალე განვითარება მიიღო წმინდა საერო

მხატვრულმა მწერლობამ. როგორც ცნობილია, საქართველოს უახლეს მეზობლებს, ბიზანტიის წრისა და წინა აზიის ქრისტიანული მსოფლიოს ხალხებს, ბერძენ-ბიზანტიელებს, სირიელებსა და სხვებს, არ მოეპოვებოდათ საშუალ-საუკუნეთა განმავლობაში საერო სიტყვაკაზმული ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომლის შედარებაც შეიძლებოდეს ქართულთან. ქართული მწერლობა ამ მხრივ წარმოადგენს უველაზე შესანიშნავსა და უველაზე მნიშვნელოვანს მოვლენას საშუალ-საუკუნეების ქრისტიანულ ლიტერატურათა შორის". 1

სწორედ ეს არის ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვის ერთი უმთავრესი მოდუსთაგანი. შემდგომი პერიოდების მიმართაც ასე უნდა გაგრძელდეს, ცხადია, მეტ-ნაკლები მასშტაბურობითა და პათოსით, როგორც ამას ჩვენი ლიტერატურის განვითარების დონე გვიკარნახებს. ეს სადღეისო ამოცანაა. ძველად ამას არცთუ ისე დიდი უურადღება ექცეოდა. ახლა კი უველა აღიარებს, რომ „სხვაგვარად შეუძლებელია". უწინ მწერლის გავლენის სფერო ასე თუ ისე მაინც შეზღუდული იყო. ანტიკური ლიტერატურის რამდენი ხელნაწერი უნდა უოფილიყო, რომ ის „ფართო საზოგადოებას" გაეცნო. თუნდაც შემდეგში, ვიდრე წიგნის ბეჭდვა დაიწუებოდა. XIX-XX საუკუნემდე ლიტერატურას არც ჰქონია ფართო ასპარეზი. ამაზე რომ წერენ, რონსარის მაგალითი მოჰყავთ. მაშინ ე. წ. „მსოფლიო ლიტერატურა" არ არსებობდა და მისი გავლენის სფერო დასავლეთ და სამხრეთ ევროპით შემოიფარგლებოდა, ახლა კი მის შემოქმედებას მთელი მსოფლიო იცნობსო. თუმცა რონსარის მაგალითი რად გვინდა, რუსთაველიც ასე არ არის? საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი ზეპირად სწავლობდა „ვეფხისტყაოსანს". საქართველოს იქით კი მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები იყო მის შესახებ, ან სრულიად ყრუ კედელი. დღეს კი რუსთაველის სახელი მთელს მსოფლიოს ეფინება.

ასეა საერთოდ. მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა წიგნები ჩვენი პლანეტის თითქმის უველა ხალხთა ენებზე ითარგმნება და მილიონობით ეგზემპლარი ვრცელდება. მიუხედავად ამისა, ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, რადგან იგი ამა თუ იმ მწერლისა და მისი ნაწარმოებების საერთაშორისო რეზონანსს ეხება; მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე კი ჩვენი დროის ადამიანის და, მაშასადამე, თანამედროვე ლიტერატურული გმირების გლობალური ხასიათია. არცთუ ისე შორეულ წარსულში ადამიანის ფიქრებისა და მოქმედების სფერო გეოგრაფიულადაც შეზღუდული იყო. დღევანდელი უსწრაფესი კომუნიკაციებისა და ინფორმაციის გაუგონარი მასშტაბების პირობებში კი ადამიანის ცნება არა მარტო პლანეტარულ, არამედ კოსმოსურ მასშტაბებს იღებს. მ. გორკის აქვს გამოთქმა: „Человек человечества" ეს საკითხის სწორედ ამ მხარეს გამოხატავს. მეტიც. ჯემს ჯოისის გმირი სტეფან დედალუსი გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე თავის მისამართს ასე აწერს:

სტეფან დედალუსი
დაწუებითი სკოლა
გლონგოუს სატყეო სასწავლებელი
სალინსი
ოლდარის საგრაფო
ირლანდია
ევროპა
სამყარო
უნივერსუმი.

თანამედროვე გაგებით უოველი ადამიანი ამგვარი უნივერსუმის ნაწილია, როგორც მდგომარეობით, ისე აზროვნებითაც, მისი ინტერესებისა და ფიქრების სფეროც უსაზღვროა. ალბათ ამისთვის შექმნა იმავე ჯოისმა ნეოლოგიზმი: „mirriadminded" (ქართულად ეს სიტყვა შეიძლება ასეთი წინადადებით ვთარგმნოთ: „ადამიანი, რომელსაც თავში მირიადი აზრებისა უტრიალებს"). თანამედროვე ადამიანის ერთი დღის ცხოვრება მართლაც გიგანტურ მოზაიკას ქმნის, რაც სამყაროს ტოტალური ხედვისა და დროის სიმულტანურ ერთდროულობაში აღქმის შედეგია. საერთაშორისო მასშტაბის ლიტერატურის გმირები, ან როგორც ილია და ვაჟა ამბობდნენ „მსოფლიო ტიპებიც" ასე არიან შექმნილნი. მიუხედავად თავიანთი უაღრესად ეროვნული ხასიათისა, ისინი, იმავე დროს „კაცობრიობის ღერძთანაც" არიან დაკავშირებული ამიტომაა, რომ სამყაროსა და კაცობრიობის ცნება დღეს უოველი დიდი მწერლის „პირადი საკითხია". მხოლოდ ის არის, რომ ზოგი თავის ადგილს ეძებს ამ ვრცელ სამყაროში, ზოგიც სამყაროს თავის თავში. ასეა თუ ისე, მათ შემოქმედებაში მაინც უველა დროის ცხოვრების გამოცდილებათა უზარმაზარი ფრესკაა გამოხატული, რაც წარსულისა და მომავლის რეალურ არსებობას გულისხმობს აწმყოში, როგორც „სიმულტანურ ერთში". პიროვნება სამყაროს შეკუმშული (Zusammengeballte) ერთიანობაა. იგი გამოსახავს სამყაროს და სამყარო გამოისახება მასში. ჯერ კიდევ გოეთე წერდა, რომ ადამიანი „თავის შინაგანი მეობიდან ამოსული, მთელ მსოფლიოს უნდა მიმართავდეს". თუ გოეთეს დროს გრძნობდნენ ამის აუცილებლობას, მით უმეტეს დღეს, რ.ცა ე. ჰემინგუეის თქმით, „ადამიანს არ შეუძლია ცალკე კუნძული იყოს, რადგან ეს კუნძული მატერიკთანაა და-

1 შოთა რუსთაველი, „ვეფხის ტყაოსანი", სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937, გვ. IV.

კავშირებული, მატერიკი კი მთელი ქვეყნიერებაა". ეს კი არა მარტო ნაწარმოებთა გმირების მოქმედებისა და აზროვნების დიაპაზონში გამოისახება, არამედ ლიტერატურულსახეობრივ კომპლექსშიც. ვაჟას „გამჭვარტლულ ქოხში" რომ უცხო რამ ასული შემოვიდა, იგი „მთელი პლანეტის მშვენიერებას" გამოხატავდა. ვაჟა თავის ეთერის შესახებაც ასე წერს:

თვალებში ჩაჰქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანადა,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
თავის ხატ-ღმერთიანადა.

ამისი სხვაც მრავალი მაგალითია როგორც ჩვენს, ისე უცხოურ მწერლობაში. ამიტომაც ვამბობთ, რომ „კაცობრიობის ადამიანის" ამგვარი გლობალური წარმოდგენის აუცილებლობაა, რაც „მსოფლიო ლიტერატურის" დღევანდელ პრობლემებს ასე აქტუალურს ხდის. ეს კი მარტო თანამედროვე ლიტერატურას როდი ეხება. ლიტერატურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ხასიათის გაფართოების გამო „ძველთა-ძველი ნაწარმოებიც ხელახლა განიცდება იმის გამო, რომ მთელი კაცობრიობის საკუთრება ხდება". ეროვნული ლიტერატურაც საერთო საკაცობრიო ღირებულებად იქცევა. ეს საამაყო საქმეცაა და მძიმე მოვალეობაც. იგი გვავალდებულებს მეტი ყურადღება მივაქციოთ ქართული მწერლობის მთელი ისტორიის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში შესწავლის საქმეს. ეს, როგორც აღვნიშნე, უფრო XIX-XX საუკუნის ლიტერატურას ეხება და ამ დარგის სპეციალისტების კომპეტენციის საქმეა. თუ მოინდომებენ ისინი უკეთ გაარკვევენ რა მდგომარეობაც გვაქვს ამ მხრივ. ალბათ წარმატებებიც საკმაოდ იქნება და ნაკლიც. ყოველივე ამას ხელახლა უნდა გადახედვა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე დონეზე განხილვა, რაც უფრო ნათლად გამოაჩენს თუ ვის რა წვლილი შეაქვს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ეს არც ისე ადვილი საქმეა, რადგან აქ ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევაცაა საჭირო. ზოგს ძველი უკვე დრომოჭმული თვალთახედვა გვამძიმებს, ზოგიც გაუბედავად ან გულგრილად ვუყურებთ ამ საკითხს. საჭიროება კი კარს მოგვადგა და თავის მოთხოვნილებებს გვიყენებს. მართალია, ერთბაშად ამ საქმეს არ მოევლება, მაგრამ როდისმე ხომ უნდა დავიწყოთ. ამისთვის, როგორც მოგახსენეთ, ჯერ ცალკე ასპექტების შესწავლაა საჭირო. აი, თუნდაც ქართული და ე. წ. „ევროპული ლიტერატურის" ურთიერთობის საკითხი ავიღოთ. განა აქ ყველაფერი გარკვეულია? ჩვენი ქვეყანა ევროპისა (დასავლეთის) და აზიის (აღმოსავლეთის) მიჯნაზე იმყოფება. გეოგრაფიულად ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ კულტურულ-ისტორიულად? აქ, მე მგონი, ჯერაც ბევრი რამაა თეთრი პუნქტირებით აღნიშნული, არა მარტო უცხოელთათვის, არამედ ჩვენთვისაც. განა სადავოა, რომ მეტი სიცხადე უნდა შევიტანოთ საკითხში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი"? თუ აკად. შ. ნუცუბიძე წერდა ამის შესახებ, მას ხომ რუსთაველი არასოდეს არ გამოუთიშავს დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროსაგან და ნ. კონრადის მსგავსად არ მოუთავსებია აღმოსავლურ-მუსლიმანურ ორბიტაში. არც ჩვენი XIX-XX საუკუნის ლიტერატურა წარმოიდგინება კოპტურთან თუ ეთიოპურთან კავშირ-ურთიერთობაში. ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ამგვარი შეცდომების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ჩვენი ლიტერატურათმცოდნენი მაინც ერიდებიან პირდაპირ თქმას, რომ ძველი თუ არა (თუმცა რატომაც არა?), ყოველ შემთხვევაში, ახალი და უახლესი ქართული, ისევე, როგორც რუსული ლიტერატურა, ევროპული ლიტერატურაა, როგორც გეოგრაფიულად ისე თავისი ხასიათითაც. ბევრისთვის კი სიტყვა „ევროპული" აუცილებლად „უცხოურს" ნიშნავს. ამიტომ ვიწც ქართულ ლიტერატურას ევროპული ლიტერატურის კონტექსტში განიხილავს, ჰგონიათ რაღაც შეცდომას უშვებს. რატომ? ისევ ვაჟას გამოთქმა რომ ვიხმაროთ ევროპაც ხომ ისეთივე „რჯულ-საქრისტიანოა", როგორც საქართველო და არა „სათათრეთი". ქართული მწერლობა ევროპული მწერლობაა და ასეც შედის მსოფლიო ლიტერატურის ორბიტაში. ეს არც მის ეროვნულ ხასიათს გამორიცხავს, არც აღმოსავლური ლიტერატურის გავლენებს და არც იმ წინააღმდეგობებს, რითაც ხასიათდება მთელი მსოფლიო ლიტერატურა. ამიტომ თუ კ. აბაშიძე ქართულ ლიტერატურას „ევროპულთან" აკავშირებდა, აქ არაბუნებრივი არაფერია. რამდენადაც ვიცი, ამით კ. აბაშიძეს არც ერთი ჩვენი კლასიკოსი არ გამოუცხადებია ვინმეს ბრმა მიმდევრად. მან კარგად იცოდა, რომ ქართული ლიტერატურა სწორედ თავისი თავისებურებებით გამოხატავს როგორც ევროპულ, ისე მსოფლიო ლიტერატურის ნიშან-თვისებებს. ამით იგი ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა ხაზს აგრძელებდა კრიტიკის დარგში. მართალია, შეცდომებსაც უშვებდა, მაგრამ მისი დამსახურება ამ მხრივ მაინც უდავოა. შეცდომებს გასწორება უნდა, იმ ხაზს კი გაგრძელება და ახალ-ახალი დასკვნებით განვიდრება, რადგან ეს პრობლემები ახლა უფრო აქტუალურიცაა და ფართო მასშტაბისაც. ამისთვის ჩვენი ლიტერატურულ-მეცნიერული და კრიტიკული ძალების შეკავშირებაა საჭირო.

მე უკვე არაფერს ვამბობ ისეთ მონათესავე დარგების მეცნიერებაზე, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, ხელოვნების ის-

ტორია, მუსიკათმცოდნეობა და სხვა, რომელნიც დღეს-დღეობით თითქმის მთლიანად მოწყვეტილნი არიან ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. ეს მით უფრო დასანანია, რომ სწორედ ეს პრობლემები მოითხოვენ კომპლექსურ შესწავლას. ადრე ქართველი ფილოსოფოსები აქტიურად ერეოდნენ ლიტერატურის საკითხებში, ახლა ეს თითქმის ნულამდეა დაყვანილი. ამ რამდენიმე წლის წინ ტელევიზიაში გამოვიდნენ ფსიქოლოგები და ერთმანეთს გაოცებით ეკითხებოდნენ, სად დაგვეკარგა მეცნიერების ისეთი დარგი როგორიც შემოქმედებითი ფსიქოლოგიაა. ეს თქვეს, ის თქვეს, ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთო, მავრამ, საქმეში ხართ!... არაფერი! ისევ დავიწუებას მიეცა ყველაფერი. ხოლო თუ რა ფასდაუდებელი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ფილოსოფოსებმა და ფსიქოლოგებმა ლიტერატურული პროცესების შესწავლის საქმეში ამას ადასტურებს თუნდაც პროფ. დ. ი. რამიშვილის ამ ათი წლის წინ გამოცემული და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნი „მეტყველების სხვადასხვა სახეთა ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ“ და პროფ. ა. თ. ბეგიაშვილის რუსულ ენაზე (თითქოს ქართულად განებივრებული ვიყოთ ასეთი წიგნებით) ახლახან გამოცემული შრომა: „философия и поэзия“.

დღეს მეცნიერების სხვადასხვა დარგების უახლესი მიღწევების გათვალისწინების გარეშე ღრმად და საფუძვლიანად ვერც ლიტერატურული პრობლემებში გავერკვევით. თუმცა რაღა ახე ფართოდ ვწლით ხელებს. როცა თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, ესთეტიკის სპეციალისტებიც განზე დგანან ჩვენი სადღეისო ლიტერატურული პრობლემებისაგან, თითქოს ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ხალხის ესთეტიკური აღზრდაც არ წარმოადგენდეს. შეიძლება ვაჭარბებდე, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკა ჩვენში რაღაც კარჩაკეტილობის სნეულებამ შეიპყრო. იგი საგრძნობლად მოსწყდა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის კრიტიკულ აზროვნებას, რაც ისევ იმ კარჩაკეტილობის შედეგია. სხვა საკითხებს რომ თავი ვანებოთ, ეს სათარგმნი ლიტერატურის შერჩევასაც ეხება. ჩვენ დღეს ვერ წამოგვიდგენია ლიტერატურული ცხოვრება მსოფლიოს საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთა თარგმნისა და შესწავლის გარეშე. კრიტიკა? განა აქაც ისეთივე მდგომარეობა არ უნდა იყოს? რა თქმა უნდა, მაგრამ რომ არ არის? მას შემდეგ რაც, კარგა ხნის წინათ ბ. ბელინსკის კრიტიკული წერილების კრებული გამოიცა, ეს საკითხი სრულ დავიწუებას მიეცა. არ ვიცი, შეიძლება კიდევ იყოს ერთი ორი მსგავსი მაგალითი, მაგრამ საქმეს ეს უშველის? ღმერთო ჩემო, რა არ ითარგმნება და იბეჭდება ჩვენთან — აუცილებელიც, საჭიროც, ნაკლებ საჭიროც და... არ მინდა ვთქვა სრულიად უსარგებლოც მეთქი. ალბათ, ყოველი წიგნის თარგმნას, მათ შორის „მონადირის ბიბლიოთეკასაც“ მოეძებნება გამართლება, მაგრამ ნუთუ ყოველივე ამაზე ნაკლებ საჭიროა დრო და დრო მაინც რომ ვთარგმნოთ და გამოვცეთ მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილ ოსტატთა კრიტიკული წერილებიც? განა იმის საშუალება არ უნდა გვქონდეს, რომ გავეცნოთ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის საუკეთესო ნიმუშებს? უამისოდ როგორ უნდა აღიზარდონ მეცნიერების დღევანდელი დონის ახალგაზრდა ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოსთა ისეთი კადრები, რომელნიც თამამად მოჰკიდებენ ხელს ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების შესწავლას მსოფლიო ლიტერატურის „ერთიანი დიალექტიკური განვითარების კონტექსტში?“ თუმცა წიგნებსა და კრებულებს ვინღა ჩივის, როცა ლიტერატურული ჟურნალგაზეთები და ალმანახებიც სრულ უმოქმედობას იჩენენ ამ მხრივ, თითქოს მათ მოვალეობას არ შეადგენდეს მსოფლიო ლიტერატურის ყველა ჟანრის საუკეთესო ნიმუშების გაცნობასთან ერთად კრიტიკის ჟანრსაც მიაქციონ სათანადო ყურადღება. ეროვნული კარჩაკეტილობა სომ ამ სფეროშიც მოუთმენელია. მიუხედავად ამისა, ვინმეს თუ გაგიგონიათ რომელიმე ჟურნალს ან ალმანახს დაებეჭდოს საუკეთესო კრიტიკული წერილების თარგმანები, ან მიმოხილვის სახით მაინც ეცნობებინოს, მკითხველთათვის თუ რა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საზღვარგარეთის კრიტიკული აზროვნების სფეროში.

მონდომება იყოს თორემ ეს არც ისე ძნელად მოსაგვარებელი საქმეა, თუ რედაქციები მხოლოდ თვითდინებით შემოსულ მასალებს კი არ დაეყრდნობიან, არამედ თვითონ შეადგენენ აუცილებლად საჭირო ორიგინალური კრიტიკული წერილების და თარგმანების პერსპექტიულ გეგმებს, რაც უზრუნველყოფს კრიტიკის მიზანდასახულ განვითარებას. თანაც ამ საქმეში ჩააბამს კვალიფიციური სპეციალისტების უფრო ფართო წრეს, თორემ ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ფრონტის მოწინავე პოზიციებზე სულ რამდენიმე კაცი დგას. დანარჩენები? ცხადია, ისინიც სასარგებლო საქმეს აკეთებენ, მუშაობენ, თავისთვის, აქვეყნებენ შრომებს, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკის კარდინალური საკითხები მაინც გადაუჭრელი რჩება.

მე მგონი, ამის მიზეზიც კულტურის ფრონტზე მომუშავე თეორიული ძალების ყოვლად გაუმართლებელი დაქსაქსულობაა. ჩვენ სადღაც დავკარგეთ საერთო ინტერესები. იქნებ ვინმემ თქვას, ყველას თავისი საქმე აქვსო, არა! სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება დღეს ყველას საქმეა. ჩემი თაობის

ხალხს ახსოვს ყოველი თეატრალური პრემიერის შემდეგ ტრიბუნაზე რომ ადიოდნენ აკადემიკოსები დიმ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე და სხვები, რომ თავიანთი შთაბეჭდილებები გაეზიარებინათ საზოგადოებისათვის. იმათაც არ აკლდათ „თავიანთი საქმე“, მაგრამ არც ამას ივიწყებდნენ. მე მახსოვს რა გაცხარებული ლიტერატურული დისკუსიები იმართებოდა უნივერსიტეტში. არ იყო არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს მწერლობაში, რასაც ფართოდ არ გამოხმაურებოდა უნივერსიტეტის ლიტერატურული საზოგადოებრივობა. ახლა? გსმენიათ რამე ეს უკანასკნელი **10-15** წელი ასეთი რამ? თუმცა უნივერსიტეტს რას ჩავაცივდით, როცა ფართო საზოგადოებრივ ლიტერატურულ დიუსკუსიებს არც მწერალთა კავშირი მართავს. აქაც ჩაიკეტნენ სექციები თავიანთ ნაჭუჭში და საქმე თუ ვინმეს იუბილეს, ან რამე სადღესასწაულო მოვლენას არ ეხება, თავი ანებეს მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებების დიდ სახალხო ტრიბუნაზე გამოტანას. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ე. წ. „მწერლებისა და მკითხველების შეხვედრის“ საზეიმო განწყობილება აუცილებელი თაიგულებითა და მოსაბეზრებელი ქათინაურებით, შეცვლის საჭარო, პრინციპულ პირუთვნელ დისკუსიებს ჩვენი ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებზე?

რესპუბლიკაში მიმდინარე ახალი პროცესები მოითხოვენ მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ამ საკითხებს. გავარღვიოთ კარჩაკეტილობის კედლები, გავაერთიანოთ ქართული კულტურის თეორიული ძალები, დავსახოთ დიდი, კომპლექსური პრობლემები, რათა დავძლიოთ უკანასკნელ წლებში გამოვლენილი ჩამორჩენა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსების საქმეა. მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის ყველა პირობაა შექმნილი. პარტია ყოველდღიურად გვახსენებს ლიტერატურული კრიტიკის დონის ამაღლების აუცილებლობას. ახლა საქმეა საჭირო. პირველ რიგში კი ამაზე თვითონ ლიტერატურათმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა უნდა იზრუნონ, რათა ბოლო მოუღონ სუფრული საუბრების და სადღეგრძელოების სტილს მხატვრული ნაწარმოებების შეფასების დროს. ყველა ჩვენგანმა მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ გამოთქმული დებულების საბუთიანობას, თორემ ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ჩოგბურთის უმსაჯებოდ თამაშს ჰგავს: ერთი აქედან დაურტყამს, მეორე იქიდან, მერე ისევ აქედან და თუ კრიტიკით განაწყენებულს საშუალება მიეცა, ისევ იქიდან წამოვა დარტყმა და ა. შ.

ხშირად ამგვარი „კრიტიკობანას თამაშის“ დროს პოლემიკის ელემენტარული წესებიც კი ირღვევა, მაგრამ რაკი მსაჯები არ არიან, არც გამკითხავია ვინმე. უწინ ამგვარ პოლემიკას რედაქცია აჯამებდა და მკითხველისათვისაც უფრო გარკვეული იყო ვინ მართალია და ვინ არა. ახლა რატომღაც ასე არ ხდება. ის კი არა, როგორც ჩანს, რედაქციები წინასწარ არც ამოწმებენ რამდენად საბუთიანია გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია. ამიტომაა რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ჯერ „მოწინააღმდეგის“ აზრს დაამახინჯებს, ან სულაც არ არსებულს მიაწერს ავტორს და მერე მოდგება მის მიერვე მოგონილი „შეცდომების“ განჭიქებას.

კრიტიკოსის ამგვარი „მეთოდი“ მეტად მარტივია: თუ ავტორს უწერია, რომ ორჯერ ორი ოთხია, იგი მკითხველს აუწყებს თითქოს იქ ეწეროს ორჯერ ორი ხუთიაო. ამის შემდეგ მოდგება და გამარჯვებულის ტონით ამტკიცებს, ორჯერ ორი ხუთი კი არა, ოთხიაო. აქ ის, ცხადია, მართალია, მაგრამ რატომ არავინ არ ამოწმებს, იმ წიგნის ავტორი მართლაც ისე ბრიყვია, რომ უწერია ორჯერ ორი ხუთიაო? ეს რომ ასე იყოს, კრიტიკული შენიშვნები უფრო სანდო და საფუძვლიანი იქნებოდა, თორემ ახლა ისეა: ვინც პასუხობს, თითქმის ყოველთვის ის ჩანს მართალი. ეს ძლიერ ვნებს კრიტიკის პრესტიჟს, მის ავტორიტეტს და ნამდვილ მეცნიერულ პოლემიკას ხშირად უბრალო ლანძღვით ცვლის. რატომ „ლანძღვითო“ იკითხავს ვინმე. რატომ და... ილია ჭავჭავაძე ბრძანებს: „ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებო“.

სამწუხაროდ, ჩვენში ასეთი რამ ძალიან გახშირდა. ეს კი ხელს უშლის ჯანსაღი პრინციპული და საბუთიანი კრიტიკის განვითარებას. იგი საშუალებას არ იძლევა ნამდვილი ლიტერატურულ პოლემიკისას, უფრომლისოდაც ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება. ვერც ამ სტატიებში დასმულ ამოცანებს გავართმევთ თავს. მეც სწორედ ეს მაწუხებს, თორემ განა არ ვიცი, რომ ჭართული კრიტიკის ავ-კარგზე ლაპარაკი ჩემი საქმე არ არის? მაგრამ თუ რამე მაიძულებს ამ „არამკითხეობას“ მხოლოდ ის, რომ ჭართული, ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის საკითხების გარკვევა დღემდე არსებული ბევრ თვალსაზრისის გადასინჯვას მოითხოვს. ამიტომ რაც უფრო პრინციპული, მეცნიერული და მიუდგომელი იქნება ყოველი ჩვენთაგანის პოზიცია ამ საქმეში, მით უფრო თვალსაჩინო გახდება მრავალსაუკუნოვანი ჭართული მწერლობის ადგილი „ერთიანი მსოფლიო ლიტერატურის დიალექტიკური განვითარების“ პროცესში.

P.S. ამ ორ სტატიას, ბუნებრივად, უნდა მესამე მოჰყვეს, სადაც განხილული იქნება თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჭართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა შრომებში, მაგრამ აქ სიტყვა უკვე ამ დარგის სპეციალისტებს ეკუთვნით, თუკი, რა თქმა, უნდა, რომელიმე მათგანი მოისურვებს ამის გაკეთებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკა ძიძიგური

ფურცლები ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან

ოციანი წლების მარქსისტულ ლიტერატურულ კრიტიკაში შემოღებულ იქნა ტერმინი „თანამგზავრები“. ლიტერატურული თანამგზავრები ეწოდებოდა იმ მწერლებს, რომლებიც თანაუგრძნობდნენ და ხელს უწყობდნენ სოციალისტური რევოლუციის იდეებს, მაგრამ არაიშვიათად იდგნენ პროლეტარული იდეოლოგიის მიღმა. ტერმინი „თანამგზავრები“ იხმარებოდა ტერმინების — „პროლეტარული მწერლების“, „გლეხური მწერლების“ გვერდით; „თანამგზავრებად“ მონათლული იყვნენ რუსეთში სხვადასხვა ლიტერატურული გაერთიანების თუ გაერთიანებათა გარეშე მდგომი მწერლებიც (მაგალითად, ლ. ლეონოვი, ბ. ლავრენიოვი, მ. შაგინიანი, ვ. შიშკოვი და სხვ.); მათ რიცხვს აკუთვნებდნენ ვ. მაიაკოვსკისაც. ე. წ. „ნაპოსტოველური“ კრიტიკის ზოგიერთი წარმომადგენელი (ვ. ერმილოვი, ს. როდოვი და სხვ.) თანამგზავრებს აღიარებდა ეულგარულ-სოციოლოგიური თვალსაზრისით. მეტიც, მაგალითად, როდოვი თანამგზავრებს უწოდებდა „მტრებს“, „რეაქციონერებს“; ასეთი განწყობილება განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა პროლეტარულ მწერალთა საკავშირო კონფერენციაზედაც (1925 წ. იანვარი). გარკვეული ნაწილი კრიტიკოსებისა დადებითად აფასებდა „თანამგზავრობას“, მაგრამ თანმიმდევრული თვალსაზრისი „თანამგზავრული ლიტერატურის“ შესახებ ყოველთვის არ იყო გამომუშავებული.

ჯერ კიდევ 1924 წლის მაისში, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში მოწყობილ თათბირზე დაგმობილ იქნა თანამგზავრების მიმართ ნიჰილისტური და აშკარად მტრული დამოკიდებულება, რომელიც შეიმჩნეოდა „ნაპოსტოველების“ კრიტიკულ წერილებში. მ. ვ. ფრუნზემ სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურული კომისიის სხდომაზე (1925 წ. მარტი) მძაფრად გააკრიტიკა თანამგზავრების შესახებ ჟურნალ „ნა პოსტუს“ ფურცლებზე გამოთქმული შეხედულებები და, ამასთანავე, დაგმო ა. ვორონსკის ოპოზიცია — პროლეტარული ლიტერატურის შეუფასებლობა და ორიენტაციის აღება მხოლოდ თანამგზავრულ ლიტერატურაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სამხატვრო ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ (1925 წ.), სადაც საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი „თანამგზავრების“ საკითხს. აქ აღნიშნულია, რომ „თანამგზავრების“ მიმართ საჭიროა ფრთხილი მოპყრობა, ე. ი. ისეთი მოპყრობა, რაც უზრუნველყოფს ყველა პირობას კომუნისტური იდეოლოგიის მხარეზე მათი გადმოსვლისათვის.

გავეცნოთ ლიტერატურულ „თანამგზავრებს“ საქართველოში და თანმიმდევრულად დავახასიათოთ საბჭოთა მარქსისტულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული შეხედულებები მათ შესახებ.

ამთავითვე საჭიროა ითქვას, რომ ზოგიერთმა მწერალმა თავისებურად გაიგო ამ ცნების („თანამგზავრობა“) შინაარსი; ასე, მაგალითად, პაოლო იაშვილი აცხადებდა: „მე სულ შიში მიპყრობდა, ვაითუ ჩვენც, „ცისფეო ყანწელები“, როგორც ლიტერატურული ჯგუფი, მოგვნათლონ აგრეთვე თანამგზავრებად. საქართველოს სინამდვილეში (მე სულაც არ მინდა ვიქო თავი), — განაგრძობს იაშვილი, —

პროლეტარულ მწერალთა დიდი უმეტესობა არის ჩვენი თანამგზავრი ლიტერატურული გაგებით, რასაკვირველია". პ. იაშვილს სიტყვა „თანამგზავრი" მიაჩნდა „საძაგელ სიტყვად". კრიტიკოსი პ. ჭიქოძე თავის წერილში „საჭიროა ხელოვნებაში პარტიული ხაზი" (1924 წ.)[1] აღნიშნავდა, რომ საქართველოში არ არსებობს პროლეტარული პოეზია ამ ცნების ღრმა გაგებით, იგი „ინტელიგენტ „თანამგზავრთა" პოეზიაა პროლეტარიატის შესახებ" (გვ. 34), „რევოლუციური ხელოვნება" თვით არის ჯერჯერობით თანამგზავრული. აქედან ლოგიკური დასკვნა: დღეს „თანამგზავრებად" მიჩნეული მწერლები გვევლინებიან „თანამგზავრების" „თანამგზავრებად". ავტორი აღნიშნავს, რომ ჟურნალები — „დროშა" და „კავკასიონი" „თანამგზავრთა თანამგზავრების" ორგანოებია. იმავე ჟურნალში („ახალგაზრდა ლენინელი") ვ. ლუარსამიძე აკრიტიკებს თანამგზავრებს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

საგანგებოდ ეხება თანამგზავრობის საკითხს ვ. ბახტაძე 1925 წელს. „როდესაც ვამბობთ „თანამგზავრი", ამ შემთხვევაში იგულისხმება: თანამგზავრი ოქტომბრის რევოლუციის,— ამბობს ბახტაძე, — ეს არიან ის პირები, რომლებიც იღებენ ამ რევოლუციას, მაგრამ სავსებით არ ითქვიფებიან მასში, ყველაფერში არ ეთანხმებიან მის გზას, მის პოლიტიკას". (გვ. 252). აქვე კრიტიკოსი ეკამათება პ. იაშვილს. „თუ კი პ. იაშვილს ჩვენ ვუწოდებთ, ანდა მის ჯგუფს თანამგზავრებს, — განაგრძობს ბახტაძე, — ეს უნდა გავიგოთ არა ისე, რომ პ. იაშვილი... თანამგზავრია... კ. კალაძის, ანდა პ. სამსონიძის, როგორც პოეტების, არამედ მხოლოდ ისე, რომ პ. იაშვილი, ანდა მისი ჯგუფი თანამგზავრია რევოლუციის, კომუნისტური პარტიის მუშაობის". 2. ამრიგად, ვ. ბახტაძის წერილში ნათლად გამოკვეთილია ცნების შინაარსი ჯერ კიდევ 1925 წელს.

ქართველი კრიტიკოსების ნააზრევში თანამგზავრობის პრობლემას ფართო ადგილი აქვს დათმობილი მოკიდებული 1927 წლიდან. აქ წამოყენებული იყო შემდეგი დებულებები:

1. „თანამგზავრობა ერთსახოვან ლიტერატურულ-ორგანიზაციულ მთლიანობაზე არ წარმოიდგინება", იგი წინააღმდეგობით აღსავსე „დიალექტიკაა" ბურჟუაზიულ-ფეოდალური ლიტერატურიდან ახალი ლიტერატურისაკენ (ბ. ბუაჩიძე).

2. პირველი პერიოდის თანამგზავრობას ახასიათებს დეკლარაციულობა და რევოლუციის ზოგად ხაზებში და რომანტიკული იერით მიღება; მათგან მოითხოვენ „საჯაროდ და პირდაპირ" განაცხადონ, რომ „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას თანაუგრძნობენ" (შ. რადიანი); თანამგზავრებს ახასიათებთ „გადმოტებული რომანტიზმი"; „დეკლარაციულად აღიარებენ თანამედროვეობასთან მოსვლას ქართველი ფუტურისტებიც, მაგრამ „ზოგადი ფრაზებით და აბსტრაქტიული მსჯელობით არ შეიძლება თანამედროვეობასთან ორგანული კავშირის დამტკიცება" (ბ. ბუაჩიძე).

3. ქართველ თანამგზავრ მწერლებს ახასიათებთ აგრეთვე მერყეობა. „ფორმალურად თანამგზავრი რევოლუციის მეგობარია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მერყევი ელემენტი, რომელსაც, ერთის მხრივ, იტაცებს არა თუ მარტო რევოლუციის შემოქმედებითი ძალა და მიყვება მას, არამედ ხშირად მის საწინააღმდეგო ნეპმანურ-წვრილბურჟუაზიული მეშჩანობის სტიქია და იდეოლოგია. თანამგზავრობა თავისთავად გულისხმობს გარკვეულ თანამშრომლობას პროლეტარულ საზოგადოებრიობასთან, რევოლუციის ხელმძღვანელ კლასთან და მის ყოველგვარ საქმიანობასთან, მაგრამ მერყეობა არაა საიმედო გარანტია და სიმპტომი თანამშრომლობის... მართალია, რუსეთში გარკვეულია თანამგზავრობის საკითხი, მოხდა დიფერენციაცია ნამდვილი და მერყევი თანამგზავრებისა, მაგრამ საქართველოში ეს ჯერ კიდევ გამოურკვეველია" (ა. სულავა).

4. ქართველი თანამგზავრები შეპყრობილი არიან „გამოუცნობი სევდით", მოწყვეტილი არიან თანამედროვეობის აქტუალურ თემებს. „ნეპის" პირობებში გამომუშავებული „უარყოფითი სულისკვეთება" თანამგზავრებზედაც „მოქმედებს უარყოფითად" და ისინი ეძლევიან სასოწარკვეთილებას. რევოლუციის ტემპის შენელების გარეგნულმა მხარემ თანამგზავრთა მერყევ ფენებში უიმედობა გააბატონა: „პირველი მნიშვნელოვანი თანამგზავრი გ. ტაბიძე, რომელსაც მოეპოვება მთელი რიგი რევოლუციური პოემები, ახლა ლექსის გამოქვეყნებით დაეშვა პესიმიზმისაკენ; ასევე უიმედობა დაეუფლა გვეტაძეს, ჩიქოვანს, ფაშალიშვილს და სხვ." (ბ. ბუაჩიძე). „თანამგზავრული მწერლობის მხატვრული ობიექტების სოციალ-პოლიტიკური შინაარსი დ: ემოციონალური მიზანამოცანები უმთავრესად დეკლასიური ფენების და ე. წ. „ზედმეტი ადამიანების" სოციალურ ოკვეთას უთანაბრდებოდა" (დ. რონდელი).

5. ქართველ თანამგზავრ მწერლებში ჯერჯერობით მკვეთრი დიფერენციაცია არ არსებობს, მაგრამ მაინც შეინიშნება შინაგანი სხვაობა. „ქართული მწერლობის დიდი ნაწილი მოქცეულია თანამგზავრულ ტენდენციების ფარგალში, მაგრამ იგი სხვადასხვა ხარისხით არის გამომჟღავნებული თითოეულ ფენაში.

[1] ჟურნ. „ახალგაზრდა ლენინელი", 1924.

[2] ვ. ბახტაძე, ცხოვრება და ხელოვნება. „მნათობი", № 11-12, 1925.

თუ ერთი ფენა დეკლარაციით კმაყოფილდება, მეორე იმყოფება „სმენავეხოველობის“ პირველ სტადიაში, მესამე კი შემოქმედებით ცდილობს აითვისოს რევოლუციური თანამედროვეობა (ბ. ბუაჩიძე). თანამგზავრებში შესამჩნევია „მერყეობის ამპლიტუდის ცვალებადობა, ნაწილობრივი შეუკვრელობა რევოლუციის მიზნებთან, მაგრამ ამ ხასიათის თანამგზავრული ლიტერატურის ემბრიონები ჟრთის პროდუქცია ოქტომბრის მნიშვნელობის შეგნებით არის აღბეჭდილი“ (დ. რონდელი).

6. როგორი უნდა იყოს პოზიცია და დამოკიდებულება პროლეტარული ლიტერატურისა თანამგზავრებისადმი? რაკი პროლეტარული მწერლობის მიზანს შეადგენს „მოპირდაპირე კლასების ლიტერატურის გარდაქმნა“ და, „მათი ადგილის დაჭერა,“, — რაც თანდათანობითი პროცესია და ამ პროცესის შემადგენელი რგოლი თანამგზავრობაა, — „თანამგზავრობის არც გაზვიადება შეიძლება და არც მისი მნიშვნელობის ვერ გაგებაც“ (ბუაჩიძე, რადიანი...).

ასეთია ძირითადი დებულებები, გამოთქმული კრიტიკოსების მიერ თანამგზავრი მწერლების შესახებ ოციანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისში.

ამრიგად, ჩვენ გავეცანით კრიტიკოსთა ზოგადთეორიულ შეხედულებებს ლიტერატურული თანამგზავრობის შესახებ. ახლა ვნახოთ როგორი იყო იმდროინდელ კრიტიკოსთა კონკრეტული მოსაზრებები ცალკეული თანამგზავრი მწერლების შესახებ.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ოციანი წლების პირველ ნახევარში თანამგზავრებად მიჩნეულნი იყვნენ უმთავრესად შემდეგი მწერლები: გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ნ. მიწიშვილი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, დ. სულიაშვილი, მ. კვანტიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. აბაშელი, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, ე. გორგაძე და სხვ.

ზემოხსენებული მწერლების ლიტერატურული პროდუქციის შეფასებისას ზოგჯერ გამოთქმული იყო ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებები; არაიშვიათად ერთი და იმავე კრიტიკოსის მიერ სხვადასხვა ეტაპზე გამოთქმულ შეფასებებშიც შესამჩნევი იყო შინაგანი სხვაობა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ არ იყო დადგენილი „თანამგზავრობის“ უდავო კრიტერიუმები. შეფასებები ნებისმიერად იცვლებოდა და არა მარტო ზემოხსენებულ მწერალთა ცალკეული ნაწარმოებების მიმართ არსებობდა დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებები, არამედ ამა თუ იმ მწერლის თანამგზავრად მიჩნევაშიც არაიშვიათად წინააღმდეგობა იჩენდა თავს.

და მაინც გამოირჩეოდნენ მწერლები, რომელთა „თანამგზავრულ სულისკვეთებას“ კრიტიკოსები თითქოს ერთხმად აღიარებდნენ. ასეთ „უდავოდ თანამგზავრულ მწერლად“ მიჩნეული იყო, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. ასე, მაგალითად, ბ. ბუაჩიძე აღნიშნავდა, რომ გ. ტაბიძე „შეიძლება ჩაითვალოს პირველ თანამგზავრ პოეტად; ის შეეცადა „ვერხვის ფოთოლთა შრიალი შეენაცვლებინა მსოფლიო ნგრევათა ორკესტრით. ამრიგად, რომანტიზმის ლურჯ ცას დაუპირდაპირა რევოლუციის ენთუზიაზმი, სევდას — იმედი და სათუო სინაზეს — მებრძოლობა“. კრიტიკოსი განაგრძობს: „თანდათანობით პოეტი მიიზიდა რევოლუციის ელვარებამ, მან მონახა შემოქმედებითი ნაოესაობა განმათავისუფლებელი ბრძოლის სტიქიასთან და რევოლუციის გულწრფელ თანამგზავრობას შეეცადა“.[1] პ. ქიქოძის მტკიცებით, გ. ტაბიძე „ახლა კი არ გახდა პირველად თანამგზავრი, იგი თანამგზავრი იყო თავისი წარმოშობის პირველივე დღეებიდან“. შემდეგ აღნიშნულია, რომ გალაკტიონმა „რუსეთის მასშტაბითაც ლექსში პირველად ახსენა ლ ე ნ ი ნ ი“. ავტორი ასაბუთებს დებულებას: გ. ტაბიძე „რომანტიკული სიმბოლისტია“ და აქედან გასაგებია, რომ იმთავითვე „რევოლუცია რომანტიკოსმა მიიღო, როგორც ძლიერი, ლამაზი სანახაობა“[2].

თანამგზავრების საუკეთესო წარმომადგენლად მიჩნეული იყო გ. ქუჩიშვილიც. კრიტიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ქუჩიშვილი „საბოლოოდ შეეზარდა პროლეტარულ რევოლუციასა და სოციალისტურ აღმშენებლობას“, იგი „თანდათან უახლოვდება პროლეტარული პოეტის ტიპს“ და ა. შ. სანიმუშოდ ასახელებდნენ პოეტის ქმნილებებს: „ლენინი“, „სტამბაში“, „გულის ხმა“, „გაფრთხილება ყველა ქვეყნის შოვინისტებსა და რეაქციონერებს“, „მუშა ქალს“, „ქარხნის საყვირი“, „საფეიქროში“ და სხვ.

თანამგზავრ მწერლებად მიიჩნევდნენ, უპირველეს ყოვლისა, ე. წ. „გლეხურ მწერლებს“. ბ. ბუაჩიძის სიტყვით, ის მწერლები, რომელნიც მოდიან გლეხობიდან, ყველა დანარჩენი არაპროლეტარული ფენების მწერლებთან შედარებით, ახლოს დგებიან რევოლუციასთან, რამდენადაც „გლეხობა პროლეტარიატის მოკავშირეა“. ამ კატეგორიის მწერალთაგან თანამგზავრად ითვლებოდა სანდრო შანშიაშვილი, რომლის შემოქმედებაში „სავსებით იგრძნობა სოფელი, ბუნება, მისი დოვლათი“... რაკი იგი თა-

---

[1] „კრიტიკული წერილების კრებული“, 1960, გვ. 59-60.

[2] „ლიტერატურული საქართველო“, 1927, გვ. 193 და სხვ.

ვისი შემოქმედებით „რევოლუციას არ დაპირდაპირებია“, ამის გამო მისთვის თანამგზავრობა უფრო ადვილი შეიქმნა (ბ. ბუაჩიძე, 1927 წ.); პ. ქიქოძის სიტყვით, თუ შანშიაშვილი თანამგზავრია „ლიტერატურულ-იდეოლოგიურად“, სამაგიეროდ, როგორც მხატვარი, „ანტიპროლეტარული და ანტითანამედროვეა“, რამდენადაც მწერალი „არქაიზმისკენ იხრება“.

სადავოდ იყო მიჩნეული ნ. მიწიშვილის თანამგზავრობა. მას თვლიდნენ გაორებულ მწერლად, რამდენადაც პუბლიცისტურ წერილებში, დეკლარაციულად თავის თავს რევოლუციურ მწერლად თვლიდა, მაგრამ შემოქმედებით მხარს ვერ უსწორებდა ახალ დროს. ხშირად იმოწმებდნენ მიწიშვილის სიტყვებს: „პოეზიაში მე მივუყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბათ ესაა მიზეზი, რომ მე, როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელ აბობოქრებულ დროის აქტუალობას. როგორც პოეტი „შესაძლებელია დავრჩე წარსულში. მაგრამ მოქმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოგიკამ მე გამათანასწორა თანამედროვეობასთან, როგორც ადამიანი“.

ოციანი წლების კრიტიკულ ლიტერატურაში ფართო მსჯელობის საგანი გახლდათ მ. ჯავახიშვილის შემოქმედება, დავობდნენ იმაზე, მიეკუთვნება თუ არა ეს სახელგანთქმული ბელეტრისტი თანამგზავრ მწერალთა დასს. ეს დავა დიდხანს გაგრძელდა და ოცდაათიან წლებშიც ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებები იყო გამოთქმული. თითქმის ყველა კრიტიკოსი აღიარებდა, რომ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ თანამგზავრული სულისკვეთების ნაწარმოებია. ბ. ბუაჩიძე 1927 წელს კატეგორიულად ამბობდა, რომ ჯავახიშვილს თანამგზავრ მწერლად თვლიან, მაგრამ „ჯერჯერობით მას თანამგზავრობა არ დაუმტკიცებია“. კრიტიკოსი არ უარყოფდა „ჯაყოს ხიზნების“ თანამგზავრულ ასპექტს, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ მწერლის ცდა მოეცა თანამედროვე ყოფის ტენდენციები, ყოფილი ადამიანების შინაგანი ბუნება და „ალმავალ ფენათა სწრაფვა“. შემდეგ კი მწერალმა „ასეთ გზას შეგნებულად გვერდი აუხვია“[1]. კრიტიკოსის დასკვნით, ჯავახიშვილი „დაცილებულია რევოლუციურ თანამედროვეობას“, ამის დასადასტურებლად იგი ასახელებდა „თეთრ საყელოს“, „გვივი შადურს“ და აღნიშნავდა, რომ ამ ნაწარმოებებში ალარ ჩანს „ჯაყოს ხიზნების“ სალიტერატურო პოზიცია. ანალოგიურ თვალსაზრისს იცავენ მ. ჯავახიშვილის თანამგზავრული ბუნების შესახებ პ. ქიქოძე და სხვანი. ქიქოძე, მაგალითად, დაასკვნიდა, რომ ჯავახიშვილის ნაწარმოებებში („თეთრი საყელო“, „მდევარი“, „ყბაჩამ დაიგვიანა“) ვხვდებით „საბჭოთა ხალხოსნობას“, „საბჭოთა მოტეტიავეობას“[1].

თანამგზავრული სულისკვეთების მწერლად იმთავითვე მიიჩნევდნენ დენო შენგელაიას. 1925 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში „ცხოვრება და ხელოვნება“ ვ. ბახტაძე „სანავარდოს“ მიხედვით ასკვნიდა, რომ დ. შენგელაია „შეიქმნება საქართველოში რევოლუციის დიდი თანამგზავრი მწერალი“ (გვ. 271). დ. შენგელაიას ბუნებაში, ბახტაძის სიტყვით, იბრძვის ორი მიმართულება: ერთია ფორმალიზმის, მისტიციზმის გზა, მეორე კი — ჯანსაღი რეალიზმის, ეპოქის საკითხებით დაინტერესების და მათი რევოლუციის ინტერესების მიხედვით გადაწყვეტის გზა; იმარჯვებს მეორე გზა და მწერალი ეხმიანება ახალ ეპოქას. სხვა კრიტიკოსებიც პირობითად მიიჩნევდნენ დ. შენგელაიას თანამგზავრად. 1927 წელს ბ. ბუაჩიძე აღნიშნავდა, რომ, მართალია, მწერალი შეეცადა მოეცა „ცხოვრების ფეოდალური რკალების რღვევის პროცესი, თავადაზნაურობის გადაშენება“ („სანავარდო“), მაგრამ მისივე უკანასკნელი ნაწარმოები „ტფილისი“ მოკლებულია ამ ღირსებებს: მაინც შეიძლება ითქვას, რომ „გურამ ბარამანდიაში“ ისმის „რევოლუციის გამოძახილი და არის ერთგვარი მთლიანობაც“. მისი დასკვნით, დ. შენგელაიას შემოქმედებაში არის თანამგზავრობის მხოლოდ ტენდენციები.

ამასთანავე, კრიტიკოსები ეხებოდნენ სხვა მწერლებსაც, რომელთა თანამგზავრობა, მათი აზრით „მოჩვენებითი“ და დეკლარაციული ხასიათისა იყო. ასე, მაგალითად, ნ. ლორთქიფანიძეზე წერდნენ: მართალია, იგი აგვიწერს ბატონყმობის მანკიერებას, მაგრამ „ფეოდალიზმის კრიტიკა სრულებითაც არ ნიშნავს პროლეტარული რევოლუციის თანამგზავრობას“, მაშინ სერვანტესი „რევოლუციის უახლოესი თანამგზავრი იქნებოდა... ვინც გრძნობს თავისი კლასის არარაობას და ციხის შიგნიდან გატეხას ცდილობს“, თანამგზავრად არ ჩაითვლებაო. ასევე უარჰყოფდნენ ეს კრიტიკოსები ა. აბაშელის, ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის და სხვათა თანამგზავრობას, თუმცა, მათივე თქმით, ამ მწერლებს მოეპოვებოდათ ნაწარმოებები, რომლებშიც გარეგნულად აღიარებული იყო რევოლუცია და ახალი ყოფის უპირატესობა ძველთან შედარებით.

საერთო დასკვნა კი ასეთი იყო: „მწერლობის თანამგზავრობა არ არის ერთსულოვანი და მთლიანი მოვლენა... ეს სხვადასხვაობა უკვე საკმაოდ არის გამომჟღავნებული ქართულ მწერლობაში“. თანამგზავრი მწერლობის დი-

[1] „კრიტიკული წერილების კრებული“, გვ. 64

[1] „ლიტერატურული საქართველო“. გვ. 162.

ფერენციაციის საკითხი მკაფიოდ აისახა „ვოაპპ"-ის მიმართვაში პროლეტარული მწერლების ასოციაციებისადმი (პროლეტარული მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის წინა ხანებში); ამ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ გაძლიერდა „თანამგზავრების დიფერენციაცია, ზოგი წავიდა მარჯვნივ, ზოგი გზაჯვარედინზე შეჩერდა, ზოგი კიდევ საგრძნობლად დაუახლოვდა საბჭოთა ხელისუფლებას; ახალი თაობის თანამგზავრებიდან გამოვიდა ისეთი მხატვრული ნაწარმოებნი, რომელნიც მათ აახლოებთ პროლეტარულ ლიტერატურასთან. ამიტომ, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — დაუშვებელია დღეს თანამგზავრების, როგორც მთლიანი მოვლენის, განხილვა".

ქართულ ლიტერატურაში თანამგზავრების მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საკითხი და, საერთოდ, თანამგზავრობის პრობლემა ახლებურად დაისვა ოციანი წლების მეორე ნახევარში. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მე-5 პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ „რეკონსტრუქციის პერიოდის თანამგზავრი ძირეულად განსხვავდება აღდგენითი პერიოდის თანამგზავრისაგან... მოწინავე თანამგზავრების აქტიური ფენა სავსებით გამოეყო ნეიტრალურად განწყობილ მწერალთა რიგებს და, ამრიგად, იგი თავისი მუშაობით ცდილობს გადავიდეს თანამგზავრობიდან მოკავშირეების პოზიციამდე".

ასე გამოჩნდა ახალი ცნება — **მ ო კ ა ვ შ ი რ ე მ წ ე რ ლ ო ბ ა**, რაც თანამგზავრობის მკვეთრ დიფერენციაციისა და ამ კატეგორიის მწერალთა ზრდა-განვითარების აღმნიშვნელი იყო.

საქართველოს კომკავშირის მეათე ყრილობაზე (1930 წ.) ბ. ბუაჩიძე აცხადებდა: „თანამგზავრი აქტიური თანამებრძოლი უნდა იყოს... დღეს თანამგზავრი ისეთი მწერალი უნდა იყოს, რომელიც არამცთუ სცნობს და იღებს საბჭოთა სინამდვილეს, სოციალისტურ აღმშენებლობას, არამედ აქტიურად მონაწილეობს მასში. ასეთი ფრთა მწერლობაში მტკიცდება და იზრდება. თუ მემარჯვენე თანამგზავრები აშკარად გადავიდნენ ბურჟუაზიული მწერლობის ბანაკში, მეორე ნაწილი მტკიცედ უახლოვდება პროლეტარულ იდეოლოგიას და „მოკავშირის" სახელს იხვეჭს. საჭიროა დავეხმაროთ ამ მწერლებს მათი შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად"[1].

თანამგზავრების ამოცანებზე რეკონსტრუქციის პერიოდში ვრცლად ლაპარაკობს ბ. ბუაჩიძე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მე-3 პლენუმზე (1930 წ.); აი ერთი ადგილი მისი მოხსენებიდან: „დღეს თანამგზავრობას ჰქონდა შემოქმედებითი საქმიანობა სჭირდებოდა... კომუნიზმის კულტურულ ძალებთან თანამშრომლობის გარეშე მწერალს გაუჭირდება გახდეს კარგი თანამგზავრი". შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დეკლარაციებით თანამგზავრობის ხანა გავიდა, საჭიროა „შემოქმედებითი კაპიტალი". ყურადღებას იპყრობს ბ. ბუაჩიძის მოხსენების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია თანამგზავრების დამოკიდებულებაზე ისტორიული თემატიკისადმი. მისი სიტყვით, არ შეიძლება თანამგზავრად ჩაითვალოს ის, ვინც მხოლოდ წარსულზე წერს, თუნდაც 1905 წლის რევოლუციაზე. ორატორის თქმით, 1905 წლის რევოლუციაზეა „გაყინული", მაგალითად, ვ. რუხაძე, ა. აბაშელი, ლ. ჭიაჩელი. ერთადერთი თანამგზავრი, რომელიც „გადაიზარდა პროლეტარულ მწერლად", ეს გ. ქუჩიშვილია. დადებითად აფასებს კრიტიკოსი მემარცხენეთა ფრთიდან გამოსულ თანამგზავრებს (ს. ჩიქოვანი). უპირველეს თანამგზავრად მიჩნეულია გ. ტაბიძე, „გლეხური მწერლობის ფრთიდან" — ს. შანშიაშვილი.

„თანამგზავრული მოძრაობის" ცალკე ფრთად არის მიჩნეული „ცისფერ ყანწელთა" ჯგუფი (ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, ნ. მიწიშვილი): „ჩვენ მათთვის ერთბაშად თანამგზავრობის სახელის მიკუთვნება არ შეგვიძლია, ვინაიდან უახლოეს წარსულში ისინი ამყღავნებდნენ წვრილბურჟუაზიულ მერყეობას", თუმცა ახლა „ცდილობენ თანამგზავრულ გზაზე დადგომასო".

ვ. ლუარსამიძე ლაპარაკობს „მემარცხენე თანამგზავრების" შესახებაც. მისი სიტყვით, „...მიმდინარეობს ლიტერატურული თანამგზავრების დიფერენციაციის რთული პროცესი. უდავოა, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის თანამგზავრობა მოკავშირეობას უნდა ნიშნავდეს. ძველი თანამგზავრული ტენდენციების მატარებელთა უმნიშვნელო ნაწილი ლიტერატურული რეაქციის ბანაკში საბოლოოდ გადაბარგდა, მემარცხენე თანამგზავრები კი პროლეტარიატის იდეოლოგიურ პოზიციებს თანდათანობით უახლოვდებიან" [1]

1931 წელს ბ. ბუაჩიძემ „პროლეტარულ მწერლობაში" (№ 1) გამოაქვეყნა შემაჯამებელი წერილი „ქართული მწერლობის ათი წელი", სადაც შეეხო თანამგზავრობის საკითხს. ის ამბობს, რომ ფუტურისტებიდან თანამგზავრობის გზას დაადგნენ სიმონ ჩიქოვანი და დემნა შენგელაია, თუმცა ამ უკანასკნელს ძალ-

[1] „პროლეტ. მწერლობა", № 12, 1930, გვ. 30-31.

[1] „პროლეტარული მწერლობა", №12, 1930, გვ. 116.

ზე უშლის ხელს „სიმბოლისტური ტრადიციები“1.

ამრიგად, ოციანი წლების მეორე ნახევარსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში თანამგზავრ მწერლებად მიჩნეული არიან: გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, დ. სულიაშვილი, ტ. ტაბიძე, დ. შენგელაია, ა. ქუთათელი, ნ. მიწიშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. გორგაძე, ა. ჭუმბაძე, გ. ცეცხლაძე, რ. გვეტაძე და სხვ.

თანამგზავრი მწერლების მეთაურად ისევ და ისევ გალაკტიონ ტაბიძეა აღიარებული. ამ საკითხში, შეიძლება ითქვას, ერთსულოვნება სუფევს. ეს აღიარება დამყარებულია პოეტის ისეთ ქმნილებებზე, როგორიცაა „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „ეს არის გუგუნი მთელი ეპოქის“, „აღმოსავლეთი“, „ასი ლექსი“, „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“ და სხვ. „ეპოქა“, მაგალითად, მიჩნეულია საბჭოთა მწერლობის „სანიმუშო ნაწარმოებად“, რომლის მიხედვით დიდი პოეტი „რევოლუციის გამორჩეულ თანამგზავრთა პირველ რიგებში“ დგას“ (ბ. ბუაჩიძე). გ. ტაბიძის „შემოქმედებას ახასიათებს გადამწყვეტი გადასვლა ისეთი პოეზიის შექმნაზე, რომელიც მიძღვნილია პროლეტარიატის საქმის გამარჯვებისათვის“ (შ. რადიანი). ასეთი ფორმულირებების დამოწმება მრავლად შეიძლებოდა. გ. ტაბიძეს უწოდებენ პირველ მოკავშირე მწერალს საქართველოში.

მოკავშირე მწერალთა რიგში ჩათვლილი იყო აგრეთვე ს. ჩიქოვანი.

წერილში „საბჭოთა ინტელიგენტის გზა“ (1930 წ.) ბ. ბუაჩიძემ დაახასიათა ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი ევოლუცია და დაასკვნა, რომ „უკანასკნელი ხანების ჩიქოვანი უკვე სავსებით მტკიცე საბჭოთა პოეტია. აქტუალური, სადღეისო თემები, ოქტომბრის რევოლუციის ენთუზიაზმი კვებავს მის შემოქმედებას. ისიც აღნიშნულია, რომ ს. ჩიქოვანის „მხატვრულ შემოქმედებაში მთავარი ის არის, რომ მწერალი ებრძვის ძველი პოეზიის ტრადიციებს“. ამასთანავე მითითებულია ჩიქოვანის ბევრ „ზედმეტ ხელოვნურ“ ცდებზე“ და ა. შ.

ს. ჩიქოვანის ლექსების („უშგულის კომკავშირი“, „შემოღება ხახმატში“, „გმირი და წინ“, „ალაზნის ველი და ალაზნის ბიმბა“ და სხვ.) ანალიზის საფუძველზე შ. რადიანი თავის მოხსენებაში „თანამგზავრობა და მოკავშირენი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოეტი დიდი ეპოქის მშენებლობის მონაწილეა, იგი უახლოვდება პროლეტარულ ლიტერატურას, თუმცა მის ზოგიერთ ლექსს მოეპოვება გარკვეული ნაკლი მსოფლმხედველობრივ-მხატვრული თვალსაზრისით.

მოკავშირე მწერლის სახელი დაიმკვიდრა აგრეთვე „თეოსა“ და „კიაკოკონას“ ავტორმა რ. გვეტაძემ, კამათს იწვევდა ტ. ტაბიძის შემოქმედებითი პროფილის განსაზღვრა. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მწერალი ცდილობს შეეხოს ახალ თემატიკას, და ეს მიჩნეული იყო იმის საფუძვლად, რომ თანამგზავრული ტენდენციები დაენახათ მის შემოქმედებაში. მაგრამ იგი სათანადოდ ვერ ხძლევს მასალას. „შემოქმედებითი მეთოდი ტაბიძისა იდეალისტურიაო“. კერძოდ, ტ. ტაბიძის ნარკვევი ახალი კოლხიდის შესახებ, როგორც შენიშნავდნენ, თანამგზავრული ჩანაფიქრითა და განწყობილებით არის აღბეჭდილი, მაგრამ აქ სჭარბობს „ლოზუნგები, დეკლარაციები და ზოგადი ფრაზეოლოგიაო“. ასევე უწუნებდნენ თანამგზავრ მწერალს საბჭოთა სომხეთზე დაწერილ ლექსებში მოცემულ „არქეოლოგიურ-ისტორიული“ ასპექტების სიჭარბეს.

ვ. ლუარსამიძე წერილში „შენიშვნები ბლოკნოტიდან“ აკრიტიკებდა გ. მუშიშვილს, რომელმაც ტ. ტაბიძე თანამგზავრად გამოაცხადა. ავტორის სიტყვით, „ტ. ტაბიძის შემოქმედების ანალიზი გვაჯერებს იმაში, რომ მისი თანადროულობისადმი დაახლოება ოპტიკური მოტყუებაა“ 1. სხვა აზრისა იყო. მაგალითად, დ. ბენაშვილი: „მართლაც, ვხედავთ, რომ... ავტორი (ლაპარაკია ტ. ტაბიძის „რიონპორტზე“) შემოტრიალდა რევოლუციის მონაპოვრისაკენ. მოხდა მის შემოქმედებაში ძირითადი გარდატეხა“.

ასევე არ იყო თანხმობა მიღწეული მ. ჯავახიშვილის, როგორც თანამგზავრის, შეფასებაშიც. დამახასიათებელია და ნიშანდობლივი მ. კახიანის მოხსენების ის ადგილი („იდეოლოგიური ფრონტი“), სადაც მომხსენებელი არ ეთანხმება ცალკეულ კრიტიკოსებს (მაგალითად, სუტირინს), რომელთაც მ. ჯავახიშვილი ნამდვილ თანამგზავრად გამოაცხადეს. მ. კახიანი განიხილავს მწერლის რამდენიმე ნაწარმოებს („შავი კლდე“, „წითელი ღილი“, „გიეი შადური“) და ასკვნის: მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილს აქვს „ზოგჯერ გადახრები თანამგზავრობისაკენ“, იგი არ ჩაითვლება თანამგზავრად; ამასთანავე მ. კახიანი აღნიშნავდა: „პროლეტარული კრიტიკოსების შეცდომა ის არის, რომ ისინი ერთმანეთში ურევენ, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე თანამგზავრებს... პროლეტარული მწერლობის ამოცანაა — არ მიუდგნენ ყველას ერთნაირი საზომით, არამედ აწარმოონ თვითეულისადმი ინდივიდუალური მიდგომა“2.

---

1 „პროლეტარული მწერლობა“, № 1, 1931, გვ. 116.

1 „პროლეტ. მწერლობა“, № 1, 1928.

2 „პროლ. მწერლობა“. № 9 1929, გვ. 41.

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მოაწყო დისკუსია, რომელზედაც ფართოდ დაისვა თანამგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემები. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: რ. გვეტაძემ, დ. სულიაშვილმა, ა. არსენიშვილმა, ლ. ქიაჩელმა, მ. ჯავახიშვილმა, ბ. უღენტმა და: სხვ[1].

აი რა აღინიშნა ამ დისკუსიაზე ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით: 1. კონკრეტული კრიტიკის უქონლობამ ხელი შეუშალა ზოგიერთ თანამგზავრს და მოკავშირეს, უფრო ადრე გამოესწორებინათ თავისი შეცდომები; 2. გაუგებარია, რომ ერთი და იგივე თანამგზავრი მოკავშირედაც ვაღიაროთ და რეაქციონერადაც (როგორც ეს ხდება ზოგჯერ პროლეტარულ კრიტიკაში); 3. არ ვებრძვით გაიოლებისა და მხატვრული დაქვეითების ტენდენციებს; 4. დღევანდელ ეტაპზე თანამგზავრობის წოდება არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი საბჭოთა მწერლებისათვის: წინათ იგი პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, არ შეიძლება დავუშვათ დაუსრულებელი თანამგზავრობა და მოკავშირეობა (ბ. უღენტი).

ჩვენ გადმოვეცით დისკუსიაზე გამოთქმული მთავარი დებულებები.

ასეთია ქართველ კრიტიკოსთა ნააზრევი ე. წ. „თანამგზავრობისა“ და „მოკავშირეობის“ შესახებ. როგორც ზემოთ დავინახეთ, მრავალრიგ ჯანსაღ ტენდენციებთან ერთად, ამ პრობლემის გაშუქებისას თავს იჩენდა აშკარა ულტრამემარცხენული გადახრები, რაც აფერხებდა მხატვრული ლიტერატურის სწორი გზით განვითარებას. ცალკეული კრიტიკოსები არ იშურებდნენ „თანამგზავრი“ მწერლების მიმართ ასეთ იარლიყებს: „რეაქციონერი“, „მტერი“, „შინაური ემიგრანტი“ და ა. შ. ეს შეუფერებელი ფორმულები იყო. კრიტიკოსებმა არსებითად ვერ შეძლეს მოეცათ „თანამგზავრების“ ნაწარმოებთა ღრმა ანალიზი, მათი შეფასება მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით; ბევრი კრიტიკოსი ვერ ჩაწვდა მხატვრული ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ ჯერ კიდევ 1925 წელს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას, სადაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოცემულია სახელმძღვანელო მითითებანი ე. წ. „თანამგზავრებთან“ ფაქიზი და ფრთხილი დამოკიდებულების თაობაზე. ოცდაათიან წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა შეცდომები „თანამგზავრი“ მწერლების შეფასების საკითხში, რასაც ბოლო მოუღო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო-საბჭოთა ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“. ამ დროიდან იწყება ახალი ხანა საბჭოთა მწერლობის განვითარების ისტორიაში.

---

[1] დისკუსიის მასალები გამოქვეყნებული „მნათობში“: № 1-2, 1932 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა მაღრაძე
შოთა ვადაჭკორია

შესწორებულ-შემოკლებული კლასიკოსი

მსოფლიო ლიტერატურის კორიფეების — დანტეს, შექსპირის, ბოკაჩოს, სერვანტესის, რაბლეს და სხვათა — ნაწარმოებების თარგმნა დიდი მოვლენაა ყოველი ერის კულტურულ ცხოვრებაში. გასაგებია იმ უზომო ტვირთის სიმძიმე და დიდი პასუხისმგებლობა, რაც მთარგმნელის მხრებზე მოდის ასეთ დროს და რაც მას უთუოდ მანამდე უნდა ჰქონდეს ათასგზის აწონილ-დაწონილი, გააზრებული და ნაგრძნობი, ვიდრე ასეთ ავტორს შეჰბედავდეს. და რაკი, ყოველივე ამის შემდეგ, თარგმანი მკითხველის სამსჯავროზე მაინც გამოდის, რა ცალკეული ნაკლოვანებებიც არ უნდა ჰქონდეს მას, მაინც იმსჭვალები პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით მთარგმნელის, როგორც დიდ საქმესთან შეჭიდებისას მრავალ ჭირგამოვლილი და დამაშვრალი ადამიანის, მიმართ.

ასეთი სასოებით შევხვდით ახლახან წიგნის თაროებზე გამოჩენილ „გარგანტუა და პანტაგრუელს“. შევხვდით, მაგრამ ამ განწყობილებას სულ მალე შეენაცვლა ერთგვარი შეცბუნება და სრული გაურკვევლობა, როცა „გარგანტუას“ II თავის ნაცვლად, მის ადგილზე, მთარგმნელის შინაური გამოსაუბრება დაგვიხვდა: „აქ მოყვანილია 112-სტრიქონიანი ლექსი, რომელიც ავსებს მთელ თავს, კონსტრუქციით მეტად რთული და შინაარსით ბუნდოვანი“. რამდენიმე გვერდის შემდეგ ეს „ხერხი“ გაწეორდა. ნაცვლად V თავისა, რომლის სათაურიც არის „შექეიფიანებული სტუმრების საუბარი“, მთარგმნელი კვლავ, თხზულების ტექსტის გადმოცემის ნაცვლად, მოკლედ მოსჩრის: „...ფაბულის განვითარებასთან ამ საუბარს უშუალო კავშირი არა აქვს“. და ასე: დიდი ფრანგი მწერლის ამ შესანიშნავი ქმნილების მართო პირველ და მეორე წიგნებში მთარგმნელი ელისაბედ ბაგრატიონი კიდევ 14-ჯერ გვიცავს დედნის „რთული“, „ბუნდოვანი“, „პირველი შთაბეჭდილებით უთავბოლო“, „ანტიკური მწერლების ციტატებით აღსავსე“, „ვრცელი ჩამოთვლის შემცველი“, „სასამართლო მჭევრმეტყველების (ზედმეტად წარმომდგენი)“ და მისთ. თავებისაგან და უაღრესად თავისთავადი, განუმეორებელი მანერის მჭონე შემოქმედის თხრობის ნაცვლად საკუთარს გვთავაზობს. თუ მეხსიერება ან ცოდნა არ გვღალატობს, ეს პირველი შემთხვევა უნდა იყოს სერიოზული მხატვრული თარგმანის პრაქტიკაში, როცა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ქართულად ამეტყველებულ თხზულებაში პირდაპირ, უშუალოდ ერთვება მთარგმნელი; ერთვება და ჩვენს მაგვრად საზღვრავს რისი წაკითხვა-გაგება შეგვეძლება და რისი არა, ხოლო ავტორის მაგივრად — რა როგორ არ უნდა დაეწერა და საერთოდ, საჭირო იყო თუ არა ამა თუ იმ თავის დაწერა მისი თხზულებისათვის — ფაბულისათვის, სიუჟეტის განვითარებისათვის, მოვლენის წარმოსახვისათვის და ა. შ. იქნებ ოდნავ ვამკვეთრებთ, მაგრამ არსებითად — უნდა თუ არ უნდა მთარგმნელს — ასე გამოუდის.

ასეთი ოპერაციები მხოლოდ ცალკეული ზედმეტად მიჩნეული თავების მექანიკური ამოგდებით არ იფარგლება. მთარგმნელი ხშირად ზედ შუაზე ხლეჩს თხზულების ორგანულ მხატვრულ ქსოვილს და თავისი სუროგატი-„მოკლე შინაარსებით“ ცვლის მას. ასე იქცევა იგი, მაგალითად, პირველი წიგნის XLVIII თავში, იმ ადგილას, სადაც რაბლე პიკროკოლის ლაშქრის განადგურების ამბის გადმოცემას აპირებს: „გარგანტუამ გაშალა თავისი ჯარი ველზე, ხოლო ბორცვის გამოღმა ჩასაფრებული რაზმი დატოვა. ბერმა წაიყვანა ექვსი ქვეითი რაზმი და ორასი ბაჯროსანი, სასწრაფოდ გასცდა ჭაობებს, პიუი ქვემოთ მოიტოვა და ლუდენის დიდ გზაზე გავიდა“; გავიდა, მაგრამ ვინ

აცლის?!. ავტორს სიტყვას აწყვეტინებენ, წინ ჩამოეფარებიან და გვთავაზობენ: „ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ დაიღუპა პიკროკოლის კონტრშეტევაზე გადასული ჯარის ნაწილი და როგორ დამარცხდა ალყაშემორტყმული ჯარის ძირითადი მასა, თუმცა ერთგვარი ზარალი. გარგანტუასაც მიაყენა. ბერი, ჩვეულებისამებრ, მთავარი გმირი გამოდგა...“ და ა. შ.

ასევე ხდება მეორე წიგნის IX თავშიც, პანტაგრუელისა და პანურჟის შეხვედრის აღწერისას, როცა თხრობაში მოულოდნელად „დროებით“ ერთვება მთარგმნელი („მისი თანამოსაუბრენი დიდად გააკვირვა ამ უკანასკნელმა გარემოებამ, რადგან აქამდე მისგან მხოლოდ გაუგებარი ენები ესმოდათ. თავის სიტყვებში პანურჟი ჩივის, რომ ქვეყნად პატიოსან ხალხს გახავალი არა აქვს, ითხოვს საჭმელ-სასმელს და ბოლოს იხვეწება—შეკითხვებით ნუ შემაღონეთო“, გვ. 170), ხოლო შემდეგ ისევ ავტორს უთმობს ადგილს. პირველი წიგნის LIV თავის ამოგდებით მთარგმნელმა ფაქტიურად უკვე რაბლეს თხზულების იდეური ჭსოვილიც ხელყო, ვინაიდან „ტელემის სავანის მთავარი კარიბჭის წარწერა“ ფრანგი ჰუმანისტის ერთ-ერთ მთავარ მსოფლმხედველობრივ კრედოს გადმოსცემს და მისი პროზაული „შეცვლა“ ყოვლად წარმოუდგენელი რამ არის.

ზოგჯერ მთარგმნელის ამ მოკლე შინაარსებს „მხატვრულობაში“ ავტორთან გაჯიბრების ან წაბაძვის პრეტენზიებიც უჩნდებათ: „მკითხველი საკმარისად გაეცნო სასამართლო მშვევრმეტყველების ნიმუშს რაბლეს პაროდიით, ამიტომ უთარგმნელად ვტოვებთ ჰუმენის სიტყვას. პანტაგრუელს ეს საქმე მაინცდამაინც ძნელი არ ეჩვენა: მან ღრმად ჩაფიქრებულმა, ორიოდე წრე დაარტყა დარბაზში, თანაც ჩუმად ყროყინებდა ვირივით, რომელსაც მოსართავები ზედმეტად მოუჭირეს...“ (წიგნი მეორე, თავი XII), ან კიდევ: „წარმოდგენილია, მაგრამ ორივე მხარე სავსებით დააკმაყოფილა და ერთნაირად ასიამოვნა საბოლოო განაჩენმა“ (იქვე, თავი XIII).

ზოგჯერ კი მთარგმნელი უფრო თავმდაბლად ასწორებს რაბლეს — თავად არ ჩნდება, მოკლე შინაარსსაც არ ჰყვება და ისე აკლებს, უთარგმნელად ტოვებს ტექსტის სხვადასხვა ადგილს (მაგალითად, პირველი წიგნის III, VI, მეორე წიგნის XV, XXII და სხვა თავებში), მათ შორის წმინდად რაბლესეულ შედევრს, მისი თამამი, მძლავრი, მღვრიე პიკანტური სტილისათვის ესოდენ დამახასიათებელ ჩართულ ნოველა-ზღაპარს ლომის, დედაბრისა და მელის შესახებ.

და ასე გრძელდება ეს შესწორება-შემოკლებანი წიგნის ბოლომდე. თუმცა „ბოლო“ აქ ერთობ პირობითად არის ნათქვამი; „ბოლო“ აქ არ ჩანს: ცალკეულ ადგილებს და თავებს ვინ ჩივის, როცა „გარგანტუა და პანტაგრუელის“ სქელტანიანი დედანი ქართულ ენაზე საცოდავად და საოხრად არის დამხვრეული...

და ყველა ამ უცნაურობათა ჩადენის შემდეგ ან გამომცემლობის წინასიტყვაობაში, ან რედაქტორის ბოლოთქმაში ან თუნდაც კომენტარებში მაინც ეთქვათ მკითხველისათვის, რომ ეს არ არის რაბლეს სრული და ნამდვილი „გარგანტუა და პანტაგრუელი“, რომ ფრანგული აღორძინების ეს უდიდესი ძეგლი არ შედგება მხოლოდ ორი წიგნისაგან, რომელთა ცალკე გამოცემა რატომღაც ასე უჩვეულია ე. ბაგრატიონს და მასთან ერთად — „მერანსაც“; რომ ქართულად გამოსული წიგნაკის მიღმა დარჩენილია (თუ ისინიც „ზედმეტად“ არ არის მიჩნეული!...) ერთობ თავისებური მესამე წიგნი — თავისებური დაოკებული სატირითა და ღრმად შენიღბული რადიკალიზმით, მეოთხე წიგნი, სადაც უკვე უველა ჯებირი აქვს გადათელილი მანამდე შეფარვით ნათქვამ. იდუმალ სარკაზმს, რითაც ავტორი აშკარად უტევს რეაქციულ კათოლიკობას და თვით რომის პაპსაც, და, ბოლოს, მეხუთე წიგნი, სადაც რაბლეს გმირები სანუკვარ ღვთაებრივ ბოთლს მიაღწევენ... რომ ქართულად გამოსული ეს წიგნაკი ჯერ მხოლოდ თავისებური სინჯია, რაღაცის ბეა, რაღაცის ნაჩქარევი გარანტიაა, რაღაც საფეხურია ნამდვილი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ თარგმნის გზაზე, იმის მიუხედავად, რომ კონტრტიტულზე პრეტენზიული წარწერა აქვს: „პირველი გამოცემა“!

ყოველივე ამის განმარტებას, ქართველი მკითხველისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით ასეთი „არაეთიკური“ გამოცემის შემდეგ, სულ უბრალო სალიტერატურო ეთიკა მოითხოვდა.

ახლა კი ორიოდე სიტყვა — მხოლოდ გაკვრით — თავად თარგმნილი ადგილების ხარისხის შესახებ. დავიწყოთ იმით, რომ თარგმანში უხვადაა შემოღწეული ქართულისათვის უცხო სტილი და ეს დაღი მხოლოდ დედნისა კი არ არის, არამედ რაბლეს რუსული თარგმანიდანაც იღებს სათავეს. ამას გარდა, სტილურ შეუსაბამობებს ხშირად „ადგილობრივი“ საფუძველიც აქვს. უველა ზემოაღნიშნული ხასიათის შეუსაბამობებია თარგმანის ფრაზები: „თუ თქვენ ასე ფიქრობთ, ოდნავადაც ვერ მიუახლოვდებით ჩემს აზრს, რომელიც აშკაცებს...“ (გვ. 11); „...ბევრია ქვეყნად იმპერატორი, მეფე, ჰერცოგი, მთავარი და პაპი, ვინც რომელიმე მეწვრილმანისა ან მეგოდრის გან იყოს წარმოშობილი“ (გვ. 13-14); „სახარებაში იოანესაგან, თავი მეთექვსმეტე, ჩვენი მაცხოვარი ამბობს...“ (გვ. 20); „იგი... ეკითხებოდა სხვადასხვა ამბებს ბავშვის ცხოვრებიდან... გამოჰკითხა, გუავთ თუ არა ბავშვი სისუფთავესა და წეს-

რიგშიო“ (გვ. 33). „ამის შემდეგ უნდა გაველოთ 35 მილი სიგრძისა და 17 მილი ანცოტა ნაკლები სიგანის ტყე, რომელიც კრაზანებით და ბუზანკლებით ყოფილიყო სავსე“ (გვ. 41); „მაშამ ბრძანა, გარგანტუასთვის ყვითელი ფეხსაცმელი ჩაეცვათ, ბაბენი მას „პოლსაპოშკებს“ უძახის“ (იქვე); „ტულიპი გამისკდეს თუ მეფესთან არ გიჩივლოთ, რა საშინელ ბოროტმოქმედებასაც სჩადიხართ აქ საკუთარი ხელით“ (გვ. 49); „სამართლიანად?.. აქ იმის სუნიც არა ტრიალებს“ (იქვე; შეადარეთ რუსულ თარგმანს: „... тут ею и не пахнет“. დედანში კი არის: „...nous n'en usons poinct ceans“, user რაიმეთი სარგებლობაა); „ღრმა წუალში ცურაობდა მკერდულად“ (გვ. 59); „ამ პაექრობას ესწრებოდა მრავალი.., მოხელე, მომხსენებლები, სასაჩართლოთა თავმჯდომარეები..“ (გვ. 172); „მაშმადის უურანის მთელი ბოროტება მარტო ამაში რომ მდგომარეობდეს“ (გვ. 183); „გადაწყვიტა გაემარჯვნა ქალაქის ერთ-ერთ დიდგვაროვან ბანოვანზე“ (გვ. 210); „...მარდი და მოხერხებული ხელი ჰქონდა პანურჟს, ამასთან არავითარი თაღლითობა!“ (გვ. 194; შდრ. რუსულ «и никакого мошенничества»; დედანში ამის მსგავსი გამოთქმაც არ არის) და ა. შ. და სხვ. მრავალი.

ბევრგან მთარგმნელი იმდენად ვერ მორევია ქართულად გადმოსაღებ ტექსტს, რომ მკითხველს ბუნდოვან ან სულაც უაზრო წინადადებებს სთავაზობს: „ხოლო თუ მათ ვინმე დაძრახავს, ორსულობის დროს რისთვის აძლევთ ნებას ამოგემსონო, რამეთუ იგულისხმება, რომ ძუ ცხოველი ამ მდგომარეობაში ხვადს არასგზით არ მიუშვებს, ისინი უპასუხებენ — ერთი საქმეა ცხოველი, მეორე კი დედაკაცი, რომელსაც მშვენივრად ესმის ზედმეტობის მხიარული უპირატესობაო“ (გვ. 18); „განა მინერვა არ დაიბადა უურით იუპიტერის ტვინიდან“ (გვ. 22); „ექვსიოდე ესპანური მეძებრითა და ორიოდე მწევრით თქვენ მწყრომბისა და კურდღლობის ხელმწიფეები იქნებით მთელი თქვენი დღენი“ (გვ. 33) და მისთ.

ხშირად მთარგმნელი უსწორო ქართულით გადმოსცემს აზრს, ხან კი ზოგიერთი რამის უცოდინარობასაც ამჟღავნებს მშობლიურ ენაში: „სპარსები“ კი არა (გვ. 14), „სპარსელები“ უნდა ითქვას დღეს; უაურმა შიგნეულისაგან კი არა (გვ. 18), ჯიგრისაგან. კეთდება; თვალა ხარების სადგომი არ არის (გვ. 18), იგი ცხენებისთვისაა განკუთვნილი, ხარებისათვის კი — ბოსელი. „სამწყობრო ცხენი“ (გვ. 32) გაუგებრობაა (დედნის მიხედვით, უბრალოდ „დიდი ცხენები“. „...grands chevaulx“ უნდა იყოს). „უურტალი“ უარგონია (გვ. 44, 136) და მას უფრო სწორი და მიღებული „ბურდალის“ ნაცვლად არ უნდა ვხმარობდეთ, ისევე როგორც „დაიკვეხნოს“ ნაცვლად — „დაიკვეხოს“ (გვ. 58), რაც სულ სხვა რამაა. „საბძელში პურის გალეწვა“ (გვ. 62) წარმოუდგენელი ნოვატორობაა; საბძელში ბზეს ინახავენ, პურს კი კალოზე ლეწენ. და, ამას გარდა, „...battre les gèrbes en la grange მხოლოდ „არდგმულში ძნების ცეხვას“ ნიშნავს და არავითარ საბძელს, პურს და ლეწვას. ასევე წარმოუდგენელია თუნდაც შედარებისათვის გამოყენებული „ჭყინტი სიმინდებივით მოთეთქვა“ (გვ. 66), სწორი არ არის: „გაგატყავოთ“ (გვ. 225; უნდა იყოს „გაგატყაოთ“), „არ აგდებენ რამეთ“ (გვ. 247, უნდა იყოს „...რამედ“). „ქვეყანა დავიპყრეთ“ (გვ. 254; უნდა იყოს „დავიპყარით“) და სხვ. ქართულში ბარბარიზმად არის მიჩნეული: „ამაზე დავწერ“ (გვ. 29). „ჩემს წიგნებზედაც იგივე წამოროშა“ (გვ. 12), „ამაზე მოგახსენებთ“ (გვ. 18) და მისთ. უნდა იყოს „ამის შესახებ დავწერ, მოგახსენებ, ამის თაობაზე დავწერ, მოგახსენებ...“ „ჩემი წიგნების შესახებაც იგივე წამოროშა“. ცუდი თქმაა „მთელი ძალღები, რაც კი საყდარში იყვნენ“ (გვ. 215); ასევე ბრილიანტასა და ლალის შესახებ „სად არიანო“ (გვ. 185) ქართულად არ ითქმება, ისევე როგორც ფულის შესახებ — „სად წავიდნენო“ (გვ. 196), ბურთულების შესახებ — „დამიკაწრესო“ (გვ. 34). კედლებია შესახებ — „სამსახურს გაუწევენო“ (გვ. 188); ყველა ასეთ შემთხვევაში ზმნა ეხოლოობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ იმის მიუხედავად, რომ ფრანგულში და რუსულში იგი მრავლობითშია. „პატიოსან კაცსავით“ (გვ. 16) კი არა, „პატიოსანი კაცივით“, „გაჩუქნით ტაიჭს“ (გვ. 32) კი არა, „გაჩუქებთ“, „საჩუქრად გიძღვნით“ (დედანში უბრალოდ „მე თქვენ მოგცემთ“... არის), „თირკმლებს გაღიზიანება რომ არ მოსვლოდა“ (გვ. 52) კი არა, „თირკმლები რომ არ გაღიზიანებოდა“. „ბღერიანი“ (გვ. 34) კუთხურია, უნდა იყოს „მუნიანი“; სხვათა სიტყვების გადმოცემისას აფიქსი — „ო“ როგორც წესი ზმნას უნდა დაერთოს და არა სახელს („გამოიკითხა, რა ღვინოს უფრო სვამენ აქაურებიო“, გვ. 41, იხ. აგრეთვე გვ. 33, 38, 67 და ა. შ.).

შეიმჩნევა დედნის აზრის დამახინჯების, მცდარი თარგმანის ბევრი შემთხვევაც: „Beuveures trés illustres“ „უბრწყინვალესო ლო-

---

1. დედნის ციტირებას ვახდენთ წიგნებიდან: Gargantua de François Rabelais და Pantagrüel de François Rabelais. Texte établi et présenté par Pierre Grimal. Librairie Armand Colin. A Paris. 1957 და 1959 წწ.

დედანში, რა თქმა უნდა, შეცვლილი არ არის რაბლესდროინდელი ფრანგული ენის ნორმები და ორთოგრაფია, რომელიც გარკვეულად განსხვავდება თანამედროვე ფრანგულისაგან.

თებო" (გვ. 9) კი არ არის, არამედ „დიდად სახელგანთქმული მსმელებო"; სწორი არ არის „ერთი ხელი მეორეს შემოჰკრა მ შ რ ა ლ ი ტაცუნით"; „...en son strident" „გამაყრუებელ ხმას" ნიშნავს"; „..... les mestaiers frappérent sur ces fouaciers comme sus le seigle verd" „გლეხებმა... ხაბაზები ჭყინტი სიმინდივით მოთეთქვეს" კი არ არის, არამედ: „მოიჯარადრეებმა... ისე დასცხეს ამ ხაბაზებს, როგორც უმწიფარ ჭვავს"; „....parez ensembles" „ხელში მოხვედრილი" (გვ. 224) კი არ არის, არამედ „წყვილ-წყვილად შეყრილი"; „Il n'y a ordre" რაღაც გაუგებრობით თარგმნილია: „ილაჯი აღარ არის"; აქ იგი უნდა ითარგმნოს: „ცუდად არის საქმე" ან „რიგიანი არაფერია"; „..... sans mot dire" სრულიად ნათლად „სიტყვის უთქმელად" არის და არა „იხტიბარი არ გაუტეხავს" (გვ. 205); ასევე სრულიად აშკარად „..... un an et dix mois" „ერთი წელი და ათი თვე" და არა „ერთი წელი და ცხრა თვე" (გვ. 23); სრული გაუგებრობაა „ფრონეიეს იარები ი ს რ ი მ ი ს წ ვ ე ნ ი თ მობანესო" (გვ. 66) მაშინ, როცა იქვეა ნათქვამი მწყემსები ყურძნით გამოძღენო (საჭმელად ვარგისი ყურძენი ისრიმი აღარ არის); „....raisins chenins" უბრალოდ ყურძნის სახეობაა და არა მაინცდამაინც მკვახე ყურძენი; „Sorbonne" არის „სორბონი" და არა „სორბონა" (რუსულის გავლენა; გვ. 35, 56, 177 და სხვ.); „...desbraguetter" „შარვლის შეხსნა", „ხვანჭრის გახსნაა" და არა „ტანზე გახდა".

„Le frain au dentz". „ანკესზე წამოგებას" ნიშნავს და არა „აწყვეტას", „..... leurs ergotz et fallaces" აქ „უსაგნო ლაქლაქი და თვალთმაქცობაა" და არა „ხრიკები და ფანდები", „....veaulx enginonnez" კი მხოლოდ „ხბოები" კი არ არის, არამედ „მანტიაწამოსხმული ხბორები"; ამდენად 172 გვერდზე მთარგმნელის უსწორო ფრაზის („ბევრმა მაშინვე აიწყვიტა, მაგრამ, მიუხედავად მთელი მათი ხრიკების და ფანდებისა, პანტაგრუელმა ყველა შეარცხვინა და საქმით დაუმტკიცა, რომ მის წინაშე ისინი ხბოები იყვნენ და მეტი არაფერი") ნაცვლად უნდა ყოფილიყო: „ბევრი მაშინვე წამოეგო ანკესს, მაგრამ მათი უსაგნო ლაქლაქისა და თვალთმაქცობის მიუხედავად პანტაგრუელმა ყველა სამარცხვინოდ დაამარცხა და ცხადყო, რომ ისინი მხოლოდდამხოლოდ მანტიაწამოსხმული ხბორები იყვნენ".

დედანში არ არის „შენ-თქვენობის" ისეთი უხერხული მონაცვლეობა, როგორიც ქართულ თარგმანშია: „შენთვის ლაპარაკში ჩარევის უფლება არავის მოუცია! შვიდი პირი ოფლი გადმდის, თქვენი მოდავის სიტყვას რომ ვისმენ და შენც კიდევ ცეცხლს მიკიდებ! ჩუმად, თქვენი დედა ავატირე, ჩუმად, როცა ეს დაამთავრებს, შენი ჯერი მაშინ დადგება" (გვ. 178). იქ არც „შვიდი პირი ოფლია", არც აქაური ძახითი ნიშნები (პირიქით, კითხვითი წინადადებებია), არც „თქვენი დედა ავატირე" და არც ზოგი სხვა რამ. სიტყვამ მოიტანა და ფრანგული diable (ეშმაკი) ე. ბაგრატიონს ხან „დედა ავატირედ" აქვს თარგმნილი, ხან „მამაძაღლად" (გვ. 182, „მამაძაღლი თურქებიო"; „Ces diables de Turcqs" კი ან „წყეულ თურქებად" ან „ტარტაროზ თურქებად" უნდა თარგმნილიყო), ხოლო სხვაგან „მამაძაღლი" ფრანგული Paillard-იდანაც აქვს მიღებული (Les paillards Turcqs კი „თახსირ თურქებად" უნდა თარგმნილიყო).

მსგავსი მაგალითები თარგმანში უხვადაა მიმობნეული.

უდავოა, მთარგმნელმა დიდი დრო და შრომა შეალია ამ წიგნს, ძალიანაც ცდილა. ზოგი ადგილი მართლაც კარგად არის გადმოქართულებული და მით უფრო მოუთმენელი, მიუტევებელი და შეუწყნარებელია ის ხარვეზები, რომელთა თაობაზეც გამოვთქვით ჩვენი შენიშვნები.

გვრჩება დიდი იმედი; იმედი იმისა, რომ ეგებ მომავალში მაინც განვიცადოთ ერის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი იმ დიდი მოვლენის გამო სიხარული და სასოება, მთარგმნელისადმი მადლიერებასთან ერთად, რასაც რაბლეს ნამდვილი, სრული და სრულყოფილი თარგმანი მოგვიტანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა

ერთი ლექსის ისტორია

მწერლის ბიოგრაფიის შესწავლის დროს მკვლევარები ხშირად ეძებენ ხოლმე იმ კონკრეტულ მიზეზს, იმ საბაბს, რამაც პოეტს ესა თუ ის ლექსი, ან სხვა ჟანრის ნაწარმოები დააწერინა; თუ ეს სატრფიალო ლექსია, ეძებენ ადრესატს; თუ სატირულია და მწვავე ირონიით აღსავსე — აღადგენენ მთელ იმ ვითარებას, რამაც პოეტის აღშფოთება გამოიწვია, თუ სოციალურ ან პატრიოტულ თემას ეხება და რაღაც კონკრეტულ მინიშნებას შეიცავს, აქაც არკვევენ ნაწარმოების გენეზისს.

ამას წინათ, ნიკო ნიკოლაძის არქივის შესწავლისას (არქივი ინახება იმავე ბინაზე, სადაც დიდი სამოციანელი ცხოვრობდა — გალაკტიონ ტაბიძის ქ. № 21), ხელში მომხვდა მწერლის ქალიშვილის — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფ. რუსუდან ნიკოლაძის დღიური. ამ დღიურში, იმ ადგილას, სადაც აღწერილია ნ. ნიკოლაძის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეები (1928 წელი, აპრილი), პატივცემულ პროფესორს ასეთი სტრიქონები ჩაუწერია: „ამ მძიმე წუთებში მომაგონდა მამაზე დაწერილი აკაკის უკვდავი ლექსის სტრიქონები:

ძმობა და სიყვარული
ფულით არ მიყიდია:
მხოლოდ გული და სული
მათი გზა და ხიდია...
მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია,
სულია ის საუნჯე,
ის სიმდიდრე — გულია...

დღიურის ავტორი არ ასახელებს სათაურს აკაკის იმ ლექსისას, საიდანაც ეს სტრიქონებია მოყვანილი, მაგრამ როგორც ცნობილია, ესაა ლექსი „ყარიბი“. ჩვენს ლიტერატურაში გარკვეული არ არის, რა კავშირი აქვს ამ ლექსს ნიკო ნიკოლაძესთან, რის გამო და რა ვითარებაშია იგი „მამაზე დაწერილი“. ჩვენ გადავთვალიერეთ აკაკის თხზულებებისათვის დართული კომენტარები, მაგრამ ლექსი „ყარიბის“ შესახებ შენიშვნებში მარტო ის არის აღნიშნული, რომ იგი „დაიბეჭდა „კვალში“ 1893 წელს, შემდეგ კი 1898 წელს, „აკაკის კრებულში“ (№ 12).

ლექსის წარმოშობის და დაწერის საბაბის გარკვევის მიზნით ჩვენ ვთხოვეთ მხცოვან პროფესორს, გაეშიფრა თავისი ლაკონური ჩანაწერი, ეამბნა ჩვენთვის „ყარიბის“ დაწერის ისტორია. ქვემოთ გადმოგცემთ, რაც რუსუდან ნიკოლაძემ გვიამბო ამ საკითხზე. ამ ნაამბობს ჩვენ დავუმატეთ ცნობები იმავე ავტორის მოგონებიდან „წლები და შეხვედრები“, რომელიც ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა:

— გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენ ვცხოვრობდით სადოვაიას ქუჩაზე, სახლი № 64 (ამჟამად ფ. ენგელსის ქუჩა). აქ მამასთან ხშირად მოდიოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე და სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენი. მათი დავა და კამათი ჩვენს აწმყოსა და წარსულზე ბეტად მომხიბვლელი და საინტერესო იყო. ისინი ეხებოდნენ მთელი ჩვენი ერის ისტორიას, მის ავსაც და კარგსაც.

ასე იყო ქუთაისშიც, ჩემი მამიდების პანსიონში, ასე იყო თბილისშიც. ისეთი გაცხარებული დავა და კამათი დაიწყებოდა ხოლმე, რომ სხვა ყველაფერი ავიწყდებოდათ. მერე, როცა დაიღლებოდნენ, სერიოზულ კამათს თავს ანებებდნენ და „მეორე გუნებაზე“ გადადიოდნენ, ე. ი. ხუმრობას იწყებდნენ. ჩვენ, პატარებს ყველაზე მეტად ეს წუთები გვიყვარდა, უმალ შემოვეხვეოდით ხოლმე უფროსებს და სიცილისაგან ვტიროდით. ისინი კი იხსენებდნენ

თავიანთ სასკოლო წლებს, ნიკოლოზ პირველის დროინდელ გიმნაზიას, „თათრის მოლების“ ხანას და ა. შ. მათ ხომ ერთი და იგივე სკოლა ჰქონდათ გავლილი საქართველოშიც და რუსეთშიც.

თერგდალეულების განუყრელი მეგობრობა, ჩემი აზრით, ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული მათს ბიოგრაფიაში; ერთად შეყრის დროს ყოველ მათგანში იღვიძებდა დაუდეგარი ახალგაზრდული სულისკვეთება და ჭაბუკური უდარდელობა; იქნებ ეს იმით აიხსნებოდა, რომ მათ ძალიან უყვარდათ ერთი-მეორე. ჯერ ისევ ქუთაისიდან მახსოვს, აკაკი და გიორგი წერეთელი ხუმრობას რომ დაიწყებდნენ, და აღარ გაათავებდნენ, მამიდა კატო ეტყოდათ ხოლმე: —ბეჩა გიორგი, ბეჩა აკაკი, ასე რამ გაგაბაღანავათო! აკაკის ძალიან ამხიარულებდა მამიდა კატოს ამ ღვარი შეცხადებანი.

ეს მხიარული ატმოსფერო იყო დამკვიდრებული ეკატერინე და ანასტასია ნიკოლაძეების ძველ მამაპაპურ სახლში, თეთრ ხიდთან, რიონის იმ კლდოვან ნაპირზე, რომელზედაც გიორგის არა ერთხელაც უთქვამს: ეს ჩვენი რიონი ყველაზედ უკეთ აძლევს ბანს თერგის ურჩ ტალღებსო. აკაკიც დიდი პატრიოტი იყო რიონისა და ფოთში „გაშლამტალახებულ“ ფაზისის დასამცირებლად მან ერთხელ მხიარული კბილი გაკრა მამაჩემს (ამას მათ ენაზე აკაკის „კბილების აქავება“ ეწოდებოდა).

— ხედავთ, როგორ აზვირთებულა დღეს ეს ჩვენი რიონი, — წამოიძახა ერთხელ აღტაცებით აკაკიმ და იქვე მამას გადაჰკრა სიცილით: — შენი ფოთის ბაყაყებით ამოვსებული ფაზისი კი ნუ გგონია ეს ჩვენი ვეფხვიო!

— რატომ უნდა მეგონოს? — მიიღო მან მხიარული ხურდა, — აკაკი ხომ არა ვარ, რომ არც გეოგრაფია ვიცოდე და არც ისტორიაო!

— ბიჭოს, ამას უყურეთ, — წამოიძახა აკაკიმ საერთო სიცილში — ამ ფოთმა რა ყოჩაღად შემოგვიყიყინაო!

ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ გაგვამხიარულა ბავშვები ჩვენი უფროსების ასეთმა ურთიერთდაკომპლიმენტებამ.

საერთოდ, პატარებს სულ არ გვესმოდა მამასა და ილიას მხოლოდ დიდებისათვის მისაწვდომი საუბარი, ან კიდევ მამაჩემისა და კირილე ლორთქიფანიძის ბაასი. მაგრამ მეგობრები ერთი-მეორეს რომ შეხვდებოდნენ, ჩვენ პატარები — მაშინვე მოველოდით რაღაც მხიარულის გამოელვებას; არც მტყუნდებოდა ჩვენი მოლოდინი. რაც უნდა გაუგებარ „კანტი-კონტურ“ ამბებზე (თვითონ ასე ეძახდნენ ფილოსოფიურ თემებზე საუბარს) არ ყოფილიყო მათი კამათი, ადრე თუ გვიან მისი ღრუბლიანი ბურუსიდან რამე ჩვენთვისაც საინტერესო „კლანჭი“ გამოჩნდებოდა აკაკის ან გიორგის. და ამის მოლოდინში პირადად მე ხშირად მთელ საათებს ვატარებდი მათ გვერდით.

და არც წამიგია. რამდენი რამ გამომხილა წარსულიდან და მიმანიშნა მომავლისათვის ამ კამათ-საუბარმა, რომლის აზრს შემდეგ ან დედა ამიხსნიდა ხოლმე თბილისში, ან მამიდები ქუთაისში. უფრო ხშირად კი თვით გიორგი მიხსნიდა თავისივე სურვილით და თაოსნობით. მას არაჩვეულებრივ იზიდავდა „ნორჩი ნიადაგის დამუშავება“ საბრძოლო მოსავლისათვის.

ამიტომ დღემდე კარგად მახსოვს მათი გაუთავებელი კამათის არა ერთი ეპიზოდი. შესანიშნავი იყო ეს მათი შეხვედრები, მათსავით ღრმა კონტრასტებით სავსე: ხან ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ტრაგედიას იხსენებდნენ, ხან ლონდონისა და პარიზის პარლამენტებში გადავყავდით ფიქრით, ხან აფრიკის კოლონიების ეკვატორულ სიცხეში. მაგრამ რაზედაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი — ტრანსვაალსა და კამერუნზე, მაროკოსა თუ ალჟირზე, მეგობრები აუცილებლად კვლავ საქართველოს დაუბრუნდებოდნენ, მათ ვერაფერი დაავიწყებდა სამშობლოს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

როცა საქართველოს წარსულ-მომავალზე ჩამოვარდებოდა ხოლმე სიტყვა, ფოთი, ბათუმი და ქუთაისი ამ სამი მეგობრის ცხარე კამათის ამოუშრეტელი წყარო ხდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენი ამაგი დასდო მამაჩემმა ფოთის პორტის დაარსებას, ერთხელაც მორიგი შეხვედრის დროს, გიორგი წერეთელმა მამაჩემს უთხრა:

— თვით ჰამბურგი რომ გადმოიტანო მაგ შენს ფოთში, მე მაინც ჩვენი ბაგრატის მთის ნანგრევების ფერფლს წინ დავაყენებ ჩვენი ერისთვის, იმდენად ძლიერი ამამოძრავებელი ძალაა ხალხისათვის მისი წარსული დიდების შეგრძნობა და მაგალითი!

— მშიერ-მწყურვალი ხალხისათვისაც? — მიიღო მან პასუხი.

— მშიერისათვის კიდევ უფრო! — ერთხმად წამოიძახეს გიორგიმ და აკაკიმ.

— დიახ, კიდევ უფრო, — გაიმეორა აკაკიმ, — მშიერისა და ჩაგრულისათვის. თამარისა და შოთას ეს პორტრეტები, — მიუთითა მან მამიდების დიდი ოთახის კედელს, — უკეთ გაუძღვებიან გამარჯვებისაკენ, ვიდრე შენი ფოთის ხუთი პორტი და ათასი ელევატორი.

— უსათუოდ! — მხურვალედ დაუდასტურა გიორგიმ.

— არა, მეგობრებო, ეგ წარსული და მომავალი კი არ უპირისპირდებიან, ერწყმიან და უერთდებიან ერთი-მეორეს.

ერთხელ მამამ, გიორგიმ და აკაკიმ ერთმანეთი კინაღამ დაჭამეს იმავე ფოთის ირგვლივ კამათის დროს. მისივე თქმით, თავის ჩვეულებრივ ბუზანკალზე შემჯდარმა აკაკიმ მამაჩემს უთხრა: მწერლობას ზღვაში ლოდების ურა

(ე. ი. მასივების ჩაფენა) როგორ ამჯობინე, კრონშტადტელი თერგდალეულ კალმის დეზერტირად რამ გადაგაქციაო! ხომ იცი, რომ ჩემი ლექსის „ზღვაო აღელდის“ ბოლო ტაეპი უშუალოდ შენ გიმიზნებსო:

ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი.
და სიბნელის დროს — ელვასა...

გიორგი წერეთელი, რომელიც იმავე დროს, დიდად იყო დაინტერესებული მრეწველობის განვითარებით, ამ კამათის დროს, ხშირად ცდილობდა ორივე მხარე დაეახლოებინა და შეერიგებინა. მაგრამ ორ პოლუსს შორის ყოველ ჩადგომაზე საწყალ გიორგის ორივე მხრიდან მოხვდებოდა ხოლმე — გაჩუმდი იეზუიტო, ნუ ლოიოლობო! (აქაც, როგორც ხედავთ, სიტყვის თამაშია — ლოიალობა და ლოიოლა).

აკაკი სიცილით ამბობდა, რომ გიორგის ეს „ლოიალიზმი“ მამისაგან აქვს თანდაყოლილიო. თერგდალეულ მეგობრებს კარგად ახსოვდათ ეკვთიმე გორისელის წერილი, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა მამათა და შვილთა ბრძოლა.

როცა გიორგი ცოცხალი აღარ იყო, აკაკიმ ჩვენს სახლში გაიხსენა მთელი ეს კამათი და მამაჩემს უთხრა:

— გახსოვს, ნიკო, მე და შენ ფოთზე რომ შევკამათდებოდით, განსვენებული გიორგი კი ცდილობდა, ორივე მხარე შეეერიგებინეთ: რუსთაველიც გვინდა და რკინა-ბეტონიცო! მართლაც, ფოთის პორტი, თბილისის რკინიგზა, სურამის გვირაბი და ჭიათურის შტო რატომ უნდა დაუპირისპიროს კაცმა ქარჯების დამძლევ ტარიელსა და ავთანდილს?

ახლა, როცა ასე თუ ისე, მკითხველის თვალწინ აღვადგინეთ ამ დიდი ადამიანების მეგობრობის საერთო სურათი, დავუბრუნდეთ ისევ აკაკის „უარიბს“, რომელიც ამ წერილის დასაწყისში მოვიხსენიეთ. აქ სიტყვა კვლავ რუსუდან ნიკოლაძეს უნდა დავუთმოთ:

— მამაჩემი, როგორც მოგახსენეთ, მრავალ საზოგადო საქმეში იყო ჩაბმული და ამიტომ ხშირად სესხულობდა ფულს საქმის საწარმოებლად კულაშელი ვაჭრებისაგან: და აი, მან ერთხელ ვერ მოახერხა ვალის თავის დროზე გადახდა და ამიტომ მევალემ აღმასრულებელი ფურცლით ჭონება აუწერა და დაულუქა. ამ ამბავს აკაკი წერეთელი შესწრებია. პოეტს თურმე ცრემლი მოერია, ხმა არ ამოუღია და გაფითრებული წასულა შინ. მეორე დღეს კი აკაკი მოსულა მამასთან და იმ ღამეს დაწერილი ლექსი „უარიბი“ წაუკითხავს.

რუსუდან ნიკოლაძეს თავის დღიურში აკაკის ლექსიდან მოყვანილი აქვს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი; ჩვენ კი ლექსს აქ მთლიანად მოვიყვანთ:

უარიბი

ნუ კითხულობთ: ვინა ვარ?
სიდან მოვალ? სად მივალ?
სულ ესა ვარ, რაცა ვარ,
რასაც მხედავთ თვალ-და-თვალ!
თავისუფლად დავდივარ:
არც ბატონად, არც მონად!
ცა ჭუდად არა მყოფნის,
დედამიწა ქალამნად.
უფროსი, არც უმცროსი
ნებით არვინ მყოლია!
ვინცა მცნობს და ვისაც ვსცნობ,
ყველა ჩემი ტოლია!
ძმობა და სიყვარული
ფულით არ მიყიდია!..
მხოლოდ გული და სული
მათი გზა და ხიდია!
არც მქონია, არც რამ მაქვს,
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზე მდიდარი
არც კი გამიგონია!
მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე
და სიმდიდრე გულია!
ვერ მომპარავს ვერავინ,
თან დამაქვს ეს დიდება!..
განჩინების ძალითაც
ხელი არ ეკიდება!
ჩამოღექი, პრისტავო!..
ნუ მოდიხარ, მოვალე!..
სიმდიდრეც ამას ჰქვიან!..
ვინც მომცა, ვენაცვალე!..[1]

ასეთია ამ ლექსის წარმოშობის ისტორია. რაოდენ ბევრს შეტყველებენ ეს სტრიქონები ჩვენს წარსულზე, ჩვენი სახელოვანი წინაპრების უანგარო ღვაწლსა და თავდადებაზე, მათს სულიერ სიწმინდესა და სიფაქიზეზე.

თურმე, როდესაც ნიკო ნიკოლაძე აკაკი წერეთელს შეხვდებოდა, ხშირად იხსენებდა ამ ლექსს, როგორც იმედის, რწმენის, ნუგეშისა და გულგაუტეხლობისას მაცნესა და მახაროებელს.

---

1. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი II, 1950 წ. გვ. 264-265.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის უცნობი სიტყვა

1940 წლის 14 სექტემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის ენის, ლიტერატურისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში შედგა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილსა და გ. ხაჭაპურიძის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვას.

თავმჯდომარეობდა გ. ახვლედიანი.

ინსტიტუტის დირექტორისა და მაკეტის თანაავტორის ს. ჯანაშიას შესავალი სიტყვის შემდეგ განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: გ. ნიორაძემ, გ. ჩუბინაშვილმა, აბ. კიკვიძემ, ა. ჩიქობავამ, მ. გოგიბერიძემ, გ. ტივაძემ, ნ. მახარაძემ, პ. გუგუშვილმა. შემდგომ სიტყვა წარმოთქვეს თანაავტორებმა — ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა.

პირველად ვაქვეყნებთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვას სრულად და რაიმე ცვლილების გარეშე. იგი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ არქივში (ფონდი №4, აღწ. №1, საქმე 257. ფ. 63-74). სტენოგრაფიული ჩანაწერი ივანე ჯავახიშვილის ხელითაა ჩასწორებული.

ამ სიტყვაში ივანე ჯავახიშვილი მარტო მაკეტის იმ ნაწილს კი არ განიხილავს, რომელიც მის მიერაა დაწერილი, არამედ იცავს იმ დებულებებსაც, რომლებიც საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდს ეხება და რომლის ავტორია ს. ჯანაშია.

უაღრესი ინტერესით იკითხება ივანე ჯავახიშვილის სიტყვა, რომელშიც მეცნიერული სიღრმე და მასშტაბურობა ერწყმის მგზნებარე პოლემისტის დარბაისლობას.

აი ეს სიტყვაც:

აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — ამ სახელმძღვანელოსაც თავისი ისტორია ჰქონდა და ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს იმისათვის, რომ ის, რაც გაკეთებულია, სასწორით იყოს შეფასებული. თავდაპირველად სადირექტივო ორგანოში ჩვენ რომ დავალება მივიღეთ, განზრახული იყო დიდი, ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი საქართველოს ისტორიის დაწერა. ამაში მონაწილეობა უნდა მიეღო სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებს. შემდეგში დავალება შეიცვალა და ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ სახელმძღვანელო უნდა იყოს შედგენილი საშუალო სასწავლებლებისათვის. ეს მეორე დავალება, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ძნელი ასასრულებელი იყო, ვიდრე პირველი და სულ სხვა პირობებში უნდა წარმართულიყო მუშაობა, ვიდრე თავდაპირველად იყო განზრახული. ჩვენთვის სრულებით ცხადი იყო და როდესაც სადირექტივო ორგანოში მსჯელობა იყო, მე მაშინვე აღვნიშნე ეს გარემოება, რომ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე კლასის მოწაფეებისათვის ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა, ისეთის, რომ იქ პრაგმატულად მთელი ქვეყნის ისტორია იყოს აღბეჭდილი, შეუძლებელია. 12 წლის ბავშვს შეიძლება აინტერესებდეს ისტორიიდან გარკვეული ეპიზოდები. ეპიზოდური ისტორიის გარდა, მისთვის სხვა არაფერი მისაწვდომი არ არის. ჩვენც გვისწავლია ძველ დროს და სამი საფეხური იყო ის-

ტორიის შესწავლისა — სულ პატარა ბავშვებისათვის, როდესაც უფრო ზღაპრებს ვსწავლობდით, ვიდრე ისტორიას, შემდეგ მეორე ხანა — როდესაც ეპიზოდურ ისტორიას გვასწავლიდნენ, ე. ი. უველაზე უფრო მნიშვნელოვანს, და ბავშვებისათვის ადვილად დასახსომებელი ამბები იყო ამოკრეფილი და დალაგებული, და შემდეგ უმაღლეს კლასებში სრული ისტორია იყო. დამთავრების შემდეგ უველა ჩვენგანს, რა ფაკულტეტზედაც არ უნდა შესულიყო, რასაკვირველია, ფილოლოგიური ფაკულტეტის გარდა, ის ცოდნა, რომელიც მას ისტორიაში შეძენილი ჰქონდა, ეყოფოდა. ეხლა, შეიძლება, თუ არა, ითქვას, რომ მეხუთე-მეექვსე-მეშვიდე კლასის მოწაფემ ე. ი. 12-13-14-წლის ბავშვმა დაისწავლოს თავისი სამშობლოს ისტორია ისე, რომ მას გამოადგეს უნივერსიტეტში? სრულებით შეუძლებელია.

ამგვარად, ჩვენს წინაშე ასეთი დილემა იყო, ან უნდა შეგვედგინა ეპიზოდური ისტორია,— მაშინ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო არ იქნებოდა, — ან ჩვენ უნდა დაგვეწერა საქართველოს ისტორია პრაგმატული წესით, მაშინ ეს არ გამოდგება ამ კლასებისათვის. ეპიზოდური ისტორია სულ სხვანაირად უნდა დაიწეროს, სულ სხვანაირი პედაგოგიური მოთხოვნილება არის, იქ, სახელმძღვანელოში კი—იმდენად პედაგოგიურ მოთხოვნილებას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მეცნიერულს. ყოველ შემთხვევაში, ის მთავარი სიძნელე, რომელიც ასეთი სახელმძღვანელოს შედგენის დროს არსებობს, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ყოფილიყო გადალახული. ამიტომ შემდგენლები იძულებული იყვნენ უფრო ფართოდ დაეწერათ, ვიდრე ეს გამოსადეგი იყო სასწავლებლებისათვის. არც ერთ ავტორს თავი არ მოუტყუებია და ის შენიშვნები, რომლებიც აქ მოვისმინეთ და წერილობით იყო აღნიშნული, ჩემთვის სრულებით გასაგებია, სამართლიანი არის, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

ეხლა მეორე გარემოება. დაწერილი იყო გაცილებით უფრო ვრცლად, ვიდრე თქვენ ნანაბი გაქვთ. როდესაც გამოირკვა, რომ იგი ერთი-ორად უფრო დიდი გამოდიოდა, ვიდრე განზრახული იყო, ჩვენ მოგვიხდა შემცირება და მთელი თავების ამოგდება. აი ამით აიხსნება, რომ ზოგან, სათაურის გარდა, არაფერი დარჩა. სათაურს მოსდევს მხოლოდ ერთი წინადადება. დრო აღარ იყო, რომ ასეთი მდგომარეობა შეცვლილიყო. აწყობილის შესწორება გვიხდებოდა კიდევ, ე. ი. ამოშლა და ამაზე მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო იმ დროის განმავლობაში, რაც ჩვენს განკარგულებაში იყო. ამასთან დაკავშირებულია უველგვარი კორექტურული და სხვა შეცდომები. ჩვენ საშუალება არც გვქონდა, რომ უველა კორექტურული შეცდომები გაგვესწორებინა, წიგნი ლინოტიპით არის აწყობილი და როდესაც შეცდომებს ვასწორებდით, ერთი შეცდომის მაგიერ, სხვა შეცდომები ემატებოდა... ამგვარად უველაფერი, რაც ამ მაკეტში არის ამჟამად, რასაკვირველია, იმას არ შეეფერა, რაც დაწერილი იყო და რაც მომავალში იქნება, თუ რომ, რასაკვირველია, ეს მაკეტი მოწონებული იქნება.

ეხლა მესამე გარემოება. შენიშვნების გამოთქმის დროს ხშირად გათვალისწინებული არაა შესაძლებლობა. იყო საუვედური, რომ გლეხთა მოძრაობა არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ჯერ უნდა იცოდეთ, არის თუ არა ასეთი ცნობები ძველი ხანის შესახებ და შემდეგ, რასაკვირველია, ეს შენიშვნა სამართლიანი იქნებოდა. რამდენადაც ცნობები მოიპოვებოდა, რასაკვირველია, ეს გამოყენებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ცნობები მოგვეპოვება[1]. ეხლა ჩვენ რომ ხელოვნურად, სქემის მიხედვით დავწეროთ, მოგეხსენებათ, რომ ეს უკვე დაგმობილი წესია წერისა, და ამნაირად შეუძლებელი იყო, რომ სახელმძღვანელო შედგენილიყო.

ეხლა კერძოდ კონკრეტული შენიშვნების შესახებ. არა ერთი შენიშვნა სრულებით სამართლიანი იყო, მაგრამ ზოგიერთის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ არც ისე უდავოა ის დებულებები, რომლებიც აქ წარმოთქმული იყო. სამწუხაროდ, რომელიც ამაზე ლაპარაკობდა, ამჟამად აქ არ იმყოფება. იგი პირველ ნაწილს ეხება, მაგრამ ზოგიერთ რამეზე მინდა მოგახსენოთ. იყო ნათქვამი, რომ რაკი ასეთი უბის ძვალი ჰქონდა ადამიანს, ლაპარაკი არ შეეძლოო[2]. მე არა მგონია, რომ მარტო უბის ძვლის მიხედვით შეიძლებოდეს ამ საკითხის გადაწყვეტა. ამის შესახებ სხვა მოსაზრებები და საბუთებიც არსებობს, რომლებიც ასე უდაოდ არ ხდის თითქოს სრულ ჭეშმარიტებად მიჩნეულ ცნებას. ნათქვამი რომ ყოფილიყო, რომ ნაწევროვანი ენა არ ჰქონდათ, სხვა საკითხია. მაიმუნებსაც კი აქვთ ენა. მაიმუნს რანაირი უბა აქვს, მოგეხსენებათ, უველ შემთხვევაში, ადამიანზე უკეთესი არა აქვს. მაგრამ ექსპერიმენტულად ამერიკელ მეცნიერებს დამტკიცებული აქვთ, რომ გარკვეული გრძნობის გამოსახატავად და გადასაცემად მაიმუნს გააჩნია სრულებით გარკვეული ბგერითი გამოხატულება, რომელიც სხვა მაიმუნებს ესმით. ეს ფონოგრაფის საშუალებით იყო ჩაწერილი და სხვა ადგილას მყოფ მაიმუნზე გამოცდილი: მისი სახის გამომეტყველებით ცხადი გახდა, რომ ის მიუხვდა, რასაც ეს ბგერები ნიშნავდა.

ეხლა ცხოველების გაშინაურების შესახებ. მართალია, მიღებულია ასეთი დებულება, რომ პირველად ძაღლი, შემდეგ ღორი იყო უველაზე ადრე გაშინაურებული[3]. უნდა ითქვას, რომ შეიძლება ქართული მასალებითაც ამის მშვე-

ნივრად დამტკიცება. არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთები, მაგრამ უველგან ასე არ უოფილა, არის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ღორი გვიან ჩნდება და სახელმძღვანელოს ამ ნაწილში როდესაც ჩამოთვლილია ეს ცხოველები, რასაკვირველია, ავტორს ნაგულისხმევი არ უნდა ჰქონდეს უეჭველად ქრონოლოგიური რიგი. რასაკვირველია, უველაზე ძნელი დასაწერი უძველესი ხანის ისტორია იყო და ახლო მომავალში ალბათ ბევრი რამ შესაცვლელი გახდება. ბერძენი ფილოსოფოსები ამბობდნენ ,,უველაფერი მიმდინარეობს და არაფერი არ რჩებაო'', მით უმეტეს მეცნიერებაში, მით უმეტეს უძველეს ხანაში, რომლისთვისაც ჩვენ საკმარისი ცნობები არ მოგვეპოვება.

ეხლა მე გადავალ ზოგიერთ შენიშვნებზე, რომლებიც ვგონებ საკამათო არ უნდა უოფილიუო, მაგალითად სახელმძღვანელოში არის აღნიშნული, რომ ქართველებს წარმართობის ხანაში დამწერლობა და მწერლობა ჰქონდათ. თითქოს ეს ეროვნული თავმომწონეობის, ან მწვანე კიტრის მკვეხარას ნაუოფი უნდა უოფილიუო. მაგრამ ასე არ არის საქმე. ჩვენ ამის შესახებ გარკვეული ისტორიული ცნობა მოგვეპოვება — უცხოელის, რომელიც ქართველი არ არის. რატომ არ უნდა დავუჯეროთ ამ ცნობას. ეს ერთი. მეორე მხრით, მარტო ეს ცნობა რომ უოფილიუო, იქნება ეჭვი შეგვეტანა. მაგრამ სხვა ცნობებიც არსებობს და, ამას გარდა, თვით ფაქტები ცხადჰუოფენ, რომ მეხუთე საუკუნეში არ უოფილა ქართული ანბანი გამოგონილი. ჩვენ მეხუთე საუკუნის თხზულება გვაქვს შენახული, მშვენიერი ქართულით დაწერილი, ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებია და როგორ შეიძლება, რომ ასეთი თხზულება ერთბაშად გაჩენილიუო, მწერლობა რომ არ უოფილიუო. სრულებით დაუჯერებელი ამბავია. ამის შესახებ ცნობილი სპეციალისტი, ბელგიელი მეცნიერი პეეტერსი მეკამათებოდა და ამტკიცებდა, რომ ეს უფრო ეროვნული გრძნობით ნაკარნახევი აზრია, ვიდრე სინამდვილე და შუშანიკის მარტვილობის შესახებ განაცხადა მან, რომ ეს თხზულება მეთორმეტე საუკუნის ნაწარმოებიაო. ის ამტკიცებდა იმასაც, რომ ვითომ ჯავახიშვილის ავტორიტეტმა პროფ. აკაკი შანიძეც კი შეაცდინა ბოლნისის წარწერის საკითხში. ეს წარწერა მე მეექვსე საუკუნის დამდეგისად დავათარიღე და ბოლნისის გათხრის დროს აღმოჩნდა თარიღიანი წარწერა ამ ძეგლის აშენების შესახებ და მაშინ გამოირკვა, რომ შეცდომა მხოლოდ რამდენიმე წლით მომსვლია. მე არ მგონია ეს დიდი შეცდომა იყოს და ისევე, როგორც თვით პეეტერსი შეცდა, მე ვფიქრობ, რომ შემცდარი არიან უველა სხვა პირები, რომელნიც ჯერ კიდევ იმეორებენ ძველ სომეხ მწერლის კორიუნის ზღაპრებს, ვითომ მესროპმა შეთხზა სომხების, ქართველების და ალბანელებისათვის ანბანი. ეს ზღაპარია, შით უმეტეს, რომ კორიუნზე უძველეს — სომხურ ძეგლში ამის მსგავსი ცნობა არ მოიპოვება. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება. ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს.

ამგვარად, არამც თუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის. რატომ არ უნდა იყოს ეს ნათქვამი, როდესაც ჩვენ ასეთი უცილობელი საბუთები მოგვეპოვება. თუნდაც სხვებმა ჯერჯერობით არ გაიზიარონ, რაც ჩვენ ჰეშმარიტებად მიგვაჩნია, სრული ზნეობრივი უფლება გვაქვს, რომ ისეთი ცნობა და დასკვნა მოვიუვანოთ.

ეხლა საკითხი დემოკრატიული წესწყობილების შესახებ.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში არსად ნათქვამი არ არის, რომ ძველ საქართველოში დემოკრატია იყო. თუ გულდასმით წაკითხული გაქვთ, აქ საუბარია მხოლოდ დემოკრატიული რეფორმების შესახებ. თუ დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ისტორია, მით უმეტეს პარნაკს რაკი ასახელებთ, წაკითხული გაქვთ, გეცოდინებათ ფრანცისკ ასიზელის ღვაწლი რაში მდგომარეობდა? სწორედ სამონასტრო წესწყობილებაში დემოკრატიული მიმართულების შეტანა ითვლებოდა მის დამსახურებად. ეს იქ უფრო გვიან მოხდა, საქართველოში კი უფრო ადრე. როგორც დასავლეთ ევროპაში არავის ფიქრად არ მოსვლია, ეს მოვლენა თანამედროვე დემოკრატიად გაეგო, ისე მე მეგონა, როდესაც ამას ვწერდი, მკითხველი მიხვდებოდა რაზეა საუბარი, მით უმეტეს, რომ იქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ბრძოლა იყო წოდებრიობის წინააღმდეგ და წოდებრიობის უპირატესობის უარსაყოფად პირად ღირსებასთან შედარებით. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით დავით აღმაშენებელმა დაიწუო სისტემური ბრძოლა, თანდათანობით ეს განხორციელებულ იქნა, მაგრამ დავით აღმაშენებელმა ეს შესძლო იმის წუალობით, რომ პირველად ეს გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა. ისევე, როგორც დასავლეთ ევროპაში სამონასტრო წიაღში წამოიჭრა ეს აზრი, საქართველოშიც ამნაირადვე მოხდა. მაგრამ გიორგი მთაწმინდელი პირველი არ უოფილა, ექვთიმე მთაწმინდელიც ამასვე მისდევდა. ამისათვის საქართველოში ხანგრძლივი ბრძოლა სწარმოებდა და ამაზე სახელმძღვანელოში საუბარი შემთხვევით ცნობაზე არ არის დამყარებული, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ შემდეგში ეს სახელმწიფო წესწყობილებაშიც იყო გამოყენებული, მე მგონია ეს თვით იმ ტერმინოლოგი-

ითაც მტკიცდება, რომელიც სახელმწიფოში მომხდარი ცვლილებების შესახებ მოთხრობის დროს თანამედროვე ისტორიკოსს გამოყენებული აქვს. ამგვარად ეს შიში არა მგონია სამართლიანი იყოს. აქ არავითარი არც ტენდენციური, არც ანაქრონისტული გაშუქება არ არის. საქართველოს ისტორიის უკულმართობის გამო, ის, რაც მოპოვებული იყო დავით აღმაშენებელისა და მომდევნო ხანაში, ისე ვერ განვითარდა როგორც დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, რომ ამ საკითხს გვერდი აუხვიოთ საქართველოს ისტორიაში. ეხლა მე შევეხები შენიშვნას ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. რადგან ჰარნაკი იყო დამოწმებული, მას ამაზე ამ წიგნში აქვს ნათქვამიო, და ჩემი ჰაბუკობის დროს ჰარნაკის მოწაფეც გახლდით, მაშინ სწორედ გერმანიაში იმასთან ვმუშაობდი, პირადადაც არა ერთხელ მომისმენია მისი ამ საგანზე მსჯელობაც. აქ დამოწმებული მისი წიგნიც წაკითხული მაქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰარნაკს მარტო არა აქვს ნათქვამი, რაც იყო დასახელებული. ჰარნაკსაც ბევრგან აქვს ნათქვამი, ისედაც საყოველთაოდ ცნობილია, ქრისტიანობა პირველად ებრაელების ახალშენებთან დაკავშირებულ წრეებში ვრცელდებოდა. თუ თქვენ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შესახებ ბრძანებთ, ეს სხვა საკითხია. იქ, რომში სახელმწიფო ხელისუფლება მას მთელი თავისი ძლიერი აპარატით ებრძოდა. მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებას მარტო ეროვნული ანტაგონიზმი კი არ უწყობდა ხელს, არამედ სოციალური უსწორმასწორობაც: თავდაპირველად ქრისტიანობა დაჩაგრულ წრეებში ვრცელდებოდა და ამგვარად მის გავრცელებაში სოციალური ელემენტისა და სფეროს გავლენა აუცილებელი გარემოებაა. შესაძლებელია ის გაშუქება, რომელიც პირველ ნაწილში არის მოყვანილი, მომავალში არ გამართლდეს, როგორი იყო მაშინ განწყობილება საქართველოში, ამის შესახებ ჩვენ გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება. ეს ჰიპოთეზური მოსაზრებაა, მაგრამ იმის უარყოფა, რომ ქრისტიანობის გავრცელებაში სოციალურ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სრულებით შეუძლებელია.

ეხლა იმ შენიშვნას შევეხებით, რომ სახელმძღვანელოში საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება აღწერილ-განმარტებული არ არის7. შენიშვნა სწორეა, მაგრამ შეუძლებელი იყო. შემოკლების დროს ისეთი რამეები უნდა ყოფილიყო ამოგდებული სახელმძღვანელოდან, რომ მით უმეტეს ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მე რომ დარბაზობაზე დამეწყო მსჯელობა, იქ სამოცამდე მარტო მოხელე-წევრი იყო, თვითეული თანამდებობის რაობა უნდა განმარტებული ყოფილიყო, ისევე, როგორც ვაზირობის შესახებაც. ცარიელ სახელების მოხსენებას არავითარი აზრი არ ექნებოდა და რომ ჩამომეთვალა, მაშინ საყვედურს დავიმსახურებდი, რომ ცარიელი სახელები არისო, ხოლო თუ განმარტებას შევიტანდი, მაშინ რამდენიმე ნაბეჭდი გვერდი უნდა ყოფილიყო დართული. შენიშვნა სამართლიანია, მაგრამ ეს გარემოება უადგილობით არის გამოწვეული. სხვებიც ასევე იძულებული იყვნენ ბევრი რამ შეემოკლებინათ, რის თქმაც ჰსურდათ.

ეხლა უკანასკნელ საკითხს შევეხები, დანარჩენებზე ლაპარაკი აღარ შემიძლია, მართალი მოგახსენოთ, ძალზე დაღლილი გახლავართ. აწარმოა თუ არა ეკონომიური ომი თემურლენგმაზ. ამის შესახებ არავითარი ეჭვი არ შეიძლება ითქვას. ჩვენ გვაქვს მისი ისტორიკოსის მერევ-ედინ-ალი ეიზდის სპარსულად დაწერილი თხზულება, რომელიც ემყარება თემურ ლენგის პირადი მდივნის დღიურებს და მისი მოთხრობიდან ირკვევა, რომ თემურლენგმა იმთავითვე კი არ დაიწყო ვენახების გაკაფვა და თავიდანვე კი არ გასცა ბრძანება, რომ ვენახები გაეკაფათ და ბაღები და ხეხილის ხეები მოესპოთ, არამედ როდესაც დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის დაძლევას ვერას გზით ვერ ახერხებდა. როგორც ისტორიკოსი ამბობს, თემურ ლენგმა შეიტყო, რომ ეს „უსჯულონი“ სადილსა და პურსაც კი ვერ სჭამენ ისე, რომ ხილი და ღვინო არ ჰქონდეთო, მაშინ განკარგულება გასცა, რომ ყველაფერი გაეკაფათ. რისთვის? რომ ხალხი წელში გაეწყვიტა, რომ მისთვის კვების საშუალება მოესპო, რომ მას ბრძოლის უნარი დაჰკარგოდა. რა არის ეს? სამხედრო მოქმედებაა? ომია იარაღით? არა!

როდესაც თემურ ლენგი მოდიოდა, მისი ჯარისთვის განკარგულება სახლების დანგრევის შესახებ საჭირო არც იყო. მისი ყაჩაღი მებრძოლნი ისედაც ამას ანადგურებდნენ. ისინი მოდიოდნენ იმისათვის, რომ ყველაფერი გაეძარცვათ: სახლებსაც დაანგრევდნენ, სუყველაფერს წაიღებდნენ. მაგრამ პირველი ორი შემთხვევის დროს მათ არც ვენახებისათვის, არც ხეხილის ბაღებისათვის ხელი არ უხლიათ. სანამ თემურ-ლენგმა ამის განკარგულება არ გასცა, მან შემდეგშიც, მეორედაც გამოიყენა ეს საშუალება, როდესაც დასავლეთ საქართველოში შეფარებული გიორგი მეფის შესაპყრობად გადავიდა, მაგრამ აქაც ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ აქაც განკარგულება გასცა ასევე ბაღებისა და ვენახების გაკაფვა დაეწყოთ. საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ორჯერ მოხდა ასეთი საშინელება. პირველად თემურ-ლენგის დროს, მეორედ შაჰ-აბასის დროს. შაჰ-აბასმა გაიმეორა ის, რაც თემურ-ლენგმა გააკეთა, შაჰ-აბასიც იმითვე ხელმძღვანელობდა. კახეთში მან გააკაფინა

თუთის ხეები მთლიანად, რომ მეაბრეშუმეობა მოესპო, რომელიც საგარეო ვაჭრობის საგანს შეადგენდა და მეტოქეობას უწევდა სპარსეთის მეაბრეშუმეობას.

აი ამგვარად. შემთხვევით არ არის ნახმარი ეს გამონათქვამი: თემურ-ლენგმა ქართველთა დასაძლევად მართლაც გამოიყენა ეკონომიური ომი. შესაძლებელია ეს ტერმინი გვეხამუშოს იმიტომ, რომ ეკონომიური ომი ეხლაც წარმოებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეხლანდელი ეკონომიური ომი სხვანაირია. ის, რაც მაშინ იყო, თუ გნებავთ, ბავშვური საშუალებაა ეხლანდელთან შედარებით, მაგრამ თავისთავად არ შეიძლება, რომ მოვლენა ისევე არ იყოს დახასიათებული, როგორც ის ნამდვილად მოხდა.

---

1. ივანე ჯავახიშვილს აქ მხედველობაში აქვს ა. კოკვიძის შენიშვნა, რომ ზოგადია მსჯელობა მეშვიდე-მეცხრე საუკუნის საქართველოში კლასთა ბრძოლის — მიწათმოქმედ მდაბიოთა და მემულეთა ბრძოლის სინამდვილიდანო.

2. იგულისხმება გ. ნიორაძის შენიშვნა სინანთროპის შესახებ.

3 იგულისხმება ისევ გ. ნიორაძის შენიშვნა: „სწორია რომ ყველაზე ადრე ადამიანმა მოაშინაურა ძაღლი, მაგრამ ძაღლის შემდეგ ადამიანმა მოაშინაურა ღორი და ის, რაც ბოლოში არის მოქცეული, ადრევე, ძაღლის შემდეგ უნდა იყოს მოხსენიებული“.

4. აქ ივ. ჯავახიშვილი ედავება მ. გოგიბერიძეს, რომელსაც არ მოსწონდა ასეთი მტკიცება მაკეტში: „ქრისტიანობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო, თვითონ კი თარგმანები დაიწყოო“.

მ. გოგიბერიძის აზრით, „კატეგორიული წინადადებით არის ნათქვამი, რომ არსებობდა წარმართული მწერლობა, მანამდე სანამ ქრისტიანული მწერლობა გაჩნდებოდა. რაც დაწერილია ჩვენი ისტორიის შესახებ, თუ ლიტერატურის ისტორიის შესახებ, ყველა წამიკითხავს, მაგრამ ამგვარი დოკუმენტის არსებობა მე არსად მინახავს; ეს აზრებიც ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია. შესაძლებელია ასე გამოთქმულიყო. რომ „ქრისტიანობამ შეიძლება მოსპო“ და სხვ.

5. მ. გოგიბერიძე თავის შენიშვნაში ამბობდა: „არ ვთვლი ჩემს თავს კომპეტენტურად, მაგრამ უნდა გავაკეთო ეს შენიშვნაც. იგი შეეხება იმ ნაწილს, რომელიც დამუშავებულია ისეთი სპეციალისტის მიერ, როგორც არის აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და შეეხება საკითხს შესაძლებელია თუ არა იყოს დემოკრატიული წყობილება აბსოლუტურ მონარქიზმის პირობებში. უდიდესი პატივისცემა ჯავახიშვილის მიმართ ხელს უშლის ბევრს, რომ ამაზე არაფერს ამბობენ. აქ იქნებ თვალსაზრისია გატარებული, რომ მოვიდა ათონიდან დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი და შემოიტანა პირველად სინამდვილეში იდეები დემოკრატიული დამოკიდებულებისა მმართველსა და იმათ შორის, ვინც უნდა იყოს მმართველობის ობიექტი, მერე სულ ეს აზრია გატარებული, რომ ამ სისტემის დემოკრატია თანდათან გადადის საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში. მე ვსვამ საკითხს— დამთავრებულ ფეოდალურ სახელმწიფოში თუ შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი — დემოკრატიზმი“.

6. მოსე გოგიბერიძე ამბობდა: „ჰარნაკი, რომელიც მსოფლიოში უდიდესი მკვლევარია ქრისტიანობის გავრცელების და ასეთი საკითხებისა... ამტკიცებს, რომ ქრისტიანობა, უწინარეს ყოვლისა, გავრცელდა პერიფერიულ სახელმწიფოებში და არა ცენტრში, ე. ი. გავრცელდა ადრე, ვიდრე რომის იმპერიაში და ის ადრე გავრცელდა შედარებით ჩვენშიც, აქედან გამომდინარე გარემოებას სულ არ ექცევა ყურადღება სახელმძღვანელოში. სოციალური მოტივი, რომელიც პირვანდელი ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა, სულ სხვა იყო, ვიდრე სახელმძღვანელოს ავტორებს ჰქონდათ“.

7. ა. კოკვიძე შენიშნავდა: „თუმცა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველოს ისტორიის შემცველი ნაწილი საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი და მშვენივრად დასაბუთებული, მაგრამ საჭირო იყო სახელმწიფო დარბაზის შემადგენლობასა და სავაზიროს შესახებ რამე თქმულიყო“.

8 ა. კოკვიძე შენიშნავდა: „ჩვენ გვგონია, რომ თემურ-ლენგის მიერ ვენახებისა და ბოსტნების განადგურება (გვ. 248) არ ჩაითვლება ეკონომიურ ომად. საქართველოს საწარმოო ძალების განადგურებას კი ისახავდა მიზნად ვენახების გაკაფვა. ეს ზომა ისეთივე ხასიათის იყო, როგორც სახლების დანგრევა და მშვიდობიანი მოსახლეობის გაწყვეტა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური სიწრფელე და უშუალობა

ხუტა გაგუას ლექსების პირველი კრებული „კვირტების ფეთქვა“ ამ თხუთმეტიოდე წლის წინ გამოსცა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ. ოცდაათამი წლის ახალგაზრდა პოეტის გამოჩენას ინტერესით შეხვდნენ მკითხველებიც, თანამოკალმენიცა და კრიტიკოსებიც. მიზეზი კი ის იყო, რომ ხუტა გაგუამ, რომელიც მანამდე არც თუ ხშირად იბეჭდებოდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, პირველივე კრებულით საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთა თავისი პოეტური სახე. წიგნმა გვიჩვენა, რომ ავტორი თამამად მიილტვოდა ორიგინალობისაკენ. მართალია, პირველ ხანებში მისთვის უცხო არ იყო გაელენებიც. მაგრამ იგი უკვე წარმატებით ეძებდა და პოულობდა საკუთარ ხმას.

ახალგაზრდა პოეტს თავიდანვე დაჰყვა აზრის ძალდაუტანებლად გადმოცემის უნარი. მის პოეტურ სტრიქონს მაშინვე ეტყობოდა სიწრფელე და უშუალობა.

ამაზე ეტყველებდა კრებულის პირველივე ლექსი „ჩემი სამოთხე“. ეს ის თავფურცელი იყო წიგნისა, რომელმაც მკითხველს ბოლომდე წააკითხა ახალგაზრდა შემოქმედის პირველი წიგნი. გავიხსენოთ ადგილები ამ ლექსიდან:

თუ არ შევღიმე ვარდებს ცვარიანს,
ისე ვით შევძლებ ვიმღერო ლაღად;
მე შენი ტრფობა არ მისწავლია,
იგი აკვნიდან სიცოცხლედ დამყვა,
ჩემო მამულო.

ამ სტრიქონებმა მღელვარე მკერდი,
ჭარიშხალივით შემომინგრია.
და როცა ლექსი დავიწყე შენთვის,
მე პოეტობა არ მიფიქრია,
ჩემო მამულო.

ერთ დროს მოკვდები... მაგრამ სამოთხის
არ ვარ მძებნელი დარდით და ცრემლით;
მე შენს უბეში საფლავს ამოვთხრი
და ის იქნება სამოთხე ჩემი,
ჩემო მამულო.“.

გამოხდა ხანი და, პოეტი მკითხველის წინაშე წარსდგა ლექსთა ახალი კრებულებით: „მიწის სიმღერა“ (სოხუმი. 1961 წ.), „ხმა იდუმალი“ (თბილისი. 1964 წ.), „სიჩუმე“ (სოხუმი. 1967 წ.). „გვიანი თოვლი“ (თბილისი. „საბჭოთა საქართველო“. 1972 წ.). ამრიგად, ბოლო წიგნი ხუტა გაგუას მეხუთე პოეტური კრებულია და თხუთმეტწლიანი შემოქმედებითი გზის ანგარიში.

წიგნში შეტანილი ლექსების თითქმის ნახევარი ადრევე წაგვიკითხავს წინამორბედ კრებულებში (ზოგი მათგანი ავტორს საფუძვლიანად გადაუმუშავებია), ნახევარზე მეტი კი სულ ახალია.

წიგნის სათაური „გვიანი თოვლი“ კრებულში შესული ერთ-ერთი ლექსის სათაურია და რადგან ასეთ შემთხვევაში როგორც ავტორს, ასევე მკითხველს მიაჩნია, რომ საერთო სათაურად გამოტანილი ლექსი საუკეთესოა წიგნში, მეც ამ ლექსით დავიწყებ ხ. გაგუას კრებულის გარჩევას. ჩემი აზრით, „გვიანი თოვლი“ ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ვნახოთ ლექსი მთლიანად:

შემოიხედა ფანჯრებში დილით,
შეტოკდა ტყემლის დაპენტილ ტოტად.
შემოიხედა და უცებ ძილი
დაუფრთხო თეთრად შეღებილ ოთახს.
მე გვიან მივხვდი უბრალო მიზეზს,
რად გამეორდა ზამთრის ზღაპარი,
ან რად განათდა ოთახი ისე.
როგორც ამ თოვლის თავშესაფარი...
და თუმცა სული დალია თოვლმა
მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ. —
ის შერჩა, როგორც ნათელი ხსოვნა,
თეთრად შეღებილ ჭერსა და კედლებს.

ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, სრულიად შეუცნობელია ამ ლექსის ფილოსოფია.

ხუტა გაგუა, „გვიანი თოვლი“, საბჭოთა საქართველო“, 1972.

მიუხედავად კეთილხმოვანებისა და პოეტურად დაწერილი სტრიქონებისა, ჩემთვის ასევე გაუგებარი დარჩა ლექსი „სასტუმრო“. პოეტი წერს:

სასტუმრო ყველას უღებდა კარებს,
ვისაც ფული და სურვილი ჰქონდა.
უფრო კი ფული. ძალიან ცოტა —
ათასში ერთი რჩებოდა გარეთ.

და შემდეგ:

და, ჰა, მეორედ შევაღე კარი,
სადაც ჯერ შესვლის არ მქონდა ნება
და უკვე დამცხრალ ჟინსა და ვნებას
ანიავებდა მსახური ქალი..

თავი რომ დავანებოთ პირველი სტროფის ბოლო ორი სტრიქონის ერთობ პროზაულობას, გაუგებარია, რატომ არ ჰქონდა ლექსის ლირიკულ გმირს სასტუმროში შესვლის ნება?

ვაჟა-ფშაველას მიაჩნდა, რომ ჰეშმარიტ პოეტს ქვეყნის საჭიროება აღონებს და აწუხებს, რომ კარგი მწერალი მკურნალია ცხოვრებისა. ჩვენს მწერლობაში აწორედ ამიტომ მუდამ ძლიერი იყო მოქალაქეობრივი ელერადობა და ახლა მით უმეტეს საჭიროა იგი.

ჩვენი ლიტერატურის ამ ღირსშესანიშნავ ტრადიციას ეხმიანება ხუტა გაგუას ლექსებიც, რომლებშიც მხატვრის დაკვირვებული თვალით დანახულია ჩვენი აწმყოს ტკივილები და სიხარული, ჩრდილოვანი და ნათელი მხარეები.

პოეტს აწუხებს „ფხიანთა“ დაუმსახურებელი განდიდება და „უფხოთა“ „არშესაშური“ ყოფა, რაც ამ ახლო წარსულში ესოდენ ჩვეულებრივი ამბავი იყო:

ზოგი გუბეში იხრჩობა,
ზოგმა დალახა ზღვები;
მარჯვედ არიან მარჯვენი,
არშესაშურად სხვები...

(„შვება“)

ამიტომ ავტორი ჰკიცხავს უღირსებს, რომლებსაც ჩალის ფასად უშოვიათ დიდება:

რა ვუყოთ, ვისაც უნდოდა,
მათ შეიძინეს კიდევაც —
ყელზე ჯვრად ჩამოიკიდეს
მუქთად ნაშოვნი დიდება...

(იქვე)

მაგრამ ამ ბოროტების ასალაგმად დღეს არ გამოდგება ლაშარის ჯვრის მოშველიება, როგორც ამ ლექსში:

ლაშარის ჯვარო! წყალობდე
ყველას, ვინც სიცხით ძლეული
ვერ მიიტანა წყარომდე
დაღლილ-მწყურვალი სხეული!

ცხადია, აქ საჭირო იყო უფრო სხვაგვარი სახეები, ვთქვათ, სატირულ-გროტესკული ფორმების მოშველიება.

კრებულში ყურადღებას იქცევენ მშვენიერი ლირიკული ლექსები: „პერედელკინო“, „სიზმარი“, „ბეჭედი“. პირველ მათგანში აღწერილია მშობლიურ კუთხეს, ოჯახურ მყუდროებას დროებით მოშორებული კაცის გრძნობები:

და დავინახე — სასეირნოდ
გამოსულ არყებს
მკლავებში თოთო ბავშვებივით
ეწვინათ თოვლი.
და წარმომიდგა—თვალუწვდენი
კილომეტრების,
გადათოვლილი ტრამალების
და ნაზავთარი
დღეების მიღმა — მშობლიური
სახლის კედლები
და მოწყენილი გოგო-ბიჭის: —
მამა სად არის?

როგორი ფაქიზი და ჰეშმარიტად პოეტური სახეა — არყის ხეები, თოვლი მათ ტოტებზე და შორსმყოფი შვილების მონატრება!

ომის საშინელება ხუტა გაგუას თაობამ ბავშვობაში განიცადა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ თემის ასახვისას პოეტი ძირითადად ყრმობისდროინდელ მოგონებებს, ომის წლების სოფლის სურათების აღწერას ეყრდნობა. კრებულში ქრონოლოგიური პრინციპით მისდევენ ერთმანეთს ომის თემაზე დაწერილი ლექსები: „ბავშვობის გახსენება“, „ლანდები არ კლდებიან“, „ომის შემდგომი დროის ნაყინი“ და უსათაურო — „ქმარა! ისედაც დიდხანს ვმალავდი“. საინტერესო კი ის არის, რომ ამ თანმიმდევრობას ახლავს პოეტური აზრის აღმავლობაცა და გამომსახველობის სიღრმეც.

„ბავშვობის გახსენებაში“ ხ. გაგუა აგვიწერს ომის პირველ დღეების სურათს, მამის წასვლას ფრონტზე:

ივნისი. ყოფნა-არყოფნის ქამი
წერს თავბრუდამხვევ ომის განაჩენს,
და ხელში ძალით აჩეჩებს მამას
ჯერ შაშხანას და მერე ყავარჯენს.

პოეტი ზუსტი შტრიხებით გვიხატავს დაჭრილი მეომრის დაბრუნებას ბრძოლის ველიდან:

და მეჩვენება: შემოდის ომი.
ეზოში ცალი ფეხით შემოდის.

ამასთან ერთად ლექსში დამაჯერებლადაა გადმოცემული საოცარი ფსიქოლოგიური ნახტომი ბავშვის ცხოვრებაში, რომელმაც ერთბაშად დაავიწყაცა იგი:

რა ვქნა, რა ეუთხრა მამას ხეიბარს?
და ეტირი, ეტირი დაუფარავად —
მე ჯერ ბავშვი ვარ...
და ეგრძნობ დღეიდან,
მორჩა. გათავდა! ბავშვი არა ვარ.

ჩემი ღრმა რწმენით, ლექსების ეს ციკლი თავისი გამომსახველობით, ცხოვრებისეული რთული პრობლემებით, ფსიქოლოგიური განცდების სწორი მიგნებითა და გადაწყვეტით, — ერთ-ერთი საუკეთესოა კრებულში. ასე თანმიმდევრულად, ლოგიკური დაძაბულობით ბავშვობისდროინდელი განცდების პოეტური წარმოსახვა ხ. გაგუას აშკარა გამარჯვებაა.

პატრიოტული თემა მთავარ ხაზად გასდევს ხუტა გაგუას ლირიკულ ლექსებს. ამ მხრივ კრებულში საყურადღებოა „გრემი“, „კიდევ დავრჩები“, უსათაურო (მესხეთს აღიარებს ყიკილი მამლის“...), „ეგობრისადმი“ და სხვა.

კრებულში მრავალი კარგი ლექსია. მათ შორის „ყრუ-მუნჯი“, „შემოდგომა“, უსათაურო („მარად ერთგული იქნები საქმის“) და სხვა. მაგრამ ყველა მათგანზე ვერ შევჩერდებით.

პოეტური ლაკონურობითა და მუსიკალური კეთილხმოვანებით გამოირჩევა ლექსი „მონადირის მოთქმა“, რომელიც საქართველოს ბუნების დაცვას ეხმაურება.

კრებულში მოთავსებული მიძღვნითი ლექსები „ტიციან ტაბიძე“ და „გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას“ ღრმად განცდილი, ფილოსოფიურად გააზრებული ნაწარმოებებია, რომლებშიც მკითხველი პოულობს ცოცხალ აზრსა და მძაფრ სტრიქონებს.

ჩემო სამშობლოვ, ეს შეხვედრა
იყოს კეთილი!
ვეთაყვანები ოქროყანას,
მცხეთას, დედულეთს;
ამიერიდან არასოდეს გისაყვედურებ.
ოღონდ ამაოდ ნუ ჩაიელის
ეს გაკვეთილი.
(„ტიციან ტაბიძე“)

ან კიდევ:

ძლივს ციმციმებდა შუქი იმედად
შენს სამარესთან და მივხვდი ბოლოს:
ის შენთვის უკვე არ ციმციმებდა —
იმედი ცოცხლებს სჭირდებათ მხოლოდ.
ვირწმუნო, რომ შენ დაგეხშო გრძნობა.
ძნელია, როგორც ეს დღე უშენოდ,
როგორც საკუთარ სიკვდილზე ცნობას
წაწუდეს კაცი და დაუჯერო.
(„გიორგი შატბერაშვილის ხსოვნას“)

სასიხარულოა, რომ ამ კრებულში ხუტა გაგუა კვლავ წარმოგვიდგა დახვეწილი პოეტური ტექნიკით, ღრმა აზრის დამტევი, შთამბეჭდავი სახეებით.

სამწუხაროდ, მათს გვერდით აქა-იქ ვხვდებით ჭეშმარიტი პოეტურობით დაუმუხტავ, პროზაულ უმწიფარ სტრიქონებს: აი, მაგალითად:

წინათაც ასე... და ამის გამო
მასთან შეხვედრა მუდამ მწყუროდა.
(გვ. 15)

მე ვცდილობ ჩემი განუზომელი
აღფრთოვანება ვაუწყო მამას,
მაგრამ არც ისე ომახიანი
ამოძახილით ვახერხებ ამას. (გვ. 22)

საკუთარ თავში ეძებს დასაყრდენს
მრავალი, მაგრამ პოულობს ცოტა.
ვერ აღწევს ამას ასიდან ორიც. (გვ. 52)
და თვითმფრინავის ამაყი (!) ბოლი...
(გვ. 29)

ივი ასევე არანაკლები
სიშმაგით ხეთა რიგებს მივარდა... (გვ. 14)

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ძალზე გავრცელდა ღვთისა და ღვთიური ძალების ხსენება-ხმობა, არა მარტო იქ, სადაც ეს საჭიროა, არამედ იქაც, სადაც კონტექსტით აუცილებელი არ არის. ეს ხუტა გაგუას ლექსებსაც ეტყობა, აი, მაგალითებიც: „ო, კვნესა ჩუმი და უეცარი ღმერთის წინაშე, ღმერთის თუ ბედის“ (გვ. 5).; „ბებერო! ხედავ, შევრჩი ქვეყანას, შენი იმედით და ღვთის წყალობით“ (გვ. 7); „მე მომელანდა—მადლობა უფალს, ქალის კივილად ელმავლის სტვენა“ (გვ. 35); „დედაო ღვთისავ! შემინდევი, ჩემივე ცოდვის მონა ვტირი“ (გვ. 58); „ღმერთო, შეუნდე ყველას, რამდენიც დინოზავრული ნაბიჯით დადის“ (გვ. 108).

ხუტა გაგუამ თავისი ლექსების ერთ კრებულს წაუმძღვარა მარინა ცვეტაევას შესანიშნავი სიტყვები: პატივი ეცით, საკუთარივით გიყვარდეთ ყოველივე ჩემი, თუ გინდათ იყოთ ჩემი მსაჯული.

არ ვიცი, გამოვდექი თუ არა მსაჯულად, მაგრამ მინდა — „გვიანი თოვლის“ ავტორს სჯეროდეს, რომ მისდამი პატივისცემითა და სიყვარულით ვთქვი სათქმელი.

გივი გოჯაგუა

ბ/16/66

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ